



კონსტიტუციონალიზმი

მიღწევები და გამოწვევები

კონსტიტუციონალიზმი

მიღწევები და
გამოწვევები



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Caucasus International University

კონსტიტუციონალიზმი

მიღწევები და გამოწვევები

Constitutionalism Achievements and Challenges

სამეცნიერო რედაქტორები და გამომცემლები:
მინდია უგრეხელიძე და ბეკა ქანთარია

Scientific Editors and Publishers:

Mindia Ugrekhelidze and Beka Kantaria



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2019

საერთაშორისო სამეცნიერო კრებული ეძღვნება საქართველოს
დამოუკიდებლობის აღდგენის, ქართული კონსტიტუციონალიზმისა და
პარლამენტარიზმის 100 წლის საიუბილეო თარიღებს.

**The international scientific collection is dedicated to the 100th anniversary of the
restoration of Georgia's independence, Georgian constitutionalism and
parliamentarism.**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

Caucasus International University

საერთაშორისო სამეცნიერო კრებული:
კონსტიტუციონალიზმი - მიღწევები და
გამონწვევები

International Scientific Collection:
**Constitutionalism - Achievements and
Challenges**

სამეცნიერო რედაქტორები და გამომცემლები:
მინდია უგრეხელიძე და
ბექა ქანთარია

Scientific Editors and Publishers:
**Mindia Ugrehelidze and
Beka Kantaria**

იდეის ავტორი და საორგანიზაციო კოლეგიის
ხელმძღვანელი
ბექა ქანთარია

Author of the concept and Head of
the Organising Board
Beka Kantaria

პროფესორ მინდია უგრეხელიძის შესავალი
სიტყვა ინგლისურ ენაზე თარგმნა
ნანა გოგიაშვილი

Foreword from Professor
Mindia Ugrehelidze
was translated into English by
Nana Gogia

პროფესორების ჰერმან შვარცის, ჯუზეპე დე
ვერგოტინის, მიხეილ შტოლაისისა და დავით
შულცის ინგლისურენოვანი სტატიები თარგმნა:
ნანა გოგიაშვილი

English articles by Professors Herman Schwartz,
Giuseppe De Vergottini,
Michael Stolleis and
David Schultz are translated by:
Nana Gogia

პროფესორების პეტერ ჰებერლეს, იოზეფ
იზენსეს და ქრისტიან შტარკის
გერმანულენოვანი სტატიები თარგმნა:
ნიკოლოზ ჯაში

German articles by Professors Peter Häberle, Josef
Isensee and Christian Starck
are translated by:
Nikoloz Jashi

პროფესორების დიტერ გრიმის, მარტინ
მორლოკის, ოტო დეპენჰეის, უდო დი
ფაბიოს, მიხაელ ბრენერის, ოლივერ ლემბეკეს,
რეგინა ქინერის და დემის მირაჩის
გერმანულენოვანი სტატიები თარგმნა
ნათია დაუთაშვილი

German articles by Professors
Dieter Grimm, Martin Morlok,
Otto Depenheuer, Udo Di Fabio,
Michael Brenner, Oliver W. Lembcke, Regina
Kiener and Demis Mirarchi
are translated by:
Natia Dautashvili

ბენჟამინ კონსტანტის ფრანგულენოვანი
ნაშრომი თარგმნეს:
რუსუდან თურნავამ, ნინო ძველაიამ და
სალომე მიმინოშვილმა

A French work by Benjamin Constant
is translated by:
**Rusudan Turnava, Nino Dzvelaia and Salome
Miminoshvili**

თარგმანების სამეცნიერო რედაქტორი:
მინდია უგრეხელიძე

სარედაქციო კოლეგია:
**მინდია უგრეხელიძე, ნიკოლოზ ჯაში,
ბექა ქანთარია**

ქართული ტექსტის კორექტორები:
ეკა თხილავა და მზია ქარდავა

საორგანიზაციო კოლეგია:
**თამთა წირქვაძე, ანანო წიფნიაძე, მარიამ
გოგავა და დიმიტრი ცანავა**

ყდის დიზაინი:
გვანცა მახათაძე

Scientific Editor of the translated articles:
Mindia Ugrehelidze

Editorial Board:
**Mindia Ugrehelidze, Nikoloz Jashi,
Beka Kantaria**

Proof-readers of the Georgian text:
Eka Tkhilava and Mzia Kardava

Organizing Board:
**Tamta Tsirkvadze, Anano Tsivtsivadze,
Mariam Gogava and Dimitri Tsanova**

Cover design:
Gvantsa Makhatadze

სამეცნიერო სარედაქციო კოლეგია: Scientific Editorial Board:

მინდია უგრეხელიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის პროფესორი,
ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს მოსამართლე (1999-2009)

ლადო მაჭარაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დეკანი,
ასოცირებული პროფესორი

ბექა ქანთარია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

ჰერმან შვარცი
ამერიკის უნივერსიტეტის სამართლის კოლეჯის
პროფესორი (აშშ)

დავიდ შულცი
მინესოტას უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ)

მიხაელ ბრენერი
იენის ფრიდრიხ-შილერის უნივერსიტეტის
პროფესორი (გერმანია)

ოლივერ ლემბკე
ერტურტის უნივერსიტეტის პროფესორი

Mindia Ugrehelidze
Professor of Law Faculty of Caucasus International
University, Judge of the European Court of Human
Rights (1999-2009)

Lado Macharashvili
Dean of Law Faculty at Caucasus International
University, Associate Professor

Beka Kantaria
Associate Professor of Law Faculty of Caucasus
International University

Herman Schwartz
Professor at American University,
College of Law (USA)

David Schultz
Professor at the University of Minnesota (USA)

Michael Brenner
Professor of Friedrich-Schiller-University of Jena
(Germany)

Oliver W. Lembecke
Professor at the University of Erfurt (Germany)

აკრძალულია გამოქვეყნებული მასალის გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნებისათვის.

Reproduction or distribution of the materials published in this Book for commercial purposes is prohibited.

საერთაშორისო სამეცნიერო კრებული გამოიცა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით

The International Scientific Collection was published with the financial support of Caucasus International University

მისამართი: 0141, ჩარგლის ქუჩა N 73, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: (+995 32) 2 022115 , (+995 32) 2 611298, (+995 32) 2 945992.

ელ-ფოსტა: ciu@ciu.edu.ge

www.ciu.edu.ge

Address: 73 Chargali Str., 0141, Tbilisi, Georgia

Phone: (+995 32) 2 022115 , (+995 32) 2 611298, (+995 32) 2 945992

email: ciu@ciu.edu.ge

www.ciu.edu.ge



© კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბოკისაძის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-627-0

ავტორთა შესახებ About the authors

ჰერმან შვარცი

(1931). სამართლის დოქტორი. ამერიკის
უნივერსიტეტის
ვაშინგტონის სამართლის კოლეჯის პროფესორი

პეტერ ჰებერლე

(1934). სამართლის დოქტორი. ბაიროითის
უნივერსიტეტის
საჯარო სამართლის ემერიტუსი პროფესორი

ჯუზეპე დე ვერგოტინი

(1936). სამართლის დოქტორი. ბოლონიის
უნივერსიტეტის
ემერიტუსი პროფესორი

იოზეფ იზენსე

(1937). სამართლის დოქტორი. ბონის ფრიდრიხ
ვილჰელმის
უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი.

ქრისტიან შტარკი

(1937). სამართლის დოქტორი. გიოტინგენის
უნივერსიტეტის
საჯარო სამართლის ემერიტუსი პროფესორი.

დიტერ გრიმი

(1937). სამართლის დოქტორი. ბერლინის
ჰუმბოლტის
უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი.

მიხეილ შტოლაისი

(1941). სამართლის დოქტორი. ფრანკფურტის
იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უნივერსიტეტის საჯარო
სამართლისა და სამართლის ისტორიის ემერიტუსი
პროფესორი

მარტინ მორლოკი

(1949). სამართლის დოქტორი. დიუსელდორფის
ჰაინრიხ ჰაინის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის,
სამართლის თეორიისა და სამართლის
სოციოლოგიის პროფესორი

ოტო დეპენჰეური

(1953). სამართლის დოქტორი. კიოლნის
უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საჯარო
სამართლის, სახელმწიფოს ზოგადი თეორიისა და
სამართლის ფილოსოფიის პროფესორი

Herman Schwartz

(1931). Doctor of Law.
Professor at American University,
Washington College of Law

Peter Häberle

(1934). Doctor of Law. Emeritus Professor
of Public Law
at the University of Bayreuth

Giuseppe De Vergottini

(1936). Doctor of Law. Emeritus
Professor at
the University of Bologna

Josef Isensee

(1937). Doctor of Law. Emeritus
Professor at the
Friedrich-Wilhelm-University of Bonn

Christian Starck

(1937). Doctor of Law. Emeritus
Professor of Public
Law at the University of Göttingen

Dieter Grimm

(1937). Doctor of Law. Emeritus
Professor of Public
Law at the Humboldt University, Berlin.

Michael Stolleis

(1941). Doctor of Law. Emeritus
Professor of Public Law and
Legal History at the
Johann Wolfgang Goethe University in Frankfurt

Martin Morlok

(1949). Doctor of Law. Professor of Public Law,
Legal Theory and Legal
Sociology at the Heinrich Heine University in
Düsseldorf

Otto Depenheuer

(1953). Doctor of Law. Professor of Constitutional
Law, Public Law and
Philosophy of Law at the Law Faculty of the
University of Cologne

უდო დი ფაბიო

(1954). სამართლის დოქტორი. ბონის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი

Udo Di Fabio

(1954). Doctor of Law. Professor of Public Law at the University of Bonn

დავიდ შულცი

(1958). პოლიტიკის დოქტორი. ჰამლინის უნივერსიტეტის პროფესორი

David Schultz

(1958). Professor of Political Science. Professor at Hamline University

მიხაელ ბრენერი

(1960). სამართლის დოქტორი. იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის გერმანული და ევროპული საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი

Michael Brenner

(1960). Doctor of Law. Professor of German and European Constitutional and Administrative Law of Friedrich-Schiller-University of Jena

რეგინა კინერი

(1962). სამართლის დოქტორი. ციურიხის უნივერსიტეტის საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის პროფესორი

Regina Kiener

(1962). Doctor of Law. Professor of Constitutional and Administrative Law at the University of Zurich

ოლივერ ლემბკე

(1969). პოლიტიკის დოქტორი. ერფურტის უნივერსიტეტის სახელმწიფო მეცნიერების ფაკულტეტის პროფესორი

Oliver W. Lembcke

(1969). Doctor of Political Sciences. Professor of the Faculty of Public Sciences at Erfurt University

დემის მირარჩი

(1993). ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორანტი

Demis Mirarchi

(1993). PhD of the University of Zurich

* * *

მინდია უგრეხელიძე

(1942). კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე (1999-2009)

Mindia Ugrehelidze

(1942). Professor of Law Faculty of Caucasus International University, Judge of the European Court of Human Rights (1999-2009)

გია ხუბუა

(1964). სამართლის დოქტორი. შტაინბაისის უნივერსიტეტის პროფესორი

Gia Khubua

(1964). Doctor of Law. Professor of Steinbei University

გიორგი გოგიაშვილი

(1971). სამართლის დოქტორი. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

Giorgi Gogiashvili

(1971). Doctor of Law. Professor of the David Aghmashenebeli University of Georgia

კონსტანტინე კუბლაშვილი

(1973). სამართლის დოქტორი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორი

Konstantine Kublashvili

(1973). Doctor of Law. Professor of Public Law at Ilia State University

ბესიკ ლოლაძე

(1975). სამართლის დოქტორი. საქართველოს
ეროვნული
უნივერსიტეტის პროფესორი

Besik Loladze

(1975). Doctor of Law. Professor of the
National University of Georgia

გია გოგიბერიძე

(1975). სამართლის დოქტორი. თბილისის
სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

Gia Gogiberidze

(1975). Doctor of Law. Assistant Professor
of Tbilisi State University

ზურაბ ჯიბღაშვილი

(1975). სამართლის დოქტორი. გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

Zurab Jibghashvili

(1975). Doctor of Law. Associate Professor
of Grigol Robakidze University

მარი მარინაშვილი

(1980). სამართლის დოქტორი. საქართველოს
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის
აფილირებული პროფესორი

Mari Marinashvili

(1980). Doctor of Law. Affiliate Professor of the
School of Law at the University of Georgia

თამარ ავალიანი

(1981). სამართლის დოქტორი. კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

Tamar Avaliani

(1981). Doctor of Law. Associate Professor
of Caucasus International University

ბექა ქანთარია

(1981). სამართლის დოქტორი. კავკასიის
საერთაშორისო
უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

Beka Kantaria

(1981). Doctor of Law. Affiliate Professor of
Caucasus International University

დავით წერეთელი

(1982). სამართლის დოქტორი. კავკასიის
უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

David Tsereteli

(1982). Doctor of Law. Associate Professor of
Caucasus University

ზურაბ მაჭარაძე

(1984). სამართლის დოქტორი. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი

Zurab Macharadze

(1984). Doctor of Law. Assistant at the Faculty
of Law of Tbilisi State University

გიორგი მელიქიძე

(1988). პოლიტიკის დოქტორი. ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის
ასოცირებული მკვლევარი

Giorgi Melikidze

(1988). Doctor of Political Sciences. Research
Associate of the
Institute of Politology at Ilia State University

შინაარსი

Table of Contents

მინდია უგრეხელიძე. კონსტიტუციონალიზმის ფერადოვანი ხალიჩა	11
Mindia Ugrehelidze. A Colourific Rug of Constitutionalism.....	16
ჰერმან შვარცი. ამერიკის კონსტიტუცია (კრიტიკული ანალიზი).....	19
Herman Schwartz. The American Constitution (A Critical Analysis)	36
პეტერ ჰებერლე. კონსტიტუციონალიზმი როგორც მეცნიერული პროექტი.....	47
Peter Häberle. Konstitutionalismus als Projekt der Wissenschaft	64
ჯუზეპე დე ვერგოტინი. პარტიული სისტემის კრიზისი ევროპის მაგალითზე	74
Giuseppe de Vergottini. The Crisis of the Party System on the Example of Europe	80
იოზეფ იზენზეე. სამართლიანობა - მარადიული იდეა თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში	84
Josef Isensee. Gerechtigkeit - zeitlose Idee im Verfassungsstaat der Gegenwart.....	121
ქრისტიან შტარკი. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებები და ეროვნული საკონსტიტუციო სამართალი	147
Christian Starck. Internationale Menschenrechtsverträge und nationales Verfassungsrecht.....	163
დიტერ გრიმი. რა არის პოლიტიკური საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში?	174
Dieter Grimm. Was ist politisch an der Verfassungsgerichtsbarkeit?	189
მიხეილ შტოლაისი. ევროპის შედარებითი კონსტიტუციის ისტორიის ცნებები, მოდელები და ტრადიციები	199
Michael Stolleis. Concepts, Models and Traditions of a Comparative European Constitutional History.....	211
მარტინ მორლოკი. პარტიების ფუნქციები და პარლამენტის მუშაობა	220
Martin Morlok. Die Funktion der Parteien und die Arbeit des Parlaments.....	233
ოტო დეპენჰეიერი. სოლიდარობა და თავისუფლება.....	243
Otto Depenheuer. Solidarität und Freiheit.....	282
უდო დი ფაბიო. დემოკრატიის მდგომარეობის შესახებ - გლობალური ეკონომიკა და პოლიტიკური პარტიკულარობა	309
Udo Di Fabio. Zur Lage der Demokratie - globale Wirtschaft und politische Partikularität.....	319

დავიდ შულცი. დემოკრატია და საკონსტიტუციო სამართალი: მათი კავშირის პოლიტოლოგიური ხედვა.....	326
David Schultz. Democracy and Constitutional Law: A Political Science Perspective on their Connection	348
მისაელ ბრენერი. მმართველობის სისტემა და ძალაუფლებათა გამიჯვნა - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საპარლამენტო მმართველობის სისტემა	364
Michael Brenner. Regierungssystem und Machtverteilung - Das parlamentarische Regierungssystem der Bundesrepublik Deutschland.....	378
რეგინა კინერი/დემის მირარხი. საერთო დემოკრატიული მიზნები - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია და შვეიცარიის კონფედერაციის 1874 წლის ფედერალური კონსტიტუცია	389
Regina Kiener/Demis Mirarchi. Gemeinsame Demokratische Ziele – Die Verfassung Georgiens von 1921 und die Bundesverfassung der Schweizerischen Eidgenossenschaft von 1874.....	407
ოლივერ ვ. ლემბკე. კონსტიტუციონალიზმი თანამედროვე საზოგადოებებში - პოლიტიკისა და სამართლის ურთიერთობის სურათი.....	420
Oliver W. Lembcke. Konstitutionalismus in modernen Gesellschaften. Eine Skizze über das Verhältnis von Politik und Recht.....	451
გია ხუბუა. სამართალი და რელიგია „პოსტ-სეკულარულ საზოგადოებაში“	475
Gia Khubua. Law and Religion „in the Post-Secular Society“	475
გიორგი გოგიაშვილი. სამოსამართლო კონსტიტუციონალიზმი: დაბალანსება და პროპორციულობის ტესტი	486
Giorgi Gogiasvili. Judicial Constitutionalism: Balancing and Proportionality Test.....	486
კონსტანტინე კუბლაშვილი. კონსტიტუციის ხარვეზები – კონსტიტუციონალიზმის პრობლემები	507
Konstantin Kublashvili. Defects in the Constitution – Problems of Constitutionalism.....	507
ბესიკ ლოლაძე. სასამართლოს შეზღუდვა კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით.....	523
Besik Loladze. Limitation of the Court by the Constitution and Fundamental Rights.....	522
გია გოგიბერიძე. პარლამენტარიზმის ქართული ანარეკლები (კონსტიტუციურ-სამართლებრივი ექსკურსი).....	541
Gia Gogiberidze. Georgian Reflections of Parliamentarism (Constitutional-legal tour).....	541

ზურაბ ჯიბლაშვილი. პრეზიდენტის პოსტსოციალისტური ინსტიტუციური მოდელები და მათი განვითარების ძირითადი ტენდენციები	572
Zurab Jibghashvili. Post-Socialist Institutional Models of the President and the Main Directions of its Development	572
მარი მარინაშვილი. ჩვეულება და სასამართლო პრეცედენტი როგორც საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყარო	600
Mari Marinashvili. Custom and Judicial Precedent as a Source of Constitutional Law of Georgia	600
თამარ ავალიანი. თანაზომიერების პრინციპი - ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის მართლზომიერების შემოწმების კონსტიტუციური მასშტაბი	622
Tamar Avaliani. The Principle of Proportionality – Constitutional Scope for Verifying the Legitimacy of the Violation of Human Rights.....	622
ბექა ქანთარია. „Pouvoir neutre“ კონსტიტუციონალიზმის დოქტრინაში: საკონსტიტუციო რეალობა თუ ილუზია?	636
Beka Kantaria. „Pouvoir neutre” in the Doctrine of Constitutionalism: Constitutional Reality or Illusion?	636
ბენუამინ კონსტანი. პოლიტიკის პრინციპები. განკუთვნილი ყველა წარმომადგენლობითი მთავრობისთვის და განსაკუთრებით - საფრანგეთის მოქმედი კონსტიტუციისთვის. პარიზი, მაისი, 1815 (თავი II. სამეფო ხელის-უფლების ბუნების შესახებ კონსტიტუციურ მონარქიაში).....	678
Benjamin Constant. Principes de Politique. Applicables a tous les Gouvernemems Representatifs et Particulienement a la Constitution Actuelle de la France. Paris. 1815. (Chapitre II. De la Nature du pouvoir royal dans une monarchie constitutionnelle).....	678
დავით წერეთელი. სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლები საქართველოში	689
David Tsereteli. Constitutional Bases of the Judiciary in Georgia.....	689
ზურაბ მაჭარაძე. ორპალატიანი პარლამენტის იდეა საქართველოს კონსტიტუციაში.....	713
Zurab Macharadze. The Idea of a Two-Chamber Parliament in the Constitution of Georgia.....	713
გიორგი მელიქიძე. კონსტიტუციის მნიშვნელობა საქართველოში: 1990-იანი წლების პოლიტიკური ვითარების კონტექსტში	726
Giorgi Melikidze. The Importance of the Constitution in Georgia: In the Context of the Political Situation of the 1990s	726

კონსტიტუციონალიზმის ფერადოვანი ხალიჩა

მინდია უგრეხელიძე

„ ... არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ კონსტიტუციას განვმარტავთ“.

Marshal Ch. J., in McCulloch v. Maryland,
17. U.S. (Thead), 315 (1819)

წინამდებარე წიგნის გამოცემა, რომლის იდეა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე ჩაისახა და განხორციელდა, მრავალმხრივ არის საგულისხმო. თანამედროვე კონტანიმაციის მიხედვით, იგი ერთგვარად გლობალური მოვლენაა, რომელსაც ერთდროულად გლობალური მნიშვნელობაც აქვს და ლოკალურიც. მას გლობალურობის მასშტაბს ანიჭებს პრობლემემატიკისა თუ თემემატიკის მოცულობა და განზომილება, აგრეთვე ავტორთა ფართო შემადგენლობა, რომელთაც გაბედულად შეიძლება ეწოდოს ჩვენი დროის რჩეულ კონსტიტუციონალისტთა თანავარსკვლავედი. რაც შეეხება პროექტის ლოკალურ განზომილებას, იგი უტყუარად ადასტურებს, რომ საქართველოში კონსტიტუციონალიზმისადმი ინტერესი და საკონსტიტუციო სამართლის მიმართულება არა მარტო მზარდია, არამედ აშკარა აღორძინებას განიცდის. როგორც ჩანს, სულ მალე ის გვერდს დაუმშვენებს სამართლის მეცნიერების ისეთ სახელოვან სკოლებს, როგორიცაა ქართული სამართლის ისტორიის (ივანე ჯავახიშვილი), სისხლის სამართლის (თინათინ წერეთელი) და სამოქალაქო სამართლის (სერგი ჯორბენაძე) სკოლები. მინდა ვირწმუნო, რომ წინამდებარე კრებული უტყუარი და მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომ სულ მალე გავხდებით კონსტიტუციონალიზმის ქართული დამოუკიდებელი სკოლისა და მისი შემდგომი სწრაფი აღმავლობის მოწმე. დიდად მისასალმებელია, რომ ქართული მეცნიერების ამ მიღწევაში წვლილი აქვთ შეტანილი როგორც ძველი, ისე საშუალო, და რაც მთავარია, სრულიად ახალი თაობის სამართლისმცოდნეებს - როგორც თეორეტიკოსებს, ისე პრაქტიკოსებს; ასევე, როგორც საჯარო, ისე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს.

კონსტიტუციონალიზმისადმი ინტერესი ყოველთვის იყო საქართველოში. მუდამ არსებობდა საამისოდ შინაგანი მოთხოვნილება და რეალური გამოწვევები. მაგრამ ყოველგვარი ძალისხმევა აზრს იყო მოკლებული ყველასთვის ცნობილი ფორსმაჟორული ვითარების გამო. კონსტიტუციონალიზმის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ენერგიული კვლევა-ძიება, დამუშავება და შესაბამისი საკანონმდებლო მოწესრიგება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. მაღლობა ღმერთს და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავმიძღვნილ

რაინდებს, რომ არასდროს მოგვკლებია მათი მადლი, არ მოდუნებულა მათი ფიქრი, გრძნობა და ძალისხმევა საამისოდ. ამ საქმეში ჩვენ ყოველთვის მხარში გვედგნენ უცხოელი იურისტები¹, რომელთაგან ზოგიერთი წინამდებარე კრებულის მონაწილეა (მათ შორისაა, მაგალითად, კონსტიტუციონალიზმის ამერიკელი მეტრი **ჰერმან შვარცი**). საქართველო არასდროს დაივიწყებს მათ ღვანლსა და ამაგს. იმედი ვიქონიოთ, რომ საკუთრივ ეს წიგნიც ბიძგს მისცემს ქართული სამართლებრივი აზროვნებისა და მისი კონსტიტუციისადმი მზარდ ინტერესს, მით უფრო, რომ ამასწინათ ჩვენმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა². ეს კი თანამშრომლობის ახალ კერებს წარმოშობს მთელ მსოფლიოში. კეთილი იყოს მათი შემდგომი გაღვივება და მომძლავრება. ახლა კი ორიოდ სიტყვა საკუთრივ კრებულის შინაარსზე.

* * *

მისი სახელწოდება - კონსტიტუციონალიზმი (მიღწევები და გამოწვევები) - საკმაოდ მაქსიმალისტურად უღერს, სინამდვილეში კი ერთობ მინიმალისტურ მიზანს ისახავს: დაითოს ყოველივე, რაც ავტორთა ნააზრევის სახით არის აქ წარმოდგენილი. იგი ვერ იქნება უფრო ამბიციური რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, დღემდე არ არსებობს საკუთრივ კონსტიტუციისა და კონსტიტუციონალიზმის ცნებათა ერთიანი გაგება და გამოყენება. მაგრამ, კიდევაც რომ არსებობდეს, მათი ავკარგიანობის შესაფასებლად საჭირო გახდებოდა საიმედო კრიტერიუმების შემუშავება, რაც აგრეთვე პრობლემატურია. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ, დიდი დროა საჭირო, რათა ჩამოყალიბდეს **ენგიშის** მიერ შემოთავაზებული „ნომოლოგია“, რომელიც, სხვათა შორის გამოიკვლევდა, თუ რა კანონზომიერებას ექვემდებარება ესა თუ ის კონსტიტუციური კულტურა მოცემულ დროსა და სივრცეში; შესაბამისად, როგორია კონსტიტუციონალიზმის მოძრაობისა და ცვალებადობის ვექტორები. არადა, კონსტიტუციონალიზმის ზიგზაგები მართლაც რომ ნაირგვარია. მაგალითად, სრულიად მოულოდნელად შეიძლება მოგვეჩვენოს მოვლენების განვითარება ქართული კონსტიტუციონალიზმის ფარგლებში, თუ არ გავიხსენებთ და გავაცნობიერებთ, რომ საქართველო პირველი სოციალ-დემოკრატიული ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც, ჯერ კიდევ, 1921 წელს დასავლური ყაიდის დემოკრატიაზე დაფუძნებული კონსტიტუცია მიიღო; აგრეთვე იმას, რომ ის არც ე.წ. „ძველ დემოკრატებს“ განეკუთვნება, შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას რომ საჭიროებს და არც „ახალი დემოკრატია“, რომელიც სრულიად ახლის თავიდან ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებას მოითხოვს. აქ გაცილებით რთული ამოცანა აღმოჩნდა გადასაწყვეტი. სახელდობრ აღდგენა

¹ ესენია: ბრიტანელი გარდნერი, ამერიკელები შვარცი, ლესიგი და ჰოლმსი; გერმანელები ბლანკენაგელი და ბაბეკი, იტალიელი ბუკიკო, უნგრელი შაიო, დანიელი ფოიგელი, შვეიცარიელი ტრესელი და მრავალი სხვა.

² დანვრილებით იხ. ირაკლი კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი. პირველი გამოცემა. თბილისი. 2019.

დასავლური ტიპის 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებისა³, ცხადია - შერჩევით. არადა, ისტორიული პროცესის განუწყვეტელი მდინარებისა და ცვალებადობის გამო, აღდგენა გაცილებით ძნელია, ვიდრე ახლის შექმნა. ამ თვალსაწიერიდან დანახული მოქმედი ქართული კონსტიტუცია შეუძლებელია უფრო სანდო სურათს არ წარმოსახავდეს, ვიდრე ნებისმიერი სხვა, კეთილმოსურნე თუ პირიქით, ჩასაფრებული თვალთ დანახული სინამდვილე.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, კრებულში დამაჯერებლად არის წარმოდგენილი თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის როგორც მომენტური, ისე მონუმენტური მიღწევები და გამონწვევები. უფრო მეტიც, ეს აქ ისეთი შთაგონებითა და გატაცებით ხორციელდება, რომ უნებურად გეუფლება აზრი: ხომ არ ამკობს და ამშვენებს კონსტიტუციონალისტს რომანტიკოსის თვისება არანაკლებ, ვიდრე რეალისტისა? არცაა გასაკვირი. როგორ შეიძლება სერიოზული კონსტიტუციონალისტი იყო, თუ უკეთეს მომავალზე ოცნებით არ ხარ შეპყრობილი და გამსჭვალული. ამიტომ კრებულში მკითხველი ნააწყდება შემთხვევებს, როდესაც სინამდვილე, თუნდაც უსახური, მხატვრულ სახეებშია გადმოცემული. პროგრესის ნადილი იმდენად დიდია, რომ კონსტიტუციონალიზმზე ზრუნვით გატაცებული, ისეთ რამესაც კი არ იშურებს მეთოდად და საშუალებად, როგორც გახლავთ იუმორი. ეს კიდევ ერთხელ დააფიქრებს მკითხველს, რომ კონსტიტუცია კულტურის პროდუქტაც არის და კულტუროლოგიური კვლევის უაღრესად საინტერესო საგანი (გავისხენოთ **გუსტავ რადბრუხის** სამართლის ფილოსოფია). ამავე მიმართულებით უამრავ ფიქრს აღძრავს წარმოდგენილი ესეების შესრულების სტილური და სტილისტური თავისებურებანი - უაღრესად განსხვავებული ერთმანეთისაგან.

სხვაც ბევრი ითქმის წიგნის შინაარსზე ისეთი, რაც დააინტერესებს უთუოდ მკითხველს. მაგალითად, ზოგან შიგ სკეპსისი და სკეპტიციზმი ჭარბობს, ზოგჯერ - პირიქით; ხან უფრო კრიტიკულია მასალა, ხან კიდევ - შემწყნარებლური. ზოგიერთი ავტორი მუქ ტონებსა და მაღალ ტონალობაში გამოთქვამს აზრს, სხვები კი ამას ახერხებენ უფრო ფრთხილი მანერით - ნახევარტონებსა და ობერტონებში⁴.

³ დაწვრილებით იხ. Mindia Ugrekhelidze. Protection of Human Rights: Legal Traditions and Constitutional Experience of Georgia. European Review of Public Law (Esperia Publications LTD). Vol. 13. N. 1. მისივე: Défense de droits de l'homme – normes europeennes et Constitution de la Republique Georgienne. Protection of Human Rights, The European Perspective Carl Heymanns Verlag KG. köln, Berlin, Bonn, München.

⁴ ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია განსხვავება კონტინენტური და ბრიტანული სტილის ავტორებში. თუ გარეშე ლიტერატურასაც მოვიხმობთ, ეს კიდევ უფრო თვალსაწირო გახდება. მაგალითად, D. M. Walker. The Oxford Companion to Law. Oxford. 1980. P. 277. S.v. Constitution. Event Albert Alkema. The European Convention as a Constitution and its Court as a Constitution Court. Protecting Human Rights: the European Perspective. Carl Heymanns Verlag KG. p. 41; Karl-Georg-Zierlein. Functions and Task of Constitutional Courts. იქვე. გვ. 1553.

მდიდარია სამართლებრივი კვლევის მეთოდების პალიტრა: მაგალითად, გამოყენებულია ისეთი საშუალებებიც კი, როგორცაა ლიტერატურული პარალელები და პარადიგმები. ეს კი აადვილებს აღქმას და დამაჯერებლობას მათებს კვლევის შედეგებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათელყოფს წარმოდგენილი კვლევების დიდ შემეცნებით ღირებულებას, განსაკუთრებით სამართლის მეცნიერების შემსწავლელი ახალგაზრდებისთვის. თუმცა არც მონიჭული მკვლევრებისთვის არის იგი ნაკლებად სასარგებლო. თუნდაც ის რად ღირს, რომ კრებულში უამრავი უახლესი წყაროა გამოყენებული და გაანალიზებული. ბევრი მათგანი ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი. ან კიდევ, არც თუ იშვიათად, მართო სამართლის მეცნიერების კი არა, არამედ პოლიტიკის მეცნიერების ნაკლებად ცნობილ დებულებებსაც შეიძლება ეზიაროს მკითხველი. ასეთი გახლავთ, მაგალითად, გამოთქმა: „პოლიტიკა - სიტუაციური სიბრძნის ხელოვნება“.

ამ გამოცემის წყალობით ბევრ ისეთ სპეციალურ ტერმინსაც შეაჩვევს ყურსა და თვალს მკითხველი, რომელიც ადრე არ გამოიყენებოდა. ასეთია, მაგალითად „ნაწილობრივი კონსტიტუცია“, „კონსტიტუციამდებლობა“ და მრავალი სხვა. დღეს აღარ დავობენ, რომ კონსტიტუციური დემოკრატიის წესით ცხოვრება „მწვავე სოციალურმა საჭიროებამ“ წარმოშვა (Pressing social need). ამიტომ, შემდგომი მისი განვითარების აუცილებლობაც, ყოველ შემთხვევაში საამისო გზების შეუნელებელი ძიება, თანამედროვე კაცობრიობის გარდაუვალი ხვედრია. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ახალ-ახალმა გამოწვევებმა იჩინოს თავი. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ისეთი საკითხიც კი გახდეს სულ მალე აქტუალური, როგორცაა სახელმწიფო მმართველობის გაერთიანოვნულობის, ერთგვარი მონარქიზაციის ტენდენცია მთელ რიგ პოლიტიკურ სისტემებში. და მაშინ მკითხველს ალბათ გაუჭირდება დაეთანხმოს კრებულის ერთ-ერთი ავტორის მტკიცებას: „...ჩვენ შეგვიძლია გარკვევით განვაცხადოთ, რომ ეროვნული კონსტიტუციების ისტორიის ეპოქა დასრულებულია“.

ასეა თუ ისე, მთლიანობაში თანამედროვე კონსტიტუციონალიზმი ნურვის ჰგონია ლამის თაროებზე განლაგებული პრინციპების, ნორმების, ინსტიტუციების, პროცედურებისა და სტანდარტების მწყობრად მოქმედი სისტემა. კონსტიტუციონალიზმი კომპრომისულად კოლექტიური მოძრაობისა და შემოქმედების ისტორიულ პროდუქტს წარმოადგენს. უწინარესად და უპირატესად იგი ჭრელი მოზაიკა უფროა, ფერადოვანი სპარსული ხალიჩა. სწორედ ასეთ სურათს ქმნის კრებულში წარმოდგენილი მდიდარი და მრავალფეროვანი ნააზრევი.

დალოცვილი ყოფილიყოს მისი გზა დაინტერესებული მკითხველის გულამდე.

* * *

დასასრულ, უდავოდ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ წარმოდგენილი სტატიები საგანგებოდ ამ გამოცემისთვის დაინერა (გარდა ბენუამინ კონსტანტის ნაშრომისა).

გულითადი მადლიერება გვმართებს წიგნის დასაწყისში მოხსენიებული ყველა პირის მიმართ, ვინც, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მოამზადა და მოაწესრიგა დიდძალი მასალა, რათა საბოლოო სახე მისცემოდა გამოცემას. აქ ზედმეტად მიგვაჩნია თითოეული მათგანის განმეორებით დასახელება. თუმცა, ცალკე აღნიშვნის ღირსია საორგანიზაციო კოლეგიის ხელმძღვანლის, ბატონი ბექა ქანთარას გამორჩეული წვლილი, რომელმაც არამარტო დაუღალავად გასწია საავტორო და სარედაქციო საქმიანობა, არამედ უდრტვინველად იკისრა ე.წ. „შავი სამუშაო“ და ფასდაუდებელი ამაგი დასდო ხარისხის ორგანიზაციულ, ტექნიკურ და საერთოდ ყოველგვარ უზრუნველყოფას.

წიგნი ვერ იხილავდა დღის სინათლეს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სწორუპოვარი თავკაცის, ბატონი ვახტანგ წიფწივაძის მონყალე და გამგებიანი მხარდაჭერის გარეშე. დიდი მადლობა მას!

A Colourific Rug of Constitutionalism

Mindia Ugrekhelidze

...We must never forget that it is a constitution we are expounding”.

Marshal Ch. J., in *McCulloch v. Maryland*,
17. U.S. (Thead), 315 (1819)

The publication of this book, conceptualised and implemented at the Law Faculty of the Caucasus International University, deserves attention in many aspects. According to the modern contanimation, this is to some extent a glocal phenomenon, which at the same time has both a global and a local significance. The global dimension of the book is determined by the scope and scale of problems or topics, as well as by a wide circle of authors, who may be safely considered the constellation of modern constitutionalists. As for the local dimension of the project, it undoubtedly proves that interest in constitutionalism and the direction of constitutional law in Georgia is not only growing but is also undergoing a visible revival. It seems that soon it will be on a par with such prominent law schools as the History of Georgian Law (**Ivane Javakhishvili**), Criminal Law (**Tinatin Tsereteli**) and Civil Law (**Sergi Jorbenadze**). I believe that this book of collected writings is a genuine and important indicator that we will soon become witnesses to the Independent Georgian School of Constitutionalism and its subsequent rapid growth. It is very pleasant that the Georgian scholars of old and middle generations along with the new generation of lawyers - both theorists and practitioners, as well as the representatives of the public and civil sectors have contributed to this achievement of Georgian science.

Interest in constitutionalism has always been in Georgia. There has always been an inner need for this issue and real challenges. But all efforts were in vain due to well-known force majeure circumstances. Active research, development and proper legislative regulation of the theoretical and practical aspects of constitutionalism became possible only after the restoration of state independence of Georgia. We are grateful to God and the people who have dedicated themselves to the independence of Georgia, for their never-losing grace, and also for their thoughts, feelings and efforts in this direction. In this situation, we were always supported by foreign lawyers¹, some of whom are participants of this collection (including, for example, **Herman Schwartz**, Master of American Constitutionalism). Georgia will never forget their efforts and contributions. Let's hope that this book itself fuels the growing interest in the legal thinking of Georgia and its Constitution, especially after the recent significant changes to our Constitution². This creates new hotspots for cooperation throughout the world and we welcome their further consolidation and strengthening. In the meanwhile, a few words about the content of the collection.

* * *

The title of the collection – Constitutionalism (Achievements and Challenges) - sounds quite maximalistic, but actually has a single minimalist goal: to contain everything that is presented by

¹ These are: British Gardner, Americans Schwartz, Lassig and Holmes; Germans Blankenagel and Babeck, Italian Buquicchio, Hungarians Shayo, Daniel Fogel, Swiss Trechel and many more.

² See Irakli Kobakhidze. Constitutional Law. First edition. Tbilisi. 2019.

the authors. It may not be more ambitious for several reasons. Firstly, there is still no common understanding and application of the concepts of constitution and constitutionalism. However, if they existed, it would be necessary to develop reliable criteria for measuring their strengths and weaknesses, which is also problematic. As it seems the formation of “nomology” proposed by **Engish** will still require a lot of time, which, *inter alia*, would examine the legitimacy of any constitutional culture in a given time and space, and therefore, the vectors of movement and variability of constitutionalism. The zigzags of constitutionalism are really different. For example, the development of events within Georgian constitutionalism may seem rather unexpected if we do not remember and do not realize that Georgia is the first social-democratic country in the world to adopt a constitution based on Western democracy; Moreover, it does not belong to the so-called “old democracies” that need further consolidation and development, nor the “new democracies” that require the creation and establishment of a completely new one. It turned out that a much more complex problem has been arisen here, in particular, the restoration of the principles of the Western-type constitution of 1921³, obviously, selectively. However, due to the continuous development and fluctuation of the historical process, it is much more difficult to restore it than to create a new one. From this point of view, the applicable constitution of Georgia can present a more reliable picture than the reality that friendly or, on the contrary, unfriendly, eyes see.

Despite these difficulties, the collection convincingly presents both the momentous and the monumental achievements and challenges of modern constitutionalism. Moreover, this is done here with such inspiration and passion that we involuntarily have the thought: does the quality of romanticist fit and adorn a constitutionalist not less than the quality of a realist? No wonder, how can you be a serious constitutionalist if you are not obsessed with the dream of a better future? Therefore, readers will encounter cases in the collection where reality, even ineffective, is expressed in artistic forms. The desire for progress is so great that an author who cares about constitutionalism employs even humour as a method and means of expression. This will convince readers that the Constitution is a product of culture and at the same time, a highly interesting topic of cultural research (let’s recall the philosophy of law by **Gustav Radbrück**). To this end, the style and stylistic features of the essays presented hereby evoke many thoughts - very different from each other.

Much more may be said about the content of the book, which is of interest to a reader. For example, scepticism and scepticism prevail, and sometimes *vice versa*; Sometimes the material is more critical, sometimes even more tolerant. Some authors prefer to express their opinions in dark tones and higher tonalities, while others do it more carefully - in semitones and overtones⁴.

A palette of legal research methods is rich through, for example, the use of tools such as literary parallels and paradigms. This facilitates the perception and reliability of the research results.

³ See Mindia Ugrehelidze. Protection of Human Rights: Legal Traditions and Constitutional Experience of Georgia. European Review of Public Law (Esperia Publications LTD). Vol. 13. N. 1. Mindia Ugrehelidze: Défense de droits de l’homme – normes europeennes et Constitution de la Republique Georgienne. Protection of Human Rights, The European Perspective Carl Heymanns Verlag KG. köln, Berlin, Bonn, München.

⁴ In this respect, the difference between the continental and British style authors is particularly striking. This will become even more evident if we apply other literature as well. For example, D. M. Walker. The Oxford Companion to Law. Oxford. 1980. P. 277. S.v. Constitution. Event Albert Alkema. The European Convention as a Constitution and its Court as a Constitution Court. Protecting Human Rights: the European Perspective. Carl Heymanns Verlag KG. p. 41; Karl-Georg-Zierlein. Functions and Task of Constitutional Courts. p. 1553.

All of the above illustrate the great cognitive value of the presented studies, especially for young people studying law. However, these are also useful for experienced researchers. It is even worth noting that many of the latest sources, which are not available to everyone, are used and analyzed in the collection. In addition, a reader can often read expressions from not only legal science, but also from political science, which are less known. For example, the expression like “Politics is the art of situational wisdom“.

Thanks to this publication, Georgian readers adopt many such special terms that have never been used before, e.g. „Partial constitution“, “Constitutsiamdebloba (Constitutional legislation)” and much more. Today, it is no longer claimed that a “Pressing social need” has given rise to life under the conditions of constitutional democracy. Therefore, the need for its further development, at least in the light of the constant search for ways, is an inevitable destiny of modern humanity. Accordingly, new challenges may arise such as, for example, the relevance of the trend towards individual rule, a kind of monarchization of government in a number of political systems, and then a reader may find it difficult to agree with the statement of one of the authors of the collection: “...We definitely can say that the times of national constitutional histories are over”.

In any case, let no one think that modern constitutionalism as a whole is an agreed system of principles, norms, institutions, procedures and standards laying on the shelves. Constitutionalism is a historical product of the compromise of collective movement and creativity. First of all, it is a colorful mosaic, a colorful Persian rug. It is this picture that creates the rich and diverse thought presented in the collection.

Blessed is the path to the hearts of interested readers.

* * *

In conclusion, it is worth noting that the authors wrote articles specifically for this publication (Except of **Benjamin Constant**).

We are grateful to all the persons mentioned at the beginning of the book who, within their competence, have processed and edited extensive material to prepare for final publication. Here we find it unnecessary to once again name each of them. Nevertheless, it is worth noting the outstanding contribution of Mr. **Beka Kantaria**, Head of the Organising Collegium. He has tirelessly led the work of the authors and the Editorial Board, providing invaluable practice and high-quality organizational, technical and, in general, all kinds of support.

And finally, the book would never have been reached its final form without an amicable support of Mr. **Vakhtang Tsivtsivadze**, the righteous leader of the Caucasus International University. Thanks a lot to him!

ამერიკის კონსტიტუცია (კრიტიკული ანალიზი)

ჰერმან შვარცი

თეზისები. I. ზოგადი ინფორმაცია. II. სუვერენიტეტის დაყოფა და უფლებამოსილებათა გამიჯვნა. III. პრეზიდენტობა. IV. საარჩევნო სისტემა. დასკვნა.

თეზისები

თანამედროვე ამერიკის შეერთებულ შტატებში 330 მილიონი ადამიანი ცხოვრობს 230 წლის წინანდელი კონსტიტუციის მიხედვით, რომელიც შემუშავდა მცირე სასოფლო-სამეურნეო ქვეყნისათვის, იქ დაახლოებით 4 000 000 ადამიანი ცხოვრობდა. იგი ძლიერს შეაკონინეს ურთიერთგანსხვავებული 13 ბრიტანული კოლონიის წარმომადგენლებმა, რომელნიც დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ერთიან ერად ჩამოყალიბებისადმი მცირედ ინტერესს ამჟღავნებდნენ. ისინი აცნობიერებდნენ, რომ საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლება, მაგრამ არ ემხრობოდნენ მის სიძლიერეს. აქედან გამომდინარე, ძირითადი სახელმწიფო უფლებამოსილებანი დაყვეს როგორც ვერტიკალურად ცენტრალურ ხელისუფლებასა და შტატებს შორის, ასევე, ეროვნული ძალაუფლების გამიჯვნით, ჰორიზონტალურად როგორც ერთმანეთს შორის, ასევე აღმასრულებელ შტოსთან მიმართებით, რომლის აღმასრულებელ ორგანოს სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოების მიერ არჩეული ამომრჩეველთა ჯგუფი ირჩევდა. ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო შედგებოდა სენატისგან, რომელშიც თითოეულ შტატს ჰყავდა ორი წარმომადგენელი, და ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი პალატისგან. ასევე იყო სასამართლო, რომლის წევრი მოსამართლეები სამუდამო ვადით ინიშნებოდნენ. ხელისუფლების სამივე შტოს გააჩნდა უფლება, გაეკონტროლებინა დანარჩენი ორი, რაც ხშირად იწვევდა კრიზისულ მდგომარეობას და ართულებდა საკანონმდებლო საქმიანობას, რიგ შემთხვევებში მოსახლეობის ძლიერი მხარდაჭერის მიუხედავად. ამომრჩეველთა კოლეგია და ორი სენატორი თითოეული შტატიდან თავიანთი საქმიანობით ასევე იმკიდნენ ანტიდემოკრატიულ შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობის გავლენიან ორგანოდ გადაქცევის მოლოდინი არ არსებობდა, აშშ-მ მიაღწია ე. წ. „იმპერიულ პრეზიდენტობას“ თავის საგარეო პოლიტიკაში, ხოლო ქვეყნის შიგნით პრეზიდენტი კანონმდებლობის მთავარი წყარო გახდა. ვინაიდან, კონსტიტუციით საარჩევნო ადმინისტრაცია თითქმის მთლიანად გადაეცემა შტატებს, ამერიკული საარჩევნო სისტემა, როგორც წესი, ექვემდებარება მიკერძოებულ მანიპულირებას ნებისმიერი პარტიის

მხრიდან, რომელიც ხელისუფლების სათავეშია და არჩევნები ხშირად სრულდება შედეგებით, რომელიც ხალხის ნებას არ ასახავს. იმის გამო, რომ კანონმდებლობა საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ სუსტია, ფული გადაიქცა გადამწყვეტ ფაქტორად არჩევნებზე წარმატების მისაღწევად. ამით მდიდარსა და გავლენიან ადამიანებს საშუალება მიეცათ, თავიდან აეცილებინათ იმ ზომების გატარება, რომელსაც მხარს უჭერდა ამერიკელი ხალხის დიდი უმრავლესობა.

I. ზოგადი ინფორმაცია

ამერიკის შეერთებული შტატები გააერთიანეს ბრიტანეთის ცამეტი კოლონიის წარმომადგენლებმა, რომლებიც თავდაპირველად სხვადასხვა რელიგიური და სხვა სახის ჯგუფებს წარმოადგენდნენ. ისინი ვითარდებოდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და სრულიად განსხვავებული გზებით, თუმცა პირველად გაერთიანდნენ 1775 წელს დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც საერთო მტერი დაამარცხეს, მათ მცირედი ინტერესიც კი არ გამოუმუშავებიათ ერთიან ერად ჩამოყალიბებისადმი, რადგან ეს შეამცირებდა მათ ინდივიდუალურ სუვერენულ უფლებამოსილებას. თუმცა, ვინაიდან ომიდან გამომდინარე ერთობლივი ქმედებების საჭიროება ცხადი იყო მრავალი პრობლემის მოსაგვარებლად და სხვა შემთხვევებშიც, 1781 წელს, პირველმა კონგრესმა თანხმობა განაცხადა კონფედერაციის შექმნაზე. ეს იყო თავისუფალი კავშირი უმნიშვნელო უფლებამოსილებით.

კონფედერაცია განწირული იყო მარცხისთვის და იგი მხოლოდ ექვსი წელი გაგრძელდა. მან ვერ შეძლო ეფექტურად მართვა, რადგან ის მთლიანად დამოკიდებული იყო იმაზე, რასაც ჯეიმს მედისონმა უწოდა „13 დამოუკიდებელი ორგანოს ერთიანი და პუნქტუალური მორჩილება საერთო ინტერესების მისაღწევად“.¹ შტატებმა უარი განაცხადა ფულის გაღებაზე, რომელიც აუცილებელია ქვეყნის სამართავად და ვალების გადასახდელად, უგულვებელყო სახელშეკრულებო ვალდებულებები, ხშირად ექიმპობოდნენ ერთმანეთს და ადვილად ექცეოდნენ უცხო სახელმწიფოების, განსაკუთრებით მათი ყოფილი მტრის - დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ნაციონალისტებმა - მედისონმა, ჯორჯ ვაშინგტონმა, ალექსანდრ ჰამილტონმა და სხვებმა, გადანწყვიტეს, თავიდან დაეწყოთ ეფექტური ცენტრალური ხელისუფლების შექმნა. 1787 წლის მაისში მათ ცამეტიდან თორმეტი შტატის დელეგატები მიიწვიეს შეხვედრაზე ფილადელფიაში; როდ-აილენდის პატარა შტატმა კი გადანწყვიტა, მონაწილეობა არ მიეღო.

დელეგატების მიერ შექმნილი კონსტიტუციით შეკონწიწებული კავშირის სისუსტე ასახულია პრეამბულის პირველი ხუთი სიტყვის ნაკლებად ცნობილ დეტალში: „ჩვენ, ამერიკის

¹ Jack N. Rakove, *Original Meanings* (New York, 1996), 47-48.

შეერთებული შტატების ხალხი“. ეს სიტყვები პრეტენზიას აცხადებს ერთობაზე, რომელიც მაშინ, ჯერ კიდევ, არ არსებობდა. პრეამბულა, რომელზეც დელეგატები თავდაპირველად შეთანხმდნენ, იკითხებოდა შემდეგნაირად: „ჩვენ, ნიუ ჰემპშირის, მასაჩუსეტის ხალხი...“, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ყრილობის მონაწილე თორმეტივე შტატი. „შემდეგ კონსტიტუციის პროექტი კორექტირებისა და სტილისტური რედაქტირებისათვის გადაეგზავნა კომიტეტს და შესავალი წინადადება გადაკეთდა კანონპროექტის მთავარი ავტორის მიერ, რომელმაც თავდაპირველი სია, თორმეტივე შტატის ჩამონათვალით, შეცვალა ამჟამად პატივსაცემი ფორმულირებით: „ჩვენ, ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი ...“.²

II. სუვერენიტეტის დაყოფა და ძალაუფლებათა გამიჯვნა

ფილადელფიის ყრილობის მონაწილე ჯეიმს მედისონი და მისი მოკავშირეები იმედოვნებდნენ, რომ შექმნიდნენ ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ სწრაფად მიხვდნენ, რომ ეს ფუჭი იმედი იყო. უფრო მეტიც, ნაციონალისტებსაც კი არ სურდათ ძალიან ძლიერი ხელისუფლების შექმნა, რადგან ეშინოდათ, რომ ხალხის თავისუფლებას საფრთხე დაემუქრებოდა. მათ, რა თქმა უნდა, არ სურდათ ძალიან გავლენიანი აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბება, რომელიც წარმატებით აღსდგა მეფის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ომის შემდგომ წლებში მედისონი და ზოგიერთი სხვა დელეგატი უნდობლობითა და შიშით შეჰყურებდნენ შტატის საკანონმდებლო ორგანოს, რადგან მის მიერ მიღებული ზოგიერთი კანონი ძალიან რადიკალურად ეჩვენებოდათ დელეგატებს, რომელთაგან ბევრი, მედისონის მსგავსად, შეძლებულ კლასს მიეკუთვნებოდა.

შედეგად, დამფუძნებელთა მიერ შექმნილი მთავრობის დებულებით მმართველობა გადაეცა შეზღუდული უფლების მქონე ეროვნულ ხელისუფლებას, რომლის უფლებამოსილებები მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ და პირდაპირ მასზე დაკისრებულ კონკრეტულ საკითხებზე ვრცელდებოდა; ხოლო შტატები პასუხს აგებდნენ ყველა დანარჩენ საკითხზე მათთვის აკრძალული ისეთი საკითხების გარდა, როგორცაა უცხო ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადება.

სამ შტოდ დაიყო ეროვნული ხელისუფლება, რომლებიც ასევე ერთმანეთის ქმედებებს გარკვეულწილად აკონტროლებდნენ. ეს გაკეთდა ეროვნული ხელისუფლების თითოეული შტოსათვის ერთმანეთის გარკვეული ფუნქციების გადაცემის გზით. მაგალითად, კონგრესს გადაეცა „ყველა საკანონმდებლო უფლებამოსილება“,³ მაგრამ პრეზიდენტი იზიარებს საკანონმდებლო ფუნქციას, რომელიც მოიცავს ვეტოს დადების

² Joseph J. Ellis, *American Dialogue* (New York, 2018), 238.

³ Art. I; “All legislative Powers herein granted shall be vested in a Congress of the United States...”.

უფლებას კონგრესის მიერ დამტკიცებულ საკანონმდებლო აქტებზე. კონგრესს ამ ვეტოს დაძლევა შეუძლია მხოლოდ საკანონმდებლო პალატის ხმათა უმრავლესობით. პრეზიდენტი დებს ხელშეკრულებებს უცხო ქვეყნებთან, მაგრამ ხელშეკრულებების ძალაში შესვლისთვის საჭიროა სენატის ორი მესამედის თანხმობა. მას შეუძლია, დანიშნოს ფედერალური თანამდებობის პირები თავისი მოვალეობების შესასრულებლად ისევე, როგორც ფედერალური სასამართლოების მოსამართლეები და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, თუმცა მხოლოდ სენატის უმრავლესობის თანხმობით. ფედერალური კანონმდებლობის კონსტიტუციურობაზე საბოლოო სიტყვა ეკუთვნის უმაღლეს სასამართლოს, თუმცა კონგრესს შეუძლია, გააუქმოს სასამართლოს იურისდიქციის უმეტესი ნაწილი.

1787 წლის 17 სექტემბერს, ცხელ ზაფხულში ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, ყრილობამ მიიღო კონსტიტუცია, რომელიც დღემდე არსებობს თავის ოცდაშვიდ შესწორებასთან ერთად.

1788 წლის 21 ივნისს, მთავარ შტატებში - ვირჯინიასა და ნიუ-იორკში ჩატარებული თითქმის კენჭისყრის ტოლფასი ინტენსიური საერთო-ეროვნული დებატების შემდეგ, კონსტიტუცია საბოლოოდ დაამტკიცა ცხრა შტატმა და იგი ძალაში შევიდა.

მიუხედავად გამოთქმული დასაბუთებისა, კონსტიტუციის მრავალი დებულება შეიძლება აიხსნას მხოლოდ დათმობის აუცილებლობით, რომელიც მიზნად ისახავს წინსვლას. ზოგიერთი დელეგატი, მაგ. ალექსანდრ ჰამილტონი, იბულებული გახდა, მიეღო დებულებები, რომლებსაც მიიჩნევდა არასწორად და ამორალურადაც კი, მაგალითად, როგორცაა სამხრეთ შტატების მიერ მოთხოვნილი მონობის განსაკუთრებული დაცვა. მცირე შტატების დიდი შტატებისგან დაცვის საჭიროებამ წარმოშვა მთელი დოკუმენტის ერთ-ერთი ყველაზე არაეფექტური და ყველაზე არაადემოკრატიული ასპექტი: ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს შექმნის გადანყვეტილება წარმომადგენელთა პალატით, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საყოველთაო კენჭისყრით და სენატი, სადაც თითოეულ შტატს წარმომადგენს ორი სენატორი და ყველა შტატს ყოველთვის გააჩნია ხმების ერთი და იმავე რაოდენობა, მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად.⁴ თავდაპირველად, სენატორებს ირჩევდნენ სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოების მეშვეობით, მაგრამ 1913 წელს მიღებულმა მე-16 შესწორებამ დააწესა სენატორთა არჩევა საყოველთაო კენჭისყრის გზით.

მუდმივი სახელმწიფო თანასწორობა სენატში, მოსახლეობის მიუხედავად, რომელსაც დღეს „დიდ კომპრომისს“ უწოდებენ, ბევრმა დამფუძნებელმა კატეგორიულად უარყო, მაგრამ ამის გარეშე კონსტიტუციას, სავარაუდოდ, ვერ მიიღებდნენ. თუმცა, დღემდე

⁴ Article V “No State, without its consent, shall be deprived of its equal suffrage in the Senate.”

გაუგებარია, რის გამო ეშინოდათ პატარა სახელმწიფოებს დიდი სახელმწიფოების, რადგან მაშინაც და მას შემდეგ, პატარა ქვეყნებს უფრო მეტი საერთო ჰქონდათ მეზობელ და სხვა დიდ სახელმწიფოებთან ეკონომიკის, რელიგიის, კულტურისა და ცხოვრების წესის თვალსაზრისით, ვიდრე სხვა პატარა ქვეყნებთან.

მაგალითად, ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დემოკრატიული შტატები - ნიუ-მექსიკო, ნიუ-იორკი, ილინოისი და ვერმონტი მოუწოდებენ აბორტზე ქალების უფლების დაცვისკენ. ვერმონტი მეორე ყველაზე პატარა შტატია, ნიუ-მექსიკო ბოლოდან მე-15 ადგილზეა, ხოლო სიდიდით ნიუ-იორკი მეოთხე და ილინოისი - მეექვსე შტატებია. ამის საპირისპიროდ, რესპუბლიკელების მიერ კონტროლირებადი შტატები - ტეხასი, ლუიზიანა და ოკლაჰომა, რომელთაც მძლავრი ნავთობისა და გაზის მრეწველობა გააჩნიათ, აბორტის წინააღმდეგ გამოდიან. ტეხასი თავისი სიდიდით მეორე შტატია, რომელშიც ცხოვრობს 28 მილიონი ადამიანი, ხოლო მოსახლეობა ლუიზიანაში მხოლოდ 4.6 მილიონს და ოკლაჰომაში 4 მილიონს შეადგენს.

ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე, 1787 წლიდან დღემდე ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის საზოგადოება უმეტესწილად სოფლის მეურნეობითა და კომერციითაა დაკავებული, აღმოსავლეთ სანაპიროზე მიმოფანტული დაახლოებით ოთხ მილიონამდე ადამიანისგან შედგებოდა, მათ შორის დაახლოებით 700,000 შავკანიანი მონის ჩათვლით, გადაიქცა მოწინავე სამრეწველო ქვეყნად, დაახლოებით 320 მილიონი მოსახლეობით და ასევე მოიცავს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის უმეტეს ნაწილს. ამ პერიოდში, კონსტიტუციის თავდაპირველი ექვსი ფუნდამენტური დებულება შეიცვალა ან შეივსო მხოლოდ 27 დამატების შეტანით, რომელთაგან ათი დამატება - კანონი უფლებათა შესახებ თავდაპირველი მორიგების ნაწილს შეადგენდა და სწრაფად მიიღეს 1791 წელს. მათგან ორმა ერთმანეთი გააუქმა.⁵ მიუხედავად იმისა, რომ დამფუძნებლები არ აღიარებდნენ კონსტიტუციური პრინციპებისა და დოქტრინების უმრავლესობას, რომელთა მიხედვით დღეს იმართება ამერიკის შეერთებული შტატები, მმართველობის ძირითადი სტრუქტურა, რომელიც შეიქმნა ორი საუკუნის წინ სრულიად განსხვავებული საზოგადოებისათვის, დღემდე მართავს ამერიკელებს, რაც ხშირად ართულებს და ზოგჯერ ვერ ახერხებს გაუმკლავდეს ქვეყანაში მიმდინარე საჭიროებებსა და პრობლემებს.

პრობლემების სადემონსტრაციოდ სასარგებლოა იმის აღწერა, თუ როგორ ხდება კანონის ამოქმედება. საკანონმდებლო ინიციატივის მისაღებად, იგი უნდა შემოიტანოს წარმომადგენლობითი პალატის ან სენატის წევრმა. თავად პრეზიდენტი ვერ შემოიტანს საკანონმდებლო ინიციატივას. ამ პალატის ხმათა უმრავლესობით დამტკიცების შემთხვევაში, იგი შემდეგ გადაეცემა სხვა პალატას, სადაც ხმათა უმრავლესობით კვლავ დამტკიცდება იგივე კანონპროექტი, მათ შორის იმავე ვადის, წერტილ-მძიმის და ა.შ.

⁵ Arts. VIII and XXI (Prohibition on sale of alcoholic beverages)

ჩათვლით. ბევრი კანონპროექტის წარდგენა ხდება, რომელთაგან ზოგი გადის ერთ პალატას, მაგრამ ვერასოდეს აგროვებს ხმათა უმრავლესობას სხვა პალატაში. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენელთა პალატასა და სენატს აკონტროლებენ სხვადასხვა პარტიები, როგორც ეს დღეს არის. თითოეულ პალატას აქვს თანაბარი უფლებამოსილება მიიღოს ან უარყოს ყველა შემოთავაზებული კანონპროექტი მნიშვნელოვან ან უმნიშვნელო განსხვავებებთან ერთად.

ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანოს მქონე არც ერთ თანამედროვე სახელმწიფოში საკანონმდებლო პალატას, რომელიც არ არის სახალხო არჩეული, როგორც არის ბრიტანეთის ლორდთა პალატა, არ ენიჭება იმდენად დიდი ძალაუფლება მთელ კანონმდებლობაზე, რომელიც გააჩნია ხელისუფლების საყოველთაოდ არჩეულ შტოს. მათ უმრავლესობას, ისევე როგორც გერმანიის ბუნდესტაგს, აქვს უფრო ვიწრო იურისდიქცია ან, როგორც ბრიტანეთის ლორდთა პალატას, გააჩნია ბევრად ნაკლები ძალაუფლება, ვიდრე საყოველთაოდ არჩეულ შტოს.⁶

თავის მხრივ, პრეზიდენტს უფლება აქვს, დაბლოკოს შემოთავაზებული კანონმდებლობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი დამტკიცდა როგორც პალატის, ასევე სენატის უმრავლესობით. თუ პრეზიდენტი ვეტოს დაადებს კანონპროექტს, მისი დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეული პალატის ხმების 2/3 მხარს დაუჭერს ვეტოს გადალახვას. ამერიკის ორად გაყოფილი და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური სტრუქტურის გათვალისწინებით, ვეტოს დაძლევა იშვიათად ხდება, რადგან სენატორები და პრეზიდენტის პარტიის წარმომადგენლები იშვიათად აძლევენ ხმას პრეზიდენტის გადანწყვეტილების გაუქმებას. ამის შედეგად პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, უზარმაზარი გავლენა აქვს საკანონმდებლო პროცესზე; და ხშირად, ზოგჯერ ვეტოს საფრთხეც კი საკმარისია საკანონმდებლო შედეგზე გავლენის მოსახდენად.

ამდენად, ხშირად ძალზედ რთულია სასიცოცხლოდ აუცილებელი კანონპროექტის მიღება, განსაკუთრებით მაშინ, თუ სამ შტოზე კონტროლი გაყოფილია. XIX-XX-XXI საუკუნეების თითქმის ყველა დიდი საკანონმდებლო მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კონგრესის ორივე პალატაში პრეზიდენტსა და მის პარტიას დიდი უმრავლესობა ჰყავდათ.

⁶ Fact Sheet: Political System of Germany, Research Office, Legislative Council Secretariat (Feb. 18, 2015), <https://www.legco.gov.hk/research-publications/english/1415fsc05-political-system-of-germany-20150218-e.pdf>; Guidance, Legislative Process: taking a Bill through Parliament, Cabinet Office (Feb. 20, 2013), <https://www.gov.uk/guidance/legislative-process-taking-a-bill-through-parliament>. საფრანგეთში ორივე პალატამ უნდა მიიღოს იდენტური კანონმდებლობა, მაგრამ მოუგვარებელი დავისას ეროვნული ასამბლეა უპირატესი უფლებით სარგებლობს.

ღრმა პოლარიზაციის პირობებში, რომელსაც დღეს ამერიკა განიცდის, კიდევ უფრო გაჭირდა გარემოსდაცვითი, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის კანონპროექტების მიღება. მაგალითად, 2009 წლის იანვრის დასაწყისში, როდესაც ერი ყველაზე მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა დიდი დეპრესიის შემდეგ და პრეზიდენტ ბარაკ ობამას ინაუგურაციამდე, სენატის უმცირესობის ლიდერმა რესპუბლიკელმა მიჩ მაკკონელმა განაცხადა, რომ მისი პარტია შეეცდება შეაჩეროს ახალი პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ყველა „არსებითი“ კანონი. შედეგად, პრეზიდენტ ობამას უფლებამოსილების უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მან დაკარგა კონგრესმენტა დიდი უმრავლესობა 2008 წელს დემოკრატების გამარჯვებით, მცირე რაოდენობის მნიშვნელოვანი კანონპროექტები დამტკიცდა.

როგორც განაცხადა ისტორიკოსმა არტურ მ. შლეზინგერმა-უმცროსმა, რამდენიმე წლის წინ ამერიკულ სისტემაში „ხელისუფლების სამ ნაწილად დაყოფას“ ახასიათებს მიდრეკილება ინერციისა და ჩიხური მდგომარეობისაკენ.⁷ სხვები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. 2010 წლის არჩევნებამდე ხუთი დღით ადრე, „ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველი იტყობინებოდა, რომ „მთელი პოლიტიკური სპექტრის მასშტაბით გავრცელებულია იმგვარი აზრი, რომ ვაშინგტონი გატყდა და არ ექვემდებარება აღდგენას“.⁸ 10 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ ეს შეგრძნება არ შეცვლილა.

ამერიკის კონსტიტუციით მოქმედი თანასწორობა თითოეული შტატიდან ორი სენატორის წარდგენის თაობაზე არადემოკრატიული და არაეფექტურია. დემოკრატიის ყველაზე ფუნდამენტური პრინციპი ისაა, რომ თითოეული მოქალაქის ხმა უნდა იყოს თანაბარი მნიშვნელობითა და გავლენით ერთმანეთთან მიმართებით. თუმცა, ჩვენს სისტემაში ვაიომინგის სენატორს, რომელიც 600 000-ზე მეტ ადამიანს წარმოადგენს, იმდენივე ძალაუფლება გააჩნია კანონმდებლობის დასამტკიცებლად, რამდენიც კალიფორნიელ სენატორს, რომელიც 40,000,000 ამომრჩეველს წარმოადგენს. საერთო მოსახლეობა ყველაზე მცირე მოსახლეობის 20-მდე შტატში უფრო ნაკლებია, ვიდრე კალიფორნიის 40-მილიონიანი მოსახლეობა, მაგრამ საერთო ჯამში, ამ შტატებს 100-დან 40 სენატორი ჰყავთ. თეორიულად, ყველაზე პატარა 26 შტატის სენატორთაგან შემდგარ ბლოკს, რომელიც ამერიკის მოსახლეობის 20%-ზე ნაკლებს წარმოადგენს, შეუძლია სენატორების მიერ დანარჩენი 80%-ის მხარდაჭერილი კანონპროექტის დამტკიცების დაბლოკვა, მიუხედავად იმისა, რომ სახალხოდ არჩეულმა პალატამ, შესაძლოა, კანონპროექტი დიდი უმრავლესობით დაამტკიცა. რამდენადაც ზომა იშვიათად განსაზღვრავს ინტერესს, არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ყველაზე პატარა 26 შტატი ხმას აძლევს ბლოკის სახით, მაგრამ 15 ან უფრო მცირე შტატები ხშირად ერთიანდებიან სხვასთან და ბლოკავენ

⁷ Arthur M. Schlesinger, Jr. *The Imperial Presidency* (New York 1973)

⁸ Dan Balz, *Washington Post*, Oct. 28, 2010.

ქვეყნის დიდი უმრავლესობით მხარდაჭერილ ქმედებებს; ამის მაგალითია იარაღის უსაფრთხოების წესები.

კიდევ ერთი ანტიდემოკრატიული ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს კონგრესის ფუნქციონირებაზე ისაა, რომ სენატის მოქმედი წესებით დაშვებულია შემოთავაზებულ კანონმდებლობაზე შეუზღუდავი დებატები, თუ 60 სენატორი ხმას არ მისცემს მის შეწყვეტაზე; 1917 წლამდე დებატების დასრულების არანაირი მექანიზმი არ არსებობდა, თუკი რამდენიმე სენატორი უარს იტყოდა მის შეწყვეტაზე. კანონპროექტის განხილვის გაჭიანურების შესაძლებლობა, რომელსაც ეწოდებოდა ობსტრუქცია, იყო მთავარი იარაღი, რომელსაც ერთი მუჭა სამხრეთელი სენატორები 120 წელზე მეტი ხნის მანძილზე იყენებდნენ მონობისა და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად მიმართული ზომების დასაბლოკად, მაშინაც კი, როდესაც სენატის, პალატისა და მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერდა ასეთ კანონმდებლობას. ეს იარაღი დღესაც ხელმისაწვდომია, თუმცა, ძირითადად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის.

თითოეული შტატიდან ორი სენატორის წარდგენის წესი ასევე ამახინჯებს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს. ამერიკელები პირდაპირ არ ირჩევენ პრეზიდენტს. ამის ნაცვლად, ისინი ირჩევენ ე.წ. „ამრჩევებს“ მთელი ქვეყნის მასშტაბით. თითოეულ შტატს საარჩევნო კოლეგიაში ჰყავს იმდენივე წარმომადგენელი, რამდენიც კონგრესში. პრეზიდენტი ხდება ის კანდიდატი, რომელიც ამრჩევთა ხმების უმრავლესობას დააგროვებს, საყოველთაო არჩევნების შედეგის მიუხედავად. ეს საშუალებას აძლევს მცირე შტატებს, არაპროპორციული სარგებლობა მიიღონ. იმ შემთხვევაში, როდესაც შტატები არათანაბარი მოსახლეობით სარგებლობენ საარჩევნო ხმების თანაბარი რაოდენობით საყოველთაო არჩევნებით მიღებულ წილზე დამატებით, მცირე მოსახლეობის მქონე შტატები სარგებლობენ მათემატიკური უპირატესობით. მაგალითად, 2003 წელს ვაიომინგში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 167,081 ადამიანი, ხოლო კალიფორნიაში ეს რიცხვი 645,172 ადამიანს მოიცავდა. ამგვარად, ვაიომინგის ამრჩევმა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ოთხჯერ მეტი ზემოქმედება გამოავლინა, ვიდრე კალიფორნიამ.⁹

რობერტ დალი, ამერიკის წამყვანი მკვლევარი, რომელიც სწავლობს დემოკრატიას, ასკვნის, რომ პრეზიდენტის არჩევის ეს მეთოდი შექმნა „თავგზააბნეული და დაბნეული ადამიანების ჯგუფმა, რომელმაც საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება უფრო იმედგაცრუების, ვიდრე ნდობის საფუძველზე“.¹⁰

⁹ George C. Edwards Why the Electoral College is Bad for America (New Haven 2004), 38,39.

¹⁰ Robert Dahl, How Democratic is the Constitution (New Haven 2001), 66.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით,¹¹ 1877 წლიდან სახალხო არჩევნებით გამარჯვებულმა ხუთჯერ დაკარგა პრეზიდენტობა, ორჯერ - 2000 წლიდან, რომლის მიზეზია საარჩევნო კოლეგიის მიკერძოებულობა ნაკლებად დასახლებულ შტატებთან მიმართებაში. ნაწილობრივ ეს იმიტომ ხდება, რომ დემოკრატი ამრჩევები უმეტესწილად დიდ ქალაქებში ცხოვრობენ და სწორედ დემოკრატებმა წააგეს ხუთივე შემთხვევაში.¹²

ცხრილი 2.2 საარჩევნო კოლეგიის მიერ სახალხო არჩევნების გზით გამარჯვებულთა შეცვლა					
წელი	კანდიდატი	სახალხო არჩევნები		არჩევთა ხმები	
		№	%	№	%
18761	ტილდენი (დ)	4,287,670	50.9	184	50
	ჰეისი (რ)	4,035,924	47.9	185	50
ტილდენმა სახალხო არჩევნები მოიგო 251,746 ხმით. ჰეისმა გაიმარჯვა ამრჩევის 1 ხმით.					
1888	კლივლენდი (დ)	5,540,365	48.6	168	42
	ჰარისონი (რ)	5,445,269	47.8	233	58
კლივლენდმა სახალხო არჩევნები მოიგო 95,096 ხმით. ჰარისონმა გაიმარჯვა ამრჩევის 65 ხმით.					
1960	ნიქსონი (რ)	34,108,157	49.3	219	41
	კენედი (დ)	34,049,976	49.2	303	59
ნიქსონმა სახალხო არჩევნები მოიგო 48,181 ხმით. კენედმა გაიმარჯვა ამრჩევის 84 ხმით.					
2000	გორი (დ)	50,996,062	48.3	271	50
	ბუში (რ)	50,456,169	47.8	266	49
გორმა სახალხო არჩევნები მოიგო 539,893 ხმით. ბუშმა გაიმარჯვა ამრჩევის 5 ხმით.					

2016 წელს სენატორმა ჰილარი რ. კლინტონმა პრეზიდენტ ღონაღდ ჯ. ტრამპს დაახლოებით სამი მილიონი ხმით მოუგო, მაგრამ წაავო 227-304 ხმით ამრჩევთა კოლეგიაში.

დღეს ჩვენ ძალიან მიკერძოებული პარტიები გვყავს, დამფუძნებელთა იმედის საწინააღმდეგოდ და როდესაც ხელისუფლება დაყოფილია, მაშინაც კი, თუ თვით ოპოზიციური პარტია აკონტროლებს ყველა ან მხოლოდ ერთ პალატას, ჩიხში შესვლის ალბათობა მნიშვნელოვნად იზრდება.

¹¹ Edwards supra at 45.

¹² თუმცა, 1876 წლის არჩევნები, ზოგადად, მიიჩნევა როგორც ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლიტიკოსებს შორის პოლიტიკური გარიგების შედეგად.

III. პრეზიდენტობა

დამფუძნებლებს სჯეროდათ, რომ მათ მიერ შედგენილი კონსტიტუცია შექმნიდა სუსტ პრეზიდენტსა და აგრესიულ კანონმდებელს. ჩვენი ისტორიის გარკვეულ პერიოდებში მათ ეს წარმატებით მოახერხეს. თუმცა, საერთო ჯამში, ისტორიამ ყველაფერი თავდაღმა დააყენა, რადგან შეერთებული შტატები მცირე სასოფლო-სამეურნეო ქვეყნიდან, რომელიც ცდილობდა თავი დაეღწია „პრობლემური მოკავშირეებისგან“, გადაიქცა ზესახელმწიფოდ, რომელიც „გახლართულია“ საერთაშორისო ურთიერთობებში. ასევე, დამფუძნებელთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ქვეყნის შიგნით გაბატონდა ეროვნული მთავრობა. „კანონების კეთილსინდისიერად შესრულებაზე ზრუნვის მიზნით“¹³ ამჟამად პრეზიდენტის დაქვემდებარებაშია ფართო ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც მილიონობით ადამიანს მოიცავს.

თვით ჯორჯ ვაშინგტონსაც, ყველაზე სანდო საზოგადო მოღვაწეს ამერიკაში, რომელიც პირველი მოქმედი პრეზიდენტი იყო, კონსტიტუციით რეალურად ეკისრებოდა ძალიან მცირე კონკრეტული უფლებამოსილებანი. The Federalist Papers-ში ალექსანდრ ჰამილტონმა დიდი მონდომებით აღწერა, რომ პრეზიდენტს არ გააჩნია ბრიტანეთის მეფესავით ფართო ძალაუფლება, როგორც არის დამოუკიდებლად საგარეო პოლიტიკის გატარება და თვით ამერიკელი გუბერნატორის უფლებებიც კი არ გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ინიშნებოდა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, ეს მიზნად ისახავდა მისთვის მხოლოდ „პირველი გენერლის ან აღმირალის“ უფლებამოსილებების მინიჭებას.¹⁴ ომის გამოცხადებაზე უფლებამოსილება მხოლოდ კონგრესს გადაეცა ისევე, როგორც არმიის, საზღვაო ფლოტისა და სახელმწიფო პოლიციის მობილიზებისა და რეგულირების უფლებამოსილებები. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტობა მართლაც ჩაფიქრებული იყო, როგორც „ენერგიული“ საქმიანობა,¹⁵ როგორც ჰამილტონმა აღნიშნა, ეს ეხებოდა მხოლოდ პრეზიდენტისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ენერგიულ ადმინისტრირებას და არა მათ გაფართოებას; მასში აშკარად არ იგულისხმებოდა თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილებები, რომელზეც პრეტენზიას აცხადებდნენ ბოლოდროინდელი პრეზიდენტები როგორც მშვიდობის, ასევე ომის დროს.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტებმა თავიანთი თავი იმდენად გავლენიან ფიგურად აქციეს ქვეყანაში, რომელზეც ვერც ერთი დამფუძნებელი ვერ იოცნებებდა, თუმცა კი შიშობდა. თვით სუსტ პრეზიდენტებსაც შეუძლიათ ბევრ რამეს მიაღწიონ როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკაში.

¹³ Art. II, §3, ¶3.

¹⁴ The Federalist 69 (Jacob E. Cooke ed. Middletown, 1961), p. 465.

¹⁵ The Federalist 70, p. 471

მაგალითად, თითქმის ყველა კანონმდებლობის წყარო კონგრესი უნდა ყოფილიყო და ეს ასე გრძელდებოდა XX საუკუნემდე, თუმცა დღეს ასე არ არის. XX საუკუნის დასაწყისიდან პრეზიდენტების მიერ ინიცირებულ იქნა ყველაზე მნიშვნელოვანი კანონი და დღეს საკანონმდებლო დღის წესრიგს ადგენს პრეზიდენტი.

ქვეყნის შიგნით პრეზიდენტი განაგებს უზარმაზარ ადმინისტრაციულ ბიუროკრატიულ აპარატს, რომელიც შედგება მილიონობით ადამიანისგან. ისინი გავლენას ახდენენ ამერიკული ცხოვრების ყველა ასპექტზე. თითქმის ყველა ამ სააგენტოს აქვს ძალიან ფართო მანდატი და მათ ხელმძღვანელობენ პრეზიდენტის მიერ დანიშნული ადამიანები მისი პოლიტიკის გასატარებლად. ამდენად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონგრესის ორივე პალატა კონტროლდება ოპოზიციის მიერ, ამ უწყებებს შეუძლიათ, ეფექტურად განახორციელონ თავიანთი პოლიტიკა კანონმდებლობის გარეშე. მაგალითად, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ გარემოს დაცვის სააგენტოში დანიშნულმა თანამდებობის პირებმა წარმატებით გააუქმეს პრეზიდენტ ობამასა და ზოგიერთი მისი წინამორბედის მიერ მიღებული გარემოსდაცვითი პოლიტიკის უმეტესი ნაწილი.

პრეზიდენტებმა ასევე ბევრჯერ გამოიყენეს პირადი მექანიზმები გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორცაა აღმასრულებელი ბრძანებები, საპრეზიდენტო მემორანდუმები, აღმასრულებელი შეთანხმებები, პროკლამაციები და ადმინისტრაციული ღირებულებები, რომლებსაც აქვთ კანონის ძალა.

თუ საქმე ეხება საგარეო პოლიტიკასა და ეროვნულ უსაფრთხოებას, მაშინ პრეზიდენტის უფლებამოსილება თითქმის მონარქიულია, რაც ზემოთ ხსენებული ჰამილტონის არგუმენტების დაცინვაა. მხოლოდ კონგრესს შეუძლია „ომის გამოცხადება“, თუმცა ბოლოს კონგრესმა ომი გამოაცხადა მასზე თავდასხმის გარეშე (როგორც 1941 წელს) 1917 წელს. მას შემდეგ და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან შეერთებული შტატები ჩართული იყო მრავალრიცხოვან შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელშიც ათობით ათასი ამერიკელი დაიღუპა და ათასობით ადამიანი დაიჭრა ომის გამოცხადების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კონფლიქტი, მაგალითად, ერაყსა და ავღანეთში, კონგრესის მიერ იყო ნებადართული, ამგვარი ჩარევის უმეტესობა სანქცირებული არ იყო. პრეზიდენტები აშშ-ს შეიარაღებულ კონფლიქტში იმდენად ხშირად რთავდნენ კონგრესის დამტკიცების გარეშე, რომ ახლა ხშირად საუბრობენ „იმპერიული პრეზიდენტობის“ შესახებ. კონგრესი ხანდახან ცდილობდა, შეეზღუდა საპრეზიდენტო ძალაუფლება, მაგრამ ეს მცდელობები, როგორც წესი, წარუმატებელი იყო. სინამდვილეში, კონგრესს ბევრი ვერაფერი შეუძლია პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის უფლებამოსილების შესაზღუდად, რადგან მხოლოდ პრეზიდენტს აქვს უზარმაზარ ინფორმაციასა და რჩევებზე ხელმისაწვდომობა ისევე, როგორც სწრაფად და ფარულად მოქმედების შესაძლებლობა, რასაც კონგრესი მოკლებულია. ამიტომ, როდესაც იწყება ტყვიების ზუზუნი, კონგრესი უძლურია.

ამ მოვლენების შედეგი ისაა, რომ დღეს ჩვენ დამფუძნებელთა დროიდან მოყოლებული უფრო ვინრო, მაგრამ მაინც მწვავე დილემის წინაშე ვდგავართ: როგორ შეიძლება ამერიკელებს ჰყავდეთ იმდენად ძლიერი პრეზიდენტი, რომელიც გააკეთებს რაც საჭიროა, მაგრამ არა იმდენად ძლიერი, რომ საფრთხე შეუქმნას ხალხის თავისუფლებას?

დამფუძნებელთა გადანწყვეტილებით, შეკავებისა და განონასწორების სისტემას უნდა ემოქმედა, როგორც ზემოთ აღწერილია, მაგრამ მათ არ გაუთვალისწინებიათ პარტიების გაჩენა, რომელთაც შეეძლოთ ძალაუფლების გამიჯვნის მოსალოდნელი ეფექტის გაუქმება, თუ პრეზიდენტი და ორივე პალატა ერთსა და იმავე პალატას ეკუთვნის, როგორც ეს იყო პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პირველი ვადის დროს.

პრეზიდენტის ძალაუფლების შეკავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ფულს მოიცავს. თუ პრეზიდენტის პოლიტიკა მოითხოვს სახელმწიფო სახსრების ხარჯვას, კონსტიტუცია კონგრესსა და მხოლოდ „კონგრესს“ ანიჭებს „საფულის ძალაუფლებას“, რათა დახარჯოს „საერთო კეთილდღეობისთვის“,¹⁶ მათ შორის ხაზინის ფულადი სახსრების განკარგვაზე განსაკუთრებული უფლების ჩათვლით.¹⁷ ორივე მხარე ძალიან სერიოზულად უდგება ამ უფლებამოსილების ექსკლუზიურობას და ამან გამოიწვია ხელისუფლების ორ შტოს შორის არსებული დავა.

პრეზიდენტი ტრამპი თავისი საპრეზიდენტო კამპანიის დროს თავს ესხმოდა არალეგალურ ემიგრანტებს ცენტრალური ამერიკის ქვეყნებიდან, სადაც ძალადობა ბატონობს. მან უკანონო იმიგრაციას უწოდა „ეროვნული კრიზისი“, რომელიც მოიცავს ეროვნულ უსაფრთხოებას, ნარკოტიკების კონტრაბანდასა და ძალადობრივ დანაშაულს. კამპანიის ქვაკუთხედი იყო დაპირება, რომ მექსიკასთან ააშენებდა ბეტონის კედელს, სიგრძით 2000 მილი, სამხრეთ საზღვრის გაყოლებაზე, იმის გარანტიით, რომ ამ მშენებლობის ხარჯებს მექსიკა დაფარავდა.

გასაკვირი არ არის, რომ მექსიკამ კედლის მშენებლობის ხარჯების გადახდაზე უარი განაცხადა. უფრო მეტიც, პრეზიდენტის აქტიურ მხარდამჭერთა უმრავლესობის გარდა, ბევრი არ არის დარწმუნებული, რომ კედელი აუცილებელია ან სასარგებლოა ემიგრანტების, ნარკოტრაფიკის ან სხვა ბოროტების გავრცელების შესაჩერებლად. ამიტომ კონგრესი თანმიმდევრულად უარს ამბობდა ათობით მილიარდი დოლარის გამოყოფაზე, რაც ღირს ასეთი კედლის მშენებლობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ორივე პალატას პრეზიდენტის პარტია აკონტროლებდა. სწორედ მაშინ, როდესაც

¹⁶ Arts. I, §8, ¶1

¹⁷ Art. I, §9, ¶7

დემოკრატებმა წარმომადგენელთა პალატაში მოიპოვეს გადამწყვეტი უმრავლესობა 2018 წლის ნოემბერში, პრეზიდენტმა დაკარგა შანსი, მიეღო ფული კონგრესისგან.

პრეზიდენტ ტრამპის პირველი ნაბიჯი იყო კონგრესზე ბენოლა, რაც გამოიხატა მის მიერ 2018 წლის შობის წინ უმეტესი სამთავრობო უწყებების დახურვაში, რომელმაც მილიონობით ამერიკელს - 800,000 სამთავრობო მუშაკს, მათი ოჯახის წევრებსა და სხვა ადამიანებს პრობლემები შეუქმნა. მას შემდეგ, რაც ეს ტაქტიკა ჩაიშალა და მთავრობამ განაახლა მუშაობა 2019 წლის 25 იანვარს, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საზღვარზე კრიზისია და მან გამოსცა ოფიციალური განცხადება საზღვარზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. პრეზიდენტის მტკიცებით, ამის საფუძველზე იგი შეძლებდა კონგრესის მიერ სხვა სამხედრო მშენებლობისთვის გამოყოფილი ფულის გამოყენებას ამ კედლის ასაშენებლად.

ბევრი თანამედროვე კონსტიტუციისგან განსხვავებით, ამერიკული კონსტიტუცია არ ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციებს. თუმცა, კონგრესს ხშირად მიუღია საკანონმდებლო აქტები კონკრეტული საგანგებო სიტუაციების დროს, როგორცაა 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმა ან სტიქიური უბედურების მსგავსი ქარიშხალი ან 1976 წლის საკანონმდებლო აქტი, რომელიც თავდაპირველად მიზნად ისახავდა პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვას, მაგრამ სინამდვილეში საგანგებო უფლებამოსილების განხორციელების ნებას რთავდა, თუ მიუთითებდა იმ კონკრეტულ კანონებს, რომლებსაც ის დაეყრდნობოდა.

ტრამპის პრეზიდენტობის დროს კონგრესს არ მიუღია კანონი, რომელიც პრეზიდენტ ტრამპს კედლის ასაშენებლად ფულის განკარგვის ნებას დართავდა, მაშინაც კი, როდესაც მისი პარტია კონგრესის ორივე პალატას აკონტროლებდა. საკუთარი პარტიის წევრებმაც კი შეშფოთება გამოხატეს პრეზიდენტის გეგმაზე, კონგრესის მიერ სხვა სამხედრო მიზნებისთვის გამოყოფილი სახსრები მიემართათ კედლის მშენებლობაზე. წარმომადგენელთა პალატამ მიიღო ერთობლივი დადგენილება, რომელშიც მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტის განცხადებას, რაც ასევე დაადასტურა სენატის უმრავლესობამ მიუხედავად იმისა, რომ სენატს პრეზიდენტის პარტია აკონტროლებდა. ვინაიდან პრეზიდენტი ამ დადგენილებას ვეტოს დაადებს, მას პრაქტიკული ეფექტი არ ექნება.

პრეზიდენტის განცხადებამ გამოიწვია საკონსტიტუციო კონფლიქტი, რაც გამოიხატა იმაში, რომ პრეზიდენტი დაუპირისპირდა კონგრესს და სასამართლო იძულებული გახდა, თვით მოეგვარებინა ეს საკითხი. პრეზიდენტის განცხადება სასამართლოში უკვე გაასაჩივრა თექვსმეტმა შტატმა, საზღვრის გასწვრივ მიწის მფლობელმა ბევრმა მესაკუთრემ და სხვებმა, ვინც ზარალდებოდა ასეთი კედლისგან. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საქმეები თითქმის ყოველთვის უმაღლეს სასამართლომდე აღწევს, ამ უკანასკნელმა უკიდურესად გამწვავებულ პოლიტიკურ დაპირისპირებაში მონაწილეობის მიღებაზე შესაძლებელია

უარი თქვას. ასეთ შედეგს ვარაუდობს ბევრი დამკვირვებელი, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ შესაძლოა მოიძიოს და შეათვასოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომ საზღვართან მართლაც არის კრიზისი - ეს არის საკითხი, რომლის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად ამერიკელი მოსამართლეები თავს კომპეტენტურად არ მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში, საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული.

IV. საარჩევნო სისტემა

ცხადია, რომ თავისუფალი, სამართლიანი და სანდო არჩევნები შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემის ყველა ასპექტზე პასუხისმგებელია არაპოლიტიკური ორგანო. ამ ორგანოს ქმედებები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი. უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა იყოს თავისუფალი ნებისმიერი პოლიტიკურად მოტივირებული განზრახვის ან მანიპულირებისგან.

ამდენად, უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ კენჭისყრის დებულებები, რომელიც უნდა ყოფილიყო კონსტიტუციის ყველაზე დემოკრატიული თვისება, აღმოჩნდა ამერიკული დემოკრატიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფრთხე.

ამერიკული კონსტიტუცია, შესწორებების მიუხედავად, არსად აკონკრეტებს ხმის მიცემის უფლებას ყველა თანამედროვე დემოკრატიული კონსტიტუციისგან განსხვავებით. ფედერალური არჩევნების მარეგულირებელი ძირითადი კონსტიტუციური დებულებებია 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, ფედერალურ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს ისეთივე კვალიფიკაცია, როგორც აქვს შტატის არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველს და 1-ლი მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოებს ფედერალური არჩევნების რეგულირებისა და ადმინისტრირების უფლებამოსილებას ანიჭებს, თუმცა ექვემდებარება კონგრესის ზედამხედველობას. იმის გამო, რომ არჩევნების რეგულაციისა და ადმინისტრაციის გზით შეიძლება განისაზღვროს, ვინ გაიმარჯვებს და ვინ დამარცხდება, მე-4 ნაწილის გარდაუვალი შედეგი ის არის, რომ რაც უნდა გაკეთდეს ობიექტური და არამიკერძოებული ადმინისტრატორების მიერ, აუცილებლად დამახინჯდება მიკერძოებული პოლიტიკოსების მიერ.

შესაძლოა, 1787 წელს მე-2 ნაწილთან დაკავშირებით არჩევანი არ არსებობდა. შტატებს შეიძლება არ სურდათ, რომ ცენტრალური მთავრობა დამოკიდებული ყოფილიყო ერთიან ამომრჩევლებზე, რომლებიც განსხვავდებიან შტატის არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლებისგან, რადგან ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად საკითხებში ფედერალურმა ამომრჩეველმა შესაძლოა ისეთი პოლიტიკა გაატაროს, რომელიც უარყოფით გავლენას მოახდენს შტატებზე. მაგრამ ეს უსამართლობაა ამერიკელი მოქალაქის მიმართ, რომელიც ცხოვრობს ქვეყანაში, რომელიც არ აძლევს

მას საკუთარ შტატში არჩევნებში კენჭისყრის უფლებას, ასევე უზღუდავს მონაწილეობის შესაძლებლობას, თუნდაც წარმომადგენლის არჩევნისას, ეროვნული პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მის ცხოვრებაზე მაშინ, როდესაც ამერიკულ მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს შტატში და ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ არჩევნებშიც. ისინი ორივენი ამერიკელები არიან, ცხოვრობენ ერთი და იმავე ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ ერთს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ კანონის დახვეწაში, ხოლო მეორეს არ შეუძლია.

მე-4 ნაწილი შეიძლება დროებით საჭირო იყო, რადგან არ არსებობდა ფედერალური ადმინისტრაციული აპარატი პირველი რამდენიმე ფედერალური არჩევნებისათვის, ხოლო მისი შექმნა რამდენიმე წელიწადს მოითხოვდა. სამწუხაროდ, როგორც კი სახელმწიფო ადმინისტრაცია ამუშავდა და პარტიები გაჩნდა, პოლიტიკურად შეუძლებელი გახდა სისტემის შეცვლა, რადგანაც არც ერთი კანონმდებელი არ მიიღებდა ცვლილებას, თუ ეს საფრთხეს შეუქმნიდა მის პოლიტიკურ ძალაუფლებას შტატის თუ ფედერალურ დონეზე.

ხმა შედარებით ცოტა ხალხმა მისცა ქვეყნის არსებობის პირველ წლებში, რადგან ქონებრივი და საგადასახადო კვალიფიკაციები ფართოდ იყო გავრცელებული. 1840 წლისთვის თეთრკანიანი მამაკაცის საარჩევნო უფლებამ (მაშინ არჩევნებზე მხოლოდ თეთრკანიანი იყო დაშვებული) შეადგინა 80% და მეტი. ამავდროულად, ქვეყანაში ეკონომიკური და სხვა სახის სოციალური უთანხმოება გაიზარდა და როგორც ერთი ისტორიკოსი აღწერს, „უსამართლო გადანაწილება საარჩევნო უფლების შემზღუდვის სახით“ გაძლიერდა.

დღეს მსგავსი და მრავალი სხვა სახის დამახინჯებანი საყოველთაოდ გავრცელებულია. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პარტია ცდილობს საარჩევნო ოლქების დახვეწას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, უკანასკნელ ათწლეულში რესპუბლიკურმა პარტიამ დემოკრატებთან შედარებით ბევრად უფრო მეტად მოახერხა სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კონტროლი და შესაბამისად, უფრო ეფექტური იყო საარჩევნო კანონის თავის სასარგებლოდ ამოქმედებაში. რესპუბლიკური პარტია წარმოდგენილი იყო მფლობელთა კლასებით მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან, ხოლო პარტიამ ეს კონტროლი გამოიყენა არჩევნების ადმინისტრირებისთვის და მიიღო ისეთი კანონები, რომელთაც კიდევ უფრო გაართულეს მუშა ხალხის, ღარიბი ფენის, ეროვნული უმცირესობებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა არჩევნებში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ადამიანებს არეგისტრირებენ დაბადების ადგილას ან სხვაგვარად ამარტივებენ რეგისტრაციას, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირების ტვირთი გადადის ინდივიდუალურ მოქალაქეებზე, როდესაც მათ უსრულდებათ 18 წელი და რესპუბლიკელთა მიერ

კონტროლირებად ბევრ შტატში ეს ძალიან რთული პროცესია. ბოლო დროს ჩატარებულმა ერთ-ერთმა სამთავრობო კვლევამ აჩვენა, რომ ხმის უფლების მქონე ამერიკელ ამომრჩეველთა 25%-ზე მეტი რეგისტრირებული არ არის.¹⁸ ასევე, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რესპუბლიკელთა მიერ კონტროლირებად ბევრ შტატში ითხოვენ მცირე რაოდენობის სამთავრობო უწყებების მიერ გაცემულ პირადობის მონმობებს. დაბალი შემოსავლის მქონე ამერიკელებისათვის ამ ბარათების მიღება ხშირად ძალიან ძნელი და ძვირია.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ბევრ ამერიკელს უძნელებს ხმის მიცემას, არის ის, რომ შეერთებულ შტატებში არჩევნები თითქმის ყოველთვის ტარდება სამშაბათს და ეროვნულ დღესასწაულად არ ითვლება. დასაქმებულთა უმრავლესობა ვერ ახერხებს სამსახურიდან გათავისუფლებას და არც დამსაქმებლებს ევალებათ მათთვის დროის გამოყოფა ამ მიზნით.

მსგავსი და ბევრი სხვა საშუალებით ამომრჩეველთა შეკავების ტაქტიკის გამო,¹⁹ ასევე იმ გამონწვევებისა და გაურკვევლობის აღრევის გამო, რომელიც ამ ტაქტიკამ წარმოშვა, შეერთებულ შტატებში არჩევნების დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. როგორც წესი, ამერიკელთა მხოლოდ 60% იღებს მონაწილეობას თვით საპრეზიდენტო არჩევნებშიც კი, რაც გაცილებით დაბალია, ვიდრე კანადაში, მექსიკასა და ევროპის უმეტეს ქვეყანაში. არასაპრეზიდენტო არჩევნებში მხოლოდ მცირე რაოდენობის ამერიკელები მიდიან არჩევნებზე.

ამომრჩეველთა კვალიფიკაციის შემთხვევის მსგავსად, არ არსებობს საფუძვლიანი მიზეზი, რის გამოც ამომრჩეველი ფედერალურ არჩევნებში უფრო ადვილად მიიღებს მონაწილეობას ერთ შტატში, ვიდრე მეორეში. ხმის მიცემა უნდა დარეგულირდეს და ადმინისტრირდეს ერთგვაროვნად, ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად და ფედერალური თანამდებობის პირთა მიერ.

გარკვეული თვალსაზრისით, ხმის მიცემისას უთანასწორობა აღმოიფხვრა. რაც მთავარია, კონსტიტუციაში ოთხჯერ შევიდა ცვლილება იმისათვის, რომ „შეერთებულ შტატებში მცხოვრები მოქალაქეების უფლება არ უნდა იქნეს ხელყოფილი ან ჩამორთმეული შეერთებული შტატების ან რომელიმე შტატის მიერ რასის, ფერის, ანუ მონობის წინა სტატუსის გამო²⁰; სქესის გამო;²¹ არჩევნებისათვის დანესებული ან სხვა სახის გადასახადის

¹⁸ Rakove supra at p. 243.

¹⁹ ამომრჩეველთა შეკავების ტაქტიკის უახლესი მოკლე მიმოხილვა მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო უფლებების შესახებ კომისიის ანგარიშში, ამერიკის შეერთებული შტატების უმცირესობათა საარჩევნო უფლებების ხელმისაწვდომობის შეფასება - 2018 წლის დასკვნა.

²⁰ Amendment XV

²¹ Amendment XIX

გადაუხდელობის გამო;²² ან ასაკის გამო.²³ ფედერალური კანონი ხმის მიცემის უფლებათა შესახებ მიღებულ იქნა 1965 წელს რასობრივი და ეთნიკური უმცირესობების დაცვის მიზნით, მაგრამ მისი ყველაზე ეფექტური დებულებები გააუქმა უმაღლესმა სასამართლომ 2013 წელს.²⁴ პრაქტიკულად, თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში, ხმის მიცემის შესაძლებლობა კვლავ დამოკიდებულია იმაზე, თუ პიროვნება სად ცხოვრობს და როგორი შემოსავალი აქვს.

დასკვნა

ინტენსიური პოლიტიკური პოლარიზაციისა და მიკერძოებულობის მიუხედავად, მრავალი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკელი ხალხი საკმაოდ ერთიანობას ამჟღავნებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო. როგორც აღნიშნულია „ნიუ-იორკ ტაიმის“ ერთ-ერთ უახლეს სტატიაში:

ამერიკელების დაახლოებით 75% მხარს უჭერს ულტრა მდიდრებისთვის მაღალი გადასახადების დაწესებას. ფედერალური კანონის იდეას, რომელიც უზრუნველყოფს ორსულობის გამო ფასიან შვიტულებას, 67 % მხარს უჭერს. 83 % უპირატესობას ანიჭებს მკაცრ წესებს ფართოხაზოვანი კავშირების ქსელური ნეიტრალიტეტისთვის, ხოლო 60%-ზე მეტს სურს კონფიდენციალურობის დაცვისათვის უფრო ძლიერი კანონები. 71%-ის აზრით, ჩვენ უნდა გვექონდეს შესაძლებლობა, ვიყიდოთ კანადიდან იმპორტირებული წამლები, ხოლო 92%-ს სურს „Medicare“-თან დაკავშირებით [ფედერალური ჯანდაცვის პროგრამა ხანდაზმული ამერიკელებისათვის უფასო სამედიცინო მომსახურების განწევის შესახებ] მოილაპარაკონ წამლების დაბალ ფასებზე.²⁵

მიუხედავად საყოველთაო კონსენსუსისა, ჩვენი მოძველებული და ხმარებიდან გამოსული კონსტიტუციური სტრუქტურა მდიდარ და ძლიერ ადამიანებს ეხმარება იმაში, რომ თავიდან აიცილონ ასეთი პოლიტიკის კანონად გადაქცევის შესაძლებლობა.

²² Amendment XXIV

²³ Amendment XXVI

²⁴ *Shelby County v. Holder*, 133 Sup. Ct. 2612 (2013).

²⁵ Tim Wu, *What the Public Wants, It Doesn't Get*, *New York Times*, March 5, 2019.

The American Constitution (A Critical Analysis)

Herman Schwartz

Abstract. I. Background. II. The Division of Sovereignty and The Separation of Powers. III. The Presidency. IV. The Electoral System. Conclusion.

Abstract

The 330 million people of today's United States of America live under a 230-year old Constitution devised for a small agricultural country of approximately 4,000,000 people. It was cobbled together by representatives from 13 very diverse British colonies who, once independence was achieved, had little interest in becoming one nation. They understood that a central government was necessary, but did not want it to be very powerful. They therefore divided the basic governmental powers both vertically – between the central government and the states – and horizontally by separating the national power between and among an executive branch, the chief executive of which was to be elected by a group of electors chosen by the state legislatures; a two-house legislature comprised of a Senate, in which each state was given two representatives, and a popularly-elected House of Representatives; and a judiciary whose members serve for life. Each of these three branches was given power to check the other two, which has frequently produced a stalemate, making it difficult to pass legislation despite often strong popular support; the electoral college and the 2 Senators per state have also produced antidemocratic results. Although the presidency was not expected to be a very powerful office, in foreign policy United States has developed what has been called an "imperial presidency"; domestically, the president has become the primary source of legislation. Because the Constitution turns over almost all election administration to the states, America's electoral system has usually been subjected to partisan manipulation by whatever party is in power, often resulting in electoral outcomes that do not reflect the popular will. Because of loose electoral campaign finance laws, money has become a crucial factor in electoral success, enabling the rich and the powerful to prevent enactment of measures supported by large majorities of the American people.

I. Background

The United States of America was cobbled together by representatives from thirteen British colonies that had initially been founded by diverse religious and other groups. They developed separately and in many respects quite differently, and came together for the first time in 1775 in the War of Independence against Great Britain. Once the common enemy was defeated, they had little interest in becoming one nation, for that would reduce their individual sovereign powers. Since it was evident, however, that some joint activities would be necessary to deal with the many problems arising from the war and otherwise, in 1781 the original Congress agreed to form a Confederation, a loose union with little authority.

The Confederation was doomed to fail and it lasted only six years. It could not govern effectively for it depended entirely on what James Madison called the "uniform and punctual obedience of 13

independent bodies” to “pursue the common interest”.¹ The states refused to provide the money necessary to run the country and to pay its debts, ignored treaty obligations, quarreled with each other incessantly, and were easily exploited by foreign powers, especially by their former enemy, Great Britain.

It is thus not surprising that nationalists like Madison, George Washington, Alexander Hamilton and others decided to start all over again to establish a viable central government. In May, 1787 they convened a meeting of delegates in Philadelphia from twelve of the thirteen states; the small state of Rhode Island chose not to participate.

The looseness of the union created by the Constitution that the delegates produced is reflected in a little known detail about the first seven words of the Preamble - “We the People of the United States.” Those words claim a unity that did not then exist. The Preamble that the delegates actually agreed to initially was “We the people of New Hampshire, Massachusetts...”, naming all the twelve states at the Convention. When the draft Constitution was turned over to the Committee on Style and Arrangement for editing, that opening sentence was changed by the chief draftsman who replaced the original list of the twelve states with the now-hallowed “We the People of the United States, ...”²

II. The Division of Sovereignty And The Separation Of Powers

James Madison and his allies at the Philadelphia Convention hoped to create a strong central government, but quickly realized that such hopes were illusory. Moreover, even the nationalists did not want to create too strong a government because they feared that it might threaten the liberties of the people. They certainly did not want to establish a very powerful executive, having just successfully rebelled against a king. Moreover, during the post-war years, Madison and some of the other delegates had come to distrust and fear the state legislatures because some of the laws they enacted seemed too radical to the delegates, many of whom, like Madison, were members of the propertied classes.

As a result, the charter of government created by the Founders divided the government between a limited national government whose authority extended only to those specific matters enumerated and expressly assigned to it by the Constitution, leaving to the states everything else except matters specifically denied to them, such as treaties with foreign nations.

The three branches of the national government were separated, but they were also intended to check each other’s actions to some extent. This was done by allocating to each branch of the national government some functions of the other. For example, Congress is given “All legislative Powers”³ but the President shares the legislative function by being given the power to veto legislation passed by Congress. It can override his veto but only by a super majority vote in each legislative chamber. The President can make treaties with foreign nations but for the treaty to go into effect, two thirds of the Senate must concur. He can appoint federal officers to help fulfill his duties, as well as federal court judges and Supreme Court Justices but only with the approval of a majority of the

¹ Jack N. Rakove, *Original Meanings* (New York, 1996), 47-48.

² Joseph J. Ellis, *American Dialogue* (New York, 2018), 238.

³ Art. I; “All legislative Powers herein granted shall be vested in a Congress of the United States...”.

Senate. The Supreme Court has the final word on the constitutionality of federal legislation but Congress can withdraw much of the Court's jurisdiction.

After laboring over a long, hot summer, on September 17, 1787, The Convention approved the Constitution we still have today, as supplemented by twenty-seven Amendments.

After a vigorous nation-wide debate, with very close votes in such key states as Virginia and New York, on June 21, 1788 the Constitution was finally adopted by nine states and went into effect.

Whatever the stated justification, many provisions of the Constitution can be explained only by the need to compromise in order to move forward. Some delegates like Alexander Hamilton were forced to accept provisions they considered wrong and even immoral, such as the special protections for slavery demanded by the Southern states. The need to placate the small states who wanted protection from the larger ones produced one of the most inefficient and most undemocratic aspects of the entire document: the decision to have a two – chamber legislature; with a House of Representatives allocated in accordance with the popular vote, and a Senate where each state would have two Senators and in which all the states would always have the same number of votes regardless of population.⁴ Originally the Senators were chosen by the state legislatures but in 1913, the Sixteenth Amendment changed this to popular election of Senators.

The permanent state equality in the Senate regardless of population, now called the “Great Compromise”, was strongly opposed by many of the Founders but without it, the Constitution would probably not have been adopted. Nevertheless it still remains something of a mystery why the smaller states were so fearful of the larger ones, since both then and since, many small states have more in common with neighboring and other large states with respect to economics, religion, culture, and life style, than they have with other small states.

For example, it recently been reported that Democratic states like New Mexico, New York, Illinois and Vermont are advancing legislation to a woman's right to an abortion. Vermont is the second smallest state, New Mexico is 15th from the bottom whereas New York is the fourth-largest state and Illinois is the sixth. By contrast, Texas, Louisiana and Oklahoma are all Republican-controlled antiabortion states in which the dominant industry is oil and gas. Texas is the second-largest state with 28 million people, whereas Louisiana has just 4.6 million people and Oklahoma has 4 million.

During the more than two centuries since 1787, the United States has gone from a largely agricultural and commercial society of about four million people scattered along the eastern seaboard, including about 700,000 black slaves, to a post-industrial nation of approximately 320 million covering most of the North American continent. Yet, the original six substantive provisions of the Constitution have been changed or enlarged with only 27 Amendments, ten of which – the Bill of Rights – were part of the original bargain and quickly adopted in 1791, and two of which cancelled out each other⁵. Although, the Founders would not recognize most of the constitutional principles and doctrines that currently govern the United States, the basic structure of the government they created over two centuries ago for that very different society still governs

⁴ Article V “No State, without its consent, shall be deprived of its equal suffrage in the Senate.”

⁵ Arts. VIII and XXI (Prohibition on sale of alcoholic beverages)

Americans today, which often makes it difficult and sometimes impossible to deal with the nation's current needs and problems.

A description of how a law is enacted may be helpful to demonstrate the problems. For a legislative proposal to become law, it must be introduced by a member of the House of Representatives or the Senate; the President himself may not introduce legislation. If approved by a majority vote in that chamber, it is then sent to the other chamber, where the exact same bill, including all periods, commas, etc., must again be passed by a majority. Many bills are introduced, pass one chamber, and are never even voted on in the other, particularly if the House and Senate are controlled by different parties, as is true today. Each chamber has equal power to adopt or reject all proposed legislation, over major differences or minor.

No other modern state with a two-chamber legislature grants to a legislative chamber that is not population-based, such as the British House of Lords, as much power over all legislation that the popularly elected branch has. Most, like the German Bundesrat, have a narrower jurisdiction, or like the British House of Lords have much less power than the popularly elected branch.⁶

For his part the President has the ability to block proposed legislation even when it is passed by both the House and Senate with overwhelming majorities. If the President vetoes the legislation, the veto can be overridden but only if 2/3 of each chamber votes to overturn the veto. Given America's closely divided two-party political structure an override rarely occurs, for Senators and Representatives from the president's own party rarely vote to override the President's decision. This, of course, gives the President enormous influence over the legislative process; the mere threat of a veto is often enough to affect the legislative outcome.

It is thus often very difficult to pass vitally needed legislation, especially if control of the three branches is divided. Almost all of the great legislative achievements of the 19th, 20th and 21st centuries were possible only when the President and his party had a large majority in both chambers of Congress.

The deep polarization that America is experiencing today has made it even more difficult to pass environmental, infrastructure, health care and other vital legislation. For example, in early January 2009 while the nation was undergoing the most severe economic crisis since the Great Depression, and before President Barack Obama was inaugurated, Republican Senate Minority Leader Mitch McConnell announced that his party would try to block every "substantive" measure proposed by the new president. As a result, during the last six years of President Obama's tenure, after he lost the very large congressional majorities the Democrats won in 2008, little important legislation was passed.

As the historian Arthur M. Schlesinger, Jr. commented a few years ago, "the tripartite separation of powers" in the American system has an inherent tendency toward inertia and stalemate.⁷ Others have been more blunt. Five days before a 2010 election, a Washington Post columnist reported that

⁶ Fact Sheet: Political System of Germany, Research Office, Legislative Council Secretariat (Feb. 18, 2015), <https://www.legco.gov.hk/research-publications/english/1415fsc05-political-system-of-germany-20150218-e.pdf>; Guidance, Legislative Process: taking a Bill through Parliament, Cabinet Office (Feb. 20, 2013), <https://www.gov.uk/guidance/legislative-process-taking-a-bill-through-parliament>. In France, both chambers must pass the identical legislation, but if there is an irreconcilable dispute, the National Assembly prevails.

⁷ Arthur M. Schlesinger, Jr. *The Imperial Presidency* (New York 1973)

"across the political spectrum there is a widespread feeling that Washington is broken beyond repair".⁸ 10 years later, public opinion polls show that that feeling has not changed.

The two Senator per state equality of the American Constitution is undemocratic as well as inefficient. The most fundamental principle in a democracy is that the vote of each citizen must be equal in importance and influence to every other. In our system, however, a senator from Wyoming, who represents fewer than 600,000 people has as much power over the ultimate passage of legislation as a senator from California who represents 40,000,000 constituents. The total population of the least populous 20 states is less than California's 40 million, but together those states have 40 of the 100 Senators. Theoretically, a bloc of Senators from the 26 smallest states representing fewer than 20% of the American people can block passage of a bill supported by Senators from the other 80% even though the population-based House may have passed the bill by an overwhelming vote reflecting almost universal support for the law. Since size rarely determines interest, there are few occasions where the 26 smallest states are likely to vote as a bloc, but 15 or fewer small states have often joined together with a few others and blocked action favored by a large majority of the country; gun safety rules are an example.

Another antidemocratic factor affecting the efficient functioning of the Congress is that current Senate rules allow unlimited debate on proposed legislation unless 60 Senators vote to end it; until 1917, there was no way to end debate if a handful of Senators refused to stop talking. This ability to talk a bill to death, called a "filibuster", was the primary weapon that a handful of Southern Senators used for over 120 years to block efforts to end slavery and racial discrimination, even when a large majority of the Senate, the House and the nation supported such legislation. That weapon is still available today, though it is now used primarily for other issues.

The two Senators per state rule also distorts presidential election outcomes. Americans do not elect a president directly. Instead, they choose so-called "electors" on a state-by-state basis. Each state is allocated a number of electors equal to the total of that state's two senators and the population-based representatives, and the candidate with a majority of electors wins the presidency, regardless of the popular vote outcome. This allows small states to benefit disproportionately. When states with unequal populations receive an equal number of electoral votes in addition to their population-allocated share, states with small populations gain a mathematical advantage. For example, in 2003 an electoral vote in Wyoming corresponded to only 167,081 persons, while a vote in California corresponded to 645,172 persons. The voter in Wyoming thus had four times as much influence in the 2004 presidential election as a Californian.⁹

Robert Dahl, America's leading student of democracy, has concluded that this method of selecting our president was created by "a group of baffled and confused men who finally settled on a solution more out of desperation than confidence".¹⁰

As the chart below shows,¹¹ since 1877 the popular vote winner has lost the presidency five times, twice since 2000, because of the Electoral College bias toward the small lightly populated states. In

⁸ Dan Balz, Washington Post, Oct. 28, 2010.

⁹ George C. Edwards Why the Electoral College is Bad for America (New Haven 2004), 38,39.

¹⁰ Robert Dahl, How Democratic is the Constitution (New Haven 2001), 66.

¹¹ Edwards supra at 45.

part because Democratic voters tend to live in cities in the larger states, in all five cases it was the

Table 2.2 Electoral College Reversal of Popular Vote Winners

Year	Candidate	Popular Votes		Electoral Votes	
		N	%	N	%
1876	Tilden (D)	4,287,670	50.9	184 ^a	50
	Hayes (R)	4,035,924	47.9	185	50
<i>Tilden</i> popular vote margin of 251,746. <i>Hayes</i> winner with electoral vote margin of 1.					
1888	Cleveland (D)	5,540,365	48.6	168	42
	Harrison (R)	5,445,269	47.8	233	58
<i>Cleveland</i> popular vote margin of 95,096. <i>Harrison</i> winner with electoral vote margin of 65.					
1960	Nixon (R)	34,108,157 ^b	49.3	219	41
	Kennedy (D)	34,049,976	49.2	303	59
<i>Nixon</i> popular vote margin of 48,181. <i>Kennedy</i> winner with electoral vote margin of 84.					
2000	Gore (D)	50,996,062	48.3	271	50
	Bush (R)	50,456,169	47.8	266	49
<i>Gore</i> popular vote margin of 539,893. <i>Bush</i> winner with electoral vote margin of 5.					

Democrats who lost.¹²

In 2016 Senator Hillary R. Clinton won nearly three million more votes than President Donald Jt. Trump but lost the Electoral College vote 227-304.

Today we have very partisan parties, contrary to the Framers' hopes, and when there is divided government, even if the opposition party controls all or only one chamber, the likelihood of gridlock and stalemate increases substantially.

III. The Presidency

The Framers believed that the Constitution they put together would produce a weak president and an aggressive legislature. At certain periods in our history, they succeeded, but overall, history has turned things upside down, as the United States transformed itself from a small agricultural society that tried to avoid "entangling alliances" to a superpower totally "entangled" in international affairs. Also contrary to the Framers' expectations, the national government has come to dominate the domestic scene. To "take Care that the Laws be faithfully executed"¹³ the president now commands a vast administrative apparatus involving millions of people.

¹² The 1876 election however, is generally considered to have been the result of a political deal between northern and southern politicians.

¹³ Art. II, §3, ¶3.

Even with George Washington, the most trusted public figure in America as the first incumbent, the Constitution actually assigns the president very few specific powers. In the Federalist Papers, Alexander Hamilton went to great lengths to show that the president does not have the extensive powers of the British king, such as the power to make foreign policy by himself, and lacked even the prerogatives of an American governor. Although the President was made Commander-in-chief of the armed forces, this was intended to give him only the powers of the "first General or Admiral".¹⁴ The power to declare war was given only to Congress, together with the related powers of raising and regulating the army, a navy and the state militia. Although the presidency was indeed intended to be "energetic"¹⁵ as Hamilton put it, this referred only to the energetic administration of the powers given the president, not to expand them; it clearly was not meant to imply the almost unlimited powers that some recent presidents have claimed both in peace and in war.

Nevertheless, Presidents have made themselves the nation's dominant figure to a degree envisioned by none of the Founders and feared by many of them. Even weak presidents have been able to achieve many of their goals in both domestic and foreign policy.

For example, Congress was expected to be the source of almost all legislation - and until the 20th century it was – but that is no longer true. Since the beginning of the twentieth century, Presidents have initiated most important legislation and today the president sets the legislative agenda.

Domestically, the president commands a huge administrative bureaucracy consisting of many millions of people affecting every aspect of American life. Almost all these agencies have very broad mandates and are led by officers appointed by the president in order to fulfill his policies. Thus, even if both houses of Congress are controlled by the opposition, these agencies can significantly implement his policies, even without legislation. For example President Donald Trump's appointees at the Environmental Protection Agency, have successfully overturned most of the of environmental policies adopted by President Obama and some of his predecessors.

Presidents have also resorted to numerous personal decision-making instruments such as executive orders, presidential memoranda, executive agreements, proclamations, and administrative directives that have the force of law.

Where foreign policy and national security are concerned, the president's powers are now almost monarchical, making a mockery of Hamilton's arguments described above. Only Congress may "declare war", but the last time Congress declared a war without having first been attacked (as in 1941), was 1917. Since then, and especially since the end of World War II, the United States has been involved in numerous armed conflicts in which tens of thousands of Americans have died and many thousands more have been wounded, without a single declaration of war. Although several of these conflicts, as in Iraq and Afghanistan, have been specifically authorized by Congress, most such interventions have not. Presidents have taken the US into armed conflict without congressional approval so often that it is now common to talk about the "imperial presidency". Congress has occasionally tried to restrain presidential power, but these efforts have usually failed. In fact, Congress can't do much to limit a president's foreign policy powers, for only the president has access to a vast amount of information and advice, as

¹⁴ The Federalist 69 (Jacob E. Cooke ed. Middletown, 1961), p. 465.

¹⁵ The Federalist 70, p. 471

well as the ability to act promptly and secretly, none of which Congress can match. And when bullets start to fly, it is very difficult for Congress to interfere.

The result of these developments is that today, we face a narrower but still acute version of the Framers' dilemma: how can Americans have a president strong enough to do what is necessary, but not so strong as to threaten the liberty of the people?

The Framers' solution was the checks and balances system as described above, but they did not foresee the rise of parties, which can nullify the intended effect of the separation of powers if the President and both Houses are from the same party as was true during President Donald J. Trump's first term.

One of the few significant checks on the President's power involves money. If a president's policy requires the expenditure of public funds, the Constitution gives to Congress and only to Congress "the power of the purse" to spend for the "general welfare"¹⁶ including the exclusive right to appropriate money from the Treasury.¹⁷ Both parties have taken the exclusivity of this delegation very seriously, and this has produced the latest dispute between the two branches of government.

President Trump's attack on illegal immigrants from the violence - torn countries in Central America dominated his presidential campaign. He has called illegal immigration a "national crisis" involving national security, drug smuggling, and violent crimes. The centerpiece of the campaign was a promise to build a concrete wall stretching 2000 miles across the entire southern border with Mexico, coupled with an assurance that Mexico would pay for it.

Not surprisingly, Mexico has refused to pay for the wall. Moreover, few outside the President's most committed supporters believe that a wall is necessary or even useful to stopping the flow of immigrants, drug trafficking or other evils. Congress has therefore consistently refused to provide the tens of billions of dollars such a wall would cost, even when both chambers were controlled by the President's own party. When the Democrats captured the House of Representatives by a decisive margin in November 2018, that ended the President's chances to obtain the money from Congress.

President Trump's first approach was to put pressure on Congress by shutting down much of the government just before Christmas, 2018, which imposed severe hardship on millions of Americans - 800,000 government workers, their families and many others. After that tactic failed and the government reopened on January 25, 2019, the President declared that there was a crisis on the border and he issued a Proclamation declaring a National Emergency at the border, which he claimed would enable him to use money for the wall that Congress had appropriated for other military construction.

Unlike most modern constitutions, the American Constitution does not provide for emergencies. Congress has, however, frequently passed statutes to deal with specific emergency situations, such as the aftermath of the September 11, 2001 attack, or a natural disaster like a hurricane, and a 1976

¹⁶ Arts. I, §8, ¶1

¹⁷ Art. I, §9, ¶7

statute - originally intended to limit the president's authority - does authorize him to exercise emergency powers if he specifies the particular statutes on which he relies.

At no time during the Trump presidency has Congress passed a law appropriating money for President Trump's wall, even when his party controlled both Houses of Congress. Even members of his own party have expressed dismay over the President's plan to divert funds that Congress appropriated for other military uses in order to construct his wall, and a Joint Resolution disapproving the President's Proclamation has been passed by the House of Representatives and has drawn support from a majority of the Senate even though the President's own party controls the Senate. Since the President will veto the Resolution, it will have no practical effect.

The President's Proclamation has precipitated a constitutional conflict, pitting the President against Congress and forcing the judiciary to decide the matter. Lawsuits challenging the Proclamation have already been filed by sixteen states, many persons owning land along the border, and by others directly affected by such a wall. Although these cases will almost certainly reach the Supreme Court, it may refuse to be drawn into so intensely political a controversy. Many observers consider likely such an outcome likely, especially since the Court may find itself called upon to evaluate the President's judgment that there really is a crisis at the border, a matter that American judges do not consider themselves qualified to judge. In that event, the issue will ultimately be decided by the victor in the 2020 presidential election.

IV. The Electoral System

It is self-evident that free, fair and reliable elections are possible only if a nonpolitical body is in charge of all aspects of the system. Actions by that body must be transparent, impartial and independent. Above all, it must be free at all times from any politically motivated intent or manipulation.

It is thus an unhappy paradox that what should be the most democratic feature of the Constitution - the provisions for voting - have turned out to pose some of the major threats to American democracy.

The American Constitution, even as amended, nowhere establishes a specific right to vote, in contrast to all modern democratic constitutions. The basic constitutional provisions governing federal elections are Article I section 2, which mandates that voters in federal elections shall have the same qualifications as those who vote in state elections, and Article 1 section 4, which authorizes state legislatures to regulate and administer federal elections, though subject to congressional supervision. Because the regulation and administration of elections can determine who wins and who loses, the inevitable result of section 4 is that what should be done by objective and nonpartisan administrators will inevitably be manipulated by partisan politicians to put and keep themselves in power.

Perhaps there was no choice back in 1787 about section 2. The states may not have been willing to allow the central government to be dependent on a set of voters different from those who vote in state elections, since in matters controlled by the central government, the federal electorate might adopt policies adversely affecting the states. But it is unfair to an American citizen who lives in a state that doesn't qualify him for voting in his state's elections, to also be denied the ability to

participate, if only through electing a representative, in making policy for the nation that may directly affect him, whereas an American citizen who happens to live in a state that does qualify him to vote in that state's local elections, is able to participate in the national election. They are both American, they both live under the same national law, but one can participate in shaping that law whereas the other cannot.

Section 4 may have been temporarily needed, because there was no federal administrative apparatus for the first few federal elections, and it would take a few years to establish one. Unfortunately, once state administration went into effect and parties arose, it became politically impossible to change the system, for no legislator would vote for a change if that might threaten his or his party's hold on political power at either the state or the federal level.

Relatively few people voted in the nation's early years since property and tax qualifications were widespread. By the 1840s, however, white male suffrage, (the only kind then allowed), approached 80% and more. At the same time, economic and other social divisions in the country widened and what one historian has described as "unjust distortions in the form of suffrage restrictions" proliferated.

Today, such distortions and many others are widespread. Although both parties try to shape electoral districts to favor themselves, during the last decade the Republican party has won control of many more state governments than the Democrats, and has therefore been far more effective in enacting voting laws in its favor. The Republican party has represented the propertied classes since the latter part of the nineteenth century, and the party has used this control to administer elections and pass laws to make it much harder for working people, the poor, minorities and young people to vote. For example, although most countries register people to vote at birth or otherwise make registration easy, in the United States the burden is on individual citizens to register when they become 18, and in many Republican-controlled states, this has been made very difficult. One recent government study found that more than 25% of American eligible voters are not registered to vote.¹⁸ Also, during the last 20 years, many Republican states have begun to require identification cards issued by a small number of government agencies. These cards are often very difficult and expensive for low-income Americans to obtain.

Another factor making it difficult for many Americans to vote is that voting in the United States is almost always on Tuesdays and is not a national holiday. Most working people cannot afford to take time off from work, nor are employers required to give them such time.

Because of these and many other voter suppression tactics,¹⁹ and because of the confusion and uncertainties that these tactics have generated, voting in the United States is much lower than in other countries. Only 60% of Americans usually vote, even in presidential elections, far fewer than in Canada, Mexico and most of Europe. In non-presidential elections, only a small number of Americans go to the polls.

¹⁸ Rakove supra at p. 243.

¹⁹ A summary of recent voter suppression tactics appears in a report by the US Commission on Civil Rights, An Assessment of Minority Voting Rights Access in the United States – 2018 Statutory Report.

Just as with voter qualifications, there is no good reason why voters in federal elections should have it easier to vote in one state than voters in another. Voting should be regulated and administered uniformly, under federal law and by federal officials.

In some respects voting inequities have been eliminated. Most importantly, the Constitution has been amended four times to ensure that "the right of citizens of the United States shall not be denied or abridged by the United States or by any State on account of race, color, or previous condition of servitude";²⁰ on account of sex;²¹ for failure to pay a poll tax or other tax;²² or account of age.²³ A Federal Voting Rights Act was passed in 1965 to protect racial and ethnic minorities but its most effective sections were nullified by the Supreme Court in 2013.²⁴ In almost all other respects, the opportunity to vote still depends on where one lives and on income.

Conclusion

Despite the intense political polarization and intense partisanship, for many years, public opinion polls have shown that the American people are fairly united on many crucial issues. As a recent article in the New York Times pointed out:

About 75 percent of Americans favor higher taxes for the ultrawealthy. The idea of a federal law that would guarantee paid maternity leave attracts 67 percent support. Eighty-three percent favor strong net neutrality rules for broadband, and more than 60 percent want stronger privacy laws. Seventy-one percent think we should be able to buy drugs imported from Canada, and 92 percent want Medicare [the federal health care program for older Americans] to negotiate for lower drug prices.²⁵

Despite this popular consensus our antiquated, and obsolete constitutional structure makes it easy for the rich and the powerful to prevent enactment of these policies into law.

²⁰ Amendment XV

²¹ Amendment XIX

²² Amendment XXIV

²³ Amendment XXVI

²⁴ *Shelby County v. Holder*, 133 Sup. Ct. 2612 (2013).

²⁵ Tim Wu, *What the Public Wants, It Doesn't Get*, New York, Times, March 5, 2019.

კონსტიტუციონალიზმი როგორც მეცნიერული პროექტი

პეტერ ჰებერლე

I. კონსტიტუციური ცხოვრების ფორმები და მათი მჭიდრო პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულება. 1) კოოპერაციული კოსმოპოლიტური კონსტიტუციური სახელმწიფო. 2) რეგიონალური, ტრანსნაციონალური, კონსტიტუციური გაერთიანებები, როგორც მეორე პოლიტიკური ფორმა ანდა კონსტიტუციონალიზმის სამართლებრივი კატეგორია. 3) კონსტიტუციური მომენტები საერთაშორისო სამართალში, როგორც კაცობრიობის კონსტიტუციური უფლებები. II. კონსტიტუციონალიზმის აქტორები. III. კვლევის მეთოდები კონსტიტუციონალიზმში. ინკურსი: აფრიკის კონსტიტუციონალიზმი ჩამოყალიბების პროცესში. მიმოხილვა.

შესავალი

განსაკუთრებული მადლობა ჩემს კოლეგებს - ლანჩესტერსა და ბალაგერს. პირველი დღევანდელი შეხვედრის „რომანული წარმმართველი სულია“, მეორემ კი - ჩვენს ჯგუფს, დაახლოებით ერთი წლის წინ, დაუვინყარი დღეები აჩუქა გრანადაში. ასევე, მადლიერებით მსურს გავიხსენო ორი წლის წინ მონპელიემში გამართულ კონფერენციაზე მყოფი კოლეგები რუსო, ვილა და პინონი. ყველა მომხსენებელი წარმოადგენს მკვლევართა გლობალურ ერთობას კონსტიტუციონალიზმის ეგიდით. ყოველი მათგანი მუშაობს წიგნზე: „კონსტიტუცია მსოფლიო დისკურსში“ (1999) და „კონსტიტუციური სახელმწიფოს სამყარო“ (2004). საკმარისია მხოლოდ ამ ორი სათაურის დამონშება ჩემი საიუბილეო გამოცემიდან. ჩვენ ვდგამთ ნაბიჯებს უნივერსალური კონსტიტუციური მოძღვრების გზაზე. მომხსენებლებმა შთამბეჭდავად მიმოხილეს კონსტიტუციონალიზმის წარსული, აწმყო და მომავალი. მე კი მხოლოდ ძალმიძს ცოტა რამ დავამატო მათ ნააზრევს, ვინაიდან, ვიმყოფები სიცოცხლის არა „შუასაუკუნეების მიწურულს“, არამედ „უძველესი ხანის დასასრულში“. რომი დღემდე იერუსალიმის, ათენის, ფლორენციისა და ბოლონიის კვალდაკვალ ევროპის სულიერების სიმბოლოა. მომავალ თაობას ევალება ამ მრავალფეროვანი კულტურის (აგრეთვე სამართლებრივი კულტურის) გაგრძელება; საბედნიეროდ, ამ კონფერენციას დღეს ახალგაზრდა კოლეგებიც ესწრებიან: თაობათაშორისი სამეცნიერო თანამშრომლობა კვლავ სიცოცხლისუნარიანია.

I. კონსტიტუციური ცხოვრების ფორმები და მათი მჭიდრო პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთდამოკიდებულება

საქმე ეხება კონსტიტუციონალიზმის მაღალ და უმაღლეს ღირებულებებს, როგორცაა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, სამართლიანობის პრინციპი, კონსტიტუციური სტრუქტურები, სოლიდარობა, საერთო სიკეთე, უსაფრთხოება და თანამშრომლობა; ეს ღირებულებები ქმნის მთელი მართლწესრიგის ფუნდამენტს და, ამავე დროს, აღაზღვევს მას, შეგვიძლია ვისაუბროთ „გამსჭვალულობაზე“ (იხ. ამასთან კავშირში, ასევე სკიული, „საზოგადოებრივი კონსტიტუციონალიზმის თეორია“, 1992; ვალკერი, „კონსტიტუციური პლურალიზმის იდეა“, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა 65 (2002), გვ. 317 და შემდგომ); მაშასადამე, კონსტიტუციონალიზმი სამართლის სხვადასხვა დარგში განსხვავებულად განისაზღვრება, მატერიალურ და პროცესუალურ ფორმად ანდა სტრუქტურად - ძალაუფლების შებოჭვისა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით, ასევე მშვიდობის დასამყარებლად; ამასთან, იგი მუდმივი ანუ ინსტიტუციონალიზებულია; და ბოლოს, კონსტიტუციონალიზმი ეროვნული, რეგიონალური და უნივერსალურია და, ამდენად, სივრცობრივად განსაზღვრული. გამონაკლისის სახით რიხარდ ვაგნერის პერეფრაზირებას რომ მივმართოთ, სივრცეს უხდება დრო. კონსტიტუციონალიზმი როგორც კულტურა - საკმაოდ შრომატევადი - ისტორიული პროცესი გახდა; ამის დასტურად, უპირველეს ყოვლისა, საკმარისია გადავხედოთ 1776, 1787, 1789, 1848 წლებში ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში მიღებულ კონსტიტუციებს, ასევე საინტერესოა ლათინური ამერიკის კონსტიტუციები, რომლებიც მე-19 საუკუნეშია მიღებული; 1945 წლის შემდეგ იზრდება კონსტიტუციონალიზმი აფრიკასა და აზიაში. ლათინური ამერიკა დღეს ჩვენს წრეში წარმოდგენილია სახელგანთქმული კოლეგებით. ესენია პერუდან ბელონდესი, ბრაზილიიდან მენდესი, მექსიკიდან ვალადესი. მიუხედავად მრავალი ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო კრიზისებისა, კონსტიტუციონალიზმი თანამედროვე მსოფლიოში ცოცხლობს და კვლავ მომავლის დღის წესრიგშია. ბრწყინვალე რეფერატებმა მრავალი თემა წამოწიეს. ზოგიერთი მათგანი კრიტიკულად საუბრობს „ჰიპერკონსტიტუციონალიზმის“ შესახებ (იხილეთ ფიშერი, „ალსრულების ხელმისაწვდომობა, როგორც ძირითად უფლებებში ჩარევა“. ამასთან, "მარტივი საპროცესო სამართლის ჰიპერკონსტიტუციონალიზმის კრიტიკა", 2006), უპირველეს ყოვლისა, ევროპის კავშირის მაგალითზე, ანდა „დეკონსტიტუციონალიზმის“ შესახებ (შეადარეთ ვოლენშლეგერი, „ადმინისტრაციული სამართლის კონსტიტუციონალიზაცია და დეკონსტიტუციონალიზაცია ევროპეიზაციისა და ემანსიპაციის მაგალითზე“; ევროპული ადმინისტრაციული სამართლის მიმოხილვა. 10 (2017), გვ. 7 და შემდგომი გვერდები).

ქვემოთ განვიხილავთ კონსტიტუციონალიზმის სამ ფორმას სამ კულტურულ სივრცეში და მათ მჭიდრო პოლიტიკურ და სამართლებრივ-თანამშრომლობით ურთიერთდამოკიდებულებას. პირველ რიგში უარყოფილია გავრცელებული ცნება - „მრავალდონიანი კონსტიტუციონალიზმი“ (მაგალითად, პერნიცესთან). მისეული იერარქიული სტრუქტურა კითხვის ნიშნებს ბადებს. „კონსტიტუციური მომენტები“ საერთაშორისო სამართალში (შთაგონებულია ამერიკელი კონსტიტუციონალისტის აკერმანისა და ასევე კოტცურის ნაშრომებით, "კონსტიტუციური მომენტები? მოსაზრებები საერთაშორისო სამართლის ცვლილების შესახებ": არნოლდის რედაქციით, საერთაშორისო სამართლის ისტორია. ისტორიული ნარატივები და კონსეფციები ცვლილებაში, 2017, გვ. 100 და შემდგომ) არ დგას უფრო "მაღლა", ხოლო ეროვნული და რეგიონალური საკონსტიტუციო სამართალი უფრო „დაბლა“, არამედ აქ საქმე გვაქვს დიფერენცირებულ ურთიერთმემავსებელ ურთიერთობებთან (მთავარი ცნებები: კომპლემენტარობა და კოოპერაცია) - ეს ყოველივე ემსახურება ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო მშვიდობას. კონსტიტუციონალიზმი საზოგადოებას ღია საზოგადოებად აქცევს და იმპულსებს აძლევს იდეებისა და ინტერესების პლურალიზმს. და: „კონსტიტუციის“ ცნება უნდა აიხსნას მისი ძალზედ გერმანული ფიქსაციით სახელმწიფოზე. კერძო სამართალს და სისხლის სამართალს, მიუხედავად „კონსტიტუციის პრიმატისა“, აქვთ საკუთარი ინდივიდუალობა და სამართლებრივი სინამდვილე.

1) კოოპერაციული კოსმოპოლიტური კონსტიტუციური სახელმწიფო

კოოპერაციული კოსმოპოლიტური კონსტიტუციური სახელმწიფო, რომელიც 1978 წლიდან თეორიულ დაშვებას და მეცნიერულ იდეალს წარმოადგენს, არსებობს თავისი ტიპური შინაარსით, ძალაუფლების გამიჯნით და სამართალწარმოებით (გერმანიისთვის: კონსტიტუციის 1-ლი, მე-20 და 92-ე მუხლები), განსაკუთრებით კი მესამე ხელისუფლების, როგორც ძირითადი უფლებების „საბოლოო“ გარანტის დამოუკიდებლობით. სმენდისა და არნდტის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, კოოპერაციულ კოსმოპოლიტურ კონსტიტუციურ სახელმწიფოში სახელმწიფო არსებობს იმ დოზით, რამდენსაც ადგენს კონსტიტუცია. მე-19 საუკუნის გერმანულ კონსტიტუციონალიზმში ეს ასე არ იყო (მთავარი ცნებები: მთავრის სუვერენიტეტი, მონარქიის პრინციპი, პირობითად შეუზღუდავი სახელმწიფო ძალაუფლება, შესაბამისად შეზღუდული ძირითადი უფლებები, ფენები ანდა პარლამენტი). დღეს კონსტიტუციურ სახელმწიფოს, რომელიც ჩართულია არაერთ კოოპერაციულ ქსელში, იმთავითვე მოვიაზრებთ როგორც მოქალაქეთა კონსტიტუციურ დემოკრატias. მოქალაქენი „თავიანთ თავს მიანდობენ“ თავის კონსტიტუციას,

როგორც ეს ცალსახად წერია აღმოსავლეთ გერმანიის მიწების ახალ კონსტიტუციებში. ადამიანის ღირსების გარანტია, რომელიც მოცემულია კონსტიტუციის 1-ლ მუხლში, პლურალისტური დემოკრატიისთვის არ არის ხელმისაწვდომი - ეს არის ზღვარი ხალხის მმართველობისთვის, რომელიც საერთოდ ინვესტ ეჭვს. პლურალისტური დემოკრატია წარმოადგენს ადამიანის ღირსების ორგანიზაციულ შედეგს. თავისთავად ცხადია, ვერ ვუარყოფთ, რომ ზოგიერთ კონსტიტუციურ სახელმწიფოს აქვს ტენდენცია ავტორიტარული სტრუქტურების ჩამოყალიბებისკენ (მაგალითად, თურქეთი, უნგრეთი, ეგვიპტე და განსაკუთრებით კი, სოციალისტური ვენესუელა). კოოპერაციული კონსტიტუციური სახელმწიფო საკუთარ ეროვნულ კონსტიტუციას დღეს მხოლოდ ნაწილობრივ ახორციელებს. 2001 წელს ამ სტატიის ავტორმა გერმანიისა და ევროპის კავშირის სხვა ქვეყნებისთვის შემოიტანა ცნება „ნაწილობრივი ეროვნული კონსტიტუციები“, რომელიც შევსებულია ნაწილობრივ ევროპის საკონსტიტუციო სამართლის კონსტიტუციებით, ნაწილობრივ გადაფარულია და ნაწილობრივ კი, აკუმულირებულია (დამატებით იხილეთ ჰებერლე/კოტცური, ევროპული კონსტიტუციის მოძღვრება, მე-8 გამოცემა, 2016). კოოპერაციული კონსტიტუციური სახელმწიფო ან "საერთაშორისო სამართლისადმი გახსნილობა" (გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო) ხიდება დებს საერთაშორისო სამართალთან, ხოლო ევროპის შემთხვევაში, ამას, ასევე ახდენს „ევროპული სამართლისადმი გახსნილობა“. სიმსონი საუბრობდა „სახელმწიფოს ზეეროვნულ პირობითობაზე“. დღეს კოოპერაციული კოსმოპოლიტური კონსტიტუციური სახელმწიფო განპირობებულია საერთაშორისო სამართლის ნაწილობრივი კონსტიტუციებით და, შესაბამისად, ევროპული საკონსტიტუციო სამართლით.

განსაკუთრებით უნდა ვახსენოთ არასამთავრობო ორგანიზაციები, რამდენადაც მათთვის, ჯერ კიდევ, არ არსებობს კონსტიტუციის თეორია (იხ. ჰემპელი, "საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტობა", 1999). მათი საქმიანობა საბუთია ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო კონსტიტუციონალიზმის ღიაობისა. არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედებენ ეროვნულ, რეგიონალურ ან/და საერთაშორისო დონეზე. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: საერთაშორისო წითელი ჯვარი დღეს: „ექიმები საზღვრებს გარეშე“, „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე“, ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზაციები, მალტის დახმარების სამსახური, საერთაშორისო ამნისტია, გრინფისი, თეთრი ჩატხუტები და ოქსფამი, საერთაშორისო გამჭვირვალობა, „რობინ ვუდი“, WWF, ჰუმან რაიტს ვოჩი. მათი სტრუქტურა, ამოცანები და საზღვრები განსხვავებულია. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა, პრინციპში, დადებითად უნდა შეფასდეს, თეორიულად ახალი კონსტიტუციების ტექსტებშია კლასიფიცირებული და წარმოადგენენ „სამოქალაქო საზოგადოებებს“

(სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის განსხვავების უწყვეტი განვითარება ჰეგელის მიხედვით). აქვე შედის კლასიკური მოხალისეობა. საერთო ჯამში, აქ საქმე გვაქვს კვლევის მდიდარ სფეროსთან, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს კონსტიტუციონალიზმზე. ავტორიტარული სახელმწიფოები ამიტომაც აჩუმებენ, კრძალავენ ან ზღუდავენ არასამთავრობო ორგანიზაციებს (როგორც ეს ხდება რუსეთში, უნგრეთსა თუ ეგვიპტეში), რადგან ისინი განსაკუთრებულ საზოგადოებებს ქმნიან. რამდენიმე სიტყვა კონსტიტუციური სახელმწიფოს და დემოკრატიის კრიზისთან დაკავშირებით, რომელიც განიხილება „პოპულიზმის“ მთავარი ცნებით (იხ. ასევე ვილენგა/ჰარტლები, „პოპულიზმი თანამედროვე დემოკრატიაში“, 2011). აქვე უარს ვამბობ სიტყვა „პოპულუს/populus“ დავუთმო პოპულიზმს. გავიხსენოთ ციცერონი: სახელმწიფო ხალხის საქმეა ან რომაული „სენატი რომის ხალხია“. მრავალ კონსტიტუციაში ცნობილ ჩანაწერს „ჩვენ ხალხი“, მათ შორის ბერლინის რაიხსტაგზე არსებულ დევიზს „გერმანელ ხალხს“, ასევე მესამე ხელისუფლების მიერ „ხალხის სახელით“ გამოტანილ გადაწყვეტილებებს მათვე უნდა ვუმაღლოდეთ. პოპულიზმი შემდეგით ხასიათდება: იგი მტრულადაა განწყობილი ინსტიტუციების მიმართ, ანტიპლურალისტური, ანტიპარლამენტარული და ანტიელიტარულია. იგი მომდინარეობს ჰომოგენური ხალხის ნების ფიქციიდან.

2) რეგიონალური, ტრანსნაციონალური, კონსტიტუციური გაერთიანებები, როგორც მეორე პოლიტიკური ფორმა ანდა კონსტიტუციონალიზმის სამართლებრივი კატეგორია

აქაც ოთხი ჩამოთვლილი მახასიათებელი მოიაზრება. მაგალითებად მოყვანილია ევროპის კავშირი, სამხრეთ კონუსის ქვეყნების საერთო ბაზარი, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია და აფრიკის კავშირი. ყველა 1945 წლის შემდგომ განვითარდა. ევროპის საბჭო, სამხუხაროდ, ხშირად ევროპის კავშირის ჩრდილში ექცევა, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია „ევროპის კონსტიტუციის“ ცენტრალური შემადგენელი ნაწილის „ცოცხალი ინსტრუმენტი“ (მთავარი ცნებები: ევროპეიზაცია როგორც კონსტიტუციონალიზმება). გავიხსენოთ „ერთიანი ევროპული საკონსტიტუციო სამართლის“ კვლევა-ძიება (1991), ისევე, როგორც ევროპის შესახებ ეროვნული კონსტიტუციების, იტალიისა და ესპანეთის რეგიონული კანონების მუხლები (მთავარი სიტყვა: „ევროპის ეროვნული საკონსტიტუციო სამართალი“). ევროპის კავშირის გამაერთიანებელი ხასიათი სამართლიანადაა ხაზგასმული. განსაკუთრებით ინტენსიური და ღრმაა იგი, აპელირებს ცნებებით „სახელმწიფოთა კავშირი“, „კონსტიტუციური კავშირი“ ანდა „კონსტიტუციური გაერთიანება“ (ჩემი მხრიდან თეორიული შემოთავაზება). ნაწილობრივ შეინიშნება

ძალაუფლებათა გამიჯვნის წინაფორმები, მაგალითად ევროპის კავშირში. შთამბეჭდავია მდგრადი შემოჭრა ევროპული ანდა საერთაშორისო საკონსტიტუციო სასამართლოების მხრიდან. ჩემი აზრით, საქმე არ ეხება „მეტ ევროპას“ საბანკო ანდა ტრანსფერების კავშირის მაგალითზე. არამედ, აუცილებელია სუბსიდიურობის პრინციპის აღდგენა. მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიაში უნდა ვუმაღლოდეთ ამისთვის კათოლიკურ სოციალურ მოძღვრებას. დღევანდელ კრიზისში წინა პლანზე ბრუნდება კარგად ცნობილი იდეა „სხვადასხვა სისწრაფის ევროპის“ ანდა „ცვალებადი გეომეტრიის“ თაობაზე. მრავალი კრიზისის გათვალისწინებით, ევროპის კავშირს სრული საფუძველი აქვს, მიუთითოს საკუთარ მდიდარ კულტურულ საფუძვლებზე (ევროპის კავშირის ხუთ კრიზისთან დაკავშირებით იხ: ამავე სახელწოდების ჩემი სტატია: კონსტიტუციის გზები, 2015, გვ. 319 და შემდგომ). შექების ღირსია საფრანგეთის პრეზიდენტის მაკრონის წინადადება 20 ევროპული უნივერსიტეტის დაფუძნების თაობაზე.

წარმოთქმული იყო საჯარო სიტყვა ბრექსიტის უბედურების შესახებ (ველფენსი, ბრექსიტი შემთხვევით. ევროპის კავშირი დეზინტეგრაციასა და ახალ ევროპის კავშირს შორის, 2017): დიდი ბრიტანეთის გასვლა ევროპის კავშირის კონსტიტუციური გაერთიანებიდან გამონაკლისად უნდა დარჩეს, ხოლო, კულტუროლოგიური თვალსაზრისით, ეს დიდი უიღბლობაა. ბრიტანეთი, თავის მხრივ, ასაზრდოებს „გლობალური ბრიტანიის“ ილუზიას. აღარ ახსოვთ, რომ ბრიტანეთის იმპერია დღეს მხოლოდ საკუთარი თავის აჩრდილია. გაამართლებს კოლოპერაციული ბრექსიტი? დარჩება სულ მცირე უსათრთხოების პარტნიორობა და საბაჟო კავშირი დიდ ბრიტანეთსა და ევროპის კავშირს შორის? შესაძლოა ბრექსიტმა 27 დანარჩენი წევრი სახელმწიფოს ერთმანეთისადმი მეტ სოლიდარობაზე იმოქმედოს? ნებას ვითხოვ ამგვარი პროვოკაციისათვის, იგი ტკივილითაა გამოწვეული, რადგან დიდი კულტურა დაკვარგეთ (მთავარი ცნებები 2016 წლიდან: „ევროპული სამართლის მეცნიერება როგორც კულტუროლოგია“). დავფიქრდეთ დიდი ბრიტანეთის, როგორც ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს პრაგმატული გამოცდილების შესახებ. უნდა გავიმეორო, რომ ჩემ მიერ დასახელებული ოთხი მახასიათებელი, რომლითაც მეცნიერულად უნდა მივუდგეთ კონსტიტუციონალიზმს, მოქმედებს ასევე რეგიონალურ, ტრანსნაციონალურ გაერთიანებებში: მაღალი ფასეულობები, უმაღლესი ღირებულებები, როგორც მართლწესრიგის დამკვიდრების, ამავდროულად აღზევებისა და ცხოვრებაში განხორციელებისთვის, სამართლებრივად დადგენილი ფორმა, პრინციპულად „ინსტიტუციონალური“ მდგრადობა და მოქმედება სივრცეში: ეროვნულ, რეგიონალურ ანდა უნივერსალურ დონეზე. ეს ყოველივე უნდა ემსახურებოდეს საყოველთაო მშვიდობას: ხსენებულ სამ კულტურულ სივრცეში.

3) კონსტიტუციური მომენტები საერთაშორისო სამართალში, როგორც კაცობრიობის კონსტიტუციური უფლებები

საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზება დღეს ყოველმომცველი ცნებაა. განსაკუთრებით კი კოტცურმა კონკრეტულად გადაამუშავა ეს საკითხი „სამართლებრივი სახელმწიფო საერთაშორისო სამართალში“ (M. Kotzur, FS für E. Klein, 2013, გვ. 797 და შემდგომ). უნდა გავიხსენოთ ჩემი სწავლება „ნაწილობრივი კონსტიტუციების“ შესახებ: გაეროს წესდება (1945), უენევის (1907), ჰააგის (1945) და ვენის კონვენციები (1961/69), საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტი (1998/2002) და გაეროს ტრიბუნალის ორგანიზაციული ფორმა ნაწილობრივი კონსტიტუციებია. იგივე ითქმის საერთაშორისო საზღვაო სამართლის კონვენციის, როგორც „ზღვის კონსტიტუციის“ (1982), გაეროს ადამიანის უფლებათა პაქტებისა და სამართლის ზოგადი პრინციპების შესახებ (იხ. ჩვენი მოსამზადებელი სამუშაო, მაგალითად, მოგონებები ბარანკო ველაზე, ტომი პირველი. 2015 წელი. 45-ე გვ. და მომდევნო გვერდები). უნდა გავიხსენოთ, ასევე კოსმოსის სამართალი წარმოდგენილ ტექსტებში, ისევე როგორც „გლობალური საზოგადოების ეროვნული საკონსტიტუციო სამართალი“, ანუ კონსტიტუციური სახელმწიფოს ტექსტები, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობას, ადამიანის უფლებებსა და ჰუმანურობას შეესატყვისება (მაგალითად, პრეამბულა და ძირითადი კანონის პირველი მუხლის მე-2 ქვეპუნქტი და შვეიცარიაში ფედერალურ და კანტონების დონეზე). აქ თავს იყრის ჩემი ოთხივე კატეგორია „კონსტიტუციონალიზმის“ ცნებისთვის. თავისთავად, სამწუხაროდ, არსებობს გასვლის შემთხვევები: მაგალითად, აშშ-ის გასვლა UNESCO-დან ანდა გარემოს დაცვის პარიზის კონვენციიდან. ე.წ. ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ გაეროს კონვენცია მომავლის საწინააღმდეგო აქტია. საერთაშორისო საკონსტიტუციო სასამართლოების მნიშვნელოვან შემოჭრაზე იყო კვლავ საუბარი (ბოგდანდი/ვენცკე, „ვისი სახელით?“ - საერთაშორისო სასამართლოები გლობალური მმართველობის პერიოდში, 2014).

მრავალი თემა გადადის მთლიანად ან ნაწილობრივ ეროვნული კონსტიტუციური სახელმწიფოდან საერთაშორისო სამართალში და მისი ნაწილობრივი მონესრიგების ქვეშ ექცევა. ამის მაგალითია 1976 წლის ადამიანის უფლებების ორივე პაქტი (ოქმებითურთ): რომლებიც გამსჭვალულია 1776 და 1789 წლების და სხვა დიდი ტექსტების სულისკვეთებით და, ასევე ადამიანის უფლებების სხვა მრავალი კატალოგი, განსაკუთრებით კი, ბოლო დროის სამართლებრივი სახელმწიფოს მოზაიკა - საერთაშორისო სასამართლოების მზარდი რიცხვის გათვალისწინებითა და ძალაუფლებათა გამიჯვნის ელემენტებით (სასამართლოს დამოუკიდებლობა). ნაწილობრივი კონსტიტუციები ამ გაგებით, უპირველესად, არის გაეროს წესდება (1945) და გაეროს მრავალრიცხოვანი კონვენციები. უნდა ვახსენოთ

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის (1966), წამების აკრძალვის (1984), ბავშვთა უფლებების (1989), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ კონვენციები (2006), ასევე საერთაშორისო სასამართლოების სტატუტები, როგორცაა გაეროს საერთაშორისო სასამართლო ჰააგაში (1945) და საერთაშორისო საზღვაო სასამართლო ჰამბურგში.

ცნება „ნაწილობრივი კონსტიტუციები“ გამოიყენება განსაკუთრებით საერთაშორისო სამართლისთვის: ხელშეკრულებები, ფაქტობრივად და სამართლებრივად, კონსტიტუციის მსგავსად, ხანგრძლივი მოქმედებისაა. შემდეგი მთავარი ცნებებია სამართლის მოქმედება სივრცეში. მსოფლიო საზოგადოების მიერ აღებული თემების მნიშვნელობა, მათი ფასეულობა ცალსახაა, ასეთია კონვენცია გენოციდის წინააღმდეგ (1948), ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა დაცვის (1973), საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და საერთაშორისო გარემოს დაცვის კონვენციები (1979/85/87/92/97). საქმე გვაქვს საორიენტაციო ღირებულებებთან, იდეალებთან ანდა მაღალმნიშვნელოვან პრინციპებთან, როგორცაა სამართლიანობა, მსოფლიო მშვიდობა, კაცობრიობის ინტერესები, ადამიანის ღირსება, რომლებიც ნაწილობრივ გამომდინარეობს ეროვნული საკონსტიტუციო სამართლიდან. ასევე უნდა გავიხსენოთ ლტოლვილთა საერთაშორისო-სამართლებრივ სტატუსში (1951/67) არსებული სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ელემენტები, ისევე როგორც სავალდებულო საერთაშორისო სამართლის გვერდით არსებული სამართლის ზოგადი პრინციპები, მაგალითად, კეთილსინდისიერების პრინციპი; იგი დაცულია ცალსახად ცალკეულ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში (1945 წლის გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცი, ხელშეკრულებების შესახებ ვენის 1961 წლის კონვენციის 31-ე მუხლის პირველი აბზაცი) და აღიარებულია კლასიკურად ეროვნული სახელმწიფოების კერძო სამართლის დიდი კოდიფიკაციების პერიოდებიდან. ეს ნორმები იმიტომაცაა კონსტიტუციური, რომ კონკრეტულ დარგში ან სივრცეში ძალაუფლების ყოველი ტიპის შეზღუდვას ცდილობს. „სტიმული ან ბარიერი“ არის სმენდის კონსტიტუციური გაგების ელემენტი. იგივე ითქმის მრავალი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპის, აგრეთვე კონსტიტუციის შოინერსისეული გაგების მიმართ, კონსტიტუცია როგორც „ნორმა და ამოცანა“; ამ შემთხვევაში: საერთაშორისო სამართალი, როგორც ნორმა და ამოცანა, რომელიც აიყვანება „საერთაშორისო სამართლის პოლიტიკამდე“, რომელიც მინდობილი აქვს მრავალ აქტორს, მათ შორის იურისტთა კომისიებს „საერთაშორისო სამართლის კომისიის“ ჩათვლით.

აღსანიშნავია დიფუზია საერთაშორისო სამართლის ნაწილობრივ კონსტიტუციებსა და ეროვნულ ნაწილობრივ კონსტიტუციებს შორის. ვაკვირდებით სამართლის პრინციპების ურთიერთკავშირს, აღებ-მიცემობას კოოპერაციულ, კოსმოპოლიტურ

კონსტიტუციურ სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართალს შორის. გავიხსენოთ ბავშვთა უფლებები, მონობის აკრძალვა, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა. მონმენი ვართ კლასიკური შიდა და გარე სქემების მოდიფიცირების. ტრადიციული გათიშვის აზროვნებამ თავისი დრო მოჭამა. შედეგად შემოდის სუბიექტური საერთაშორისო სამართალი (პეტერსი). ჯერ კიდევ, 1997 წელს განვაავითარე მსოფლიო ადამიანის სტატუსის (status mundialis hominis) თემა.

განსაკუთრებით უნდა განვიხილოთ პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთ-დამოკიდებულება კონსტიტუციური ცხოვრების სამ ფორმას ანუ სამ კულტურულ სივრცეს შორის. არსებობს მჭიდრო ქსელები, ინტერაქციები და დიფუზიური პროცესები, ასევე მითითება და განახლება, მიგრირება და მიკვლევა კოოპერაციულ კონსტიტუციურ სახელმწიფოსა, ერთი მხრივ, და რეგიონალურ, ტრანსნაციონალურ კონსტიტუციურ გაერთიანებებს ანდა სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობას შორის, მეორე მხრივ (მთავარი ცნებები 1978 წლიდან: „ლიაობა“). ჩვენ ვაკვირდებით ტექსტების და სასამართლო გადაწყვეტილებების კოსმოსურ და ტრანსფორმაციის პროცესს, ასევე პოლიტიკასთან მიმართებით. ადამიანის უფლებების იდეა ეროვნულიდან საერთაშორისო კონტექსტში „გადავიდა“. ევროპის კავშირის ძირითადი უფლებები მრავალი ეროვნული მოდელისა და მათი კონსტიტუციური სინამდვილისკენაა ორიენტირებული. ისინი, თავის მხრივ, ეროვნულ კონსტიტუციებზე უკუქმედებენ. იგივე ითქმის ძალაუფლებათა გამიჯვნის წინაფორმაზე, კერძოდ ე.წ. ინსტიტუციონალურ წონასწორობაზე ევროპის კავშირში. კონსტიტუციონალიზებულ საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე ვხედავთ ამოცანათა მდიდარ კატალოგს, რომლებიც არსებობს ეროვნული კონსტიტუციური პროტორმებიდან და სამაგალითო მოდელებიდან. დემოკრატიის ელემენტი შეიმჩნევა გაეროშიც კი (გენერალური ასამბლეა, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო აქენევაში), განსაკუთრებით ევროპის კავშირში ევროპის პარლამენტის სახით. ცხადად ჩანს წარმოებისა და რეცეფციის სამართლებრივი პროცესი ხსენებულ სამ კონსტიტუციურ მოდელს ანდა კულტურულ სივრცეს შორის მესამე ხელისუფლებასთან მიმართებით. საერთაშორისო სასამართლოები და მათი შემოჭრა, როგორც საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზების მექანიზმი, ძნელია გადაჭარბებულად შეფასდეს. საუბრობენ უკვე საკონსტიტუციო სასამართლოების „დილოგზე“ (იხ. ასევე ფოსკულე, ევროპული საკონსტიტუციო სასამართლოთა კავშირი, სახელმწიფო სამართლის ჟურნალი. 2010, გვ. 1 და შემდგომ). სასამართლოს განსაკუთრებული მოსაზრება, როგორც „ალტერნატიული სასამართლო პრაქტიკა“, გრძელვადიან პერსპექტივაში სასარგებლოა. უნივერსალური იურისპრუდენცია შესაძლებელი ხდება, უპირველესად კი, განმარტების მეთოდებით.

დისკუსია მიმდინარეობს იმის თაობაზეც, თუ რამდენადაა საჭირო საერთაშორისო სასამართლოებში ეროვნული მოსამართლეების განწესება. ჩემი აზრით, საჭიროა.

უნდა ვახსენოთ, სამწუხაროდ, ასევე კონსტიტუციონალიზმის კრიზისები და გამოწვევები სამივე სამართლებრივად სტრუქტურირებულ კულტურულ სივრცეში. გავიხსენოთ საერთაშორისო ტერორიზმი, გლობალური საფინანსო კრიზისები, ფინანსური კაპიტალიზმის გადაჭარბებული მომჭირნეობა, კლიმატის აშკარა ცვლილება, აღზევებული აგრესიული ნაციონალიზმი, ინტერნეტი როგორც ლეგალური და სახელმწიფოსგან თავისუფალი სივრცე, მზარდი კორუფცია, საერთაშორისო საგადასახადო სავანეები, „ყალბი ინფორმაციის“ გავრცელება და სიძულვილის ენა, ევრეთნოდებული ისლამური სახელმწიფო, ომები, შიმშილი, კიბერთავდასხმები, მიგრაციის ტალღები, სამხედრო ხარჯების ასტრონომიული ზრდა და არც თუ უკანასკნელ შემთხვევაში, უკანონო სეპარატისტული მცდელობები, როგორცაც ადგილი ჰქონდა კატალონიაში, სახიფათო „პარალელური საზოგადოებები“, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მშვიდობიან თანაარსებობას (მაგალითად, ისლამის პარალელური მართლმსაჯულება გერმანიაში, გეტოები დანიაში). კონსტიტუციონალიზმი, პოლიტიკური და მეცნიერული თვალსაზრისით, უდიდესი გამოწვევები წინაშეა, ისევე როგორც ბაზრის შეზღუდვის მხრივ, რომელიც მხოლოდ ინსტრუმენტული მნიშვნელობისაა და თვითმიზანს არ წარმოადგენს. გეოპოლიტიკურ ძალთა ცვლილებებზე აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს შორის საერთოდ არ ვსაუბრობთ. მხოლოდ „მსოფლიო სულს“ შეუძლია გაიგოს ეს სურათი მთლიანობაში. შეგვიძლია მხოლოდ მივყვეთ ნაბიჯ-ნაბიჯ და შევიმუშავოთ ზუსტი რეფორმები ევროპის კავშირში მაგალითად, მკაფიო გამიჯვნა თავშესაფრის მაძიებელთა და მიგრანტებს შორის. ჩვენს კონტინენტზე ევროპისადმი კრიტიკულად განწყობილი პარტიების მზარდი რიცხვი უარყოფით ანოტაციას იძლევა.

II. კონსტიტუციონალიზმის აქტორები

კონსტიტუციონალიზმის ჩემეული თეორიის სტრუქტურაში მოხსენიებულია აქტორები, ანუ მოაზროვნე ადამიანები, ქმედითი ორგანოები და ინსტიტუტები. ისტორიულად აქ, უპირველესად, დიდ როლს თამაშობს ეროვნული სახელმწიფო, რომელიც ისტორიის მსვლელობაში გადაიქცა კონსტიტუციურ სახელმწიფოდ. ცალკეულ სახელმწიფოთა პოლიტიკოსები, რეგიონალური, ტრანსნაციონალური კონსტიტუციური გაერთიანებებისა და საერთაშორისო სცენის პოლიტიკოსები მოხსენიებული არიან აქტორებად კონსტიტუციონალიზმის მზარდ პროცესებში. გაერო მნიშვნელოვანი აქტორია, მისი ორგანოებით და თანამშრომლებით, თუმცა უშიშროების საბჭო ნიუ-ორკში ხშირადაა ბლოკირებული. ეროვნულ დონეზე უნდა გავიხსენოთ ის აქტორები, რომლებმაც, „მამისა და დედის“ მსგავსად, განავითარეს

თავიანთი კონსტიტუციები. ვცხადებ აშშ-ს ფედერალისტურ წერილებს და ბონის 1949 წლის საპარლამენტო საკონსტიტუციო საბჭოს წევრებს: ესენია კარლო შმიდი და ჰოისი. არ უნდა დავივიწყოთ ევროპაში ვენტოტენეს მანიფესტის (1945) იტალიელი ავტორები, ასევე დიდი ევროპელი პოლიტიკოსები: დე კასპერი, ჩე დე გაულე, ჟან მონეტი და კოლი, ასევე ჰალშტაინი და დელორსი. აუცილებლად უნდა ვახსენოთ დიდი სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებმაც თავიანთ ხალხს კონსტიტუციური თავისუფლება მოუტანეს, ღია საზოგადოება ჩამოაყალიბეს და, ამდენად კონსტიტუციონალიზმში შეიყვანეს. ესენია: ჰაველი ჩეხო-სლოვაკეთში და მანდელა სამხრეთ აფრიკაში, მანამდე კი ბოლივარი ლათინურ ამერიკაში. ცენტრალური ადგილი უჭირავთ კონსტიტუციონალისტ იურისტებს ან იმ პიროვნებებს, რომლებმაც საკუთარი ნააზრევით კონსტიტუციურ სახელმწიფოს მიმართულება მისცეს და „კონსტიტუციური ცხოვრების კლასიკური ტექსტები“ (1981) შექმნეს: ლოკი, მონტესკიე, რუსო, ტოკვილი, ასევე კანტი, გარკვეულწილად ჰეგელი და ბოლოს ჯონასი (პასუხისმგებლობის პრინციპი) - გერმანიაში ვაიმარის კლასიციზმი. აქტორების ამ ცხრილში, თვითონ მნიშვნელობით, არც თუ უკანასკნელ რიგში არიან საერთაშორისო მოსამართლეები, როგორც კონსტიტუციონალისტი იურისტები და აქტორები. მესამე ხელისუფლების მნიშვნელობა თავისი დამოუკიდებლობით და სპეციფიკური მეთოდებით, კონსტიტუციონალიზმისთვის გაღებული წვლილის თვალსაზრისით, არ შეიძლება გადაჭარბებულად შეფასდეს (მაგალითად, ლუქსემბურგში, სტრასბურგში, კოსტა რიკაში). აშშ-ში იგი არის უკანასკნელი დაცვა პრეზიდენტ ტრამპისგან. მესამე ხელისუფლება დღეს საფრთხეშია თურქეთში და ასევე პოლონეთში (აღსანიშნავია, რომ აქ საკონსტიტუციო საპროცესო სამართლით დარღვეულია ევროპის კავშირის ძალაუფლებათა გამიჯვნის ძირითადი ღირებულებები). მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2018 წლის ახალი განჩინება, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მოთხოვნის შესახებ, ამ პრინციპებს მიიჩნევს წევრი ქვეყნების „საერთო კონსტიტუციონალურ ტრადიციად“.

ნაწილობრივი კონსტიტუციების მიმდინარე გაცვლითი პროცესები აქტორთა პლურალიზმით ხასიათდება. აქტორები არიან ცალკეული სახელმწიფოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნული სასამართლოები, საერთაშორისო სასამართლოები, როგორცაა გაეროს ტრიბუნალი მესამე ხელისუფლების დამოუკიდებლობის შიდასახელმწიფოებრივი მოდელის მსგავსად, შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციები და, ბოლოს, ასევე მოქალაქეები, რომლებიც საკუთარ ძირითად თავისუფლებებს და სოციალურ უფლებებს ახორციელებენ (ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე). მჭიდრო კავშირი მყარდება ეროვნულ კონსტიტუციურ უფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლოებსა და საერთაშორისო

სამართალს შორის. უკანასკნელ რიგში როდია დასახელებული მეცნიერება: „სხვადასხვა ერის საერთაშორისო სამართლის ყველაზე ნიჭიერი იურისტები“ (1945 წლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38.1 მუხლი) არიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში აქტორები, ისევე როგორც ეროვნული და რეგიონალური სამეცნიერო გაერთიანებები, როგორც სწავლულთა გლობალური რესპუბლიკის ნაწილი.

ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო-სამართლებრივი ნაწილობრივი კონსტიტუციების ამ თეზებს მივყავართ მხოლოდ გლობალური კონსტიტუციონალიზმისკენ და არა მსოფლიო სამართლისკენ და არც მსოფლიო სახელმწიფოსკენ. ტერმინი „მსოფლიო სამართლის კულტურა“ ზედმინვენით ზუსტად უნდა იქნას გამოყენებული, მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის (1972) და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის (2005), ასევე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის UNESCO-ს (2003/13), სიკვდილით დასჯის აკრძალვის (1989) და მეკობრეობასთან ბრძოლის შესახებ კონვენციების მიმართ.

„კონსტიტუციური პოლიტიკის“ გარკვეული დისციპლინები კონსტიტუციონალიზმის სამივე განხილულ სამუშაო სფეროში შესაძლოა მხოლოდ ანოტაციად მივიღოთ, ასევე ხიდად მუშაობის მესამე მეთოდზე გადასასვლელად, განსაკუთრებით მეცნიერებისკენ.

III. კვლევის მეთოდები კონსტიტუციონალიზმში

მხოლოდ კონსტიტუციონალისტი იურისტი გვაქვს მხედველობაში (მკვლევარი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე), რომელიც მოღვაწეობს და მოთხოვნადია მსოფლიო მამტაბით. კონსტიტუციონალიზმის დარგში ჩემ მიერ დასახელებულ სხვა აქტორთა მუშაობის მეთოდები განსაკუთრებით უნდა ყოფილიყო განხილული, მაგალითად, იმ პოლიტიკოსთა მუშაობის ყაიდა, რომლებიც ემსახურებიან საკონსტიტუციო პოლიტიკას, ან იმ ეკონომისტების, ისტორიკოსების, პოლიტოლოგებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერთა საქმიანობა, რომლებსაც რჩევებს ეკითხებიან. კონსტიტუციონალისტი იურისტების მიმართებით უნდა ითქვას, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან „უნივერსალური იურისპრუდენციის“ განვითარებით. ამიტომ, სულ მცირე, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას იმ მეთოდებზე, რომლებსაც ისინი იყენებენ და დისციპლინას ქმნიან - მოთხოვნადია დარგობრივი სპეციფიკური მეთოდების მოძღვრება, რადგან, მაგალითად, სისხლის სამართალში რაღაც ცნება სულ სხვარიგად უნდა დამუშავდეს, ვიდრე საკონსტიტუციო სამართალში (ამასთან იხ. ასევე ჯაკაბი, ევროპის კონსტიტუციური ენა, 2016). კონსტიტუციონალისტი, იქნება ეს ეროვნული,

რეგიონალური თუ უნივერსალური, დღეს შემდეგი მეთოდებით უნდა მუშაობდეს: კონსტიტუციის შედარებითი მეთოდი, როგორც განმარტების „მეხუთე“ მეთოდი (1989), ტექსტის საფეხურეობრივი პარადიგმის მეთოდი, რომელიც კონსტიტუციის ტექსტების წარმოებისა და რეცეფციის მსოფლიო პროცესებს, ისევე როგორც მათ გამოყენებას, „მიყოლას“ (კონსტიტუციური სინამდვილის: მაგალითად, შვეიცარიის 1999 წლის ფედერალური კონსტიტუცია) და განახლებას მოიცავს, და კონსტიტუციის კონტექსტუალური შედარების მეთოდი: 1979 წელს დაწყებული და ჩემ მიერ 2005 წლის რომის ლექციაში განვითარებული მთავარი ცნება: „კონსტიტუციის შედარება როგორც კონტექსტის მეტყველება“. გავიხსენოთ, უპირველესად, კულტურული კონტექსტი, მითითება კეთდება ცნობილ, ახალ კონსტიტუციებში ხშირად არსებულ ფორმულირებაზე: „თუ კონტექსტი სხვაგვარად არ ითხოვს“ - გამარტივებული ფორმულირებით: „განმარტე გააზრებით“, „კონტექსტიდან გამომდინარე“. დროის ნაკლებობის გამო მხოლოდ ეს მთავარი ცნებები დავამუშავეთ. უნდა გვახსოვდეს მუდმივად, რომ ჩვენი მეცნიერება არის მხოლოდ აქტორი სხვა აქტორებს შორის, როდესაც ვსაუბრობთ კონსტიტუციური სახელმწიფოს უწყვეტ განვითარებაზე და მის რეგიონალურ და გლობალურ კონტურებზე სამ კულტურულ სივრცეში. ეს ჩვენი პროექტია. შვეიცარიამ თავისი ფედერალური კონსტიტუციის ზოგადი გადასინჯვის დროს, 80-იან და 90-იან წლებში, სამაგალითოდ იმუშავა მრავალ ტექსტობრივ ალტერნატივაზე.

ინკურსი: აფრიკის კონსტიტუციონალიზმი ჩამოყალიბების პროცესში

აფრიკა, როგორც კონტინენტი და მისი 55 ცალკეული სახელმწიფო მრავალ დისციპლინაში, მათ შორის პოლიტიკურად, ბოლო დროს, მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ყურადღებას იპყრობს. გავიხსენოთ აფრიკული „წარმოშობის ქვეყნების“ ირგვლივ არსებული წინააღმდეგობრიობა, რომლის მიგრანტები გამოძევებული იქნენ ევროპიდან (იტალია განსაკუთრებით ჩამორჩება ევროპული სოლიდარობის საქმეს). აღსანიშნავია საფრანგეთის პრეზიდენტის, მაკრონის ინიციატივა ევროპული კოლონიური მმართველობის დროს ნაძარცვი კულტურული ქონების უკანდაბრუნების თაობაზე. აფრიკის კულტურული მემკვიდრეობა ევროპის მუზეუმებიდან წარმოშობის ქვეყნებში უნდა დაბრუნდეს. მაკრონმა 2018 წელს წამოიწყო ევროპის კავშირის პროგრამა მთავარი ცნებით: საჰელის ზონა როგორც „კულტურის ადგილი“. იმდროინდელ ევროპულ სახელმწიფო-მეტროპოლიებს ბევრი მიზეზის გამო სინდისი სუფთა არ უნდა ჰქონოდათ. აუცილებელია დავიცადოთ და ვნახოთ, როგორ არის შესაძლებელი ევროპის დახმარებით აფრიკის ქვეყნებში შემცირდეს ექსპლუატაცია, ტანჯვა, სიღატაკე და შიმშილი. ეს ნამდვილად საუკუნის

ამოცანაა. დამაიმედებელია, რომ დღეს UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი მდებარეობს აფრიკაში. უნდა ვახსენოთ ჩინეთის განსაკუთრებული მონაწილეობა აფრიკაში, რომელიც, გეოპოლიტიკური მიზნებით, ინფრასტრუქტურას, როგორცაა პორტები (ჯიბუტი), რკინიგზა და სხვა პროექტები, აფინანსებს (ჩინეთმა, ასევე შეიძინა პიერიის პორტი, რაც საკმაოდ მტკივნეულია ჩვენთვის). ეს ყოველივე გეოპოლიტიკურ ფონად განიხილება, როცა ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ აფრიკის კონსტიტუციონალიზმს. საჭირო იქნება დრო, ვიდრე აქ სრულყოფილი „კონსტიტუციური კულტურა“ აღმოცენდება ჩემი 1982 წლის წინადადების მნიშვნელობით (სამხრეთ აფრიკის 1996 წლის კონსტიტუცია, როგორც ტექსტი, ამის კარგი მაგალითია).

შესამჩნევია აფრიკის საწყისი კონსტიტუციონალიზება, რომელიც იქმნება ეროვნული კონსტიტუციებისგან, ასევე რეგიონალური გაერთიანებებისგან, როგორცაა აფრიკის კავშირი და დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა თანამეგობრობა (საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობით). ამდენად, არსებობს „აფრიკული საზოგადოება“. ქვემოთ დამუშავებულია მხოლოდ რამდენიმე კრეატიული ტექსტობრივი მახასიათებელი ეროვნული კონსტიტუციებიდან. აქაც შესაძლებელია მხოლოდ შერჩევა. სამხრეთ აფრიკის (1996), კენიის (2010), ანგოლის (2010) და ტუნისის (2014) კონსტიტუციათა მრავალი ტექსტი კრეატიულია. აქაც, როგორც მსოფლიოს სხვა კუთხეში, არსებობს ურთიერთგაცვლის სასარგებლო პროცესები. ასე ჩნდება „მშვიდობის კულტურის“ დიდი ცნება ჯერ სლოვენიაში (1991), შემდეგ უმბრიაში (2005), ისევე როგორც ესპანეთის რამდენიმე რეგიონალურ ტექსტში, მოგვიანებით კი ლათინური ამერიკის ქვეყნებში და, საბოლოოდ, სამხრეთ სუდანის კონსტიტუციაში (2011). შეიძლება ვისაუბროთ „კონსტიტუციისმდებელთა ღია საზოგადოებაზე“ მსოფლიო მასშტაბით. მხოლოდ სახელდახელოდაა ჩამოთვლილი შემდეგი კონსტიტუციური სინამდვილის სფეროები, რომლებსაც აფრიკელი კონსტიტუციისმდებლები ამდიდრებენ და, ამდენად, შეიძლება უკვე ვისაუბროთ აფრიკულ კონსტიტუციონალიზმზე, რომელსაც ადამიანის და აფრიკის ხალხთა უფლებების ბანჯულის ქარტია (1986) მიეკუთვნება.

განსაკუთრებით ნაყოფიერია კონსტიტუციათა პრეამბულები. ისინი ქმნიან ქვეყნის მნიშვნელოვან ნარატივს, როგორც კონსტიტუციონალიზმის გულს, ფორმალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით, ღირსეულად. კულტუროლოგიური თვალთახედვით, პრეამბულა პროლოგი და პრელუდიაა, მსგავსად პოეზიასა და მუსიკაში. ხშირად პრეამბულა იმსახურებს სახელწოდებას „ტექსტის ღირებულება“. პრეამბულა სამოქალაქო და საზოგადოებრივ ენით მიუთითებს ქვეყნის ისტორიაზე, ის აკავშირებს ტექსტს დღევანდელიობასთან და მაღალფარდოვანი სიტყვებით გვთავაზობს კონსტიტუციურ მომავალს. ერთად აღებული ესაა აფრიკული

კონსტიტუცია და სახელმძღვანელო. აქ წარმოდგენილია კონსტიტუციური სახელმწიფოს ძირითადი ღირებულებები. მათ უნდა „იზიარებდეს“ მოქალაქე ზედმინევნით. რამდენიმე მაგალითი: მალის კონსტიტუცია (1992) ხაზს უსვამს „გმირული ბრძოლის ტრადიციებს“ და საუბრობს „პლურალისტურ დემოკრატიაზე“, ასევე „კულტურულ და ლინგვისტურ მრავალფეროვნებაზე“, მშვიდობის აუცილებლობაზე. მალავის (1994) პრეამბულაში ნათქვამია კაცობრიობის ერთიანობაზე და მშვიდობიან საერთაშორისო ურთიერთობებზე. ნიგერიის (1999) პრეამბულა, რომელიც იწყება სიტყვებით „ჩვენ ხალხი“, ეძღვნება „შიდაათრიკულ სოლიდარობას“ და კარგ მმართველობას, სურვილებს ყველა ადამიანის კეთილდღეობის თაობაზე (ნიგერია ბოლო დროს წარმოდგება პრესტორიული ნოქის კულტურის ხელახალ აღმოჩენად). ანგოლას ყოველმხრივ სრულყოფილი კონსტიტუცია (2010) საუბრობს „კოლონიური დაპყრობის“ წინააღმდეგ ბრძოლაზე, იაზრებს „საერთო ისტორიისა და კულტურის სიბრძნეს“ და შთაგონებულია „აფრიკული ტრადიციის საუკეთესო სწავლებებით“, რომლებიც ქმნის ანგოლის კულტურისა და იდენტობის ფუნდამენტს; იგი, ასევე ხედავს თავს „ტოლერანტობის კულტურისგან“ კვეთილად. ადამიანის ღირსება თანაბრადაა გარანტირებული, ისევე როგორც ძალაუფლებათა გამიჯვნა და შებოჭვა, ასევე საბაზრო ეკონომიკის სისტემა. საბოლოოდ, კონსტიტუცია ადგენს „მომავალი თაობებისთვის მემკვიდრეობის“ ვალდებულებას. სამხრეთ-სუდანის (2011) პრეამბულა, რომელიც იწყება სიტყვებით „ჩვენ ხალხი“, მესხიერებაში აღძრავს „სამართლიანობის, თავისუფლების, თანასწორობისა და ღირსებისთვის ხანგრძლივ და გმირულ ბრძოლას“ და, ასევე, ითხოვს ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის „ისლამის სულისკვეთებით, სიკეთისა და ქვეყნისადმი სიყვარულით“. როგორი იდეალიზმია!

რამდენიმე სიტყვა ძირითადი უფლებების კატალოგის შესახებ: აქ კლასიკური ძირითადი უფლებების გვერდით გვაქვს ახალი თემები, მაგალითად ახალგაზრდათა, ხანდაზმულთა და უნარშემოღებულთა დაცვის შესახებ, ხოლო ძირითადი უფლებების შემზღვევა და განმარტების განსაკუთრებული წესები შეიცავს არსებით გარანტიებს. ხშირად ფიგურირებს კულტურული ნააზრევი და განათლება - გავისხენოთ ჩემი ძველი იდეა „კონსტიტუცია როგორც განმანათლებლობის მიზანი“. მრავალი საკითხი რეგულირდება კონსტიტუციური ვალდებულებების ფორმით. ჩნდება სრულიად ახალი ორგანოები და ინსტიტუციები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა და სხვა ცხოვრებისეულ სფეროთა, მაგალითად, მედიის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები. მონაწილეობის უფლება, თავისთავად, ნორმირებულია. საბოლოოდ, ნახსენებია საპრეზიდენტო ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის აუცილებლობა, რაც, მიუხედავად

კონსტიტუციის ტექსტებისა, კონსტიტუციურ სინამდვილეში არ არის ხშირი ან მხოლოდ ზენოლის ქვეშ ხდება, შეგვიძლია გავიხსენოთ ბოლო დროის მაგალითები სამხრეთ აფრიკასა და ზიმბაბვეში.

ამდენად, აფრიკა აცხადებს პრეტენზიას გახდეს „კონსტიტუციონალიზმის ახალი თემებისა და ფიგურების ანდა კონსტიტუციის ტექსტების „შექმნის ადგილი“ და ლაბორატორია. თავისთავად: განსხვავება საკონსტიტუციო სამართალსა და კონსტიტუციურ სინამდვილეს შორის, ხშირად, ძალზედ მტკივნეულია - ამიტომაც არ არსებობს ალბათ, ჯერ ჯიდეგ, „საერთააფრიკული საკონსტიტუციო სამართალი“. კონსტიტუციის ნორმატიული (ჰესესე) ძალა, ჯერ კიდევ, არაა ყველგან განცდილი და განხორციელებული. კონსტიტუციონალიზმის სოციალურ-ეკონომიკური პირობები აფრიკაში ნაკლებადაა დაკმაყოფილებული (შრომითი უფლებები, სწავლა-განათლება, ჯანმრთელობა, მშვიდობა, კეთილდღეობის მინიმალური დონე, ინფრასტრუქტურა). აფრიკას, როგორც ჩანს, ექნება კონსტიტუციური მომავალი, მიუხედავად ზოგიერთი ავტორიტარული სტრუქტურის საფრთხისა (ამ კითხვას სვამს კემერერი თავის კონსტიტუციურ ბლოგში: არსებობს „გლობალური სამხრეთის კონსტიტუციონალიზმი“? (იხილეთ აქ: <https://verfassungsblog.de/quergelesen-gibt-es-einen-konstitutionalismus-globalen-suedens/>)). უშუალოდ იტალიის მეცნიერულ საზოგადოებას, როგორც არის აქ რომში, აფრიკასთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო, განსაკუთრებით ქმედითი შეუძლია იყოს და ადგილზე გასწიოს დახმარება.

მიმოხილვა:

პოლიტიკური პარტიების დემოკრატია, რომელსაც ეფუძნებოდა ჩვენი კვლევები, მოძველებულია და შეიცვალა უფრო განახლებული საზოგადოებრივი დემოკრატით, რომელშიც მხარეები თავიანთ სივრცეს უთმობენ პერსონალიზაციასა და ურთიერთობების ორგანიზებას მაშინ, როდესაც მათი კოლექტიური იდენტობა დასუსტებულია, თუმცა პირდაპირ კომპენსირდება ლიდერისადმი გაცხადებული პიროვნული ნდობით. სწორედ ეს ფაქტი გახდა ინსტიტუციების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი ცენტრალური პრინციპი და სამეცნიერო დისკუსიების თემა.

პოლიტიკური ლიდერის იმიჯისადმი უპირატესობის მინიჭების ტენდენცია იმაზე მეტყველებს, რომ თანდათანობით ძლიერდება ინდივიდუალური შეხედულება ძალაუფლებაზე, რაც განსაკუთრებით იკვეთება მაშინ, როდესაც გამარჯვებული კანდიდატი ხდება „მედიის ვარსკვლავი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას აქვს გაზრდილი შესაძლებლობა, გამოიყენოს პოლიტიკური კომუნიკაციის მეთოდები.

ლიდერის გაძლიერებული როლი უნდა განვიხილოთ უფრო ფართო გაგებით, რომელიც ასახავს პარტიათა ტრადიციული აგენტის როლის დაკარგვას და მის ჩანაცვლებას დელეგირებული ასამბლეების წარმომადგენლობითი პოზიციით. იმავდროულად, პერსონალური პოლიტიკური ხელმძღვანელობის კონცეფცია ძლიერდება ოპოზიციის მმართველის იდეისგან შორს საპარლამენტო კაბინეტებში, ერთადერთ ინსტიტუციურ სივრცეში, სადაც შესაძლებელია პოლიტიკური პასუხისმგებლობით მართვა. ამას, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამჟამად არსებული განახლებული პოლიტიკური საკომუნიკაციო საშუალებები. გარდა ამისა, ჩვენ ვამატებთ განცხადებას „პლებისციტის მოდელი“, რომლისთვისაც, უბრალოდ, აშკარაა უპირატესი შეკითხვა (ხალხის ემოციური იმპულსები), ხოლო უპირატესი შეთავაზება – ანუ ლიდერის ნება – სავსებით რეალურია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში განსაკუთრებით გაძლიერდა ტრიადის „პარტიები-წარმომადგენლობა-პარლამენტი“ კაპიტულაცია, რის შედეგადაც პოლიტიკური სისტემა, თითქოს, მიემხრო მთავრობას, მაგრამ სინამდვილეში იგი იხრება აღმასრულებელი მოლაპარაკებების მხარეზე, რომელიც დღეს შედგება ტრიადისგან, სადაც პრემიერ-მინისტრი წარმოჩნდება სუსტ აგენტად ორ ვიცე-პრემიერს შორის, რომლებიც, როგორც ჩანს, პოლიტიკური ძალაუფლების ნამდვილი მფლობელები არიან. ამდენად, სიმართლეს შეეფერება, რომ XX საუკუნის კლასობრივი საზოგადოება, მასთან დაკავშირებულ პარტიულ სისტემასთან ერთად, რომელიც შეადგენდა მის პოლიტიკურ-ინსტიტუციონალურ ხედვას, გაქრა. ამ ფენომენმა ადგილი დაუთმო პოლიტიკური დემოკრატიული წარმომადგენლობის კომპლექსურ მექანიზმებს, რომელიც განიხილება, როგორც პოლიტიკური პროცესი და ურთიერთობა და, რაც დროთა განმავლობაში ირღვევა, გამოხატავს რა მუდმივ კავშირს საზოგადოებასა და არჩეულ პირს შორის. აქვე განიხილება წარმომადგენლობითი კრება, როგორც გამოთქმული ინტერესების სიმრავლის ერთიანობის სიმბოლო რთული და გაყოფილი საზოგადოებისათვის პოლიტიკური ფორმის მისაცემად.

The Crisis of the Party System on the Example of Europe

Giuseppe de Vergottini

I. A New Ungovernability. II. The Crisis of the Party System not Unopposed by Electoral Laws. III. The democratic crisis in the political parties

I. A New Ungovernability

The events of the past few years have brought about the re-emergence of the ever important and dramatic problem of the governability of European political systems. *The model of those forms of government in the contemporary constitutional state that had taken as a reference the efficacy of the organizational solutions from the state form, appears today to be in a profound crisis.* In the face of the most recent electoral outcomes across Europe, concepts such as governability and stability have faded into recessive qualities within the administrative framework. This was a framework which had in fact made these concepts their warhorse, qualities that distinguished them vis-à-vis other systems that belong to the same form of parliamentary government. Having been subjected to continuous destabilizing tensions, the stability and governability that characterized certain jurisdictions proved to be fragile. To be sure, this has occurred not only in already problematic systems, such as Italy, but also in systems that had customarily been considered to be equipped with stable and efficient institutions. One just has to consider the results of the last presidential elections in France, the separatist referendum in Scotland and Catalonia, as well as Brexit. Not to mention electoral results in states that represent models in comparative public law scholarship such as Spain, the UK, Austria, and Germany—all heralding substantial change, sometimes only contingent, other times long-term. In all these systems, not only in the Italian one, the formation of the government proved to be difficult, resulting in long and exhausting marathons.

The popular vote has almost never been able to produce the immediate formation of a governmental team. It is in this context that the role of the Head of State has emerged as so relevant while in the past under a bipolar system in which majorities emerged directly from the elections this organ was often uninfluential.

The elections of the Bundestag on September 24, 2017 were followed by the longest government crisis since the implementation of the Grundgesetz. The emergence of new political forces complicated the negotiation process to appoint the Chancellor, so much so that an unusual intervention by the Head of State was necessary. The latter became an active promoter of an agreement between the two main forces that had emerged from the polls, following trends that are more typically seen in countries such as Italy. The Federal President has taken on a more active role through the use of his reserve power, which falls within the list of his prerogatives. This episode highlights a significant change in the German form of government. In Spain, once characterised by stability entered into a period of crisis with the national elections of December 20, 2015, from which an unprecedented multi-party system emerged. Here too an active, relevant, and innovative role of King Philip VI emerged. The end of Spain's two-party system has complicated the formation of the executive overcoming the centrality of the figure of the President of the Government who was always simultaneously the leader of the party capable of exercising a stable control over Congress.

II. The Crisis of the Party System not Unopposed by Electoral Laws

With regard to the functionality and reliability of the constitutional models, evidence shows that stability and governability are not qualities that are by virtue part of constitutional architectures, but above all they derive from the *party system*. The same electoral laws, whether majoritarian or proportional, do not seem to have manifested themselves as the main cause of the success or failure of political systems. It is not only proportionality that facilitates fragmentation and makes the formation of solid coalitions problematic. Even majoritary systems consolidated over time have not held up to the crisis of the party system.

Certainly one of the causes of the difficulty in forming a government in Italy following the recent electoral law is due to it being prevalently proportional. However, there are also other forms of parliamentary government in which both majority and proportionality laws operate, that now find themselves under stress. The political characteristics of the new Bundestag, triggered by the elections of September 2017, have led to considerable and unprecedented difficulties in the formation of the German government. This has engaged the political forces in Germany in very long and exhausting negotiations for the formation of a coalition, and has generated harsh internal conflicts within the parties that finally gave life to the new Große Koalition. The hung parliament in Westminster-with the consequent minority government led by the Tories and supported externally by the North-Irish unionists of the DUP, as well as the relative weakness of a constantly struggling Prime Minister-has come at a time where the UK would be better served by political unity in the complicated historical process that has been opened by Brexit. The delicate condition in which Spain finds itself, does not simply have roots in the dramatic implications of the Catalonian affair. They also depend on the difficult political framework that has been created by the repeated elections for the *Cortes*, the results of which are provoking profound questions on the ability of the electoral law to again be able to guarantee the alternation of those at the helm of government-an important element of the historic post-Francoist democratic consolidation. The institutional and political difficulties are more notable, and have been highlighted in recent years in Belgium and the Netherlands. Two countries that, in addition to being founding members of the European project and located in the geographical and institutional heart of European affairs, have always been important models of democratic coexistence and respect for fundamental rights.

Moreover, now focusing on Italy, the reform of the Senate's standing order has had no impact on the functionality of the political system that is today characterized by an unprecedented coalition between potentially antagonistic forces, and by a hardly influential parliamentary opposition. The constitutional reform approved in the last days of the past XVII Legislature touches on crucial aspects of the form of government. Specifically: rules on the functioning of parliamentary groups, changes to the legislative process; the respective competences of the Chamber and Commissions; the calculation of abstentions; the discipline of the question of confidence; and so on. Unfortunately, the reform has been overridden by the radical transformation of the political system that is currently bearing witness to the disappearance of even just the mere probability of a form of government that is based on the parliamentary dialectic of Government/opposition. It will therefore be necessary to evaluate what the impact of this reform may be in light of the changes in the political system, as well as recent electoral results.

We must consider that *electoral legislation, although a crucial element, will always have limited and circumscribed effective power*. However, it ought to be targeted and put in a reciprocal relationship with other decisive elements, starting of course from the complex network of constitutional norms. In modern democracies, the last piece of the puzzle is always constituted by the *party system*: it is up to them, in a positive sense, to have the capacity to give fluidity to institutional mechanisms and, in negative sense, a sort of "interdictory power" on the proper

functioning of these mechanisms. A serious responsibility, to be sure, which requires massive doses of awareness and accountability that are unfortunately often difficult to find.

III. The democratic crisis in the political parties

It is palpable that there is a *growing personalisation* of the structures of state power due to the emergence of a form of government in which the classical problems of the *legitimization* and *limitation* of power, having historically formed the blueprint of constitutionality, are in a regressive position. A questionable justification of this ongoing change can be found in the demonstrable incapacity of the institutions, both national and European, to face and resolve the dramatic economic crisis, followed by a consequential general dissatisfaction with political management conducted by the traditional players. Such dissatisfaction has generated a hostile attitude towards traditional political representation which underlines a sort of counter political wave based upon the rejection of the powers provided for in prevailing liberal-democratic constitutions.

The traditional political parties are universally experiencing a profound crisis and have become a mere shadow of their former selves. Therefore, according to prevalent literature, *populist parties or movements* have taken the more advantageous position of encouraging the “people” belonging to the more backward circles of society. These people are identified in a flattering way as the custodians of all social virtues and as the victim of the cynical egoism and amorality of the malignant dominant social classes. To their favour, however, political proposals are precisely formulated so as to reward their desire for avengement but not so as to effectively demonstrate the complex problems of today’s society. Such proposals are developed in an exploitative way in order to substantially direct the mere achievement or maintenance of power by political subjects as they attempt to consolidate their power.

As time goes on, the populist movements take advantage of negative factors such as corruption, economic crises, anti-European sentiments, including a hypothetical cultural identity such as ethnicity and/or religion, and in these cases embracing nationalistic and racial tones. They substantively share as a group the radical context of a representative democracy. Therefore, there is, both politically and constitutionally, a profound ongoing transition that necessarily involves a discussion of the state’s constitutional model affirmed at the end of WW2.

The *democracy of political parties* from which our studies were based upon is outdated and has been substituted by the more updated *democracy of the public* wherein the parties cede their space to personalisation and a communication organization whilst their collective identity is weakened yet directly compensated by the personal trust attributed to the embodiment of the leader. It is this fact which has become one of the central tenets in more recent developments of the institutions and, reflexively during scientific debates.

The tendency to favour the image of the political leader indicates the progressive reinforcement of a personalised view of power increasingly highlighted when the winning candidate is a “media star”, that is, he has an enhanced capability to leverage political communication techniques.

The reinforced role of a leader must be placed in a larger framework that reflects the loss of *the role of the traditional agent of the parties* and replaced by the representative position handed to the delegated Assemblies. In the meantime, the concept of personal political leadership is being consolidated far and away from the idea of the ruler with opposition in the parliamentary chambers, the only institutional site upon which to administer political responsibility. This in turn is facilitated by the revised means of political communication currently available. In addition, we add the assertion of the “*plebescite model*”, to which the predominant question (the emotional impulses of

the people) is only apparent, while the predominant offering, that is, the will of the leader, is quite real.

We must highlight that in Italy, the capitulation of the triad “parties-representation-parliament”, has been particularly accentuated, causing the political system to seemingly drift towards the Government but in reality it leans towards executive negotiation, composed today of a triad in which the Prime Minister is seen as the weaker agent between the two Vice Premiers who appear to be the real owners of political power. Therefore, it is true that there has been a loss of the 20th century class society and along with it that party system that constituted its politico-institutional projection. This phenomenon has given way to a complex mechanism of political democratic representation, intended as the *political process* and as a *relationship* that unravels over *time*, expressing a permanent union between society and the elected, with the representative assembly seen as a symbol of unification of the plurality of represented interests in order to give a political shape to an increasingly complex and divided society.

სამართლიანობა – მარადიული იდეა თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში

იოზეფ იზენბეე

I. მიდგომა სამართლიანობის იდეისადმი. 1. ცხადი და გაუგებარი. 2. სამართლიანობის იდეა და სამართლის ნამდვილობა. 3. იდეის ფორმალური სტრუქტურა – სამართლიანობა როგორც მითითება. 4. სამართლიანობა – ცარიელი ფორმულა? 5. ყოვლისმომცველობა პრაქტიკაში. II. სამართლიანი სახელმწიფოს არქეტეპები. 1. პლატონის იდეალური სახელმწიფო. 2. შუასაუკუნეების წმინდა იმპერია (Sacrum Imperium). III. კოპერნიკისეული შემობრუნება მოდერნიზმში. IV. სამართლიანობის გამორიცხვა თანამედროვე სახელმწიფოს სისტემიდან. 1. მშვიდობა სამართლიანობის პირისპირ. 2. თავისუფლება სამართლიანობის პირისპირ. 3. სამართლებრივი უსაფრთხოება სამართლიანობის პირისპირ. 4. სამართალწარმოება სამართლიანობის პირისპირ. V. სამართლიანობის დაბრუნება კონსტიტუციურ სახელმწიფოში. 1. საპროცესო სამართლიანობა. 2. სამართლიანობის გრძნობა როგორც აქცეპტის პირობა. 3. სამართლიანობა როგორც კონსტიტუციური კანონის თემა. 4. სამართლიანობა როგორც თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების სათნოება. VI. ტოტალური სამართლიანობის ტენდენცია. რეალური უთანასწორობა – სოციალური სამართლიანობა. 2. ინდივიდუალობის წუხილი. 3. სოციალური სამართლიანობა – ილუზია. VII. საარსებო საშუალებები არასრული სამართლიანობის პირობებში.

I. მიდგომა სამართლიანობის იდეისადმი

1. ცხადი და გაუგებარი

სამართლიანობის იდეა ქმნის ურთიერთსაზიარებელ სურათს. ერთი შეხედვით იგი ისეთი მარტივია, რომ მისი გაგება ყველას შეუძლია და, ამავე დროს, იმდენად რთულია, რომ სწავლული ადამიანებიც კი, მის წინაშე ფარ-ხმალს ყრიან. ყველას სურს სამართლიანობამ იზეიმოს. ყველას ჰგონია, რომ ძალუძს, განსაჯოს, რა არის სამართლიანი და რა – უსამართლო. მაგრამ გაუჭირდება თქვას, არსებითად რას წარმოადგენს სამართლიანობა და რა ესმის მას სამართლიანობის ქვეშ. საგანი, რომლის თაობაზე ადამიანი ინტუიციურად ასეა დარწმუნებული, ხელიდან ეცლება, როდესაც მისი გაგება თეორიის დონეზე საჭირო. ავგუსტინეს მსგავსად იგი ერთგვარ მცდელობაში, როდესაც „დროის“ რაობა უნდა დაადგინოს: „ამდენად, რა არის „დრო“? თუ ამას არავინ მკითხავს, ვიცი რა არის დრო. მაგრამ თუ ამის ახსნა კითხვის დამსმელისთვის მომიწევს, მაშინ არ ვიცი რა არის იგი“.¹

სამართლის დილექტანტი უმალ სამართლიანობისკენ მოუწოდებს, როდესაც მას სურს საკუთარი მოთხოვნების მხარდაჭერა ან აღსრულება. მაგრამ იურისტი (თუ წარმოვიდგენთ რომ იგი და სამართლის დილექტანტი იდეალური პირია) თავს იკავებს თუნდაც გამოიყენოს ეს სიტყვა, რადგან მისთვის იგი გაურკვეველი, გაუგებარი და ბუნდოვანია. იგი

ფრთხილად უდგება ტერმინს, რომლის მნიშვნელობა მას კარგად არ ესმის. სამართლიანობაზე ხშირ და უშუალო აპელირებას იურისტთა გილდიის წევრები უბრალოდ განმარტავენ პროფესიონალიზმის ნაკლებობის სიმპტომად. პროფესიონალი იურისტი ეყრდნობა მოქმედი სამართლის ნორმებს, რომლებსაც იგი საკუთარი პროფესიული წესების შესაბამისად იყენებს და არ ახსენებს სამართლიანობის იდეას. მას, ასევე არ ესაჭიროება ეს ტერმინი კანონის გამოყენების პროცესში. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იურისტი საერთოდ უარყოფს სამართლიანობის არსებობას ან სამართლიანობა არაფერს ნიშნავს მისთვის. პირიქით, რაც უფრო ჩართულია იგი საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში, მით უფრო აქვს მას შინაგანად გათავისებული სამართლიანობა როგორც პროფესიული სინდისი. თუმცა სინდისი შეფუთულია სირცხვილით. არავის მოეთხოვება საკუთარი საქციელის მორალური საფუძვლები უმაღლეს გამოაშკარავოს. პირადი აღსარება არ ეტევა სუბიექტივიზმისგან დაცლილი, ფაქტობრივ მონაცემებზე დამყარებული იურიდიული რაციონალიზმის სადინარში. ამდენად, იურისტი არ უნდა შეეწინააღმდეგოს ფილოსოფოსს, თუ კი ფილოსოფოსი, არისტოტელეს მსგავსად, სამართლიანობას ყველა სათნოებაზე მაღლა აყენებს, რადგან სამართლიანობა არსებობს უშუალოდ ადამიანებთან ურთიერთობაში და მისი ნათელი „საღამოსა და დილის ვარსკვლავის“ ნათელს ჩრდილავს.²

2. სამართლიანობის იდეა და სამართლის ნამდვილობა

სამართლიანობა წარმოადგენს სამართლის ნორმათა და სავალდებულო ქმედებათა ეთიკური მართებულობის უმთავრეს პრინციპს. სამართლიანობა გვეუბნება, როგორი უნდა იყოს და როგორი არ უნდა იყოს სამართალი. სამართლიანობის სტანდარტით განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის ნორმები. სამართლიანობა უფრო ეთიკური ხასიათისაა. იგი ქმნის სამართლის ნორმების ეთიკურ მასშტაბს.

ამასთან, სამართლიანობა სათნოებაა. ამ განზომილებაზე მიუთითებს თავის სიტყვაში სამართლიანი მოსამართლე, გამომცდელი, მმართველი. „სამართლიანი“ შეიძლება იყოს, როგორც მოხელე, ასევე რიგითი მოქალაქე. სამართლიანობა ითხოვს კანონთა არა მხოლოდ ფორმალურ დაცვას (ლეგიტიმურობას კანტის გაგებით), არამედ, ასევე სამართლებრივ აზროვნებას (მორალურობას). ეს არ არის პოზიტიური ნორმების შედეგი, რომლებიც მოქმედებს აქ და ახლა. "სამართლიანი" არის ის, ვინც საკუთარ თავს წარმართავს სამართლის იდეით.

სამართალი და სამართლიანობა ერთმანეთზე დამოკიდებული. სამართლის ნორმა თავის არსებობას მორალურად ამართლებს სამართლიანობის იდეით და ამრიგად არწმუნებს სამართლის სუბიექტს, რომლის მიმართაც ეს ნორმა მოქმედებს, რომ იგი იმსახურებს მონონებას. სამართლიანობის იდეა იძენს კონკრეტულ სახეს, შინაარსს, საჯარო ფორმას, პრაქტიკულ გამოყენებადობას და იძულებით სავალდებულო ხასიათს საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ აქტებში, ხელშეკრულებებსა და სასამართლო

გადაწყვეტილებებში. სამართალი და სამართლიანობა თანხვედრაშია, მაგრამ ეს თანხვედრა სულაც არაა გარანტირებული. კანონი შესაძლოა იყოს უსამართლო და, ამდენად, სამართალსა და მორალს შორის დაპირისპირება შეიქმნას. სამართლიანობის იდეას შუამავალი ესაჭიროება პოზიტიური სამართლის სახით. აქ სირთულე რჩება, რათა კონკრეტულ სიტუაციაში გავაცნობიეროთ, რას ითხოვს სამართლიანობის იდეა.

მაგრამ, სამართლიანობის იდეა სრულად არაა მონყვეტილი სამართლებრივ რეალობას, მაშინაც კი, როცა სახეზე არ გვაქვს შუამავალი სამართლის ნორმის სახით. სამართლიანობის იდეა ეხება საქმის გარემოებას, რომელიც ღიაა სამართლებრივი რეგულირებისთვის და საჭიროებს ამ მონესრიგებას. რაც შეეხება ადამიანის ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას, როგორც ბუნებისა და ისტორიის მოცემულობას, ეს საკითხი თავიდანვე არ იყო სამართლიანობის თემა. სტიქიური უბედურება არ არის „უსამართლო“; ეს უბედურება ადამიანის ზემოქმედების შედეგია, რომელმაც კანონით დადგენილი უსაფრთხოების ზომები უგულვებელჰყო. სამართლიანობის წარმართველი ძალა მოქმედებას იწყებს, როდესაც უნდა გადაწყდეს ინტერესთა კონფლიქტი, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს გავლენის სფეროები, უნდა განაწილდეს მწირი რესურსები, გამყარდეს ურთიერთობები და ეს ურთიერთობები იმედგაცრუებისგან უნდა იქნას დაზღვეული. სადაც არ არის სამართლებრივი მონესრიგებისა და გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, სადაც ცალკე მდგომი ინდივიდები ერთმანეთის გვერდით თანაცხოვრობენ,³ ადამიანებს შორის არსებობს სპონტანური თანხმობა და სადაც მხოლოდ სიყვარული სუფევს, იქ სამართლიანობა დუმს. მაგრამ, როდესაც ჰარმონია და სიყვარული ეცემა და განხეთქილების მონაწილენი განსხვავებულსა და ძნელად თავსებად პრობლემებზე მსჯელობენ, სამართლიანობა იმაღლებს ხმას.

3. იდეის ფორმალური სტრუქტურა – სამართლიანობა როგორც მითითება

სამართლიანობა ხარისხის მოთხოვნას უყენებს სამართალს. სამართლიანობა გვეუბნება, როგორი უნდა იყოს, ან არ უნდა იყოს სამართლის ნორმა და როგორი უნდა იყოს, ან არ უნდა იყოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედება. მოკლედ: სამართლიანობა ადგენს სამართლის მართებულობის კრიტერიუმს. მაგრამ რა არის მართებული?⁴

ამაზე კლასიკური პასუხი გასცა არისტოტელემ⁵ და თომა აკვინელმა.⁶ განასხვავებენ სამართლებრივი ურთიერთობების სამ ძირითად განლაგებას, რომელშიც სამართლიანობა კონკრეტული ასპექტით წარმოჩინდება: ურთიერთობა ნაწილსა და მთელს შორის (სუბორდინაცია), მთელსა და ნაწილს შორის (ზემდგომობა) და ასევე ნაწილებს შორის (კოორდინაცია).

- *სუბორდინაცია*. მოქალაქე საზოგადოების წევრი უნდა იყოს და აკეთოს ის, რასაც საერთო სიკეთე კარნახობს (iustitia universalis), განსაკუთრებით კი დაიცვას კანონი (iustitia legalis).

- *გემდგომობა*. საზოგადოება, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს პრივილეგიებსა და ვალდებულებებს უწესებს, როგორცაა სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, სახელმწიფო თანამდებობა და გადასახადები, ყველას თავისას განუწესებს (*iustitia distributiva*).

- *კოორდინაცია*. ერთმანეთს სოციალური ურთიერთობის დამყარება, როგორც თანასწორებს შორის. ადამიანებმა ერთმანეთი უნდა აღიარონ; მათ არ უნდა ავნონ ერთმანეთს. სამართლებრივ ურთიერთობებში ადამიანებმა უნდა დაიცვან თანაზომიერების პრინციპი. ბარტერული გარიგებისას შესრულება და საპირისპირო შესრულება ერთმანეთს უნდა აწონასწორებდეს. დელიქტის შემთხვევაში ზარალი სრულად უნდა ანაზღაურდეს (*iustitia commutativa*).

სამართლიანობის პრინციპები ფილოსოფიური აბსტრაქციის სიმალღებე ჩერდება. ფილოსოფიური თვალსაზრისით, სამართლიანობის პრინციპის მნიშვნელობა ხელშეუხებელია მიუხედავ იმისა, რომ მათი დღევანდელი გაგება მხედველობაში იღებს ისტორიულ ცვლილებებს და მთელი სისრულით არ გამოხატავს არისტოტელეს ცნებას.⁷ სირთულე იჩენს თავს, როდესაც სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე პრაქტიკული მოქმედებისთვის დასკვნები უნდა გაკეთდეს. როგორც ჩანს, ეს უფრო შესაძლებელია *iustitia legalis* – ის პირობებში, რომლის შედეგად ყალიბდება საყოველთაო სამოქალაქო ვალდებულება, რათა კონკრეტულ სამართლებრივ წესრიგს დავემორჩილოთ. მაგრამ ვინ უზრუნველყოფს, რომ სამართლებრივი რეჟიმი, თავის მხრივ, იყოს სამართლიანი და რომ, საბოლოო ჯამში, კანონისმიერი უსამართლობის მორჩილება იმავე უსამართლობას არ გამოიწვევს? სახელმწიფო ამის საიმედო გარანტი არაა.

ასეა თუ ისე, კანონმდებელიც და კანონის აღმასრულებელიც ექვემდებარება *iustitia distributiva*-ს მოთხოვნას, ყველას თავისი წილი მისცეს. მაგრამ აქაც არ ვართ დაზღვეულნი. რადგანაც ყველა ყაიდის სახელმწიფო აცხადებს, რომ თავის მოქალაქეებსა და ქვეშევრდომებს მიუზღავს სიკეთისა და ბოროტების წილ. აქ არაა განსხვავება ავტოკრატიულსა და დემოკრატიულ, ლიბერალურსა და სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის. ყველაზე სასტიკი დესპოტიაც კი აცხადებს, რომ მის მსხვერპლს „მისას“ მიაგებს, როდესაც ჩაგრავს, აწამებს და კლავს. სახელმწიფოებს შორის განსხვავება მდგომარეობს იმ მოცემულობაში, რას იღებს ინდივიდი მისგან და ასევე იმაში, თუ როგორ განსაზღვრავს საკუთარ თავს კონსტიტუცია სახელმწიფოსთან მიმართებით: არის თუ არა იგი პირობითი თუ უპირობო, შეზღუდულად თუ შეუზღუდავად ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, თუ იგი პირველადი, გარანტირებული თავისუფლებაა, რომელიც სახელმწიფოსგან ყველა ქმედების დასაბუთებას ითხოვს; არის თუ არა იგი უთანასწორობის მიზეზი კლასის, რასის, ინდივიდუალურობის, წარმომავლობის და სხვა საფუძველზე, თუ იგი სახელმწიფოს მოქალაქეთა და ადამიანის უფლებათა თანასწორობის გარანტია.

არისტოტელეს განმარტებით, თანასწორობა სამართლიანობის არსებითი შემადგენელია. თანასწორობა წინააღმდეგობრივია. სამართლიანობა ნიშნავს აუცილებელ თანაბარ მოპყრობას ან ლეგიტიმურ დიფერენცირებას, რადგან თანასწორს თანასწორად უნდა მოვეპყროთ, ხოლო უთანასწორს – უთანასწოროდ მისი განსხვავებულობის ხარისხის მიხედვით. *iustitia distributiva* მისდევს არა აბსოლუტურ, არამედ რელატიურ თანასწორობას.⁸ მაგრამ საკითხავია, რომელი ურთიერთობებია აქ გადამწყვეტი. სახელმწიფოს წარმატება შეიძლება შეფასდეს ბენეფიციართა რაოდენობით, რომლებიც სიკეთეს მათი საჭიროებისა და დამსახურების მიხედვით იღებენ. მაგრამ, ეს ფაქტორები, თავის მხრივ, დამოკიდებულია კონკრეტულ გაბატონებულ სამართლებრივსა და სოციალურ სისტემაზე. თანასწორობის შესახებ თავის ფილოსოფიაში არისტოტელე არ ეხება სამართლებრივ უთანასწორობას, მაგალითად, როგორცაა, უთანასწორობა ბატონსა და მონას შორის, კაცსა და ქალს შორის, ბერძნებსა და ბარბაროსებს შორის. თანამედროვე კონსტიტუციური სახელმწიფოების კი, რომლებიც აღიარებენ ადამიანის საყოველთაო უფლებებს, სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიული თანასწორობის პრინციპებს, გარკვეული თვალსაზრისით, განასხვავებენ თანამდებობის პირისა და კერძო პირის, მოქალაქისა და უცხოელის, არასრულწლოვნისა და სრულწლოვნის, სამართალდამრღვევისა და დამარალეულის სამართლებრივ უფლებებს. ლიბერალიზმმა წოდებრივი უთანასწორობა გააუქმა და ყველასთვის თანაბარი ავტონომია შემოიღო. სოციალური ნიშნის ქვეშ ჩნდება ახალი განსხვავება საზოგადოების „სოციალურად ძლიერსა“ და „სოციალურად სუსტ“ ჯგუფებს, დამსაქმებელსა და დასაქმებულს, მეიჯარესა და მოიჯარეს, წარმატებულსა და წარუმატებელს შორის. სამართლებრივი სახელმწიფო, რომლის საჯარო სამსახური მხოლოდ კანდიდატის პროფესიონალიზმის ნიშნით უნდა დაკომპლექტდეს და მის სქესს ყურადღებას არ უნდა აქცევდეს, დღეს ფემინისტური კვოტების მონესრიგების საკითხითაა დაკავებული, რითაც სქესი გადამწყვეტი ხდება. დასაშვები თანაბარი მოპყრობა, ისევე როგორც დასაშვები დიფერენცირება იმ სამართლებრივი რეჟიმის კონტექსტით განისაზღვრება, რომელშიც ისინი წარმოებს. შინაარსობრივად თანასწორობის დირექტივა, როგორც ჩანს, დამოკიდებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელიც მან უნდა მართოს.

ასევე *iustitia commutativa*, რომელიც კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მოქმედებს, პრაქტიკულ სახეს იძენს, უპირველეს ყოვლისა, მოქმედ სამართლებრივ რეჟიმსა და მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან კავშირში. სხვის უფლებათა დარღვევის აკრძალვას (*neminem laedere*) სარგებელი მოაქვს სტატუს ქვოსთვის თავისი რეალური უთანასწორობით. ამდენად, „არავის ავნო“ სამართლიანობის პრინციპი იცავს არსებული სიკეთის განაწილებას, იმისდა მიუხედავად, არის ეს განაწილება თავის თავში სამართლიანი, თუ არა. ეს, რა თქმა უნდა, *iustitia universalis* -ის, ისევე როგორც *iustitia distributiva*-ს თემაა. ამგვარად, სამართლიანობის ასპექტები შესაძლოა ერთმანეთს ანიჭებდნენ ფარდობით მნიშვნელობას. – ამის საპირისპირო შინაარსობრივ დებულებას შეიცავს გარიგების სამართლიანობა (*iustitia commutativa*), როცა ეს უკანასკნელი ფაქტიური

შესრულებისა და საპირისპირო შესრულების თანაზომიერებას, როგორც პრინციპს, იღებს გარიგების მონაწილე პარტნიორთა პიროვნების მიუხედავად და ამგვარად ადგენს "სამართლიან ფასს". ამგვარი იდეალურობა დამაჯერებელია, მაგრამ რთულად განხორციელებადი. ეკვივალენტურობის განსაზღვრა პრაქტიკულად შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა შესრულებისა და საპირისპირო შესრულების ობიექტური ფასის დადგენა შეგვიძლია და ამისთვის არსებობს შესაბამისი ზომის ერთეული. საქონლის ან მომსახურების ფასი არ არის ონტოლოგიურად დადგენილი. თუ სახელმწიფო არ იღებს მარეგულირებელ ზომებს, ფასი დგინდება ბაზრით. ეს გამოწვეულია მიწოდებისა და მოთხოვნის ეკონომიკური კანონებით, რომლებიც ეთიკური არგუმენტებით ვერ დაიძლევა. სწავლება „სამართლიანი ფასის“ შესახებ წარმოადგენს უტოპიას.⁹

ვისაც სურვილი ექნება, სამართლიანობის აბსტრაქტულ-ფილოსოფიური კონსტრუქციებიდან მოქმედების კონკრეტული მითითება მიიღოს, უმალ აღმოჩნდება *petitio principii*-ს ხელში. იგი იქიდან გამოიღებს იმას, რაც მანამდე ჩადო. ეს კონსტრუქციები ფორმალურია.¹⁰ მათი ქსოვილი იწარმოება იმ სამართლებრივი და სოციალური სისტემიდან, რომელთა შიგნით მოხდება ამ კონსტრუქციების გამოყენება. ამგვარად ასახავს არისტოტელეს მატერიალური ეთიკა ბერძნული პოლისის, ხოლო აქვინელის ეთიკა – სახელმწიფოსა და ეკლესიის შუასაუკუნოვან წესრიგს. თავიანთი ფორმალური ხასიათის გამო, სამართლიანობის კონსტრუქციები ახერხებენ, კონსტიტუციების ცვლილებებს გადაურჩნენ და მოერგონ მათ. ამდენად, არის კი სამართლიანობა მარადიული მხოლოდ იმიტომ, რომ მისი კონსტრუქციები უშინაარსია?

სამართლიანობის დილემა ნათელია: აქვს კი მას განაცხადოს პრეტენზია, მართოს სამართლებრივი სინამდვილე და სადაც საჭიროა, შეასწოროს იგი, თუკი სამართლიანობა, თავის მხრივ, ამ სამართლებრივი სინამდვილით საზრდოობს? არის საერთოდ შესაძლებელი, არსებობდეს ზეპოზიტიური, ტრანსცენდენტული სამართლიანობა, თუ იგი დამოკიდებულია პოზიტიურ სამართალზე? არის თუ არა ეს „მარადიული“ იდეა უფრო მეტად, ვიდრე დინამიური მითითება კონკრეტულ დროში გაბატონებულ სამართლებრივ შეხედულებებზე?

სამართლიანობის აღნიშნული დილემა არ წარმოშობილა არც ჯონ როულზის მიერ XX საუკუნეში განხორციელებული მცდელობით, სამართლიანობის პრინციპები ფილოსოფიურად განესაზღვრა და საზოგადოების წევრების თანხმობით გაემართლებინა. ამ მიზნით ამერიკელ მეცნიერს სახელმწიფოს თეორიის ძველი ევროპული მუზეუმიდან გამოაქვს საზოგადოებრივი კონტრაქტის მანქანა, მოჰყავს იგი მუშა მდგომარეობაში და ასხამს მასში შეერთებული შტატების ამერიკულ სანჯავს. ის პირები, რომლებსაც როულზის სამართლიანობის შესახებ თანხმობისთვის იყენებს, ჰგავს თომას ჰობსის მიერ სამასი წლით ადრე რეკრუტირებულ პირებს, რომლებიც რეალური ადამიანები კი არ არიან, არამედ გონით მართული, პირადი სარგებლის განზრახვით შეზღუდული აჩრდილები. ჰობსის აზრით, ეს თვისება ადამიანებმა სამოქალაქო ომის გამოცდილებიდან

შეიძინეს, ხოლო როულზის თანახმად კი – ამერიკული დემოკრატიისა და ამერიკული კაპიტალიზმის გამოცდილებიდან მისი თავისუფლების, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების იდეალებით. როულზი ხელშეკრულების დადების კეთილსინდისიერ პირობებზე ზრუნავდა იმით, რომ პარტნიორებს თავიდანვე „უმეცრების ფარდას“ ჩამოათარებს, რითაც ისინი საზოგადოებაში საკუთარ პოზიციებზე უარს ამბობენ, განსაკუთრებულ ინტერესებს თავს ანებებენ და საერთო ინტერესებს, როგორც სწორად გაგებულ საკუთარ ინტერესებს, ისე აცნობიერებენ. გაერთიანების პროცესის შედეგი შეესატყვისება მის ჰიპოთეზას. ყველა სამართლიანად მიიჩნევს თავისუფლების, თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. თუ ფილოსოფიურ რეკონსტრუირებას მივმართავთ, აშშ-ის დემოკრატია აღზევდება, როგორც სამართლით კურთხეული ფენომენი, საკუთარი თავის მიმართ ეთიკური პრეტენზიებით, გამაგრებული მძლავრი სოციალ-დემოკრატიული ინტერვენციის დათქმით არსებული სიკეთის განაწილების საპირწონედ.¹¹

4. სამართლიანობა – ცარიელი ფორმულა?

რა მიგნებებს გვაძლევს ფილოსოფია იმისათვის, რომ სამართლიანობა შინაარსობრივად განუმარტოთ? სამართლის თეორეტიკოსი ჰანს კელზენი პირდაპირ გვეუბნება, რომ – არაფერს. მან გამოიკვლია ფილოსოფიური ტრადიციის ფორმულები, რომლებსაც სამართლიანობის არსი უნდა დაედგინა და მივიდა დასკვნამდე, რომ ყველა ფორმულა უშინაარსოა, მაგალითად, მოთხოვნა „ყველას თავის წილ“ (suum cuique), საშუალო წერტილი მიუღებელ უკიდუროსობებს შორის (Mesotes), სამართლიანი ანაზღაურების პრინციპი, თანასწორობა სამართლებრივი სახელმწიფოს, მათ შორის კომუნისტური გაგებით, ოქროს კანონი, კანტის კატეგორიული იმპერატივი. მეცნიერის დასკვნით, აბსოლუტური სამართლიანობა ირაციონალური იდეალია. ირაციონალური ცოდნის თვალსაზრისით, არსებობს მხოლოდ ადამიანური ინტერესები და აქედან გამომდინარე ინტერესთა კონფლიქტები, რომელთა გადაჭრის მხოლოდ ორი გზა არსებობს: ან ინტერესი სხვისი ინტერესის ხარჯზე უნდა დაკმაყოფილდეს, ან კომპრომისი უნდა შედგეს ორივე მხარეს შორის. შეუძლებელია, დავამტკიცოთ, რომ სამართლიანი იქნება მხოლოდ ერთი ან მეორე.¹² შემეცნების თეორიული აგნოსტიციზმი გვიტოვებს, რომ ცალკეული ადამიანის სამართლიანობის ირაციონალური მოთხოვნილება, „კაცობრიობის ლამაზი ოცნებაა“,¹³ მაგრამ მხოლოდ ოცნება.

ვისაც თავისი საყვარელი იდეალის გადარჩენა სურდა, კელზენის წინააღმდეგ ეჭვებს გამოთქვამდა; ამბობდნენ, რომ კელზენი გადამეტებული ღობით იყენებს კრიტიკას, როგორც ლაქების მოსაცილებელ ძლიერ სითხეს, რომელიც ლაქებს არამართონარჩენების გარეშე ამოიყვანს, არამედ სამოსსაც გაათუჭებს. მაგრამ პროფოკაცია, რომელსაც კელზენი გვთავაზობს, დაგვაფიქრებს. იქნებ, ის ეთიკური იდეალი, რომელიც არისტოტელეს თანახმად უფრო კამკაშად ანათებს, ვიდრე საღამოსა და დილის ვარსკვლავი, სხვა არაფერია, თუ არა ილუზია და იქნებ საშიში და მაცდური შუქიც?

5. ყოვლისმომცველობა პრაქტიკაში

სამართლიანობის იდეა ყოვლისმომცველია. იგი თავს იჩენს სამართლებრივ სინამდვილეში, ისევე როგორც პოლიტიკაში, საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაში. იგი არ ცნობს სივრცისა და დროის საზღვრებს. მისთვის ყველა კულტურა მშობლიურია. სამართლიანობის მოთხოვნილება განეკუთვნება ადამიანის სულის ძირითად კონფიგურაციას. იგი ქმნის არქიმედულ წერტილს, რომელსაც სინდისი ეყრდნობა და რომელიც ადამიანის ნების საყრდენია სოციალურ გარემოში მორალური თვითდამკვიდრებისთვის.

გონიერი ადამიანისთვის სამართლიანობისთვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითია სამიოთხი წლის ბავშვი, რომელიც ერთ დღეს, სურვილის მისაღწევად, წყვეტს ყვირილს, ხელებისა და ფეხების ქნევას და სურვილსა თუ საკუთარ უფლებას გამოხატავს სიტყვით. ანუ, მათ იციან უკვე სამართლისა და სამართლიანობის პრინციპების თაობაზე ისე, რომ ეს მათთვის არავის უსწავლებია. ბავშვის ენა საკმარისია იმისთვის, რომ ეს კატეგორიები მან კონკრეტულ სამართლებრივ საფუძვლად აქციოს:

- „მე ეს არ ჩამიდენია“ – ქმედებაზე პასუხისმგებლობა.
- „ვერაფერს ვუშველი“ – მატერიალური პასუხისმგებლობა ბრალეულობისთვის.
- „კარი მე არ გამიღია და მე არ უნდა დავეკეტო“ – მოთავის პასუხისმგებლობა.
- „მეც“ „ყოველვის მე რატომ“ – თანასწორობა, დისკრიმინაციის აკრძალვა.
- „სხვა ბავშვები ამას აკეთებენ“ – ნორმების საყოველთაობა, სააპელაციო საჩივრის მნიშვნელობა.
- „შენ ხომ შემპირდი“ – სიტყვის შესრულება; ხელშეკრულება უნდა შესრულდეს (*pacta sunt servanda*).
- „თავად ამას არ აკეთებ“ – ნორმის შედეგი, ნორმის დამდგენისთვის, მისი ვალდებულება, შეასრულოს კონკრეტული ნორმა და თავისი ცხოვრების წესით მისცეს მაგალითი.
- „შენ ტყუი“ – სიმართლე, როგორც სამართლიანი სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველი.

რიგი გრძელდება კანონიერი ნდობის პრინციპით და პირადი ღირსების დისკრედიტაციისგან დაცვით (აქ სიტყვა უფრო ნაკლებია, ვიდრე ცრემლი). სამართლის ფილოსოფიის ბავშვისმიერი ლექციის დასასრულს არსებობს კატეგორიები, რომლებსაც ემყარება სამართალი, მაგრამ რომლებიც თავის მხრივ არ არის გამართლებული, არ არის სრულად განხილული. მათი გადაცემა აღზრდის გზით არ არის საჭირო: განვითარების კონკრეტულ ეტაპზე ისინი სახეზეა და მოქმედებს. ამით განსაზღვრავს ბავშვი თავის თავს, როგორც პიროვნებას მშობლების წინაშე; ამის საშუალებით დგება აუცილებლობა, ბავშვის აღზრდელითი ზომები დასაბუთებული იყოს. დასაბუთების

კრიტიკერიუმები მშობლებსა და ბავშვს ერთად აქვთ დადგენილი. ისინი აზროვნებენ და საუბრობენ ერთი და იმავე მორალურ (ვირტუალურ) და სამართლებრივ ენაზე. აღმზრდელმა რაც უნდა ასწავლოს აღსაზრდელს არის ის, რომ, უპირველეს ყოვლისა, მან სამართლიანობის მოთხოვნა, რომელსაც სხვებს წაუყენებს, თავად დააკმაყოფილოს. ოქროს წესი – „რაც გინდა რომ სხვებმა გაგიკეთონ, შენც იგივე გაუკეთე მათ“¹⁴ – ითხოვს პედაგოგიურ დახმარებას, რომელიც სინდისს აყალიბებს, რადგან ჩვეულებრივ პირადი სარგებელი უფრო ძლიერაა განვითარებული მათში, ვიდრე სხვისი სამართლის შეგნება.

რაც უფრო ფართოვდება და ვითარდება ახალგაზრდის გარემოცვა, გამოცდას გადის სამართლიანობის მისეული აღქმა. იგი ითხოვს თავისი სოციალური გარემოცვისგან სამართლიანობას და მათ მოთხოვნებს აფასებს სამართლიანობის კრიტიკერიუმებით; და თუ ამ კრიტიკერიუმებს აკმაყოფილებენ, მაშინ იღებს მათ. მზარდ მონიჭებულობასთან ერთად, იგი აკონტროლებს თავის ქმედებებს ახლობლებთან, ნორმებთან და ინსტიტუტებთან მიმართებით სამართლიანობის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით. მეორე მხრივ კი, იგი საზოგადოებას უქვემდებარებს სამართლიანობის პრინციპს, მას ქაოსიდან მორალური აზროვნება გამოაქვს. ალბათ, სწორედ ესაა კანტის მკაცრი თეზის ფარული მნიშვნელობა: „თუ სამართლიანობა დაიკარგება, არანაირი ფასი ექნება ადამიანების დედამიწაზე ცხოვრებას“.¹⁵

სამართლიანობის დედააზრი ადამიანებს დაბადებით მოსდგამს: თანდაყოლილი იდეა (ideae innatae), როგორც ეს ესმოდა ციცერონს, ბუნებით მონიჭებული, „ბუნებრივად ნათელი“ და როგორც ელემენტარულ ზნეობრივ კითხვებზე საყოველთაო თანხმობის საფუძველი.¹⁶ პლატონი ერთი ნაბიჯით წინ მიდის და მიიჩნევს, რომ ადამიანისთვის მთელი სიმართლე ცნობილი გახდა არსებობის წინარე პერიოდში და იგი მიმდინარე ცხოვრებაში, მას მეტად თუ ნაკლებად, გაურკვევლად იხსენებს (Anamnesis). სამართლიანობის გაგების ბუნებითი ნიჭი ადამიანის სულიერი განვითარების პროცესში სოციალური გარემოს საშუალებით იკვეთება, მდიდრდება და კულტურულად დიფერენცირდება.¹⁷

II. სამართლიანი სახელმწიფოს არქექტიპები

1. პლატონის იდეალური სახელმწიფო

სამართლიანობაზე დამყარებული საზოგადოების პროტოტიპს ანვითარებს პლატონი თავის „პოლიტიკაში“. სამართლიანობა ვითარდება როგორც იდეა და როგორც სათნოება, როგორც თითოეულ პიროვნებაში, ასევე სახელმწიფოში. პლატონისთვის სამართლიანობის ორივე გაგება კონსტიტუციის სამართლიან-ზნეობრივი განსახიერებაა.

ადამიანის სულის სამ პლასტს შეესაბამება სამი სათნოება: ფიზიკურ თუ ეკონომიკურ ანგარებას – თავდაჭერილობა; პოლიტიკურ პატივმოყვარეობას – სიმამაცე; გონივრულობას – სიბრძნე. აღნიშნულ სათნოებათა ერთმანეთის მიმართ სწორ თანაფარდობას უზრუნველყოფს სამართლიანობა, როგორც მეოთხე „კარდინალური სათნოება“. იგი მართავს ადამიანებს როგორც პატარა, ასევე დიდ მასშტაბში, მართავს სახელმწიფოს. სამართლიანობის ძიება, რომელიც პლატონის თანახმად, გონიერების ძალით აუცილებლად იწვევს სამართლიან ქმედებას, ქმნის სახელმწიფოში მმართველობის ლეგიტიმურობას. გონიერების მჭვრეტელობით ადამიანები განსხვავებული დოზით არიან დაჯილდოვებულნი. გონისმიერი ლეგიტიმურობის პრინციპი ამყარებს ხელისუფლებაში მონაწილეობის გრადაციას და საზოგადოების მუდმივ ჩამოყალიბებას ფენებად. ეს გამომდინარეობს სულის სამმაგი პლასტიდან, რომელიც ინდივიდებში განსხვავებულადაა განვითარებული. უმაღლესი ნიჭისა და სათნოების დომინირებას, განსაკუთრებით კი გონისა და სიბრძნისა, მხოლოდ ცოტა ადამიანთან თუ შევხდებით. სამივე მდგომარეობა საერთო სიკეთეს ემსახურება. რაც უფრო მაღალია ეს მდგომარეობა, მით უფრო დიდია ვალდებულებები. გლეხთა, ხელოსანთა და ვაჭართა უბრალო ფენა საზოგადოების სამეურნეო საჭიროებიდან ჩნდება. ისინი ინტერესების მიხედვით ცხოვრობენ და ვალდებულნი არიან მხოლოდ კანონი დაიცვან. მოხელეები და სამხედროები („გუშაგები“), რომლებიც ერთგულებითა და სიმამაცით ხასიათდებიან, ხელისუფლების ნებას აღასრულებენ და ამიტომ პირად ინტერესსა და პირად ცხოვრებაზე უარს ამბობენ. მაგრამ სახელმწიფოს მართვა იმ ფილოსოფოსების საქმეა, რომლებიც საკუთარ თავს უპირობოდ უძღვნიან სამართლიანობის შემეცნებას, რომელიც სიკეთესა და ჭეშმარიტებასთან ერთად ერთ მთლიანს წარმოადგენს. სწორი შემეცნება აუცილებლად გულისხმობს სწორ მოქმედებას. მაგრამ არც ფილოსოფოსებისთვის არის იდეა უშუალო და აშკარა. მათ ძალუძთ, მხოლოდ მიუახლოვდნენ ამ იდეას, მაგრამ არ ძალუძთ, განმარტონ იგი. სამართლიანობა რჩება საიდუმლოდ, რომლის დანახვა, საუკეთესო შემთხვევაში, ღვთითკურთხეულთა ხვედრია. პლატონის სამართლიანი სახელმწიფო იცავს მოცემულ მორალურ პრინციპს. იგი აფუძნებს ინტელექტუალურ არისტოკრაციას. ძალაუფლება ემორჩილება გონს, მაგრამ გონიერს უფლება აქვს განახორციელოს იგი მხოლოდ მაშინ, როცა ასკეტიზმს იცავს, უარს ამბობს პირად თვითრეალიზაციაზე და სახელმწიფო საქმეებს თავს უპირობოდ უძღვნის. სამართლიანობის გონისმიერი ბატონობა საფუძველს უქმნის ავტორიტეტს, ამგვარ ბატონობას ესაჭიროება სწორედ ავტორიტეტი, რათა ნაკლებად გამჭრიახნი დაიმორჩილოს.¹⁸

2. შუასაუკუნეების წმინდა იმპერია (Sacrum Imperium)

თუ შეუძლებელი ოდესმე რეალობა გამხდარა და პლატონის „პოლიტიკის“ იდეალი ისტორიულ სინამდვილეს შეადგენდა, მაშინ ეს იყო შუა საუკუნეების ქრისტიანულ იმპერიაში.¹⁹ ქრისტიანული ეკლესიის მიერ ინტერპრეტირებული ჭეშმარიტება ქმნის იმპერიის საფუძველს. ამ ჭეშმარიტებას ჰქონდა პრეტენზია, მთელი საზოგადოება

სრულად განემსჭვალა და თითოეული ადამიანის გულამდე მისულიყო. ღვთიური გამოცხადების რწმენა და ფილოსოფიური გააზრება ერთმანეთს ავსებს. ჭეშმარიტება, რომელსაც ეყრდნობა საზოგადოება, განსაზღვრავს სამართლიანობას. სამართლიანობა ყველა სამეფოს საფუძველია (Iustitia fundamentum regnorum). სამართლიანობის იდეა წინ უსწრებს მოქმედ სამართალს, როგორც მისი დედა.²⁰ სახელმწიფოსა და სამართლის მართებული მოწყობა წარმოჩინდება როგორც მოცემულობა, შეგნების და არა ნებისა და ქმედების საგანი.

ეს შუასაუკუნოვანი კონცეფცია ფართოვდება მუდმივ სათნოებათა და მოვალეობათა მრავალსახეობაში. პლატონისმიერ სამეფო ფილოსოფოსთა ადგილს განსწავლული მღვდლები იკავებენ. მათი ავტორიტეტი, მარადიული ჭეშმარიტება ასწავლონ სხვებს, ასევე ეყრდნობა იმ ჭეშმარიტებას, რომელზეც დგას სახელმწიფო და სამართალი და რომელიც ამ პრეტენზიას სულიერი წინამძღოლობით ასაბუთებს. მაგრამ მათ, ვინც ამ პრეტენზიებს აცხადებენ, მოეთხოვებათ სულიერებისა და ასკეტიზმის ვალდებულება, ვალდებულება პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისგან შეიკავონ თავი და სამსახური წარმართონ მხოლოდ საზოგადო სასიკეთო საქმისთვის. ქრისტიანობის შუქზე პლატონის იმედი ამოხსნა, ანუ ვიცით, ვინ ცხოვრობს მართალი ცხოვრებით, ვინ არა და ვინ უბედურად.²¹

პლატონის იმედი ბუნებრივად წინააღმდეგობრივია ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, როცა არამართალი კარგად ცხოვრობს და მართალი უბედურებაში ვარდება და ცხოვრების ბოლოს პაპ გრეგორ VII-ის მსგავსად ასკვნის, რომ: „მიყვარდა სამართლიანობა და მძულდა უსამართლობა, ამიტომ ვკვდები გადასახლებაში“.²² პლატონის თანამედროვეებს, ამქვეყნიური ცხოვრებით გალაღებულ ბერძნებს ფილოსოფიური არგუმენტებით ვერ გადავარწმუნებდით, რომ ყველაზე სამართლიანი ამავე დროს ყველაზე ბედნიერია. ამგვარად, პლატონი იძულებული იყო, თავისი ფილოსოფიისთვის პროპაგანდა მიეშველებინა და მართალთა ჯილდოს შესახებ სწავლება სახელმწიფოსთვის საჭირო ლეგიტიმურ ტყუილად განეწესა.²³ თუმცა, ქრისტიანობა მართალსა და მტყუანსა დაჯილდოების მარადიულობის კუთხით უყურებს (sub specie aeternitatis). აქ არ ითვლება მინიერი ფიასკო და ამქვეყნიური წარმატება. ჯილდო და სასჯელი ადამიანს ბოლოს ღმერთისგან განესაზღვრება.²⁴ ნანატრი სამართლიანობა ღმერთში აღესრულება. მიწაზე კი ყველა მცდელობა სამართლიანობის მისაღწევად ვერასდროს აღწევს მიზანს. სამსჯავრო, რომელიც ქმნის ჭეშმარიტ სამართლიანობას, გაიმართება იმქვეყნად.

ქრისტიანული სწავლება მარადიული სამართლიანობის შესახებ დიდებულ სახეს იძენს დანტეს "ღვთაებრივ კომედიაში" („Divina Commedia“), რომელიც აღწერს ღვთის სასუფეველს, რომელშიც ყველას თავისი მიეზღვება, რაც მინიერი ცხოვრებით დაუმსახურებია - მარადიული სასჯელი, ღროებითი განმენდა, მარადიული ნეტარება.

„მართლმსაჯულება ფუძედ ჰქონდა ჩემს ღიად შემქმნელს,
მე ვარ ნაყოფი ღვთაებრივი ძალმორჭმულობის,
უმაღლეს სიბრძნის და პირველი სიყვარულისა“.²⁵

ასეთი იყო წარწერა ჯოჯოხეთის კარზე დაღუპული ადამიანებისთვის, რომელთაც არანაირი იმედი გააჩნიათ. როცა პოეტი ტკივილების ქალაქში მოგზაურობს, განმნდის მთის იქით სამოთხის ვარსკვლავთა რაიონში მოხვდება და საკუთარი თვალით იხილავს ღვთის სამართლის სინამდვილეს, ეჭვებშია ფარულად, მართლა სამართლიანია თუ არა ღმერთი, თუ იგი მოუნათლავ ინდიელს, რომელსაც არასდროს სმენია ქრისტიანობის შესახებ, უარს ეუბნება, მარადიული ბედნიერების თანაზიარი გახდეს. ცის არწივი ასწავლის სკეპტიკოსს:

„მაგრამ შენ ვინ ხარ, მსაჯულობა რომ გიკისრია,
ასეულ ეჭის სიშორეზე მართლგანმკითხველი,
თვალს ველარ უწვდენ ხუთიოდე წერთისა სიშორეს.
ცხადია, იგი, ვინც ისურვებს გაჰაეყრებას,
საღვთო წერილი რომ არ იყოს ცით ნაბოძები,
გაოცების და იჭვის საგანს გამოსძებნიდა.
ო, კაცთა მოდგმავ, გაუთლელიო, მოუხეშავო,
ეგეც იცოდე ნებისყოფა უპირველესი
თავათ სიკეთე არ ვრცელდება აროდეს თავათ.
მართებულია მხოლოდ მასთან შეხამებული,
ვერც მიიზიდავს მას ოდესმე კეთილად ქმნილი,
მხოლოდ მისივე უკუკრთომა არს მართლის მქმნელი“.²⁶

სამართლიანობა, საბოლოო ჯამში, ღმერთის ნებაზეა. მის წინაშე ღუმან ადამიანთა კითხვები.

III. კოპერნიკისეული შემობრუნება მოღერნისკენ

ფუნდამენტი, რომელზეც სამართლიანობის შესახებ შუასაუკუნეების სწავლება იდგა, ახალ დროში მოირღვა; უპირველეს ყოვლისა, მოიშალა რელიგიისა და მისი ეკლესიური შუამავლობის მთლიანობა. ამრიგად, ძალა დაკარგა რწმენამ, რომ მოცემული ამქვეყნიური წესრიგი შეიძლება იყოს შეცნობადი და, ასევე ძალა დაკარგა რწმენამ იმ სულიერსა და მიწიერ ავტორიტეტებში, რომლებიც ამ შემეცნებას განმარტავდნენ. შემეცნებითმა ოპტიმიზმმა გზა დაუთმო კრიტიკულ აზროვნებას. ინტელექტუალიზმმა ველი მოასუფთავა, ხოლო ვოლუნტარიზმს თავისი ადგილი მიეჩინა. ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის, ასევე არსისა და ჯერ-არსის კავშირი ადამიანის ქცევით ბუნებაში გაიხსნა. თეორიული გონი ეყრება პრაქტიკულ გონს.

ადამიანი აღარ ემორჩილება ღვთის ნებას და საკუთარ ნებას ახორციელებს. ნაცვლად იმისა, რომ დანტესავით ღმერთის მიუწვდომელი სამართლიანობის წინაშე ქედი მოიხაროს, თავად ციტირებს ღმერთს ადამიანური გონის სამსჯავროდან, თეოდიციის პროცესს უმართავს მას და უჩივის უსამართლობისთვის, რადგან ღმერთი უშვებს ამქვეყნად ბოროტებას. პოლიტიკური ფილოსოფია აღარ ცდილობს, სახელმწიფო და სამართალი ღვთის ნებაზე დაფუძნებულად გამოაცხადოს, არამედ გამოჰყავს ისინი ადამიანთა ნებიდან.

სახელმწიფო კარგავს თავის საკრალურ ხასიათს. იგი ითვლება მხოლოდ ადამიანის ქმნილებად, ორგანიზაციად მიწიერი საჭიროებების მიზნებისთვის. იგი თავის ლეგიტიმურობას საკუთარი საჭიროებიდან ახდენს. სახელმწიფოს ლეგიტიმაციის საფუძველი არის არა უბრალოდ საზოგადო სიკეთე, არამედ ერთეული ადამიანების კეთილდღეობა. წინასწარ აღარ ვუშვებთ, რომ სამართლიანობა ადამიანებთან დაკავშირებული საუცხოო სათნოებაა,²⁷ არამედ იგი რაციონალურ პირად ინტერესებზეა დამყარებული. სახელმწიფო წყობილება არ ხდება სამართლიანი იმით, რომ იგი თანხვედრაშია სამართლიანობის პრინციპებთან, არამედ იმით, რომ დაზარალებულთა ნების თანხვედრაშია და მათგან იღებს თანხმობას. ნორმები და ინსტიტუტები წარმოჩინდება როგორც სასარგებლო და მოსახმარი რამ. ისინი შესაძლოა გახდნენ განსჯის საგანი არა მხოლოდ სპეციალისტებისა და საქმეში ჩახედულთა, არამედ თითოეული ადამიანის მხრიდან.²⁸

IV. სამართლიანობის გამორიცხვა თანამედროვე სახელმწიფოს სისტემიდან

1. მშვიდობა სამართლიანობის პირისპირ

„სამართლიანობის საქმეა სუფევდეს მშვიდობა“ – გვეუბნება ესაია წინასწარმეტყველი.²⁹ ეს ძველი აღთქმის იგივე პოლიტიკური უტოპიაა, რომელსაც ქრისტიანობაც მიჰყვება, რომ, როცა სამართლიანობა ბატონობს, მშვიდობა ისადგურებს³⁰ და როგორც მეფსალმუნე ამბობს, „მშვიდობა და სამართლიანობა ერთმანეთს ეამბორებიან“.³¹ ახალი დროების პოლიტიკური ტრავმა სამოქალაქო ომებია, რომელიც XVI საუკუნის რელიგიურ განხეთქილებას მოჰყვა: ეს არის გამოცდილება იმისა, რომ სამართლიანობა და მშვიდობა ქრება, როდესაც მოქალაქეები რელიგიური ნიშნით არიან დაყოფილი და რელიგიურად დასაბუთებული პრეტენზიები აბსოლუტურ სამართლიანობაზე, ერთმანეთის მიმართ შეუწყნარებელ დაპირისპირებაშია. თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც არჩევანს სამართლიანობასა და მშვიდობას შორის აკეთებს, ირჩევს მშვიდობას. თუ სახელმწიფოს არ ძალუძს რელიგიური რწმენის მოპოვება ერთობის აღდგენა, მაშინ იგი იმაზე მაინც უნდა ზრუნავდეს, რომ ადამიანები, განურჩევლად მათი რელიგიისა, მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ. მშვიდობის გამო სახელმწიფო თავს ანებებს დავას ჭეშმარიტებისთვის და კმაყოფილდება ამქვეყნიური ცხოვრების პრაქტიკული საკითხების მოგვარებით.

თუ მოქალაქეები ვერ თანმხლებიან, როგორ მოაწესრიგონ საზოგადოდ საჭირბოროტო საქმე, მაშინ იგი უნდა გადაჭრას სახელმწიფომ ყველასთვის სავალდებულო წესით. სავალდებულო ხასიათი არ გამომდინარეობს იქიდან, რომ გადანყვეტილება სამართლიანია, არამედ სახელმწიფოა კომპეტენტური, გადანყვეტოს ეს საქმე. ესაა პროვოკაციული ალტერნატივა, რომელსაც თომას ჰობსი თანამედროვე სახელმწიფოს პირდაპირ ანიჭებს: ძალაუფლება და არა სიმართლე ქმნის სამართალს (authoritas, non veritas facit legem).³² თანამედროვე გაგებით: კანონი თავის ლეგიტიმურობას ახდენს არა მისი შინაარსის მართებულობით, არამედ იმ უფლებამოსილებით, რომლითაც იგი გამოიყვება. ვინ განსჯის (Quis iudicabit)? ვინ განმარტავს (Quis interpretabitur)? ესაა კითხვები, რომლებიც აინტერესებს თანამედროვე პოლიტიკურ აზროვნებას. თანამედროვე კანონმდებელს არ მოეთხოვება ორიენტირება სამართლიანობის წამყვან იდეებზე. ამდენად, კანონმდებელი არ ემორჩილება მოქალაქის განაჩენს, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანონი სამართლიანობის პრინციპებს ან რამდენად შეესაბამება ეს პრინციპები სამართლიანობას. მოქალაქეს აინტერესებს უფლებამოსილების საკითხი. მატერიალური სამართლიანობის საკითხი ამით იზღუდება. ჰობსი ლაკონურად ადგენს, რომ სამოქალაქო კანონი განსაზღვრავს „რა არის წესიერი და უწესო და, ზოგადად, რა არის კარგი და რა არის ცუდი“.³³

უფლებამოსილების საკითხზე ყველას შეუძლია ადვილად შეთანხმდეს. ამდენად, გარკვეულია, ვის აქვს უფლება, გადანყვეტოს იგი. მაგრამ ხშირია საკითხი, როგორ უნდა გადანყვეტოს ის და რა არის სამართლიანი. მართებული შინაარსი, ვირტუალურად მაინც, დავის საგანი ხდება და განხეთქილების საფუძველი. მშვიდობის გამო კონკრეტული ინსტანცია, რომელიც იღებს გადანყვეტილებას და რომელსაც აქვს ძალაუფლება, მზად უნდა იყოს, გარკვეულ ვითარებაში გადანყვეტილება წინააღმდეგობის მიუხედავად აღასრულოს. ამ მიზნით თანამედროვე სახელმწიფო პრეტენზიას აცხადებს, მონოპოლია ჰქონდეს ფიზიკურ ძალაუფლებაზე და უკრძალავს თავის ქვეშევრდომებს ფიზიკური ძალის ან მუქარის გამოყენებას აუცილებელი მოგერიების შემთხვევების გარდა, როდესაც სახელმწიფო დაცვას ვერ უზრუნველყოფს. თანამედროვე სახელმწიფო შედგება გადანყვეტილების, ძალაუფლებისა და მშვიდობის მთლიანობისგან.³⁴

მშვიდობა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს ფუნდამენტური მიზანი, ნიშნავს ძალადობის სრულ, თანაგრძობის გარეშე აღმოფხვრას: რიგითი ადამიანის გაგებით, უსაფრთხოების მდგომარეობა ნიშნავს ცხოვრებით, ჯანმრთელობით, თავისუფლებით, საკუთრებითა და სხვა სიკეთეებით შეუფერხებლად სარგებლობას, რასაც სახელმწიფო სამართალით უზრუნველყოფს თითოეული პირისთვის.³⁵ სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მშვიდობა, სამოქალაქო მდგომარეობა (status civilis) იმ შესაძლებლობის პირობაა, რომ მოქალაქეები შიშის გარეშე ერთმანეთის პირისპირ სამართლიანობაზე საუბრობდნენ და ლიბერალურ დემოკრატიაში ერთმანეთს ეჭიბებოდნენ, რაც შეიძლება სამართლიანად გადაჭრან პოლიტიკური პრობლემები.

ამგვარად, ესაიას სიტყვები რომ მოვიშველიოთ, მშვიდობის ფუნქცია სამართლიანობაა. ამ მითითებას შეიცავს იაკობის წერილი: „რამეთუ ნაყოფი სიმართლისა დაეთესვის მშვიდობით მათთვის, რომელნი ჰყოფენ მშვიდობასა“.³⁶

2. თავისუფლება სამართლიანობის პირისპირ

ლიბერალურ დემოკრატია არ აქვს პრეტენზია, პასუხი გასცეს „ჭეშმარიტი“ სამართლიანობის კითხვას. იგი მხოლოდ გვთავაზობს ყველა მოქალაქის თავისუფლებას, დასვას კითხვები და ეძიოს მათზე პასუხები. დემოკრატია წარმართავს სახელმწიფოებრივ პროცესებს, რათა კითხვები სავალდებულო წესით იქნას გადაწყვეტილი. რა არის სამართლიანობა და კონკრეტულ შემთხვევაში რა გამოხატავს სამართლიანობას, ამის თაობაზე დემოკრატიაში ლეგიტიმურად დავობენ როგორც კერძო, ასევე საჯარო დისკურსში. ამრისა და მეცნიერების, მსოფლმხედველობისა და რელიგიის თავისუფლების ძირითადი უფლებების განხორციელება ყველასთვის ხელმისაწვდომია. პოლიტიკური პარტიები ცდილობენ, სამართლიანობის არსი საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენონ და ერთმანეთს ეჭიბრებიან „მეტი სამართლიანობისთვის“. უმრავლესობის პრინციპით ხდება გადაწყვეტილების მიღება საპარლემენტო, ძალაუფლებათა გამიჯვნის მქონე დემოკრატიულ სისტემაში. ეს არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შედეგი სამართლიანი იქნება. უბრალოდ უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილების იძულების პირობებში ყველას ამის, რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს.³⁷

დემოკრატიაში მოქმედებს პრინციპი: ძალაუფლება და არა სიმართლე (authoritas, non veritas). სამართლიანობის საკითხი ისევ რჩება საკამათო, რადგან დემოკრატიულად არჩეული კანონმდებელი სამართლიანობას ჰპირდება ხალხს. ყველასთვის ნებადართულია, გააკრიტიკოს კანონი, მოითხოვოს მისი გაუქმება, ან იზრუნოს მისი გაუმჯობესებისთვის (იმისდა მიხედვით, რას მიიჩნევს პირი სამართლიანად). ნორმის ადრესატი ვალდებულია გარეგნულად შეასრულოს კანონი და არაა ვალდებული სწამდეს ამ კანონის სამართლიანობა. კანტის ენაზე, სახელმწიფო ითხოვს კანონიერებას და არა მორალურობას. მოქალაქეთა დამოკიდებულება სამართლებრივი სახელმწიფოსადმი დაიყვანება კანონით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებზე. სათნოება არ მიიღება მხედველობაში. ამდენად, სამართლიანობა, როგორც სათნოება, აღარაა განხილვის საგანი. კანონიერებასა და მორალურობას შორის ზღვარის დადებით დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო შორდება თანამედროვის წინარე სამართლიანობის სახელმწიფოს, რომლისთვისაც სამართალი და მორალი, ჯერ კიდევ, ერთი იყო. იმ ადგილზე, რომელიც დაკავებული ჰქონდა სამართლიანობას, როგორც მოქალაქეთა სათნოებას, ახლა უკვე ჩნდება ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

აქტუალურ თემად კი რჩება (დემოკრატიულად ღია) კითხვა სწორი სახელმწიფო მოწყობისა და სახელმწიფო მოქმედების სამართლიანობის შესახებ: ინსტიტუციონალური სამართლიანობა.³⁸ ამ თვალსაზრისში კანტი და ჰობსი ერთმანეთს ეთანხმებიან:

ადამიანები სახელმწიფოდ ერთიანდებიან არა თავიანთი სათნოებების, არამედ სალი აზრით ნაკარნახევი პირადი სარგებლის წყალობით. ისინი არ არიან ვალდებული, საკუთარ ბოროტ ფიქრებს მოერიონ და მორალურად გაკეთილშობილდნენ; სრულიად არ სჭირდებათ მათ ანგელოზებად გადაიქცნენ, რათა რესპუბლიკის კარგი მოქალაქეები გახდნენ. სახელმწიფო მონყოების პრობლემა, კანტის თანახმად, „ეშმაკთა ერისთვისაც კი (თუკი მათ შეგნება აქვთ) გადაწყვეტადია“. საკმარისი იქნება, სახელმწიფო კარგად იყოს ორგანიზებული, რათა ის ავადმყოფური ვნების ტენდეციები, რომლებსაც ადამიანები ბუნებით ფლობენ, იმდაგვარად მართოს, „რომ [ადამიანები] სავალდებულო კანონებს დამორჩილდნენ, ამისთვის ერთმანეთი აიძულონ და ამგვარად დამყარდეს მშვიდობა, რომელშიც კანონებს აქვს ძალა“.³⁹ კონსტიტუციურ სახელმწიფოში, როგორც ჩანს, ადამიანებმა გამოსავალი ნახეს, რადგან ისინი მორალური სიმძიმის გარეშე, თავიანთ თანაცხოვრებას სახელმწიფოებრივად აწესრიგებენ და იმდაგვარადაც კი, რომ საკუთარ თავისუფლებებს რაც შეიძლება ნაკლებად ზღუდავენ და საკუთარ სარგებელზე რაც შეიძლება ნაკლებად ამბობენ უარს, ამას ახორციელებენ ძალის გამოყენებაზე სახელმწიფოებრივი მონოპოლიის, საპარლამენტო დემოკრატიისა და ძალაუფლებათა გამიჯვნის ინსტიტუციური დაცვის ღონისძიებებით, ასევე ძირითად უფლებათა შემზღვევისა და კონტროლის გზით.

3. სამართლებრივი უსაფრთხოება სამართლიანობის პირისპირ

კანონის დამდგენი თანამედროვე სახელმწიფო ეყრდნობა დემოკრატიულ ლეგიტიმაციას, რომელიც საპარლამენტო, ძალაუფლებათა გამიჯვნიტურთ წარმომადგენლობითი სისტემით ხალხის ნებიდან გამომდინარეობს. ფორმალური ხელისუფლება ანიჭებს სახელმწიფოს აქტივობას, მობილობას და ყოვლისმომცველობას. იგი არ საჭიროებს ეთიკური ფასეულობებით გამართლებას. საყოველთაო ეთიკური დასაბუთების ვალდებულება, ასევე არ იქნებოდა შესასრულებელი, რადგან რეგულირების საგანი უმეტესწილად ეთიკურად ინდიფერენტულია. საკანონმდებლო პროცესი გამომდინარეობს მიზანშეწონილობის მოსაზრებებიდან, ითვალისწინებს პრაქტიკულ საჭიროებებს და ემყარება თავისი შესაძლებლობების რეალურ საზღვრებს. ტექნიკური ცივილიზაცია და მისგან ნაწარმოები ტექნიკური სახელმწიფო ყრუა ეთიკური არგუმენტების მიმართ.⁴⁰ მიუხედავად ამისა, თუ კანონის დამდგენ სახელმწიფოს საყოველთაო მორალური სახე მაინც უნა მივაკუთვნოთ, მაშინ ეს უფრო, სავარაუდოდ, იქნებოდა საერთო სიკეთის მორალური სახე, რომელიც მოიცავს როგორც საზოგადოებრივ, ასევე გარესამართლებრივ საკითხთა ერთობლიობას. საერთო სიკეთე, თავის მხრივ, დემოკრატიულ პროცესში განისაზღვრება; იგი წარმართავს ხელისუფლების განხორციელებას, მაგრამ არ ადგენს რაიმე მოცემულ ჭეშმარიტებას.⁴¹ ფორმალური ხელისუფლება პოზიტიური სამართლის საფუძველია, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე საზოგადოება. სამართლის პოზიტიურობა (რომელიც სამართლის ბუნებიდან გამომდინარე, ყოველთვის არ

რეალიზდება სამართლებრივ პრაქტიკაში) უზრუნველყოფს ენობრივ ავთენტურობას და მდგრადობას, საიმედოობას, საჯაროობას, გამჭვირვალობას იმის თაობაზე, თუ რა არის უფლებისმიერი, მოკლედ რომ ვთქვათ, სამართლებრივი უსაფრთხოება. ამ ყაიდის ფორმათა ხარისხი ზეპოზიტიური სამართლიდან მომდინარეობს. ისინი სრულად საჭიროებენ ისეთ მრავალსიტყვიან ძირითად ეთიკურ ფასეულობებს, როგორცაა სამართლიანობა.

თანამედროვე საზოგადოება ეყრდნობა სამართლის განჭვრეტადობას. საზოგადოება ვერ შეეგუება იმას, რომ კონკრეტული პირი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს დადგენილი წესით მიღებული ფორმალური კანონის მოქმედებას იმ პრეტენზიით, რომ კანონი უსამართლოა. სამართლებრივ უსაფრთხოებას პრინციპულად ენიჭება უპირატესობა, თუ იგი კონტულიქტში მოდის მატერიალურ სამართლიანობასთან.⁴² სამართლებრივი უსაფრთხოება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი თავისუფლების შესაძლებლობის პირობაა. ეს მას თავად ანიჭებს სახელმწიფოებრივ-ეთიკურობის ხარისხს. სამართლებრივი უსაფრთხოება არ წარმოადგენს სამართლიანობასთან ურთიერთდაპირისპირებულ პრინციპს,⁴³ არამედ იგი სამართლიანობის განუყოფელი ნაწილია: მისი სტრუქტურული ელემენტი. ასეთად იგი შესაძლოა, თავისთავად მოვიდეს წინააღმდეგობაში მის შინაარსობრივ ელემენტებთან.

დაპირისპირება მთელი სიმძაფრით იჩენს თავს კითხვაში, რამდენად აქვს უფლება ერთიან გერმანულ სამართლებრივ სახელმწიფოს, ყოფილ გდრ-ში მომხდარი ადამიანთა უფლებების დარღვევებისთვის სისხლისსამართლებრივად აგებინოს პასუხი პირებს – მაგალითად, მესაზღვრეების მიერ საზღვარზე გადამრბენთა მიმართ სასიკვდილო გასროლა, კანონის დარღვევა მოსამართლეებისა და პროკურორების მხრიდან. მატერიალური სამართლიანობა მოითხოვს, რომ კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ თავისი სასჯელი ჰპოვოს და ტოტალიტარული სისტემის მიერ უგულვებელყოფილი უფლებები ისევ აღდგეს. მიუხედავად ამისა, სამართლებრივ სახელმწიფოს ძალუძს, თავისი ყველაზე ბასრი იარაღი, როგორცაა სასჯელი მხოლოდ უკუქცევითი მოქმედების აკრძალვის („Nulla poena sine lege scripta“) მკაცრად განსაზღვრული ფორმალური დათქმის პირობით გამოიყენოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედება მისი ჩადენის დროისა და ადგილის მიხედვით მოქმედი (დანერვილი) კანონით შეიძლება ისჯებოდეს (გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტი). ადამიანის უფლებების დარღვევა, როგორც ასეთი, არ იძლევა სასჯელის საფუძველს, ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში, რადგან სასჯელის განჭვრეტადობის მიზნებისთვის გერმანია მკაცრად მიჰყვება კანონის ფორმალურ მოთხოვნას, განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისგან, რომელიც იმ ქმედებებისთვისაც ითვალისწინებს სასჯელს, რომლებიც ჩადენის მომენტისთვის „ცივილიზებული ერების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად, დასჯადი იყო“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი).

თავისთავად მკვლევლობა, ადამიანის მოკვდინება და კანონის დარღვევა გდრ-შიც იყო დასჯადი. არც კედლის გუშავნი და არც მართლმსაჯულების მსახურნი იყვნენ გათავისუფლებულნი ვალდებულებისაგან, დამორჩილებოდნენ მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობას. ერთი შეხედვით, არ არსებობს ფორმალური დაბრკოლება ამჟამად სასჯელის გამოყენებისთვის. მიუხედავად ამისა, თუ ამ დებულებას წავიკითხავთ სამართლებრივი სახელმწიფოს იურისპრუდენციის ლინზის ქვეშ, კანონები, რომლებიც ადგენდა დასჯადობას, მიღებული იყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური სახელმწიფოს სამართლებრივი შეგნებით, რომელიც ხელმძღვანელობდა სოციალისტური პარტიული პრინციპებით და, ამდენად, საერთოდ არ არის გამოყენებადი ახლა, რადგან რაც სამართლებრივი სახელმწიფოს თვალსაზრისით მკვლევლობას, ადამიანის მოკვდინებასა და კანონის დარღვევას ნიშნავს, სოციალისტური თვალთახედვით, პარტიისა და სახელმწიფოს ფუძემდებლური იდეების მიხედვით, გამართლებული იყო და დანაშაულის ჩამდენისთვის ოფიციალური შექება და სამსახურეობრივი დანინაურება მოჰქონდა. თუ უკუქცევითი მოქმედების აკრძალვა კანონის განჭვრეტადობას უნდა ამყარებდეს, აქ გადამწყვეტი ფაქტორი არის არა სისხლის სამართლის კანონის სიტყვასიტყვითი დამთხვევა, არამედ ტექსტის სახელმწიფო სისტემაში გაბატონებული გაგება. თავისთავად, გდრ იყო მიერთებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაკტებს; იგი ზრუნავდა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების შინაარსზე, თუმცა არ იყენებდა მას საკუთარ სამართლებრივ პრაქტიკაში. შეიძლება უკანა რიცხვით სიტყვაზე გამოვიდეთ? არ არის საჭირო? ანუ გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ გდრ-ის სამართალი, სისხლისსამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, „ადამიანის უფლებათა მიმართ კეთილგანწყობილ“ სამართლად უნდა განმარტოს? ნუთუ სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმალური მოთხოვნები, ისევე როგორც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, შემოიფარგლება მხოლოდ ამ სამართლებრივი სახელმწიფოს სისტემით ისე, რომ უსამართლო სახელმწიფოში ჩადენილი დანაშაულების გასასამართლებლად ისინი არ მოქმედებს და სისტემის წყვეტისას ვერ სწვდება მათ? ნუთუ დიქტატორებმა და მათმა დამქაშებმა არ უნდა გაითვალისწინონ ის რისკი, რომ ისინი მარცხის შემდეგ პასუხს აგებენ ადამიანის უფლებების დარღვევებისთვის? მაგრამ, ნუთუ ადამიანის უფლებების დარღვევები, რაშიც გდრ, როგორც სისტემა, მხილებულია, მხოლოდ დაბალჩინოსან პოლიციელებსა და მოსამართლეებს უნდა მოეკითხოს? გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართლებრივი პრაქტიკა ამ კითხვას დადებით პასუხს სცემს. იგი უგულვებელყოფს გდრ-ის სოციალისტურ მართლშეგნებას, რადგან სხვამხრივ ეს უნდა ნიშნავდეს „სამართლიანობის დედააზრის აშკარა და უხემ დარღვევას“ და უნდა აზიანებდეს ყველა ხალხის სამართლისადმი საერთო რწმენას და ფედერალური სამართლის პრაქტიკა მიგვითითებს „რადბრუხის ფორმულაზე“ („Radbruch'sche Formel“), რომ პოზიტიურ კანონმდებლობასა და სამართლიანობას შორის გადაულახავი დაპირისპირებისას მცდარი კანონი გზას უთმობს სამართლიანობას.⁴⁴ სისხლის სამართლის განაჩენები მაინც იმდენად ლმობიერი გამოდის, რომ ისმის კითხვა, რამდენად გადანონის

ამ განაჩენების სამართლიანობის ეფექტი სამართლებრივი სახელმწიფოს შედეგებისა და ფორმის არარსებობას.⁴⁵

ეს განაჩენები გააჩენდნენ სამართლიანობის იმედს და შეიენარჩუნებდნენ სამართლებრივ სახელმწიფოს, ამაზე წუხდა ყოფილი გდრ-ის სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი ქალბატონი და ამავეს საუბრობდა გულწრფელად მისი ბევრი თანამემამულე, რომლებიც გერმანიის გაერთიანებით იმედგაცრუებულნი იყვნენ. მაგრამ ალტერნატივა სამართლიანობასა და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის არის უსამართლობა. სამართლებრივი სახელმწიფო მიისწრაფვის, განახორციელოს მატერიალური სამართლიანობა; მაგრამ, ამავე დროს, სამართლებრივმა სახელმწიფომ უნცის, რომ მისი მცდელობები არასაკმარისი და საკამათოა. წონასწორობისთვის იგი უზრუნველყოფს ძალაუფლებათა შებოჭვას, სამართლებრივ უსაფრთხოებას და თავისუფლებას. ეს განასხვავებს მას ტოტალიტარული სახელმწიფოსგან. სამართლებრივმა სახელმწიფომ უნდა გააცრუოს რევოლუციური იმედები ცვლილებებსა და რადიკალურ ანგარიშსწორებაზე. ეს იმედები შესაძლოა, მხოლოდ რევოლუციამ აღასრულოს; გერმანიის 1989 წლის მშვიდობიანმა რევოლუციამ ეს უშუალოდ ვერ გააკეთა. სამართლებრივ სახელმწიფოს არ ძალუძს ამის მოტანა. მას არ ყოფნის სამართლიანობის საკითხის მიმართ ფანატიური დარწმუნებულობა, რომელიც რევოლუციონერებს ახასიათებთ, ასევე მიკერძოებულობა, მიზნის მიღწევის საშუალების არჩევის კატეგორიულობა, ემპათიურობა. სკეპტიკურია იმაში, თუ რა უნდა იყოს „ჭეშმარიტი“ სამართლიანობა და კეთილგონივრულად აფასებს საკუთარი მცდარობის შესაძლებლობას. იგი დისტანცირებას ახდენს საზოგადოებრივი კონფლიქტებიდან, რეზისტენტულია სიძულვილის, შურისა და აღფრთოვანების მიმართ, იცავს ფორმასა და სტანდარტს და აღიარებს ყველას სამართლის სუბიექტად და ძირითადი უფლებების მატარებლად, ვინც კი უსამართლო სახელმწიფოს სავარაუდო მსხვერპლი, ისევე როგორც სავარაუდო დანაშაულის ჩამდენნი არიან. ამის საპირისპიროდ აბსოლუტურ სამართლიანობას პირდებოდა ოდესღაც მართლაც არსებული გდრ-ის სოციალიზმი, რომელიც არ იყო შეზღუდული იურიდიული ფორმალობით, არ იყო შეკავებული ლეგალურობის ეჭვით.⁴⁶ ის რაც იყო სამართლიანი, გამომდინარეობდა არა იდეის ფილოსოფიური ჭვრეტიდან, არამედ პარტიის ძალაუფლების ნებიდან და ემსახურებოდა იმას, რომ ლეგიტიმური გაეხადა მისი დიქტატურა და ეს მორალური ცნება პოლიტიკურად დაეტვირთა.

4. სამართალწარმოება სამართლიანობის პირისპირ

სამართლებრივი სახელმწიფოს სისტემიდან ეთიკური საკითხის გამორიცხვა საბოლოო შედეგამდე მიჰყავს ნიკლას ლუმანს, რომელიც საკმარისად მიიჩნევს „ლეგიტიმაციას სამართალწარმოების გზით“. მისი დაშვება ასეთია: სოციალური სისტემა, რომელიც ყველა წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტადობას უნდა უზრუნველყოფდეს, თანაბრად ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მართებულობას.⁴⁷ მატერიალური ჭეშმარიტება

და სამართლიანობა წარმოადგენს ფასეულობათა არასტაბილურ ცნებებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების სამართალწარმოებას არ უნდა ამძიმებდეს. ეს კი არის მოსამართლეებისა და საჯარო მოხელეებისთვის ბოძებული ტექნიკა, „სიმბოლურ-ცერემონიალური მუშაობა სამართალზე“. მაგრამ გადაწყვეტილება საკუთარ ლეგიტიმურობას მოახდენს არა მატერიალური და პროცესუალური სამართლიდან, არამედ სამართალწარმოებიდან გამომდინარე, როგორც ნამდვილად მოსახდენი მოვლენიდან, „მოსალოდნელის რესტრუქტურებიდან ფაქტიური კომუნიკაციური პროცესის გზით, რომელიც სამართლებრივი დებულებების შესაბამისად წარიმართება“.⁴⁸ მაგრამ სამართალწარმოება არ ეძიებს კანონმდებლობაში მოცემულ ჭეშმარიტებას, არამედ გადაწყვეტილებით წარმოშობს თავის საკუთარ ფორმალურ ჭეშმარიტებას. დაინტერესებული მხარეები ამ ჭეშმარიტებას იმით „შეიმეცნებენ“, რომ ისინი ამ გადაწყვეტილებას, მოსწონთ თუ არა იგი, კანონიერია თუ არა იგი, როგორც ფაქტს მოეპყრობიან და მასზე გაასწორებენ საკუთარ მომავალ ქმედებებს იმის ნაცვლად, რომ შემეცნების მოძულებით მის მიმართ არარაციონალური პროტესტი დაიტოვონ და დაუსრულებლად გამართონ წარსულთან ბრძოლა.⁴⁹

V. სამართლიანობის დაბრუნება კონსტიტუციურ სახელმწიფოში

მატერიალური სამართლიანობა, რომელსაც კონსტიტუციურმა სახელმწიფომ ფორმალურობის დაცვის ზომების საფუძველზე უარი უთხრა, კვლავ უკან დაბრუნდა.

1. საპროცესო სამართლიანობა

ამის კარგი მაგალითია „ლეგიტიმაცია სამართალწარმოების გზით“. თუ ლუმანი, როგორც გარეშე დამკვირვებელი, სხვას ვერაფერს გამოარჩევს, თუ არა „სამართალზე სიმბოლურ-ცერემონიალურ მუშაობას“, რომელსაც ეწევა მოსამართლე ან საჯარო მოხელე, პროცესის მონაწილე მხარეები უფრო მეტს მოელოიან. უპირველეს ყოვლისა, პროცესის მონაწილე მოელოის, რომ სამართალწარმოება, როგორც ასეთი, დაექვემდებარება სამართლიანობის კონკრეტულ წესებს, როგორიცაა საქმის სამართლიანი მოსმენა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიუკერძოებლობა, კანონის სრული დაცვით საქმის განსახილველად შერჩეული მოსამართლის უზრუნველყოფა. სამართალწარმოების შედეგი არის მხოლოდ ლეგიტიმური ძალა, თუ იგი, როგორც მინიმუმ, პროცესის სამართლიანობას უზრუნველყოფს. იგივე ეხება წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც არჩევნების გზით ყალიბდება. პარლამენტი ლეგიტიმაციას მხოლოდ მაშინ იძენს, თუ ისეთი ელემენტარული პრინციპებია დაცული, როგორიცაა საყოველთაო და თანასწორი ხმის უფლება, თავისუფალი და ფარული კენჭისყრის პროცესი.

2. სამართლიანობის გრძნობა როგორც აქცეპტის პირობა

პროცესის სამართლიანობის გარდა, პროცესის მონაწილე ასევე მოელის, რომ გადანყვეტილება შინაარსობრივად იყოს მართებული. თავისთავად, სასამართლო და ადმინისტრაციული პროცესი ერთმანეთს უპირისპირდება. ამის დასაკომპენსირებლად, სასამართლო გადანყვეტილებებისა და ადმინისტრაციული აქტების დასაბუთება ხდება. დასაბუთება არ ემსახურება მხოლოდ იმას, წაგებულ მხარეს შეაგნებინოს, რომ მიღებული გადანყვეტილება აუცილებელი და მართებული იყო. თავისთავად ცხადია, რომ არავის გადარწმუნება არ მოხდება. მაგრამ დამარცხებულმა მხარემ, სულ მცირე, უნდა დაინახოს, რომ გადანყვეტილების მიმღები ორგანო ეცადა მაინც, „სამართლე“ ეპოვა (როგორც სამართლიანობის, ასევე იურიდიული კორექტულობის გაგებით). თუ შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ სასამართლომ ან უწყებამ მხოლოდ რიტუალი გაითამაშა, თვითნებობა იურიდიული ჟარგონით შენიღბა და იურიდიულ-შამანური რიტუალი მოაწყო, ეს იმოქმედებს მხარის მიერ გადანყვეტილების აღიარებაზე. გადანყვეტილების სავალდებულო აღსრულებაზე სამართლებრივი მოთხოვნა შესაძლოა დარჩენილიყო ძალაში, მაგრამ მისი რეალური შესრულება იქნებოდა რთული. ცალკეულ შემთხვევაში, ნორმის მოთხოვნის მიმართ დაპირისპირება დაუშვებდა იძულებით აღსრულებას, მაგრამ არა სრულად. კანტმა გვიჩვენა გზა, მკაცრი კანონმორჩილება და „თავისუფლების სული“ როგორ ჰპოვებს პრაქტიკულ წონასწორობას. არაჭირვეულ ქვეშევრდომს უნდა შეეძლოს დაიჯეროს, რომ მის მბრძანებელს არ სურს, მას უსამართლოდ მოექცეს.⁵⁰ აქ კანტი შორდება ჰობსს, რომელიც გვასწავლის, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია უსამართლობა ჩაიდინოს.⁵¹

კონსტიტუციური სახელმწიფო, რომელსაც მოქალაქეთა თავისუფლებისთვის ძალაუფლების მხოლოდ შეზღუდული უფლებამოსილებანი გააჩნია, რჩება საკუთარი ქმედებების მოწონების იმედად. მაშასადამე, თანამდებობის პირებმა ყველასთვის გასაგები საუკეთესო განზრახვით მართებული გადანყვეტილება უნდა ეძიონ. იგივე ეხება კანონებს, რომლებიც თავიანთი ფორმის მიხედვით კატეგორიული არიან. საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც კანონს იღებს, ბრძნულად ცდილობს, ყველა მოქალაქის თანხმობა მიიღოს, რომელ პოლიტიკურ ბანაკსაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი და თავისი გადანყვეტილება სამართლიანობითა და საზოგადო სიკეთით დაასაბუთოს. ამდენად, მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონსტიტუცია ფედერალური პრეზიდენტის, კანცლერისა და მინისტრისგან ითხოვს, „სამართლიანობა ყველას მიმართ აღასრულონ“.

აქედან ჩანს, რომ პოზიტიური სამართალი, რომელიც კანონმდებლის ნებით არსებობს, თავს იბღვევს სამართლიანობის იდეით. ამის შთამბეჭდავ მაგალითს იძლევა საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც ერთი შეხედვით სამართლებრივ-ტექნიკურ ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე სამართლებრივ-ეთიკურს, რადგან ამ კანონმდებლობის მიზანია სახელმწიფოს ფინანსური საჭიროებები დააკმაყოფილოს, ანუ იგი მიჰყვება

მოცემულ ფისკალურ მიზანშეწონილობას. მაგრამ მსხვერპლი, რომელსაც საგადასახადო კანონი მოქალაქისგან ითხოვს, საჭიროებს ლეგიტიმაციას საგადასახადო სისტემის სამართლიანობის იდეით. გარიგების სამართლიანობა აქ არ გამოდგება, რადგან კონკრეტულ მოქალაქეს, რომელიც გაიღებს საგადასახადო მსხვერპლს, რაიმე პირადი სარგებელი კომპენსაციის სახით არ ერიცხება. ტვირთი, რომელსაც არანაირი საპირისპირო შესრულება არ მოჰყვება, ასატანია მხოლოდ მაშინ, თუ მას საყოველთაო ხასიათი აქვს და ყველას თანაბარი კანონისმიერი მოთხოვნა ეკისრება. ამ საყოველთაო ტვირთის საზომი მაინც იმ პირთა ინდივიდუალური შესაძლებლობებია, რომლებმაც ეს ტვირთი უნდა ზიდონ.⁵²

3. სამართლიანობა როგორც კონსტიტუციური კანონის თემა

კონსტიტუციური კანონი განსაკუთრებით შეიცავს სამართლებრივ-ეთიკური მნიშვნელობის ნორმებს. იგი სამართლიანობის პრინციპების ტაბულაა, რომლითაც ერი ერთიანდება ან უნდა გაერთიანდეს.

მატერიალური სამართლიანობის ელემენტები განსაკუთრებით მოცემულია ძირითად უფლებებში და სახელმწიფოს მიზნებში: ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები, თავისუფლება და თანასწორობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და საბაზრო რისკებისგან დაცულობა. ეს ელემენტები არ იძლევა სამართლიანობის დახურულ ცნებას. ისინი ერთმანეთსაც კი უპირისპირდებიან, როგორც, მაგალითად, ლიბერალური და სოციალური ფაქტორები, აზრის გამოხატვის თავისუფლება და პატივისა და ღირსების პირადი უფლებები, ქორწინებისა და ოჯახის განსაკუთრებული დაცვა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების თანაბარი შესაძლებლობების მოთხოვნა. ეს ანტინომები ითხოვს დაბალანსებას მათი განმარტებისა და კანონმდებლის პოლიტიკური გადაწყვეტილების გზით. ამიტომაც კანონი შეუცვლელი ინსტრუმენტია, რადგან კონსტიტუციური ნორმები, როგორც წესი, ზოგადი (აბსტრაქტული), ღია, შინაარსობრივად დაუსრულებელი და ტექნიკურად მოუმზადებელია.

რამდენადაც კონსტიტუცია მატერიალური სამართლიანობის კონცეფციის მხოლოდ ფრაგმენტებს იძლევა, დემოკრატიის, ძალაუფლებათა გამიჯვნისა და ფედერალიზმის შესახებ ორგანიზაციულ დებულებებს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. მათში აისახება კონსტიტუციიდან გამომდინარე უფლებამოსილებათა „სწორი“ განაწილება. საბოლოოდ, კონსტიტუცია უზრუნველყოფს პროცესუალურ სამართლიანობას – საარჩევნო პროცესიდან დაწყებული სისხლის სამართლის პროცესით დამთავრებული.

ის მრავალმხრივი კონტროლი, რომელსაც სახელმწიფო ძალაუფლება კონსტიტუციის ძალით ექვემდებარება, გვიჩვენებს, რომ სამართლებრივი სახელმწიფო საკუთარ მცდარობასაც კი აცნობიერებს. საკუთარ თავზე ამგვარი წარმოდგენა და მისი პროცესუალურ-პრაქტიკული შედეგები ქმნის სწორედ ნამდვილ სამართლებრივ

სახელმწიფოს. თავისთავად ცხადია, რომ საბოლოოდ, როდესაც ყველა შესაძლო სამართლებრივი საშუალება ამოწურულია, სამართლებრივ სახელმწიფოშიც ჩნდება აუცილებლობა, იძულებით კანონმორჩილებას მივმართოთ მაშინაც, როდესაც დაინტერესებული მხარეები გადანწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევენ. მხოლოდ ასე შეიძლება ფუნქციონირებდეს სახელმწიფო ნორმალურად.

მაგრამ კანონმორჩილების ფორმალური ვალდებულება არაა აბსოლუტური. უკიდურეს შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური სახელმწიფო ჩამოიშალა და მისი დანიშნული თანამდებობის პირები ვეღარ ინარჩუნებენ ან არ სურთ შეინარჩუნონ კონსტიტუციური სახელმწიფო, არსებობს წინააღმდეგობის განევის უფლება ყველა მოქალაქისთვის.⁵³ მაგრამ ეს „საგამონაკლისო უფლება“ არ უნდა შემოიჭრას ნორმალურ ვითარებაში. კონსტიტუცია, მართალია, სახელმწიფო-სამართლებრივი რეჟიმის უმაღლესი ნორმაა, მაგრამ იგი მაინც უქვემდებარებს თავს ზეპოზიტიურ სამართალს, ადამიანური ღირსების „განუსხვისებელ“ უფლებას, ისევე როგორც „ადამიანის განუყოფელ და წარუვალ უფლებებს, როგორც მსოფლიოში ადამიანთა ყოველი საზოგადოების, მშვიდობისა და სამართლიანობის საფუძველს“.⁵⁴ კონსტიტუციური სახელმწიფოს ეს მორჩილება წარმოჩინდება ასევე კანონმდებლის მიერ აღებულ ვალდებულებაში, იყოს „პასუხისმგებელი ღვთისა და ერის წინაშე“. კონსტიტუციის მიმღები კანონმდებელი თავის „სუვერენულ“ გადანწყვეტილებებში მიდის მატერიალური სამართლიანობის უკიდურეს საზღვრებამდე, რომლებსაც იგი თავად ვერ გასცდება ისე, რომ არ დადგეს საფრთხის წინაშე, მისი დებულებები ბათილი გახადოს („არაკონსტიტუციური საკონსტიტუციო სამართალი“). ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ასეთ შემთხვევას, სულ მცირე, შესაძლებლად მიიჩნევს; ეს თავისთავად იქნება კონსტიტუციური ნორმების არსებობის პრაქტიკული შეუძლებლობის ტოლფასი.⁵⁵

4. სამართლიანობა როგორც თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების სათნოება

სამართლიანობის პოზიტივიზაცია კონსტიტუციურ სახელმწიფოში, ჯერ კიდევ, რჩება როგორც ამოცანა. სწორედ ამიტომ ამ იდეის კრეატიული და კრიტიკული პოტენციალი არასდროს იშრითება. ეს კი ცხადყოფს, რომ თანამდებობის პირთა სამართლებრივი და ეთიკური ვალდებულებები იმით არ ამოიწურება, რომ მოქმედი სამართლის დებულებები მექანიკურად აღასრულონ. მთავრობის წევრები დებენ ფიცს, რომ „სამართლიანობა ყველას მიმართ“ განახორციელონ, მოსამართლეები კი – „მხოლოდ ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას ემსახურონ“.⁵⁶ საჯარო მოხელე კანონის ძალითაა ვალდებული, საკუთარი მოვალეობები „მიუკერძოებლად და კანონიერად“ შეასრულოს.⁵⁷

კონსტიტუცია იმისთვის არსებობს, რომ სახელმწიფო ძალაუფლება სამართლებრივად შეიბოჭოს, რათა მოქალაქეები იყვნენ თავისუფალნი. სამართლებრივი სახელმწიფოს

თემაა ძირითადი უფლებები მაშინ, როდესაც თავისუფლების გამო იგი თავს იზღუდავს ძირითადი ვალდებულებებით. მეორე მხრივ, ტიპიური რეგულირების საგანია ინსტიტუციონალური და არა ინდივიდუალური სამართლიანობის საკითხები. ამასთანავე, მოქალაქის სამოქალაქო თავისუფლებები შეესატყვისება უფლებისწინარე საკონსტიტუციო მოლოდინს, რომ მოქალაქე საკუთარ თავისუფლებას საზოგადო მსახურებისთვის ან სულ მცირე საზოგადო მშვიდობისთვის გამოიყენებს. თუ კონსტიტუცია სახელმწიფოს ქმედით ძალაუფლებას უზღუდავს და კერძო პირებს ძირითადი უფლებებით ქმედების არსებით სფეროებს უდგენს, ამგვარი სახელმწიფო დაშენებულია საზოგადოების თვითრეგულირების ეთიკურ ძალაზე, ანუ მოქალაქეთა სათნოებებზე.⁵⁸ ეს სათნოება შეესაბამება სამართლიანობას კლასიკური გაგებით, როგორც საზოგადოებასთან (*iustitia universalis*), ასევე თანამოქალაქეებსა და უფლების მატარებლებთან მიმართებით (*iustitia commutativa*).

თანამედროვე სახელმწიფო ექვემდებარება სამართლიანობის იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც ავგუსტინე ითხოვს: „თუ სახელმწიფოს სამართლიანობა აკლია, ის სხვა არაფერია, თუ არა ყაჩაღთა დიდი ბანდა?“⁵⁹ ეს არ ნიშნავს, რომ სამართლიანობა სახელმწიფოს კონცეპტუალურ მახასიათებელს წარმოადგენს, ან რომ სამართლიანობის გარეშე სახელმწიფო არ იარსებებდა.⁶⁰ უფრო მეტად ესაა ხარისხის ეთიკური კრიტერიუმი, რომლის ძალითაც სახელმწიფო მალღობა ყაჩაღთა ბანდაზე, რომელიც თავისი ფორმალური ორგანიზაციით ჰგავს კიდევ სახელმწიფოს, როგორც „ადამიანთა ბრბო, რომელიც წინამძღოლის ბრძანებებს ემორჩილება, რომელიც შეთანხმებით ერთიანდება და, უკეთეს შემთხვევაში, თანხმდება, ნადავლი გაინაწილოს“.⁶¹ თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არ არის საკმარისი სოციალურ კონტრაქტზე დაყრდნობა და დემოკრატიული ლეგიტიმაცია, რომ სახელმწიფომ ზნეობრივ ხარისხს მიაღწიოს. ამასთან, ყაჩაღთა ბანდა, მათია, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული თავიანთი სფეროების ფარგლებსა და მეორად სათნოებებში შესაძლოა სამართლიანობის კვალს ამჟღავნებდნენ: ბოსსა და ბანდას შორის ნდობა, ბანდის წევრებს შორის სოლოდირობა („ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“), გარიგების სამართლიანობა ბანდიტებს შორის, განაწილების სამართლიანობა ნადავლთან დაკავშირებით. თუმცა, აქ გადამწყვეტია ის ფაქტორი, რომ ყაჩაღთა ბანდის ამოსავალი მიზანი აუცილებლად უსამართლობის ჩადენაა მსხვერპლისა და საერთო გარესამყაროს მიმართ, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიზანი სამართლიანობისკენაა მიმართული – მაგრამ იმ გარანტიის გარეშე, რომ სახელმწიფო ამ მიზანს მართლაც მიაღწევს. აქ ჩნდება მნიშვნელოვანი ფორმალური განსხვავება: ყაჩაღთა ბანდა ცხოვრობს ჩრდილში, სახელმწიფო ამის საპირისპიროდ – საჯაროობის შუქზე. ბანდა ქმნის მხოლოდ სახელმწიფო წესრიგის ანომალური საპირისპირო სტრუქტურას, საიდანაც იგი პარაზიტულად იკვებება.

VI. ტოტალური სამართლიანობის ტენდენცია

1. რეალური უთანასწორობა – სოციალური სამართლიანობა

სანამ სამართლიანობის იდეა სამართალსა და სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედებებს ეხება, იგი დაკავშირებული იქნება სამართლებრივი რეჟიმისა და სოციალური წყობის გარემოებებთან და მათზე რჩება დამოკიდებული მაშინაც კი, თუ სამართლიანობის იდეა კრიტიკის საფუძველს სწორედ ამ გარემოებებზე ამყარებს და მისი კორექციის საზომად გამოდის. მეორე მხრივ, „სამართლიანობა“ დღეს წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ მისწრაფებას, რომელმაც ძირეულად და ახლებურად უნდა მოაწყოს სახელმწიფო, მიუხედავად სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებული სტრუქტურისა. სახელმძღვანელო პრინციპია ყველა ადამიანისა და მათი ცხოვრებისეული შესაძლებლობების თანასწორობა.

„ადამიანები არიან და რჩებიან დაბადებით თავისუფალნი და თანასწორნი“, ვკითხულობთ 1789 წლის ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციის პირველ მუხლში. მაგრამ თავისუფლება, რომელიც თანასწორ უფლებებთან ასოცირდება, წარმოქმნის რეალურ უთანასწორობას. ეს იწვევს სოციალურ შურს და ხელყოფს მათ თვითრწმენას, რომლებიც თავს დაკნინებულ მდგომარეობაში გრძნობენ. მატერიალური სიკეთის განაწილებაში არსებული უთანასწორობა წარმოიქმნება საზოგადოებრივი მორალური ნორმის დარღვევად, ხოლო თანაზომიერი განაწილება – „სოციალური სამართლიანობის“ მოთხოვნად. ეს არ ემთხვევა *iustitia distributiva* – ს პრინციპს არისტოტელეს გაგებით, რომელიც საქმეში შემოდის მაშინ, როცა ზემდგომმა ორგანომ რამდენიმე პრეტენდენტის მიმართ უნდა გადაწყვიტოს, ვის და რა დოზით ერგება მოთხოვნილი წილი და უნდა იზრუნოს, რომ ყველამ თავისი ხვედრი მიიღოს. საზოგადოებრივი სიკეთის განაწილება არ გამომდინარეობს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილებიდან. იგი ისტორიული გარემოებების შედეგი და ბაზარზე არსებული პერმანენტული პროცესების საგანია, რომლის მონაწილე ნამდვილად მრავალი სუბიექტია. ყოველ შემთხვევაში, ირიბად სოციალური სამართლიანობა შეიძლება სახელმწიფოს მიენეროს, რადგან იგი ბაზარს, როგორც სისტემას, აღიარებს და მას სამართლებრივ საფუძველს უდგენს. *Iustitia distributiva* განაწილების იურიდიული მნიშვნელობის აქტის საზომი, ხოლო *iustitia socialis* საერთოდ დოვლათის „მართებული“ რეგულირების სახელმძღვანელო პრინციპია. მათში წარმოიქმნება პოლიტიკური ნება, რომელიც არსებულმა რეჟიმმა ბედისწერად კი არ უნდა მიიღოს, არამედ გეგმაზომიერად ძირეულად ახლებურად უნდა მოაწყოს. გეგმის მიზანი არის „სოციალური სამართლიანობა“.

პოლიტიკურ ლექსიკონში „სოციალური სამართლიანობა“ დღეს პრაქტიკულად ზუსტად ისევე გამოიყენება, როგორც სამართლიანობა. მიზნის ფორმულირებაში ყველა ბანაკი

ერთიანია. „სოციალური სამართლიანობა“ განსაკუთრებით უხვად იფურჩქნება სოციალიზმის წარმოსახვით სამყაროში.⁶² მას ვხდებით კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების პროგრამებში. თუმცა, ეს ცნება გამომდინარეობს კათოლიკური სოციალური მოძღვრებიდან.⁶³ ეს ფორმულა ცვალებადია შინაარსის თვალსაზრისით. ხშირად მას აყენებენ ერთ რიგში სოციალურ დაცულობასთან. ეს უკანასკნელი თავისთავად ერთმნიშვნელოვანი ფაქტია. სოციალური დაცულობა წარმოადგენს სოციალური სახელმწიფოს ამოცანას, სადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოება სოლიდარულია რისკებთან გამკლავების საქმის ორგანიზებაში და ყველა ადამიანისთვის მინიმალური სტანდარტის სუბსიდირებული მეურნეობის, ღირსეული საარსებო საშუალებების უზრუნველყოფაში. თანამედროვე სახელმწიფოს ფუნდამენტური მიზანი, უზრუნველყოს თითოეული ადამიანის უსაფრთხოება სხვა ადამიანის ძალადობრივი თავდასხმისგან, სოციალურ სახელმწიფოში ფართოდება ეკონომიკური კონკურენციის პირობებში სამუშაო ცხოვრების საფრთხეების მიმართ დაცულობის თვალსაზრისით. სოციალური დაზღვევა განსაკუთრებით ფარავს იმ რისკებს, როგორცაა ავადმყოფობა, ინვალიდობა, ხანდაზმული ასაკი და უმუშევრობა.⁶⁴ სოციალური დაცვის სახელმწიფო ამოცანაა ურთიერთშევესებადობის (კომპლემენტარობის) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრინციპის უზრუნველყოფა საბაზრო ეკონომიკაში. „სოციალური სამართლიანობის“ ბუნდოვანი კატეგორიით სოციალური დაცულობის აღქმა ძნელდება. სოციალური დაცულობა ეხება მოქმედი რეჟიმის განახლებას, ხოლო სოციალური სამართლიანობა – ახალი რეჟიმის გამოგონებას.

მეორე მხრივ, წარმოიშვება „სოციალური სამართლიანობის“ ვაკუუმი, როცა საქმე ეხება ბაზრის მიერ შექმნილი დოვლათის გადანაწილებას, რათა თანასწორობისთვის მოხდეს საბაზრო ეკონომიკის გამოსწორება ან სრულიად გაუქმება, რადგან საბაზრო ეკონომიკა არ გამომდინარეობს ცენტრალური დაგეგმარებიდან და არ ერგება ცენტრალიზებულ წყობას. „სოციალური სამართლიანობის“ მორალური სახე აიძულებს არსებულ უთანასწორობას, თავი იმართლოს. მხოლოდ სტატუსითა და ისტორიული შემთხვევით არაფრის ლეგიტიმაცია ხდება. სავარაუდოდ, იგივე შეგვიძლია ვთქვათ პირად მიღწევებზეც. უფრო მეტიც, თუ უფრო ახლოდან დავაკვირდებით, ყოველი მიღწევა გამოწვეულია გარკვეული გარემოებებით, რომლებიც არაა დამოკიდებული თავად წარმატებულ პირზე და რომლებიც არაა განპირობებული არც ამ პირის წარმატებით. ჯერ კიდევ, მეფისტო დასცინოდა წარმატებით გამოწვეულ ამპარტავნობას: „როგორაა შემოსავალი და იღბალი ერთმანეთზე გადაბმული, ამას სულელი ვერასდროს მიხვდება.“⁶⁵ იღბალი და უიღბლობა არასამართლებრივი და სამართლიანობისადმი გულგრილი კატეგორიებია. უფრო სავარაუდოა, რომ აქ საქმე გვაქვს თანამიმდევრულობის პრინციპთან, რომ ვინც ბაზრის რისკებს საკუთარ თავზე აიღებს, მას ასევე უნდა ერგოს ბაზრიდან მომდინარე შესაძლებლობები.

„სოციალური სამართლიანობა“ იძენს სამართლებრივ-ფილოსოფიურ საფარველს ჯონ როულზთან.⁶⁶ იგი ცდილობს, მონახოს ობიექტური თვალსაზრისი, საიდანაც მას სურს, რაციონალურად დააღაგოს, რაც აქამდე ბუნებასა და ისტორიას, ინდივიდუალურ თვითნებობასა და ბაზრის განვითარებას მოუტანია, რათა ბუნების სკანდალური გავლენა შემოსავლისა და დოვლათის განაწილებაზე⁶⁷ შეაჩეროს და მათი შედეგები სხვადასხვა სოციალური წარმოშობის პირებისთვის აღმოფხვრას. მისი სამართლიანობის პრინციპის თანახმად, ყველა სოციალური სიკეთე თანაბრად უნდა განაწილდეს, თუ, რა თქმა უნდა, უთანასწორო განაწილება არ შედის ყველას ინტერესში.⁶⁸ სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა შეიძლება გამართლებული იყოს მაშინ, როცა სიკეთით მოსარგებლეთა უპირატესობა ასევე ადგება იმ პირთა ხვედრის გაუმჯობესებას, რომლებსაც დოვლათიდან ნაკლები წილი ერგოთ. მხოლოდ მაშინ, როცა ამ უკანასკნელთაც აქვთ აქედან სარგებელი, ბუნებით უფრო მეტი უნარებით დაჯილდოვებულ პირებს ექნებათ უფლება, დატკბნენ საკუთარი წარმატების ნაყოფით, რადგან არავის არაფრით დაუმსახურებია ბუნებით ბოძებული უკეთესი უნარები ან უკეთესი სასტარტო მდგომარეობა საზოგადოებაში.⁶⁹ იბლლიან ადამიანს, რომელიც გონებისა და ხასიათის წყალობით, აღზრდისა და მემკვიდრეობით მიღებული ქონების შედეგად სამყაროს სათავეში მოექცა, შეეძლო, როულზის მიერ გაგებული სამართლიანობისთვის მიეღწია და უბედური გამხდარიყო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ თავიდანვე უარს იტყოდა პროფესიულ ცხოვრებაზე, ქონებას დაურიგებდა ლატაკებს (და ამას გააკეთებდა მცირე დოზებით, რათა ახალი უთანასწორობა არ გამოეწვია), საკუთარ ნათელს ჭურჭლის ქვეშ დადებდა და ენერგიულად გააგრძელებდა თავის სოციალურ მსახურებას. თავისთავად შესაძლოა, გაჩნდეს მოსაზრება, რომ სამართლის ფილოსოფოსი აქ ინდივიდუალურ სამართლიანობაზე კი არა, ინსტიტუციონალურ სამართლიანობაზე საუბრობს. თუმცა, საერთოდ ეს უფრო სავარაუდოა, არსებობდეს საბაზრო, ვიდრე მის ალტერნატიულ გეგმიურ ეკონომიკაში.⁷⁰ მით უმეტეს, რომ როულზის დაშვების გზით ამ შედეგამდე რომ მივიდეთ, აუცილებლად დაგვჭირდება არგუმენტირებული ხარჯი და „მარილის ერთზე მეტი მარცვალი“.

საქმე გართულდებოდა, თუ ობიექტური თვალსაზრისით, ჰარვარდის ფილოსოფიის პროფესორის ნაცვლად სახელმწიფო წავიდოდა იმაზე, რომ სოციალური უთანასწორობის ნებისმიერი ფორმა გაესწორებინა და ყველა ის სიკეთე, რომელიც არ წაადგებოდა საზოგადოების ყველაზე სუსტ წევრებს, ამოეღო და ხელახლა გაენაწილებინა. თუმცა, აქ სახელმწიფო დადგებოდა საშიშროების წინაშე, რომ თავისუფლება, რომელიც საზოგადოების ყველა წევრს თანაბრად უნდა მისცეს, შეიზღუდებოდა. სახელდობრ, თავისუფლება სოციალური უთანასწორობის მუდმივი წყაროა. ამასთან, თავისუფლების უზრუნველყოფა როულზისთვის წარმოადგენს სამართლიანობის მოთხოვნას, უპირატესსაც კი.

თუმცა, სოციალური შური, რომელიც „სოციალური სამართლიანობის“ ენერჯის წყაროა, არასდროს ნელდება. ნიჟე აღნიშნავს თავის დაკვირვებაში, „შესაძლებელია თუ არა სამართლიანობით საკუთრება გათანაბრებული იყოს“, რომ ძველი დროის მცდელობები, ყველა მოქალაქეს „მინის თანაბარი წილი“ ჰქონოდა: ხელახალი განაწილებისას მხოლოდ გულისწყრომას იწვევდა მათში, ვისაც თავისი ნალოლიავეები ქონებიდან უნდა გამოეყო წილი, მაგრამ ასევე ახალ მფლობელებში: „რამდენი ეჭვი და აღმაცერი მზერაა, რადგან ზუსტად ორი ერთნაირი მინის ნაკვეთი არასდროს არსებულა და რომც არსებულყო, ადამიანური შური მეზობლის მიმართ არ ირწმუნებდა ამგვარ თანასწორობას“.⁷¹ სამართლიანობისკენ ინდივიდუალისტური გზის გარდა, რომელიც გადის ყველასთვის „თანაბარ მინის ნაკვეთზე“, ბუნებრივია, არსებობს, ასევე, სოციალისტური გზა: რომ საზოგადო სიკეთე მხოლოდ კოლექტივს უნდა ეკუთვნოდეს და ყველა ინდივიდი მისი დასაკუთრებისგან გამოირიცხოს. ამ დიდი, ცოტა ხნით გადადებული მცდელობისგან იწყებს კაცობრიობა გამოფხიზლებას.

2. ინდივიდუალობის წუხილი

თუ დავუშვებთ, რომ შეუძლებელი მოხდება და სოციალური სამართლიანობა სახელმწიფოებრივად მოწყობილ საზოგადოებაში წარმოიშვება, მაინც შენარჩუნდება ქვეყნებს შორის რეალური განსხვავება, რომელიც, თავის მხრივ, ქვეყნის ბუნების, ისტორიის, კულტურის, ეკონომიკისა და მოსახლეობის მენტალიტეტის წყალობითაა გამოწვეული. თანასწორობისკენ სწრაფვის შედეგი იქნება ის, რომ იგი ქვეყნის საზღვრებთან არ შეჩერდება, არამედ გადავა მსოფლიო საზოგადოებაზე, სადაც ყველა მატერიალური რესურსი თანაბრად უნდა განაწილდეს. ეს მიზანიც კი გამოიწვევდა მართლაც დაქვემდებარებულობას: მალევე გაჩნდებოდა ისევ რეალური უთანასწორობა, რადგან ხალხთა უნარები, მოიხმარონ დოვლათი, განსხვავებულადაა განვითარებული. სახელმწიფო, როგორც კოლექტიური ინდივიდი იმავე წესებს ექვემდებარება, როგორსაც ადამიანი. მათ უნდა მოიპოვონ ის, რაც მათ შემკვიდრეობით ხვდათ მამებისგან, რათა დაეუფლონ მას. იგივე ეხება ასევე შესაძლო მოგებას ტრანსნაციონალური ხელახალი განაწილებიდან. მოცემული შესაძლებლობების გამოყენების ნიჭი განვითარებულია სხვადასხვა დონეზე. ვიდრე არამატერიალური რესურსები უთანასწოროდ არის აზომილი, თანასწორობა მატერიალურ რესურსებში ნაკლებად გამოსადეგია. გამოცდილება აჩვენებს, რომ ბუნებრივი რესურსების ნაკლებობამ შესაძლოა, ხალხი აიძულოს, კომპესატორულ შედეგებს მიაღწიოს და რომ ბუნების გერები საბოლოო ჯამში უფრო კარგად ეგუებიან გარემოს, ვიდრე სიმდიდრესა და ფუფუნებაში ცხოვრებით გატუტუცებული ბავშვები. ჰოლანდია და იაპონია ამის მაგალითია: ბუნებისგან ნაკლებად დაჯილდოვებული ტერიტორია, განსაკუთრებული ბუნებრივი რესურსების გარეშე, ზომავე მჭიდრო მოსახლეობით; ხმელეთი უმეტეს წილად ზღვის დონეზე დაბლაა და ზღვის მიერ არის წართმეული და ადამიანები იმ აუცილებლობის წინაშე დგანან ერთმანეთის პირისპირ თავი დაიმკვიდრონ; მეორეში კი, მხოლოდ მინის ერთი მეშვიდედი ნაწილია

სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი, მიწისძვრების საფრთხით, სასიცოცხლო სივრცე 125 მილიონი ადამიანისთვის, რომელთა გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა საქმის ცივილიზირებული, უმაღლესი დონის შესრულება. სამართლიანია თუ უსამართლო ის ფაქტი, რომ ჰოლანდიისა და იაპონიის მთლიანი შიდა პროდუქტი მსოფლიოში უმაღლეს პოზიციებს იკავებს?

თუ უკვე „სოციალური სამართლიანობის“ სახელით ფორტუნის კორექცია გაგრძელდება – რატომ მხოლოდ ეკონომიკურ სიკეთესთან დაკავშირებით და რატომ არა ასევე არამატერიალური სიკეთის მიმართ, რომელიც უფრო ღრმად აყალიბებს თვითშეფასებას, ვიდრე პირველი და, უფრო მეტად განსაზღვრავს ცხოვრებისეულ წარმატებას? ბუნება არათანაბრად უნაწილებს მიწის შვილებს სილამაზეს, სიმახინჯეს, უნიჭობას და ამრიგად, „სოციალურ უთანასწორობას“ ხდის ბედნიერებისა და უბედობის საფუძველად. ზოგიერთი მახინჯი ჭუკისგან გაიზრდება გელი, მაგრამ უმეტესობისგან – მხოლოდ უშნო იხვი. ბუნების უსამართლობა განსაკუთრებით ვლინდება ადამიანის სახეთა მრავალფეროვნებაში: თვალის ფერი და თვალის ჭრილი, ცხვირის მოყვანილობა და ნიკაპის ფორმა – ეს ყოველივე მიგვიზიდავს ან გაგვიზიდავს, ყოველივეს აქვს თავისი უპირატესობა და ნაკლი სოციალურ კონკურენციაში, შეუხედავის მიმართ ინდიფერენტული ვრჩებით. ამ მორალურად გაუმართლებელი მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა 1960 წელს ლონდონში გამოქვეყნებული კვლევა „სახის სამართლიანობა“ (ავტორი ლ.პ. ჰარლი). ამ შრომას სურს, სილამაზის ძალა დაარღვიოს, რომელიც ჯერ-ჯერობით ემანსიპაციასა და რევოლუციას გადაურჩა და რომელიც უთანასწორობაა დაუმსახურებელი სიკეთის გამო და სოციალურადაც უსამართლოა, რადგან თეზიონომიურად უფრო სუსტი კონკურენტებისთვის იგი აღარაა გამოსადეგი. სახისმიერი სამართლიანობა, როგორც იქნა, გვაძლევს „გამათანაბრებელი სამართლიანობის პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც ნაკლები რისკის შემცველი, მარტივი სახის ქირურგიის განვითარების გზით მიიღწევა და ამგვარად, ესთეტიკურ თვისებათა ბუნების ბრმა განაწილება კომპენსატორული სახის პლასტიკით სამართლიანობას უბრუნდება ისე, რომ არსებობს მხოლოდ ესთეტიკური საშუალო ვარიაციები, რომლებიც სხეულებრივ ინდივიდუალურობას კარიერული პოლიტიკის მიმართ ნეიტრალური, ჩვეულებრივი ადამიანის მონაცემებით შემოზღუდავს“.⁷²

რაც აქ თამაშისმაგვარ უტოპიას წარმოადგენს, ისაა, რომ სამართლიანობის მიმართ ბრმა შემთხვევითობის აღმოფხვრა გენოტექნიკის სფეროში მართლაც სერიოზულად მოხდება: რაც ადამიანურ გენომს გეგმის მიხედვით მოაწყობს ან შეცვლის. და ისმის კითხვა: ვინ წყვეტს გეგმის საკითხს, მშობლები, ექიმები, ჯანმრთელობის დაზღვევა, თუ სახელმწიფო. „სოციალური სამართლიანობის“ პრაქტიკული გამოყენება მატულობს შესაძლებლობისა და გადანყვეტილებუნარიანობის დონის გათვალისწინებით. მას, ვინც გენეტიკური კონსტიტუციით უკმაყოფილოა, აღარ სჭირდება ღმერთთან და ბედისწერასთან ჭიდილი. ახლა შეუძლია, კონკრეტული მოვალე ამოირჩიოს და მას დააკისროს პასუხისმგებლობა

იმისთვის, რომ იგი ის არის, რაც არის და არა იმისთვის, თუ როგორი უნდა მას იყოს საკუთარი თავის მიმართ წაყენებული პრეტენზიის შესაბამისად. ამ კონფლიქტში „სოციალური სამართლიანობის“ პროცესი დაუსრულებლად გაგრძელდებოდა. აქ ხვდებით უკანასკნელ საფუძველს, რომელშიც უთანასწორობას თავისი წარმომავლობა აქვს: ადამიანის ინდივიდუალურობის პრობლემას.

3. სოციალური სამართლიანობა – ილუზია

„სოციალური სამართლიანობის“ სახელმძღვანელო პრინციპი ფუნდამენტურ წინააღმდეგობას აწყდება ფრიდრიხ ავეუსტ ფონ ჰაიეკთან. ეს დაპირისპირება არ ეხება სოციალური დაცვის სახელმწიფო ზომებს. პირიქით, დაცვის ის ზომები, რომელსაც ბაზარი ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ ხორციელდება არასაბაზრო ღონისძიებებით, ჰაიეკისთვის მიზანშეწონილია.⁷³ უფრო მეტ კრიტიკას მიმართავს იგი იმისკენ, რომ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი წყობიდან ნაწარმოები სამართლიანობის კატეგორია საბაზრო ეკონომიკიდან ნაწარმოებ კატაგორიაზე გადადის. ამ ორ წესრიგს ჰაიეკი მკაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისგან. პირველი შექმნილია, გარედან (exogen) მონესრიგებული (ბერძნული: taxis), მეორე კი ამოზრდილია, სპონტანურად და განზრახვის გარეშე, შექმნილია დაინტერესებული მხარეების მიერ (ბერძნული: kosmos).⁷⁴ ბაზრის სპონტანური წესრიგი წარმოადგენს თვითრეგულირებად სისტემას, რომელშიც არ შეიძლება და დაუშვებელია არსებობდეს რაიმე მიზნის იერარქია. სამართლებრივ წესებს შეუძლია მხოლოდ ის თამაშის წესები დაადგინოს, რომლებიც კონკურენციის სამართლიანობას უზრუნველყოფს, მაგრამ არა ის წესები, რომლებიც განერდა საბაზრო პროცესების შედეგებს. ეს წესები მიმართული უნდა იყო ბაზრის აბსტრაქტულ სიგნალებზე, მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთმიმართებაზე და არა კერძო პირების შემოსავლებსა და მოთხოვნილებებზე, ასევე არც იმედებსა და განუელ ჯაფაზე. წესები შესაძლოა, სამართლიანი ან უსამართლო იყოს. ეს წესები დასაშვებია, რადგან ისინი სამართლიან პირობებში იქნა მიღწეული.⁷⁵ რთულად შესაძლებელია, რომ ორი ადამიანი შეთანხმდეს, ბაზრის მოგება „სამართლიანად“ როგორ უნდა განაწილდეს. შემოსავლების განაწილების გარედან თავსმოხვევას მიყვარათ ეკონომიკის ტოტალური კონტროლისკენ, შედეგად კი პროდუქტიულობის ვარდნისკენ.

ამდენად, „სოციალური სამართლიანობის“ ფორმულა წარმოადგენს „ტოტალიტარიზმის ტროას ცხენს“, „მცდარ ნათელს“, „კვაზირელიგიურ ცრურწმენას“.⁷⁶ ჰაიეკი საუბრობს „სოციალური სამართლიანობის სინდიოთალა-სიტყვაზე“. როგორც ქურდი სინდიოთალა კვერცხს ისე გამოხვრეპს, რომ ვერ დავინახავთ შიგნიდან მიყენებულ ზარალს, ასევე სამართლიანობის ცნება ყალბი, ლოგიკურად მცდარი განსაზღვრებებით შეუმჩნევლად გვართმევს საღ აზრს.⁷⁷ აქედან გამომდინარე, არ არსებობს კერძო პირთა სამართლიანი ქმედების შესაძლო წესები, რომლებიც საზოგადოებაში თავისუფალ ადამიანებს მოიყვანდა იმ მდგომარეობაში, რომ ყოველი პირი, ვინც სოციალურ სამართლიანობას მოითხოვდა, დაკმაყოფილებული ყოფილიყო.⁷⁸ ხელახალმა გადანაწილებამ კი არ იცის

ზომა და საზღვარი. მეტაფორის გასართულებლად, ცარიელ ფორმაში ასხამენ უცხო სუბსტანციას, ალებულს სოციალური უტოპიიდან, სოციალური პოლიტიკიდან, სოციალური შუღლიდან. ჰაიეკი აცნობიერებს, რომ ბაზრის განვითარება წარმოადგენს იღბლისა და უნარების თამაშის ნაზავს, რამაც შესაძლოა, იმედგაცრუებამდე მიგვიყვანოს. კერძო პირებს, სულ მცირე, ოჯახში დაბადებიდან და გარემო პირობებიდან არათანაბარი ხვედრი აქვთ. მაგრამ უფრო ცუდი იქნებოდა, გვამშვიდებს იგი, თუ ჩვენ დარწმუნებული ვიქნებოდით, რომ ყველას ეკუთვნის ის, რაც აქვს ან რაც არ აქვს და მან, ვინც ცუდ დღეშია, იცოდეს, რომ მას მეტი არ ეკუთვნის.⁷⁹

დამატებით არათრის თქმა შეიძლება, გარდა რჩევისა, როგორ მოვეპყრათ სამართლიანობის ცნებას. ვიდრე კითხვა დაისმება, რაიმე ფაქტი სამართლიანია თუ უსამართლო, საჭიროა იმ კითხვას გაეცეს პასუხი, ეს ფაქტი საერთოდ თუ განეკუთვნება სამართლიანობის იურისდიქციას. და მაინც მიმაჩნია, რომ სამართლიანობის იდეა ეხება მხოლოდ (ყოველ შემთხვევაში ვირტუალურად მაინც) სამართლებრივ საკითხებს, ნორმებსა და იურიდიული მნიშვნელობის ქცევებს.

VII. საარსებო საშუალებები არასრული სამართლიანობის პირობებში

სამართლიანობა იდეალური სამართლებრივი სისრულეა. ამ არასრულყოფილ მინაზე იგი ვერ განვითარდება. სამართლებრივი ნორმა და პრაქტიკა შესაძლოა მხოლოდ მიუახლოვდეს მას. თავად იმის გაცნობიერება, თუ რას ითხოვს სამართლიანობა, რჩება გაურკვეველი. ადამიანი დგას დილემის წინაშე, რომ იგი უნდა ისწრაფვოდეს სამართლიანობისკენ და იმით უნდა დაკმაყოფილდეს, რომ ამ მისწრაფებით, საბოლოო ჯამში, მიზანს ვერ მიაღწევს. თავისთავად ქრისტიანს ამგვარი გაგება არ ალელვებს, რადგან სრულ სამართლიანობას იგი იმქვეყნიურ ცხოვრებაში მოელის. ბიბლიური იგავი, ცათა სასუფეველის, როგორც ვენახის⁸⁰ შესახებ, გვასწავლის, რომ ადამიანური წარმოდგენები გარიგებისა და განაწილების სამართლიანობის შესახებ გაქარწყლდება ღვთის უზენაესი სამართლიანობის წინაშე.

ყველაზე სამართლიანმა კანონმაც კი, თუ იგი მოუქნელად და უკიდურესი ფორმით იქნება გამოყენებული, შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევაში უსამართლობა დაამკვიდროს: *summum ius, summa iniuria* (უკიდურესი სამართლიანობა უკიდურესი უსამართლობაა). ამ საშიშროების გამო არისტოტელე მხედველობაში იღებდა იმ გარემოებას, რომ ლეგალური სამართლიანობა კომპლემენტირდება სამართლიანობის მაკორექტირებელი ზომებით, სამართლიანობით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში (*aequitas*). ამის თანახმად, თუ კანონი თავისი განმზოგადებელი წესებით, რომლებიც მორგებულია ნორმალურ საკითხებს, ასევე ითხოვს ანომალურ საკითხებთან მის გამოყენებას, მაშინ სამართლებრივი შედეგები, რომლებიც ამ ზოგადი საკითხისთვისაა კანონიერი, ცალკეულ შემთხვევაში უსამართლო გამოდგება. არისტოტელე ამბობს: "თუ კანონმდებელი

მიგვატოვებს და თავისი გამარტივებული დებულებით ნორმის გამოუსადეგარობას გამოიწვევს, მიზანშეწონილია ჩავარდნა კანონმდებლის გაგებით გამოსწორდეს“.⁸¹ საყოველთაო კანონის კიდევს სამართლიანობა თლის, იგი განსაკუთრებულ გარემოებებს ერგება და არ უშვებს, რომ კანონისმიერმა სამართლიანობამ წონა დაკარგოს. მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი თანასწორობისკენ იხრება იმით, რომ იგი სავალდებულო სამართლებრივ დებულებებს, როგორცაც ადმინისტრაციული და საგადასახადო სამართალი შეიცავს, „გათავისუფლების“ დათქმით უშვებს, გაითვალისწინოს ისეთი შემთხვევებიც, რომ ზოგჯერ ამ დებულების გამოყენება აბსურდული იყოს და გაუმართლებელ სირთულეებს იწვევდეს.⁸² ნორმის უკვე ტელეოლოგიური ინტერპრეტაციით უნდა დადგინდეს, ნორმის ფორმალურად შემოთავაზებული გამოყენება თავის მიზანს შეესატყვისება თუ მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უაზრო იქნება.

მართლზომიერება, როგორც არისტოტელე გვასწავლის, სამართლიანობას გარდაქმნის სათნოებად. იგი უკრძალავს უფლების მატარებელს „პედანტური სიზუსტით იმ დონემდე განახორციელოს თავისი უფლება, ვიდრე ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებად იქცევა“ და სთავაზობს მას, მაშინაც კი, თუ კანონი მის მხარეს არის, დაკმაყოფილდეს მოკრძალებული წილით იმის ნაცვლად, რომ თავის უფლებას „ბოლომდე მიანვეს“.⁸³ მართლზომიერების მორალური სახე ამდიდრებს სამართლიანობას თვალისზომითა და თავდაჭერილობით. ეს გვიცავს სიმკაცრისგან. მისი საპირისპიროა ბუმბუნი და დოგმატურობა. სამართლიანობის პერფექციონიზმი, ისევე როგორც სამართლიანობის ფანატიზმი, შორსაა მიხაელ კოლჰაასისგან.

კონსტიტუციური სახელმწიფო ამ სამართლებრივ იდეას არ უღალატებს, თუ იგი კანონის აღსრულებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ნებისმიერ ფასად არ განახორციელებს. კერძო და საჯარო სამართლებრივი სიკეთის დაცვა საფრთხეებისგან, რაც სახელმწიფოს ფუნდამენტური ამოცანაა, დისკრეციულობის პრინციპით მიკუთვნებული აქვს პოლიციასა და სამართალდამცავ ორგანოებს. ისინი არ არიან ვალდებული, ყოველი სამართალდარღვევის დროს ჩაერიონ; ცალკეულ შემთხვევაში მათ შეუძლიათ „საკითხს მარტივად შეხედონ“ და სამართლებრივის მიღმა მართვის ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ტაქტიკური მოსაზრებებით იხელმძღვანელონ. თავისთავად, ეს გააკეთონ მხოლოდ სათამაშო მოედნის ფარგლებში, რათა სამართლებრივმა რეჟიმმა არ განიცადოს დიდი ზარალი და მოქალაქეთა მართლშეგნება არ შეირყეს.⁸⁴

სადაც ყველაზე შეუპოვარი ფორმით ვლინდება სამართალი, არის სასჯელი, აქ იგი იხმობს სამართლებრივის მიღმა მდგომ საწინააღმდეგო პრინციპს: შეწყალებას. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეწყალება არ მოდის შესაბამისობაში სამართლის წესებთან. პირიქით, შეწყალება მათ აუქმებს. მისი მეშვეობით უქმდება სამართლებრივი შედეგები. მისი ადგილი სამართლისა და უსამართლობის მიღმაა, სამართლიანობის იდეის გავლენის სფეროს გარეთ. ვინაიდან სახელმწიფო შეწყალებისთვის ტოვებს სივრცეს, იგი აღიარებს საკუთარ არასრულფასოვნებას. შეწყალება სამართლებრივი სახელმწიფოს

თავმდაბლობის სიმბოლოა. თუმცა, ეს მნიშვნელობა დღეს დაკარგულია, როცა შეწყალეა ინკორპორირებულია ნორმატიულ ბაზაში და სასარჩელო მოთხოვნაშია გადმოტანილი. ახლა სამართლის საზღვრების შესახებ კი არ გვანიშნებენ, არამედ სამართალი ხდება დაკნინებული და შერბილებული.⁸⁵ სამართლიანობის იდეა მარადიულია, მაგრამ მისი განხორციელება ემორჩილება დროის კანონს. ხანდაზმულობის სამართლებრივი ინსტიტუტი მას მხედველობაში იღებს. იგი გამომდინარეობს არა მხოლოდ სამართლის აღსრულების შეზღუდული შესაძლებლობიდან, არამედ, ასევე სამართლის დროში არსებობიდან და ჰუმანური საჭიროებიდან, რომ მკვდრების სამართალმა ცოცხლების სამართალს არ აჯობოს.

გონის მორალის ფილოსოფოსი იბრძვის იმისთვის, რომ სამართლიანობის მოთხოვნა (როგორც ეს მას ესმის) აღსრულდეს შედეგებზე დარდის გარეშე: „დაე აღსრულდეს მართლმსაჯულება, ქვეყანაც რომ დაიქცეს“ (fiat iustitia, pereat mundus). ამ მიდგომიდან არსებობს კანტის მოძღვრება, რომ თუ სამართლიანობა გაქრება, თასი არ ექნება ადამიანის დედამიწაზე ცხოვრებას.⁸⁶ მიუხედავად ამისა, სამართლიანობის იდეას სურს, ცხოვრებას შესძინოს სწორი სამართლებრივი ჩარჩო-პირობები. იგი სიცოცხლეს აყენებს ყველაზე წინ და იდეა კარგავს აზრს, თუ ადამიანი აღარ იარსებებს. იგი ადამიანისთვის ციური მნათობია, რომელიც მის სამართლებრივ ქმედებას მიმართულებას აძლევს და რომლის ნათელს ადამიანი, როგორც სამართლებრივ ბუნებას, ისე საჭიროებს. მაგრამ ამ ციურ სხეულზე ისინი ვერ იცხოვრებენ. მორალური არჩევანი „სამართლიანობა ან სიცოცხლე“ საფუძველშივეა მიუღებელი. იდეასა და სინამდვილეს შორის არსებობს აუცილებელი დაძაბულობა, რომელიც ცალმხრივად ვერ განიმუხტება, მას ყოველი ადამიანი გრძნობს, როგორც ის პედანტი გრილპარცერის დრამაში, რომელიც იმედგაცრუების შემდეგ ბოლოს მხიარულად შეეგუება ბედს:

„სარეველა ბალახს ვერ მოაშთობ, როგორც ვატყობ,
კიდევ კარგი, მხოლოდ ხორბალი იზრდება უკეთ“.⁸⁷

ქრისტიანისთვის სამართლიანობა არაა უმაღლესი და საბოლოო ფასეულობა. ამის მოწმე ისევ დანტეა თავისი მსოფლიო შედეგებით – „ღვთაებრივი კომედია“. როგორც საიქიოს მოსიარულე, ცის ბოლო კიდემდე ღვთის სახების დროისა და სივრცის მიღმა, იგი ღმერთში ხედავს არა აბსოლუტურ სამართლიანობას, არამედ სიყვარულს, „რომელიც მზესა და ყველა ვარსკვლავს ამოძრავებს.“ ამ ციური სხეულებიდან ერთია სამართლიანობა. ადამიანი მას შესცქერის, რომ მორალური ორიენტირი მიიღოს. ისტორიის მსვლელობაში მისი პოზიცია იცვლება და იგი სხვადასხვა კუთხით ეჩვენება ადამიანს. აქ იგი უფრო მკაფიოდ უნათებს ადამიანს, მაგრამ უფრო მოწყენილად. თუმცა, სამართლიანობის ნათელი არასდროს გაქრება, ვიდრე ადამიანი მიწაზე ცხოვრობს.

პირველი პუბლიკაცია: Heinrich Schmidinger (Hg.), *Gerechtigkeit heute – Anspruch und Wirklichkeit*, Innsbruck – Wien 2000, S. 253-292.

- ¹ Aurelius Augustinus Confessiones, XI, 14, 17.
- ² Aristoteles, Nikomachische Ethik, V/3 (1129b).
- ³ სამართლიანობის სისრულეს არისტოტელე იმაში ხედავს, რომ სამართლიანობის მატარებელს შეეძლოს, მისი აღსრულება სხვის მიმართ; მისთვის ის ნიშნავს უცხო სიკეთეს, რადგან თანაბრად კავშირშია სხვასთან (N 2, V/3 [1129b]). ზოგადად, სამართალი არის იქ, "სადაც ადამიანსა და ადამიანებს შორის ურთიერთობები კანონითაა მოწესრიგებული, ხოლო კანონი არსებობს იქ, სადაც შესაძლებელია არსებობდეს უსამართლობა" (N 2, V/10 [1134a]). – Ansätze, die Anwendbarkeitsbedingungen der Gerechtigkeit zu bestimmen, bei Otfried Höffe, Kontext der Gerechtigkeitsfrage, in: Jan Assmann u.a.(Hg.), Gerechtigkeit, 1998, S. 227 ff.
- ⁴ სამართლის შინაარსის ეთიკური მართებულობის თვალსაზრისით, საიდანაც ასევე წარმოდგება სამართლიანობის იდეა, უნდა განვასხვავოთ სამართლის განმარტების (ამ კონტექსტში უმნიშვნელო) მეთოდური „მართებულობა“. Dazu Karl Engisch, Auf der Suche nach der Gerechtigkeit, 1971, S. 186 ff.; Josef Isensee, Vom Ethos des Interpreten, in: Festschrift für Günther Winkler, 1997, S. 367 (369 ff.) mit weit. Nachw.
- ⁵ Aristoteles, Nikomachische Ethik, V. I
- ⁶ Thomas, Summa theologiae, II/II, qu. XVII ff.
- ⁷ Perspektive des modernen Zivilrechts: Claus-Wilhelm Canaris, Die Bedeutung der iustitia distributiva im deutschen Vertragsrecht, 1977; zur unterschiedlichen Zuordnung der Strafe: Hasso Hofmann, Bilder des Friedens oder Die vergessene Gerechtigkeit, 1997, S. 25.
- ⁸ Dazu Aristoteles (N 2), V/5-7.
- ⁹ Zur Geschichte der Lehre vom iustum pretium: Max Kaser, Römisches Privatrecht, 16. Aufl. 1992, S. 194; Winfried Trusen, Äquivalenzprinzip und gerechter Preis im Mittelalter, in: Festgabe für Günther Küchenhoff, 1967, S. 247 ff.; Andreas Wacke, Circumscribere, Gerechter Preis und die Arten der List, in: Savigny-Zeitschrift für Rechtsgeschichte Romanistische Abteilung, 94 (1977), S. 184 ff.
- ¹⁰ Hans Kelsen gibt eine scharfsinnige Analyse der „inhaltsleeren Formeln der Gerechtigkeit“: Was ist Gerechtigkeit?, 1953, S. 23 ff., 32 f., 34 ff.
უმრავლესობის, ოპოზიციისა და სხვა, ახლა ისინი პოზიციას იცვლიან და გადანყვეტი-
ლების მიღებაზე პასუხისმგებელი პირების ნაცვლად, გამოდიან როგორც მოსარჩევეები,
მოპასუხეები, გამოთქვამენ თავიანთ აზრს, წარმართველი ძალა კი მოსამართლეების
ხელში გადადის. ისინი მრავალ ასპექტში განსხვავდებიან პოლიტიკოსებისაგან: ისინი
პროფესიონალი იურისტები არიან. ფაბულებთან დაკავშირებით სამართლებრივი
ნორმების გამოყენება მათი სფეროა. ჩვეულებრივ, ისინი არ განწესდებიან სახალხო
არჩევნებით, ამიტომ არ უწევთ საარჩევნო კამპანიის ჩატარება. ისინი არ გამოდიან დღის
წესრიგით. მათ საკუთარი ინიციატივით მოქმედებაც არ შეუძლიათ, სანამ სარჩელით არ
მიმართავენ. საქმეებთან დაკავშირებით გადანყვეტილების პროცესში ისინი არ არიან
დამოკიდებულნი მესამე პირების თანხმობაზე.

თუმცა მოსამართლეები თავიანთ თანამდებობას, როგორც წესი, პოლიტიკურ გადა-
წყვეტილებას უმადლიან. მათ ან პარლამენტი ირჩევს, ან სახელმწიფოს მეთაური, ან -

კაბინეტი; გვხვდება შერეული ან შუალედური ფორმები, მოსამართლეების ან იურისტების მონაწილეობით. ყველა შემთხვევაში პოლიტიკას დიდი გავლენა აქვს სასამართლოს ბოლო ინსტანციის პერსონალზე. ვინაიდან, არსებობს საშიშროება, რომ შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოების ნორმალურ ფუნქციონირებას ხელი შეეშალოს, კონსტიტუციები ხშირად შეიცავენ თავდაცვით მექანიზმებს, რომ მოსამართლეების არჩევა ან დანიშვნა მხოლოდ მმართველი პარტიის ხელში არ იყოს. მაკონტროლებელი ორგანოსა და გასაკონტროლებელი სუბიექტის ურთიერთთანხმობა მარტივად იწვევს კონტროლის შეფერხებას.

გარდა ამისა, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სასამართლოს პოლიტიზირებისგან იცავს. განწესებული მოსამართლეები დაცულნი არიან პოლიტიკური სანქციებისგან. ისინი არ არიან დამოკიდებული მითითებებზე და მათ ვერ გადაიყვანენ სხვა თანამდებობაზე და ვერ გაათავისუფლებენ მათი გადანაცვებილების გამო. ამ გზით მათი საქმიანობა ხელშეუხებელი რჩება არჩევნების შედეგებისა და ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად. მოსამართლის დამოუკიდებლობა არავითარ შემთხვევაში არაა პიროვნული პრივილეგია, მისი არსებობა სამართლის ინტერესებშია. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მოსამართლეებმა სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე შეძლონ გადანაცვებილების მიღება ისე, რომ არ ჰქონდეთ უარყოფითი რეაქციების შიში. მოსამართლეებს, რომლებიც უგულვებელყოფენ თავიანთ ვალდებულებას სამართლის წინაშე, შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროთ. სასამართლოების პოლიტიკური, რელიგიური ან ეკონომიკური ინტერესების ინსტრუმენტებად გამოყენების მცდელობები, არალეგიტიმურია. ამ შემთხვევაში ძალუფლებათა გამიჯვნა უფრო მკაცრია, ვიდრე კანონმდებელსა და აღმასრულებელ ორგანოებს შორის.

გადაწყვეტილებების მიღების *კრიტერიუმებიც* იცვლება: მაშინ, როცა პოლიტიკურ არენაზე გადამწყვეტია პარტიული პროგრამები და პარტიული ყრილობების გადაწყვეტილებები, მართებულობისა და განხორციელებადობის შესახებ თვალსაზრისები, არჩევნების დროს გადაწყვეტილების ზეგავლენა პარტიების შესაძლებლობებზე, იურიდიულ არენაზე კი, გადამწყვეტია საკონსტიტუციო სამართალი. ამით იმას არ ვამბობთ, რომ საკონსტიტუციო სამართალი პოლიტიკურ პროცესში მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს. ჩვეულებრივ, ეს დასაწყისშივე კი არ იჩენს თავს, არამედ პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების შედეგად კორექტივის სახით ემატება. პოლიტიკა წამოჭრის კონსტიტუციურ საკითხს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით სასურველი საქმე სამართლებრივადაც დასაშვებია. ამის საწინააღმდეგოდ, კონსტიტუციურ პროცესში პოლიტიკურად მეორეხარისხოვანი საკითხი პირველხარისხოვნად იქცევა. ყოველივე ამას ფონად რომ არ ახლდეს კონსტიტუციური კონტროლის საშიშროება, კონსტიტუციურ საკითხს პოლიტიკურ პროცესში, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭებოდა.

შესაბამისად, იცვლება პროცესი. საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზანია, დაადგინოს, თუ რას ნიშნავს კონსტიტუციის შესაბამისი განსაზღვრებები შესამოწმებლად წარმოდგენილ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან მიმართებით და სამართლებრივად რა გამომდინარეობს იქიდან. მიზნის შესაბამისად საქმე ეხება პროცესს, რომელშიც მხოლოდ სამართლებრივი არგუმენტებია დასაშვები. თუმცა შეიძლება, საეჭვო იყოს, თუ რა უნდა ჩაითვალოს სამართლებრივ არგუმენტად და რა - არა. ამასთან, საეჭვო არ არის ის ფაქტი, რომ არასამართლებრივი არგუმენტები არ დაიშვება. აზრი იმის შესახებ, არის თუ არა პოლიტიკური ქმედება ჭკვიანური, სასარგებლო და მისაღები, არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ის მხოლოდ მაშინ ხდება არსებითი, თუ შესაძლებელი იქნება ფორმულირების შეცვლა სამართლებრივად რელევანტური ასპექტის გათვალისწინებით. სამართლებრივ პროცესში, ასევე ირელევანტურია, უარყოფითი ზეგავლენა ექნება თუ არა გადაწყვეტილებას პოლიტიკური პარტიებისთვის, საწარმოებისთვის, ეკლესიებისთვის და ა.შ.

ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მოღვაწეობა ამ თვალსაზრისით არაა პოლიტიკური, როგორც პოლიტიკური პარტიების, პარლამენტის, მთავრობის, საერთაშორისო კონფერენციების საქმიანობა. თუმცა ამით, ჯერ კიდევ, არ გავვიცა პასუხი საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის პოლიტიკურსა თუ იურიდიულ ხასიათზე. აქამდე გავარკვეეთ მხოლოდ ის, რომ სასამართლოში შესული საჩივრის შემდეგ პოლიტიკური განხილვა გადადის სხვა სტადიაში, რომელშიც ის შეცვლილი პირობებითა და მხოლოდ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ასპექტებით გრძელდება. ამის საპირისპიროდ, ჯერ კიდევ, ღიაა საკითხი, არიან თუ არა გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი იურიდიული აქტორები ვალდებული იხელმძღვანელონ მნიშვნელოვანი სამართლებრივი კრიტერიუმებით, ან იმგვარად არიან დაკავშირებული მათზე, რომ პოლიტიკური განსჯისთვის ადგილი აღარ რჩებათ.

საკითხი საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკის პოლიტიკური ან სამართლებრივი ხასიათის თაობაზე შეიძლება შემოიფარგლოს თვითონ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესით. შესაძლებელია ეს პროცესი, საგნის პოლიტიკური მნიშვნელობისა და კონსტიტუციური გადაწყვეტილებების ზემოქმედების მიუხედავად, განვსაზღვროთ, როგორც სამართლებრივი ოპერაცია? ემპირიული დაკვირვება აქ თავის შინაგან საზღვრებს ეჭახება. ეს დაკავშირებულია პროცესის თავისებურებაზე. თითქმის ყველგან მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს სხდომის საიდუმლოების დაცვას. ამდენად, რთულია იმის გარკვევა, თუ როგორ იღებენ მოსამართლეები გადაწყვეტილებას. მხოლოდ მცირე რაოდენობის ქვეყნებში, მაგალითად, ბრაზილიაში,

სასამართლო სხდომები საჯაროდ ტარდება. თუმცა, როგორც ჩანს, ამ სხდომებზე რეალურად არ იღებენ გადაწყვეტილებას.⁴

გარდა ამისა, საქმის განხილვის დროს პროცესის ერთი ნაწილი მოსამართლეების გონებაში თამაშდება ისე, რომ დამკვირვებელს, საუკეთესო შემთხვევაში, მოსამართლის ქცევამ შეიძლება რაღაც უკარნახოს, მაგრამ ამაზე დაყრდნობა საეჭვო შეიძლება იყოს. მოსამართლისგან არ უნდა მოელოდე იმის გახმაურებას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, სამართლებრივის გარდა, სხვა მოტივებით ისარგებლა. ამ გაუმჭვირვალობის გამო, მოსამართლის ქცევის მეცნიერულ აღწერაში ბევრი რამ ჰიპოთეზურია. მეცნიერებისთვის თუ საზოგადოებისთვის *შავ ყუთად (black box)* რჩება კონსტიტუციური მოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, უშვებს თუ კრძალავს კონსტიტუცია გარკვეულ პოლიტიკურ ზომებს.

ყოველ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილი ხელმისაწვდომია ირიბი დაკვირვებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები და ეს დასაბუთება გამოაქვეყნონ. სამოტივაციო ნაწილი წარმოდგენილია, როგორც შემეცნებითი და არა ნების გამომხატველი აქტი. მასში საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, თუ როგორ და რატომ გამომდინარეობს მისი გადაწყვეტილება კონსტიტუციიდან. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში (Common-Law-Länder) მონაცემების უფრო დანვრილებითი შესწავლის შესაძლებლობა არსებობს, რადგან ხმათა უმრავლესობით დაძლეულ მოსამართლეებსაც აქვთ უფლება, საზოგადოებას გააცნონ თავიანთი მოსაზრება გადაწყვეტილების შესახებ და ამგვარად, შესაძლებელი ხდება შიდა დისკუსიებთან დაკავშირებით გარკვეული დასკვნების გამოტანა. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში (Civil-Law-Länder) ეს იშვიათია. ფაქტობრივად, იქაც კი, როგორც, მაგალითად, გერმანიაში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში დაშვებულია განსხვავებული აზრი, ეს შესაძლებლობა ხშირად არ გამოიყენება. ამდენად, მხოლოდ განსხვავებული აზრის არარსებობის გამო არაა შესაძლებელი ერთსულოვნებაზე მსჯელობა.

ცხადია, რომ გადაწყვეტილების მიღება და წარმოდგენა შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. სინამდვილეში პოლიტიკის მეცნიერთა უმრავლესობა და ასევე სამართლის მეცნიერთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, ვარაუდობენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეები უფრო სხვაგვარად მოქმედებენ, ვიდრე გადაწყვეტილების დასაბუთებისას. ისინი მოიაზრებიან, როგორც სტრატეგიულად მოქმედი პირები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პირადი ან ინსტიტუციური ინტერესებით, სუბიექტური ღირებულებებითა და პოლიტიკური უპირატესობებით. მას შემდეგ, რაც ამის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება, აღნიშნულს ისე წარმოაჩენენ, თითქოს ის

⁴ Siehe Virgilio Afonso da Silva, Deciding without Deliberating, 11 I-CON 557 (2013).

აუცილებლად გამომდინარეობს კონსტიტუციის დებულებებიდან. ამ მოსაზრებით, მართლმსაჯულების აღსრულებისთვის დადგენილ სამართლებრივ რეგულაციებს არ აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს მიდგომა აღწერილია, როგორც მოსამართლის ქცევასთან დაკავშირებული რეალისტური დამოკიდებულება.

ეჭვგარეშეა, რომ არსებობს საქმეები, რომლებსაც აღნიშნული აღწერა შეესაბამება. ყველა სასამართლო არ იქცევა ფუნქციონალურად. თუ ცალკეულ სასამართლოებს მივმართავთ, ნამდვილად ვიპოვით მოსამართლეებს, რომლებიც სამართალს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და მხოლოდ თავიანთი უპირატესობებითა და ინტერესებით ხელმძღვანელობენ. ასევე, შეიძლება არსებობდეს ისეთი მოსამართლე, რომელიც მართლმსაჯულების ინტერესებს სამართლის ნორმების სწორ გამოყენებაზე მალა აყენებს. ისეთი მოსამართლეებიც იქნებიან, რომლებიც ერიდებიან ძლიერ პოლიტიკურ ფიგურებთან კონფლიქტს და წამოჭრილ კონსტიტუციურ-სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხისას პოლიტიკის ღია ტექსტით გამოთქმული ან მოსალოდნელი მოლოდინების შესაბამისად მოქმედებენ. ამის საკმარისი მაგალითების პოვნა შეიძლება წარსულსა და დღევანდელობაში. საკითხავი ისაა, ამგვარი საქციელი მართლმსაჯულებისთვის ტიპურია თუ პათოლოგიური.

არსებობს სულ მცირე პოლიტიკის ერთი მეცნიერი, რომელიც მტკიცედ უარყოფს „რეალისტურ“ მიდგომას მას შემდეგ, რაც მან რვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადამწყვეტილების მიღების პრაქტიკა გამოიკვლია. ის წერს შემდეგს: „ეს წიგნი განსხვავდება სასამართლოების თაობაზე პოლიტიკოსების უმეტესი ნაშრომებისაგან იმიტომ კი არა, რომ სხვა ნამუშევრები არასწორად მიმაჩნია, არამედ იმიტომ, რომ ჩემთვის წინა პლანზე დგას იურიდიული არგუმენტაცია, რომელიც, ჩემი აზრით, მოსამართლის საქმიანობის მთავარი ძალა და ცენტრალური საკითხია იმ როლის გასაგებად, რომელსაც სასამართლოები კომპლექსურ საზოგადოებაში თამაშობენ. [...] ჩემი მეთოდის თანახმად, იურიდიული არგუმენტები სერიოზულად აღიქმება, რადგან ისინი მიეკუთვნებიან მოსამართლის გადამწყვეტილების უმნიშვნელოვანეს და გნებავთ, ერთადერთ განმსაზღვრელ ფაქტორებს“. პოლიტოლოგი უპირატესობას ანიჭებს ამ მიდგომას, „რადგან უბრალოდ დაუჯერებელი უნდა იყოს, რომ ათასობით პროფესიულად სოციალიზირებული, უნარიანი მამაკაცი და ქალი იტყუება, ან საკუთარი არგუმენტებით საკუთარი თავები შეჰყავთ შეცდომაში“.⁵

⁵ David Robertson, *The Judge as Political Theorist. Contemporary Constitutional Review*, Princeton: Princeton University Press, 2010, S. 21: “ეს წიგნი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა, სასამართლოს შესახებ მოღვაწე პოლიტიკური მეცნიერების ნაშრომებისაგან, და არა იმიტომ, რომ ვთლი, რომ სხვა ნაშრომები ცუდათ არის შედგენილი, არამედ იმიტომ, რომ განსაკუთრებით ვაფასებ სასამართლო არგუმენტაციას, რომელიც, მიმაჩნია, არის უმთავრესი მომენტი მოსამართლის მუშაობაში და ასევე წარმოადგენს ფუნდამენტს იმისათვის, რომ გავიგოთ, რა როლი ეკისრება სასამართლოს კომპლექსურ საზოგადოებაში. ... ჩემი მეთოდი არის სასამართლოს არგუმენტის მიღება, როგორც უმთავრესი დეტერმინანტისა სასამართლოს

ესაა სანდოობის არგუმენტი და, როგორც ასეთი, ემპირიულ გამოკვლევებთან შედარებით, ნაკლებად დამაჯერებელი. მაგრამ მოსამართლის ყველა ქცევას ვერ გავიგებთ ემპირიულად და არც სამართლის რეალისტები ფლობენ ექსკლუზიურ ემპირიულ ცნობებს. ისინი მოსამართლის ქცევის შესახებ თავიანთ ცოდნას იღებენ წინასწარ შექმნილი ჰიპოთეზიდან და მიდგომიდან რაციონალური არჩევანის შესახებ (*Rational-choice-Ansatz*). თუმცა არავითარ შემთხვევაში არ არის ნათელი, საზოგადოებრივი ცხოვრების რა პირობებში, რა მოცულობითა და რომელ სფეროებში გვპირდება აღნიშნული მიდგომა ადამიანური ქცევის სრულყოფილსა და სანდო ახსნას. ამას ემატება ის, რომ სოციოლოგები ხშირად არ იცნობენ სპეციფიურ სამართლებრივ არგუმენტაციას, ანუ თუ როგორ განსაზღვრავენ ისინი კონკრეტულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას აბსტრაქტული ზოგადი ნორმიდან და, როგორც *რობერტსონი* მართებულად აღნიშნავს, ამიტომ ისინი მათი არასათანადო შეფასებისკენ არიან მიდრეკილნი.

შემდეგ დისკუსია ეხება *რობერტსონის* მიერ შერჩეული კონკრეტული მოსამართლის ტიპს. აღნიშნული მოსამართლე სერიოზულად არის მოწადინებული, საკუთარი რწმენის საფუძველზე, ნორმიდან გამომდინარე მიიღოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკითხების შესახებ გადაწყვეტილება. მოსამართლის ამ ხატებაში ნაგულისხმევია არა როგორც იდეალური ტიპი, არამედ როგორც რეალობის წარმომჩენი. ეს შეესაბამება ჩემი, როგორც მსგავსი სასამართლოს წევრის საკუთარ გამოცდილებას.⁶ კარლსრუელი მოსამართლეები მუდმივად ცდილობდნენ კონსტიტუციურ-სამართლებრივ კითხვებზე პასუხები კონსტიტუციის მიხედვით ჩამოეყალიბებინათ. მოსამართლე, რომელიც ვერ შეძლებდა თავისი მოსაზრების სამართლებრივ დასაბუთებას, ან რომელიც იურიდიულის ნაცვლად პოლიტიკური არგუმენტებით იმსჯელებდა, დისკრედიტაციისთვის იყო განწირული. ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ სასამართლოს წევრები თავიანთ პირველად წარმოდგენას სწორი გამოსავლის შესახებ, საქმის განხილვის დროს წამოყენებული არგუმენტების საფუძველზე შეცვლიდნენ.

თუმცა, ეს არ ნიშნავს დისკუსიის დასასრულს, რადგან კონსტიტუციურ-სამართლებრივად სადავო საკითხების იურიდიული გადაწყვეტის მცდელობა ამაო იქნებოდა, თუ, მაგალითად, მოსამართლე კონსტიტუციიდან ვერ მიიღებდა საკმარის ორიენტირს, რათა საქმის შესახებ გადაწყვეტილება წმინდა წყლის სამართლებრივ საფუძველზე მიეღო. ამდენად, რჩება ადგილი სხვა მოსაზრებებისთვის. შესაბამისად, ფოკუსი კიდევ ერთხელ უნდა დავიწროვდეს და დაისვას კითხვა, არის თუ არა და რამდენადაა საქმესთან დაკავშირებით კონსტიტუციური ნორმის გამოყენების პროცესი თავისთავად პოლიტიკური

გადაწყვეტილებებისთვის.” იგი უპირატესობას ანიჭებს ამ მიდგომას, “რადგან უბრალოდ დაუჯერებელია, რომ ათასობით პროფესიონალ უნარიან ქალსა თუ კაცს უწევდეს თავი მოიტყუონ საკუთარ არგუმენტებში”.

⁶ Vgl. „მე ვარ კონსტიტუციის მეგობარი“. Dieter Grimm im Gespräch mit Oliver Lepsius, Christian Waldhoff und Matthias Roßbach, Tübingen: Mohr Siebeck, 2017.

აქტი. ამით ხდება პრობლემის გადატანა მოსამართლეთა მონდომებიდან - დაიცვან კონსტიტუციური ნორმები, თავად კონსტიტუციური ნორმების უნარზე - ჰქონდეთ სავალდებულო ძალა.

ცალკეული მითითებების საპირისპიროდ, რომლებიც ეფუძნება განსაზღვრულ, უკვე არსებულ სიტუაციას და მთლიანადაა გააზრებული, სამართლებრივი ნორმები ძალაში რჩება დიდი რაოდენობის მომავალი საქმეებისთვის. ამიტომ, ისინი მეტნაკლებად ზოგადად და აბსტრაქტულად უნდა იყოს ფორმულირებული. საქმეები, რომელთა დაკავშირებითაც მათ იყენებენ, საპირისპიროდ მუდმივად ინდივიდუალური და კონკრეტულია. ამიტომ, ნორმასა და ფაქტს შორის წარმოიშვება ხარვეზი. ამას კი შედეგად მოჰყვება ის, რომ ხშირად ვეღარ ხერხდება ნორმის საქმესთან მიმართებაში გამოყენება. ხარვეზები უფრო განმარტების გზით უნდა ამოიფოს. *განმარტება არის იმის დადგენის მცდელობა, თუ რას ნიშნავს აბსტრაქტული და ზოგადი ნორმა ინდივიდუალური და კონკრეტული საქმისთვის. როგორც წესი, ის ნორმის გამოყენებლისგან მოითხოვს, რომ მან აბსტრაქტული ნორმიდან კონკრეტული ნორმა განსაზღვროს, რომელსაც შემდეგ საქმესთან დაკავშირებით გამოიყენებს.*

ეს ნორმის დადგენის ხანგრძლივობისა და განსაზღვრულობის, ასევე შემთხვევის ახლებურობისა და კომპლექსურობის მიხედვით, შეიძლება უფრო რთული ან უფრო ადვილი იყოს. მაგრამ არც ერთი სამართლებრივი ნორმა არ არის იმდენად ნათელი, რომ ცალკეული საქმიდან გამომდინარე არასდროს წარმოიშვას ეჭვი მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. ნორმა ბუნდოვნად და განუსაზღვრელად თუ არის ფორმულირებული, ამას პოულობენ ნორმატიული ტექსტის ნაკითხვისას. მაგრამ შესაბამისი საქმისგან დამოუკიდებლად ვერ დადგინდება, ნორმა არის თუ არა ნათლად და ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული. ერთი და იგივე ნორმა, ერთ საქმესთან მიმართებით, შეიძლება ნათელი იყოს, მეორესთან კი - ბუნდოვანი. თუმცა არაა გამორიცხული, რომ რომელიღაც საქმისთვის ნორმის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არ არსებობდეს გონივრული ეჭვები. ჩვეულებრივ, ასეთი საქმეები საერთოდ ვერ ხვდება სასამართლოში. უმეტესად საკონსტიტუციო სამართალწარმოებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც წარმოიშვება ლეგიტიმური ეჭვი კონსტიტუციური დებულებების მნიშვნელობის თაობაზე კონკრეტულ საქმესთან მიმართებით.

ბუნდოვანი სამართლებრივი ნორმები საკონსტიტუციო სამართალში უფრო ხშირადაა, ვიდრე ზოგადად სამართალში. ბევრი კონსტიტუციური ნორმა *რობერტ ალექსისის ტერმინოლოგიის*⁷ მიხედვით, წარმოადგენს პრინციპებს და არა ნორმებს. ამიტომ აქ ხარვეზი ნორმასა და საქმეს შორის უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი სამართლის შემთხვევაში. მოსამართლეს, რომელიც სადავო საკითხებზე კონსტიტუციას იყენებს,

⁷ Robert Alexy, *Theorie der Grundrechte*, Baden-Baden: Nomos, 1985, S. 71 ff.

ეხსნება გზა ინტერპრეტაციებისათვის. მართალია, ნებისმიერი ინტერპრეტაცია არ დაიშვება, რადგან მოქმედების ყველა არეალს გააჩნია საზღვრები, მაგრამ იქ მისაღებ ინტერპრეტაციაზე მეტი რამ არის დასაშვები. მოქმედების არეალის შევსება არ არის წმინდა წყლის კოგნიტიური პროცესი. ნორმის განმარტება იმით არ შემოიფარგლება, რომ გამოვლინდეს აზრი, რომელიც გამოცემის მომენტისთვის ჩაიდო მასში. ნორმის კონკრეტიზირების დამახასიათებელი ნიშანია კრეატიული ელემენტი. არ ხდება კონკრეტული ნორმატიული დებულების პოვნა, არამედ წარმოებს ნორმის დაკონკრეტება გარკვეულ დონემდე ისე, რომ ლოგიკური არგუმენტირების ჯაჭვში შესაძლებელი იყოს მისი ისევ ნორმამდე უკუმიკვლევადობა.

იქნება ეს ფაქტი საკმარისი, ვამტკიცოთ, რომ კონსტიტუციური ნორმების გამოყენებას კონკრეტულ საქმეებზე პოლიტიკური ხასიათი აქვს? თუ კი სიმართლედ მივიღებთ იმას, რომ იქ, სადაც ნორმის განსაზღვრულობა მთავრდება, სასამართლო პრაქტიკა პოლიტიკური ხდება, მაშინ არა მარტო საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა, არამედ ყოველი სასამართლო პრაქტიკა იქნებოდა პოლიტიკური ხასიათის. მაგრამ ეს თეზა არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა შემზღვევებია დანესებული კანონის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის. ხოლო საკითხი იმისა, თუ როგორ უნდა შეივსოს ნორმის არგანსაზღვრული სივრცე და როგორ უნდა იქნას ბუნდოვანი ნორმა კონკრეტული საქმის მიმართ გამოყენებული, მოსამართლის დისკრეციაზე არ არის დამოკიდებული, არამედ თავისთავად წარიმართება. დისკრეცია საზღვრები იზღუდება იურიდიული დოგმატიკით, ანუ მეცნიერებასა და პრაქტიკაში შექმნილი და გაზიარებული მოსაზრებებით „სწორი“ განმარტების თაობაზე, ასევე პრეცედენტებითა და განმარტების მეთოდით.

დოგმატიკისა და პრეცედენტების საშუალებით სამართლის პრაქტიკოსისთვის ხელმისაწვდომია სამართლებრივი ნორმებისა და ცნებების გამოცდილი და აღიარებული ინტერპრეტაციების მთელი სპექტრი, რომელიც შეუძლია მოიშველიოს პერიოდული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისას. მას არ მოუწევს, ყოველი საქმის დროს სრულიად ახალი გამოსავალი ეძიოს. იურიდიული მეთოდები აჩვენებენ გზას, თუ როგორ შეიძლება განუსაზღვრელად ფორმულირებული ნორმების რაციონალური კონკრეტიზირება ისე, რომ ნორმაზე დამოკიდებულება არ დაზარალდეს. მეთოდების სწავლების ერთ-ერთი ამოცანაა სამართლებრივი და არასამართლებრივი არგუმენტების გამიჯვნა. იურიდიული განათლების არსი იმაშია, რომ სტუდენტებს გააცნონ დოგმატიკა და პრეცედენტები და განუვითარონ უნარი, ობიექტურად და რაციონალურად იხელმძღვანელონ სამართლებრივი ნორმებით, რომლებსაც ერთ კონკრეტულ საქმეზე უშუალოდ ვერ გამოიყენებ.

იურისტების დოგმატური და მეთოდოლოგიური არსენალი მდიდარია. შესაბამისი ნორმა დამოუკიდებლად არ არსებობს, ის უფრო დიდი ნორმების ურთიერთკავშირის ნაწილია.

ეს ლოგიკური ურთიერთკავშირი ხშირად გვანდის დამატებით ინფორმაციას ნორმის მნიშვნელობის შესახებ. იგივე ეხება შეკითხვას ნორმის მიზნის თაობაზე. კანონმდებლობა მიზნობრივი საქმიანობაა. ყოველი ნორმა იქმნება გარკვეული ზემოქმედების მოსახდენად, რომელიც რეალობაში უნდა განახორციელდეს. აღნიშნულის შესახებ ბევრს შევითქვით კანონმდებლობის ისტორიიდან. თუ გვინდა ყველა სამართლებრივი ინსტრუმენტის აღწერა, რომლებიც ნორმების აზრის გამოკვლევაში გვხვდება, მაშინ უნდა მოვიშველიოთ კონსტიტუციის ინტერპრეტაციის მეთოდოლოგია.

რასაკვირველია, ვერც დოგმატიკა და ვერც სამართლებრივი მეთოდები დაავალდებულებს მოსამართლეს იმდენად, რამდენადაც ამას თავად ნორმის ტექსტი შესძლებს. დოგმატიკა და მეთოდოლოგია წარმოადგენს სამართალზე მუშაობის მუდმივი პროცესის შედეგს, რომელშიც მონაწილეობენ მეცნიერები და პრაქტიკოსები. ეს პროცესი იშვიათადაა უდავო და არასდროსაა დასრულებული. ერთმანეთთან კონკურენციაში მოდის სხვადასხვა მეთოდი და სამართლებრივი დავის შედეგი შეიძლება დამოკიდებული იყოს მეთოდზე, რომელსაც სასამართლო ანიჭებს უპირატესობას. საზღვარი სამართლებრივსა და არასამართლებრივ არგუმენტებს შორის შეიძლება მეთოდების შესახებ სხვადასხვა სწავლებების მიერ განსხვავებულად იქნას გავლებული. მაგალითად, ტელეოლოგიური არგუმენტები დიდხანს მოიაზრებოდა, როგორც არასამართლებრივი არგუმენტები. ზოგიერთი მეთოდოლოგიური სკოლისათვის ძველი ნორმების მისადაგება თანამედროვე გამონჭველებთან წარმოადგენს პოლიტიკას, სხვებისთვის კი - სამართალს.

მიუხედავად ამისა, ისინი სამართლებრივი მეთოდებია. ყოველი მათგანი აყალიბებს წინაპირობებს, რომელთა შორის ნორმის ინტერპრეტაციას შეუძლია პრეტენზია განაცხადოს სამართლებრივ სიციხადღზე. მაგრამ, ვინაიდან არ არსებობს საგარეო ინსტანცია, რომელსაც შეეძლებოდა გადაწყვეტილების მიღება, რომელი დოგმატიკა და მეთოდია სწორი, უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ შეიძლება იყოს ყოველთვის რამდენიმე ინტერპრეტაცია ისე, რომ არ იქნება შესაძლებელი ითქვას, რომელია სწორი და რომელი არასწორი. საქმეები, რომლებშიც მხოლოდ ნორმის ერთადერთ განმარტებას შეუძლია ჰქონდეს ჭეშმარიტებაზე პრეტენზია, იშვიათ გამონაკლისებს წარმოადგენს. საქმეების უმეტესობისთვის და, ასევე იმ საქმეებისთვის, რომლებიც კონსტიტუციურ-სამართლებრივი დავების საგანი ხდება, არსებობს პრობლემის გადაჭრის სხვა საშუალებებიც, რომლებიც სამართლებრივად დასაშვებია.

თუმცა, ამან არ უნდა მიგვიყვანოს ვარაუდამდე, რომ „anything goes“ (*„ყველაფერი მისაღებია“*). არსებობს ინტერპრეტაციები, რომლებიც იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელი დოგმატიკა ან მეთოდი დომინირებს, ცალსახად არასწორია. ამ შემთხვევაში „არასწორი“ ნიშნავს იმას, რომ ინტერპრეტაცია შესაძლოა ინტერპრეტაციების სამოქმედო არეალის ფარგლებს გარეთ იყოს. თუ ინტერპრეტაცია სამოქმედო არეალის ფარგლებშია, მაშინ აზრთა სხვადასხვაობა, მოსამართლეებს შორის პრობლემის სწორი

გადაჭრის შესახებ, ჯერ კიდევ, სამართლებრივ აზრთა სხვადასხვაობებს წარმოადგენს. თუმცა არ იცვლება ის გარემოება, რომ ნორმის შინაარსი და სივრცის შევსება, რომელსაც ნორმა ინტერპრეტაციისთვის ტოვებს, მოსამართლისგან ითხოვს გადანყვეტილებებს, რომლებიც ნორმის ტექსტით სრულყოფილად არაა განსაზღვრული.

ეს იძლევა პრობლემის საბოლოო ლოკალიზების შესაძლებლობას. შეკითხვა მდგომარეობს იმაში, თუ რა განსაზღვრავს არჩევანს პრობლემის სხვადასხვა სამართლებრივად შესაძლებელ გადანყვეტას შორის. ბოლოს და ბოლოს, გავა დაუბრკოლებლად პოლიტიკური შეხედულებები, პარტიული გაერთიანებები, კერძო ინტერესები? სოციოლოგები, რომლებიც ცდილობენ *შავ ყუთს* ნათელი მოჰყვინონ იმით, რომ მოსამართლეებისგან აგროვებენ სოციალურ მონაცემებს, ვარაუდობენ, რომ ეს შესაძლებელია. მაგრამ შეკითხვები წარმომავლობის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, ოჯახური მდგომარეობის, საკუთრების და სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც შეუძლია ინტერესები დაასაბუთონ, მხოლოდ მაშინაა დამაჯერებელი, თუ ამ მახასიათებლებსა და გადანყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ქცევას შორის მიზეზობრივი კავშირი იქნება, ე.ი., თუ კათოლიკე მოსამართლე ყოველთვის ეკლესიის სასარგებლოდ, მენარმის შვილი პროფკავშირების წინააღმდეგ, სახლის მესაკუთრე გამჭირავებლების სასარგებლოდ განსჯიდა საქმეს.

შეგვიძლია თავი დავანებოთ ამ ვულგარულ სოციოლოგიზმს. უფრო სერიოზულია, მივმართოთ იმ სოციოლოგიურ თეორიას, რომელიც მოსამართლის ქცევის ახსნას არა ინდივიდუალური მოსამართლეების სუბიექტური, არამედ ინსტიტუციების, მართლმსაჯულების ობიექტური ინტერესების გათვალისწინებით ცდილობს. მოსამართლეები განსაზღვრავენ ინტერპრეტაციის სამოქმედო არეალს, რომელიც ნორმას უშვებს და შემდგომში იმგვარად ავსებენ მას, რომ მათი საკუთარი ძალაუფლება იზრდება. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. მაგრამ ეს თეორიები არასათანადოდ აფასებენ სამართლებრივი სისტემის დამახასიათებელ ლოგიკას და სამართლებრივი პროცესების შედარებით ავტონომიას. ისინი, ასევე არასაკმარისად განასხვავებენ განზრახვასა და ზემოქმედებას. სამართლებრივი საკითხების პროფესიონალური დამუშავების განზრახვა ისაა, რომ ოპტიმალურად განხორციელდეს სამართლებრივი ნორმების იურიდიული მოქმედება. ზემოქმედება ხშირად არის სასამართლოს მაკონტროლებელი უფლებამოსილების გაფართოება.

ამდენად, ინტერპრეტაციის სამოქმედო არეალის შემოფარგვლა და არგანსაზღვრული სივრცის შევსება მოითხოვს გადანყვეტილებებს, რომლებიც ნორმატიულ ტექსტებში სრულად ვერ იქნება მოცემული, თუმცა, ეს გადანყვეტილებები უნდა იქნას მიღებული მოცემული ნორმის დარღვევის გარეშე. როგორ ხორციელდება ეს? უპირველეს ყოვლისა, ესაა თანდაყოლილი ცოდნა და სანყისი დებულებანი, რომლითაც

ცხელმძღვანელობთ ნორმის არგანსაზღვრული ნაწილის დასაზუსტებლად. ეს ცოდნა და დებულებანი არ უნდა მივიჩნიოთ წმინდა წყლის სუბიექტურ მოვლენად. ბევრ მათგანს ზეინდივიდუალური ხასიათი აქვს. დროის დინება, როგორცაა შეცვლილი დამოკიდებულებები, მაგალითად სქესის როლისა და სექსუალური ორიენტაციის შესახებ, აქაც თამაშობს მნიშვნელოვან როლს და გეგავლენას ახდენს თანასწორობის ღია პრინციპის განმარტებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოები არ ღვანან იმ საზოგადოების გარეთ, რომლისთვისაც სამართალს აწესებენ. მათზე ისევე მოქმედებს მსოფლმხედველობის შეცვლა, როგორც ისინი მოქმედებენ ამ მსოფლმხედველობაზე.

ამოსავალი დაშვებები ასევე შეიძლება შეეხებოდეს განსაზღვრულ ძირითად მოსაზრებებს სამართლიანი საზოგადოებრივი წყობის შესახებ, კერძოდ, მაგალითად შეკითხვა, რა უნდა დარჩეს ბაზარს და რა უნდა აილოს სახელმწიფომ საკუთარ თავზე მოსაწესრიგებლად. ეს დაშვებები შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს, როცა საქმე ეხება ძირითადი ეკონომიკური უფლებების შეზღუდვათა კონსტიტუციურ-სამართლებრივ განხილვას. ამოსავალი დაშვებები შეიძლება ეფუძნებოდეს კონსტიტუციათა ფუნქციას. შეადგენს ისინი მხოლოდ პოლიტიკის ჩარჩო-წესრიგს, თუ შეიცავს ისინი ასევე პოლიტიკისათვის მოქმედების ნორმებს? ამოსავალ დაშვებებს შეიძლება ასევე მიეკუთვნებოდეს მოსამართლეების დამოკიდებულება პოლიტიკურ სისტემაში საკუთარი ფუნქციის მიმართ და კერძოდ, მათ მნიშვნელობა შეიძლება შეიძინონ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა „სასამართლო აქტივიზმი“ („judicial activism“) ან სასამართლოს თვითშეზღუდვა“ („judicial self-restraint“).

ყოველ მოსამართლეს მოეთხოვება, იურიდიულად სწორი გადაწყვეტილება მიიღოს ისე, რომ საბოლოოდ, ეს სიცხადე კონსტიტუციის ტექსტში წინასწარ არ არის დადგენილი. ამიტომ, ყოველმა მოსამართლემ უნდა აღიაროს, რომ სხვას თუ მისგან განსხვავებული შედეგი აქვს, ეს აუცილებლად არ ნიშნავს იმას, რომ მან იურიდიულად არასწორი ან საერთოდ არასამართლებრივი გადაწყვეტილება მიიღო. ამიტომ სადავო გადაწყვეტილება ან განსხვავებული აზრები არ წარმოადგენენ იმის მტკიცებულებას, რომ სინამდვილეში სამართალთან არ გვაქვს საქმე. მოქმედი სამართლის სწორ განმარტებასთან დაკავშირებით შესაძლებელია ლეგიტიმური კამათის წარმოება. საზოგადოებამ სამართლის მიმართ ნამდვილობის მოლოდინები არარეალისტურად არ უნდა აღიქვას. სამართლის ნამდვილობა, როგორც წესი, ნორმის ძალაში შესვლით კი არ მიიღწევა, არამედ მხოლოდ საქმესთან დაკავშირებით ნორმის გამოყენების შემდეგ.

ზემოაღნიშნულ წინასწარშექმნილ აზრებსა და წარმოდგენებს თავიდან ვერ ავიცილებთ, სანამ გადაწყვეტილების გამოტანა რობოტებს არ დაევალებათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვარაუდები არა უფრო ვიწრო, ტექსტუალური აზრითაა სამართლებრივი, არ შეიძლება მათი უბრალოდ არასამართლებრივად გამოცხადება. ეს ვარაუდები იქმნება ამოცანის

მემკვიდრეობით, გამოიკველიოს კონსტიტუციის დებულების აზრი და ინტეგრირებულია კონსტიტუციის განმარტებისა და საქმესთან დაკავშირებული გადანწყვეტილების მიღების პროცესში. საზოგადოებრივი რეალობის შესახებ წინასწარარსებული მოსაზრებები ან წარმოდგენები, რომლებშიც ნორმები თავის ზემოქმედებას ავლენენ, მართლმსაჯულების აღსრულების დროს გარემოების გარეშე კი არ გამოიყენებიან, არამედ ზემოქმედებას ახდენენ მხოლოდ ნორმატიულად წარმოდგენილი და მართული სახით. გარდა ამისა, რბილდება სუბიექტური მიდრეკილებები იმ გარემოების გამო, რომ ნორმის ინტერპრეტაცია კოლექტიური საქმეა. ყველა დასახელებული არგუმენტი ჯგუფმა უნდა აღიაროს, როგორც სამართლებრივად რელევანტური.

რასაკვირველია, ვერასოდეს გამოვრიცხავთ, რომ ის საკონსტიტუციო სასამართლოებიც, რომლებიც თავიანთ სამართლებრივ ფუნქციას სერიოზულად აღიქვამენ, სცდებიან კონსტიტუციის ინტერპრეტაციასა და ცვლილებას შორის არსებულ რთულად განმარტებად საზღვარს ან სინქრონული ხდებიან საზოგადოებასთან, რომლის სახელითაც სამართალს აღასრულებენ. ეს მოითხოვს კორექტირებას. აქ მოაზრებულია სამართალის მეცნიერება, რომელიც კრიტიკულად ადევნებს თვალყურს პროცესებს და ამოწმებს სასამართლო პრაქტიკის სამართლებრივ დამაჯერებლობასა და ლოგიკურ თავსებადობას. შემდგომი კორექტივი შეაქვს საჯარო დებატებს, რომლებსაც მოსამართლეები მასმედიასთან აწარმოებენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეებმა თავისი გადანწყვეტილების შესახებ საზოგადოებას უნდა აცნობონ, მაგრამ ამით მოსამართლეებს მოუწოდებენ, რომ თავისი მოქმედება მუდამ კრიტიკულად განსაჯონ.

ასეთი გავლენები არავითარ შემთხვევაში არ კარგავს თავიანთ ზემოქმედებას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე, რომლებმაც იციან საკონსტიტუციო სასამართლოების განსაკუთრებული მონაცვლადობის შესახებ, რაც იქიდანაც გამომდინარეობს, რომ მათი გადანწყვეტილებების ადრესატები უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები არიან. შესაბამისად, არ არსებობს ზემდგომი აღმასრულებელი ორგანო გადანწყვეტილებების აღსასრულებლად, როგორც ეს ჩვეულებრივი სამართლის შემთხვევაში გვაქვს. თუმცა, საბოლოოდ აუცილებელია გარკვეული საპირინონე, რათა გავუმკლავდეთ იმ რისკებს, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლოები ატარებენ ერთობლივად სავალდებულო გადანწყვეტილებების დემოკრატიული ლეგიტიმაციის თვალსაზრისით. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოების სამართალწარმოების პრაქტიკა პოლიტიკურად კორექტირებადი უნდა იყოს. მაგრამ, შესწორების არსი იმაში არაა, რომ პოლიტიკურად გაგაუქმოთ ან უგულვებელვყოთ გადანწყვეტილებები. სამართლებრივ სახელმწიფოში არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკის უკუქცევითი ძალის მქონე შესწორება, არსებობს მხოლოდ მომავალი პრაქტიკის შესწორების შესაძლებლობა. ამის საშუალებას იძლევა კონსტიტუციური ცვლილებები.

Was ist politisch an der Verfassungsgerichtsbarkeit?

Dieter Grimm

Wenn es um Verfassungsgerichtsbarkeit und Verfassungsrechtsprechung geht, wird keine Frage so häufig von gestellt wie die, ob es sich bei Verfassungsgerichten bzw. Höchstgerichten mit verfassungsgerichtlicher Funktion¹ um rechtliche oder politische Institutionen handele und ob Verfassungsrechtsprechung eine rechtliche oder eine politische Tätigkeit sei. In den USA ist die Frage so alt wie das Urteil des Supreme Court im Fall *Marbury v. Madison* aus dem Jahr 1803, in dem sich das Gericht die Befugnis zur Normenkontrolle beilegte. In Europa setzte die Diskussion mit der Errichtung des ersten spezialisierten Verfassungsgerichts in Österreich im Jahr 1920 ein. Die Debatte, die Hans Kelsen und Carl Schmitt in der Weimarer Republik über die Verfassungsgerichtsbarkeit führten, zieht in ihrer Grundsätzlichkeit noch immer das Interesse auf sich.²

Wie damals sind die Ansichten auch heute geteilt. Mit der Verfassungsgerichtsbarkeit beschäftigt sich sowohl die Rechtswissenschaft als auch die Politikwissenschaft. Während die Politikwissenschaftler in ihrer Mehrheit die Verfassungsgerichtsbarkeit für eine politische Institution halten, ist das bei Rechtswissenschaftlern tendenziell anders. Dass Gerichte und Richter auf der rechtlichen Natur von Verfassungsrechtsprechung bestehen, kann nicht überraschen. Aber auch die Mehrzahl der Rechtswissenschaftler neigt dieser Ansicht zu. Für die angelsächsische Welt gilt das allerdings nicht in gleicher Weise. Dort gehen auch zahlreiche Juristen davon aus, dass es sich bei der Verfassungsrechtsprechung um Politik in rechtllichem Gewand handele.

Dass die Antworten auf diese Frage so weit auseinanderfallen, gibt Anlass zu Zweifeln, ob sie richtig gestellt ist. Könnte es sein, dass sich Recht und Politik bei der Ausübung verfassungsgerichtlicher Kontrolle nicht ausschließen, sondern nebeneinander bestehen mit der Folge, dass jede Disziplin einen wichtigen Aspekt ihres Gegenstands übersieht, wenn sie auf der Dichotomie beharrt? Haben womöglich beide Disziplinen Recht, aber nur zum Teil? Es ist unbezweifelbar, dass Verfassungsgerichte eine wichtige politische Rolle spielen, wenn sie über die Verfassungsmäßigkeit politischer Maßnahmen entscheiden. Ebenso offensichtlich ist aber, dass sich die Tätigkeit von Verfassungsrichtern von derjenigen von Politikern unterscheidet und dass gerade in ihrer Spezialisierung auf Rechtsfragen die entscheidende Differenz liegt.

Das spricht für eine Differenzierung der Frage, ob Verfassungsrechtsprechung rechtlicher oder politischer Natur ist. Statt pauschal nach dem Ob zu fragen, sollte man dem Inwiefern genauer nachgehen. Dabei empfiehlt es sich, zwischen der Institution der Verfassungsgerichtsbarkeit und der ihr zugeordneten Funktion einerseits und einzelnen Verfassungsgerichten andererseits zu unterscheiden, die sich durchaus funktionswidrig verhalten können. Von den Gerichten sind wiederum ihre Urteile zu trennen, die unabhängig davon, ob die Institutionen sich funktionsgemäß

¹ Im Folgenden wird vereinfachend von Verfassungsgerichten gesprochen.

² Hans Kelsen, *Wesen und Entwicklung der Staatsgerichtsbarkeit*, Veröffentlichungen der Vereinigung der deutschen Staatsrechtslehrer, Bd. 5 (1929), S. 30; Carl Schmitt, *Der Hüter der Verfassung*, Archiv des öffentlichen Rechts, NF 16 (1929), S. 161; ders., *Der Hüter der Verfassung*, Berlin: Duncker & Humblot, 1931; Kelsen, *Wer soll der Hüter der Verfassung sein?*, Berlin: Rothschild, 1931.

oder funktionswidrig verhalten, auf ihren rechtlichen oder politischen Charakter untersucht werden können. In diesem Beitrag liegt der Schwerpunkt auf Institution und Funktion der Verfassungsgerichtsbarkeit, soweit sie funktionsgerecht ausgeübt wird.

Was ist also politisch an der Verfassungsgerichtsbarkeit? Mit Sicherheit ihr *Gegenstand*. Verfassungsgerichte haben die Aufgabe, die Vorschriften der Verfassung durchzusetzen. Die Verfassung wiederum ist dasjenige Recht, welches sich auf die Einrichtung und Ausübung politischer Herrschaft bezieht. Sie legt nicht nur die politische Grundstruktur eines Landes fest, sondern leitet und begrenzt auch politisches Handeln. Politische Entscheidungen können nur dann Geltung beanspruchen, wenn sie mit der Verfassung vereinbar sind. Die Gegenstände verfassungsgerichtlicher Kontrolle sind daher zwangsläufig politische Handlungen oder Unterlassungen, in der Regel Akte der obersten Staatsorgane einschließlich derjenigen, die ihre Legitimation vermittelt durch Wahlen direkt vom Volk ableiten.

Allerdings sind nicht alle Entscheidungen von Verfassungsgerichten und noch weniger von obersten Gerichten mit verfassungsgerichtlicher Funktion politisch in diesem Sinn. Nur diejenigen Verfassungsgerichte, deren Zuständigkeit auf die Normenkontrolle beschränkt ist, haben es stets mit politischen Materien zu tun. Bei Gerichten mit weiteren Befugnissen betrifft dagegen nicht jeder verfassungsrechtliche Fall Handlungen der höchsten politischen Organe. Viele verfassungsrechtliche Rechtsbehelfe, namentlich die Individualbeschwerde, richten sich gegen Akte der Verwaltung oder Entscheidungen anderer Gerichte. Es ist jedoch die relativ kleine Zahl hochpolitischer Fälle, die das Bild der Verfassungsgerichte in der Öffentlichkeit prägt und der Vorstellung von dem politischen Charakter der Verfassungsrechtsprechung Nahrung gibt.

Unweigerlich politisch ist ferner die *Wirkung* verfassungsgerichtlicher Entscheidungen, soweit ihr Gegenstand politisch ist. Ob ein mit Mehrheit im Parlament verabschiedetes Gesetz in Kraft treten kann oder nicht, ist von beträchtlicher politischer Bedeutung. Das Gleiche gilt, wenn ein Verfassungsgericht darüber entscheidet, ob das Parlament einen von der Regierung abgeschlossenen internationalen Vertrag ratifizieren darf. Selbst der Exekutive vorbehaltene Akte wie die Entscheidung, sich an Friedensmissionen im Ausland zu beteiligen, können vom letzten Wort des Verfassungsgerichts abhängen. Entscheidungen über die Regeln des politischen Wettbewerbs wie etwa Wahlgesetze oder Gesetze über die Finanzierung von Wahlkämpfen haben enorme politische Konsequenzen. Nie war die politische Wirkung einer Gerichtsentscheidung offensichtlicher als im Fall *Bush v. Gore*.³

An der politischen Bedeutung der Verfassungsrechtsprechung ist also gar nicht zu zweifeln. Verfassungsgerichte können politisches Handeln unter Berufung auf die Verfassung sowohl verhindern als auch verlangen. Das ist keine Grenzüberschreitung, es ist der Sinn der Sache. Ein Verfassungsgericht, das politischen Fällen aus dem Weg ginge, verriete seine Aufgabe. Eine unpolitische Verfassungsgerichtsbarkeit gibt es nicht. Wer sich nicht damit abfinden kann, dass demokratisch getroffene Entscheidungen einer verfassungsgerichtlichen Kontrolle unterzogen werden dürfen, muss Verfassungsgerichtsbarkeit insgesamt ablehnen, dann aber auch bereit sein, den Preis der praktischen Irrelevanz der Verfassung für das politische Geschäft zu zahlen. Verfassungsrecht setzt sich nicht von selbst durch, und wenn man seine Befolgung denen anheimstellt, an die es sich richtet, wird das Recht meist den Kürzeren ziehen.

³ *Bush v. Gore*, 531 U.S. 98 (2000); 121 S. Ct. 525 (2000).

Die Untersuchung spitzt sich unter diesen Umständen auf die Frage zu, ob der *Vorgang* der Verfassungsrechtsprechung, also die Anwendung von Verfassungsnormen auf einen Streitfall, ebenfalls politischer Natur ist oder ob dieser als juristisch qualifiziert werden kann. Von der Antwort darauf hängt viel ab: Sollte sich die richterliche Entscheidungsfindung als politisch erweisen, würde dies die Rechtfertigung der Verfassungsgerichtsbarkeit wesentlich erschweren. Denn warum sollten politische Entscheidungen von großer Tragweite Akteuren anvertraut werden, die weder durch Wahlen legitimiert noch politisch verantwortlich sind? Umgekehrt würde aber auch die Errungenschaft der Verfassungsstaatlichkeit einen Rückschlag erleiden, wenn Verfassungsrecht nicht justiziabel wäre. Schließlich war es gerade die Ausweitung der Verfassungsgerichtsbarkeit in der zweiten Hälfte des 20. Jahrhunderts, die der Verfassung in vielen Ländern Bedeutung verlieh, in denen sie jahrzehntelang keine Rolle gespielt hatte.

Während sich der politische Charakter der ersten beiden Aspekte der Verfassungsrechtsprechung kaum leugnen lässt, ist dies bei dem dritten Aspekt, dem *Vorgang* der Rechtsprechung, anders. Ihrem Sinn nach ist sie Rechtsanwendung, also eine Tätigkeit, welche eine generell getroffene Vorentscheidung lediglich in konkreten Streitfall vollzieht. Dennoch regen sich Zweifel, weil die Vorentscheidung, die Verfassungsnorm, oft unklar ist und weil die Art und Weise, wie das verfassungsgerichtliche Urteil zustande kommt, intransparent erscheint. Offensichtlich ist allerdings, dass ein *Arenenwechsel* stattfindet, wenn ein politischer Akt vor einem Verfassungsgericht angegriffen wird. Es wechseln die Akteure, die Kriterien und das Verfahren. Die Politik wird vom Subjekt zum Objekt.

Waren die *Akteure* zuvor Politiker in den verschiedenen Rollen, in denen sie auftreten: als Regierung, Parlamentsmehrheit, Opposition usw., fallen sie nun aus der Rolle der Entscheidungsträger auf die Rolle von Antragstellern, Antragsgegnern, Äußerungsberechtigten zurück, während die Führung auf die Richter übergeht. Diese unterscheiden sich in vielerlei Hinsicht von Politikern: Sie sind professionelle Juristen. Die Anwendung von Rechtsnormen auf Sachverhalte ist ihr Metier. Ihr Amt erlangen sie üblicherweise nicht durch Volkswahlen. Deshalb müssen auch keinen Wahlkampf führen. Sie treten nicht mit einer Agenda an. Sie können nicht einmal aus eigener Initiative tätig werden, sondern müssen warten, bis ihnen Fälle vorgelegt werden. Bei der Entscheidung der Fälle sind sie nicht auf Konsens Dritter angewiesen.

Allerdings verdanken sie ihr Amt in der Regel einer politischen Entscheidung. Sie werden entweder vom Parlament gewählt oder vom Staatsoberhaupt oder dem Kabinett bestimmt; Misch- oder Zwischenformen, auch unter Beteiligung von Vertretern der Richterschaft oder des Juristenstandes, kommen vor. In jedem Fall hat die Politik aber einen erheblichen Einfluss auf das Personal der Höchstgerichte. Wegen der darin liegenden Gefahr für das ordnungsgemäße Funktionieren von Verfassungsgerichten enthalten Verfassungen häufig Schutzvorkehrungen, die verhindern sollen, dass die Wahl oder die Ernennung von Richtern allein in der Hand der regierenden Partei liegt. Übereinstimmung von Kontrolleur und Kontrolliertem führt leicht dazu, dass die Kontrolle untergraben wird.

Weiterhin schützt die Gewährleistung der Unabhängigkeit der Justiz vor der Politisierung der Gerichte. Einmal im Amt, sind Richter vor politischen Sanktionen geschützt. Sie sind weder weisungsgebunden noch können sie wegen ihrer Entscheidungen versetzt oder entlassen werden. Ihre Tätigkeit bleibt auf diese Weise von Wahlausgängen und Regierungswechseln unberührt. Die richterliche Unabhängigkeit ist mitnichten ein persönliches Privileg, sie existiert im Interesse des Rechts. Sie wird gewährleistet, damit Richter aufgrund rechtlicher Kriterien entscheiden können,

ohne Nachteile fürchten zu müssen. Richter, die ihre Bindung an das Recht missachten, können bestraft werden. Versuche, Gerichte für politische, religiöse oder wirtschaftliche Interessen zu instrumentalisieren, sind illegitim. Die Gewaltenteilung ist an dieser Stelle strenger als zwischen Legislative und Exekutive.

Auch die *Kriterien* der Entscheidungen ändern sich: Waren in der politischen Arena Parteiprogramme und Parteitagsbeschlüsse, Gesichtspunkte der Zweckmäßigkeit oder Bezahlbarkeit und nicht zuletzt der Auswirkung der Entscheidung auf die Wahlchancen von Parteien maßgeblich, so ist in der juristischen Arena das Verfassungsrecht entscheidend. Damit ist nicht gesagt, Verfassungsrecht spiele im politischen Prozess keine Rolle. Gewöhnlich kommt es aber nicht von Beginn an zum Tragen, sondern tritt als Korrektiv hinzu, nachdem der politische Wille gebildet worden ist. Die Politik wirft die Verfassungsfrage auf, um sich rückzuversichern, dass das politisch Erwünschte auch rechtlich zulässig ist. Im verfassungsgerichtlichen Prozess wird die politisch nachrangige Frage dagegen zur vorrangigen. Drohte im Hintergrund nicht die verfassungsgerichtliche Kontrolle, käme der Verfassungsfrage im politischen Prozess wahrscheinlich kein großes Gewicht zu.

Entsprechend ändert sich das *Verfahren*. Ziel des verfassungsgerichtlichen Verfahrens ist die Feststellung, was die einschlägigen Bestimmungen der Verfassung bezüglich der zur Überprüfung gestellten politischen Entscheidung bedeuten und was daraus rechtlich folgt. Dem Ziel gemäß handelt es sich um einen Prozess, in dem ausschließlich rechtliche Argumente zulässig sind. Es mag zwar zweifelhaft sein, was als rechtliches Argument gelten kann und was nicht. Unzweifelhaft ist aber, dass nicht-rechtliche Argumente unzulässig sind. Die Frage, ob eine politische Maßnahme klug, nützlich oder bezahlbar ist, spielt keine Rolle, es sei denn, sie kann als rechtlich relevanter Gesichtspunkt reformuliert werden. Ebenso ist es im gerichtlichen Verfahren irrelevant, ob sich ein Urteil für politische Parteien, Unternehmern, Kirchen usw. nachteilig auswirkt.

Es lässt sich also zumindest sagen, dass das Vorgehen des Gerichts nicht in dem Sinn politisch ist, wie die Tätigkeit politischer Parteien, des Parlaments, der Regierung, internationaler Konferenzen politisch ist. Damit ist allerdings die Frage nach dem politischen oder juristischen Charakter der Verfassungsrechtsprechung noch nicht beantwortet. Fest steht bislang ja nur, dass die politische Auseinandersetzung mit der Klage bei Gericht in ein anderes Stadium eintritt, in dem sie unter veränderten Bedingungen und verengt auf die verfassungsrechtlichen Aspekte fortgeführt wird. Offen ist dagegen noch die Frage, ob die juristischen Akteure, die nunmehr entscheiden, an die juristischen Kriterien, die nunmehr maßgeblich sind, so gebunden sind oder sich so an sie binden lassen, dass kein Raum für politische Erwägungen bleibt.

Die Frage nach dem politischen oder rechtlichen Charakter der Verfassungsrechtsprechung kann folglich auf den Prozess der gerichtlichen Entscheidungsfindung selbst eingegrenzt werden. Ist dieser trotz der politischen Bedeutung von Gegenstand und Wirkungen verfassungsgerichtlicher Entscheidungen als rechtliche Operation einzustufen? Die empirische Beobachtung stößt hier an ihre Grenzen. Das hängt mit der Eigenart des Vorgangs zusammen. Fast überall unterliegt der Prozess der richterlichen Entscheidungsfindung dem Beratungsgeheimnis, so dass es schwierig ist, Aufschluss über die Art und Weise zu gewinnen, wie Richter zu ihren Entscheidungen gelangen. Nur in einer sehr kleinen Anzahl von Ländern, wie z.B. in Brasilien, finden die Beratungen von

Gerichten öffentlich statt. Allerdings scheint in diesen Ländern die Beratung auch nicht der Ort der eigentlichen Entscheidungsfindung zu sein.⁴

Überdies spielt sich auch während der Beratung eines Falles ein Teil des Vorgangs in den Köpfen der Richter ab, so dass dem Beobachter bestenfalls richterliche Selbstdarstellungen zur Verfügung stehen, deren Verlässlichkeit aber zweifelhaft sein kann. Man würde von einem Richter kaum erwarten, dass er mitteilt, bei der Entscheidungsfindung von anderen als rechtlichen Motiven geleitet zu sein. Wegen dieser Intransparenz fließt in die wissenschaftliche Beschreibung richterlichen Verhaltens viel Spekulatives ein. Der wichtigste Teil der verfassungsgerichtlichen Tätigkeit, nämlich die Entscheidungsfindung, ob die Verfassung eine bestimmte politische Maßnahme erlaubt oder untersagt, bleibt für die Wissenschaft wie für die Öffentlichkeit eine *black box*.

Immerhin sind Teile des Prozesses der richterlichen Entscheidungsfindung zumindest einer indirekten Beobachtung zugänglich. Verfassungsgerichte müssen ihre Entscheidungen begründen und die Begründung veröffentlichen. Die Entscheidungsgründe werden als Erkenntnisakte, nicht als Willensakte dargestellt. In den Gründen erklärt das Verfassungsgericht, wie und warum sich sein Urteil aus der Verfassung ergibt. Common-Law-Länder gestatten weitergehende Einblicke, da auch die überstimmten Richter ihre Auffassung mitteilen können und so Rückschlüsse auf die interne Diskussion ermöglichen. Dies ist in Civil-Law-Ländern selten. Selbst dort, wo – wie in Deutschland – Sondervoten bei verfassungsgerichtlichen Entscheidungen zulässig sind, wird diese Möglichkeit nicht häufig genutzt. Allein aus dem Fehlen von Sondervoten kann daher nicht etwa auf Einstimmigkeit geschlossen werden.

Es ist freilich bekannt, dass Herstellung und Darstellung einer Entscheidung auseinanderfallen können. In der Tat geht die Mehrheit der Politikwissenschaftler, aber auch eine ganze Reihe von Rechtswissenschaftlern vor allem in den Vereinigten Staaten, davon aus, dass Richter bei der Entscheidungsfindung anders handeln als sie in der Urteilsbegründung vorgeben. Sie werden als strategische Akteure betrachtet, die sich von persönlichen oder institutionellen Eigeninteressen, subjektiven Werten oder politischen Präferenzen leiten lassen. Nachdem die Entscheidung auf dieser Basis getroffen sei, würde sie so dargestellt, als ergäbe sie sich zwingend aus den Bestimmungen der Verfassung. Rechtlichen Regelungen kommt nach dieser Ansicht keine entscheidende Bedeutung für die richterliche Rechtsfindung zu. Dieser Ansatz wird als realistische Sichtweise auf das richterliche Verhalten beschrieben.

Ohne Zweifel gibt es Fälle, auf die diese Beschreibung zutrifft. Nicht jedes Gericht verhält sich funktionsgemäß. Wendet man sich einzelnen Gerichten zu, wird man gewiss Richter finden, die dem Recht wenig Beachtung schenken und stattdessen ihren eigenen Präferenzen oder Interessen folgen. Ebenso wird man Richter finden, die institutionelle Interessen der Justiz über richtige Rechtsanwendung stellen. Es mag auch Richter geben, die Konflikte mit mächtigen politischen Akteuren scheuen und sich bei der Beantwortung der aufgeworfenen verfassungsrechtlichen Fragen nach den explizit geäußerten oder antizipierten Erwartungen der Politik richten. Beispiele hierfür sind in Geschichte und Gegenwart in hinreichender Zahl zu finden. Fraglich ist jedoch, ob solche Verhaltensweisen justiztypisch oder pathologisch sind.

⁴ Siehe Virgilio Afonso da Silva, *Deciding without Deliberating*, 11 I-CON 557 (2013).

Es gibt zumindest einen Politikwissenschaftler, der den „realistischen“ Ansatz entschieden ablehnt. Nachdem er die Entscheidungspraxis von acht Verfassungsgerichten untersucht hat, schreibt er: „Dieses Buch unterscheidet sich von den meisten Arbeiten von Politikwissenschaftlern über Gerichte, nicht weil ich andere Arbeiten für falsch halte, sondern weil für mich die juristische Argumentation im Vordergrund steht, die aus meiner Sicht die richterliche Tätigkeit ausmacht und die zentral für das Verständnis der Rolle ist, die Gerichte in komplexen Gesellschaften spielen. [...] Nach meiner Methode werden juristische Argumente ernst genommen, da diese zu den wichtigsten, wenn nicht sogar einzigen bestimmenden Faktoren gerichtlicher Entscheidungen zählen.“ Er bevorzugt diesen Ansatz, „weil es einfach unglaublich erscheint, dass so viele tausend professionell sozialisierte, fähige Männer und Frauen lügen oder sich selbst mit ihren Argumenten etwas vormachen sollten“.⁵

Das ist ein Plausibilitätsargument und als solches, verglichen mit empirischen Erhebungen, weniger überzeugend. Aber nicht jedes richterliche Verhalten lässt sich empirisch erfassen, und auch die Rechtsrealisten verfügen nicht über exklusive empirische Einsichten, sondern leiten ihre Erkenntnisse über richterliches Verhalten aus einer vorgefassten Prämisse, der *Rational-choice*-Theorie, ab. Es ist allerdings keineswegs klar, unter welchen Bedingungen, in welchem Umfang und in welchen Bereichen des gesellschaftlichen Lebens der *Rational-choice*-Ansatz eine vollständige und zuverlässige Erklärung menschlichen Verhaltens verspricht. Hinzu kommt, dass Sozialwissenschaftler oft nicht mit der spezifisch rechtlichen Argumentation, also der Art und Weise, wie eine konkret-individuelle Entscheidung aus einer abstrakt-generellen Norm abgeleitet wird, vertraut sind und deswegen dazu neigen, sie zu unterschätzen, wie *Robertson* richtig bemerkt.

Die folgende Diskussion bezieht sich auf den Richter-Typus, den *Robertson* vor Augen hat, also denjenigen Richter, der sich ernsthaft bemüht, verfassungsrechtliche Fragen aufgrund seiner juristisch erlangten Überzeugung von dem Sinn einer Norm zu entscheiden. Dieses Richterbild ist nicht als Idealtypus, sondern als Realitätsbeschreibung gemeint. Es entspricht meiner eigenen Erfahrung als Mitglied eines solchen Gerichts.⁶ Die Karlsruher Richter versuchten stets, die Antwort auf eine verfassungsrechtliche Frage aus der Verfassung zu entwickeln. Ein Richter, der nicht in der Lage gewesen wäre, seine Auffassung mit rechtlichen Argumenten zu begründen, oder der politisch statt juristisch argumentiert hätte, wäre diskreditiert gewesen. Es war gang und gäbe, dass Mitglieder des Gerichts ihre ursprüngliche Vorstellung von der richtigen Lösung aufgrund der in der Beratung vorgebrachten Argumente änderten.

კონსტიტუციონალიზმი და დემოკრატია ისტორიულად ურთიერთდაკავშირებული, თუმცა ხშირად საპირისპირო ცნებებია (Dworkin 1995; Habermas 2001; Alexander 2007; Hutchinson and Colòn-Rios 2011; Adagbabiri 2015). მიუხედავად იმისა, რომ კლასიკურ ბერძნულ პოლიტიკურ თეორიაში კონსტიტუცია, უბრალოდ, მმართველობის ან სტრუქტურის ნებისმიერ ფორმას აღნიშნავს, როგორც აღწერილია პლატონის ან არისტოტელეს ნაშრომებში (McIlwain 1958), თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის აღზევება ასოცირდება დემოკრატის ერთდროულად წარმოქმნასთან ან მხარდაჭერასთან (Schochet 1979). სავარაუდოდ, ორივე მათგანი წარმოიშვა ევროპაში ერთსა და იმავე დროს, დიდ ქართლასთან ერთად, 1215 წელს.

საერთოდ, წარმოშობისთანავე კონსტიტუციონალიზმის კონცეფცია ასოცირდებოდა შებლუდულ მმართველობასთან, ადამიანის უფლებებთან და დემოკრატიასთან (Schochet 1979; Adagbabiri 2015). ვარაუდობენ, რომ კონსტიტუციური ნორმებისადმი პატივისცემა მჭიდროდაა დაკავშირებული დემოკრატიასა და თავისუფლებასთან. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირი მისაღები იყო, ის ემპირიულად კარგად შესწავლილი არ ყოფილა. ამრიგად, ყველაზე მეტად რომელი ტიპის კონსტიტუცია უწყობს ხელს დემოკრატიას? არსებობს თუ არა კონსტიტუციის კონკრეტული მოთხოვნები, როგორცაა დებულებები სასამართლო დამოუკიდებლობის, ადამიანის უფლებების ან აღმასრულებელი ან საკანონმდებლო შტოების სიძლიერის შესახებ, რომლებიც უკეთესად ავითარებენ დემოკრატიას? მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე გამოკვლევა, რომელშიც ასახულია კონსტიტუციის სხვადასხვა ასპექტი თუ შემადგენელი ნაწილი და მათი კავშირი თავისუფლებასთან ან დემოკრატიასთან, ამ საკითხზე საერთაშორისო მასშტაბური კვლევა თითქმის არ ჩატარებულა.

ამ სტატიაში გაერთიანებულია კონსტიტუციის თეორია, დემოკრატიის თეორია და ემპირიული პოლიტოლოგია. მაშინ, როდესაც საქართველო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლის იუბილეს აღნიშნავს და მთელს მსოფლიოში დემოკრატია განიხილება, როგორც გამომწვევა, შესაფერისი დროა, ვიფიქროთ კონსტიტუციონალიზმის ემპირიულ საფუძველსა და მის კავშირებზე სხვა მნიშვნელოვან ფასეულობებთან და ასევე იმაზე, თუ კონსტიტუციის კონკრეტული დებულებები ან პირობები როგორ უწყობს ხელს დემოკრატიას.

1. კონსტიტუციონალიზმის განსაზღვრება

1.1. უძველესი კონსტიტუციონალიზმი

კონსტიტუცია და კონსტიტუციონალიზმი უძველესი ცნებებია. ისინი ასევე ღია კონცეპტებია (Goldstein and Schultz 2015). ამასთან ერთად, ბევრი სხვა კონცეპტის მსგავსად, მათ აქვთ როგორც დადგენილი, ასევე დაუდგენელი მნიშვნელობა საკუთარი ისტორიით. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინის πολιτεία გამოყენება ძველი საბერძნეთიდან იწყება, მისი ნამდვილი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიცვალა. ძველი ბერძნებისთვის πολιτεία – პოლიტეა ან კონსტიტუცია ეხებოდა არა მხოლოდ ხელისუფლების ოფიციალურ ინსტიტუტებს, არამედ ერის ხასიათსაც და სულსაც. არისტოტელესა და ანტიკური პერიოდის სხვა მრავალი მოღვაწის აზრით, მმართველობა ხასიათდებოდა რამდენიმე ფორმით, როგორცაა დემოკრატია, არისტოკრატია და მონარქია – თავისი გარყვნილებითა ან კორუფციით. უბრალოდ, კონსტიტუცია გულისხმობდა იმას, რისგანაც სახელმწიფო შედგებოდა. თვით მონტესკიეც (1949; 1973) მიიჩნევდა, რომ კონსტიტუცია უფრო მეტად ეხებოდა ერის სულისკვეთებას, ვიდრე მხოლოდ ხელისუფლების ოფიციალურ ინსტიტუტებს. კონსტიტუცია ფართოდ გამოიყენებოდა მთელი პოლიტიკური და კულტურული აპარატის მიმართ, რომელიც განსაზღვრავდა სახელმწიფოს. ჰეგელიც კი ამგვარად განიხილავდა კონსტიტუციას (Schultz 1990).

კონსტიტუციისა და კონსტიტუციონალიზმის კლასიკური ცნება მოიცავს ორ შეხედულებას. ერთი, როგორც აღინიშნა, სამთავრობო აპარატსა და სახელმწიფოს განმსაზღვრელ ოფიციალურ ინსტიტუტებს უფრო ფართო გაგებით განიხილავდა. ხოლო მეორე შეხედულების თანახმად, კონსტიტუცია არ უნდა ყოფილიყო დემოკრატიული. კონსტიტუციებს შეეძლოთ წარმოედგინათ ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც ამკარად ანტიდემოკრატიულნი იყვნენ.

1.2 ისტორიული ევოლუცია და ნაწილობრივი თანხვედრა დემოკრატიასთან, კანონის უზენაესობასთან და სხვა ისეთ ღირებულებებსა და ინსტიტუციებთან, როგორცაა ლიბერალიზმი

XVII საუკუნის დასაწყისში, იქნებ უფრო ადრეულ პერიოდშიც, კონსტიტუციონალიზმის კონცეპტმა ცვლილება განიცადა. ეს ცვლილება ნაწილობრივ დაკავშირებული იყო ევროპაში მიმდინარე ბრძოლასთან მონარქიული მმართველობის შესაბოჭად (Skinner 1978). იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა ისეთი ცნებები, როგორცაა მეფეთა ღვთიური უფლება ან რწმენა, რომ სუვერენიტეტი, როგორც გამონაკლისი, მხოლოდ მონარქთა ხვედრია, ადგილი ჰქონდა ამ ძალაუფლების შებოჭვის მცდელობებს. ინგლისის მეფე ჯონისთვის Magna Charta – თავისუფლებათა დიდი ქარტია აღმოჩნდა გამონწვევა, რათა შეეზღუდა თავისი უფლებამოსილება. 1688 წლის ინგლისის სახელოვანი რევოლუცია, 1689 წელს „უფლებათა ბილის“ მიღება და ჯონ ლოკის 1689 წლის „ორი ტრაქტატი მმართველობაზე“ (1996) შეიძლება განვიხილოთ, როგორც მონარქიული უფლებამოსილების შებოჭვისა და პარლამენტის უფლებების დასაცავად წარმოებული ბრძოლის ნაწილი (Ashcraft 1986). ყველა ეს მოვლენა კონსტიტუციონალიზმის ცვალებადი კონცეპტის ასპექტია, რომელშიც ასახულია ხელისუფლების წარმოშობა საზოგადოების დაკვეთის შესაბამისად და სახალხო სუვერენიტეტი (Ashcraft 1986).

ამ ეტაპზე კონსტიტუციამ შეიძინა კიდევ ერთი, უფრო ვიწრო მნიშვნელობა. ერთი სიტყვით, კონსტიტუცია სულ უფრო მეტად აღიქმებოდა, როგორც ნაკლებად კულტურული და უფრო მეტად მართული იმ წესებით, რომელიც აერთიანებდა მთავრობას. კონსტიტუციები ქმნიდნენ მთავრობებს, რისი მაგალითია ჰანს კელზენის საერთაშორისო სამართლის პრინციპები (1967) ან აღიარების წესები (Hart 2012), რომლებიც განსაზღვრავდნენ, თუ როგორ უნდა ემოქმედა სხვა კანონებს საზოგადოებაში. ისინი წარმოადგენდნენ საპროცედურო სქემას, რომელიც განსაზღვრავდა მთავრობების სტრუქტურას.

გარდა ამისა, როგორც ბელინი (1977) აღნიშნავდა, ასევე ითვლებოდა, რომ კონსტიტუცია მთავრობაზე მალლა იდგა და მის შემზღუდველს წარმოადგენდა. თუ ბრიტანული კონსტიტუციონალიზმის ტრადიცია იმაში მდგომარეობდა, რომ რასაც პარლამენტი აცხადებდა კონსტიტუციურად ჩაეთვალა, მაშინ ამერიკული რევოლუციის ინტელექტუალური და იურიდიული მემკვიდრეობა ნაწილობრივ ცდილობდა კონსტიტუციებისა და კონსტიტუციონალიზმის განცალკევებას მთავრობისგან.

კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო დანერგილი და არა დაუნერგელი ან წარმოშობილი ტრადიციის საფუძველზე. ამას გარდა, კონსტიტუცია მთავრობაზე მაღლა იდგა და ამ უკანასკნელს ბოჭავდა. კონსტიტუცია ისეთი ძალაუფლების მქონე დოკუმენტი იყო, რომ კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში შეეძლო მთავრობის არაკონსტიტუციურად გამოცხადება. ამრიგად, კონსტიტუცია განიხილებოდა, როგორც შეზღუდული მთავრობის უზრუნველმყოფი ან მთავრობაზე შეზღუდვების დამნეხებელი, რომელიც ამყარებდა წესებს, პოლიტიკური სტრუქტურების მუშაობის შესახებ.

ამასთან, კონსტიტუციონალიზმის დასავლური კონცეპტის ისტორიული ევოლუცია არ წარმოშობილა ცარიელ ნიადაგზე. იგი განვითარდა სულ მცირე ორი სხვა კონცეპტის – დემოკრატიისა და ლიბერალიზმის პარალელურად.

1.3 რა არის დემოკრატია

”დემოკრატია” ძალიან ძველი, პლატონის დროინდელი ცნებაა. ძველი ბერძნები მის ქვეშ (“δημοκρατία”) მასების მმართველობას გულისხმობდნენ (ჰენოკი 1979). დემოკრატიის უფრო თანამედროვე ცნებები მას სახალხო მმართველობის ფორმად მიიჩნევს, სადაც ხალხი მართავს, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც ემყარება უმრავლესობის მმართველობის პრინციპს. ჰანტინგტონი აცხადებს დემოკრატიის არსს, სადაც ხალხი თავის წარმომადგენლებს ირჩევს სამართლიანი, კეთილსინდისიერი და კონკურენტუნარიანი არჩევნების პირობებში (Huntington 1991: 7).

დემოკრატია ასევე ღია ცნებაა საკუთარი ისტორიით. თუ დემოკრატია თავდაპირველად გულისხმობდა ხალხის პირდაპირ მმართველობას პირველი ტალღის დროს დალის მიხედვით (1989), მას შემდეგ მან გაიარა დამატებითი ფაზები, მათ შორის პირდაპირიდან წარმომადგენლობით დემოკრატიაზე გადასვლის ჩათვლით. უფრო მეტიც, ზუსტი ფასეულობები, რომელსაც დემოკრატია წარმოადგენს, ასევე შეიცვალა იმგვარად, რომ უკვე შეიძლება შეიცავდეს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა თანასწორობა კენჭისყრისას, ეფექტური მონაწილეობა, გააზრებული გაგება, დღის წესრიგის კონტროლი და ჩართულობა. დალის კრიტერიუმები (1989) სხვა დემოკრატიული თეორეტიკოსების მიერ აღწერილი რეკვიზიტებისა თუ ფასეულობების მსგავსია, რაც განსაზღვრავს დემოკრატიას (Pennock 1979; Sartori 1987).

დემოკრატიის თავდაპირველ ცნებებში მითითებულია, რომ ამ ტიპის პოლიტიკური სისტემა ხალხის მიერ მმართველობას გულისხმობდა. როგორც ლოკი (1996) აღწერს, ეს ნიშნავს უმრავლესობის მმართველობას. მაგრამ დემოკრატიის ცნების შემდგომი შემუშავებისას მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და მოიცვა თანასწორობისა და თავისუფლების ცნებები.

ზოგიერთი დემოკრატი თეორეტიკოსი ხაზს უსვამს თანასწორობას, როგორც დემოკრატიის მთავარ ღირებულებას (Pennock 35; Sartori 58-9, 342-44). ამჟამად,

მნიშვნელოვანი დებატები იმართება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის თანასწორობას ითხოვს დემოკრატიული საზოგადოება. თავად დალი მხარს უჭერს კანონის წინაშე თანასწორობის როგორც პროცედურულ, ისე ფორმალურ გრძნობას, ასევე ზოგჯერ არსებით თანასწორობას ეკონომიკური რესურსების თვალსაზრისით (Dahl 1986). რუსო (1977), კანტი (1969; 1991) და დვორკინი (1978) ხაზს უსვამენ მორალურ თანასწორობას, ხოლო დალი (1989) ყურადღებას ამახვილებს ფორმალურ იურიდიულ და მორალურ და ასევე, შესაძლოა, ეკონომიკურ თანასწორობაზე.

დემოკრატიის განსხვავებული მიმართულება უფრო მეტ ყურადღებას აქცევს თავისუფლებას, როგორც დემოკრატიის მთავარ ღირებულებას. კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვა, როგორი თავისუფლებაა ისტორიულად ღია, როგორც ცნება. ზოგს მიაჩნია, რომ ეს არის ჰობსის კლასიკური უარყოფითი თავისუფლება – გარე შეზღუდვების არარსებობა, ხოლო ზოგი დადებით თავისუფლებას ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას (Berlin 1969). თეორეტიკოსები – რუსო (1977) და კანტი (1969; 1991) პრიორიტეტულად მიიჩნევენ მორალურ ავტონომიას. სავარაუდო ტიპის თავისუფლების ბუნება კარნახობს სახელმწიფოს სტრუქტურასა და როლს; უარყოფითი თავისუფლების ზედმეტად წახალისება ნიშნავს, რომ სახელმწიფო და კონსტიტუცია უფრო მეტად განიცდის უფლებამოსილების შეზღუდვას, ხოლო დადებითი თავისუფლების მხარდაჭერა ასახავს უფრო აქტიურ სახელმწიფოს, ნაკლებად შეზღუდული სტრუქტურით.

ამრიგად, დემოკრატიის თანამედროვე ცნებები მიგვითითებს, რომ მასთან დაკავშირებულია თავისუფლება და თანასწორობა. მაგალითად, ჯონ როულზი (1971; 1993; 2007) სამართლიანობის თავის ორ პრინციპს – თანაბარ თავისუფლებას ყველასთვის, ვინც იგივე თავისუფლებას სხვებისთვისაც აღიარებს, დემოკრატიის აუცილებელ მახასიათებლებად მიიჩნევს. სხვები თანხმდებიან ამ ორი კონცეპტის მნიშვნელობაზე, თუმცა ისინი ხშირად ერთმანეთთან კონფლიქტში მოდის. კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე წარმოდგენებში ორივე ცნება ანალოგიურად ასახულია.

1.4 ლიბერალიზმი

მაშინ, როდესაც ისტორიულად კონსტიტუციონალიზმი დემოკრატიასთან ერთად განვითარდა, მათ გვერდით ასევე წარმოიშვა მესამე ცნება – ლიბერალიზმი. „ლიბერალიზმს“ ხშირად მიაწერენ ჯონ ლოკს. იგი წარმოადგენს პოლიტიკური ფასეულობების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ინდივიდუალური უფლებების დაცვის, შეთანხმებულ მმართველობაზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემის და შეზღუდული მმართველობის ცნებისკენ (Pennock and Chapman 1983; DeRuggiero 1959). ლიბერალიზმმა, განსაკუთრებით, როგორც ეს წარმოჩენილია ჯერემი ბენტამის, ჯეიმსისა და ჯონ სტიუარტ მილის, ასევე ფილოსოფოსი რადიკალების (Halèvy 1955) ნაშრომებში, ახალი განზომილება დაამატა დემოკრატიის ცნებას. თუ დემოკრატია, რომელიც ლიბერალიზმამდე გაცილებით ადრე განვითარდა, გულისხმობდა არაკვალიფიციური

უმრავლესობის მმართველობას ან კლასიკური რესპუბლიკური თვალთახედვით, უპირატესობას ანიჭებდა პირად თავისუფლებათა თანასწორობას, ახლა ის უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა უმცირესობების უფლებების დაცვას. ლიბერალური დემოკრატია უმცირესობის უფლებების დასაცავად მიმართავდა უმრავლესობის ტირანიის შებენიერებას.

ლიბერალიზმის ევოლუციის მნიშვნელობამ დემოკრატიის ბოგიერთ ვერსიასთან ერთად წარმოშვა დემოკრატიის თეორია, რომელიც არ ასახავდა უმრავლესობის არაკვალიფიციურ მმართველობას. იგი უფრო თავშეკავებულ, შესაძლოა, კონსტიტუციონალიზმის ცნებასთან უფრო შესაბამის ფორმას გულისხმობდა, რომელიც ხაზს უსვამდა ხელისუფლების შეზღუდვას, სავარაუდოდ, უმცირესობის უფლებების გათვალისწინებით დარეგულირებული უმრავლესობის მმართველობის პატივსაცემად.

1.5 კაპიტალიზმი

კონსტიტუციონალიზმის, დემოკრატიისა და ლიბერალიზმის ისტორიული აღზვევა კაპიტალიზმთან ერთად თითქმის ერთდროულად მოხდა. კერძოდ, ფრიდმანი (1962) კაპიტალიზმსა და თავისუფლებას განიხილავს, როგორც ერთიერთგამაძლიერებელ მოვლენებს და ამ აზრს ამყარებს მსგავსი იდეებით, როგორცაა შებენიერი მმართველობა, ინდივიდუალიზმი და საბაზრო და პოლიტიკური თავისუფლება. სხვები ხედავენ ისტორიულ კავშირებს დემოკრატიისა და კაპიტალიზმის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ინსტიტუტებს შორის (შუმპეტერი 2015). ზოგი ეჭვქვეშ აყენებს ამ კავშირს ან ამტკიცებს, რომ მათ შორის ურთიერთობა მზარდ კონფლიქტში გადაიზარდა (Macpherson 1973).

ამ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის კავშირის არსებობისა თუ არარსებობის შესახებ დავის გადანიშნულება. ამის ნაცვლად, მხოლოდ იმის დადგენა გვსურს, რომ მაინც არსებობს ისეთი დამოკიდებულება, რომელიც ბაზრის თავისუფლებას უკავშირებს დემოკრატიას და შემდეგ კონსტიტუციონალიზმს იმდენად, რამდენად იცავს ან პატივს სცემს კაპიტალიზმს ეს უკანასკნელი. ამის საწინააღმდეგოდ, ზოგი კაპიტალიზმს მიანერს დემოკრატიის შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში მიზეზობრივ-შედეგობრივი ურთიერთობა ნაკლებად მნიშვნელოვანია ისევე, როგორც იმის მტკიცება, რომ არსებობს დემოკრატიის ბოგიერთი ვარიანტის გაბომვის საშუალებები საბაზრო თავისუფლებების მეშვეობით.

1.5 დემოკრატია და კონსტიტუციონალიზმი

თუ კონსტიტუციონალიზმი დემოკრატიის, ლიბერალიზმის და, ალბათ კაპიტალიზმის მხარდამხარ განვითარდა, შესაძლებელია საუბარი რამდენიმე პრეტენზიაზე. ერთი იმას ამტკიცებს, რომ კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე ცნებები მოიცავს პროცესუალური ნორმებისადმი ან კანონებისადმი მორჩილებას და ინდივიდუალური უფლებების დაცვის ვალდებულებას (McHugh 2002). ამასთან, როგორც ფულერი (1975) და დიზენჰაუსი (2006) ამტკიცებენ, კანონის უზენაესობის დაცვა უფრო მეტია, ვიდრე წესების ფორმალური დასტა

და ასევე გულისხმობს შინაგან მორალურობას, რომელიც გვთავაზობს არსებით შეზღუდვებს იმაზე, თუ რა შეიძლება გააკეთოს მთავრობამ ან სახელმწიფომ. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციონალიზმი განიხილება, როგორც დემოკრატიასთან თავსებადი ან მისი შესაბამისი. ეს ასეა, რადგან კონსტიტუციონალიზმი მოიცავს ლიბერალურ-დემოკრატიულ ფასეულობებს, რომელიც აწინასწორებს უმრავლესობის მმართველობას უმცირესობის უფლებებთან მიმართებით.

მიუხედავად ამისა, არსებობს განსხვავებული შეხედულება, რომლის მიხედვით დემოკრატია კონფლიქტშია კონსტიტუციონალიზმთან (Rousseau 2015). თუ დემოკრატია გულისხმობს არაკეთილგანწყობილი უმრავლესობის მმართველობას, ხოლო კონსტიტუციონალიზმი მოიცავს მთავრობაზე, მათ შორის უმრავლესობაზე დანერგულ შეზღუდვებს, უმრავლესობის ჩათვლით, მაშინ ეს უკანასკნელი აფერხებს პირველის პოპულიზმს. ისეთი მწერლები, როგორცაა რუსო (1977), კანტი (1969; 1991) და დვორკინი (1995) ამტკიცებენ, რომ დემოკრატია მაჟორიტარული პრეფერენციების უბრალოდ რიცხვითი ზომა არ არის, არამედ იგი მოიცავს ავტონომიის ცნებებს, რომელიც თითოეული ადამიანის მორალურ ღირებულებასა და ღირსებას ნიშნავს.

დებატები დემოკრატიისა და კონსტიტუციონალიზმის შერიგებაზე მხოლოდ აკადემიური ხასიათის არ არის. თუ კონსტიტუციონალიზმისა და საკონსტიტუციო სამართლის ერთ-ერთი მიზანი თავისუფლების ხელშეწყობაა, მაშინ მათ შორის ურთიერთობის ფორმულირება ან განსაზღვრა გადამწყვეტია. ერთი მხრივ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ან პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებში, ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სტრუქტურების განვითარებისკენ მიმართული კონსტიტუციის შემუშავება, რომელიც მოიტანდა დემოკრატიასა და ინდივიდუალურ თავისუფლებას, მნიშვნელოვან საკითხად განიხილებოდა. მეორე მხრივ, მსოფლიო მოიცვა ნაციონალიზმის გამოვლინებებმა Brexit-ის შემთხვევაში, ღონაღდ ტრამპის არჩევის შემდეგ. ასევე, ნაციონალისტური პარტიები გაჩნდნენ იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ფინეთში. ამ ნაციონალისტურმა მოძრაობამ განაპირობა იმის წარმოშობა, რასაც უნგრეთში ვიქტორ ორბანმა უწოდა „არალიბერალური დემოკრატია“. ყველა დემოკრატია ერთნაირი არ არის, ყველა მათგანი არ იძლევა ერთი და იმავე თავისუფლებების დაცვისა და უმცირესობების პატივისცემის შესაძლებლობას. ბევრი ადამიანი დგას პრობლემის წინაშე, როგორ უზრუნველყოს უფრო მეტი დემოკრატია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, კანადისა და დასავლეთ ევროპის მსგავსად, იმ ადგილებში, სადაც პატივს სცემენ ლიბერალურ პრინციპებსა და ღირებულებებს.

ამრიგად, ჩნდება ორი კითხვა: პირველი მდგომარეობს იმაში, არის თუ არა კონფლიქტი დემოკრატიასა და კონსტიტუციონალიზმს შორის? თუ არ არის, მაშინ იბადება მეორე კითხვა – რა არის ის წინაპირობები, რომლებიც კონსტიტუციას დემოკრატიად აქცევს და გამოიწვევს ინდივიდუალური უფლებების დაცვას?

პირველი კითხვიდან გამომდინარე, დემოკრატია და კონსტიტუციონალიზმი ვერ იქნებიან ერთმანეთთან კონფლიქტში ან ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთობებში. მათ შორის შესაძლებელია ერთგვარი დაძაბული ურთიერთობა, რომელიც ორივესგან მოითხოვს მაქსიმალურ განზრახვასა და თანხმობას.

1.6 დემოკრატიის წინაპირობები

თუ ვივარაუდებთ, რომ დემოკრატია და კონსტიტუციონალიზმი არ არიან კონფლიქტში, მაშინ კონსტიტუციონალიზმის რომელი ემპირიული პირობები ან თვისებებია დემოკრატიის ხელშემწყობი?

მრავალრიცხოვანი კვლევებით ცდილობდნენ იმ ინსტიტუტებისა და ღირებულებების დადგენას, რომლებიც აუცილებელია სტაბილური დემოკრატიის შესანარჩუნებლად (Lijphart 1968 and Neubauer 1967). მნიშვნელოვან ფაქტორებში შედიოდა ეკონომიკური სიმდიდრე და მოდერნიზაცია (Lipset 1960 28, 87, 116; Dahl 1971, 60-2; Huntington 1984, 193, 199; Lipset 1959; Lipset 1960; Needler 1968; Rustow 1968; and Rostow 1971); პოლიტიკური მონაწილეობა (Lipset 1960, 116); მთავრობის სამოქალაქო კონტროლი (Diamond 1989, 344, Huntington 1956) და ფართოდ მხარდაჭერილი და რეგულირებული პოლიტიკური მექანიზმები კონფლიქტის მოსაგვარებლად (Almond and Verba 1965, 363; Dahl, 1976, 364; Huntington 1984). სხვები განსაზღვრავენ, რომ დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა ამკვიდრებს შემწყნარებლობას და გონივრულ ბალანსს, როგორც სოციალური კონსენსუსის, ასევე შეუთანხმებლობის მიმართ, მათ შორის განსხვავებულობის პატივისცემისა და ამ განსხვავებების პოლიტიკური პროცესის გზით მოგვარების ვალდებულების ჩათვლით (Almond and Verba 1965, 363; Lipset 1960, 1, 4) , 78, 250; Dahl 1971, 105; Dahl 1960, 347; Christoph 1965). არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატია მოითხოვდა სოციალურ პლურალიზმს გამჭოლი ლოიალობით, რომელიც გამოიხატება რამდენიმე კონკურენტი ჯგუფების არსებობით (Lipset 1965, 78).

პენოკი (1979: 2017) აღწერს კონსტიტუციას ან კონსტიტუციონალიზმს, როგორც დემოკრატიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს. მაგრამ კონსტიტუციის რომელი სპეციფიკური თვისებებია საჭირო დემოკრატიის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომელიც ინდივიდუალურ უფლებებს ან თავისუფლებებს უჭერს მხარს. ასევე შემოთავაზებულია რამდენიმე პასუხი. ეს მოიცავს იდეებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშეზღუდვის პრინციპზე, დამოუკიდებელ სასამართლო სისტემაზე, ფედერალიზმსა და აშშ-ს კონსტიტუციაში შეტანილ პირველ ათ შესწორებაზე. უფლებამოსილებათა გამიჯვნა, აღმასრულებელი ხელისუფლების ან უფლებამოსილების შეზღუდვა ასევე განიხილება, როგორც შესაძლო საშუალებები, დაკავშირებული ან მნიშვნელოვანი კონსტიტუციური დემოკრატიის განვითარებისათვის, რომელიც პატივს სცემს უმცირესობათა ან ინდივიდუალურ უფლებებს. ეს ემპირიული გამოკვლევა მიანიშნებს, რომ დემოკრატია არ არის აბსტრაქტული ან ფორმალური

კონცეპტი თუ ინსტიტუტი; ის ჩაშენებულია სხვა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინსტიტუტების კონტექსტში, რომლებიც მხარს უჭერენ ან ინარჩუნებენ მას.

ანალოგიურად, ბევრი მეცნიერი ასევე აღნიშნავს, რომ არსებობს კონსტიტუციური ფორმალიზმის შეზღუდვები (Shapiro 2005; Tushnet 2014: 11; McHugh 2002b; Fuller (1975); and Dyzenhaus (2006)). ამასთან ერთად, კონსტიტუცია მხოლოდ ფორმალური დოკუმენტია და თავისი შემადგენელი მარტივი სიტყვებით ვერ გვეუბნება, თუ რას ნიშნავს იგი პრაქტიკაში, ვინ ფლობს რეალურ უფლებამოსილებას ან კონკრეტული დებულებები გამოიყენება თუ არა. იურიდიული ან კონსტიტუციური ფორმალიზმი უბრალოდ ვარაუდობს, რომ კონსტიტუციას აქვს მნიშვნელობა ან რომ ტექსტი და დებულებები შესრულებულია ან დაცულია. ამის ნაცვლად, საჭიროა უფრო რეალისტური მოსაზრება, რომელიც დაადგენს, კონსტიტუციას მართლა აქვს თუ არა მნიშვნელობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება დემოკრატიის განვითარებას და იმას, თუ რომელი სხვა პირობები თუ ინსტიტუტები უკავშირდება საკონსტიტუციო დემოკრატიის მიზნის მიღწევას. ფაქტობრივად, რაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს დემოკრატიის წინაპირობების ჩამოყალიბებას, იგივე შეიძლება ითქვას კონსტიტუციური დემოკრატიის შესახებაც.

საერთო ჯამში, სრულყოფილად არ არის შესწავლილი, თუ რომელი კონკრეტული საკონსტიტუციო დებულებები უწყობს ხელს ყველაზე უკეთესად დემოკრატიის განვითარებას. რამდენადაც სახელმწიფოები მთელ მსოფლიოში იბრძვიან დემოკრატიის შექმნის ან შენარჩუნების მიზნით, ამ ემპირიული საკითხის განხილვა აუცილებელია. ესაა ამ სტატიის დარჩენილი ნაწილის ამოცანა.

2.0 კონსტიტუციური დემოკრატია: მეთოდოლოგია

რამდენად თავსებადია დემოკრატია და კონსტიტუციონალიზმი და თუ ეს ასეა, მაშინ ყველაზე უკეთესად რომელი საკონსტიტუციო დებულებები უწყობს ხელს დემოკრატიის იმ ფორმის განვითარებას, რომელიც პატივს სცემს უმცირესობათა და ინდივიდუალურ უფლებებს? ამ კითხვების შესამოწმებლად, ამ სტატიაში შექმნილია მონაცემთა უნიკალური ბაზა.

შედარებითი კონსტიტუციების პროექტის ფარგლებში (CCP) შეგროვდა დიდი მონაცემთა ბაზა Excel-ის ფორმატში, რომელშიც გაერთიანებულია მსოფლიოს უმეტესი კონსტიტუციები. მონაცემთა ბაზა მოიცავს მრავალ ცვლად სიდიდეს, მათ შორისაა ისეთი, რომელიც ზომავს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მოქმედების სფეროს, აგრეთვე ავლენს საკონსტიტუციო დებულებების რაოდენობას, რომლებიც იცავენ ინდივიდუალურ უფლებებს. მონაცემთა ბაზა წარმოადგენს სამშენებლო ბლოკს უფრო დიდი ბაზისთვის, რომელიც გაანალიზებულია ამ სტატიაში.

CCP-ის მონაცემთა ბაზა გაერთიანდა რამდენიმე სხვა მონაცემთა ბაზასა თუ მაჩვენებელთან. პირველი იყო Freedom House-ის უახლესი (2018 წლის) რეიტინგი, რომელიც

მოიცავს თავისუფალ, ნაწილობრივ თავისუფალ და არა თავისუფალ ქვეყნებს, ასევე ამ ქვეყნებში ინდივიდუალური უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების მდგომარეობას. ამ მონაცემთა ბაზას დაემატა 2018 წლის საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსი. ასევე შეტანილია მსოფლიო პრესის ინსტიტუტის 2017 წლის რეიტინგი, რომელიც ეხება პრესის თავისუფლებას, მსოფლიო ბანკის უახლესი GINI-ის რეიტინგებს რაც შეიძლება მეტი ქვეყნისთვის, გაეროს განვითარების პროგრამის 2017 წლის გენდერული უთანასწორობის ინდექსსა და მთავრობის ხარისხის ინსტიტუტის 2019 წლის მონაცემთა ბაზას. ყველა ამ მონაცემთა ბაზის გაერთიანებით შესაძლებელი გახდა დაახლოებით 190 სახელმწიფოს კონსტიტუციის შესწავლა იმის დასადგენად, თუ რომელი პირობები და საკონსტიტუციო დებულებები იყო დაკავშირებული ინდივიდუალური და უმცირესობათა უფლებების დაცვის ხელშეწყობასთან.

ამ სტატიის მიზნებისათვის, კონსტიტუციური დემოკრატია წარმოადგენს მმართველობის ფორმას, რომელიც განავითარებს თავისუფალ საზოგადოებას, სადაც დაცულია ისეთი ინდივიდუალური უფლება, როგორცაა სიტყვის თავისუფლება. იგი ასევე პატივს სცემს პრესის თავისუფლებას და ისეთ უფლებებს, როგორცაა ქალთა უფლებები. კონსტიტუციური დემოკრატია ასევე ხელს უწყობს ეკონომიკურ თანასწორობას. ამ მიზნების გათვალისწინებით, რა ვიცით კონსტიტუციებისა და დემოკრატიის შესახებ?

3.0 შედეგები

2019 წლის მდგომარეობით, მსოფლიოში 193 ქვეყანაა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან. წმინდა საყდარსა (ვატიკანს) და პალესტინას აქვთ გაეროს დამკვირვებლის სტატუსი, ხოლო ტაივანი არ არის ოფიციალური წევრი. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოში 195 ან 196 სუვერენული ქვეყანაა. ამ სტატიისთვის შექმნილმა მონაცემთა ბაზამ ანალიზისთვის მოამზადა 190 ქვეყანა, რომელთაგან 189-ს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია. ერთადერთი გამონაკლისია იემენი. 190-დან 189 ქვეყნით, რომელთაც რაიმე სახის კონსტიტუცია (ძირითადად დაწერილი ფორმალური დოკუმენტის სახით) გააჩნიათ, გაიმარჯვა კონსტიტუციონალიზმის კონცეპტმა. სახელმწიფოების მიერ გარკვეული ფუნდამენტური წესდების ფლობა დღეს მსოფლიოში მიღებული მმართველობის ფორმაა. მაგრამ რა გავლენა აქვს ამ კონსტიტუციებს დემოკრატიისა და თავისუფლების განვითარების თვალსაზრისით?

ზემოხსენებული 190 კონსტიტუციის თავდაპირველი შესწავლა Freedom House-ის რეიტინგების მიხედვით საინტერესო შედეგებს იძლევა. საერთო ჯამში, ორგანიზაცია Freedom House ქვეყნებს აფასებს, როგორც თავისუფალ, ნაწილობრივ თავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებს. ამ კლასიფიკაციის გამოყენებით, 85 ქვეყანა თავისუფალია, 57 – ნაწილობრივ თავისუფალი, ხოლო 48 – არა თავისუფალი. მხოლოდ კონსტიტუციის ქონა არ ნიშნავს თავისუფალ ქვეყანას, მიუხედავად იმისა, რომ ერთი სახელმწიფო – იემენი, რომელსაც არ აქვს კონსტიტუცია, შეფასებულია, როგორც არათავისუფალი. განზოგადება ერთი სახელმწიფოს მაგალითზე მიუღებელია იმ დასკვნის გამოსატანად,

რომ კონსტიტუციის არქონა ქმნის არათავისუფალ სახელმწიფოს. ამის საპირისპიროა ის ფაქტი, რომ კონსტიტუციის ქონაც არ იძლევა ქვეყნის თავისუფლების გარანტიას,

სახელმწიფოების Freedom House-ისეული სამგვარი კლასიფიკაცია დემოკრატიის შემცვლელის როლს თამაშობს. ქვეყანა, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც თავისუფალი, შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ. მაგრამ მარტივი კლასიფიკაცია არ იძლევა სახელმწიფოს თავისუფლების ან დემოკრატიის ხარისხობრივ შეფასებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დემოკრატია, რომელიც იცავს უმცირესობათა უფლებებს და პირად თავისუფლებებს, უფრო დიდი ალბათობით, უმრავლესობის მიერ ჩაითვლება როგორც თავისუფალი, უმრავლესობის წესის საწინააღმდეგოდ, რომ „გამარჯვებული ღებულობს ყველაფერს“. ორგანიზაცია Freedom House აგრძელებს სახელმწიფოების შემდგომ დაყოფას ორი კრიტერიუმის – პოლიტიკური უფლებებისა (PR) და სამოქალაქო თავისუფლებების (CL) მიხედვით. თითოეული მათგანი შეფასდა ერთიდან შვიდი ქულით, რომელთაგან ერთი ქულა ყველაზე თავისუფალ, ხოლო შვიდი ქულა – ყველაზე ნაკლებად თავისუფალ ქვეყანას ნიშნავს. ორგანიზაცია Freedom House ასევე გვთავაზობს საერთო შემაჯამებელ ქულას მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის, რომელთაგან 100 ყველაზე თავისუფალი და 0 ყველაზე ნაკლებად თავისუფალი ქვეყნის მანიშნებელია. ამ საერთო რეიტინგის გამოყენება შესაძლებელია კონსტიტუციების კონკრეტული ღებულებების შესამოწმებლად.

შედარებითი კონსტიტუციების პროექტი სახელმწიფოს კონსტიტუციაში ჩამოთვლილი უფლებების რაოდენობას განიხილავს, როგორც მის ერთ-ერთ ცვლად მაჩვენებელს.

ცხრილი 1 ასახავს თავისუფლების საშუალო ქულას სამი ტიპის რეჟიმისთვის, როგორც კლასიფიცირებულია Freedom House-ის მიერ. გასაკვირი არ არის, რომ საშუალო ქულა განსხვავებულია. მაგრამ რით აიხსნება ასეთი განსხვავებული ქულები? იქნებ, ეს არის კონსტიტუციაში ჩამოთვლილი უფლებების რაოდენობა? ცხრილი 2 საშუალოდ აღწერს უფლებების რაოდენობას რეჟიმის ტიპის მიხედვით. გასაკვირია, რომ ნაწილობრივ თავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებს საშუალოდ უფრო მეტი უფლებები გააჩნიათ, ვიდრე თავისუფალ სახელმწიფოებს.

ცხრილი 1

ცხრილი 2

თავისუფლების საშუალო ქულა		უფლებათა საშუალო რაოდენობა	
თავისუფალი	86.74	თავისუფალი	47.11
ნაწილობრივ თავისუფალი	53.05	ნაწილობრივ თავისუფალი	56.05
არათავისუფალი	19.81	არათავისუფალი	48.06

ეს პუნქტი ძლიერდება, როდესაც უფლებების რაოდენობის თანაფარდობა პოლიტიკურ უფლებებთან (PR) Freedom House-ის რეიტინგის მიხედვით იძლევა 0.025-იან დეტერმინაციის კოეფიციენტს (R^2). მიუხედავად იმისა, რომ ეს გარკვეულწილად დამაბნეველია, რადგან Freedom House-ის რეიტინგის მიხედვით, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ქულა ერთიდან შვიდამდე, მით ნაკლებად თავისუფალია იგი, ხოლო r^2 არსებითად მცირეა (ან კოდირების შეცდომების გამოსასწორებლად იგი ნამდვილად -0.025-ის ტოლია). ანალოგიურად, თანაფარდობა სამოქალაქო თავისუფლებების (CL) რეიტინგსა და კონსტიტუციაში ჩამოთვლილი უფლებების რაოდენობას შორის არის 0.028 (-0.028), რაც არსებითად მცირეა. მესამე შემთხვევაში, როდესაც კეთდება თანაფარდობა თავისუფალ, ნაწილობრივ თავისუფალ და არათავისუფალ ქვეყანასა და კონსტიტუციაში ჩამოთვლილი უფლებების რაოდენობას შორის, წარმოიშობა 0.05-იანი (-0.05) დეტერმინაციის კოეფიციენტი (R^2). საბოლოოდ, კონსტიტუციაში ჩამოთვლილი უფლებების რაოდენობასა და საერთო ჯამურ ქულას შორის (0-100, როდესაც რაც უფრო მაღალია რიცხვი, მით უფრო მეტია თავისუფლება) თანაფარდობისას დეტერმინაციის კოეფიციენტი (r^2) -0.03-ის ტოლია. მიუხედავად იმისა, როგორც არ უნდა ჩატარდეს ანალიზი, არანაირი თანაფარდობა არ არსებობს სახელმწიფოს კონსტიტუციაში მითითებული უფლებების რაოდენობასა და იმ ფაქტს შორის, თუ რამდენად თავისუფალია (დემოკრატიული) იგი. სხვათა შორის, არსებობს მცირე თანაფარდობა ისეთ ფაქტორებს შორის, თუ რამდენად თავისუფალია სახელმწიფო და რამდენ სიტყვას შეიცავს კონსტიტუცია ($r^2 = 0.193$).

შესაძლოა, მთავრობის სტრუქტურული მონაცემი და კონსტიტუცია გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად დემოკრატიულია ქვეყანა. ამგვარად, ინსტიტუციონალურმა მექანიზმებმა, რომლებიც ზღუდავენ ხელისუფლების უფლებამოსილებას ან მიჯნავენ უფლებამოსილებებს ან ადგენენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშეზღუდვის პრინციპს, შეიძლება წარმოშვას უფრო თავისუფალი და უფრო დემოკრატიული სახელმწიფოები. მთავრობის ხარისხის 2019 წლის მონაცემთა მიხედვით, მთავრობები დაყოფილია უნიტარულ, კონფედერაციულ ან ფედერალურ საფუძველზე. მე-3 და მე-4 ცხრილებში განხილულია ურთიერთობა მმართველობის ტიპსა და ინსტიტუციონალურ მონაცემებს შორის.

ცხრილი 3

მმართველობის კლასიფიკაცია და სტრუქტურული მონაცემი

მმართველობა	უნიტარული	კონფედერაციული	ფედერალური	ჯამი
თავისუფალი	35	1	18	54
ნაწილობრივ თავისუფალი	40	0	12	52
არათავისუფალი	35	0	11	46

ცხრილი 4

მმართველობის კლასიფიკაცია და სტრუქტურული მონაცემები: პროცენტებში

მმართველობა	უნიტარული	კონფედერაციული	ფედერალური
თავისუფალი	64.8	1.8	33
ნაწილობრივ თავისუფალი	76.9	0	23.1
არათავისუფალი	76.1	0	23.9

როგორც ჩანს, უმნიშვნელო ტენდენციას, როდესაც თავისუფალი სახელმწიფოები უნიტარულ მთავრობებთან შედარებით უმეტესწილად ფედერალური სისტემით გამოირჩევიან. ინტუიციამე დაყრდნობით აზრს არ იქნება მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ ნაკლებად თავისუფალმა ან უფრო მეტად ავტოკრატიულმა მთავრობებმა მოახდინეს ძალაუფლების კონსოლიდაცია ადამიანთა ან ინსტიტუციების მცირე ჯგუფის, განსაკუთრებით ეროვნული მთავრობის ხელში. ამასთან, ამ მონაცემების Freedom House-ის საერთო თავისუფლების ქულასთან თანაფარდობისას გვაქვს შემდეგი სურათი: $r^2 = 0.15$. ძალაუფლებათა გამიჯვნა სამთავრობო დონეზე, თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო ფაქტორია დემოკრატიების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

შედარებითი კონსტიტუციების პროექტს გააჩნია საშუალებები, რომელთა დახმარებით იკვლევს სასამართლო დამოუკიდებლობას, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას. სასამართლო დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, ეს არის ნაკრები ინდექსი ნულიდან ექვს ქულამდე, რომელიც ასახავს ექვსი მახასიათებლის კონსტიტუციურ არსებობას ან არარსებობას, რომლებიც როგორც ცნობილია, სასამართლო დამოუკიდებლობის გაძლიერებას უწყობენ ხელს. ეს ექვსი მახასიათებელია: (1) შეიცავს თუ არა კონსტიტუცია მკაფიო განცხადებას სასამართლო დამოუკიდებლობის შესახებ; (2) ითვალისწინებს თუ არა კონსტიტუცია მოსამართლეების უვადო დანიშვნას; (3) ღებულობს თუ არა მონაწილეობას სასამართლო საბჭო ან ორი (ან მეტი) სუბიექტი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში დანიშვნის პროცესში; (4) არის თუ არა აკრძალული ან შეზღუდული მოხსნა იმგვარად, რომ ამისთვის საჭიროა საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის კენჭისყრის ჩატარება, ან იქნებ მხოლოდ საზოგადოებრივ ან სასამართლო საბჭოს შეუძლია თანამდებობიდან გათავისუფლებაზე წარდგენა სხვა პოლიტიკური სუბიექტის დასტურით; (5) შემოიფარგლება თუ არა მოხსნა დანაშაულობებით და სხვა არასასურველი ქმედებებით, ლალათით ან კონსტიტუციის დარღვევით; და (6) დაცულია თუ არა სასამართლო ხელფასები შემცირებისგან (შედარებითი კონსტიტუციების პროექტი).

რაც უფრო მაღალია ქულა, ფორმალურად მით უფრო დამოუკიდებელია სასამართლო სისტემა. მე-5 ცხრილში სწორედ ეს არის ასახული მმართველობის ტიპების მიხედვით, ამ

ურთიერთობისათვის მოკრძალებული მხარდაჭერის აღმოჩენით. სასამართლოს დამოუკიდებლობა სუსტია არათავისუფალ სახელმწიფოებში, ხოლო ნაწილობრივ თავისუფალ სახელმწიფოებში, როგორც ჩანს, აქვთ ყველაზე ფორმალური დამოუკიდებელი სასამართლოები.

ცხრილი 5

სასამართლო ხელისუფლება	
თავისუფალი	2.55
ნაწილობრივ თავისუფალი	3.07
არათავისუფალი	2.1

ამ ნაკრები ინდექსის Freedom House-ის საერთო რეიტინგთან თანაფარდობა, არსებითად, დაბალ მაჩვენებელს იძლევა: $r^2 = 0.094$.

შედარებითი კონსტიტუციების პროექტი ასევე მოიცავს ისეთ რეიტინგებს, სადაც განხილულია აღმასრულებელი და ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლება. პირველისთვის ეს არის სკალა ნულიდან შვიდ ქულამდე, რომელიც ასახავს შემდეგს: გააჩნია თუ არა მთავარ აღმასრულებელს (1) საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილება; (2) განკარგულების გამოცემის უფლებამოსილება; (3) კონსტიტუციური ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება; (4) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილება; (5) ვეტოს დადების უფლებამოსილება; (6) კანონების კონსტიტუციურობაში ეჭვის შეტანა; და (7) საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის უფლებამოსილება. ინდექსის ქულა მთლიანობაში ასახავს ამ უფლებამოსილებათა საერთო რაოდენობას, რომელიც ენიჭება რომელიმე ქვეყნის ნებისმიერ ეროვნულ აღმასრულებელ ორგანოს (პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს ან დანიშნულ მთავრობას).

მე-6 ცხრილი აჯგუფებს მმართველობის ტიპს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად და ძლიერია მთავარი აღმასრულებელი.

ცხრილი 6

აღმასრულებელი ხელისუფლება	
თავისუფალი	3.9
ნაწილობრივ თავისუფალი	4.45
არათავისუფალი	5.04

სტატისტიკურად შესაძლებელია, მოიძებნოს მცირე უკუეფექტური კორექტირება $r^2 = -0.257$, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა რაც უფრო თავისუფალი ან დემოკრატიულია, მით ნაკლები უფლებამოსილება აქვს პრეზიდენტს ან მთავარ აღმასრულებელ ორგანოს.

საბოლოოდ, მე-6 ცხრილი ასახავს მმართველობის ტიპსა და საკანონმდებლო უფლებამოსილებას. საკანონმდებლო ორგანო 32 ელემენტთან ერთად დაჯგუფდა, სადაც უფრო მაღალია რიცხვი, მით ძლიერია საკანონმდებლო ძალაუფლება, ხოლო რაც დაბალია რიცხვი, მით სუსტია იგი. ზოგადად, თავისუფალი საზოგადოება თავის ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოებს ნაკლებ უფლებამოსილებას ანიჭებს, მაგრამ როდესაც თანათარღობა შემონმდა, მიღებულმა შედეგმა $r^2 = -0.067$ გვაფიქრებინა, რომ მასსა და დემოკრატიას შორის მცირე კავშირი არსებობს. თავისუფალმა საზოგადოებამ შეიძლება თავის კანონმდებლებს მნიშვნელოვანი უფლებამოსილება მიანიჭოს დადებითი უფლებების უზრუნველსაყოფად ან სხვა სოციალური მიზნების მისაღწევად, რაც ხელს შეუწყობს ან ხელს შეუშლის დემოკრატიის განვითარებას. ამით უფლებამოსილების ფორმალური კლასიფიკაცია თითქოს გაურკვეველი ხდება, როდესაც საქმე ეხება თავისუფალი საზოგადოების განვითარებას.

ცხრილი 7

საკანონმდებლო ხელისუფლება	
თავისუფალი	0.279
ნაწილობრივ თავისუფალი	0.301
არათავისუფალი	0.307

ყველაზე საინტერესოა ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა სხვადასხვა ტიპის მმართველობასთან მიმართებით. კერძოდ, მთლიანობაში აღინიშნება მხოლოდ 0,1-იანი თანათარღობა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების ძალაუფლებათა შორის თავისუფალი, ნაწილობრივ თავისუფალი და არათავისუფალი ქვეყნების განხილვისას. ამასთან, ურთიერთობა უფრო მეტს აჩვენებს, თუ ის დაყოფილია მმართველობის ტიპების მიხედვით. თავისუფალი თუ დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის თანათარღობა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა შორის 0.469-ის ტოლია; სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას უფრო მეტი უფლებამოსილება გააჩნია, მისი თანათარღობა გაძლიერებულ საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ზომიერად დადებითია. სავარაუდოდ, გაძლიერებული საკანონმდებლო უფლებამოსილებით მოწმდება აღმასრულებელი უფლებამოსილება. ნაწილობრივ თავისუფალ სახელმწიფოებს შორის თანათარღობა -0.253-ის ტოლია, ხოლო არათავისუფალი მმართველობის ქვეყნებისთვის გვაქვს შემდეგი შედეგი: $r^2 = -0.305$.

ნაწილობრივ თავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებს ახასიათებთ მეტად მძლავრი ხელმძღვანელები (ცხრილი 7), რომლებიც კონტროლდებიან უფრო და უფრო დასუსტებული საკანონმდებლო ხელისუფლებით.

ანალოგიურად, არსებობს ურთიერთობა უფრო ძლიერ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ნაკლებად დამოუკიდებელ სასამართლოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტიპის მმართველობისთვის $r^2 = -0.184$ -ს, იგი თავისუფალი მმართველობის პირობებში არსებითად ბრტყელი ურთიერთობიდან გამოდის და უფრო გამოხატული ხდება ნაწილობრივ თავისუფალი და არათავისუფალი მმართველობის პირობებში (ცხრილი 8).

ურთიერთობის დასადგენად რამდენიმე სხვა ექსპერიმენტიც ჩატარდა. ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს ოფიციალურ უფლებამოსილებებსა და კონსტიტუციაში ჩამოთვლილი უფლებების რაოდენობას შორის თანაფარდობა უტოლდებოდა 0,037-ს. ეს, ალბათ, მიუთითებს იმაზე, რომ კონსტიტუციის შემდგენლები, რომლებიც ქმნიან ძლიერ ეროვნულ მთავრობებს, ამასთანავე ქმნიან უფრო მეტ უფლებებს მთავრობის შესამოწმებლად. ასევე უფლებების რაოდენობასა და სასამართლო დამოუკიდებლობას შორისაც თანაფარდობა უტოლდებოდა 0.329-ს, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებასა და უფლებების რაოდენობას შორის თანაფარდობა მხოლოდ 0,160-ს უდრიდა.

ცხრილი 8

ურთიერთობა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებებს შორის

მმართველობა	აღმასრულებელი/ საკანონმდებლო ხელისუფლება
თავისუფალი	0.469
ნაწილობრივ თავისუფალი	-0.253
არათავისუფალი	-0.305

ცხრილი 9

ურთიერთობა აღმასრულებელ ხელისუფლებას და სასამართლო დამოუკიდებლობას შორის

მმართველობა	აღმასრულებელი ხელისუფლება / სასამართლო დამოუკიდებლობა
თავისუფალი	-0.017
ნაწილობრივ თავისუფალი	-0.332
არათავისუფალი	-0.259

საბოლოოდ, სხვა ურთიერთობებისა თუ შეფასების თვალსაზრისით, თავისუფალი მმართველობა, როგორც წესი, უზრუნველყოფს პრესის მეტ თავისუფლებას ($r^2 = 0.824$ მმართველობის საერთო ტიპისათვის), გენდერულ თანასწორობას ($r^2 = 0.51$ მმართველობის საერთო ტიპისათვის) და შედარებით დაბალ საერთო უთანასწორობას (0.171) ნაწილობრივ თავისუფალ ან არათავისუფალ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოხსენებულ რეიტინგში.

ცხრილი 10

პრესის თავისუფლების მსოფლიო რეიტინგი მმართველობის ტიპების მიხედვით

მმართველობა	საშუალო ქულა
თავისუფალი	21.6
ნაწილობრივ თავისუფალი	34.4
არათავისუფალი	54.9

4.0 მსჯელობა

კონსტიტუციების, კონსტიტუციური დებულებებისა და თავისუფლების ეს წინასწარი ანალიზი არ არის საბოლოო ამ საკითხის სრულყოფილი განხილვის თვალსაზრისით. ფართომასშტაბიანი შესწავლით შესაძლებელია კონკრეტული პუნქტების ფართო არჩევანით გაანალიზება. და მაინც, ამ წინასწარმა გამოკვლევამ საინტერესო შედეგები მოგვცა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოხდა დაჯგუფება მმართველობის კონკრეტული ტიპების მიხედვით თავისუფალ, ნაწილობრივ თავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებად.

ზოგადად, კონსტიტუციაში ჩამოთვლილი უფლებების რაოდენობა არ განსაზღვრავს მთავრობის დემოკრატიულობას. როგორც ჩანს, ეს ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ კონსტიტუციაში უფლებების შეტანა თავისუფლებას შეუწყობს ხელს. ამასთან, მნიშვნელოვანია არა ის, ოფიციალურად ჩამოთვლილია თუ არა უფლებები ფუნდამენტურ დოკუმენტში, არამედ ის, მოხდა თუ არა მათი აღსრულება ან დაცვა. საზოგადოებებს, რომლებიც არ არიან თავისუფალნი, ძალიან კარგად შეუძლიათ ჩამოთვალონ ან ცარიელი სიტყვებით მოიხსენიონ მრავალი ინდივიდუალური უფლება, მაგრამ მის დასაცავად ამაზე მეტია საჭირო. იმის აღიარება, რომ კონსტიტუციაში ფორმალური უფლებების ან დებულებების არსებობა არც აუცილებელი და არც საკმარისი პირობაა დემოკრატიული ან თავისუფალი სახელმწიფოს უზრუნველსაყოფად, მიუთითებს ოფიციალური ინსტიტუციონალიზმის ან იურიდიული ფორმალიზმის საზღვრებზე. კანონის

გაკრიტიკება ხშირად გამოიხატება მის უუნარობაში, თავი დააღწიოს ფორმალურ ანალიზს სამართლებრივი პრეცედენტის ან კანონის მოქმედების ახსნის მცდელობის მიზნით. პოლიტიკის მეცნიერება დიდი ხანია გასცდა უბრალო ფორმალობისა და კონსტიტუციების ჩარჩოებს, რათა ახსნას, თუ როგორ ფუნქციონირებენ ინსტიტუტები და რეჟიმები სინამდვილეში. როგორც ჩანს, შედეგები ადასტურებენ ამ კრიტიკას.

ამასთან, არსებობს ცალკეული კონსტიტუციური დებულებები, რომლებიც, როგორც ჩანს, ქმნიან განსხვავებას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად თავისუფალია სახელმწიფო. ფედერალიზმი უფრო გავრცელებულია თავისუფალ საზოგადოებებში, ვიდრე ნაწილობრივ თავისუფალ ან არათავისუფალ საზოგადოებებში. ფედერალიზმს ახასიათებს ეროვნული ძალაუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით ძალაუფლების კონცენტრაცია ან ცენტრალიზაცია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქვეყნები, რომლებიც პრეზიდენტებს ან მთავარ ხელმძღვანელებს უფრო მეტ უფლებამოსილებას ანიჭებენ კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად, თავისუფალი სახელმწიფოებია. როგორც ჩანს, რაიმე კავშირი ეროვნული კანონმდებლების უფლებამოსილებასა და დემოკრატიასა და თავისუფლებას შორის არ გამოვლინდა. გარკვეული კავშირის არსებობა სასამართლო დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას შორის ფიქსირდება არათავისუფალ სახელმწიფოებში, სადაც წარმოდგენილია ნაკლებად დამოუკიდებელი სასამართლოები.

დარგთაშორისი ურთიერთობები ან უფლებამოსილებათა გამიჯვნა, როგორც ჩანს, იმის განმსაზღვრელია, თუ რამდენად დემოკრატიულია სახელმწიფო. ქვეყნები, სადაც ძლიერი აღმასრულებელი, მაგრამ სუსტი საკანონმდებლო ხელისუფლებაა, ნაკლებად თავისუფალნი არიან. ანალოგიურად, სახელმწიფოები ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლებით, მაგრამ ნაკლებად დამოუკიდებელი სასამართლოთი ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ თავისუფალნი არიან. ფაქტობრივად, სახელმწიფოები, სადაც ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლებაა და სუსტი საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დემოკრატიულნი არიან. მიუხედავად ამისა, მმართველობის ტიპის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან შეპირისპირებისას, საერთო ჯამურმა თანათვარდობამ შეადგინა $r^2 = 0.074$, რაც, არსებითად, მიუთითებს რაიმე ურთიერთობის არარსებობაზე. მმართველობის ტიპების მიხედვით თავისუფალ ან დემოკრატიულ მთავრობებად დაყოფის შემთხვევაშიც კი თანათვარდობა იყო $r^2 = 0.051$, ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნებისთვის: $r^2 = 0.016$, ხოლო არათავისუფალი ქვეყნებისთვის: $r^2 = 0.056$. კონსტიტუციაში უფლებების რაოდენობა უფრო მეტად უკავშირდება საკანონმდებლო ხელისუფლებას და სასამართლო დამოუკიდებლობას და ნაკლებად – აღმასრულებელ ხელისუფლებას. ეს მართალია, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიისთვის, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოები ან სასამართლოები.

საბოლოოდ, თავისუფალი მმართველობის ქვეყნებში უფრო მოსალოდნელია გენდერული და ეკონომიკური თანასწორობისა და პრესის თავისუფლებისადმი ხელშეწყობა. ამ

სტატიისთვის არ გვიძებნია კონსტიტუციებში არსებული კონკრეტული პუნქტები იმის დასადგენად, თუ რომელი მათგანი უკეთესად უწყობს ხელს თანასწორობასა და თავისუფლებას. ასევე, ამ სტატიაში არ გაგვიჩვენია ის ურთიერთობა ან მიზეზობრივი კავშირი, ხელს უწყობს თუ არა კონსტიტუციის კონკრეტული პუნქტები თანასწორობასა და თავისუფლებას, ან არის თუ არა დამოუკიდებელი საფუძველი მათი არსებობისთვის.

დასკვნა

ეს არის წინასწარი ანალიზი, რომელსაც კონსტიტუციების შესწავლაში შემოაქვს ემპირიული პოლიტიკის მეცნიერების მიდგომა. ამ გზით ჩანს, თუ რა კავშირშია საკონსტიტუციო დებულებები და დემოკრატია. მიზანი ნაწილობრივ მდგომარეობდა იმის გაცნობაში, რომელი საკონსტიტუციო დებულებებია მნიშვნელოვანი დემოკრატიის განვითარებისათვის. ამ სტატიის შედეგები იმაზე მეტყველებს, თუ როგორ უქმნის ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება საფრთხეს დემოკრატიას მანამ, სანამ იგი არ გაკონტროლდება ძლიერი საკანონმდებლო ორგანოებითა და დამოუკიდებელი სასამართლოთი. ასევე არსებობს რამდენიმე სუსტი მტკიცებულება, რომ ფედერალური სისტემები, ალბათ, ოდნავ უკეთესია დემოკრატიის განვითარების მიზნით. ორივე ეს დასკვნა ზოგადი მოსაზრების შესაბამისი იქნება, რომლის მიხედვით კონსტიტუციის მიზანი, რომელიც ბოჭავს ხელისუფლებას, უკეთესად უზრუნველყოფს ინდივიდუალურ უფლებებს. თუმცა, აქ არც თუ ისე ბევრი მტკიცებულება არსებობს, რომ უბრალოდ სუსტი მთავრობის (საკანონმდებლო ორგანოს) ქონა ან კონსტიტუციაში უამრავი უფლების გაცხადება ნიშნავს მეტ დემოკრატიას. ძლიერი საკანონმდებლო ორგანო შეიძლება აქტიურად ჩაებას თანასწორობის განვითარების საქმეში, მაგრამ ის, რაც უფრო მნიშვნელოვნად წარმოჩინდება, არის არა იმდენად საკანონმდებლო ხელისუფლების, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების შემზღვევები.

მაგრამ ამ სტატიაში ასევე დაადგინა, რომ მთავრობები, დიდი ალბათობით, დემოკრატიულად უდგებიან და იცავენ პრესის უფლებებს და ხელს უწყობდნენ გენდერულ და ეკონომიკურ თანასწორობას. აქ ვერ დადგინდება მხოლოდ ის, თუ როგორ მოქმედებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი – რამდენად უწყობს ხელს უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია ამ შედეგების დადგომას, ან არის თუ არა პრესის თავისუფლება და გენდერული და ეკონომიკური თანასწორობა ამის წინაპირობა? ეს დისკუსია მნიშვნელოვან კითხვას სვამს იურიდიული ან კონსტიტუციონალური ფორმალიზმისა და ისეთი საზღვრების შესახებ, რეალურად კონსტიტუციას რისი შეცვლა შეუძლია ან როგორ შეუძლია სოციალური ნორმებისა და პრაქტიკის სტიმულირება? ალბათ, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ერთი გზით მიდის, რომ კარგი კონსტიტუციები უზრუნველყოფს დემოკრატიას ან დემოკრატიულ პირობებს ან – პირიქით. ამის ნაცვლად, კონსტიტუციონალიზმი და დემოკრატია უნდა იქნას გაგებული იმ ღირებულებების, ინსტიტუციების, კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების კონტექსტში, რომლებიც ერთად აშენებენ კონსტიტუციურ დემოკრატიას, სადაც დაცულია ინდივიდუალური და უმცირესობათა უფლებები.

ლიტერატურა

- Adagbabiri, Moses. 2015. "Constitutionalism and Democracy: A Critical Perspective." *International Journal of Humanities and Social Science*. 5:12 (December), 108-114.
- Alexander, Larry. 2007. "Constitutionalism and Democracy: Understanding the Relation." Legal Studies Research Paper Series: Research paper No. 07-121 (October).
- Almond, Gabriel A., and Sidney Verba. 1963. *The Civic Culture*. Boston: Little Brown.
- Ashcraft, Richard. 1986. *Revolutionary Politics and Locke's Two Treatises of Government*. Princeton: Princeton University Press.
- Bailyn, Bernard. 1967. *The Ideological Origins of the American Revolution*. Cambridge, MA: Harvard University Press.
- Berlin, Isaiah. 1969. "Two Concepts of Liberty." In: I. Berlin, ed., *Four Essays on Liberty*. Oxford: Oxford University Press, pp. 118-172.
- Budge, Ian. 1970. *Agreement and the Stability of Democracy*. Chicago: Markham Publishing Co.
- Ceaser, James W. 1993. *Reconstructing Political Science*. In Stephen L. Elkin & Karol Edward Soltan, *A New Constitutionalism: Designing Political Institutions for a Good Society*. Chicago: University of Chicago Press.
- Comparative Constitutions Project. No date. Located <http://comparativeconstitutionsproject.org/ccp-rankings/> (Site last visited on May 13, 2019).
- Dahl, Robert A. 1989. *Democracy and Its Critics*. New Haven: Yale University Press.
- Dahl, Robert A. 1979. *Who Governs? Democracy and Power in an American City*. New Haven: Yale University Press.
- Dahl, Robert A. 1956. *A Preface to Democracy Theory*. Chicago: University of Chicago Press.
- Dahl, Robert A. 1971. *Polyarchy: Participation and Opposition*. New Haven: Yale University Press.
- Dahl, Robert A. 1976. *Democracy in the United States: Promise and Performance*. New Haven: Yale University Press.
- De Ruggiero, Guido. 1959. *The History of European Liberalism*. Boston: Beacon Press.
- Diamond, Larry, et al., eds. 1989. *Democracy in Developing Countries: Latin America*. Boulder, Colorado: Lynn Reinner.
- Dworkin, Ronald. 1978. *Taking Rights Seriously*. Cambridge: Harvard University Press.
- Dworkin, Ronald. 1995. "Constitutionalism and Democracy." *The European Journal of Philosophy*. 3:1, pp. 2-11.
- Dyzenhaus, David. 2006. *The Constitution of Law: Legality in a Time of Emergency*. New York: Cambridge University Press.
- Freedom House. 2018. *Freedom in the World 2018*. Located at <https://freedomhouse.org/report/freedom-world-2018-table-country-scores> (site last visited on May 13, 2019).
- Friedman, Milton. 1962. *Capitalism and Freedom*. Chicago: University of Chicago Press.
- Fuller, Lon. 1975. *The Morality of Law*. New Haven: Yale University Press.
- GINI Index (World Bank estimate). N.D. Located at <https://www.indexmundi.com/facts/indicators/SI.POV.GINI/rankings> (site last visited on May 13, 2019).

- Goldstein, Leon J, and David Schultz. 2015. *Conceptual Tension: Essays on Kinship, Politics, and Individualism*. Lanham, MD: Lexington Books.
- Habermas, Jürgen. 2001. "Constitutional Democracy: A Paradoxical Union of Contradictory Principles?" *Political Theory*. 29: 6 (December) 766-781.
- Halévy, Elie. 1955. *The Growth of Philosophic Radicalism*. Boston, MA: The Beacon Press.
- Hart, H .L.A. 2012. *The Concept of Law*. New York: Oxford University Press.
- Huntington, Samuel P. 1984. Will More Countries become Democratic? *Political Science Review* 99: pp. 193-199.
- Huntington, Samuel P. 1956. Civilian Control and the Constitution. *American Political Science Review* 50: pp. 676-699.
- Huntington, Samuel P. 1991. *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century*. Norman, OK: University of Oklahoma Press.
- Hutchinson, Allan C. and Joel Colón-Ríos. 2011. "Democracy and Constitutional Change." *Theoria: A Journal of Social and Political Theory*: (June) 43-62.
- Kant, Immanuel. 1969. *Foundations of the Metaphysics of Morals*. Trans. Lewis White Beck. Indianapolis, IN: Bobbs-Merrill Publishing.
- Kant, Immanuel. 1991. *The Metaphysics of Morals*. Translated by Mary J. Gregor. Cambridge University Press.
- Kelsen, Hans. 1967. *Pure Theory of Law*. Berkeley, CA: University of California Press.
- Lijphart, Arend. 1977. *Democracy in Plural Societies*. New Haven: Yale University Press.
- Lijphart, Arend. 1968. "Typologies of Democratic Systems." *Comparative Political Studies* 1: 3-35.
- Lipset, Seymour M. 1959. "Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy." *American Political Science Review*. 53: 69-105.
- Locke, John. 1996. *Two Treatises of Government*. New York: Cambridge University Press.
- Macpherson. C.B. 1973. *Democratic Theory: Essays in Retrieval*. New York: Oxford University Press.
- McHugh, James T. 2002a. *Comparative Constitutional Traditions*. NY: Peter Lang Publishing.
- McHugh, James T. 2002b. *The Essential Concept of Law*. NY: Peter Lang Publishing.
- McIlwain, Charles Howard . 1958. *Constitutionalism: Ancient and Modern*. Ithaca, NY: Great Seal Books.
- Montesquieu, Baron De. 1949. *The Spirit of the Laws*. Trans. Thomas Nugent. New York: Hafner Press.
- Montesquieu, Baron De. 1973. *The Persian Letters*. New York: Penguin Press.
- Needler, Martin C. 1968. "Political Development and Socioeconomic Development: The Case of Latin America." *American Political Science Review* 62: 889-897.
- Neubauer, Deane E. 1967. "Some Conditions of Democracy." *American Political Science Review* 61: 1002-1009.
- O'Donnell, Guillermo, and Phillip C. Schmitter. 1986. "Tentative Conclusions About Uncertain Democracies (part 4)." In *Transitions From Authoritarian Rule" Prospects for Democracy*, edited by , Guillermo O'Donnell, Phillip C. Schmitter, and Lawrence Whitehead. Baltimore, MD: The Johns Hopkins University Press, pp. 3-78.
- Pennock, J. Roland and John W. Chapman. 1979. *Constitutionalism*. NY: NYU Press.
- Pennock, J. Roland and John W. Chapman. 1983. *Liberal Democracy*. NY: NYU Press.
- Pennock, J. Roland. 1979. *Democratic Political Theory*. Princeton: Princeton University Press.

- Przeworski, Adam and Fernando Limongi. 1997. "Modernization: Theory and Facts," *World Politics*, v. 49. No. 2, pp. 155-183.
- Putnam, Robert. *Making Democracy Work*. 1993. Princeton: Princeton University Press.
- Quality of Government Institute. 2019. Located at <https://qog.pol.gu.se/data/datadownloads/qogstandarddata> (Site lasted visited on May 13, 2019).
- Rawls, John. 1971. *A Theory of Justice*. Cambridge: Harvard University Press.
- Rawls, John. 1993. *Political Liberalism*. New York: Columbia University Press.
- Rawls, John. 2007. *Lectures on the History of Political Philosophy*. Cambridge, MA: Belknap Press.
- Reporters Without Borders. "World Press Freedom Rankings 2018." Located at <https://rsf.org/en/ranking/2018> (Site last visited on May 13, 2019).
- Rostow, W.W. 1971. *The Stages of Economic Growth*. Cambridge: Cambridge University Press.
- Rousseau, Dominique. 2015. "Constitutionalism and Democracy." John Zvespeter, Trans. Located at <https://booksandideas.net/Constitutionalism-and-Democracy.html> (Site last visited May 12 2019).
- Rousseau, Jean-Jacques. 1977. *The Social Contract*. New York: Penguin.
- Rustow, Dankwart A. 1968. "Modernization and Comparative Politics: Prospects in Research and Theory." *Comparative Politics*. 1: pp. 37-51.
- Sartori, Giovanni Sartori. 1987. *The Theory of Democracy Revisited*, 2 volumes. Chatham, NJ: Chatham House Publishers.
- Schochet, Gordon J. 1979. "Introduction: Constitutionalism, Liberalism, and the Study of Politics." In *Constitutionalism*. Pennock, J. Roland and John W. Chapman eds. NY: NYU Press, pp. 1-18.
- Schultz, David. 1990. "Hegel's Constitutionalism," *4 COMMONWEALTH*, pp. 26-38.
- Schumpeter, Joseph. 2015. *Capitalism, Socialism and Democracy*. New York: Routledge.
- Skinner, Quentin. 1978. *The Foundations of Modern Political Thought*, v. II. New York: Cambridge University Press.
- Lembcke, Oliver W. 2008b: *Die Würde des Menschen, frei zu sein: Zum Vermächtnis der Oratio de hominis dignitate Pico della Mirandolas*. In: Rolf Gröschner, Stephan Kirste und Oliver W. Lembcke (Hrsg.): *Des Menschen Würde – entdeckt und erfunden im Humanismus der italienischen Renaissance*. Tübingen, 159-186.
- Lembcke, Oliver W. 2009a: *Law*. In: H. James Birx (Hrsg.): *Encyclopedia of Time. Science, Philosophy, Theology, & Culture*. Bd. 2. Thousand Oaks (Cal.), 772-774.
- Lembcke, Oliver W. 2009b: *Politische Theorie des nackten Lebens: Giorgio Agamben*. In: André Brodocz und Gary S. Schaal (Hrsg.): *Politische Theorien der Gegenwart*. Bd. 2. 3. Aufl. Opladen und Farmington Hills, 560-598.
- Lembcke, Oliver W. 2010: *Konstitutionelles Gesetz im sozialen Rechtsstaat. Zu einem Grundbegriff der Staatslehre Hellers*. In: Marcus Llanque (Hrsg.): *Souveräne Demokratie und soziale Homogenität. Das politische Denken Hermann Hellers*. Baden-Baden, 239-260.
- Lembcke, Oliver W. 2018: *Giorgio Agamben's Political Theory*. In: *Oxford Research Encyclopedia of Communication*. DOI: 10.1093/acrefore/9780190228613.013.592.

- Lepsius, Oliver 2009: Kelsens Demokratietheorie. In: Ehs, Tamara (Hrsg.): Hans Kelsen. Eine politikwissenschaftliche Einführung. Wien, 67-89.
- Lindahl, Hans 2007: Constituent Power and Reflexive Identity: Towards an Ontology of Collective Selfhood. In: Martin Loughlin und Neil Walker (Hrsg.): The Paradox of Constitutionalism. Constituent Power and Constitutional Form. Oxford, 9-24.
- Locke, John [1689]: Second Treatise of Government. Hrsg. von C.B. Macpherson. Indianapolis und Cambridge 1980.
- Loughlin, Martin und Walker, Neil 2007: Introduction. In: Dies. (Hrsg.): The Paradox of Constitutionalism. Constituent Power and Constitutional Form. Oxford, 1-8.
- Luhmann, Niklas 1983: Rechtssoziologie. 2. Aufl. Reinbek bei Hamburg.
- Luhmann, Niklas 1995: Das Recht der Gesellschaft. Frankfurt a.M.
- Luhmann, Niklas 1999: Ausdifferenzierung des Rechts. Beiträge zur Rechtssoziologie und Rechtstheorie. Frankfurt a.M.
- March, James G. und Olson, Johan P. 1996: Institutional Perspectives on Political Institutions. In: Governance 9(3), 247-264.
- March, James G. und Olson, Johan P. 2004: Logic of Appropriateness. Working Paper No. 9. Oslo. Online verfügbar unter: https://www.sv.uio.no/arena/english/research/publications/arena-working-papers/2001-2010/2004/wp04_9.pdf, zuletzt abgerufen am 30.04.2019.
- Meinecke, Friedrich (1922): Weltbürgertum und Nationalstaat. Studien zur Genesis des deutschen Nationalstaates. 6. Aufl. München.
- Norris, Andrew (Hrsg.) 2005: Politics, Metaphysics, and Death. Essays on Giorgio Agamben's Homo Sacer. Durnham und London.
- Pico della Mirandola, Giovanni [1496]: Über die Würde des Menschen. Lateinisch-Deutsch. Übersetzt von Norbert Baumgarten. Herausgegeben und eingeleitet von August Buck. Hamburg 1990.
- Rawls, John 1971: A Theory of Justice. Cambridge (Mass.).
- Rawls, John 2001: Justice as Fairness. A Restament. Hrsg. von Erin Kelly. Cambridge (Mass.) und London.
- Sandel, Michael J. 1982: Liberalism and the Limits of Justice. Cambridge (Mass.).
- Schaal, Gary S. (Hrsg.) 2009: Techniken rationaler Selbstbindung. Berlin.
- Scheuerman, William E. 1996: Carl Schmitt's Critique of Liberal Constitutionalism. In: The Review of Politics 58(2), 299-322.
- Schmitt, Carl [1922]: Politische Theologie. Vier Kapitel zur Lehre von der Souveränität. 7. Aufl. Berlin 1996.
- Schmitt, Carl [1928]: Verfassungslehre. 8. Aufl. Berlin 1993.
- Schmitt, Carl [1931]: Der Hüter der Verfassung. 4. Aufl. Berlin 1996.
- Shelton, Dinah (Hrsg.) 2000: Commitment and Compliance. The Role of Non-Binding Norms in the International Legal System. Oxford.
- Sieyès, Emmanuel Joseph [1789]: Was ist der Dritte Stand? In: Oliver W. Lembcke und Florian Weber (Hrsg.): Emmanuel Joseph Sieyès: Was ist der Dritte Stand? Ausgewählte politische Schriften. Berlin 2010, 111-176.
- Stone, Deborah 2002: Policy Paradox. The Art of Political Decision Making. Revised edition. New York und London.
- Tocqueville, Alexis de [1835]: Über die Demokratie in Amerika. Beide Teile in einem Band. München 1987.

- Michael Walzer 1993: Kritik und Gemeinsinn. Drei Wege der Gesellschaftskritik. Frankfurt a.M.
- Weber, Max [1956]: Wirtschaft und Gesellschaft. Grundriß der verstehenden Soziologie. Hrsg. von Johannes Winckelmann. 5. Aufl. Tübingen 1980.
- Weber, Max [1919]: Politik als Beruf. In: Ders.: Gesammelte politische Schriften. Hrsg. von Johannes Winckelmann. 5. Aufl. Tübingen 1988, 505-560.
- Wesel, Uwe 1997: Geschichte des Rechts. Von den Frühformen bis zum Vertrag von Maastricht. München.
- Wesel, Uwe 1985: Frühformen des Rechts in vorstaatlichen Gesellschaften. Frankfurt a.M.
- Wieland, Wolfgang 1989: Aporien der praktischen Vernunft. Frankfurt a.M.

სამართალი და რელიგია „პოსტ-სეკულარულ საზოგადოებაში“

გია ხუბუა

I. სახელმწიფოს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალურობა. II. „პოსტ-სეკულარული საზოგადოება. III. ღმერთის იდეა კონსტიტუციაში. IV. კონსტიტუციის ინტეგრაციული ფუნქცია. V. ღირებულებითი პლურალიზმი და ღია საზოგადოება. VI. რელიგია როგორც კულტურის ნაწილი. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

II. სახელმწიფოს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალურობა

სახელმწიფოს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი ნეიტრალურობა ფუნდამენტური მნიშვნელობის კონსტიტუციური პრინციპია. თანამედროვე სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია რელიგიისაგან ემანსიპაციის ტენდენცია, ხოლო მისი მსოფლმხედველობრივი ნეიტრალურობა თავისუფალი დემოკრატიული წესრიგის გამოხატულებაა.¹

სახელმწიფო „ყველას“ სახელმწიფოა, განურჩევლად რწმენისა და რელიგიური კუთვნილებისა. სახელმწიფო უნდა იყოს თვითიდენტიფიკაციის საშუალება ყველა მისი მოქალაქისათვის. რომელიმე რელიგიური იდეოლოგია ვერასოდეს ვერ გარდაიქმნება სახელმწიფო იდეოლოგიად, ისევე როგორც რელიგია და რწმენა არ არის და ვერ გახდება სახელმწიფოს მიერ გადასაწყვეტი საკითხი.²

სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა რელიგიის სფეროში შეზღუდავს პიროვნების ინდივიდუალურ ავტონომიას. სახელმწიფოს ჩარევა რელიგიის სფეროში შეიცავს რელიგიური მოძღვრების იდეოლოგიად ტრანსფორმაციის დიდ რისკებსაც. როგორც კი რელიგია გარდაიქმნება პოლიტიკურ იდეოლოგიად, მაშინ დიდი მისი ინსტრუმენტალიზაციის შესაძლებლობაც მწვავე კონფლიქტებისა და ფუნდამენტალიზმის მიმართულებით – იდეოლოგიური ტოტალიტარიზმი ყოველთვის ინდივიდუალური თავსუფლების მტერია.

სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა, არსებითად, ეფუძნება ბიბლიას: „მიეცი კეისარს კეისრისა და ღმერთს – ღვთისა“ (ლუკას სახარება, 20, 25.). სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის პროცესზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია რელიგიურმა ომებმა და კონფლიქტებმა. რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა მნიშვნელოვნად ამცირებდა რელიგიური კონფლიქტების რისკს. რელიგიისაგან სახელმწიფოს დისტანცირება ასევე

¹ BVerfGE 12, 1.

² Jarass, in Jarass/Pieroth, Grundgesetz-Kommentar, 13. Auflage 2014, Art. 4 Rn. 10.

განაპირობა რელიგიის მწვავე კრიტიკამ ფილოსოფიურ ლიტერატურაში და მე-18 საუკუნის განმანათლებლობამ.³

სახელმწიფოს მსოფლმხედველობრივი ნეიტრალურობა იცნობს ორ, განსხვავებულ კონცეფციას. პირველი მოდელის თანახმად, რელიგია შეიძლება განვითარდეს საჯარო სივრცეშიც. მეორე მოდელი ცნობილია ლაიციზმის სახელით, რომლის დროსაც რელიგიის განვითარება და გავრცელება შემოიფარგლება მხოლოდ კერძო სფეროთი. ლაიციზმის შემთხვევაში სახელმწიფოს რელიგიურ ნეიტრალურობას უფრო ნეგატიური დატვირთვა ეძლევა და რელიგიისაგან მკაცრ გამიჯვნას ემსახურება.⁴

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ერთი მხრივ, სეკულარიზმი, როგორც სახელმწიფო დოქტრინა და, მეორე მხრივ, იდეოლოგიური სეკულარიზმი.⁵ პოლიტიკური სეკულარიზმი, იდეოლოგიური სეკულარიზმისაგან განსხვავებით, არ გამოირჩევა რელიგიის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებით.

III. „პოსტ-სეკულარული საზოგადოება“

თანამედროვე სამართალი ესწრაფვის ერთგვარ ემანსიპაციას მისი რელიგიური და ისტორიული ძირებისაგან. „პოლიტიკა ტრადიციისა და ტრანსცენდენტურის გარეშე“ – შეიძლება ასე ეწოდოს ამ ტენდენციას, რომლის მიმდევრებიც (მათ შორის, თეოლოგების ნაწილიც) მოითხოვენ ღმერთის ცნების ამოღებას ყველა სახელმწიფო დოკუმენტიდან. ძირითადი კანონი ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს არ ანიჭებს თეოლოგიურ შინაარსს. ეს უფლებები, ასევე მოკლებულია ღმერთის მეტაფიზიკური ინსტიტუტის მხრიდან ლეგიტიმაციას. ღმერთი არ არის ადამიანის უფლებების საწყისი და არც მისი ლეგიტიმაციის საფუძველი. ჩვენ ვართ მხოლოდ პასუხისმგებელი ღმერთის წინაშე. ხელისუფლების წყაროა ხალხი და სახელმწიფო ხელისუფლებას არ შეიძლება ჰქონდეს ტრანსცენდენტალური, მეტაფიზიკური ბუნება.

ამ მიდგომების პარალელურად ძლიერდება საწინააღმდეგო ტენდენციაც. სულ უფრო აქტიურად განიხილება არამართო ის, თუ რამდენ რელიგიას „აიტანს“ საზოგადოება, არამედ ისიც, თუ რელიგიურობის რა მინიმალური დოზაა აუცილებელი საზოგადოების გადარჩენისათვის (Udo di Fabio). სამართლებრივი ინსტიტუტების ანალიზის პროცესში აქტიურადაა ჩართული თეოლოგიურ-ისტორიული, ღირებულებითი და სულიერი საწყისების კვლევა.⁶

თანამედროვე მსოფლიოში სეკულარიზმი უკვე არ არის დომინანტი პარადიგმა. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ სახეზეა რელიგიის ერთგვარი „რენესანსი“, მაგრამ, ერთი მხრივ,

³ იქვე.

⁴ Morlok, in Dreier (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Bd. 1, 3. Auflage 2013, Art. 4 Rn. 161

⁵ იქვე, გვ. 258.

⁶ Unruh, P., Religionsverfassungsrecht, 4. Auflage, 2018, S. 44.

შემიჩნევა საზოგადოების სულ უფრო მზარდი სეკულარიზაცია და ინდივიდუალიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, იზრდება მოთხოვნა რელიგიაზე.⁷ ჰაბერმასის აზრით, სახეზეა „პოსტსეკულარული საზოგადოება“, რომლის დროსაც რელიგიურ გაერთიანებებს არსებობა უნევთ მუდმივად სეკულიზირებად გარემოში.⁸ თანამედროვე საზოგადოება უფრო მგრძობიარე გახდა რელიგიის თემატიკის მიმართ, ხოლო რელიგია მოქცეული იქნა ფართო საზოგადოებრივი და ფილოსოფიური დისკუსიის ფოკუსში.⁹

რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა არ ნიშნავს, რომ რელიგიამ სრულად დაკარგა გავლენა სახელმწიფოზე. საზოგადოებრივი და სოციალური სტრუქტურებიდან რელიგიის „გამოდევნა“ ვერ მოხერხდება და ის კიდევ დიდხანს დარჩება ანგარიშგასაწევ ძალად. თანამედროვეობა და რელიგიურობა არ გამორიცხავს ერთმანეთს, ხოლო რელიგიის თემა შთამბეჭდავად დიდი მასშტაბით დაუბრუნდა სამეცნიერო დღის წესრიგს.“¹⁰ უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის გავლენა აშკარაა თვით ე.წ. ლაიცისტური ტრადიციების სახელმწიფოებშიც (აშშ, საფრანგეთი).¹¹

IV. ღმერთის იდეა კონსტიტუციაში

კონსტიტუციაში ღმერთისადმი მიმართვა უნდა განვმარტოთ როგორც „პასუხისმგებლობის ფორმულა“.¹² ღმერთისადმი მიმართვა მიუთითებს ადამიანური შემეცნების შეზღუდულ შესაძლებლობებზე და ესწრაფვის, ზღვარი დაუდოს „კონსტიტუციური სახელმწიფოს თვითკმაყოფილებას“.¹³ კონსტიტუცია არ ცნობს და არ აღიარებს ღმერთს. ის, უბრალოდ, ეწინააღმდეგება ხელისუფლების, პოლიტიკისა და სამართლის აბსოლუტიზაციას.¹⁴ ძირითადი კანონი ასევე უარყოფს ათეიზმს, როგორც სახელმწიფო რელიგიას¹⁵ და ემიჯნება სახელმწიფოს ტოტალიტარულ მოდელს.¹⁶ ამ ფორმით კონსტიტუცია ხალხსაც შეახსენებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მან უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლების განხორციელების პროცესში.

ღმერთისადმი მიმართვა, როგორც წესი, გვხვდება კონსტიტუციის პრეამბულაში. აყალიბებს თუ არა პრეამბულა იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესს? იურიდიულ ლიტერა-

⁷ Waldhoff, Neue Religionskonflikte und staatliche Neutralität, 13 ff. ციტ. Unruh, P., Religionsverfassungsrecht, 3. Auflage, 2015, S. 43.

⁸ Habermas, Glauben und Wissen, 2001, S. 12 ff.

⁹ Habermas, Die Revitalisierung der Weltreligionen – Herausforderung für ein säkulares Selbstverständnis der Moderne?“, in: SA, Bd. 5, 388 ff.

¹⁰ Dreier, H., Staat ohne Gott. Religion in säkularen Moderne, 2018.

¹¹ Mahlmann, M., Konkrete Gerechtigkeit. Eine Einführung in Recht und Rechtswissenschaft der Gegenwart, 3. Auflage, 2017, S. 256.

¹² Bruno Schmidt-Bleibtreu, Hans Hofmann, Hans-Günter Henneke, Hans Bernhard Brockmeyer, GG Kommentar zum Grundgesetz, 13. Auflage, S. 94.

¹³ Isensee, Rekurs, Fn. 46. ციტ.: Dreier, Staat ohne Gott. Religion in säkularen Moderne, S. 18.

¹⁴ Mangoldt/Klein/Starck/, Kommentar zum Grundgesetz, Band 1, Rn. 17

¹⁵ Ingo von Münch/Philip Kunig, Grundgesetz-Kommentar, Band 1, Präambel, Rdnr. 7.

¹⁶ Häberle, P., Gott im Verfassungsstaat, in: P. Häberle, Rechtsvergleichung im Kraftfeld des Verfassungsstaates 1992, S. 217 ff.

ტურაში სადავოა საკითხი პრეამბულის იურიდიული ბუნების შესახებ. ავტორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პრეამბულა კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. ზოგიერთი ავტორის აზრით, პრეამბულა საერთოდ არ აყალიბებს სავალდებულო ქცევის წესს, ხოლო ავტორთა ნაწილის აზრით, პრეამბულას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რადგანაც სწორედ პრეამბულით იწყება კონსტიტუცია.¹⁷

პრეამბულაში მოცემული დებულებები მნიშვნელოვანია კონსტიტუციის სხვა ნორმების განმარტებისათვის. აუცილებელია ლოგიკური, ტელეოლოგიური და სისტემური თავსებადობის არსებობა პრეამბულასა და კონსტიტუციის დანარჩენ ტექსტს შორის.¹⁸ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის პრეამბულას აქვს სამართლის ნორმის ხასიათი და მასზე დაყრდნობით უნდა მოხდეს კონსტიტუციის სუბსტანციური მნიშვნელობის გარკვევა.¹⁹

ღმერთის კონსტიტუციურ ცნებაზე არაფერს ამბობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა. ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაშიც, როგორც წესი, იშვიათად ვხვდებით „ღვთის“ კონსტიტუციურ-სამართლებრივი კონსტრუქციის განმარტებას. ამავე დროს, ღმერთზე მითითება ცალკეულ ქვეყნებში განიხილება როგორც ძირითადი კანონის აბსოლუტური მნიშვნელობის ეთიკური ფუნდამენტი – სახელმწიფოს, რომელიც უზრუნველყოფს რწმენის თავისუფლებას და არის რელიგიურ-მსოფლმხედველობრივად ნეიტრალური, არ შეუძლია მოწყდეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ღირებულებით წარმოდგენებს, რომელსაც ეფუძნება საზოგადოების ერთიანობა. ქრისტიანული რწმენა და ქრისტიანული ეკლესიები... (საზოგადოების) უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია.²⁰

პრეამბულის იურიდიული ბუნებისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო რთულია გავცეთ პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ღვთისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა სამართლებრივი პასუხისმგებლობა? და თუ ეს არის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რა ფორმით უნდა დადგეს ის, თუ დაირღვა „ღვთის წინაშე“ ვალდებულება?

კონსტიტუცია ადგენს პასუხისმგებლობას ორი ინსტანციის – ღმერთისა და ქვეყნის წინაშე. ამით ერთგვარად რელატივირებულია პასუხისმგებლობის მხოლოდ მეტაფიზიკური ინსტიტუტის მნიშვნელობა. ხელისუფლება და ხალხი პასუხისმგებელია არამართო მეტაფიზიკური ინსტიტუტის წინაშე, არამედ ქვეყნის წინაშეც. ამავე დროს, კონსტიტუციის პრეამბულაში მოცემულ პასუხისმგებლობას არ აქვს მკაფიო სამართლებრივი ხასიათი.

ღმერთისადმი მიმართვის ფორმის მიხედვით განასხვავებენ *nominatio dei* და *invocatio dei*-

¹⁷ Süsterhenn/Schäfer, Kommentar der Verfassung für Rheinland Pfalz: mit Berücksichtigung des Grundgesetzes für die Bundesrepublik Deutschland, 1996, S. 64.

¹⁸ Murswiek, in Kahl/Waldhoff/Walter (Hrsg.), Bonner Kommentar zum Grundgesetz, 2013, Präambel Rn. 199.

¹⁹ BVerfGE, 36, 1 (17).

²⁰ Schmidt-Bleibtreu/Klein, Kommentar, Präambel, Rdnr. 2.

ს. *nominatio dei*-ს სახით კონსტიტუციაში ღმერთის სახელი მხოლოდ მოხსენიებულია, ხოლო *invocatio dei*-ს სახით მიმართვა ხორციელდება ღმერთის სახელით. *invocatio dei* გვხვდება სამი ევროპული ქვეყნის კონსტიტუციაში – შვეიცარია, ირლანდია და საბერძნეთი. შვეიცარიის კონსტიტუცია, მაგალითად, გამოცხადებულია „ყოვლისშემძლე ღმერთის სახელით“. შვეიცარიაში 1291 წელს დადებული პირველი ფედერალური ხელშეკრულება იწყებოდა სიტყვებით „In nomine Domini, amen“.²¹ საბერძნეთში ღმერთი ფორმულირებულია როგორც წმინდა და განუყოფელი სამება. დაახლოებით მსგავსი შინაარსის ნორმა გვხვდება ირლანდიის კონსტიტუციაში.²²

კონსტიტუციურ პრაქტიკაში, გარდა *nominatio dei*-სა, გვხვდება სხვა კონსტრუქციებიც – კერძოდ, *commemoratio dei* ან *provocatio ad deum*.²³

საქართველოს კონსტიტუციამ აირჩია *nominatio dei*-ს მოდელი. „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი... ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“ – ნათქვამია საქართველოს ძირითადი კანონის პრეამბულაში. ღვთისადმი მიმართვას ვხვდებით კონსტიტუციის სხვა ნაწილებშიც, კერძოდ, პრეზიდენტის ფიცში (მ. 51., პ. 1.).

სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ინსტიტუციურსა და ფუნქციონალურ კავშირს აღიარებს დანიის, ფინეთის, შვეიცარიის რამდენიმე კანტონისა და საბერძნეთის კონსტიტუცია.²⁴ 2000 წლამდე შვედეთის ეკლესია სახელმწიფო ეკლესია იყო.²⁵ მართალია, შვედეთის ეკლესიამ ეს სტატუსი უკვე დაკარგა, მაგრამ დღესაც მჭიდრო კავშირი არსებობს მასსა და სახელმწიფოს შორის. სახელმწიფო ეკლესიის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შოტლანდიის ეკლესია.²⁶ ინგლისის ეკლესია Church of England დაარსების დღიდან (1534 წ.) ითვლება სახელმწიფო ეკლესიად.²⁷ დანარჩენი ეკლესიები ინგლისში არსებობენ კერძო სამართლის იურიდიული პირის სახით.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გამიჯვნის მოდელის შემთხვევაში რელიგიური გაერთიანება სარგებლობს კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით. ეს მოდელი მოქმედებს ჰოლანდიაში, ირლანდიაში, ამერიკაში. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის მოდელი ხელს არ უშლის რელიგიის განვითარებას. სახელმწიფოს რელიგიური ნეიტრალურობა, ასევე, არ გამორიცხავს პოზიტიურ დამოკიდებულებას რელიგიის მიმართ. სახელმწიფო ხელს უწყობს რელიგიურ გაერთიანებებს (ბელგია, იტალია, ლუქსემბურგი, ავსტრია, პორტუგალია და ესპანეთი).²⁸

²¹ Dreier (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Bd. 1, 3. Auflage, 2013, Präambel S.10.

²² იქვე, Rn. 32.

²³ იქვე.

²⁴ იქვე, გვ. 336.

²⁵ იქვე, გვ. 337.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ იხ. Dreier, H., Staat ohne Gott. Religion in säkularen Moderne, 2018.

რელიგიის მიმართ განსაკუთრებით კრიტიკული მოდელი, ე.წ. ლაიციზმი გვხვდებოდა საფრანგეთში.²⁹ თუმცა, ბოლო პერიოდში ლაიციზმის ტენდენცია საფრანგეთშიც რამდენადმე შესუსტდა და ერთგვარი მოდიფიკაცია განიცადა.³⁰ ფრანგულ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაში სულ უფრო ძლიერდება თანამშრომლობის ელემენტები, რაც ასახვას პოულობს, მაგალითად, საგადასახადო შეღავათების დადგენაში, კერძო კათოლიკური სკოლების სუბვენციონირებაში და სხვ. ლაიციზმის ცნების გარშემო გააქტიურდა დისკუსია ფრანგულ სამეცნიერო ლიტერატურაში.³¹

ევროპული კონსტიტუციები, როგორც წესი, პირდაპირ არ მიუთითებენ, თუ რას გულისხმობს „ღმერთის“ კონსტრუქცია – ქრისტიანულ ღმერთს, თუ ზოგადად ღმერთს, როგორც უზენაეს არსებას. ამ მხრივ გამონაკლისია ირლანდიის კონსტიტუცია, რომელიც პირდაპირ მიუთითებს იესო ქრისტეზე. ირლანდიის კონსტიტუცია, მართალია, იწყება ყოვლადწმინდა სამებისა და ქრისტესადმი მიმართვით, მაგრამ იურიდიულად მკაფიოდ გამოიხატავს ერთმანეთისაგან სახელმწიფოსა და ეკლესიას და კრძალავს ნებისმიერი რელიგიისათვის ფინანსურ მხარდაჭერას.³² საბერძნეთის კონსტიტუციაც, ასევე, მიუთითებს ქრისტიანულ ღმერთზე.

ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას ბევრი ქვეყანა მოითხოვდა ტექსტში ყოფილიყო მითითება ღმერთს ან ევროპის ქრისტიანულ მემკვიდრეობაზე. საბოლოოდ გაიმარჯვა საფრანგეთის პოზიციამ, რომელმაც მისი ლაიციზტური ტრადიციების გათვალისწინებით უარყო ღმერთს ან ქრისტიანობაზე მითითების აუცილებლობა.

ღვთისადმი მიმართვა არ არის კავშირში სახელმწიფოს თეოლოგიურ ან რელიგიურ ლეგიტიმაციასთან – ის მხოლოდ მიუთითებს, რომ არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგი დროებითია და წარმავალი, ხოლო ხელისუფლება და ხალხი შებოჭილია „ღვთის“ მეტაფიზიკური ინსტანციით და პასუხისმგებელია მის წინაშე.

რატომ უნდა კონსტიტუციამ ამ ინსტანციას ღმერთის სახელი? ის, რასაც სახელი არ აქვს, არ არსებობს. არ არსებობს ანონიმური პასუხისმგებლობაც. ერთადერთი სახელი, რომელიც შეიძლება დაარქვა იმ ტრანსცენდენტალურ ინსტანციას, რომელიც ადამიანსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე უფრო მაღლა დგას, არის მხოლოდ „ღმერთი“. ამ თვალსაზრისით, ღვთის ცნება არის სიმბოლო როგორც მორწმუნეთათვის, ისე მათთვისაც, ვისაც არ სწამს ღმერთი, მაგრამ არ უარყოფს პასუხისმგებლობას – მათ შორის, სინდისის წინაშე პასუხისმგებლობას.

ღვთის წინაშე პასუხისმგებლობის აღიარებით კონსტიტუცია ეწინააღმდეგება ადამიანური

²⁹ იქვე, გვ. 338.

³⁰ იქვე.

³¹ Robbers, G. Staat und Kirche in der Europäischen Union, 2. Aufl., 2005.

³² იქვე.

გონის თვითგაღმერთებას. საშიშია ისეთი პოლიტიკური და სულიერი კონსტრუქცია, რომელიც დასცინის ღმერთის წინაშე რიდის თეზას, ან უარყოფს ათასწლეულების კულტურული ისტორიის სიმბოლოებს და განვითარებას განიხილავს მხოლოდ ყოველდღიურობის მიმდინარე, ყოფითი პრობლემების ჭრილში (Udo die Fabio). ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი თეზა არის პოზიტიური გონების თეორიული აბსოლუტიზმის უარყოფა, რომელიც ბატონობს ჩვენს გონებაზე როგორც რაციონალიზმი (Klaus Schlaich). პასუხისმგებლობის დეფიციტმა შესაძლოა, საბედისწერო შედეგი იქონიოს პოლიტიკურ წესრიგზე. იქ, სადაც პარალიზებულია სოციალური კონტროლის ინსტიტუტები, ადამიანის ქცევა უკვე არაპროგნოზირებადი ხდება.

სახელმწიფო უნდა იყოს რელიგიისაგან გამიჯნული. რელიგიისაგან გამიჯნული სახელმწიფო, ამავე დროს, არ ნიშნავს „უღმერთო სახელმწიფოს“. ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა მუდმივად შეგვახსენებს ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ ადამიანობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ „უღმერთო დანაშაულებს“. ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა უარყოფს „ყოვლისშემძლე სახელმწიფოს“ იდეას. სახელმწიფოს ფაქტობრივი შესაძლებლობები ბღვარდადებულია ღვთისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობით. ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა, ამავედროულად, აფუძნებს დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის უფლებასაც. ადამიანებს აქვთ უფლება, დაუპირისპირდნენ არა ადამიანურ, არა -ჰუმანურსა და ტოტალურად უსამართლო სახელმწიფო რეჟიმებს.

ღვთისადმი აპელირება აყალიბებს ავტარკიული და ტოტალიტარული რეჟიმებისაგან დაცვის ერთგვარ გარანტიას. თუმცა, მხოლოდ რწმენა ვერ დაგვიცავს ტოტალიტარიზმისაგან. ძალადობა ხშირად განხორციელებულა რელიგიის სახელით და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიც ცხადყოფს, თუ როგორ შეიძლება რელიგია ინსტრუმენტალიზებულ იქნეს კონფლიქტის პროვოცირებისა და ტერორის „ლეგიტიმაციისათვის“.

ღვთის წინაშე პასუხისმგებლობა მოითხოვს არამართო პოლიტიკისა და რელიგიის გამიჯვნას, არამედ რელიგიური ფანატიზმის დაძლევასაც. არანაკლებ საშიშია ფუნდამენტალიზმიც. ფუნდამენტალიზმი ესწრაფვის საზოგადოების რთული, კომპლექსური ურთიერთობების გამარტივებას და ცდილობს, მკაფიო „ფრონტის ხაზი“ გაავლოს „ჩვენთანსა და „არაჩვენთანს“ შორის. ასეთი მიდგომა არ ტოვებს თავისუფალ ადგილს დისკურსის, კრიტიკისა და განსხვავებული შეხედულებისათვის. ფუნდამენტალიზმი შეიძლება უმრავლესობიდანაც მოდიოდეს. ქრისტე სწორედ უმრავლესობამ აცვა ჯვარს და ასევე უმრავლესობამ გაცვალა ის ბარაბაში. საზოგადოებრივი აზრიდან მომდინარე წნეხის დაძლევა უფრო რთულიცაა, ვიდრე სახელმწიფოს ტოტალიტარული სტრუქტურებისა. ღვთის წინაშე პასუხისმგებლობის კონსტიტუციური კონსტრუქცია ასეთი ტოტალიტარიზმის პრევენციასაც ემსახურება.

V. კონსტიტუციის ინტეგრაციული ფუნქცია

ღმერთის ცნება კონსტიტუციაში შეგნებულად არის ღიად დატოვებული. ამ ფორმით, საზოგადოების განსხვავებულ წევრებს, ჯგუფებს უფრო თავისუფლად და მარტივად შეუძლიათ მასთან იდენტიფიკაცია.³³ ღვთისადმი მიმართვის კონსტიტუციური მოდელი ისეა ფორმულირებული, რომ იძლევა მისი შინაარსის მუდმივი განახლების საშუალებას.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში ღვთისადმი მიმართვა ისეა ჩამოყალიბებული, რომ არ მიუთითებს საქართველო არის თუ არა ქრისტიანული სახელმწიფო. ისტორიული განმარტების გზით უნდა დავასკვნათ, რომ „ღვთის“ ცნებაში კანონმდებელი გულისხმობდა ქრისტიანულ ღმერთს. ამავე დროს, სისტემური და ტელეოლოგიური განმარტების გზით, „ღვთის“ კონსტიტუციური ცნება მოიცავს მუსულმანების, ებრაელებისა და სხვა რელიგიის ღმერთებსაც. ძირითადი კანონისათვის გადამწყვეტია რწმენის კულტურული, ღირებულებითი, და არა – წმინდა თეოლოგიური ასპექტები.

კონსტიტუციის მიზანია სოციალური მშვიდობა და ერთიანობა. ძირითადი კანონი ესწრაფვის სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების ინტეგრაციას და არა იზოლაციას ან გამიჯვნას. საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, სადაც რელიგია და სახელმწიფო გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ამავე დროს, „გამიჯნული“ არ ნიშნავს „დაპირისპირებულს“. სეკულარული სახელმწიფო არ არის „ათეისტური სახელმწიფო“. ნეიტრალურობა მოითხოვს, რომ სახელმწიფო ვერ ჩაერევა რელიგიურსა და მსოფლმხედველობრივ დავებში და ვერ იქნება მხარე. ამავე დროს, სახელმწიფო არ უნდა უწყობდეს ხელს ლაიციზმს ან რელიგიისადმი მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ღვთისადმი მიმართვით კონსტიტუცია არავის აიძულებს, აღიაროს ღმერთი და არც არავის ართმევს ღმერთს. ღვთისადმი აპელირებას არ აქვს ხელისუფლების ლეგიტიმაციის ფუნქცია. თანამედროვე ევროპული სახელმწიფოების ისტორია იწყება სწორედ იმ დროიდან, როდესაც რელიგიამ დაკარგა სახელმწიფოს ლეგიტიმაციის ფუნქცია (Böckenförde).

სახელმწიფოს ლეგიტიმაციის ერთადერთი წყაროა საქართველოს ხალხი, რომელიც მოიცავს იმ ნაწილსაც, ვისაც ღმერთი არ სწამს. კონსტიტუცია საქართველოს ყველა მოქალაქის ძირითადი კანონია, მიუხედავად მათი რელიგიური რწმენისა და აღმსარებლობისა. კონსტიტუცია ერთდროულად იცავს ქრისტიანების, მუსულმანების, ებრაელების ღმერთსაც. ძირითადი კანონი უნდა ასრულებდეს თვითიდენტიფიკაციის ფუნქციას თითოეული მოქალაქისათვის, მიუხედავად იმისა, არის ის მორწმუნე, ათეისტი თუ აგნოსტიკოსი. კონსტიტუციით დადგენილ წესრიგში ყველამ, მორწმუნემ და არამორწმუნემაც, თავი უნდა იგრძნოს, როგორც საკუთარ სამშობლოში.

³³ Mangoldt/Klein/Starck/, Rn. 17.

კონსტიტუციაში მოხსენიებული ღვთის იდეა აბსტრაქტულია. დისკრიმინაციული იქნებოდა კონსტიტუციის ტექსტში მხოლოდ ქრისტიანული ღმერთის მოხსენიება. თუმცა, ისტორიული განმარტების გზით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქართველოს ძირითადი კანონი „ღვთის“ ქვეშ მოიაზრებს ქრისტიანულ ღმერთს. ისტორიულად ქრისტიანობამ დიდი როლი შეასრულა ქართული იდენტობის ჩამოყალიბებაში. საქართველოს კონსტიტუციაც აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში.

VI. ღირებულებითი პლურალიზმი და ღია საზოგადოება

სახელმწიფოს ფუნქცია არ არის ღირებულებითი მასშტაბების დადგენა. არ შეიძლება, არსებობდეს „სახელმწიფო მორალი“. მაგრამ მხოლოდ ადამიანებიც ვერ დაადგენენ ღირებულებით მასშტაბებს. მართლწესრიგი და პოლიტიკური წესრიგი არ არის „უპირობო“ – კონსტიტუციაც ადგენს, რომ ადამიანები შებოჭილნი არიან წინასწარ მოცემული ღირებულებებით, პირველ რიგში, ადამიანის თავისუფლებებითა და უფლებებით. ადამიანი და ვერც ხალხის უმრავლესობა ვერ გააუქმებს ამ ღირებულებებს, რომელთა აღიარებაც, ასევე, არ არის დამოკიდებული უმრავლესობის ნებაზე.

რელიგიური პლურალიზმი ევროპული დემოკრატიისა და თანამედროვე სამართლებრივი წესრიგის საფუძველია. სწორედ ევროპული დემოკრატიის სეკულარულმა ხასიათმა გამოათავისუფლა ადამიანებში უზარმაზარი ენერჯია, წახალისა ინდივიდუალური ინიციატივა, პიროვნული პასუხისმგებლობა და თავისუფლება. შემთხვევითი არაა, რომ რწმენის თავისუფლება ერთ-ერთი პირველია თავისუფლების უფლებათაგან. რწმენის თავისუფლების ლოგიკური გაგრძელება იყო პოლიტიკური თავისუფლებაც – თუ მე შემიძლია, თავისუფლად განვსაზღვრო რწმენა, შემიძლია ასევე, თავისუფლად ავირჩიო პოლიტიკური ცხოვრების ფორმაც.

ამავე დროს დემოკრატია ვერ განვითარდება მხოლოდ სეკულარული საზოგადოების ბაზაზე. არც რელიგიისადმი დაპირისპირება ნიშნავს თავისუფლების იდეისადმი სამსახურს. საბჭოთა პერიოდის ათეისტური რეჟიმის და სხვა ტოტალიტარული სისტემების ისტორიული გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ღმერთის იდეის დევნას არ მოაქვს მეტი დემოკრატია. რელიგიასთან დაპირისპირებას და მასთან ბრძოლას, ისევე როგორც რელიგიურ კონფლიქტებს, ისტორიულად არც სეკულარიზაციამდე მიუყვანივართ.

VII. რელიგია როგორც კულტურის ნაწილი

კონსტიტუცია არ არის მხოლოდ იურიდიული დოკუმენტი – ის ასახავს კულტურულ მემკვიდრეობას და აყალიბებს ერის იმედის ფუნდამენტს (Peter Häberle). სამართალი ეფუძნება იმ კულტურულ წანამძღვრებს, რომელსაც ის თვითონ ვერ შექმნის.³⁴ ამ კულტურული წანამძღვრების ფორმირების პროცესში უდიდესი როლი ეკუთვნის ქრისტიანულ ტრადიციებს. ადამიანის უფლებების ევროპული გაგებაც, განსაკუთრებით ადამიანის ღირსება, ქრისტიანული, ანთროპოცენტრისტული მოძღვრების ტრადიციებზეა დაფუძნებული.³⁵

სამართლის ნორმა მოითხოვს მორალურ დასაბუთებას, ხოლო სახელმწიფოს იდეა – მორალურ მასშტაბებს, რომელზეც ორიენტირებული იქნება სამართლის ნორმა. თვითონ ეს მასშტაბი არ შეიძლება იურიდიულად იყოს ფორმულირებული. მორალის მოთხოვნები მუდმივად დარჩებიან ეთიკურ ნორმებად და მათი იურიდიულ ფორმაში მოქცევა არ ნიშნავს მორალური შინაარსის შეცვლას. სამართალი ვერ ჩამოაყალიბებს საზოგადოების ღირებულებით ფუნდამენტს. კონსტიტუცია არის ამ ღირებულებითი სისტემის ნაწილი, მაგრამ ის მხოლოდ ნაწილია. სამართალი ეფუძნება საზოგადოების ღირებულებით კონსენსუსს. საზოგადოების ღირებულებითი წესრიგი კი არ ეფუძნება მხოლოდ ღმერთის იდეას.

რელიგიას ადამიანები, პირველ რიგში, იმედთან აკავშირებენ. ამქვეყნიური პოლიტიკური წესრიგი არასრულყოფილია და წარმავალი, ხოლო ძალაუფლება კი – მოჩვენებითი. არათვრი ისე მალე არ ძველდება, როგორც პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, ადამიანებს აქვთ იმედი, რომ შესაძლებელია პოლიტიკური წესრიგის სრულყოფა, გაუმჯობესება, შეცდომების გამოსწორება და უფრო ჰარმონიული წესების ჩამოყალიბებაც. იმედი აფართოებს ადამიანის თავისუფლების არეალსაც. ფართო სივრცეში კი ყოველთვის უფრო თავისუფლად სუნთქავ და შევიძლია, უფრო დატკბე თავისუფლების განცდით.

პროგრესისკენ მიმავალ გზაზე არ არის აუცილებელი, დაუპირისპირდე ტრადიციებს ან ეცადო მათ განდევნას. ეს არამართო არაგონივრულია, არამედ არარეალურიც – როგორც ვერ გაექცევი საკუთარ ჩრდილს, ისე ვერ მოწყდები საკუთარ წარსულს, ტრადიციასა და ისტორიას.

თავისუფალი, ღია საზოგადოების ფორმირება არ ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ ნორმატიულ მასშტაბებსა და ღირებულებით ორიენტირებზე. პირიქით, ეს ორიენტირები უნდა ასრულებდეს ერთგვარი საყრდენის ფუნქციას და უნდა დაგვეხმაროს, რომ თავისუფლებისკენ მიმავალ რთულ გზაზე უფრო მყარად და იმედიანად ვიგრძნოთ თავი.

ღირებულებით ორიენტირებს მხოლოდ მორწმუნე ადამიანები არ საჭიროებენ. ეს

³⁴ იქვე.

³⁵ Benda, in Handbuch des Verfassungsrechts, 1. Auflage, 1983, Rn 6.

ორიენტირები აუცილებელია მათთვისაც, ვინც უარყოფს ღმერთის იდეას, მაგრამ არ უარყოფს პასუხისმგებლობას სინდისის წინაშე. ასეთი ორიენტირები საჭიროა როგორც პოლიტიკურ, ისე ყოველდღიურ, ინტერ-პერსონალურ ურთიერთობებშიც.

მარტოოდენ მსოფლმხედველობრივი, რელიგიური პლურალიზმი და ტოლერანტობა არ კმარა საზოგადოების ერთიანობის ჩამოსაყალიბებლად. ეს ერთიანობა შეიძლება დაეფუძნოს მხოლოდ თანხმობასა და ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსს. კონსენსუსის მიღწევის ერთადერთი გზა არის თავისუფალი დისკურსი, რომელშიც თითოეულს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია. თავისუფალი დისკურსი უზრუნველყოფს „განსხვავებულობათა“ თანაარსებობას და გაუცხოების დაძლევას. მხოლოდ თავისუფალ, აქტიურსა და საზოგადოებაში ინტეგრირებულ მოქალაქეებს შეუძლიათ იკისრონ პასუხისმგებლობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

Law and Religion „in the Post-Secular Society”

Gia Khubua

Resume

The state is a state of “all”, regardless of belief or religion. The state should be a means of self-identification for all its citizens. Any interference by the state in the field of religion will limit personal autonomy. State intervention in the field of religion also includes great risks of being transformed into an ideology of religious doctrine. The separation of state and church is, in essence, based on the Bible: “Then give back to Caesar what is Caesar’s, and to God what is God’s” (Luke Gospel, 20, 25.).

Modern law seeks a kind of liberation from its religious and historical roots. However, the separation of religion and state does not mean that religion has completely lost its influence on the state. Religion cannot be “expelled” from public and social structures, and it will remain a considerable force for a long time.

Religious pluralism is the basis of European democracy and the modern legal order. It was the secular nature of European democracy that gave people tremendous energy, encouraged individual initiative, personal responsibility and freedom.

სამოსამართლო კონსტიტუციონალიზმი: დაბალანსება და პროპორციულობის ტესტი

გიორგი გოგიაშვილი

შესავალი. 1. პროპორციულობა და სამართლიანობა. 2. კონსტიტუციურ ფასეულობათა კორიზონტალური გავრცელების სტრატეგია, როგორც იურიდიული გადანწყვეტილებების მიღების ახალი იდეოლოგია. 3. პროპორციულობის კონსტიტუციური საფუძვლები. 4. მიზნის ლეგიტიმურობა. 5. დასაბუთებულობა და რელევანტურობა. 6. აუცილებლობა. 7. ბალანსირება. 8. რა შემთხვევაშია გააჩნია კონსტიტუციურ უფლებებს სამოქალაქო პროცესთან, რომელშიც მონაწილეობენ მხოლოდ კერძო პირები? 9. სამოქალაქო სამართლის ავტონომია. 10. კონსტიტუციური უფლებების ირიბი ეფექტი გერმანიაში, „Mittelbare Drittwirkung“. 11. სახელმწიფო მოქმედებათა დოქტრინა (State action doctrine) ამერიკის შეერთებულ შტატებში. რეზიუმე. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

„– არსებობს უაღრესი განსხვავება, როდესაც კერძო ინტერესებთან კონკურირებად სახელმწიფოებრივ აუცილებლობას აფასებენ სახალხო წარმომადგენლები... და იმას შორის, როდესაც იმავეს აკეთებს სასამართლო“.¹

Antonin Scalia

შესავალი

მსოფლიოს წამყვანი კონსტიტუციონალისტების შეფასებით, თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი იმყოფება გლობალიზაციის ეტაპზე. იგი სცდება სუვერენული სახელმწიფოების ფარგლებს და გადაიქცევა საერთო საქმედ. ბევრ ქვეყანაში კონსტიტუციური სამართალი სულ უფრო მეტად უახლოვდება ერთსა და იმავე მოდელს. ეს საერთო მოდელი უპირველესად მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის ორეტაპიან სისტემას, სასამართლო კონტროლის სქემასა და ადამიანის უფლებათა ირგვლივ წარმოშობილი კონფლიქტების გადანწყვეტის დოქტრინას, რომელიც პროპორციულობის დოქტრინის სახელით არის ცნობილი. მისი გავრცელება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში ძალიან სწრაფად მოხდა, რამაც წარმოშვა გლობალური კონსტიტუციონალიზმის საერთო წესები, რომელსაც დევიდ ლოუ მოიხსენიებს განზოგადებული კონსტიტუციონალიზმის სახელით.² დევიდ ბიტი (Beatty) ამტკიცებს, რომ პროპორციულობის პრინციპი არის „სამართლის უკიდურესი უზენაესობა“, იგი წერტილს უსვამს კონსტიტუციის ინტერ-

¹ Hamdi v. Rumsfeld, 542 U.S. 507, 28 June 2004.

² Choudhry S. Globalization in Search of Justification: Toward a Theory of Comparative Constitutional Interpretation// Indiana Law Journal. Vol. 74. 1999. No. 3. P 819; Ackerman B. The Rise of World Constitutionalism // Virginia Law Review. Vol.83. 1997. No. 4. P.771-798; Walker N. Postnational constitutionalism and the Problem Translation//European Constitutionalism Beyond the State//Ed. By J. H. Weiler, M. Wind. Cambridge; New York: Cambridge University press, 2003. P. 27.

პრეტაციის შესახებ დავას და ასრულებს კონსტიტუციური სამართლის ისტორიას. პროპორციულობის პრინციპი არის პასუხი უნივერსალურ სამართლებრივ პრობლემაზე.³

პროპორციულობის ტექსტს, როგორც აღინიშნა, გააჩნია ორეტაპიანი სტრუქტურა. პირველ ეტაპზე უნდა დავადგინოთ, რომ მთავრობის ქმედებებით შეზღუდული აღმოჩნდა ესა თუ ის უფლება. მეორე ეტაპზე მთავრობამ უნდა გვიჩვენოს, რომ იგი ისახავდა რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს და შეზღუდვა იყო პროპორციული ამ მიზნისა. ამის შემდეგ გადავდივართ პროპორციულობის ტექსტზე, რომელიც მოიცავს სამ კრიტერიუმს: პირველ რიგში, საშუალება გამოყენებული მთავრობის მიერ მიზნის მისაღწევად უნდა იყოს მიზნის მიღწევის საშუალება (*შესაფერისობა*); მეორე რიგში, ყველა შესაბამისი შესაძლებლობიდან არჩეული უნდა იყოს ის საშუალება, რომელიც ყველაზე უფრო ნაკლები ხარისხით ზღუდავს კერძო პირის უფლებას (*აუცილებლობა*) და მესამე, კერძო პირისათვის მისი უფლების შეზღუდვით მიყენებული ზიანი პროპორციული უნდა იყოს მთავრობის ინტერესისა დასახული მიზნის მიღწევასთან მიმართებაში (*პროპორციულობა შეზღუდული თვალსაზრისით*).⁴

ანდრეას ფოსსკულე (Voßkuhle), გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გვთავაზობს შემდეგ შეფასებით სკალას:

ა) გამოსადეგი/შესაფერისია საშუალება, თუ მისი მეშვეობით შესაძლებელია სასურველი მიზნის მიღწევა;

ბ) შერჩეული საშუალების აუცილებლობას ადგილი აქვს, თუ არ არსებობს რომელიმე სხვა, ერთნაირად გამოსადეგი, მაგრამ უფრო ნაკლები ხარისხის სიმძიმის საშუალება (უფრო რბილი საშუალების არჩევანი);

გ) თანაზომიერად (ვინრო გაგებით, ე.ი. პროპორციულად) ითვლება საშუალება, თუ ინდივიდის შებოჭვის ხარისხი თანაზომიერია დასახული მიზნისა და მისი საშუალებით მთელი საზოგადოებისათვის უპირატესობების მიღებისა. საჭირო ხდება ყოველმხრივი შენონილობის ტექსტის გამოყენება დაინტერესებულ პირზე ზემოქმედებასა და მეორე მხრივ, მის საპირისპირო საჯარო ინტერესს შორის.⁵

1. პროპორციულობა და სამართლიანობა

პროპორციულობის ტექსტს გააჩნია დიდი ფასეულობა, იგი უკეთ ეხმარება მოსამართლეებს სწორი დასკვნების გაკეთებასა და მიღებული გადაწყვეტილებების სტრუქტურირებაში, ხდის სასამართლო პროცესს უფრო გამჭვირვალეს, ანიჭებს სასამართლო გადაწყვე-

³ Beatty D. The Ultimate Rule of Law. Oxford; New York: Oxford University press, 2004.

⁴ Alexy R. A Theory of Constitutional Rights. Oxford; New York: Oxford University press, 2002; Kumm M. What Do You Have in Virtue of a Constitutional Rights : On the Place and Limits of the proportionality Requirement //Law, Rights; Discourse: Themes of the Work of Robert Alexy/Ed. By G. Pavlakos. Oxford, Portland: Hart Publishing, 2007.

⁵ Voßkuhle A. Juristische Schulung Bd. 47. 2007. S. 429-431.

ტილებებს მეტ ლეგიტიმურობას და ახდენს საუკეთესო მარეგულირებელ და პრევენციულ ზეგავლენას საზოგადოებასა და მთავრობაზე.⁶

შედგად, მთელს მსოფლიოში მოსამართლეები რეგულარულად იკრიბებიან კონფერენციებზე და მართავენ დიალოგს, უზიარებენ თავიანთ სამოსამართლო შეხედულებებსა და პრაქტიკაში იყენებენ ერთმანეთის გამოცდილებას, რაც იწვევს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების სასამართლო პრაქტიკის უნიფიცირებას. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პროპორციულობას განიხილავს როგორც სახელმწიფოსაგან დაცვას, როგორც ისეთი პრობლემატური საკითხის გადაწყვეტას, ხომ არ ამეტებს სახელმწიფო ჩარევის დასაშვებ საზღვრებს ან პირიქით, ყველაფერი გააკეთა კი მან, რაც მის შესაძლებლობებში იყო, რათა დაეცვა სადავო უფლებები და ინტერესები.⁷

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ პროპორციულობამ არა მხოლოდ შეაკავოს სახელმწიფო ზედმეტი ჩარევისაგან, არამედ იგი ასევე მოითხოვს, რომ ადგილი ჰქონდეს სათანადო ჩარევას იმ შემთხვევებში, როდესაც მოითხოვება კონკურირებადი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მაგ. საკონსტიტუციო სასამართლომ ორჯერ უარყო პარლამენტის მიერ მიღებული კანონი აბორტის შესახებ, ვინაიდან მიიჩნია, რომ არასათანადოდ იცავდა ჩანასახის ინტერესებს.⁸

მიიჩნევენ, რომ პროპორციულობის პრინციპი ცნობილი იყო მანამდეც, ვიდრე იგი კონსტიტუციური პრინციპი გახდებოდა. იგი მნიშვნელოვან როლს იკავებდა სამართლიანობის კონცეფციებში. არისტოტელეს თქმით, სამართლიანობა დაკავშირებულია პროპორციულობასთან. მისი თქმით, სამართლიანობა პროპორციულობაა, ხოლო უსამართლობა ის, რაც არღვევს პროპორციულობას.⁹

პოლიციის უპირველესი ვალდებულებაა საზოგადოების უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა. მეორე მხრივ, ადამიანის სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება უნდა იყოს დაცული ნებისმიერი პირის, მათ შორის პოლიციის ჩარევისაგანაც. ეს ორი წინაპირობა ქმნის დილემას, შეუძლებელი ხდება ორივე ინტერესის თანაბარი დაცვა.

⁶ M. Cohen-Eliya, I. Porat American Balancing and German Proportionality: The Historical Origins//international Journal of Constitutional Law. Vol. 8, 2010. No. 2. P. 263-286.

⁷ Slaughter A.-M. Judicial Globalization//Virginia Journal of International Law. Vol. 40. 2000. No. 4. P. 11103-1124; Slaughter A.-M. Global Community of Courts // Harvard International Law Journal. Vol.44. 2003. P.191

⁸ Abortion Case 1, BVerfGE 39, 1, 1974; Abortion Case 2, BVerfGE 88, 1, 1993.

⁹ Aristotle, Nicomachean Ethics. Book 5, 1131 B (15)// The Complete works Of Aristotle//princeton University press, 1995.

2. კონსტიტუციურ ფასეულობათა ჰორიზონტალური გავრცელების სტრატეგია, როგორც იურიდიული გადაწყვეტილებების მიღების ახალი იდეოლოგია

კონსტიტუცია არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფო წყობილების დანესებით, ის იძლევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა გარანტიებს, აცხადებს საკუთრების თავისუფლებას, სოციალური ჯგუფების გაერთიანების უფლებას, სიტყვის თავისუფლებასა და ა.შ. კონსტიტუცია, უპირველესად იურიდიული დოკუმენტია იმ აზრით, რომ ყოველ მოქალაქეს შეუძლია დაეყრდნოს მას სასამართლოში თავისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვაში. XXI საუკუნის დასაწყისში ცენტრალური ევროპის ქვეყნებში განვითარდა საინტერესო პროცესი საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ კონსტიტუციურ ფასეულობათა გათავისებისა და საკონსტიტუციო სასამართლოებთან მათი მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ, რამაც დაასუსტა სამართალთან მიმართებაში გაბატონებული ტექსტუალური პოზიტივიზმი და კანონის დოგმატიკა და შეარყია სასამართლო გადაწყვეტილებათა პოსტკომუნისტური იდეოლოგია. ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლო ანხორციელებს სასამართლო ზედამხედველობას, ერთი მხრივ, როგორც სამართლებრივი ნორმების კონსტიტუციურობაზე, ასევე საერთო სასამართლოების ცალკეული სამოსამართლო გადაწყვეტილებებზე. გერმანიის ძირითადი კანონის კონსტიტუციური ფასეულობების ეროვნულ მართლწესრიგში ტრანსპლანტაციის სისტემა (Ausstrahlungswirkung) გაიზიარა ჯერ ესპანეთმა, გენერალ ფრანკოს რეჟიმის უარყოფისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, მოგვიანებით კი ჩეხეთის კონსტიტუციამ, ვაცლავ ჰაველის მეთაურობით, კომუნისტური რეჟიმისა და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად. კონსტიტუციური სამართლის მთელ სისტემაში „გავრცელების“ დოქტრინა მიზნად ისახავს ძირითადი უფლებების ჰორიზონტალურ დანერგვას „მესამე მხარის“ ეფექტის გამოყენებით. ამ დოქტრინის მიხედვით, პირველ რიგში, მოსამართლე ვალდებული გახდება, ყურადღება გაამახვილოს კონსტიტუციური ნორმების ზეგავლენაზე თვით კერძო-სამართლებრივი დავების გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი, ვინაიდან ამ კუთხით მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაექვემდებარება საკონსტიტუციო ზედამხედველობას.

მთლიან სამართლებრივ სისტემაზე ძირითადი უფლებების გავრცელება მოასწავებს, რომ მრავალ საქმეს, თუნდაც ისეთებს, რომლებიც მარტივად, ერთი შეხედვით (prima Facie), რეგულირდება მიმდინარე კანონმდებლობით, სინამდვილეში გააჩნია კონსტიტუციური პარამეტრები და შესაძლო შეუთავსებელი კონსტიტუციური უფლებები.

ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის მაინც რთული გამოდგა სასამართლო გადაწყვეტილებათა ამ რთული პროცესისადმი უარყოფითი განწყობების დაძლევა. საერთო იურისდიქციის მოსამართლეები არ იყენებენ ძირითადი უფლებების, ე.წ. „მესამე მხარის ეფექტს“, უპირატესობას ანიჭებენ შესაბამისი კანონების ტექსტის

განმარტებას კონსტიტუციური პრინციპებისა და ფასეულობების გათვალისწინების გარეშე. სასამართლოები, როგორც წესი, არ მისდევენ საკუთარი გადაწყვეტილებების კონსტიტუციურ დასაბუთებას, მისდევენ კანონს სიტყვასიტყვით, საბოლოო ჯამში, სერიოზულად ვერ აღიქვამენ ძირითად უფლებებსა და ფასეულობებს. ძირითადი უფლებების გავრცელების გერმანული დოქტრინა მიზანად ისახავს მათ საყოველთაო გამოყენებას მთელ სამართლებრივ სისტემაში, სამართლის ყველა სუბიექტის მიერ: მხარეები და მათი ადვოკატები, საერთო სასამართლოს მოსამართლეები. თუ ეს წესი შემოიფარგლებოდა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს დონით, კონსტიტუციის ასეთი ქვეტექსტი საეჭვო ხდება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა და სავალდებულო ძალისა და პრეცედენტების საკითხი ხდება ქვეყანაში „ახალი კონსტიტუციონალიზმის“ დანერგვის საკვანძო თემა, რომლის მიზანია ძირითადი უფლებების „ჰორიზონტალური ეფექტის“ გამოწვევა.

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ განაცხადა, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოებისათვის კონსტიტუციური პრეცედენტების სავალდებულო ძალა არის საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობის აუცილებელი პირობა, მისი „condition sine qua non“. ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ ყველგან ერთი და იგივე არგუმენტაცია გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალის წინააღმდეგ. კონტინენტური სისტემის მოძველებული კლიშეს მიხედვით, პოზიტივიზმის ფილოსოფია გამორიცხავს სასამართლო გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალას, მეორე მხრივ ოპონენტები პრეცედენტის მავალეებელ ძალას აღიქვამენ, როგორც რაღაც აბსოლუტურს, უტოლებენ მას საკანონმდებლო აქტების სავალდებულო ძალას. პრეცედენტის სავალდებულო ძალის პრინციპის მოქმედება კი უფრო მოქნილი და რთულია.

სინამდვილეში ძირითადი უფლებების გავრცელება სამართლებრივ სისტემაზე მოასწავებს იმას, რომ ბევრი საქმე, რომელიც რეგულირდება ერთი შეხედვით, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო კანონმდებლობის მიერ, სინამდვილეში ფლობს კონსტიტუციურ პარამეტრებს, რომელთა დაცვის გარეშეც შეუძლებელია კონკრეტული დავის სამართლებრივი გადაწყვეტა. მაგ. სამოქალაქო კოდექსის დიფამაციისა და შეურაცხყოფის ნორმების გამოყენებისას სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ სიტყვის თავისუფლების გარანტიები, რომლებიც ამ ნორმების საპირისპიროდ გამოიყენება. ამ კონსტიტუციური ნორმების იგნორირება მიგვიყვანდა სიტყვის თავისუფლების ლიკვიდაციამდე.

კონსტიტუციის არსი მდგომარეობს არა მხოლოდ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეგულირებაში, ასევე ხელისუფლების გადაწყვეტილებებისადმი კანონიერი ძალის მინიჭების პროცესსა და ინსტიტუციურ მექანიზმში, ასევე სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალდებულებაში, განმარტონ და გამოიყენონ კანონი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გათვალის-

წინებით. ამ შემთხვევაში, ეს აღნიშნავს საერთო სასამართლოების ვალდებულებას, განმარტონ სამოქალაქო ან სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული დებულებები კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების არსისა და მიზნის მიხედვით. „გავრცელების დოქტრინა“ გულისხმობს კონსტიტუციური სამართლის გამოყენებას მთელ სამართლებრივ სისტემაზე; იგი ავალდებულებს, პირველ რიგში, მოსამართლესა და იურიდიული პროცესის სხვა სუბიექტებს, გაითვალისწინონ კონსტიტუციური უფლებების გავლენა კერძო სამართლის ნორმებზეც მათი ინტერპრეტაციისას.

3. პროპორციულობის კონსტიტუციური საფუძვლები

თანამედროვე კონსტიტუციები, ერთი მხრივ, შეიცავენ უფლებათა ბილს, რომელიც მოქალაქეებისა და ასევე სხვა პირებისათვის ადგენს სხვადასხვა უფლებებსა და თავისუფლებებს. ამასთანავე, ეს კონსტიტუციები კანონმდებელს ანიჭებენ უფლებას, შეზღუდონ ეს უფლებები და თავისუფლებები, რათა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელისუფლება ჩაერიოს მათ გამოყენებაში. აქ წარმოიშობა დილემა: როგორ მოვარიგოთ ეს ნორმები? მიზნებისა და უფლებების პროპორციულობის პრინციპი ემსახურება ამ პრობლემის რეგულირებას. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ასევე საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებები უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასა და მათ განხორციელებაში ჩარევაზე წარმოადგენს იმ ძირითად სამართლებრივ სფეროს, სადაც ამ პრინციპის გამოყენება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარეობს ამ პრინციპის კონსტიტუციური ფუნდამენტურობა, მან უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ზედმეტი შეზღუდვისა და ჩარევისაგან. გერმანელი კონსტიტუციონალისტები მიიჩნევენ, რომ პროპორციულობის პრინციპი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისაგან (Rechtsstaat), რომელიც განმტკიცებულია კონსტიტუციით და რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს ყველა ქმედება შეთანხმებული უნდა იქნას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პრინციპთან, ამასთანავე რეგულირებული უნდა იყოს კანონით და კონტროლირებული სასამართლოების მიერ.¹⁰

როგორც ბერნჰარდ შლინკი (Schlink) აღნიშნავს, თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ არსებობს პროპორციულობის პრინციპის მესამე საფუძვლილი: და ეს თავად სამართლის ბუნებაა. ამ თვალთახედვით, პროპორციულობის პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზოგადი პრინციპია, რომლის გარეშეც სამართალს არ შეუძლია არსებობა.¹¹

რობერტ ალექსი (Alexy) მიიჩნევს, რომ თავად კონსტიტუციაში მოცემული ფუნდამენტური

¹⁰ Dreier H.//Grundgesetz Kommentar. Bd, 1:Art. 1-19/ Aufl. 2004. Kommers D. The Constitutional Jurisprudence of the Federal Republic of Germany. 2nd ed. Durham: Duke University Press, 1997. p. 46.

¹¹ Бернард Шлинк, К проблеме баланса фундаментальных прав и общественных целей / Сравнительное конституционное обозрение.– 2012. – № 2 (87).

უფლებებია პროპორციულობის პრინციპის კონსტიტუციური საფუძველი, ვინაიდან ფუნდამენტური უფლებები ხშირად შედის კონფლიქტში სხვა პრინციპებთან, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს საქმიანობას დასახული მიზნების მიღწევას. კონფლიქტის გადაწყვეტის საუკეთესო გზაა ოპტიუმის მიღწევა, რომელიც დააკმაყოფილებს კონფლიქტის ორივე მხარეს, ხოლო თუ ეს ვერ მიიღწევა, უნდა მოხდეს ორივე პრინციპის დაბალანსება. კონსტიტუციები არ ახდენენ პრინციპების იერარქიას, შედეგად ყოველი კონფლიქტი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებასა და სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნის მიღწევის ინტერესს შორის გადაიქცევა თანაბარი დონის ძლიერი პრინციპების კონფლიქტად, ფუნდამენტური უფლებები აღმოჩნდება თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის დაკარგვის წინაშე. უფლებებისა და მიზნების პროპორციულობის პრინციპი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც გვიჩვენებს, რომელი შეზღუდვები და ჩარევების სახეები შესაძლოა ნებადართული იქნეს.¹²

მარკ ტაშნეტი (Tushnet) პარალელს ავლებს გერმანულ სამართალში გამოყენებულ პროპორციულობასა და ამერიკულ დაბალანსების დოქტრინას შორის. იგი აღნიშნავს, რომ პროპორციულობას გააჩნია სტრუქტურა, რაც დაბალანსების პროცესს აკლია. პროპორციულობის დოქტრინის მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ ის უფრო ობიექტური, მარტივი და გამჭვირვალეა.¹³

4. მიზნის ლეგიტიმურობა

გარკვეული ლოგიკა იმაშია, რომ ტესტი იწყება მიზნის ლეგიტიმურობის შეფასებით. თუ უფლებების შეზღუდვა არ ისახავს ლეგიტიმურ მიზანს, მაშინ საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ამ მიზნის მისაღწევად, შეუძლებელია, იყოს ლეგიტიმური. ფაქტების შესწავლა ხდება მანამ, სანამ გადავიდოდეთ ფასეულობათა ბალანსირებაზე. უფრო ადვილია, მივალწიოთ შეთანხმებას ფაქტებთან მიმართებაში, ვიდრე მივალწევდეთ ერთიანობას ფასეულობებთან მიმართებაში. ტესტირების ყოველი ეტაპი უფრო და უფრო რთულ საფეხურს წარმოადგენს. მომდევნო ნაბიჯი შეიძლება გადაიდგას, თუ წარმატებით იქნა დაძლეული ტესტირების წინა საფეხური. ხშირად უფლების შეზღუდვის მიზნების ლეგიტიმურობა განსაზღვრულია თავად კონსტიტუციის მიერ. კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. მაგ. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად,

¹² Alexy R. Balancing, Constitutional Review, and Representation//International Journal of Constitutional Law Vol. 3. 2005. No 4. P. 572.

¹³ მარკ ტაშნეტი, შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; თბ. 2016. გვ. 105-108.

დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუცია არ უშვებს უფლების შეზღუდვას და კრძალავს ამა თუ იმ ქმედების განხორციელებას, მაშინ ეს ქმედებები ვერ იქნება გამოყენებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. წამება საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობის თანახმად აკრძალულია ნებისმიერ შემთხვევაში, მისი გამოყენება დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არის ერთადერთი საშუალება მიზნის მიღწევისათვის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. ასეთი აკრძალვის შემთხვევებში პროპორციულობის ანალიზის კვლევა აზრს მოკლებულია და იგი უნდა შეწყდეს.

კანადის უზენაესი სასამართლოს სტანდარტით, „დასახული მიზანი უნდა იყოს მნიშვნელოვანად საჭირო იმისათვის, რათა დასაბუთდეს კონსტიტუციით დაცული უფლებების შეზღუდვა“.¹⁴

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოც აყენებს მსგავს მოთხოვნას, თუმცა მისი მიდგომა განსხვავებულია კანადური სტანდარტისაგან, იგი მოითხოვს, რომ „მიზანი მისი ლეგიტიმურობისათვის უნდა წარმოადგენდეს არსებით საზოგადოებრივ საჭიროებას, რომელიც დაასაბუთებს ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას დემოკრატიის ინტერესებისათვის“.¹⁵

5. დასაბუთებულობა და რელევანტურობა

დასახული მიზნის ლეგიტიმურობის საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული საშუალებათა და მოქმედებათა თანაზომიერების პრობლემა, რომელთა საშუალებითაც იგი მიიღწევა. ბერნჰარდ შლინკის არგუმენტაციით, გამოყენებული ზომა ან ქმედებები შეიძლება განვიხილოთ როგორც თანაზომიერი საშუალებები, თუ ისინი რეალურად არის ამგვარი. ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნამდვილად დასაბუთებული და გამოსადეგია მიზნის მიღწევისათვის. შლინკის მსჯელობით, წვლილი მიზნის მიღწევაში შესაძლებელია იყოს მნიშვნელოვანი ან მცირე, ყველას მიერ აღიარებული ან სადისკუსიოც, მაგრამ თუ

¹⁴ R. v. Oakes, I S.C.R. 103, 28 february 1986.

¹⁵ Jowell L. Beyond the Rule of Law: Towards Constitutional Judicial Review // public Law. 2000. P. 671-683.

გამოყენებულ ზომას ან ქმედებას საერთოდ არ შეუძლია შეიტანოს წვლილი დასახული მიზნის მიღწევაში, ეს ნიშნავს, რომ იგი ვერ განიხილება როგორც მიზნის მიღწევის საშუალება და შესაბამისად, იგი ვერ გადის პროპორციულობის ტესტის ამ ეტაპს. პროპორციულობის აღნიშნულ ანალიზს ხშირად უწოდებენ შესაბამისობის ან გამო-სადევგობის ტესტს და იგი დაკავშირებულია ემპირიულ შემონმებასთან.¹⁶

6. აუცილებლობა

ის, რომ აუცილებლობა ან ქმედება შესაბამისია დასახული მიზნის მისაღწევად, ეს აუცი-ლებლად არ ნიშნავს, რომ შერჩეული ღონისძიებები ერთადერთია ყველა შესაძლო ვარიანტიდან. შესაძლებელია, არსებობდეს სხვა საშუალებებიც, რომლებიც ნაკლებ სერიოზულ ჩარევას იწვევენ ადამიანის უფლებებში; ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოს არ აქვს არავითარი საფუძველი, გამოიყენოს ის საშუალება, რომელიც მეტ ჩარევას იწვევს, ხოლო საშუალებები, რომელიც დაკავშირებულია ნაკლებ სერიოზულ ჩარევასთან, უფრო შეესაბამება მოქალაქეთა ინტერესებს და ამასთანავე თანაბრად შეესაბამება სახელმწიფოს ინტერესებსაც. საშუალებები, რომელიც დაკავშირებულია მეტ ჩარევასთან, ხშირად საჭიროების გარეშე ზედმეტად დამამძიმებელია, ამიტომ ასეთი საშუალებები უნდა უარვყოთ, როგორც ზედმეტი და არასაჭირო და უნდა მოიძებნოს ნაკლებად დამთრგუნველი საშუალებები, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტის გადაწყვე-ტილების ოპტიმიზაციასთან.

პროპორციულობის ეს ეტაპი სახელდება აუცილებლობის ტესტით. ალტერნატიული საშუალებები უნდა იყოს ისეთი, რომლებსაც ნამდვილად შეუძლიათ დასახული მიზნის მიღწევა; ეს ტესტიც ემპირიული ხასიათისაა, ვინაიდან რამდენად წარმოადგენს ალტერ-ნატიული საშუალება ნაკლებ ჩარევას, შეფასებითი მსჯელობაა და ხშირად ასახავს იმ მხარის პოზიციას, რომლის უფლებებშიც მოხდა ჩარევა; მხარისათვის მნიშვნელოვანია ჩარევის ინტენსიურობა და არა მისი შეფასება დასახულ მიზანთან მიმართებაში.

7. ბალანსირება

ჩარევის შეფასება დასახულ მიზანთან მიმართებაში წარმოადგენს პროპორციულობის მომდევნო ეტაპის ნაწილს – ესაა მიზნებისა და უფლებების ბალანსირების საკითხი. ზომები, რომელიც იწვევს ნაკლებ ჩარევას, შესაძლოა, მაინც აღმოჩნდეს ზედმეტად შემზ-ღუდავი. ამგვარი ბალანსირება და უფლებებისა და მიზნების შენონილობა წარმოადგენს პროპორციულობის ანალიზის კულმინაციას, რომელიც პროპორციულობის, როგორც

¹⁶ Бернард Шлинк, К проблеме баланса фундаментальных прав и общественных целей / Сравнительное конституционное обозрение.– 2012. – № 2 (87).

ასეთის, ანუ პროპორციულობის შეზღუდული თვალსაზრისის ტექსტის სახელით არის ცნობილი. ბალანსირება მოიცავს არა ფაქტებს, არამედ, ფასეულობებსა და მსჯელობას მათზე, ამიტომაც ეს ეტაპი პროპორციულობის ანალიზში ხდება ყველაზე უფრო სადავო. ბერნჰარდ შლინკი დიღემას ამგვარად წარმოაჩენს: როგორ ავიცილოთ თავიდან, რათა არ გადაიქცეს უფლებებისა და მიზნების ბალანსირება სუბიექტივიზმის სათამაშო მოედნად. რამდენად ზუსტი შეიძლება იყოს უფლებებისა და მიზნების ბალანსირება? შეიძლება კი მიღწეული შედეგი ჩავთვალოთ ობიექტურად?¹⁷

რობერტ ალექსი შეეცადა, შეემუშავებინა ყველაზე უფრო დეტალური ალგორითმი.¹⁸ მისი სამეტაპიანი მიდგომა ბალანსირებისადმი მოიცავს, პირველ რიგში, ერთი მხარის მდგომარეობის გაუარესების ხარისხის განსაზღვრას იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული გამოვა მეორე მხარე; მეორე მხრივ, ამ მხარის მდგომარეობის გაუარესების ხარისხის განსაზღვრა, თუ გამარჯვებული გამოვიდოდა პირველი; მესამე, მსჯელობის გამოტანა იმის შესახებ, ერთ-ერთი მხარის გამარჯვება რამდენად არის მნიშვნელოვანი წაგებული მხარის მდგომარეობის გაუარესების გამართლებისათვის. რობერტ ალექსი გვთავაზობს, წაგებული მხარის სიტუაციის გაუარესების ხარისხი შევათვასოთ იმგვარი სკალის მეშვეობით, რომელიც განასხვავებს დაბალ, საშუალო და მაღალ ხარისხს; ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევადაროთ, ავწონოთ და საბოლოოდ დავაბალანსოთ კონფლიქტში მონაწილე მხარეთა ინტერესები.

ამ საკითხში ასევე მნიშვნელოვანია პოზიცია დევიდ მ. ბეტისა, რომელიც შეეცადა, უფლებებისა და მიზნების ბალანსირება გადაეყვანა სუბიექტურიდან ობიექტურ პროცესში, შეფასებითი მსჯელობის სფეროდან მიექცია იგი ფაქტების შეფასების სფეროში ტრანსფორმაციისაკენ.¹⁹

მან წამოაყენა იდეა, რომ მოსამართლეები კონფლიქტის გადასაწყვეტად აღიარებდნენ და იყენებდნენ იმ ფასეულობებს, რომელსაც პრაქტიკაში იღებს და აღიარებს როგორც მთელი საზოგადოება, ასევე ცალკეული მხარე განსახილველ კერძო შემთხვევაში. ზოგჯერ რთული განსასაზღვრელია საზოგადოება სინამდვილეში რას აფასებს და სცემს პატივს; მით უფრო, როდესაც საზოგადოება გაყოფილია, თუ რომელი უფლებები და ინტერესებია უფრო მნიშვნელოვანი და შესაბამისად, მიჩნეულ უნდა იქნას საერთოდ. ასეთ შემთხვევებში გამოსავალი არ არის საზოგადოების უმრავლესობის კონსენსუსი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე, ვინაიდან, როგორც წესი, უმცირესობასაც გააჩნია არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისად, უმრავლესობისაგან დაცვის უფლება. ასეთ

¹⁷ 17. Бернард Шлинк, К проблеме баланса фундаментальных прав и общественных целей / Сравнительное конституционное обозрение.— 2012. — № 2 (87).

¹⁸ Alexy R. The Construction of Constitutional Rights//Law&Ethics of Human Rights.Vol. 4. 2010. No. 1. P. 20.

¹⁹ Beatty D. Ultimate Rule of law. Oxford: New York: Oxford University Press. 2004. P. 169.

შემთხვევებში სასამართლოსათვის აუცილებელი ხდება, აწარმოოს თავისი საკუთარი შეფასება და პროცესის წარმოებისას ისევ სამოსამართლო მიხედულებას ვუბრუნდებით. უფლებებისა და მიზნების ბალანსირების პროცესი ხდება მეთოდოლოგიურად ბუნდოვანი. ბალანსირება დიდწილად არის სუბიექტური და პოლიტიკურიც.

როგორია პოლიტიკური თავისუფლების ფარგლები, რომლითაც აღჭურვილი უნდა იყოს კანონმდებელი დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შესაბამისი და აუცილებელ საშუალებათა შერჩევას? ვის ეკისრება ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი? ვის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოთ ეჭვი? სახელმწიფო ამტკიცებს, რომ ისახავს ლეგიტიმურ მიზანს, მაგრამ მოქალაქეს არ ესმის, რატომ უნდა შესწიროს საკუთარი თავისუფლება, თუ ეს შენირვა არც თუ ისე მკაფიოდ არ არის დაკავშირებული დეკლარირებულ მიზანთან. ეს საკითხები წამოჭრის ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოსა და მეორე მხრივ, პარლამენტისა და სხვა სახელისუფლებო ორგანოების ურთიერთქმედების საკითხს; ასეთ შემთხვევებში პირველხარისხიან მნიშვნელობას იძენს კონსტიტუციის დებულებების ანალიზი. ამ პრობლემათა თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. სახელმწიფოს, პარლამენტის სახით, დაეკისრა მესაკუთრის უფლებებში მისი ჩარევის აუცილებლობის მტკიცების ტვირთი.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრეზუმფციის კონსტიტუციურობის შემოწმების საკითხი იდგა საქმეში „ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მესაკუთრე აპელირებდა საკუთრების უფლებაზე, რომელიც დაცული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალა და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, დემოკრატიული საზოგადოების სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. განსახილველი დავის შემთხვევაში, დადგა სამართლებრივ ნორმათა შეფასებისა და ძალთა ბალანსის, მათი შეპირისპირების შეფასების საკითხი, რომელიც ეხება უზენაესი კანონის კონსტიტუციით დაცული საკუთრების უფლების გარანტიასა და კეთილსინდისიერი შემქმნის პრეზუმფციას.

არჩევანი მესაკუთრისა თუ უფლებების კეთილსინდისიერი შემქმნის პრიორიტეტულობასთან მიმართებაში გაკეთებულია კანონმდებლის მიერ. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის ჩანაწერზე, „შემქმნის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემქმნმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე“. ამავე კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს, რომ

„იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ამ თვალსაზრისით, განახორციელა კონტროლი სამოქალაქო სამართლის ნორმების შესაბამისობაზე საქართველოს კონსტიტუციის ნორმებთან.²⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, „იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო რეესტრის უზუსტობისას ნეგატიური შედეგები აუცდენელია როგორც ერთი, ისე მეორე მხარისათვის და საკითხის ნებისმიერი გადაწყვეტა შეიცავს რისკებს ამა თუ იმ მიმართულებით, იმ პირობებში, როდესაც უზრუნველყოფილია შემძენის მიერ გულისხმიერების გამოჩენის ვალდებულება და იმ ფაქტების (რეესტრის ჩანაწერის ხარვეზის ან საჩივრის წარდგენის ფაქტის ცოდნა) იგნორირების გამორიცხვა, რომელზეც შემძენს ინფორმაცია გააჩნია და, ამავე დროს, სადავო რეგულირებები შეეხება მხოლოდ საბაზრო გარიგებებს, კანონმდებელი უფლებამოსილია, უპირატესობა მიანიჭოს კეთილსინდისიერი შემძენის, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სიმართლის დაცვას. ამ პირობებში დადგენილი ბალანსი არ არის უსამართლო და არ ეწინააღმდეგება თანაბრობის პრინციპის მოთხოვნებს“.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო პროპორციულობას განიხილავს როგორც სახელმწიფოს ჩარევისაგან დაცვას, როგორც ისეთი საკითხების გადაწყვეტას, ხომ არ სცდება სახელმწიფო ჩარევის დასაშვებ საზღვრებს და გააკეთა თუ არა მან ყველაფერი, რაც მის შესაძლებლობებშია, რათა დაეცვა უფლება ან კანონიერი ინტერესი.²¹

ეს პრინციპი გვიცავს როგორც ზედმეტი ჩარევისაგან, ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს სათანადო ჩარევას იმ შემთხვევებში, როდესაც მოითხოვება კონკურირებადი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. ამ შემთხვევაში წამოიჭრება უფლებებისა და მიზნების ბალანსირების პრობლემა. მაგ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ორჯერ იქნა უკუგდებული პარლამენტის მიერ მიღებული კანონი, რამდენადაც არასათანადოდ იცავდა ნაყოფის ინტერესებს.²² განსხვავებულია ამ საკითხში კანადის უმაღლესი სასამართლოს პოზიცია, რომელსაც მიაჩნია, რომ სასამართლოს არ გააჩნია უფლება,

²⁰ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. დავის საგანი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

²¹ Grimm D. Proportionality in Canadian and German Constitutional Jurisprudence // University of Toronto law Journal. Vol.57.2007. No.2 P. 383-397.

²² 22. Abortion Case 1, BVerfGE 39, 1, 25 february 1974; Abortion Case 2, BVerfGE 88, 203, 22 May 1993.

შეცვალოს კანონმდებლის მიერ შეთავაზებული უფლებებისა და ინტერესების ბალანსი და რომ ეს ხელისუფლების სხვა შტოების კომპეტენციაა.²³ მოქალაქეებს შორის უფლებათა კონფლიქტის შემთხვევებში ეს ასპექტი უკანა პლანზეა გადასული.

8. რა შემხებლობა გააჩნია კონსტიტუციურ უფლებებს სამოქალაქო პროცესთან, რომელშიც მონაწილეობენ მხოლოდ კერძო პირები?

რა ურთიერთობაშია კონსტიტუციური უფლებები სამოქალაქო პროცესთან, რომელშიც კერძო პირები მონაწილეობენ? შეუძლია თუ არა ამ კერძო პირთაგან ერთ-ერთს სასამართლოში გაასაჩივროს მეორე კერძო პირის ქმედებებით თავისი კონსტიტუციური უფლებების დარღვევა? რამდენად მოიცავს კონსტიტუციური უფლებები კერძო პირთა ურთიერთობებს? რამდენად გააჩნიათ ამ უფლებებს პირდაპირი ჰორიზონტალური ეფექტი?²⁴

ტრადიციული გაგებით, კონსტიტუციური უფლებები წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან კერძო პირთა უფლებების ხელყოფის სანინაალმდეგო გარანტიას. მაგ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, საჯარო სამსახურში შესვლის უფლება, საჯარო ინფორმაციის მიღება ... და ა.შ., სადაც დამრღვევი შესაძლოა, იყოს მხოლოდ სახელმწიფო. მაგრამ სხვა მრავალი საერთო ხასიათის კონსტიტუციური გარანტია, რომელიც თანამედროვე კონსტიტუციათა განუყოფელი ნაწილია – სიცოცხლის უფლება, სიტყვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, კერძო საკუთრების უფლება, თანასწორობა, არადისკრიმინაცია და ა.შ., კონსტიტუციით დაცული ეს ინტერესები, შესაძლოა, დარღვეულ იყოს როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ, ასევე კერძო პირების მიერაც. თუ „ა“ მოკლავს „ბ“-ს, „ა“ დაარღვევს „ბ“-ს კონსტიტუციურ უფლებას, თუ „გ“ ჩაიდენს „დ“-ს ქონების ქურდობას, მაშინ „გ“ არღვევს „დ“-ს საკუთრების უფლებას. ამგვარად, კერძო პირები იმყოფებიან თუ არა იმ პირთა შორის, რომელთაც უკავშირდება კონსტიტუციური უფლებები?²⁵

ძირითადი უფლებები აწესრიგებს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობას. მისი მიზანია საჯარო ხელისუფლების შეზღუდვის გზით ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა. მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც ძირითადი უფლებები „მესამე პირის“ მიმართაც – კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლადაც მოქმედებს.²⁶

თუმცა ეს მოქმედება არ არის უშუალო, მას გაშუალებული, ირიბი მოქმედების ფორმა

²³ R. v. Edwards Books and Art LTD., 2 S. C. R. 713, 18 Decemeber 1986.

²⁴ Butler A. S. Constitutional Rights in Private Litigation : A Critique and Comparative Analysis// Anglo-American Law Review. Vol. 22. 1993. No.1.

²⁵ Kumm M., Comella V. F. What is so Special about Constitutional Rights in Private litigation?// The Constitution in Private Relations: Expanding Constitutionalism/ Ed. By A. Sajo, R. Uitz. Eleven International Publishing, 2005.

²⁶ Schwabe. Die sogenannte Drittwirkung der Grundrechte, 1971, S. 33; Dreier, in:Grundgesetz-Kommentar, ders. (Hrsg.), 2. Aufl., 2004, S100.

აქვს. ძირითადი უფლებები ირიბად მოქმედებს სამოქალაქო სამართალში ნორმების, განსაკუთრებით ზოგადი ცნებების განმარტების პროცესში, რადგან ამ დროს მათ ხსნიან ძირითადი უფლებების შესაბამისად. კერძოსამართლებრივ ურთიერთობას ძირითადი უფლებები კონკრეტულად ვერ მოაწესრიგებს, მაგრამ მათი მარეგულირებელი ნორმების ძირითადი უფლებების შესაბამისად განმარტება უზრუნველყოფს მათზე ძირითადი უფლებების ირიბ მოქმედებას.²⁷

საქართველოს კონსტიტუცია არ იძლევა პირდაპირ პასუხს ამ კითხვაზე. სხვა ქვეყნების კონსტიტუციური ტექსტების უმრავლესობა იმგვარადაა ფორმულირებული, რომ კონსტიტუციური უფლებების უმრავლესობათა დაცვის ვალდებულება მიკუთვნებულია მხოლოდ საჯარო ხელისუფლების და არა კერძო პირებისადმი. მხოლოდ კონსტიტუციათა მცირე ნაწილი იძლევა ამ საკითხზე დადებით პასუხს.

ზოგადი პრინციპის თანახმად, კონსტიტუციური უფლებები გვიცავს სახელმწიფოს მხრიდან ჩვენი უფლებების ხელყოფისაგან და წარმოადგენს კერძო პირების დაცვის გარანტიებს. უმრავლეს სახელმწიფოთა კონსტიტუციები მიუთითებს, რომ კონსტიტუციური უფლებების დაცვის ვალდებულება აკისრია საჯარო ხელისუფლებას და არა კერძო პირებს. გერმანიის ძირითადი კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „ძირითადი უფლებები სავალდებულოა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისათვის“. კანადის ქარტიამი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ აღნიშნულია, რომ იგი გამოიყენება „პარლამენტისა და კანადის მთავრობის მიმართ“.

საკონსტიტუციო სასამართლოების პოზიციით კონსტიტუციური უფლებები არ აკავშირებს ინდივიდებს უშუალოდ. კონსტიტუციური უფლებები განიხილება როგორც ინდივიდების გარანტია ხელისუფლების მხრიდან ხელყოფის დასაცავად და მათ არ აკისრიათ კერძო პირებისაგან დაცვის ფუნქცია. შესაბამისად, ფიზიკური პირები თავისი უფლებების დასაცავად მიმართავენ სამოქალაქო-პროცესუალურ შესაძლებლობებს. ამგვარად, კონსტიტუციურ უფლებებს არ გააჩნია პირდაპირი და ჰორიზონტალური ეფექტი. რატომ არის ეს ასე?

9. სამოქალაქო სამართლის ავტონომია

გერმანიასა და კანადაში მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციურ უფლებებს შეუძლიათ მხოლოდ ირიბი ზეგავლენის მოხდენა კერძო პირებს შორის აღმოცენებულ ურთიერთობებზე. მათ არ შეუძლიათ პირდაპირ დაეყრდნონ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს სხვა კერძო პირების მოქმედებათა გასასაჩივრებლად. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქ-

²⁷ „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, (თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი). თბ. 2013. გვ. 18-19.

ტიკით, გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლო ითვლისწინებს საჯარო ინტერესს კერძო პირებს შორის მიმდინარე სასამართლო პროცესში. რით განსხვავდება პირდაპირი და ირიბი ჰორიზონტალური ეფექტის მოქმედების შედეგები? როგორც ამ თემის მკვლევარებს – მათიას კუმს (Kumm), ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან და ვიქტორ ფერერა კომელას (Comella), ბარსელონის პომპეუს ფაბრის უნივერსიტეტიდან, ამ ქვეყნების პრაქტიკის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობთ მიაჩნიათ, რომ სხვადასხვაგვარად მუშაობს State action doctrine – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ირიბი ჰორიზონტალური ეფექტის დოქტრინა (the indirect horizontal effect doctrine) – გერმანიაში და კონსტიტუციური დოქტრინა – კანადაში.²⁸

რაც მათ საერთო აქვთ, ესაა კონსტიტუციური უფლებების ინდივიდებზე პირდაპირი ზემოქმედების უარყოფა. ამასთანავე, თითოეული დოქტრინა შეიცავს სხვადასხვა მექანიზმებს ასეთი ზემოქმედებისათვის.

10. კონსტიტუციური უფლებების ირიბი ეფექტი გერმანიაში, „Mittelbare Drittwirkung“

კონსტიტუციური უფლებები, რომლებიც გერმანიის ძირითად კანონშია განმტკიცებული, ძირითადად მიმართულია საჯარო ხელისუფლების მიმართ და არა უშუალოდ ინდივიდების მიმართ. სამოქალაქო სამართლის პოზიციით ინდივიდები არ არიან კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ადრესატები და ასეთს წარმოადგენს სახელმწიფო. კონსტიტუციური უფლებები ესაა ინდივიდების უფლებები სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დაცვაზე და არა სხვა ინდივიდებისაგან დაცვაზე. შესაბამისად, კონსტიტუციურ უფლებებს არ გააჩნიათ პირდაპირი ჰორიზონტალური ეფექტი. გერმანიის სასამართლოს პრაქტიკაში არ არის იმგვარი საქმეები, სადაც სასამართლო მიიჩნევდა, რომ კერძო პირები ერთმანეთთან კონსტიტუციური უფლებებით არიან პირდაპირ დაკავშირებულნი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციური უფლებები არ არის დაკავშირებული სამოქალაქო დავასთან. ლუტის საქმეში გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კერძო სამართლის განმარტებისას სასამართლო წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების ორგანოს, რომელიც ვალდებულია, დაიცვას კონსტიტუციური ნორმები ადამიანის უფლებების შესახებ.²⁹

კონსტიტუციური სამართალი, რაღა თქმა უნდა, პატივისცემით მიუდგება სპეციალური კანონმდებლობის მიერ შესაბამისი საკითხების რეგულირებას, მაგრამ კონსტიტუციური სამართალი, როგორც ქვეყნის უზენაესი სამართალი, ვალდებულია, გადაამოწმოს კანონმდებლობა, პრეცედენტები და დოქტრინა. მოქმედი კერძო სამართალი გამოყენებადი იქნება მხოლოდ იმ ხარისხით, რა დოზითაც მას შეეძლება დაანესოს გონივრული ბა-

²⁸ Kumm M., Comella V. F. What is so Special about Constitutional Rights in Private litigation?// The Constitution in Private Relations: Expanding Constitutionalism/ Ed. By A. Sajo, R. Uitz. Eleven International Publishing, 2005.

²⁹ Luth case, BVerfGE 7, 198.

ლანსი ერთმანეთის პირისპირ მყოფ უფლებებს შორის, სადაც თანაზომიერებას შეაფასებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც პასუხისმგებელია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფასეულობების დაცვაზე.

კუმისა და კომელას შეფასებით, როდესაც მოქმედი კერძო სამართალი აწესებს ინტერესების სწორ ურთიერთმიმართებას, მაშინ უნდა გავამართლოთ არსებული კერძო-სამართლებრივი ნორმები კონსტიტუციურ-სამართლებრივი პარადიგმის ჩარჩოში. თუ დავეუბნებით, რომ სახელშეკრულებო სამართალი გარკვეული დოზით არის ძალიან ლიბერტალიანული ან პატერნალისტურად ორიენტირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, მაშინ კონსტიტუციური უფლებები ქმნის იმგვარ სისტემას, რომლის ფარგლებშიც ეს კრიტიკა უნდა გადამოწმდეს.³⁰

ძირითადი უფლებები და ფასეულობები მთლიანი სამართლებრივი სისტემის გონს წარმოადგენს და აწესებს გარკვეულ მოთხოვნებს სამოქალაქო სასამართლოების მიერ კერძო სამართლებრივი ნორმების განმარტებისას. შესაბამისად, სასამართლომ უნდა განმარტოს კერძო სამართლის ნორმები, მათ შორის კოდექსის ზოგადი დებულებები იმ ძირითად ფასეულობებთან შესაბამისობაში, რომლებიც კონსტიტუციაშია განმტკიცებული. ეს ნიშნავს, რომ კერძო სამართალმა უნდა ასახოს ადეკვატური ბალანსი შესაბამის კონსტიტუციურ ინტერესებს შორის, რომლებიც სასწორზეა დადებული.³¹

რა ხდება მაშინ, როდესაც კანონი ნათელია და განსაკუთრებული განმარტება არ ესაჭიროება? რამდენად შეუძლია სამოქალაქო მოსამართლემ კონსტიტუციური პრინციპების იგნორირება მოახდინოს, როდესაც კერძო სამართლის ნორმები ნათელია? ამ შემთხვევაში მოსამართლეს თითქოს შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს, რომ კონკურირებადი ინტერესების ბალანსის რთული ამოცანა გადანყვეტილია თავად კანონმდებლის მიერ, რომელსაც არ დაუტოვებია ტექსტუალური ბუნდოვანება.

როგორც ექსპერტებს მიაჩნიათ, ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის კონსტიტუციური ინტერესები შესაძლოა, ადეკვატურად არ იქნეს გათვალისწინებული კანონის განმარტების საჭიროების არარსებობაზე მითითებით, რამდენადაც იგი ამ შემთხვევაში ნათელი და ზუსტია. ასეთ შემთხვევაში მოსამართლის როლი, ერთი შეხედვით, შეზღუდულია. უსამართლო და მევახშური ხელშეკრულების ვალდებულება ეწინააღმდეგება კერძო პირის კონსტიტუციურ უფლებას თავისუფლებაზე. კონსტიტუციურ უფლებებს, მართალია, არ გააჩნიათ პირდაპირი ჰორიზონტალური ეფექტი, მაგრამ თავისუფლების ფუნდამენტური მნიშვნელობა გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ სამართლის განმარტების სტადიაზე სასამართლოების მიერ, ის უპირველესად გათვალისწინებული უნდა იქნეს

³⁰ Kumm M., Comella V. F. What is so Special about Constitutional Rights in Private litigation?; Hager J. Grundrechte im Privatrecht//Juristenzeitung, 49. Jg.1994. S. 374.

³¹ Mephisto case, BVerf GE 30, 173.

კანონმდებლის მიერ კერძო სამართლის ნორმების დადგენისას.

საკანონმდებლო აქტები, მათ შორის კერძო სამართლის საკითხებზე, უდავოდ საჯარო სამართლის აქტებია; შესაბამისად, ისინი ექვემდებარება ზემოქმედებას კონსტიტუციური ნორმების მხრიდან. სამოქალაქო მოსამართლე დაარღვევს მხარის კონსტიტუციურ უფლებას, თუ იგი გამოიყენებს ისეთ კანონს, რომელიც ხელყოფს ამ უფლებას. მას არ შეუძლია, გააუქმოს საკანონმდებლო აქტი არაკონსტიტუციურობის მოტივით; ეს შეიძლება გააკეთოს მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლომ. მაგრამ როდესაც მოსამართლეს მიაჩნია, რომ კანონი არ შეესაბამება კონსტიტუციურ სტანდარტს, მან უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება და გამოაცხადოს ასეთი კანონი არაკონსტიტუციურად. თუ სამოქალაქო მოსამართლე არ მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას და დაასრულებს სამართალწარმოებას არა იმ მხარის სასარგებლოდ, რომლის უფლებებსაც არასამართლიანი კანონი ლახავს, მაშინ მოსარჩელე მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ როგორც სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოსამართლემ გამოიყენა, არღვევს მის კონსტიტუციურ უფლებებს.

საბოლოო ჯამში, კუმისა და კომელას დასკვნით, ჰორიზონტალური ეფექტის დოქტრინას იგივე შედეგები გააჩნია, მატერიალურ-სამართლებრივი და ინსტიტუციური, რაც პირდაპირი ჰორიზონტალური ეფექტის დოქტრინას. ორივე შემთხვევაში, სამოქალაქო სასამართლოებმა უნდა განმარტონ მოქმედი კერძო სამართალი კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად. როდესაც ეს შეუძლებელია საკანონმდებლო აქტების სიმუსტისა და არაბუნდოვანების გამო, სასამართლომ უნდა მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტს კონსტიტუციურ საკითხს და საფუძვლიანობის შემთხვევაში ცნობს სადავო კერძო-სამართლებრივ ნორმას უმოქმედოდ. სამოქალაქო დავის თითოეულ მხარესაც შეუძლია წარადგინოს კონსტიტუციური საჩივარი, რომლითაც განაცხადებს, რომ მისი კონსტიტუციური უფლებები დაირღვა და მოითხოვს კერძო სამართლის ნორმების ან სამოქალაქო სასამართლოების მიერ გაკეთებული განმარტებების კონსტიტუციურობის შემოწმებას.

მიუხედავად ცივილისტების ელიტის წინააღმდეგობისა, კონსტიტუციურად დაცული ინტერესების დიდი სფეროს გათვალისწინებით, კერძო სამართალი გერმანიაში გარკვეული დოზით გახდა გამოყენებითი კონსტიტუციური სამართალი. ამ ქვეყნის სამოქალაქო კოდექსის მთელი რიგი ნორმები, მაგ. შრომითი ხელშეკრულებების, ქირავნობის, ქორწინებამდელი შეთანხმებების შესახებ, ფორმულირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე. ამგვარად, კონსტიტუციური სამართლის ნორმებს კერძო სამართალში გააჩნიათ „რადიაციული ზემოქმედების“ ეფექტი.³²

³² Markesinis B. M. Privacy, Freedom of Expression and the Horizontal Effect of the Human Rights Bill: Lessons from Germany//Law Quarterly Review. Vol. 115. 1999. P. 47, 64; Hellner J. Unfair Contract Terms//Law and the Weaker Party: An Anglo-Swedish Comparative Study. Vol. 1: Swedish Experience/Ed. by A. C. Neal, Abingdon, Oxfordshire:

11. სახელმწიფო მოქმედებათა დოქტრინა (State action doctrine)

ამერიკის შეერთებულ შტატებში

როგორც ირკვევა, ის ფაქტი, რომ აშშ-ის კონსტიტუცია თავის ნორმებს აცხადებს მხოლოდ საჯარო ხელისუფლების მიმართ მოქმედებაში და არა კერძო პირების მიმართ, არ გამორიცხავს კერძო სამართლის დაქვემდებარებას მატერიალურ კონსტიტუციურ სტანდარტებთან, მათ შორის სამოქალაქო პროცესში. იურიდიული თვალსაზრისით, ძნელად წარმოსადგენია სიტუაცია, რომელშიც სახელმწიფო საერთოდ არ იქნებოდა ჩართული. მაგ. კერძო პირებს შორის დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისასაც კი სახელმწიფო ჩართულია ორ შემთხვევაში. პირველ რიგში, პოზიტივიზმის კონცეფციის თანახმად, სახელმწიფო არის იმ სამართლებრივი ნორმების წყარო, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ფიზიკურ პირებს, დადონ სავალდებულო ძალის მქონე კონტრაქტები.³³

სამოქალაქო სამართალი, როგორც სამართლის ნებისმიერი სხვა დარგი, ექვემდებარება კონსტიტუციას, როგორც სახელმწიფოს ძირითად კანონს. მეორე, სახელმწიფო სასამართლო ხელისუფლების სახით გამოდის არბიტრის როლში კერძო პირებს შორის ნამოჭრილ დავებში. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი სახელისუფლებო აქტებია.

აშშ-ს კონსტიტუციით დადგენილია, რომ სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების შტოა, რომლის მიმართაც მოქმედებას განაგრძობს კონსტიტუციური დებულებები. გერმანიის კონსტიტუციის პირველი მუხლის მესამე აბზაცში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ კონსტიტუციაში ასახული ძირითადი უფლებები სავალდებულოა სასამართლო ხელისუფლებისთვისაც. თუ კონსტიტუციის ტექსტში ნათქვამია, რომ კონსტიტუციური ნორმები ადამიანის უფლებების შესახებ მიმართულია მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, ეს ნიშნავს იმას, რომ კერძო პირები სხვა კერძო პირების ქმედებების გასაჩივრებისას ვერ შეძლებენ, უშუალოდ დაეყრდნონ კონსტიტუციურ უფლებებს. ასეთ შემთხვევებში კონსტიტუციური ნორმები არ გამოდგება სარჩელის აღძვრის საფუძვლად.

მაგრამ როდესაც დადგენილია კონსტიტუციის უზენაესობა ქვეყნის ყველა სხვა კანონების მიმართ, კონსტიტუციური უფლებების დასაცავად აუცილებელია, უზრუნველყოთ, რომ კერძო სამართალი, იქნება ეს სტატუტური თუ საერთო სამართალი, რომელიც

Professional Books, 1981; Tushnet M. The Issue of State Action/Horizontal Effect in Comparative Constitutional Law; //Harvard International Law Journal. Vol. 44. 2009. P. 199; Cheadle H. Third Party Effect in the South African Constitution// The Constitution in Private Relations: Expanding Constitutionalism/ Ed. By A.Sajo, R. Uitz. Eleven International Publishing, 2005.

³³ The public /Private Distinction and Constitutional Limits on Private Power// Constitutional Commentary. Vol. 10. 1993. P. 361(46)

გამოყენებულ იქნება კერძო პირებს შორის დავის გადასაწყვეტად, არ არღვევდეს კონსტიტუციის ნორმებს. ასეთ სიტუაციაში რამდენად შესაძლებელია გამოვიყენოთ State action doctrine? პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამერიკული დოქტრინა თამაშობს ისეთ როლს, რომლის ანალოგიც არ არსებობს არც გერმანიასა და არც კანადაში. რაც მას გერმანულსა და კანადურ მოდელთან აერთიანებს, ეს ისაა, რომ კონსტიტუციური უფლებები გამოიყენება მხოლოდ ისეთი სიტუაციების შესაფასებლად, რომელშიც გამოკვეთილია სახელმწიფოს ქმედებები და იგი არ წარმოადგენს მხოლოდ კერძო პირთა ურთიერთობებს. სახელმწიფო ქმედებების სავალდებულო არსებობა გამომდინარეობს აშშ-ს კონსტიტუციის ტექსტიდან: „არც ერთი შტატი..“ მაგრამ როგორც ამ თემის ექსპერტები მიიჩნევენ, აქ მსგავსება მთავრდება პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. სახელმწიფო მოქმედებათა დოქტრინის პრაქტიკაში გამოიყენება იმგვარი ფორმით, რომელიც არსებითად განასხვავებს კანადასა და გერმანიაში მოქმედ ირიბი ეფექტის კონსტრუქციისაგან – „Mittelbare Drittwirkung“.

როდესაც საქმე შეეხება კერძო პირთა საკონტრაქტო ვალდებულებებს, სასამართლო იყენებს შეზღუდულ მიდგომას, აწესებს სახელმწიფო მოქმედებების სავალდებულო არსებობის წინასწარ შემოწმებას, რომელიც ხშირად უარყოფს კანონის კონსტიტუციურ შეფასებას ინტერესების სათანადო ბალანსირების საკითხზე. შემოწმება საჯარო ხასიათის მოქმედებებზე წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კერძო პირი ასრულებს ფუნქციებს, რომლებიც „ტრადიციულად მიეკუთვნება სახელმწიფოს“. მაგ. თუ კორპორაცია მართულია მუნიციპალიტეტის მიერ, სასამართლო აფასებს მას, როგორც საჯარო ხასიათის მოქმედებებს, ხოლო თუ კერძო პირი ფლობს კომუნალურ სანარმოს, არა.³⁴

ურთიერთკავშირის შემოწმებისას დგინდება მჭიდრო კავშირის არსებობა სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედებებსა და კერძო პირის ქმედებებს შორის, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა, მიგვეკუთვნებინა ეს ქმედებები სახელმწიფოსათვის.

თუ ფაქტი სახელმწიფო ქმედებების შესახებ არ იქნა დადგენილი, მაშინ საკითხი კონსტიტუციური უფლებების შესახებ აღარ არის აქტუალური. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ, გერმანიისა და კანადის სასამართლოებისაგან განსხვავებით, რატომ მიიჩნია აუცილებლად სახელმწიფოებრივი ქმედებების დადგენა, რა მიზანს ემსახურება ეს დოქტრინა? სახელმწიფო ქმედებათა დოქტრინის მონინაალმდგეგთა აზრით, ასეთი ქმედებების დადგენა ყოველთვის არ ემსახურება (1) ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფას; (2) და არ იცავს შტატების ხელისუფლებას ფედერალური მთავრობის ჩარევისაგან. სამართალი, რომელიც გამოიყენებ აშშ-ის სამოქალაქო პროცესში, Common Law და მისი დამატებითი სტატუტური სამართალი უმეტესწილად მიეკუთვნება შტატების

³⁴ Jackson v. Metro Edison Co., 419 U. S. 352 (1974) (53). Marsh v. Alabama, 326 US. 501 (1946).

კომპეტენციას. ამ სამართლის დადგენასა და განვითარებას ახორციელებენ შტატების ლევისლატურები და სასამართლოები. შესაბამისად, State action doctrine გვევლინება ფედერალიზმის დამცველად, იცავს რა შტატებს შეუზღუდავი ფედერალური კონტროლისაგან.

სტივენ ქარდბაუმი მიიჩნევს, რომ კერძო სამართლის კანონმდებლობის კონსტიტუციური ზედამხედველობის განხორციელებისათვის სახელმწიფო ქმედებების დადგენა სულაც არ არის აუცილებელი. ამ სისტემის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ამ კონსტიტუციის უარყოფა გამოიწვევდა საჯარო და კერძო სფეროების აღრევას. არსებობს პირადი თავისუფლების გარკვეული სფერო, რომელიც არ უნდა შეიზღუდოს კონსტიტუციით და არ უნდა დაექვემდებაროს კონსტიტუციურ კონტროლს. ამასთანავე, დოქტრინა გაცილებით უფრო მეტი შინაარსის მატარებელია, ვიდრე კერძო სამართლის განმარტებაა, „როგორც ნეიტრალურისა და ბუნებითის“.³⁵

მოწინააღმდეგეთა აზრით, უნდა შევინარჩუნოთ კერძო სფერო, რომელიც თავისუფალი იქნება სახელმწიფო ზედამხედველობისაგან. რომ არა ეს დოქტრინა, მაგალითად, მოთხოვნა, რომ „ოფიციალური სადილი უნდა ჩატარდეს რასობრივი თანასწორობის პირობებში“, გავრცელდებოდა ყველა შემთხვევაზე და მისი დაუცველობა კონსტიტუციის დარღვევად იქნებოდა მიჩნეული.

ჩვენ მიერ განხილულ სამივე ქვეყანაში მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციური უფლებები არ შეიძლება ვალდებულებებს უწესებდეს კერძო პირებს, მაგრამ კონსტიტუციური უფლებები ყოველთვის შეიძლება გამოვიყენოთ კერძო სამართლებრივი კანონის საპირწონედ. State action doctrine გვაძლევს შესაძლებლობას, შევამოწმოთ (1) სახელმწიფოებრივი ქმედებებით დარღვეულია თუ არა ის ინტერესი, რომელიც დაცულია კონსტიტუციური სამართლის მიერ; თუ ასეთი კონსტიტუციური ინტერესი დარღვეულია ხელისუფლების ორგანოების მიერ, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ სამართლის დარღვევის ფაქტი დადასტურებულია. (2) სასამართლოების მიერ უნდა დადასტურდეს დაცული ინტერესის ხელყოფის საფუძვლიანობა.

ამასთანავე მკვლევარები პარადოქსულ დასკვნამდე მიდიან – აშშ-ს კერძო სამართლის კონსტიტუციონალიზაციის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ეს არის კანადასა და გერმანიაში. State action doctrine ინსტიტუციური თვალსაზრისით შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც საერთო სამართლის იმუნიტეტი კონსტიტუციური კონტროლისაგან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფო მოქმედებების ფაქტის დადგენის აშკარა საჭიროებას. ეს სამოქალაქო სასამართლოებს კარნახობს გარკვეულ აქცენტებს, მათ კერძო დავების განხილვისას უნდა მიმართონ უფლებების სისტემას მხოლოდ

³⁵ Sunstein C. The Partial Constitution. Cambridge: Harvard University Press, 1993, p. 115.

სერიოზული სამართლებრივი პრობლემების არსებობის შემთხვევებში. აშშ-ს უზენაესი სასამართლო State action doctrine გამოყენებით გამოჰქონდა გადაწყვეტილებები რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში; დღეისათვის აქტუალურია პრობლემები, დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი პროცედურების დაცვასთან და სიტყვის თავისუფლებასთან.

რეზიუმე

მსოფლიოს წამყვანი კონსტიტუციონალისტების შეფასებით, თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი იმყოფება გლობალიზაციის ეტაპზე. იგი სცდება სუვერენული სახელმწიფოების ფარგლებს და გადაიქცევა საერთო საქმედ. ბევრ ქვეყანაში კონსტიტუციური სამართალი უფრო მეტად და მეტად უახლოვდება ერთი და იმავე მოდელს. ეს საერთო მოდელი უპირველესად მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის ორეტაპიან სისტემას, სასამართლო კონტროლის სქემასა და ადამიანის უფლებათა ირგვლივ წარმოშობილი კონფლიქტების გადაწყვეტის დოქტრინას, რომელიც პროპორციულობის დოქტრინის სახელით არის ცნობილი. მისი გავრცელება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში ძალიან სწრაფად მოხდა, რამაც წარმოშვა გლობალური კონსტიტუციონალიზმის საერთო წესები, რომელსაც დევიდ ლოუ მოიხსენიებს განზოგადებული კონსტიტუციონალიზმის სახელით. დევიდ ბეტი (Beatty) ამტკიცებს, რომ პროპორციულობის პრინციპი არის „სამართლის უკიდურესი უზენაესობა“; იგი წერტილს უსვამს კონსტიტუციის ინტერპრეტაციის შესახებ დავას და ასრულებს კონსტიტუციური სამართლის ისტორიას. პროპორციულობის პრინციპი არის პასუხი უნივერსალურ სამართლებრივ პრობლემებზე.

Judicial Constitutionalism: Balancing and Proportionality Test

Giorgi Gogiashvili

Resume

According to the leading constitutionalists of the world, modern constitutional law is at the stage of globalization. It goes beyond the boundaries of sovereign states and becomes a common task. In many countries, constitutional law is increasingly approaching the same model. This general model primarily involves a two-stage system for protecting human rights, a judicial control scheme and a doctrine of resolving conflicts arising around human rights, known as the doctrine of proportionality. Its dissemination took place very quickly in various legal systems, which gave rise to the common rules of global constitutionalism, mentioned by David Loy as a generalized constitutionalism. David Beatty claims that the principle of proportionality is “the highest rule of law”, he puts an end to the dispute about the interpretation of the Constitution and implements the history of constitutional law. The principle of proportionality is an answer to the universal legal problem.

კონსტიტუციის ხარვეზები – კონსტიტუციონალიზმის პრობლემები

კონსტანტინე კუბლაშვილი

შესავალი

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის არსებობის არცთუ ხანგრძლივ ისტორიაში 2017 წელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში მეტნაკლებად პრინციპული ცვლილებები ადრეც განხორციელებულა (2004 და 2010 წლებში), მაგრამ თავისი მასშტაბურობით 2017 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციური კანონი¹ მნიშვნელოვნად აღემატება ყველა წინარე ცვლილებას. ეს ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე. შეიძლება ითქვას, რომ 17 დეკემბრიდან ჩვენი ქვეყანა სრულიად ახალ კონსტიტუციურსამართლებრივ რეალობაში აღმოჩნდა, რადგან კონსტიტუციის დებულებები შინაარსობრივად, სტრუქტურულად და რაოდენობრივად იმდენად შეიცვალა, რომ საქართველო კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა, ხოლო მუხლების რაოდენობა 109-დან 78-მდე შემცირდა. ცვლილებები შეეხო კონსტიტუციის ყველა თავს, განსაკუთრებით საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთავრობის უფლებამოსილებებს. შედარებით ნაკლებად შეიცვალა კონსტიტუციის მეორე თავი, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა² განმსაზღვრელი მუხლების დებულებები. ამ თავში შეტანილ ცვლილებათა ნაწილი დადებითად შეიძლება შეფასდეს, რის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აკადემიური თავისუფლების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ინტერნეტზე წვდომის ძირითადი უფლებების სახელდებით აღიარება. მიუხედავად ამისა, ამკარაა, რომ ცვლილებების შედეგად კონსტიტუციის მეორე თავის რამდენიმე მუხლში გაჩნდა ხარვეზები, რაც იწვევს ძალიან სერიოზულ კონსტიტუციურსამართლებრივ პრობლემებს, რომლებმაც, თავის მხრივ, შეიძლება დიდი სირთულეები შექმნას ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ამ სტატიის მიზანი კონსტიტუციის აღნიშნული ხარვეზების გაანალიზება და როგორც იურიტ-კონსტიტუციონალისტთა, ისე პოლიტიკოსთა წინაშე მათგან მომდინარე პრობლემების წარმოჩენაა, რადგან ამ პრობლემათა სრულად აღმოფხვრა კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანით არის შესაძლებელი.

¹ საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, N1324, 13 ოქტომბერი, 2017.

² სიტყვების „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ ნაცვლად ტექსტში გამოყენებული იქნება სიტყვები „ადამიანის ძირითადი უფლებები“ ან „ძირითადი უფლებები“.

ანალიზი

1. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზთაგან თავდაპირველად უნდა გამოეყოთ 71-ე მუხლი („საგანგებო და საომარი მდგომარეობა“), რომელიც, მართალია არ შედის კონსტიტუციის მეორე თავში, მაგრამ ამ მუხლის მე-4 პუნქტი შინაარსობრივად პირდაპირ და არსებითად ეხება ადამიანის ძირითად უფლებებს და განსაზღვრავს სახელმწიფოს უფლებამოსილებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ძირითად უფლებათა შეზღუდვის ფარგლებთან დაკავშირებით. საყურადღებოა, რომ კონსტიტუციის ძველ რედაქციაში ამ დებულებებს მეორე თავი მოიცავდა (მ. 46), რითაც კონსტიტუციის ნორმათა სისტემურად განლაგების თვალსაზრისით საკითხი უფრო მართებულიად იყო გადანწყვეტილი. თუმცა, 71-ე მუხლის მთავარი ხარვეზი სულ სხვა დებულებაა.

71-ე მუხლის მიხედვით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტი (პრემიერ-მინისტრის წარდგინებით) გამოსცემს ორგანული კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებითაც შეიძლება შეიზღუდოს კონსტიტუციის მე-13 (ადამიანის თავისუფლება), მე-14 (მიმოსვლის თავისუფლება), მე-15 (პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები), მე-17 (აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები), მე-18 (სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები), მე-19 (საკუთრების უფლება), 21-ე (შეკრების თავისუფლება) და 26-ე (შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება) მუხლებით აღიარებული ძირითადი უფლებები (პ. 4, ნ. 1).³ განსხვავებით მშვიდობიან პირობებში მოქმედი სტანდარტისა, რომლის მიხედვით მხოლოდ *კონკრეტული პირის ძირითადი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თანაც მხოლოდ კონკრეტული საჯარო სიკეთის/საჯარო ინტერესების* (რომლებიც თითოეული ძირითადი უფლების განმსაზღვრელ მუხლში არის ზუსტად მითითებული) *დაცვის/უზრუნველყოფის მიზნით*, ეს დებულება ძირითად უფლებათა *შეზღუდვის ე.წ. საერთო, ზოგადი საფუძველია*, რომელზე დაყრდნობით სახელმწიფო უფლებამოსილია, ერთდროულად შეზღუდოს რამდენიმე ძირითადი უფლება, თანაც ეს შეზღუდვა შეიძლება შეეხოს არა ერთ, არამედ განსაზღვრულ ტერიტორიაზე (სადაც საგანგებო მდგომარეობა არის გამოცხადებული) ან მთლიანად ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ადამიანს, ანუ *ზოგადად ყველას ერთდროულად* (მაგალითად, ზოგადად ყველასათვის შეიძლება აიკრძალოს შეკრება ან მანიფესტაცია, გაფიცვა, მიმოსვლა/გადაადგილება, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ა.შ.⁴).

³ „დეკრეტი ძალაში შედის გამოცემის მომენტიდან. დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას“ – მ. 71, პ. 3.

⁴ ეს აკრძალვები განსაზღვრულია საქართველოს კანონებით „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ (17 ოქტომბერი, 1997) და „საომარი მდგომარეობის შესახებ“ (31 ოქტომბერი, 1997).

ბუნებრივია, ასეთი შეზღუდვა გამართლებულია ქვეყანაში შექმნილი საგანგებო ან საომარი მდგომარეობით, როდესაც საფრთხე ექმნება კონსტიტუციურ წესრიგს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ასეთ პირობებში ძირითად უფლებათა შეზღუდვა „უცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ და შეზღუდვის მიზანი აღნიშნულ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ სიკეთეთა უზრუნველყოფა და დაცვაა. საყურადღებოა, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ძირითად უფლებათა და სახელმწიფოს სწორედ ასეთ ურთიერთმიმართებას – საერთო (ზოგადი) შეზღუდვა კონსტიტუციურ სიკეთეთა უზრუნველსაყოფად – ითვალისწინებდა კონსტიტუციის ძველი რედაქცია. ახალი რედაქციის მსგავსი იყო ის ძირითადი უფლებებიც, რომელთა შეზღუდვაც იყო დაშვებული საგანგებო ან საომარი მდგომარეობების დროს.

აღნიშნული მსგავსების გარდა, კონსტიტუციის ძველსა და ახალ რედაქციებს არაფერი აერთიანებთ, რადგან ახალი რედაქციის 71-ე მუხლით კონსტიტუციურ სივრცეში ძირითადი უფლებებისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების სრულიად ახალი მოდელი შემოდის – საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტს უფლება აქვს დეკრეტით არათუ შეზღუდოს, არამედ შეაჩეროს ძირითად უფლებათა მოქმედება. ზოგადად, ნორმის შეჩერების ინსტიტუტი ქართული სამართლის სისტემისათვის უცხო არ არის. მაგალითად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად,⁵ თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, საკონსტიტუციო სასამართლო პლენუმს უფლება აქვს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე (ან უფრო ნაკლები ვადით) შეაჩეროს სადავო ნორმატიული აქტის ან მისი შესაბამისი ნაწილის მოქმედება (მ. 25, პ. 2). ამასთანავე, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი“.⁶ როგორც ვხედავთ, აქ ნორმის შეჩერების მიზანი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაა, შეჩერება კი ეხება ისეთ ნორმებს (ნორმატიულ აქტებს), რომელთა მოქმედებით შეიძლება დაირღვეს ძირითადი უფლებები. რაც შეეხება თავად ძირითად უფლებათა მოქმედების შეჩერებას, როგორც ამას გვთავაზობს კონსტიტუციის 71-ე მუხლი (პ. 4, ნ. 2), ეს ქართული საკონსტიტუციო სამართლისათვის სიახლეა.

მოცემული სიახლის განხილვისას თავდაპირველად უნდა მივუთითოთ საჭიროებაზე – არსებობდა თუ არა ასეთი ცვლილების საჭიროება თავად კონსტიტუციის ნორმებიდან ან საქართველოს 23 წლიანი (2018 წლისათვის) კონსტიტუციური რეალობიდან გამომდინ-

⁵ 31 იანვარი, 1996.

⁶ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახლგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

ნარე. საქართველოში კონსტიტუციის მიღების დღიდანვე (1995, 24 აგვისტო) მოქმედებდა მოდელი, რომლის მიხედვითაც საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტით შესაძლებელი იყო რამდენიმე ძირითადი უფლების შეზღუდვა. ამასთან ერთად, 1997 წელს მიღებულ იქნა კანონები საგანგებო და საომარი მდგომარეობის შესახებ, რომლებითაც განისაზღვრა ასეთ პირობებში ძირითად უფლებათა შეზღუდვის ფარგლები და სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილებები. ამ კონსტიტუციურ და საკანონმდებლო ნორმათა ერთობლიობით შექმნილი იყო ის სამართლებრივი ჩარჩო, რომელშიც სახელმწიფოს ჰქონდა შესაძლებლობა, გადაწყვეტილებები მიეღო სწრაფად და ემოქმედა ოპერატიულად სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მართლწესრიგისა და კანონიერების დასაცავად. აღნიშნული კანონების კონსტიტუციურობა არასოდეს გამხდარა საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი. ამდენად, კონსტიტუციაში ძირითად უფლებათა შეჩერების მექანიზმის საჭიროება ნამდვილად არ იდგა და კონსტიტუციის ძველი რედაქცია სრულყოფილად იცავდა ბალანსს იმ კონსტიტუციურ სიკეთეთა შორის, როგორცაა ძირითადი უფლებები და სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის გარანტიები.

განსახილველ ცვლილებასთან მიმართებით საყურადღებოა მისი გავრცელების ფარგლები – კონკრეტულად რომელი დებულებები შეიძლება შეჩერდეს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს. ეს საკითხი ძალიან წინააღმდეგობრივად და არალოგიკურად არის ჩამოყალიბებული – 6 მუხლიდან, რომლებსაც ეხება შეჩერება, 3 მუხლის მიმართ შეიძლება შეჩერდეს მხოლოდ ის პუნქტები, რომელთა შინაარსი შესაბამისი ძირითადი უფლების შეზღუდვის მოდელს მოიცავს (მე-13 მუხლის მე-2-მე-6 პუნქტები, მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი), დანარჩენი 3 მუხლის მიმართ კი შეიძლება შეჩერდეს როგორც თავად ძირითად უფლებათა შინაარსის განმსაზღვრელი, ისე ის პუნქტები, რომლებიც ამ უფლებათა შეზღუდვის მოდელს ადგენენ (მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი (ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის, საცხოვრებლის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება), მე-17 მუხლის მე-3 (მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება), მე-5 და მე-6 პუნქტები და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება). როგორც ვხედავთ, მოცემული ნორმის სტრუქტურის ალოგიკურობა და წინააღმდეგობრიობა აშკარაა, თუმცა რთულია გარკვევა იმისა, რამ გამოიწვია იგი.

მოცემული წინააღმდეგობრიობა კიდევ უფრო აშკარა ხდება იმ შემთხვევების განხილვისას, როცა „შეჩერება“ ეხება ჩამოთვლილ ძირითად უფლებათა შეზღუდვის განმსაზღვრელ დებულებებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მე-19 მუხლი („საკუთრების უფლება“), რომელიც შეიძლება შეიზღუდოს (პ. 4, წ. 1), ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს კიდევ (პ. 4, წ. 2). ამ პუნქტის მიხედვით აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია (ა) კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან (ბ)

ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ანაზღაურება ყველა შემთხვევაში თავისუფლდება „ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.“ ამ დებულების შესაბამისად საქართველოში მოქმედებს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“⁷ და ორგანული კანონი „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“.⁸ სწორედ ორგანული კანონით არის განსაზღვრული, რა ვითარებას გულისხმობს „გადაუდებელი აუცილებლობა“(მ. 2).⁹ კანონით ასევე დადგენილია, რომ „საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში საზოგადოებრივი საჭიროებისათვის წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით საკუთრების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (მ. 5). ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის შესახებ კანონმდებლობას ქმნიან შესაბამისი კანონები,¹⁰ რომლებიც 1997 წლიდან მოქმედებენ და განსაზღვრავენ სახელმწიფოს უფლებამოსილებებს. ამასთანავე, ორგანული კანონის ციტირებული მე-5 მუხლი იმპერატიულად ადგენს, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებშიც კი საკუთრების ჩამორთმევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობისას საკუთრების ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრულია ჯერ კიდევ 1995 წლიდან კონსტიტუციის შესაბამისი დებულებებით (ძველი რედაქციის 21-ე და 46-ე მუხლები),¹¹ ასევე 1997 წლიდან მოქმედი კანონებით საგანგებო და საომარი მდგომარეობის შესახებდა ორგანული კანონით „საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გადაუდებელი აუცილებლობისას საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ.“ შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, ამ სამართლებრივ ჩარჩოში იმოქმედოს და კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „მოქმედების შეჩერების“ ახალი ნორმა ვერაფერს ცვლის ან აუმჯობესებს (თუკი ეს იყო 2017 წლის ცვლილებების კანონმდებლის ჩანაფიქრი) სახელმწიფოს უფლებამოსილებებთან მიმართებით. პირიქით, ეს ნორმა აშკარად ზედმეტია, იწვევს გაუგებრობას საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით და ქმნის კონსტიტუციურსამართლებრივ პრობლემებს.

⁷ ეს კანონი ადგენს მშვიდობიან პირობებში საკუთრების ჩამორთმევის წესებს და პროცედურას, მიღებულია 1999 წლის 23 ივლისს.

⁸ 11 ნოემბერი, 1997.

⁹ „გადაუდებელ აუცილებლობას განეკუთვნება ვითარება, რომლის დროსაც საომარი ან საგანგებო მდგომარეობის, ეკოლოგიური კატასტროფის, სტიქიური უბედურების, ეპიდემიის, ეპიზოტის საშიშროების გამო საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.“

¹⁰ იხ. გვ. 3, სქოლიო 4.

¹¹ საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღიდან 21-ე მუხლით აღიარებული იყო საკუთრების ძირითადი უფლება, განსაზღვრული იყო მისი შეზღუდვისა და საკუთრების ჩამორთმევის წესი, ხოლო 46-ე მუხლი განსაზღვრავდა იმ ძირითად უფლებებს (მათ შორის საკუთრების უფლებას), რომელთა შეზღუდვა შესაძლებელი იყო საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.

კიდევ უფრო დიდი პრობლემა, რასაც კონსტიტუციის მოცემული დებულება (მ. 71, პ. 4, ნ. 2) შეიცავს, არის დაშვება იმისა, რომ თავად ძირითად უფლებათა მოქმედება შეიძლება „შეჩერდეს.“ ეს ტერმინი, როგორც გრამატიკულად, ისე სამართლებრივად, მოქმედი ნორმისათვის იურიდიული ძალის გაუქმებას გულისხმობს (თუნდაც ეს შეჩერება დროებითი იყოს), რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ძირითად უფლებათა არსს, რომლის მიხედვით ადამიანის ძირითადი უფლებები ბუნებითი უფლებებია, ისინი უშუალოდ მოქმედი, ობიექტური სამართალია და ეს უფლებები ადამიანს აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანია. ზოგიერთ უფლებას (ღირსება, სიცოცხლის უფლება) ჯერ კიდევ დედის წიაღში გაჩენილი ნაყოფი ფლობს, სხვები კი დაბადებისთანავე წარმოიშობიან. შესაბამისად, ამ ე.წ. „წინარე სახელმწიფოებრივ“ უფლებებს ვერც სახელმწიფო და ვერც რაიმე სხვა სოციალური, ტერიტორიული წარმონაქმნი ვერ მიანიჭებს და, მითუმეტეს, ვერ ჩამოართმევს ადამიანს. პირიქით, თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს არსი სწორედ ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვაში მდგომარეობს. უფრო მეტიც, საქართველოს კონსტიტუცია „წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებად“ აღიარებს ძირითად უფლებებს და აცხადებს, რომ ხელისუფლების განხორციელებისას არათუ სახელმწიფო, არამედ ხალხიც შეზღუდულია (შეზღუდულია) ამ უფლებებით (მ. 4, პ. 2).¹² დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოთა კონსტიტუციური წესრიგის საფუძველი სწორედ ძირითადი უფლებებია, განსახილველი დებულებით დადგენილი „შეჩერება“ კი ფაქტობრივად სახელმწიფოს მიერ ძირითადი უფლებების ჩამოართმევას უტოლდება, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და, აქედან გამომდინარე, მთლიანად კონსტიტუციურ წესრიგს.

აღნიშნულთან ერთად, უნდა მივუთითოთ კიდევ ერთ გარემოებაზე: საკონსტიტუციო სამართალში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძირითადი უფლებები შეიძლება მხოლოდ „შეიზღუდოს“. ამას ადასტურებს დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების უდიდესი უმრავლესობა. გამონაკლისია სულ რამდენიმე სახელმწიფო (მათ შორის პორტუგალია, ესპანეთი, უნგრეთი), რომელთა კონსტიტუციები შეიცავენ ტერმინს – „შეჩერება“, მაგრამ კონსტიტუციური სამართლის თეორიაში იქაც გაზიარებულია ძირითად უფლებათა შეზღუდვის კონცეფციის არსი – *დემოკრატიულმა და სამართლებრივმა სახელმწიფომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის პირობებშიც უნდა იმოქმედოს იმ კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში, რომლის საფუძველი ძირითადი უფლებებია.* დაუშვებელია სახელმწიფო გავიდეს აღნიშნული ფარგლებიდან, იურიდიულად ძალადაკარგულად მიიჩნიოს ძირითადი უფლებები და იმოქმედოს თვითნებურად, ყოველგვარი ბოჭვის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ. შესაბამისად, ამ კონცეფციიდან გამომდინარე, *ძირითადი უფლებები საგანგებო ან საომარ პირობებშიც მოქმე-*

¹²„სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი“ – მ. 4, პ. 2, ნ. 1, 2.

დებენ და ბოჭავენ სახელმწიფოს, ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, ადამიანის ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა განახორციელოს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომლის მიღწევასაც იგი (ჩარევა) ემსახურება. მშვიდობიან პირობებში უფლებათა შეზღუდვის მოდელთან მიმართებით განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საგანგებო ან საომარი პირობების გამო სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა უფრო ინტენსიურად და ფართოდ ჩაერიოს ერთდროულად რამდენიმე (ასი, ათასი ან უფრო მეტი) ადამიანის კონკრეტული ძირითადი უფლებებით დაცულ სფეროში.¹³ ამასთანავე, ჩარევის ინტენსიურობა შეიძლება გამოიხატოს არა მხოლოდ ადამიანთა რაოდენობით, არამედ რადიკალურობითაც, როცა, მაგალითად, კომენდანტის საათის დარღვევის გამო პოლიცია დააკავებს ადამიანს 72 საათის განმავლობაში, სასამართლოს ნებართვის გარეშე.¹⁴ დაახლოებით მსგავს დებულებას შეიცავს გერმანიის ძირითადი კანონი, რომელიც ადგენს, რომ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე პირის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 დღეს¹⁵ (მაშინ, როცა მშვიდობიან პირობებში პირი დაკავების დღიდან არაუგვიანეს მეორე დღისა უნდა წარედგინოს მოსამართლეს, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პირის დაპატიმრების ან გათავისუფლების შესახებ).¹⁶

ზემოთ მოცემული ანალიზის შეჯამების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საგანგებო ან საომარ პირობებში ძირითად უფლებათა შეზღუდვის კონცეფცია, ერთი მხრივ, თავისი შინაარსით სამართლებრივად სრულად შეესაბამება ძირითადი უფლებების არსს, მეორე მხრივ კი ამ კონცეფციის ფარგლებში რეალურად სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, ეფექტიანად იმოქმედოს და უზრუნველყოს კონსტიტუციური წესრიგი და სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოება. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებით შემოტანილი სიახლე – ძირითად უფლებათა „შეჩერების“ მოდელი – საქართველოს კონსტიტუციური წესრიგისათვის მიუღებელია.

³⁶ მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის №1/3/99 განჩინება საქმეზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“, 3; იხ. <<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/tbilisis-saqalaqo-sasamartlos-konstituciuri-wardgineba-284.page>> [16.03.2019].

³⁷ Sieckmann J.-R. (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Mangoldt H. v. (Begr.), Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München, 2010, 887 ff., Rn. 41.

³⁸ №3/1/608,609, II-8.

ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.³⁹ აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულება აღარ განხორციელდება არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე, რაც თავიდან აგვაცილებს კონსტიტუციის დარღვევას და ძირითადი უფლებების შესაძლო ხელყოფას.

4.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენებზე. მათი გადასინჯვა ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო დასაშვებია, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს შესაბამის საქმეში გამოყენებულ სისხლის სამართლის კანონს.⁴⁰ ე.ი. საერთო სასამართლოს ამ შემთხვევაში მხედველობიდან გამორჩა მის მიერ გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურობა, არ შეიტანა კონსტიტუციური წარდგინება, მაგრამ ნორმა სხვა კომპეტენციის ფარგლებში მაინც გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეზღუდული არ არის.⁴¹ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძლება ასევე გამოიწვიოს განაჩენის აღსრულების შეჩერება, თუ ის გამოტანილია არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე.⁴² სისხლის სამართლის სფეროში უკანა პლანზე გადადის სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხი. ეს შეიძლება აიხსნას ძირითად უფლებებში ჩარევის განსაკუთრებული სიმძიმით.⁴³

განსხვავებულია ვითარება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. აქ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე მიღებული საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი, მაგრამ იწვევს მისი აღსრულების შეჩერებას.⁴⁴ ზოგადად, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილებების გადასინჯვის არდაშვება აიხსნება სამართლებრივი უსაფრთხოების

³⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტი.

⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

⁴¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი.

⁴² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

⁴³ შეად. Loladze, 163.

⁴⁴ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი.

მოთხოვნებით,⁴⁵ რაც სასამართლო გადაწყვეტილებების სტაბილურობასა და მათდამი ნდობის დაცვასაც გულისხმობს. თავის მხრივ, კონსტიტუციის უზენაესობა, სამართლიანობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა თავისი მნიშვნელობით არათუ ჩამოუვარდება, არამედ აღემატება კიდევ სამართლებრივ უსაფრთხოებას. კონსტიტუციის მთავარი ღირებულება ადამიანია, ხოლო ნებისმიერი სხვა სიკეთე უნდა ჩადგეს მის სამსახურში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ სამოქალაქო და მით უმეტეს, ადმინისტრაციულ საქმეებზე გაჩნდეს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობა, თუ ის არაკონსტიტუციურ ნორმას ეფუძნება. დღეისათვის დასაშვებია საქმის წარმოების განახლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) საფუძველზე.⁴⁶ საკონსტიტუციო სასამართლოც ძირითადი უფლებების დარღვევას ადგენს და ალოგიკურია ამ ორი მსგავსი შემთხვევისადმი კანონმდებლის განსხვავებული დამოკიდებულება.

5. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის პერსპექტივა

5.1. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის აუცილებლობა

კონსტიტუციითა და ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპი შეიძლება დაარღვიოს ხელისუფლების ნებისმიერმა შტომ, მათ შორის სასამართლომ. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია, ძირითადად, ნორმატიულ აქტებზე ვრცელდება და სასამართლო აქტები საკონსტიტუციო კონტროლის გარეშეა დარჩენილი. სასამართლო ხელისუფლების მიერ კონსტიტუციისა და ძირითადი უფლებების დარღვევის რისკი სათანადოდ არ არის დაზღვეული. ამ სახიფათო დეფიციტის აღმოფხვრა ნაწილობრივ შესაძლებელი იქნებოდა, თუ საერთო სასამართლოები აქტიურად გამოიყენებდნენ კონსტიტუციის უზენაესობისა და ძირითადი უფლებების დაცვის არსებულ მექანიზმებს. როგორც აღვნიშნეთ, ისინი ამ კუთხით პასიურობენ. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების შეყვანა საკონსტიტუციო კონტროლის ზონაში, რაც იქნებოდა დარღვევების როგორც აღმოფხვრის, ასევე პრევენციის ეფექტიანი იარაღი. ამ გაბედული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯის გადადგმის სასარგებლოდ მეტყველებს რიგი არგუმენტებისა, რომელთა ნაწილსაც ქვემოთ მოვიყვანთ.

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აქტების კონსტიტუციურობის კონტროლის აუცილებლობა თვით კონსტიტუციიდან გამომდინარეობს. სასამართლო ხელისუფლება, ხელისუფლების სხვა შტოების მსგავსად, შეზღუდულია და ხორციელდება კონსტიტუციის

⁴⁵ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 178; Badura, 817; Maunz Th. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Maunz Th., Dürig G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958, Rn. 45; Zippelius, Württenberger, Maunz, 537.

⁴⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „8“ ქვეპუნქტი.

ფარგლებში. კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი ითვალისწინებს ნებისმიერი აქტის შესაბამისობის ვალდებულებას კონსტიტუციასთან და ვრცელდება სასამართლო გადაწყვეტილებებზეც. სასამართლო ხელისუფლების განხორციელება შეზღუდულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. ძირითადი უფლებებით შეზღუდვის პრინციპის სრულყოფილი დაცვაც შეუძლებელია სასამართლო აქტების კონტროლის გარეშე. ზემოაღნიშნულ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებს ემატება მოსამართლის კონსტიტუციისა და კანონისადმი დამორჩილების მოთხოვნა.

სასამართლო გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის საჭიროებაზე პრაქტიკაც მიუთითებს. არსებობს საერთო სასამართლოების მიერ ძირითადი უფლებების დარღვევის მძიმე შემთხვევები. მაგალითად, 2011 წლის 26 აპრილის განჩინებაში საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დიდ ყურადღებას უთმობს სასამართლო პროცედურებსა და ამ კუთხით არსებულ დარღვევებს⁴⁷ და ასკვნის: „...განმცხადებლებს თვითნებურად უთხრეს უარი სასამართლო პროცესებში ეფექტურად მონაწილეობაზე და ამ პროცესების წარმართვის სტილი ადასტურებდა ადგილობრივი ორგანოების სურვილის არარსებობას ობიექტურად და ამომწურავად გამოვლენილიყო სიმართლე...“⁴⁸ სასამართლო გამოხატავს გაოცებას სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განმტოვებების შეთანხმებული მოქმედებით ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლისათვის, მათ შორის „ადგილობრივი სასამართლოების მიერ პროცესების არასწორად წარმართვითა და მსჯავრდებულების ადრე გამოშვებით“.⁴⁹

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის პრაქტიკულ აუცილებლობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილებაც მეტყველებს.⁵⁰ არის შემთხვევები, როდესაც მოსარჩელის უფლებების სავარაუდო დარღვევა განპირობებულია არა სადავო ნორმით, არამედ საერთო სასამართლოების აქტებით. საკონსტიტუციო სასამართლო ამ დროს მოკლებულია შესაძლებლობას, დაიცვას მოსარჩელის ხელყოფილი ინტერესები.

საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება ქართული ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტის მიმართ, რაც გამოიკვეთა საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“.⁵¹ სასამართლომ ის მიაკუთვნა „არარეალური“ კონსტიტუციური სარჩელების კატეგორიას, რაც არ ითვალისწინებს

⁴⁷ პუნქტები 259-267.

⁴⁸ პუნქტი 267.

⁴⁹ პუნქტი 276.

⁵⁰ დაწვრილებით იხ. Loladze, 251 ff.

⁵¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“; იხ. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/apostoli.pdf>> [20.03.2019].

სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სახელმწიფო ორგანოების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების გასაჩივრებას. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ქართული მოდელი არ ჩაითვალა სამართლებრივი დაცვის ეფექტიან შიდასახელმწიფოებრივ საშუალებად.⁵²

5.6. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლის შესაძლო მოდელი

როგორც ვხედავთ, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმებისათვის არსებობს წონადი არგუმენტები. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია საკმაოდ ეფექტიანი მექანიზმის ეტაპობრივი დანერგვა მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების გათვალისწინებით. ქვემოთ ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

გამოყოფენ სასამართლოს გადაწყვეტილებით ძირითადი უფლებების დარღვევის ოთხ ჯგუფს:⁵³ 1) ძირითადი საპროცესო უფლებების დარღვევა – აქ იგულისხმება ის საპროცესო უფლებები, რაც უშუალოდ კონსტიტუციითაა განმტკიცებული, მაგალითად, დაცვის უფლება; 2) სასამართლო გადაწყვეტილების დაფუძნება არაკონსტიტუციურ ნორმაზე – ეს ის შემთხვევაა, როდესაც არაკონსტიტუციური ნორმის არარსებობის ან მისი სხვაგვარად ფორმულირების შემთხვევაში საერთო სასამართლო განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებდა; 3) ძირითადი უფლებების უგულებელყოფა კანონების განმარტებისას და გამოყენებისას – მოსამართლემ ნებისმიერი კანონი უნდა განმარტოს ძირითადი უფლებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხოლო ნორმის რამდენიმე ინტერპრეტაციის არსებობის შემთხვევაში, მოახდინოს მისი კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტება; 4) თვითნებური მოქმედება გადაწყვეტილების მიღებისას – ამ დროს სასამართლო უშვებს აშკარა შეცდომას კანონის გამოყენებისას, რაც თავის მხრივ, ძირითადი უფლების დარღვევას იწვევს.

სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში გარკვეულ წინაპირობებთანაა დაკავშირებული, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა სარჩელების უზარმაზარი ოდენობის განხილვა გონივრულ ვადებში. კონსტიტუციური სარჩელი დაიშვება მხოლოდ სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის შემდეგ, მათი არსებობის შემთხვევაში.⁵⁴ მსგავს მოთხოვნებს ითვალისწინებს, მაგალითად, ავსტრიის,⁵⁵ სლოვაკეთის⁵⁶ და სლოვენის კონსტიტუციები.⁵⁷ ამასთანავე,

⁵² იქვე, პუნქტი 46.

⁵³ ამის თაობაზე დანვრილებით იხ. Schmidt R., Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen, 2007, 297; Stern K., Kommentar zum Art. 93 GG, in: Dolzer R., Graßhof K., Kahl W., Waldhoff Ch. (Hrsg.): Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950, 687; Zippelius, Württenberger, Maunz, 523; BVerfGE 4, 1 (6 f.); 42, 64 (72 ff.); 52, 131 (157 f.).

⁵⁴ Gesetz über das Bundesverfassungsgericht, Art. 90 Abs. 2 Satz 1, <<https://www.gesetze-im-internet.de/bverfgg/>> [21.03.2019].

⁵⁵ Bundes-Verfassungsgesetz, Art. 144 Abs. 1, <<http://www.verfassungen.at/indexheute.htm>> [21.03.2019].

⁵⁶ Verfassung der Slowakischen Republik, Art. 127, <<http://www.verfassungen.eu/sk/index.htm>> [21.03.2019].

საკონსტიტუციო სასამართლოს ეძლევა სხვა სასამართლოთა მიერ გადამონმებული ფაქტობრივი მასალისა და გაკეთებული სამართლებრივი შეფასებების გაცნობის საშუალება,⁵⁸ რაც ზრდის მისი საქმიანობის ეფექტიანობასა და ხარისხს.

სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის მოთხოვნიდან არსებობს გამონაკლისები. ის არ მოქმედებს, როდესაც საშუალება აშკარად უპერსპექტივოა მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლოს უმაღლესი ინსტანციების პრაქტიკის გათვალისწინებით,⁵⁹ ანდა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა სამართლებრივი დაცვის ერთადერთი საშუალებაა.⁶⁰ გარდა ამისა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონურვის გარეშე განიხილავს კონსტიტუციურ სარჩელს, თუ ის საყოველთაო მნიშვნელობისა ან თუ სამართლებრივი საშუალებების ამონურვის შემთხვევაში მოსარჩელეს მიაღგებოდა მძიმე და გარდაუვალი ზიანი.⁶¹

საზღვარგარეთული გამოცდილების გაზიარება სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამონურვასთან დაკავშირებით რელევანტური იქნება ქართული მოდელის შემთხვევაშიც. სხვაგვარად გარდაუვალია საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვა სარჩელებით. ამავდროულად, არაგონივრული იქნებოდა საკითხისადმი ფორმალური და თვითმიზნური მიდგომა.⁶² აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდება გამონაკლისების დაშვება და გამოცდილების გათვალისწინება ამ მიმართებითაც.

მნიშვნელოვანი და პრობლემატურია საერთო სასამართლოების გადანყვეტილებათა შემონმების ფარგლების საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანად არ ითვლება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, კანონიერებასთან დაკავშირებული მატერიალური და საპროცესო საკითხების გარკვევა, მიმდინარე კანონმდებლობის განმარტება და გამოყენება.⁶³ საკონსტიტუციო სასამართლო არკვევს, დაირღვა თუ არა

⁵⁷ Verfassung der Republik Slowenien, Art. 160, <<http://www.verfassungen.eu/sl/verf91-i.htm>>, [21.03.2019].

⁵⁸ Badura, 807; Hopfauf A. (Bearb.), Kommentar zum Art. 94 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Hrsg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, 1972 ff., Rn. 69; Meyer W. (Berab.), Kommentar zum Art. 94 GG, in: Münch I. v. (Begr.), Kunig Ph. (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, 732 ff., Rn. 33; Schenke W.-R., Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, Heidelberg, 1987, 15; Stern, Bonner Kommentar, Art. 93, Rn. 719; Zippelius, Würtenerger, Maunz, 542; BVerfGE 9, 3 (7); 56, 54 (69); 65, 1 (38).

⁵⁹ Benda E., Klein E., Verfassungsprozessrecht. Ein Lehr- und Handbuch, 3., völlig neu bearbeitete Auflage, Heidelberg u. a., 2012, 246; Maunz, Kommentar zum Art. 93 GG, Rn. 71.

⁶⁰ Schmidt, 284.

⁶¹ § 90 Abs. 2 Satz 2 BVerfGG.

⁶² შეად. Loladze, 266.

⁶³ Hopfauf A. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Hrsg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, 1881 ff., Rn. 32, 200; Maunz, GG, Art. 93, Rn. 65; Meyer W. (Berab.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Münch I. v. (Begr.), Kunig Ph. (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, 692 ff., Rn. 61; Stern, Bonner Kommentar, Art. 93, Rn. 684; BVerfGE 1, 418 (420); 2, 336 (339); 13, 318 (325); 18, 85 (92 f.); 43, 130 (135).

„სპეციფიური საკონსტიტუციო სამართალი“.⁶⁴ ამ ფარგლებს დაცვა არ არის მარტივი და ბევრი ავტორის აზრით, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ხანდახან სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს.⁶⁵

საერთო სასამართლოების გადანყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის შემოღების შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ იქნება დაზღვეული ზემოაღნიშნული პრობლემებისაგან. რისკებს შეამცირებდა ახალ მოდელზე ეტაპობრივი გადასვლა.⁶⁶ აუცილებელი გახდება ორგანიზაციული და სამართლებრივი საკითხების გადანყვეტა საკონსტიტუციო კონტროლის შეფერხების თავიდან ასაცილებლად. ამ კონტექსტში მიზანშეწონილი იქნებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიების რაოდენობის გაზრდა სამამდე, სამ-სამი მოსამართლის შემადგენლობით. ამით გააქტიურდებოდა სასამართლოს თავმჯდომარის სამოსამართლო საქმიანობა და დაჩქარდებოდა საკონსტიტუციო სამართალწარმოება. თუ ეს ნაბიჯი ვერ მიაღწევს სასურველ ეფექტს, შეიძლება ისეთი ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა კონსტიტუციური სარჩელების ნაწილის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე, მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა და ა.შ.

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფაში ტრადიციულად დიდ როლს თამაშობს მისი აპარატი. რეფორმის წარმატება წარმოუდგენელი იქნებოდა მისი გაფართოებისა და გაძლიერების გარეშე. ამ ამოცანას ართულებს სასამართლოს ბათუმში განლაგების ფაქტი, რადგანაც შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი ძირითადად დედაქალაქშია თავმოყრილი.

ორგანიზაციულ პრობლემებზე არანაკლებ სერიოზულია სამართლებრივი პრობლემებიც, რომლებიც დიდი გამოცდილების მქონე საკონსტიტუციო სასამართლოებსაც ექმნება. აქედან გამომდინარე, საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების კონტროლი საფეხურეობრივად უნდა დაინერგოს. ეს ხელს შეუწყობს როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე საერთო სასამართლოებისა და პოტენციური მოსარჩევეების უკეთ შეგუებას ახალ გამონვევებთან. პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია საერთო სასამართლოების გადანყვეტილებების შემოწმების შემოღება, თუ ისინი ეყრდნობა არაკონსტიტუციურ ნორმას. საკონსტიტუციო სასამართლო დარჩება ნორმათკონტროლის ფარგლებში, რაც მისთვის ჩვეული ამპლუაა. მეორე ეტაპზე შესაძლებელია საკონსტიტუციო კონტროლმა მოიცვას იმის შემოწმება, ხომ არ დაარღვია საერთო სასამართლოს გადანყვეტილებამ

⁶⁴ მაგ.: Fürst W., Die Funktionsgebundenheit von Verfassungs- und Verwaltungsrechtsprechung im Spannungsfeld grundgesetzlicher Gewaltenteilung, in: Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien, 1991, 31 (35); Stern, Bonner Kommentar, Art. 93, Rn. 686; BVerfGE 1, 418 (420); 43, 130 (135); 47, 239 (249); 52, 131 (157).

⁶⁵ დაწვრილებით ob. Badura, 808; Hopfauf, GG, Art. 93, Rn. 199; Münch I. v. (Begr.), Mager U. (Bearb.), Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht unter Berücksichtigung der europarechtlichen Bezüge, 7., völlig neu bearbeitete Auflage, Stuttgart, 2009, 316 f.; Voßkuhle A. (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Mangoldt H. v. (Begr.), Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München, 2010, 665 ff., Rn. 55; Zippelius, Würtenerberger, Maunz, 523.

⁶⁶ დაწვრილებით ob. Loladze, 267 f.

რომელიმე ძირითადი საპროცესო უფლება. ამ უფლებების განმარტებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მდიდარი გამოცდილება აქვს. ამის შემდეგ, მესამე ეტაპზე შესაძლებელი გახდება იმ საქმეების განხილვაც, როდესაც ძირითადი უფლება დარღვეულია საერთო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტებისას და გამოყენებისას ძირითადი უფლების მნიშვნელობის იგნორირებით, ნორმის არაკონსტიტუციური განმარტებით ან აშკარად თვითნებური მოქმედებით. ეტაპების ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს იმ ვადის გათვალისწინებით, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო საშუალოდ ფაქტობრივად ანდომებს კონსტიტუციური სარჩელის განხილვას. ის უნდა იძლეოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი მიმართულებით საწყისი პრაქტიკის ჩამოყალიბების საშუალებას, რათა მოხდეს მისი გაანალიზება და მომდევნო ეტაპის უფრო ეფექტიანად დაძლევა.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენდა სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინების ინსტიტუტის გააქტიურების კუთხით. მოსამართლისათვის, რომელიც უფროსი ილდება თავის რეპუტაციას და აქვს საკმარისი კვალიფიკაცია, უმჯობესია, რომ დაასწროს მოვლენების განვითარებას და თავად დააყენოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი. ეს გაზრდის საერთო სასამართლოების პრაქტიკის ხარისხს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. მოსამართლეები საქმეთა განხილვისას გაცილებით მეტ დროსა და ყურადღებას დაუთმობენ ძირითადი უფლებების თემას.

დასკვნა

რაციონალური არგუმენტები საერთო სასამართლოების საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის გავრცელებისათვის მრავლადაა. 2015 წლის დასაწყისისათვის საქართველოს სახალხო დამცველის ინიციატივით შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტიც კი მომზადდა, გაიმართა პრეზენტაცია ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით, მაგრამ პროცესი ამ ეტაპზე შეჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ სამი მასშტაბური საკონსტიტუციო რეფორმა განხორციელდა, კანონმდებელმა აღნიშნული საკითხი სამივე ჯერზე ყურადღების მიღმა დატოვა. აშკარაა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს საერთო სასამართლოების საქმიანობის კონსტიტუციური სტანდარტებისადმი დაქვემდებარების პოლიტიკური ნება. სამწუხაროდ, არც სამოქალაქო საზოგადოების განსაკუთრებული აქტივობა იგრძნობა ამ კუთხით. საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემოწმების ინსტიტუტის შემოღება აუცილებლად უნდა იქცეს ერთ-ერთ წამყვან მოთხოვნად დამოუკიდებელი სასამართლოსათვის ბრძოლის კონტექსტში. საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადასვლამ კრიტიკულად გაზარდა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის მნიშვნელობა და ამ პრობლემისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება სასიცოცხლოდ აუცილებელი თემების რიგს მიაკუთვნა.

Limitation of the Court by the Constitution and Fundamental Rights

Besik Loladze

Resume

The problem of the lack of independence of the common courts and the low quality of their activities is one of the main obstacles to the development of Georgian statehood. Even almost three decades after independence, this problem is still on the agenda. This article focuses on the most important aspect of this topic – the limitation of common courts by the Constitution and fundamental rights.

The article briefly analyzes the existing legal and practical realities. The author describes the essence and basic characteristics of such important principles as the restriction of the court by law, the Constitution and human rights. In addition to discussing and critically evaluating the existing mechanism for ensuring the limitation of common courts by the Constitution and fundamental rights, the article offers a possible mechanism for solving the problem through constitutional control over the decisions of common courts, as well as ways to implement it in the light of foreign experience.

გამოყენებული ლიტერატურა

- ზოიძე, ბესარიონ, საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007
- Badura, Peter, Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4., neu bearbeitete Auflage, München, 2010
- Benda, Ernst, Klein Eckart, Verfassungsprozessrecht. Ein Lehr- und Handbuch, 3., völlig neu bearbeitete Auflage, Heidelberg u. a., 2012
- Detterbeck, Steffen, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, Juristische Ausbildung, 4 (2002), 235 ff.
- Dreier, Horst (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG (Grundrechtsbindung), in: Dreier H. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, Band 1, 2. Auflage, Tübingen, 2004, 246 ff.
- Federer, Julius, Aufbau, Zuständigkeit und Verfahren des Bundesverfassungsgerichts, in: Das Bundesverfassungsgericht 1951 – 1971, zweite völlig neu bearbeitete und erweiterte Auflage, Karlsruhe, 1971, 59 ff.
- Fürst, Walther, Die Funktionsgebundenheit von Verfassungs- und Verwaltungsrechtsprechung im Spannungsfeld grundgesetzlicher Gewaltenteilung, in: Festschrift Edwin Loebenstein zum 80. Geburtstag, Wien, 1991, 31 ff.
- Grzeszick, Bernd (Bearb.), Die Verfassungsgrundsätze des Art. 20 Abs. 3 GG, in: Maunz Th., Dürig G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958
- Herdegen, Matthias (Bearb.), Kommentar zum Art. 1 Abs. 3 GG, in: Maunz Th., Dürig G., (Begr.): Grundgesetz Kommentar, Band I, München seit 1958
- Hermes, Georg, Bericht, in: Alexy R., Kunig, P., Heun W., Hermes G., Verfassungsrecht und einfaches Recht, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, Berlin, New York, 2002, 119 ff.
- Hesse, Konrad, Bedeutung der Grundrechte, in: Benda E., Maihofer W., Vogel H.-J. (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin, New York, 1995, 127 ff.
- Hesse, Konrad, Verfassung und Verfassungsrecht, in: Benda E., Maihofer W., Vogel H.-J. (Hrsg.),

Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin, New York, 1995, 3 ff.

- Heyde, Wolfgang, Rechtsprechung, in: Benda E., Maihofer W., Vogel H.-J. (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 2, 2., neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin, New York, 1995, 1579 ff.
- Höfling, Wolfram, Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, in: Juristische Arbeitsblätter, 1995, 431 ff.
- Höfling, Wolfram (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Sachs M. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München, 2011, 75 ff.
- Hofmann, Hans (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Hrsg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, 646 ff.
- Hopfauf, Axel (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Hrsg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, 1881 ff.
- Hopfauf, Axel (Bearb.), Kommentar zum Art. 94 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Hrsg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, 1972 ff.
- Kunig, Philip, Der Rechtsstaat, in: Badura P., Dreier H. (Hrsg.), Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen, 2001, 421 ff.
- Kunig, Philip (Bearb.), Kommentar zum Art. 1 GG, in: Münch I. v. (Begr.), Kunig Ph. (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 1 (Präambel bis Art. 69), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, 56 ff.
- Loladze, Besik, Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Postdam, 2014
- Maunz, Theodor (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Maunz Th., Dürig G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958
- Maunz, Theodor (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Maunz Th., Dürig G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band VI, München seit 1958
- Meyer, Wolfgang (Berab.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Münch I. v. (Begr.), Kunig Ph. (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, 692 ff.
- Meyer, Wolfgang (Berab.), Kommentar zum Art. 94 GG, in: Münch I. v. (Begr.), Kunig Ph. (Hrsg.), Grundgesetz-Kommentar, Band 2 (Art. 70 bis 146), 6., neu bearbeitete Auflage, München, 2012, 732 ff.
- Müller-Terpitz, Ralf (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H., Hopfauf A. (Hrsg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, 2062 ff.
- Münch, Ingo von (Begr.), Mager, Ute (Bearb.), Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht unter Berücksichtigung der europarechtlichen Bezüge, 7., völlig neu bearbeitete Auflage, Stuttgart, 2009
- Ossenbühl, Fritz, Vorrang und Vorbehalt des Gesetzes, in: Isensee J., Kirchhof P. (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts der Bundesrepublik Deutschland, Band V – Rechtsquellen, Organisation, Finanzen, Heidelberg, München, Landsberg, Berlin, 2007, § 101, 183 ff.
- Sachs, Michael (Bearb.), Kommentar zum Art. 20 GG, in: Sachs M. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München, 2011, 787 ff.
- Schenke, Wolf-Rüdiger, Verfassungsgerichtsbarkeit und Fachgerichtsbarkeit, Heidelberg, 1987
- Schmidt, Rolf, Staatsorganisationsrecht sowie Grundzüge des Verfassungsprozessrechts, 7. Auflage, Grasberg bei Bremen, 2007
- Schnapp, Friedrich Eberhard, Die Grundrechtsbindung der Staatsgewalt, Juristische Schulung, 1 (1989), 1 ff.
- Sieckmann, Jan-Reinard (Bearb.), Kommentar zum Art. 100 GG, in: Mangoldt H. v. (Begr.), Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München, 2010, 887 ff
- Sobota, Katharina, Das Prinzip Rechtsstaat. Verfassungs- und verwaltungsrechtliche Aspekte, Tübingen, 1997, 490.
- Starck, Christian, Kommentar zum Art. 1 GG, in: Mangoldt H. v., Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 1, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München. 2010, 25 ff.

- Stern, Klaus, Das Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, in: Stern K., Siekmann H. (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln, Berlin, Bonn, München, 1992, 1036 ff.
- Stern, Klaus, Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland, Band III – Allgemeine Lehren der Grundrechte, Halbband 1 – Grundlagen und Geschichte, nationaler und internationaler Grundrechtskonstitutionalismus, juristische Bedeutung der Grundrechte, Grundrechtsberechtigte, Grundrechtsverpflichtete, München, 1988
- Stern, Klaus, Grundgesetz in Gefahr? – Verfassungsprobleme nach 25 Jahren Bundesrepublik Deutschland, in: Stern K., Siekmann H. (Hrsg.), Der Staat des Grundgesetzes. Ausgewählte Schriften und Vorträge, Köln, Berlin, Bonn, München, 1992, 38 ff.
- Stern, Klaus, Kommentar zum Art. 93 GG, in: Dolzer R., Graßhof K., Kahl W., Waldhoff Ch. (Hrsg.): Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950
- Stern, Klaus, Kommentar zum Art. 100 GG, in: Dolzer R., Graßhof K., Kahl W., Waldhoff Ch. (Hrsg.), Bonner Kommentar zum Grundgesetz, Band 12 (Art. 89 – 104), Heidelberg seit 1950
- Zippelius, Reinhold, Würtenberger, Thomas, Maunz, Theodor (Begr.), Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, München, 2008
- Voßkuhle, Andreas (Bearb.), Kommentar zum Art. 93 GG, in: Mangoldt H. v. (Begr.), Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 3, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München, 2010, 665 ff.

სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვა მასალა

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/apostoli.pdf>>
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონფელტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი მუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4

ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 აპრილის №1/3/99 განჩინება საქმეზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996-2017 წლების სტატისტიკა, <<http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/statistics>>
- Bundes-Verfassungsgesetz, <<http://www.verfassungen.at/indexheute.htm>>
- Gesetz über das Bundesverfassungsgericht, <<https://www.gesetze-im-internet.de/bverf/gg/>>
- Verfassung der Republik Slowenien, <<http://www.verfassungen.eu/sl/verf91-i.htm>>
- Verfassung der Slowakischen Republik, <<http://www.verfassungen.eu/sk/index.htm>>
- BVerfGE 1, 418 – Ahndungsgesetz
- BVerfGE 2, 336 – Armenanwalt
- BVerfGE 4, 1 – Bindung durch Rechtsinstanz
- BVerfGE 9, 3 – Eigenmietwert
- BVerfGE 13, 318 – Ehegatten-Arbeitsverhältnisse
- BVerfGE 18, 85 – Spezifisches Verfassungsrecht
- BVerfGE 42, 64 – Zwangsversteigerung I
- BVerfGE 43, 130 – Flugblatt
- BVerfGE 47, 239 – Zwangsweiser Haarschnitt
- BVerfGE 52, 131 – Arzthaftungsprozeß
- BVerfGE 56, 54 – Fluglärm
- BVerfGE 65, 1 – Volkszählung
- BVerfGE 69, 315 – Brokdorf
- Jahresstatistik 2013, A. Statistik für das Geschäftsjahr 2013, I. Gesamtübersichten seit 1951, 4. Eingänge nach Verfahrensarten, <https://www.bundesverfassungsgericht.de/DE/Verfahren/Jahresstatistiken/2013/gb2013_pdf/A-I-4.pdf?__blob=publicationFile&v=2>

პარლამენტარიზმის ქართული ანარეკლები (კონსტიტუციურ-სამართლებრივი ექსკურსი)

გია გოგიბერიძე

1. შესავალი. 2. ძირითადი მახასიათებლები. 3. ისტორიული კონტექსტი. 4. მონოპოლია დემოკრატიაზე თუ შეზღუდული წარმომადგენლობა. 5. პარლამენტის „სრულხელისუფლებიანობა“ ანუ „უზენაესი ბატონი ქვეყნისა“. 6. ძალთა ასიმეტრია – პარლამენტის „გაუწონასწორებელი“ ძალაუფლებით. 7. მთავრობის „მომლოდინე“ პარლამენტიდან „რაციონალიზებულ“ პარლამენტამდე. 8. „სანდო კაცებიდან“ პარტიულ დემოკრატიაზე. 9. საჯარო სადისკუსიო და ფართო კონსენსუსის უზრუნველყოფი ორგანო. 10. დასკვნა. რეზიუმე ინგლისურ ენაზე. გამოყენებული ლიტერატურა.

1. შესავალი

ხელისუფლების ორგანიზაციისა და მმართველობის განხორციელების ოპტიმალური მოდელის ძიების ისტორიულ-პოლიტიკურ ქართველებში პარლამენტარიზმს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. აღნიშნული მოვლენის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ერთპიროვნულ მმართველობაზე დაფუძნებული სისტემის დასრულებას, შექმნა ქმედითი პირობები ძალაუფლების განხორციელებისა და ძალაუფლების გადაცემის პროცესში ხალხის მონაწილეობისა და ძალაუფლების მფლობელთა ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

პარლამენტარიზმის იდეა, ჯერ კიდევ, შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს (მიიჩნევა, რომ მისი სამშობლო ინგლისია¹). განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი ინსტიტუციონალიზაციის პროცესი მე-19 საუკუნიდან, ევროპის რიგ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირების ახალი პრინციპების დამკვიდრების კვალობაზე. ხელისუფლების ორგანიზაციის აღნიშნულმა კონცეფციამ ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპები განვლო და რიგი შინაარსობრივ-ფუნქციური სახესხვაობა განიცადა. ნოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მონარქის აბსოლუტური ძალაუფლების შეზღუდვის თავდაპირველი იდეიდან იგი ხალხის ძალაუფლების განმახორციელებელ წარმომადგენლობით ორგანოდ და კონსტიტუციონალიზმის არსებით ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტარიზმი ხალხის ძალაუფლების წარმომადგენლობით-საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტისათვის გადაცემისა და აღნიშნულის საფუძველზე, ხელისუფლების სისტემაში საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციურად წამყვანი როლის განსაზღვრის კონცეპტუალურ თვალსაზრისს დაუკავშირდა.

პარლამენტარიზმის დახასიათებისას მკვლევარები მისი გაძლიერებისა და შესუსტების

¹ აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილი მითითებული თვალსაზრისით, ასევე მანამდე არსებულ ისლანდიურ „ალტინგსა“ და ესპანურ „კორტესებს“ მიუთითებენ.

პერიოდებს გამოყოფენ, მიუთითებენ მის დადებითსა და უარყოფით მხარეებზე, ქვეყნების მიხედვით მისი რეალიზაციის განსხვავებულ ტენდენციებზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების ორგანიზაციის აღნიშნული სისტემა კვლავაც სიცოცხლისუნარიანია და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მრავალი ქვეყნის მმართველობის პროცესის ორგანიზებაზე. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, რომლის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სისტემაში მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა აღნიშნულმა მოვლენამ, უფრო მეტიც, პირველი ქართული კონსტიტუციით ჩამოყალიბებული ხელისუფლების მონეობის სისტემა არსებითად აღნიშნულ მოდელს დაეფუძნა. სწორედ პარლამენტარიზმის ქართულ კონსტიტუციურ სივრცეში რეალიზაციის საკითხებს შეეხება წინამდებარე სტატია, რომელშიც საქართველოში მიღებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე წარმოჩენილია ის არსებითი თავისებურებები და ტენდენციები, რაც პარლამენტარიზმის დამკვიდრებასა და განვითარებას ახასიათებს საქართველოში და რამაც ბევრად განსაზღვრა სახელმწიფოს მმართველობის მოდელი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ამასთან, სტატიაში პარლამენტარიზმის მხოლოდ არსებით საკითხებზე იქნება ყურადღება აქცენტირებული იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ფორმატის ფარგლებში შეუძლებელია იმ მრავალმხრივობის ამოწურვა, რაც პარლამენტარიზმსა და მისი რეალიზაციის პროცედურულ ასპექტებს ახასიათებს.

2. ძირითადი მახასიათებლები

პარლამენტარიზმი ინსტიტუციურად მრავალმხრივი შინაარსის მოვლენაა, რომლის მახასიათებლები პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების მრავალგვარობით გამოირჩევა. კონსტიტუციურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მისი მახასიათებლები ხელისუფლების ორგანიზაციასა და ხელისუფლების სისტემაში პარლამენტის ადგილსა და როლს, პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთმიმართებას, მთავრობის ანგარიშვალდებულების საკითხს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერები და მკვლევარები პარლამენტარიზმის სხვადასხვა ასპექტებზე მიუთითებენ. უფრო მეტიც, მისი მახასიათებელი ცალკეული ნიშნების შეფასებისას განსხვავებულ მოდელსაც კი გამოყოფენ. მაგალითად, როგორც დუგლას ვ. ვერნი შენიშნავს, „სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტარიზმის პრაქტიკის ანალიზი მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს საპარლამენტო მმართველობის მონეობის ორი მთავარი ტიპი: ბრიტანული და კონტინენტური“.²

მეცნიერთა უმეტესობა, როგორც წესი, პარლამენტარიზმს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მონეობის, მათი თანამშრომლობისა და ურთიერთმიმართების თავისებურებებს უკავშირებს. მაგალითად, ფრანგი კონსტიტუციონალისტი ჟ. პ. ჟაკვე

² იხ. დუგლას ვ. ვერნი, საპარლამენტო მმართველობა და საპრეზიდენტო მმართველობა, კრებულში რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რედაქტორი ოთარ მელქაძე, თბ. 1996 წ. გვ. 115.

პარლამენტარიზმის ქვეშ მოიაზრებს „ხელისუფლების შტოების მსუბუქ განაწილებას ანდა თანამშრომლობას, რომლის დროსაც სახელმწიფო საქმეების მართვას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს თანამშრომლობით მთავრობის მეშვეობით (მინისტრთა კაბინეტით), რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე“.³ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანასწორობას, მათ თანამშრომლობასა და მათზე საზოგადოებრივი კონტროლის არსებობას მიიჩნევს პარლამენტარიზმად ფრანგი პოლიტოლოგი გ. ბიურდო⁴. ანალოგიურად ფილიპ ლოვოს შეფასებით, პარლამენტარიზმის „კლასიკური თეორია ხელისუფლებათა შორის თანასწორობისა და თანამშრომლობის პრინციპს ემყარება“⁵. ამასთან, მისთვის პარლამენტარიზმი „წარმომადგენლობითი რეჟიმისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ყველაზე განვითარებული ფორმა“⁶.

პარლამენტის წინაშე „პასუხისმგებელი სამინისტროს სისტემას“ მიიჩნევს პარლამენტარიზმად საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი – რაჟდენ არსენიძე⁷. პარლამენტარიზმის ანალოგიურ მახასიათებელს გამოყოფს ასევე ფრანგი მეცნიერი ფილიპ ლოვო, რომლის მოსაზრებით „საპარლამენტო რეჟიმის ერთადერთ კრიტერიუმად, როგორც ჩანს, ითვლება სამთავრობო პასუხისმგებლობა არჩეული ასამბლეის წინაშე“⁸. წარმომადგენლობასა და სამთავრობო პასუხისმგებლობას მიიჩნევს პარლამენტარიზმის მახასიათებლად ნ. მაიმი, რომლის მიხედვით „პარლამენტარიზმის ქვეშ მოიაზრება მმართველობის ფორმის წარმომადგენლობითი რეჟიმი, რომლის მიხედვით მთავრობის პირადი შემადგენლობა („კაბინეტი“ სამინისტრო) სარგებლობს ძალაუფლებით მანამ, სანამ მის საქმიანობას მხარს უჭერს პარლამენტის უმრავლესობა“⁹.

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების განწონასწორების აუცილებლობასა და მთავრობის პასუხისმგებლობასთან ერთად პარლამენტის პასუხისმგებლობის მექანიზმების არსებობას განიხილავს პარლამენტარიზმის მახასიათებლად მეცნიერთა ნაწილი. როგორც ე. ტანჩევი შენიშნავს, „შეუძლებელია მმართველობის საპარლამენტო სისტემის არსებობა, თუ კაბინეტის კოლექტიური პასუხისმგებლობა არაა განწონასწორებული აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს ვადამდელი დათხოვნის უფლებით. რაციონალიზებული პარლამენტა-

³ იხ. Жакке Ж. П., Конституционное право и политические институты, перфранц., м. 2002, გვ. 98.

⁴ იხ. Bureteau G. Traite de science politique. Paris, 1977, გვ. 28.

⁵ იხ. ფილიპ ლოვო, თანამედროვე დიდი დემოკრატიები, 1990. ფრანგულიდან თარგმნეს: ბალავაძე მ., ცქიტიშვილი ნ., სამეცნიერო რედაქტორი: ვ. კემელავა., თბ., 2002 წ., გვ. 126.

⁶ იხ. ფილიპ ლოვო, „პარლამენტარიზმი“, 1997 წ., ქართული თარგმანი მ. ბალავაძე, ნ. ცქიტიშვილი, ქართული გამოცემა, 2005 წ., გვ. 33.

⁷ იხ. რაჟდენ არსენიძე, დემოკრატიული რესპუბლიკა, მეორე გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ. 2014 წ., გვ. 26.

⁸ იხ. ფილიპ ლოვო „პარლამენტარიზმი“, გვ. 38.

⁹ იხ. Н. Майм, Парламентаризм и суверенное государство, Тарту 1927, გვ. 22.

რიზმმა მნიშვნელოვნად შეცვალა აღმასრულებელი ხელისუფლების მხრივ პარლამენტის კონტროლის ეს საშუალება და კიდევ უფრო აამაღლა კაბინეტის სტატუსი.¹⁰

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმალურ ერთიანობასა და პარლამენტის ნდობაზე დაფუძნებული მთავრობის ფუნქციონირებას მოიაზრებს პარლამენტარიზმის კიდევ ერთ მახასიათებლად რ. კენტ ვივერი, რომლის მიხედვით, საპარლამენტო სისტემის „ძირითად მახასიათებელს ის წარმოადგენს, რომ მას არა აქვს სხვადასხვა საარჩევნო პროცედურა საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოებისათვის.... მთავრობის მეთაური, ჩვეულებრივ, პრემიერ-მინისტრად წოდებული, პირდაპირი არჩევნების გზით არ აირჩევა (გამონაკლისი შემთხვევების გარდა). იგი ღებულობს თანამდებობას საპარლამენტო მაჟორიტარული პარტიის ან კოალიციის ლიდერების წყალობით და მისი მმართველობის პერიოდი არ აღემატება პარლამენტის ფუნქციონირების ვადას. პრემიერ-მინისტრი და მისი კაბინეტი (ცნობილი, როგორც დღევანდელი მთავრობა), რომელიც კომპლექტდება პარლამენტის წევრთაგან, მოითხოვს საკანონმდებლო ორგანოსაგან, გარკვეული დროით, ნდობის მინიჭებას, რათა იგი გახდეს უფლებამოსილი“.¹¹ პარლამენტარიზმის კიდევ ერთ მახასიათებელს გამოყოფს გერმანელი მეცნიერი კარლ შმიტი, რომლის აზრით პარლამენტის მიერ საჯარო დისკუსიის ფორმით საკითხების განხილვა, პოლიტიკური შეხედულებების გაცვლა, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების წარდგენა ხელს უწყობს ხალხის „საერთო ნების“ ფორმირებას.¹²

ხელისუფლების პოლიტიკური ორგანიზაციის თავისებურებებს უკავშირებენ პარლამენტარიზმს ქართველი მეცნიერები. მაგალითად, ო. მელქაძის აზრით, „პარლამენტარიზმი სახელმწიფო მმართველობის პოლიტიკური ორგანიზაციის ის ფორმაა, როდესაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპებიდან გამომდინარე, ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელ შტოებს შორის კონსტიტუციურად მონესრიგებული ურთიერთმიმართება პარლამენტის პრივილეგირებულ მდგომარეობას ამკვიდრებს“.¹³ ხოლო გ. გოგიაშვილის შეხედულებით, „პარლამენტარიზმის ცნების ქვეშ იგულისხმება ხალხის წარმომადგენლობის ფორმა არჩევითი ორგანოს სახით, რომელიც ფლობს გარკვეულ სათათბირო უფლებებს გადანყვეტილებების მიღებაზე ხელისუფლების კონკრეტული სისტემის ან სახელმწიფო წყობილების ფარგლებში“.¹⁴

¹⁰ იხ. ევგენი ტანჩევი, რაციონალიზებული პარლამენტარიზმი, კრებულში რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რედაქტორი ოთარ მელქაძე, თბ. 1996 წ. გვ. 42.

¹¹ იხ. რ. კენტ ვივერი, ჯობია თუ არა საპარლამენტო სისტემები მმართველობის სხვა სისტემებს, კრებულში რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, რედაქტორი ოთარ მელქაძე, თბ. 1996 წ. გვ. 17.

¹² იხ. Carl Schmitt, Constitutional theory, Translated and edited by Jeffrey Seitzer Foreword by Ellen Kennedy, Duke University Press, 2008, გვ.337-338.

¹³ იხ. ოთარ მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბილისი, 2008 წ., გვ. 261.

¹⁴ იხ. გიორგი გოგიაშვილი, შედარებითი კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2019 წ., გვ. 251.

პარლამენტარიზმის არსებითი მახასიათებლების მიმოხილვისას აღსანიშნავია პარლამენტისა და პარლამენტარიზმის ურთიერთმიმართების საკითხი. როგორც ქართველი მეცნიერი ო. მელქაძე აღნიშნავს, „პარლამენტი და პარლამენტარიზმი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმაპირობებელი, მაგრამ ამასთანავე, არატოლფასი ცნებებია. პარლამენტარიზმი არ შეიძლება არსებობდეს პარლამენტის გარეშე, რამდენადაც სწორედ ძლიერი პარლამენტი წარმოადგენს მისი არსებობის საფუძველს. ამ დროს საკანონმდებლო ორგანო შეიძლება მოკლებული იყოს პარლამენტარიზმისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ელემენტებს, რაც ძირითადად ავტორიტარული რეჟიმებისათვისაა დამახასიათებელი“.¹⁵

პარლამენტარიზმის თაობაზე არსებული მრავალგვარი მოსაზრებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტარიზმის ძირითადი მახასიათებლები ხელისუფლების განხორციელების პროცესში ხალხის წარმომადგენლების კოლექტიურ მონაწილეობას, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალურ განხორციელებას, ხელისუფლების შტოების, განსაკუთრებით კი პარლამენტისა და მთავრობის თანამშრომლობას, ანგარიშვალდებულებას, პარლამენტის წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯარო ხასიათს გულისხმობს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ქვეყნის კონსტიტუციურ-სამართლებრივმა დოქტრინამ ჩამოაყალიბა პარლამენტარიზმის თვითმყოფადი სისტემა, რომელიც პარლამენტარიზმის საერთო მახასიათებლებთან ერთად ითვალისწინებდა აღნიშნული ქვეყნის მიერ პარლამენტარიზმის ინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით შემოთავაზებულ თავისებურებებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, რომლის კონსტიტუციური განვითარების ისტორიამ პარლამენტარიზმის საერთო ტენდენციებთან ერთად მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიც გაითვალისწინა.

3. ისტორიული კონტექსტი

საქართველოში პარლამენტარიზმის დამკვიდრების საკითხების მიმოხილვისას აღსანიშნავია ის ისტორიული ფაქტი, რომ საქართველოში პარლამენტარიზმის საწყისი იდეის,¹⁶ როგორც მონარქის ხელისუფლების შეზღუდვისა და გადაწყვეტილების მიღების

¹⁵ იხ. ო.მელქაძე, ო. მახარაძე, პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია საპარლამენტო სისტემის ქვეყნებში (ქართულ პრობლემებთან დაკავშირებით), მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი, ბათუმი, 2001 წ., გვ. 26.

¹⁶ იხ. აღნიშნულ საკითხზე, ჯაბა სამუშია, ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან (ყოთლუ-არსლანი), კრებულში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X, თბ. 2016 წ., გვ. 201 – 224; ლევან დარბაიძე, ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა,? უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1 (40), 2014 წ. გვ. 46-60; მანანა კოპალიანი „ივანე ჯავახიშვილი ქართული პარლამენტარიზმის („დარბაზისა და დარბაზობის“) შესახებ, უურნალი „სამართალი და მსოფლიო“ (ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი უურნალი), #6, 2017 წ. გვ. 148-160.

პროცესში კოლევიალური ორგანოს მონაწილეობის შესაძლებლობა და იდეა თითქმის იმავე ეპოქაში გაჩნდა, როცა აღნიშნული იდეა პარლამენტარიზმის სამშობლოდ მიჩნეულ ინგლისში ყალიბდებოდა (ფაქტების ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით კი რამდენიმე წლით უსწრებდა კიდევ). საკითხი შეეხება მე-12 საუკუნეში თამარ მეფის მეფობის ხანაში ყუთლუ-არსლანის დასის ცნობილ გამოსვლას. აღნიშნული ჯგუფის მიზანს არა მეფის ხელისუფლების ცვლილება ან რაიმე ფორმით მისი დამხობა, არამედ იმგვარი ორგანოს ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რომელიც ქვეყნის მართვასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად მეფესთან ერთად კოლევიალური ორგანოს (ე.წ. „კარვის“) ფორმირებას გულისხმობდა და რომლის მიხედვით, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მეფეს მხოლოდ დარბაზის „თანადგომითა და ერთიანობით“ უნდა გადაეწყვიტა, ხოლო კარავში დასხდომილნი ყოველნი თავიანთ „განგებულს“ – მეფეს „ჰკადრებდნენ“. როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „ამგვარად, ცხადია, რომ საქართველოში თვითმპყრობელობის აჩრდილიც უნდა გამქრალიყო და მის მაგიერ პარლამენტის მსგავსი დაწესებულება უნდა დაარსებულიყო, რომელშიაც „დიდებულები“ იქმნებოდნენ „განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი“.¹⁷

თუმცა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა წარუმატებლად დასრულდა და აღნიშნულმა იდეამ იმ პერიოდის საქართველოში რეალური განხორციელება ვერ ჰპოვა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც ჩანს, მსგავს გამოსვლას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია და აღნიშნული პროცესის შემდეგ თამარ მეფის მიერ განხორციელებულ მაღალი თანამდებობის პირთა დანიშვნის დოკუმენტებს ისეთი გამონათქვამები ახლავს, რაც მანამდე არ ფიქსირდებოდა. როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, „ყუთლუ-არსლანი დამარცხდა, მაგრამ რომ მის ცდას მაინც სრულებით უნაყოფოდ არ ჩაუვლია, ეს იქითგანაც ცხადადა ჩანს, თუ როგორ უმოქმედია თამარ მეფეს ახალი ვაზირების დანიშვნის დროს. ყუთლუ-არსლანის დასის დაშოშმინების შემდეგ თამარი გადაყენებული ვაზირების მოადგილეთა არჩევას შეუდგა და ისტორიკოსის სიტყვით „გამოჩენასა შინა ორთა ვაზირთა და სპასპეტთასა თანადგომითა და ერთ-ნებობითა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთა ბრძანა დამტკიცებად... მამასადამე, ახალი ვაზირები და სპასპეტნი, მეფის მიერ დამტკიცებულნი, არჩეული ყოფილან ყველა დიდებულთა დახმარებით, სურვილისა და ნებისამებრ, ხოლო მეფემ „ბრძანა დამტკიცებად“ ამ ერთ-ნებაობისა“.¹⁸ ქართველი მეცნიერის ჯ. სამუშიას შეფასებით კი „ერთი რამ ფაქტია, – მოგვიანებით, სამეფო კარზე მეფის ვიწრო სათათბირო საბჭოს გარდა, არაერთხელ შეკრებილა ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად წარმომადგენლობითი სახით მინისტრები, პროვინციებიდან წარჩინებულები, ეპისკოპოსები, მონასტერთა წარმომადგენლები. ასეთ წარმომადგენლობით შეკრებებს ქართული წყაროები დარბაზობად იხსენიებს“.¹⁹

¹⁷ იხ. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, მე-2 ტომი, თბ. 2012 წ., გვ. 240.

¹⁸ იქვ. გვ. 241-242.

¹⁹ იხ. ჯაბა სამუშია, ქართული პარლამენტარიზმის სათავეებთან (ყუთლუ-არსლანი), კრებულში: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. X, თბ. 2016 წ., გვ. 221;

პარლამენტარიზმის, როგორც ხელისუფლების ორგანიზაციის სისტემის, რეალური დამკვიდრება საქართველოში 1918-1921 წლებში არსებული პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფორმირებას უკავშირდება. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, როგორც რესპუბლიკანიზმზე დაფუძნებული ქვეყნის, ფორმირების პროცესში ქართული პოლიტიკური და სამეცნიერო აზრი სწორედ პარლამენტარიზმის დოქტრინის დამკვიდრებას უწყობდა ხელს, რომელმაც ფაქტობრივად უზრუნველყო კიდევ დამოუკიდებელი ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ორგანიზაცია და საფუძველი დაუდო პირველი ქართული კონსტიტუციის კონცეპტუალურ ასპექტებს. აღნიშნული მსოფლმხედველობის შემდგომი რეალიზაცია კი ქვეყანაში საბჭოური მმართველობის დასასრულსა და 1991 წლიდან ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდს უკავშირდება.

ისტორიის სწორედ ზემოაღნიშნულ პერიოდებში იქნა მიღებული ის კონსტიტუციური აქტები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება, თვალის მივადევნოთ საქართველოში პარლამენტარიზმის ჩამოყალიბება-განვითარების ტენდენციებს. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია და საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია (კონსტიტუციის როგორც თავდაპირველი რედაქცია, ისე მასში მომდევნო პერიოდში შეტანილი ცვლილებები). ასევე აღსანიშნავია 1992 წლის 6 ნოემბრის „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელსაც ხშირად „მცირე კონსტიტუციასაც“ უწოდებენ²⁰ და რომელიც იმ პერიოდისათვის კონსტიტუციის გარეშე დარჩენილი ქვეყნისათვის კონსტიტუციის ფუნქციას ასრულებდა (როგორც ქართველი მეცნიერი – პ. ცნობილაძე შენიშნავს, „კანონის სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ იგი წარმოადგენდა კონსტიტუციური ხასიათის აქტს“²¹). კონსტიტუციური რეგულირების თვალსაზრისით, აღნიშნული აქტის არასრულყოფილებისა (იგი არ შეიცავდა კონსტიტუციის მიხედვით დასარეგულირებელ ბევრ საკითხს) და მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულმა აქტმა მნიშვნელოვანი, თავისებური და სპეციფიკური როლი შეასრულა საქართველოში პარლამენტარიზმის იდეის განვითარების საქმეში, შემოგვთავაზა საპარლამენტო სისტემაზე დაფუძნებული მართვისა და ხელისუფლების მოწყობის საკმაოდ ორიგინალური მოდელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მითითებული კანონის საფუძველზე მომუშავე პარლამენტმა, მიუხედავად მისი ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობისა,²² შეძლო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა და საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღება, რითაც საფუძველი ჩაუყარა კონსტიტუციონალიზმის განვითარების ახალ ეტაპს საქართველოში.

²⁰ იხ. მაგ., პაატა ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2004 წ. გვ. 128.

²¹ იქვე. გვ. 129.

²² იხ. ზაურ ჯინჯოლავა, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, თბ. 1993 წ., გვ. 9.

4. მონოპოლია დემოკრატიაზე თუ შეზღუდული წარმომადგენლობა

დაცვის გარანტობაც კი. ხელისუფლების პრეზიდენტის ხელთ კონცენტრაციის მოთხოვნის დასაბუთებას ს. ჰოლმსიც „მასშტაბურად უპრეცედენტო ეკონომიკურ, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ რეფორმებს“ უკავშირებს.⁵¹ იგი პრეზიდენტის მიერ განსახიერებულ „ძლიერ ხელმძღვანელობას“ პრობლემათა სიღრმისეულობას პირდაპირ უკავშირებს, ხოლო საპარლამენტო მმართველობის არჩევანს შესაბამისი სახელმწიფოების პრიორიტეტების ნაკლებ პრობლემურობაში ხედავს. „შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება ჩნდება იქ, სადაც საზოგადოება არ არის მზად, აირჩიოს მთავრობის მკაცრ ღინისძიებათა ფორმირებისა და მხარდაჭერის შეთანხმებაზე სათანადოდ მონოლითური პარლამენტი“.⁵² თუმცა, ვფიქრობთ, ზედაპირულია მსჯელობა, რომ, მაგალითად, ალბანეთს ნაკლებ სიღრმისეული პრობლემები ჰქონდა და პოლონეთთან შედარებით, ანდა რუსეთის ფედერაციის პრობლემები, მისი რესურსების გათვალისწინებით, უფრო ძნელად მოსაგვარებელი იყო, მაგალითად, უკრეთთან, სლოვენიასთან ან ნებისმიერ ბალტიისპირულ სახელმწიფოსთან შედარებით. ვფიქრობთ, ამ არგუმენტს უნდა დავუპირისპიროთ ღრმა და უფრო ხანგრძლივი კომუნისტური ინტერვენციონიზმით გამოწვეული დემოკრატიული ტრადიციების დეფიციტი ან მათი ჩახშობა. თუმცა ფაქტია, პოსტსოციალურ სამეცნიერო აზროვნებაშიც გავრცელებულია მოსაზრება, რომ „პოსტსოციალისტური სახელმწიფოს პირობებში მმართველობის ფორმის საპარლამენტო მოდელი ყოველთვის არ ხდება გამოსადეგი“.⁵³ ამ მიდგომის ფონზე ბუნებრივია მათი მიდრეკილება „ძლიერი“ საპრეზიდენტო ძალაუფლებისაკენ.

საპრეზიდენტო მმართველობის ამგვარ დასაბუთებათა მცდელობა, ვფიქრობთ, მეტად პოლიტიზებული და სამართლებრივად ირაციონალურია. „ძლიერი“ საპრეზიდენტო რესპუბლიკის მტკიცე და სტაბილურ ხელისუფლებად, საპარლამენტოსი კი (მიუხედავად ხშირად პრემიერის სახით მისი პერსონალიზაციისა) მაინც სუსტად განხილვას, უპირატესად ახალი დემოკრატიებისათვის მახასიათებელი მყიფე პარტიული სისტემა აძლიერებს. უბრალოდ, ამ მიდგომარეობაში, საპრეზიდენტო ძალაუფლება საპარლამენტო უნდობლობის რისკზე დამოკიდებულ მთავრობასთან შედარებით, ვადაში დაცული პრეზიდენტის სიმყარეს გამოხატავს. რიგი პოლიტიკური ლიდერებისათვის უფრო კომფორტული აღმოჩნდა ამომრჩევლისგან პირდაპირ მინიჭებულ დროში დაცული ლეგიტიმაცია. პოლიტიკურ აზროვნებაში დომინანტური იყო პოზიცია, რომ „საპარლამენტო რესპუბლიკისაგან განსხვავებით, საპრეზიდენტო-საპარლამენტო მმართველობის ფორმა ქმნის უფრო სტაბილურ აღმასრულებელ ხელისუფლებას“.⁵⁴ სწორედ ყოველი საზოგადო რეფორმის ხელმძღვანელად მიჩნეულ და ხელისუფლების ინსტიტუტებისაგან უკონტროლო და დაუბალანსებელი ბელორუსის პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებით აღნიშნულია, რომ „პრეზიდენტი“ კონსტიტუციურ-სამართლებრივ აზროვნებაში

⁵¹ St. Holmes დასახ. ნაშ. გვ. 57.

⁵² იქვე.

⁵³ ვ. ჩირკინი. დას. ნაშ.

⁵⁴ იქვე.

ნიშნავს სახელმწიფოს მეთაურს.⁵⁵ სახელმწიფოს მეთაურად აღქმის არეალი ინდივიდუალურია. ყოველი კონსტიტუცია განსაზღვრავს პრეზიდენტის სახელმწიფოს მეთაურად წარმოსახვის ფარგლებს. ამ განსაზღვრებათა დამდგენი ნორმები ძირითადი პრინციპების დონეზე აწესებენ იმ ფარგლებს, რომლებიც ვითარდება (ან უნდა ვითარდებოდეს) კონსტიტუციის შემდგომ დებულებებში – პრეზიდენტის კონკრეტულ უფლებამოსილებებში. თუმცა, „ძლიერი საპრეზიდენტო ხელისკენ“ სწრაფვამ მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოდგენა პრეზიდენტის ფუნქციურ წარმოსახვასა და როლზე. იქ, სადაც უარყოფილი იქნა პარლამენტარიზმი, სახელმწიფოს მეთაურის სტატუსის განმსაზღვრელი და მბოჭავი ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად აღქმა გახდა მისი ფართო შემეცნების წყარო. პრეზიდენტის ინსტიტუტის ამგვარი გაგების ვარიანტამ მოგვცა საპრეზიდენტო-საპარლამენტო, იგივე დეფორმირებული ნახევრადსაპრეზიდენტო, ანდა სუპერსაპრეზიდენტო მმართველობები. შესაბამისად, პრეზიდენტის უფლებრივი მდგომარეობა, რაც დეფორმირებამდე არსებით გავლენას ახდენს მმართველობის სისტემის განსაზღვრაზე, შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით გამოირჩევა:

1. სახელმწიფოს მეთაურის ფართო ინსტიტუციური გაგება;
2. აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ბოგჯერ ფორმალური და ყოველთვის ფიქტიური დისტანცირება მთავრობის პირდაპირი დაქვემდებარებით;
3. პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებათა მინიმზაცია და შესაბამისად, პარლამენტთან პრეზიდენტის ურთიერთობების თავისუფლება (დათხოვნის უფლების უმნიშვნელო შემლუდვები);
4. პრეზიდენტის ფართო სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებანი და პარლამენტის საკანონმდებლო სუვერენიტეტის ერთმნიშვნელოვანი შემლუდვა;
5. ვეტოსა და საკანონმდებლო ინიციატივის ფართო უფლებები;
6. პრეზიდენტის პასუხისმგებლობის (იმპიჩმენტის) გართულებული პროცედურები.

ამ სისტემებში პრეზიდენტი სახელმწიფო მმართველობის ვერტიკალია. ჩამოთვლილი მახასიათებლების სისტემური ერთობლიობით, მის ხელთ ძალაუფლება იმ ხარისხით კონცენტრირდება, რომ მმართველობის სისტემა ხელისუფლების დანაწილების ანტითეზა ხდება. ამგვარი კონცენტრაცია უარყოფს ხელისუფლების ადამიანის წარუვალი უფლებებით ბოჭვის არსს. მმართველობის სისტემის დეფორმაციის ხარისხის შედეგად მიღებული სისტემა ნამდვილად გადამეტებულ საპრეზიდენტო ძალაუფლებას წარმოშობს, რაც ზუსტად „სუპერსაპრეზიდენტო“ მმართველობას გვაძლევს; ამ სისტემას ა. დემეტრაშვილი „დეფორმირებულ ნახევრადსაპრეზიდენტო“, იგივე „სუპერსაპრეზიდენტო“,⁵⁶ მეთიუ შუგარტი „საპრეზიდენტო-საპარლამენტო“,⁵⁷ სტივენ ჰოლმსი „მესა-

⁵⁵ С. Паречина; Институт президентства: история и современность. стр. 51.

ინტერნეტწყარო: <http://lib.ru/POLITOLOG/parechina.txt> [შემოწმებულია: 27.07. 2018]. ანალოგიური სისტემური ხედვა იყო დომინირებული ყველა სუპერსაპრეზიდენტო სისტემაში (რ.ფ., საქართველო, ხორვატია).

⁵⁶ იხ. დასახ. ნაშ. ავთანდილ დემეტრაშვილის ხელმძღვანელობითა და პასუხისმგებელი რედაქტორობით.

⁵⁷ იხ: Shugart M.S., Carey J.M., დას. ნაშ. გვ.25.; ასევე – მათე შუგარტი. პრეზიდენტისა და პარლამენტის

პრეზიდენტო“⁵⁸, ხოლო ხუან ლინზი „ჰიპერსაპრეზიდენტო“⁵⁹ მართველობასაც უწოდებენ. პრეზიდენტის უფლებრივი განსხვავებები საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეულ მმართველობათა სხვადასხვა ვარიაციისაგან, სუპერსაპრეზიდენტო მმართველობაში პრეზიდენტს იმდენად „ძლიერად“ წარმოაჩენს, რომ ამ ძლევამოსილების პირობებში სამართალი კარგავს თავის სახესა და ფუნქციას და მხოლოდ პოლიტიკურ ძალმომრეობას ემსახურება. აქ „უბრალოდ მორჩილებაა, დიქტატურა არ არის აღიარებული, მაგრამ ქვეყანაში გაბატონებული შიშნარევი რიდი და თვითნებობა დემოკრატიის მახასიათებლად არ გამოდგება“.⁶⁰

მიუხედავად ნაკლები განვრცობადობისა (პოლონეთი, რუმინეთი, სომხეთი (2018 წლამდე), უკრაინა), მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა ნახევრადსაპრეზიდენტო – „პრეზიდენტ-პრეზიდენტის“ სისტემა. ამ სისტემას ახასიათებს, ერთი მხრივ, პრეზიდენტ-პრეზიდენტის შორის ძალაუფლების განაწილების მრავალფეროვნება, მეორე მხრივ, პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებათა თავისებურებები. პრაქტიკულად ყველა მათგანი, საერთო ტენდენციურ მახასიათებელთა მიუხედავად, ინდივიდუალურიც არის. თუმცა, ყველა მათგანს – რომლებიც თავს ასე თუ ისე ფრანგული სისტემის მემკვიდრეებად თვლიან, ტვირთად დააწვა აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმის თანმდევი ტრადიციული პრობლემა. დუალიზმი იძლევა მთავრობის ხელმძღვანელობაზე ორმაგი (პრეზიდენტისა და პრეზიდენტის) ერთდროული პრეტენზიის სამართლებრივ საფუძველს. ამ ქვეყნებში კონსტიტუციური სისტემის ცოცხალი სახის ფორმირებაზე (პარლამენტ-პრეზიდენტის შორის არა კონცენტრირებული პარტიული სისტემის სახითაც), ხელისუფლების დანაწილების პრაქტიკულ ასპექტებს ჰქონდა ზეგავლენა. სწორედ დაუკონკრეტებელმა დუალიზმმა (და არა მხოლოდ გაყოფილი პარტიული მმართველობის პირობებში) გამოიწვია 1999 წლის კრიზისი რუმინეთში, რომელიც პრეზიდენტ ემილ კონსტანტინესკუს მიერ პრეზიდენტ რადუ ვასილეს დეკრეტით გადაყენებითა და მათი მხარდამჭერი საპარლამენტო უმრავლესობის (მემამულეთა ეროვნული ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის) მხარდაჭერის დაკარგვით დასრულდა. აღმასრულებელი ხელისუფლების დუალიზმმა დააყენა პრობლემების წინაშე პოლონეთის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაც როგორც 1993-1995 (პრეზიდენტ ლეხ ვალენსასა და პრეზიდენტ-მინისტრებს – ვალდემარ პავლაკსა და იოზეფ ოლეკსს შორის), ასევე 2007-2010 (პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკისა და პრეზიდენტ დონალდ ტუსკს შორის) წლებში. იქ კი, სადაც პარტიული სისტემა ამა თუ იმ ეტაპზე უფრო ერთი დომინანტი პარტიის არსებობით ხასიათდებოდა, ანეიტრალდებდა კონკურენციას და იძლეოდა ავტორიტარული რეჟიმის

შესახებ. „რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“. შემდგენელი ო. მელქაძე. პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია. წიგნი II. გვ. 137.

⁵⁸ С. Холмс. Сверхпрезидентство и его проблемы.; Восточноевропейское Обозрение; Журн. 1993. № 4(5)/ 1994. № 1(6). стр. 23.

⁵⁹ J. Linz. Presidential or Parliamentary Democracy: Does It Make a Difference? // The Failure of Presidential Democracy. Comparative Perspectives. Ed. by J.J.Linz and A.Valenzuela. – Baltimore and London: The Johns Hopkins University Press, 1994. – P. 5, 76.

⁶⁰ ო. მელქაძე; ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები; თბილისი 2001. გვ. 16.

შექმნის უფრო მეტ შესაძლებლობას (სომხეთი 2018 წლამდე, უკრაინა 1994-2005 წლებში ლეონიდ კუჩმას და 2010-2014 წლებში ვიქტორ იანუკოვიჩის პრეზიდენტობისას), სისტემა უფრო მონოლითური იყო. ამ სისტემაში საპარლამენტო და საპრეზიდენტო მმართველობათა ელემენტების სინთეზის მიუხედავად, აღმასრულებელი ხელისუფლება საგნობრივად ერთიან სივრცედ რჩება. ამ ერთიან სივრცეში ორი „ღიასახლისის“ შეყვანით შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი სადემარკაციო ხაზების გავლება. ამიტომ, ამ სისტემის ფუნდამენტური მახასიათებელი – მმართველობის დუალიზმი, გამიჯვნის ბუნდოვანების გამო, მისი უცვლელი ტვირთიც არის.

შერეული მმართველობის მეორე, თუმცა, არა ნახევრადსაპრეზიდენტო ფენომენსაც ვხვდებით. პრეზიდენტი აქაც არ მიეკუთვნება ხელისუფლების არც ერთ განშტოებას. თუმცა, საპარლამენტო კლასიკებისაგან რამდენიმე მკაფიო განმასხვავებლით ხასიათდება:

1. აღმასრულებელი ხელისუფლების სუსტი და ფრაგმენტული დუალიზმი:
 - 1.1. პრეზიდენტის აქტების კონტრასიგნაციას დაქვემდებარებულ საკითხთა არეალის დავიწროვება ტიპურ საპარლამენტო რესპუბლიკებთან შედარებით;
 - 1.2. საომარი (სამხედრო, მაგრამ არა საგანგებო) მდგომარეობის გამოცხადების უფლება საკუთარი და არა მთავრობის ინიციატივით, პარლამენტის მიერ შემდგომი დამტკიცებით;
 - 1.3. საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტის ჩართვა მმართველობაში;
 - 1.4. საგარეო პოლიტიკის სფეროში რიგი ფუნქციის მთავრობასთან ერთად განხორციელების (აღსრულების) უფლებამოსილებები;
 - 1.5. თანამონაწილეობა სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხებში;
2. პრეზიდენტ-პარლამენტისა და პრეზიდენტ-მთავრობის კომუნიკაციის კონსტიტუციურად დადგენილი ფორმები;
3. საპარლამენტო სისტემებთან შედარებით, პარლამენტის უნდობლობისაგან მთავრობის დასაცავი უფრო მყარი მექანიზმების ფლობა პრეზიდენტის ხელთ;
4. პარტიული კუთვნილების ან თანამდებობრივი საქმიანობის შეზღუდვა ან აკრძალვა;
5. რეფერენდუმის დანიშვნის უფლებამოსილება;
6. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (მოლდოვა, ლიეტუვა);
7. სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოთა ფორმირებაში მონაწილეობის უფლება;
8. პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი.⁶¹

ამ მახასიათებლების შინაარსი ცხადყოფს, რომ შერეული რესპუბლიკების არა ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემები უპირატესად ხასიათდებიან არა აღმასრულებელ ხელისუფლებაში პრეზიდენტის ინტერვენციით (მისი დუალიზმის მიღწევით), არამედ ინსტიტუტების სტაბილურობასა და მათთან თანამშრომლობაზე ორიენტირებულ საპრეზიდენტო არბიტ-

⁶¹ ამ მახასიათებლების შესახებ დანვრილებით იხილეთ: ზ. ჯიბლაშვილი, დასახ. ნაშ. გვ. 148-160.

რაჟზე აქცენტირებით. არბიტრაჟი ეს არის პოლიტიკური სიტუაციის შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების, ნორმატიულად ზუსტად რეგლამენტირებული (უპირატესად ნეგატიური – შემაკავებელი და გამაწონასწორებელი, იშვიათად კი ზემოქმედების მიზნით, პოზიტიური – ინტერვენციული სამედიატორო უფლებებით გამყარებული) უნარი.⁶² შემაკავებელი – მაგალითად, მოტივირებული შენიშვნები (ვეტო); ინტერვენციული – საკანონმდებლო ინიციატივის, მთავრობისაგან ინფორმაციის გამოთხოვისა თუ მთავრობის სხდომის მოწვევის (ან მოწვევის მოთხოვნის) უფლებები. საარბიტრაჟო ფუნქციიდან ნაწარმოებ უფლებამოსილებათა სისტემა ობიექტურად კონსტიტუციურ ორგანოთა საქმიანობაზე ზეგავლენის ეფექტის შესაძლებლობაა, სუბიექტურად კი – საამისო უნარი. ამიტომ ამ სისტემაში ამგვარი „უხელისუფლებო“ პრეზიდენტი თავისი ფუნქციური მდგომარეობით – ნეგატიურ-შემაკავებელი საარბიტრაჟო უფლებამოსილებებით, ზოგჯერ კრიზისულ სიტუაციებში შესაძლოა, ზუსტადაც გადამწყვეტი და არსებითი როლის მქონე აღმოჩნდეს. ამგვარად, შესაძლოა, ის საპარლამენტო კლასიკისგან განსხვავებით, სწორედ ქმედით არბიტრად იქცეს. ამ ნიშნით, პრეზიდენტი აღმატებულია ხელისუფლების თითოეულ განშტოებაზე. მაგრამ აღმატებულია არა კონკრეტული ხელისუფლებისათვის მახასიათებელი უფლებრივი მდგომარეობით, არამედ ინსტიტუციური ავტორიტეტით, რომლის დამსახურებითაც ხელეწიფება, შეძლოს ხელისუფლების განშტოებათა ურთიერთობების მოწესრიგება.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ პრეზიდენტის ნეიტრალური არბიტრაჟი ორნახნაგოვანია: ერთი – ნეგატიური შემაკავებელი. ეს უპირატესად ერთპალატიან საპარლამენტო მმართველობებშია აქტუალური, რომ მეორე პალატის არარსებობის პირობებში, სახელმწიფოს მეთაურმა შესძლოს მთავრობის პოლიტიკაზე (მით უფრო მყარი ერთ პარტიული საპარლამენტო უმრავლესობის და არა კოალიციის პირობებში) შემაკავებელი ზეგავლენის მოხდენა და ამ პოლიტიკური ჯგუფის დომინაციის რისკზე ზემოქმედება; მეორე – უფრო ინტერვენციულ-პოზიტიური, სადაც ინსტიტუციური სტაბილურობის მიზნით, გარკვეული ჩარევების შესაძლებლობაც ეძლევა.

არა ერთი ავტორი სვამს „პრემიერ-პრეზიდენტის“ სისტემის არაერთგვაროვნების საკითხს⁶³ და გამოყოფს „შუალედურ-ფორმალურ“ („Moderate-formal“)⁶⁴ ვარიაციას, რაც ძალიან ახლოს არის ქერისა და შუგარტისეულ „პარლამენტი პრეზიდენტთან ერთად“⁶⁵ სისტემასთან.⁶⁶ ამგვარი დახასიათების საფუძვლად სწორედ პრეზიდენტის მდგომარეობაა

⁶² დაწვრილებით იხილეთ: იქვე. გვ. 149. აგრეთვე: ზ. ჯიბლაშვილი. საქართველოს პრეზიდენტის საარბიტრაჟო როლის განსაზღვრება და მისი ზოგიერთი თავისებურება. „სამართლის უკრანალი“. თსუ. იურიდიული ფაკულტეტი. #2. 2016. გვ. 208-209.

⁶³ იხ: Steven D. Roper. დას. ნაშ. გვ. Are All Semipresidential Regimes the Same? A Comparison of Premier-Presidential Regimes// Comparative Politics. – 2002. – Vol. 34. – № 3. – P. 253-272

⁶⁴ იხ: Steven D. Roper. დას. ნაშ. გვ. Are All Semipresidential Regimes the Same? A Comparison of Premier-Presidential Regimes// Comparative Politics. – 2002. – Vol. 34. – № 3. – P. 268.

⁶⁵ იხ: Shugart M.S., Carey J.M., დასახ. ნაშ. გვ.25.; ასევე – მათე შუგარტი. პრეზიდენტისა და პარლამენტის შესახებ. „რესპუბლიკა: საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“. შემდგენელი ო. მელქაძე. პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია. წიგნი II. გვ. 137.

⁶⁶ მსგავსი არა სტერილური, ზომიერად სინთეზური ვარიაცია განიხილება საპარლამენტო სისტემებშიც:

აღებული. ამ სისტემაში პრეზიდენტს, საპარლამენტო მმართველობასთან შედარებით, უფრო დიდი ძალაუფლება აქვს მთავრობის ფორმირებისა და უნდობლობის საბოლოო გადაწყვეტის სფეროებში. თუმცა, ისინი „არსებით საკანონმდებლო უფლებამოსილებათა“ არქონის გამო, ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემებს შორის, ყველაზე მეტად სუსტ პრეზიდენტებად განიხილებიან.⁶⁷ ერთ-ერთი დახასიათებით, ამ სისტემებში „თუმცა პრეზიდენტი არ არის ისეთი „ძლიერი“, როგორც, მაგალითად, საფრანგეთში ან პოლონეთში, საპარლამენტო-საპრეზიდენტო სისტემაში არ არის „წმინდა“ საპარლამენტო გერმანიის მსგავსად ან სლოვენის დონემდე „სუსტი“.⁶⁸ არაერთგვაროვანი პოსტსოციალისტური საპრეზიდენტო სისტემის არსებობას გამოყოფს ა. კინევიც და მას ფრანგულ და მსუბუქ საპარლამენტო მმართველობათა შუალედურ ქმნილებად განიხილავს. ამ ნიშნით, რიგ ცენტრალურ და აღმოსავლეთევროპულ საპრეზიდენტო ვარიაციას „საპრეზიდენტო სისტემის განსაკუთრებულად აღმოსავლეთ ევროპულ ტიპს“ უწოდებს.⁶⁹

საპარლამენტო რესპუბლიკათა მსგავსად, ნახევრადსაპარლამენტო სისტემებშიც, პრეზიდენტი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების კლასიკური ტრიადის ფარგლებს მიღმა გაიყვანება და გამოდის არბიტრის როლში.⁷⁰ ავტორის თქმით, „არსობრივად, საუბარია ხელისუფლების ახალი, მეოთხე – საპრეზიდენტო, დამცავი, არსებითად საარბიტრაჟო განშტოების გამოჩენაზე“.⁷¹ „სახელმწიფოს მეთაურის რანგში, ის განასახიერებს ზუსტად მეოთხე – საარბიტრაჟო ხელისუფლებას“.⁷² სწორედ არბიტრის ნეიტრალურ ხელისუფლებად განიხილავს ბ. კონსტანიც საპარლამენტო მონარქიაში „სამეფო ხელისუფლებას“.⁷³ რუსულ დოქტრინაში პრეზიდენტის საარბიტრა-

“Middle-of-the-way” იხ: Sartori G. Comparative Constitutional Engineering: An Inquiry into Structures, Incentives and Outcomes. – 2nd edition. – London: Macmillan Press, 1997. – P.101; Sartori G. Neither Presidentialism nor Parliamentarism // Linz J.J. and Valenzuela A. (eds.) The Failure of Presidential Democracy. Comparative Perspectives. – Baltimore and London: The Johns Hopkins University Press, 1994. – P. 108.

⁶⁷ Steven D. Roper. Are All Semipresidential Regimes the Same? A Comparison of Premier-Presidential Regimes// Comparative Politics. – 2002. – Vol. 34. – № 3. – P.254. იხ: ინტერნეტყარო: <http://www.stevendroper.com/regimes.pdf>

ჩვენის მხრივ დავაზუსტებთ, რომ სწორედ ამ საფუძვლებით, ვემხრობით მათ არა ნახევრადსაპრეზიდენტო, არამედ შერეული მმართველობის – ნახევრადსაპარლამენტო (საპარლამენტო-საპრეზიდენტო) სისტემებად განიხილვას.

⁶⁸ В. Чернов. Системы правления в Европе: классификация и сравнительный анализ (На примере стран Евросоюза). Журн. Политика. 2008. № 1. С.158.

⁶⁹ А. Кынев. Институт ПРЕЗИДЕНТСТВА в странах Центральной и Восточной Европы как индикатор процесса политической трансформации. Стр. 10.

იხ. ინტერნეტყარო: <http://www.politstudies.ru/files/File/2002/2/Polis-2002-2-Kynev.pdf>

შემოწმებულია 27.07.2018.

⁷⁰ ვ. ჩერნოვი. დასახ. ნაშ. გვ. 155.

⁷¹ იქვე.

⁷² ვ. ჩერნოვი. დასახ. ნაშ. გვ.158. თუმცა, ცალკე დისკუსიის საგანია ამა თუ იმ ნიშნით, დამოუკიდებელი „საპრეზიდენტო ხელისუფლების“ არსებობის საკითხი. ვთვლით, რომ საგნობივ-ფუნქციონალური იდენტიფიკაციის არ არსებობის გამო, ხელისუფლების მეოთხე – საპრეზიდენტო განშტოებაზე საუბარი მიზანშეუწონელია. თუმცა საკითხი უდავოდ იმსახურებს ცალკე განხილვას. ამ აქცენტებით, ჩვენ მხოლოდ პრეზიდენტის საარბიტრაჟო ფუნქციის მზარდ ტენდენციას და გააქტიურებულ სამეცნიერო შეფასებებს ვუსვამთ ხაზს.

⁷³ Benjamin Constant. Principes De Politique. Paris. 1815. P. 3.

ყო ბუნების სწორედ ნეგატიური განვითარებით (ხელისუფლების განშტოებათა საქმიანობაში ღრმა ინტერვენციით), აქტიურად საუბრობენ სახელმწიფო ხელისუფლების დამოუკიდებელი განშტოების – „საპრეზიდენტო ხელისუფლების“ აღმოცენებაზე.⁷⁴ საკითხის ამგვარად დასმა პირდაპირ უკავშირდება მმართველობის სისტემას. „საპრეზიდენტო ხელისუფლების“ არსებობაზე სწორედ მის უფლებამოსილებათა ანალიზის საფუძველზე საუბრობენ. „საპრეზიდენტო ხელისუფლება“ ხელისუფლების დანაწილების კონცეფციიდან განყენებულ და თითოეულ მათგანზე აღმატებულად განიხილება რუსული ტიპის სუპერ საპრეზიდენტო მმართველობებშიც. თუმცა, ეს მსჯელობა ვინაობა პირდაპირ გაგებას ექვემდებარება. არსებითი განსხვავება იმაშია, რომ ამ ხარისხით „აღმატებულობიდან“ მომდინარე საპრეზიდენტო ინტერვენციონიზმში ხედავენ მის საარბიტრაჟო როლს. ამიტომაც ითვლება, რომ „ამით იგი დამოუკიდებლად განასახიერებს სახელმწიფო ხელისუფლებას“.⁷⁵ სხვა მოსაზრებითაც, „რჩება საფუძველი დავასკვნათ, რომ პრეზიდენტს ხელისუფლების დამოუკიდებელი ფორმა აქვს... პრეზიდენტი მთლიანობაში დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან. საპრეზიდენტო ხელისუფლებასთან მიმართებით, საპარლამენტო და სასამართლო შემაკავებელი და გამანონასწორებელი ფაქტორები, მით უფრო კონტროლი, ყველაზე მინიმალური დოზით არსებობს“.⁷⁶ რუსულ და მის მიმდევარ მმართველობის სისტემებში პრეზიდენტი თავისი დომინანტური მდგომარეობით არ ექვემდებარება ხელისუფლების დანაწილებიდან მომდინარე ბოჭვებს და ფუნქციურად ყველა ხელისუფლებაში ინტერვენციით მართლაც აღმატებულია ყოველ მათგანზე. ის სწორედ ამითი არღვევს ხელისუფლების დანაწილების ფასეულობრივ სისტემასა და მექანიზმს. ამიტომ ვთვლით, რომ რუსულ კონცეფციაში, „საპრეზიდენტო ხელისუფლება“ შორდება დამოუკიდებელ არბიტრაჟს და პოსტსაბჭოურ „დირექტორად“ განიხილება.

მ. ბაგლაისა და ვ. თუმანოვის მოსაზრებით კი, „საპრეზიდენტო ხელისუფლება“ არ განიხილება დამოუკიდებელ განშტოებად. ეს ტერმინი შეიძლება „სამი ხელისუფლების“ სისტემაში მხოლოდ პრეზიდენტის განსაკუთრებულ სტატუსს აღნიშნავდეს, მისთვის საკუთარი უფლებამოსილებებისა და ხელისუფლების ყველა განშტოებასთან ურთიერთმოქმედების განსაკუთრებული საშუალებების მინიჭების გათვალისწინებით.⁷⁷ ვფიქრობთ, ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა დღეის მდგომარეობით, ჯერ კვლავ სამწვე-

⁷⁴ იხ: Конституция Российской Федерации: Комментарии. М., 1994. С. 399; Комментарии к Конституции Российской Федерации. М., 1994. С. 256-258; Козлова Е.И., Кутафин О.Е. Конституционное право России. М., 1995. С. 326; Государственное право Российской Федерации / Под. ред. О.Е. Кутафина. М., 1996. С. 357; Конституция Российской Федерации: Научно-практический комментарий / Под. ред. и со вступ. ст. акад. Б.Н. Топорина. М., 1997. 470; Чиркин В. Разновидности публичной власти и ее социальные и юридические источники// Журн . Государство и Право. 1997. №5.; А.С. Сахарова. А. Ирститут президентства (сравнительно-правовой анализ); ინტერნეტ წყარო: <http://law.edu.ru/doc/document.asp?docID=1117186> [ბოლო განახლება: 30.05. 2019].

⁷⁵ Сахарова. А. დასახ. ნაშ.

⁷⁶ Авакьян С., Президент Росииской Федерации: Эволюция конституционного правового статуса; Вестн. Моск. Ун-та. Сер. право. №1; 1998. Стр. 31.

⁷⁷ იხ: Баглай М.В. Туманов В.А. Малая энциклопедия Конституционного права; Изд. Бек. М. 1998. стр. 362.

როვანი განზომილების მატარებელია და პრეზიდენტს არ აქვს მიკუთვნებული სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციურად იდენტიფიცირებული რომელიმე განმტოება. უბრალოდ, სუპერსაპრეზიდენტო მმართველობებში მისი ფუნქციები არაპროპორციულადაა გაზრდილი. პრეზიდენტი არ ფლობს დამოუკიდებელ, თვისებრივად ახალ ფუნქციებს, რაც მას ხელისუფლების დღეისათვის არსებულ განმტოებათა მსგავსად, ფუნქციურად გამოიწვევდა მათგან. ამდენად, არ ვთვლით, რომ ამ თუ იმ ქვეყნის თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლების სამწვეროვან სისტემაში გამოჩნდა ხელისუფლების მეოთხე განმტოება „საპრეზიდენტო ხელისუფლების“ სახით. მეორე – მონისტური პარლამენტარიზმისათვის ორგანული უკიდურესობით კი, სახელმწიფოს მეთაურის ნეიტრალიზმის გაგება მას აქცევს „უსარგებლოდ“⁷⁸ სახელმწიფო ნოტარიუსობამდე დაიყვანება და გზას უთმობს აღმასრულებელი ხელისუფლების „ტირანიას“. ამ სისტემას გაყვნიენ რიგი ქვეყნები – ალბანეთი, ბულგარეთი, ლატვია, უნგრეთი, 2018 წლიდან საქართველოც.

სინამდვილეში კი სისტემის ქმედითუნარიანობისათვის არსებითია კომპეტენციათა და შესაძლო ურთიერთქმედებათა იმგვარი განაწილება, რომ სისტემა ნასაზრდოები იყოს ქმედითი და ობიექტური არბიტრაჟით, სადაც პრეზიდენტი არ იქნება რომელიმე პოლიტიკური ძალის ნაწილი⁷⁹ ან სულაც დამოუკიდებელი, მაგრამ ალტერნატიული მოთამაშე. ეს არსებითია იმიტომ, რომ არ დაირღვეს მისი ნეიტრალური არბიტრაჟის იდეა, რომელი ხედვითაც, „პრეზიდენტის, როგორც მთელი ერის წარმომადგენლის საარბიტრაჟო ხელისუფლება მოიცავს მაქსიმალურად სრულ და არაწინააღმდეგობრივ გამოხატულებას“⁸⁰ თუმცა, პრეზიდენტი ნეიტრალური და დამოუკიდებელი ვერ იქნება პოლიტიკური ნებისა და მოვლენებისაგან. ის სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირია და მისი ყოველი გადაწყვეტილება პოლიტიკურია. პრეზიდენტის გადაწყვეტილებები პოლიტიკური მოვლენების მიმართ არის რეაქცია პოლიტიკის განსაზღვრასა თუ განხორციელებაზე. პრეზიდენტი დამოუკიდებელი უნდა იყოს ვინაირ, ერთჯერადი სიტუაციური პოლიტიკური ინტერესებისაგან; არ უნდა იყოს ყოველი ინდივიდუალური პოლიტიკური დავის მონაწილე და რომელიმე მოთამაშის ინტერესების მუდმივი პარტნიორი, თორემ ის პოლიტიკისგან განყენებული და პოლიტიკური პროცესებისადმი გულგრილი ვერ იქნება, ნეიტრალიტეტი ამას არ გულისხმობს. უფრო მეტიც – მისი საარბიტრაჟო ფუნქციები, როგორც ვთქვით, სამთავრობო პოლიტიკაზე შემაკავებელი ბუნებისაა. ამით ის პოლიტიკაზე ზეგავლენის მქონე სუბიექტია და ალტერნატიული პოლიტიკური გადაწყვეტილების არაპირდაპირი წყაროც კი შეიძლება გახდეს. პრეზიდენტი სტრატეგიულად შესაძლოა ხელისუფლების თანამოაზრეც იყოს, მაგრამ ის ზემოქმედებდეს გარკვეულ გადაწყვეტილებებზე. ამიტომაც, მისი გადაწყვეტილება ამა თუ იმ ეტაპზე, შეიძლება სხვადასხვა პარტიების პოზიციებს დაემთხვეს, მაგრამ მისი დამოუკიდებლობისა და

⁷⁸ იხ: ბ. კონსტანი. დასახ. ნაშ. გვ. 47.

⁷⁹ სწორედ ამ თვალსაზრისით, ყველა ასეთი მმართველობა სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს პრეზიდენტის არა პარტიულობის განსაკუთრებულ რეგულაციებს.

⁸⁰ ვ. ჩერნოვი. დასახ. ნაშ. გვ. 158.

ნეიტრალიტეტის ფილოსოფიის ფარგლებში, ის მიმდინარე, უწყვეტ დამოკიდებულებაში არ უნდა იმყოფებოდეს რომელიმე პარტიასთან.

თვალსაჩინოა, რომ ამ სისტემაში პარლამენტარიზმის ფუძემდებლურ (პარლამენტისა და მთავრობის დამაბალანსებელი ურთიერთპასუხისმგებლობის) პრინციპთან ერთად, სახელმწიფოს მმართველობა ეფუძნება საპრეზიდენტო არბიტრაჟსაც. ეს ორიენტირებულია დემოკრატიული ინსტიტუტების ტრადიციის არქონის, სუსტი სამოქალაქო საზოგადოებისა და არამყარი პარტიული სისტემიდან მომდინარე რისკების მინიმიზაციისკენ. ასევე, ოთხივე ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკა (ლიეტუვა, მოლდოვა, საქართველო და ხორვატია) ერთპალატიანი პარლამენტის სისტემაში აღმოცენდა. ეს ფაქტორი სუსტ პარტიულ სისტემებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის საპრეზიდენტო საარბიტრაჟო აქტივობას. მმართველობის ამ ვარიაციაში პრეზიდენტის ფუნქციური აქტივობა ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპის ფარგლებში სახელმწიფო ინსტიტუტების სტაბილურობისა და ურთიერთობათა ჰარმონიზაციაზე აქცენტირებით განისაზღვრება.⁸¹ პრეზიდენტის ინსტიტუციური და სუბიექტური პიროვნული შესაძლებლობების რესურსი, აღნიშნული ფაქტორებიდან მომდინარე, შესაძლო სიცარიელეების შევსებისაკენ არის მიმართული. ამ თვალსაზრისით მმართველობის ეს სისტემა რაციონალიზებული პარლამენტარიზმისა და პოლიტიკურად შესაძლო ეფექტიანი საპრეზიდენტო სტაბილურობის ნაზავია. ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკა ერთპიროვნული და კოლეგიური მმართველობის მსოფლმხედველობრივი ჭიდილის შუალედურ-კომპრომისული ვარიაცია და ტიპური პოსტსოციალისტური ფენომენია. მან არც აღმასრულებელი ხელისუფლების მწვავედ კონფლიქტური დუალიზმი გამოიწვია და არც საპარლამენტო სისტემის არსი უარყო. მან სისტემას დამატებით, ზომიერად მიაშველა საპრეზიდენტო შესაძლებლობების რესურსიც. ამიტომაც მმართველობის მიღებული სისტემა არ არის არც ტიპური ნახევრადსაპრეზიდენტო და არც საპარლამენტო, მათი ბალანსირებული შუალედური ვარიაციაა. ამ ნაზავში „ამოიკითხება საპარლამენტო უმრავლესობისა და მისი მთავრობის გარკვეული სამართლებრივი უპირატესობა, რაც შეიძლება განმარტებული იყოს, როგორც საპარლამენტო მმართველობისაკენ გადახრილი შერეული მმართველობის ერთ-ერთი ვარიაცია“.⁸²

პრეზიდენტის უფლებრივი მდგომარეობა და მთავრობასთან ურთიერთობის ფორმები შესაძლებელს ხდის, რომ მან არ დაუშვას პოლიტიკური სისტემის მიძინება ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მონოლითური მთავრობის პირობებშიც კი. თუმცა, ამ მოცემულობის შესაძლებლობა უფრო მკაფიო ხდება პრეზიდენტ-პრემიერის პოლიტიკური თანაარსებობის პირობებში. სწორედ პარტიულად არაკონცენტრირებული პოლიტიკური

⁸¹ იხ: ზ. ჯიბლაშვილი. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპული (ყოფილი სოციალისტური ქვეყნების) მმართველობის ერთი არა ტიპური სისტემის შესახებ.; სტატიების კრებული: „ავთანდილ დემეტრაშვილი 75“. საიუბილეო გამოცემა. თბ. 2017. გვ. 160.

⁸² თ. ერქვანია. სახელისუფლებო შტოების ურთიერთობის სპეციფიკა 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ფონზე: არსებითი პრობლემები. სტატიების კრებული: სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე. საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში. თბ. 2003. გვ. 36.

სისტემის პირობებში, სხვა, ცოცხალი კონკურენტუნარიანი (სამთავრობო პოლიტიკაზე შეკავების მცდელობების ჩათვლით) სახე მიიღო მმართველი ქართული ოცნების პარტიისაგან პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის დისტანცირების შემდეგ.

ნახევრადსაპარლამენტო მმართველობაში შემოტანილი, პარლამენტარიზმთან მიმართებით დეფორმაციული კომპონენტები არ არის მხოლოდ პრეზიდენტის „გაძლიერების“ მიმართულებით გადახრილი, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად სხვაგვარად შეიძლება ჩანდეს. თუმცა, რასაკვირველია, ამ უფლებამოსილებათა გამოყენების თავისი წილი პოლიტიკური ამბიციის აქვს ყველა პრეზიდენტს. მმართველობის კონსტიტუციურ-ფორმალური განსაზღვრებების რეალურად განვითარების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პრეზიდენტის კონსტიტუციური შესაძლებლობების დისტანცირებას პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ზრახვებისა და ნებისაგან, პრემიერ მინისტრზე მისი დაქვემდებარების რისკების მინიმალიზაციას და მათ საპრეზიდენტო პოლიტიკური დღის წესრიგში გადატანის შესაძლებლობას. ამ მახასიათებლის დინამიკაში განვითარება შესაბამისი პოლიტიკური ფაქტორებისა და მიხედვით შეიძლება დროში ცვალებადი იყოს.

3. დასკვნები

თვალნათლივ გამოჩნდა, რომ პოსტსოციალისტურმა კონსტიტუციონალიზმმა, ინსტიტუციური არჩევანის რთულ პროცესში, მმართველობის მრავალფეროვანი სისტემების შესაბამისად, „აღმოსავლეთეფროპული საპრეზიდენტო სისტემის“ არაეთვაროვანი, რამდენიმე არსებითად განსხვავებული ფენომენი შექმნა. სამართლებრივ-პოლიტიკური ასორტიმენტი დიდია – სრულძალაუფლებიანი ხელმძღვანელიდან მშრალ-ცერემონიალურ წარმომადგენლამდე. ინსტიტუციური არჩევანისას, მსოფლმხედველობრივად განსხვავებული მმართველობის – ერთპიროვნული და კოლეგიური ფენომენების დაპირისპირების მიუხედავად, საერთო იყო პოლიტიკური სტაბილურობის მოთხოვნილება. ეს ინდივიდუალურ და განსხვავებულ გადანწყვეტილებებს განაპირობებდა.

აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობის მოთხოვნილება იყო აღმოცენებადი დემოკრატიების არამყარი პარტიული სისტემების რისკისაგან დაცვა. ამ გარანტიების მიმართულებით, ქვეყნები გადაჯგუფდნენ რაციონალიზებული პარლამენტარიზმისა და უფრო პროსაპრეზიდენტო მიმართულებებად. პარტიული სისტემის დაკრისტალების ორიენტირების სისუსტის გათვალისწინებით, ბევრგან ვერ იქნა მიღებული საპარლამენტო მმართველობის შემოღების გადანწყვეტილება. ვფიქრობთ, აქ პარტიული სისტემის დაკრისტალება ეთნო კულტურის გარდა, ინდივიდუალურ მესიანისტურ ფენომენებსაც ემსხვერპლა (ბელორუსი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, პირველ ეტაპზე ხორვატია და შემდეგ საქართველოც). თუმცა, სადაც აღმოცენებადი – არამყარი პარტიული სისტემის მიუხედავად, დამკვიდრდა საპარლამენტო მმართველობა, სისტემამ შეითავსა კოალიციური თანაცხოვრების წესი. ამან თავის მხრივ, ხელი შეუწყო პარტიათა არსებობა-განვითარებას მყარ იდეოლოგიურ საფუძვლებზე – ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია,

მონტენეგრო, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი. ამ გადანაცვებების ერთ-ერთი განმსაზღვრელი, როგორც აღვნიშნეთ, პოსტსოციალისტური სივრცის უფრო დასავლურ ნაწილში კომუნისტური ერთმმართველობის ინტერვენციონიზმის შედარებით ხანმოკლე შეღწევადობა და შესაბამისი შედეგები იყო. ე.წ. ძლიერი საპრეზიდენტო ძალაუფლება კი უფრო იქ გახდა მოთხოვნადი, სადაც ღრმა იყო კომუნიზმის შეღწევადობა საზოგადოებრივ ყოფაში. ამიტომ იგი ტიპური პოსტსაბჭოური ფენომენია. დომინანტურად საპრეზიდენტო მმართველობისაკენ მიდრეკილება პოსტსაბჭოურ მმართველობებსა და აღმოსავლურ კულტურებში გახლდათ მკაფიო, სადაც ერთპიროვნული მმართველობა ტრადიციული, ხოლო აღმოსავლურ კულტურებში კი პირდაპირ აქსიოლოგიური კანონზომიერება იყო.

მმართველობის სისტემათა მხოლოდ ფორმალური მახასიათებლებით კლასიფიკაცია არასრულყოფილია და შეიძლება, რეალობასაც აგვაცდინოს. სამართლებრივ სახელმწიფოში რეალური მმართველობის სისტემა და კონსტიტუციაც ვერ იფუნქციონირებს მისი თეორიული მახასიათებლების ფარგლებს მიღმა. თუმცა, მმართველობის სისტემა ცოცხალი ორგანიზმია, ის იქმნება, ფუნქციონირებს და ვითარდება. იგი ცოცხალ, რეალურ სახეს იღებს სწორედ თეორიულ განმსაზღვრელებზე, რეალური მეგა-სამართლებრივი ფაქტორების გავლენით. რადგანაც (დროში, ასევე სხვადასხვა სახითა და ფორმით) იცვლება მატერიალური გეგავლენის ფაქტორები. ასე, „მაკედონიას თავად ხელისუფლება ახასიათებს როგორც „საპარლამენტო დემოკრატიას საპრეზიდენტო რესპუბლიკის ცალკეული ელემენტებით“. ამის მიუხედავად, რადგანაც მაკედონიის პრეზიდენტის ხელისუფლება ეფუძნება უფრო არაფორმალურ, ვიდრე ფორმალურ გავლენას, ნორმატიული თვალსაზრისით, ის ზუსტად საპარლამენტო სისტემაა“.⁸³ აღსანიშნავია, რომ ნაშრომი გამოქვეყნებულია 2002 წელს, როდესაც ჯერ კიდევ საპრეზიდენტო ზენიტში იმყოფებოდა პრეზიდენტი ბორის ტრაიკოვსკი (ტრაგიკულად დაიღუპა 2004 წელს), რომლის ფენომენის დამსახურებაც არის ეს შეფასება. სწორედ პოლიტიკურ სპექტრზე მისი არაფორმალური გავლენა განაპირობებდა თანამშრომლობის კომპონენტის წამოწევას პრეზიდენტ-მთავრობის ურთიერთობებში. ამან კი რეალური გავლენა ჰქონდა მმართველობის შინაარსზე და იმ პერიოდში სწორედ „პრემიერ-პრეზიდენტის“ სახე მისცა. მომდევნო პრეზიდენტებისათვის ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და სისტემა დღემდე, რეალურადაც და ფორმალურად განსაზღვრულ საპარლამენტო რეჟიმში არსებობს.⁸⁴

მკვეთრად განსხვავებული იყო მეორე მიმართულება – აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობის მიღწევა მყარ საპრეზიდენტო ინსტიტუტთან მიკედლებით. ამ ორ უკიდურესობას შორის ერთგვარი კომპრომისი აღმოჩნდა შერეული სისტემები. ეს ყველა გადანაცვებები აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერების ტენდენციამაც განა-

⁸³ ა. კინევი. დას. ნაშ. გვ. 14.

⁸⁴ იხ. აგრეთვე: ზ. ჯიბლაშვილი. პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის სტრუქტურა. უფრნ. სამართალი და მსოფლიო. #3. 2015. გვ. 50. ინტერნეტყარო:

<http://lawandworld.ge/cms/upload/pdf/b11da6bb57c2808d4b1e9c333f39a8ce.pdf> შემოწმებულია: 31.03. 2019.

პირობა. განსხვავებული იყო მისი განვითარების ფორმები. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ თუნდაც ამ კლასიფიკაციის შიგნით მათი ორგანიზაციის ვარიაციები არ განსხვავდება: ასე მაგალითად, გაყოფილი აღმასრულებელი ხელისუფლების კვალობაზე, მაინც არსებითაა განსხვავება პოლონეთისა და რუმინეთის საპრეზიდენტო ინსტიტუტებსა და, შესაბამისად, მმართველობის სისტემებს შორის. ბევრის თვალსაზრისით, ყველა მათგანს აქვს თავისი ინდივიდუალური მახასიათებელი, ამიტომ, ეს კლასიფიკირებული მოდელებიც არ არის ერთგვაროვანი და მით უფრო – ერთფეროვანი.

საბოლოოდ, პოსტსოციალისტურ კონსტიტუციურ სივრცეში მივიღეთ დამკვიდრებული მმართველობის სისტემათა შესატყვისი პრეზიდენტის სამი კონცეპტუალურ-მოდელოვანი ნაირსახეობა. ესენია:

1. პრეზიდენტი წარმომადგენელი – საპარლამენტო რესპუბლიკებში;
2. პრეზიდენტი არბიტრი (წარმომადგენლობითობის ჩათვლითაც) – ნახევრადსაპარლამენტო რესპუბლიკებში;
3. პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი – ნახევრადსაპრეზიდენტო და სუპრესაპრეზიდენტო რესპუბლიკებში:
 - 3.1. გამყოფი მთავრობასთან ერთად (მმართველობის ბიცეფალური სისტემა);
 - 3.2. აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი მატარებელი მთავრობასთან ფიქტიურობამდე სუსტი დუალიზმით.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პირველადი ინსტიტუციური არჩევანი არ იყო მყარი. ბევრი მათგანი სხვადასხვა ფორმით – ზოგჯერ ევოლუციური, ზოგჯერ კი რევოლუციური ფორმებით იცვლებოდა ხოლმე. ასე მაგალითად, საქართველომ განვლო გზა სუფთა თუ დეფორმირებული საპრეზიდენტო სისტემებიდან პარლამენტარიზმამდე. პრეზიდენტის სტატუსის ეტაპობრივ განვითარებაში, სხვადასხვა ფორმით, მეტნაკლები დინამიკა შეიმჩნეოდა პოლონეთში, სლოვაკეთში, უკრაინაში, ხორვატიასა და ჩეხეთში. უფრო სტაბილურობით ხასიათდებოდნენ ალბანეთი, ბელორუსი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, მაკედონია, რუმინეთი და რუსეთის ფედერაცია.

ამდენად, ჩამოყალიბებული საპრეზიდენტო ინსტიტუტები ზოგჯერ დიამეტრალურადაც განსხვავდებიან. ეს ყველაფერი განპირობებულია სხვადასხვა, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორით: ამ დროისათვის ქვეყანაში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა; პარტიული სისტემის სიმყარე ან მათი დაკრისტალების პროცესის თანმიმდევრულობა; ისტორიული წინაპირობები; პრეზიდენტის ინსტიტუტის დაფუძნებისათვის კონკრეტულ ეტაპზე ქარიზმატული ლიდერის ფენომენისადმი საზოგადოების სწრაფვის ხარისხი, თავად ასეთი ლიდერის არსებობა; ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების თანმიმდევრულობა და სტაბილურობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სწორედ ამ გარემოებათა გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ქვეყნებში დაფუძნდა ზოგ შემთხვევაში დიამეტრალურად განსხვავებული

კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის მქონე პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც თავისი ბუნებით თავსებადია ჩამოყალიბებული მმართველობის სისტემასთან და თავადაც ამ სისტემის პირმშოა.

ამავდროულად, „პრეზიდენტის პოლიტიკურად სუსტი ფიგურის“⁸⁵ ქვეყნებშიც კი, პრეზიდენტები მუდამ ცდილობენ, არა მხოლოდ ავტორიტეტის ძალა შესძინონ თავიანთ პოსტებს და გარკვეული ძალის უფლებითაც აღიჭურვონ. უნგრეთის პირველი პრეზიდენტი არჰად გონცი აცხადებდა: „ამბობენ, რომ პარლამენტმა სუსტი პრეზიდენტი აირჩია. (დამიჭერეთ) მე მთლად სუსტი არა ვარ“.⁸⁶ ამიტომ, ყოველ საპრეზიდენტო ინსტიტუტზე არსებითი იყო ყოფილი პრეზიდენტების პოლიტიკური კვალი. ამიტომაც, საპრეზიდენტო ძალაუფლების ფართო პალიტრის ფარგლებში, ჩვენ პრეზიდენტის უფლებამოსილებათა სიმრავლე-სიმწირეზე შეიძლება ვისაუბროთ მმართველობის ერთი სისტემის შიგნით. ეს ამ სისტემათა ზედმინვენით ზუსტი კლასიფიკაციისათვის გამოდგება. მაგრამ არ იქნება რაციონალური, პრეზიდენტის უფლებამოსილებების თვალსაზრისით მის „სიძლიერე“-„სისუსტეზე“ ერთიანად ვიმსჯელოთ სისტემურად სხვადასხვა მმართველობებში. სამართლებრივ-პოლიტიკური თანხმობის გაფორმების – კონსტიტუციის ყველაზე მეტად პოლიტიზებული კომპონენტი მმართველობის ფორმისა და სისტემის არჩევანია. ამიტომ, ამ არჩევანის პროცესი ვერ გასცდება პრეზიდენტის „სიძლიერე“-„სისუსტის“ პოლიტიზებული გაგებას. თითოეულის შესაბამისად გაკეთებული არჩევანი მმართველობის ამა თუ იმ სისტემის არჩევანს ნიშნავს. სწორედ ეს გვაძლევს ამა თუ იმ სისტემის შიგნით ასე თუ ისე „ძლიერი“ ან „სუსტი“ პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრების ფორმალურ საფუძველს. დანარჩენი კი – ყოველი ინსტიტუტის შემდგომი პოლიტიკური სიძლიერე თუ სისუსტე პოლიტიკური ხელოვნების საკითხია. რომელი ინსტიტუტი განვითარდება ძლიერად თუ სუსტად, ეს პოლიტიკურ შეჯიბრობითობაში გამოვლენილი შესაბამისი უნარების შედეგია. ფორმალურად „სუსტ“ პრეზიდენტსაც ჰქონია მმართველობის სისტემაზე არსებითი გავლენა და – პირიქითაც.

რეზიუმე

ევროპის ყოფილი ტოტალიტარული სოციალიზმის ქვეყნებმა ერთ ისტორიულ ეპოქასა და თითქმის თანაბარი სასტარტო მდგომარეობით დაიწყეს დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლა. მიუხედავად ამისა, დღეს სამართლებრივ-პოლიტიკურად და ეკონომიკურად სხვადასხვა პოლუსზე იმყოფება ბევრი მათგანი: პოლონეთი და უკრაინა, ბელორუსი, რუსეთის ფედერაცია და ჩეხეთი, უნგრეთი და სლოვაკეთი, მოლდოვა, სომხეთი და ბალტიისპირული სახელმწიფოები და ბოლოს, ერთნაირად ორგზის ომგამოვლილი ხორვატია და საქართველოც.

⁸⁵ ე. ერემაძე. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკებში. შურნ. „აღამიანი და კონსტიტუცია“. 2002. #3. გვ. 36.

⁸⁶ ჰ. შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბ. 2003. გვ. 415.

დრომ აჩვენა, რომ დღეისათვის არსებული განსხვავებული მდგომარეობა განაპირობა როგორც ინსტიტუციური არჩევანის სამართლებრივმა ფორმამ, ასევე მისმა დროის შესაბამისმა პოლიტიკურმა ეფექტმა და მათი შემდგომი პრაქტიკულ-პოლიტიკური რეალიზაციის შინაარსმა. ამ პროცესებზე სამართლებრივზე მეტად მეგა სამართლებრივი ფაქტორების გავლენა იყო. საზოგადოებრივი პროცესები კარნახობდა მათი შესატყვისი ობიექტური მექანიზმების შექმნას. თუმცა, პოლიტიკური ელიტები ხშირად უარს არ ამბობდნენ ამ პროცესების საკუთარი მიზნებით გამოყენებაზე. ინსტიტუციური არჩევანის სიმძიმე არსებითად ამ არჩევანის საფუძვლების ფასეულობათა გენეზისიდანვე მსოფლ-მხედველობრივმა სხვადასხვაობამ განაპირობა.

ნაშრომში, ფორმატის შესაბამისად, შევეცადეთ იმ საფუძვლების წვდომას, რომლებმაც გაანპირობა მსოფლმხედველობრივად განსხვავებული ინსტიტუციური (მმართველობის) არჩევანი; მმართველობის სისტემათა ფუნდამენტური მახასიათებლებისა და მათში ჩამოყალიბებული საპრეზიდენტო სისტემის განსხვავებულ ვარიაციათა ძირითადი ტენდენციების კლასიფიკაციას.

Post-Socialist Institutional Models of the President and the Main Directions of its Development

Zurab Jibghashvili

Resume

Countries of former European totalitarian socialism began democratic transformations in the same historical era with equal conditions. In spite of this, at present in judicial, political and economic terms, many of them are at different poles: Poland and Ukraine, Belarus, R.F. and the Czech Republic, Hungary and the Slovak Republic, Armenia and the Baltic countries and finally Georgia and Croatia, which were involved in two wars.

Time has shown, that the existing circumstance is due to both the legal structure of the institutional choice, as the current political effect and the content of its practical and political implementation. The above processes were influenced not only by legal factors, but also by other real political factors. Public processes led to the creation of equivalent objective mechanisms. However, political elites often used these processes for personal political reasons. Institutional choices were difficult due to different values.

In this research work I tried to have general access to the basis that formed the different institutional (authority) choice. I also tried to review the fundamental features of the authority system and the classification of the general tendencies of different variations for the presidential institution.

ჩვეულება და სასამართლო პრეცედენტი როგორც საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყარო

მარი მარინაშვილი

შესავალი. 1. ჩვეულება. 2. სასამართლო პრეცედენტი. დასკვნა. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროებზე საუბრისას ტრადიციულად, კანონზე, უპირველეს ყოვლისა კი ქვეყნის ძირითად კანონზე უთითებენ. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ჩვეულებისა და სასამართლო პრეცედენტის, სამართლის წყაროთა რიგში განუხილველობა ჩვეულებრივი მოვლენაა. თანამედროვე ეტაპზე ჩვეულება და სასამართლო პრეცედენტი, როგორც საქართველოს კონსტიტუციური სამართლის დამოუკიდებელი წყარო, ოფიციალურად, კანონმდებლის მიერ არ არის აღიარებული, თუმცა არც აკრძალულია. მაგრამ ვინაიდან საჯარო სამართალში არ მოქმედებს პრინციპი, რაც არ არის აკრძალული, დაშვებულია, ჩვეულება, ისევე როგორც სასამართლო პრეცედენტი, კონსტიტუციური სამართლის წყაროთა სისტემაში არ განიხილება. ვფიქრობთ, რომ პრაქტიკა კანონმდებლობისა და თეორიისგან განსხვავებულს ადასტურებს.

ჩვენი აზრით, ჩვეულება, როგორც კონსტიტუციური ურთიერთობების მომწესრიგებელი უშუალო რეგულატორი, დღესაც გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში. ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სასამართლო პრეცედენტის ძალა გააჩნია. განვიხილოთ თითოეული მათგანის ადგილი და როლი საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროთა სისტემაში.

1. ჩვეულება

ისტორიიდან ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ «optima legum interpres consuetudo» – კანონის საუკეთესო განმამარტებელია ჩვეულება. ჩვეულების თავისებურება სწორედ იმაშია, რომ იგი არ არის სამართლის ნორმით განმტკიცებული, თუმცა შესაძლებელია, სამართლის ნორმა უთითებდეს მასზე. რა თქმა უნდა, ჩვეულების გამოყენებას პრაქტიკაში შეზღუდული ხასიათი გააჩნია, რაც აიხსნება მარტივი კანონზომიერებით: რაც უფრო სრულყოფილია კანონმდებლობა, მით უფრო შეზღუდულია ჩვეულების მოქმედების სფერო.

თანამედროვე პირობებში, დაუნერგელი სამართალი დაწერილმა სამართალმა ჩაანაცვლა, თუმცა ჩვეულებამ მნიშვნელობა არ დაკარგა ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში წამყვანი სახელმწიფო ინსტიტუტების ფორმირება

და ფუნქციონირება ხდება არა დანერგილი ნორმების ძალით, არამედ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ჩვეულებების საფუძველზე. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, ჯერ კიდევ, 1721 წლიდან დაფუძნდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში იურიდიულად არც ერთ კანონში არ მოიხსენიებოდა და მხოლოდ 1917 წელს იქნა პირველად ოფიციალურად აღიარებული, ხოლო 20-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც პრემიერ-მინისტრი აუცილებლად უნდა იყოს თემთა პალატის წევრი, მაგრამ ყოველად დაუშვებელია მისი ლორდთა პალატის წევრობა.¹ დიდ ბრიტანეთში ბევრი დაუნერგელი წესი მოქმედებს, მაგალითად მონარქის, პარლამენტის თანხმობის გარეშე, პარლამენტის სხდომათა დარბაზში წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეუძლია შესვლა – პირველი სესიის გახსნის დროს; მონარქის სიტყვას, რომლითაც იგი წარსდგება ლორდთა პალატის წინაშე სესიის გახსნისას, მისთვის კაბინეტის წევრები წერენ; კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს ფეხზე ადგომით ან დეპუტატების გასვლით დარბაზის მარჯვენა ან მარცხენა კარებში, მათი პოზიციის მიხედვით. მაგალითად, აშშ-ში არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო კანონი, რომელიც არჩევნების დღეს ალკოჰოლის გაყიდვას კრძალავს, თუმცა 18 ქალაქსა და 7 ოლქში ეს აკრძალვა მოქმედებს.²

როგორც ცნობილია, კონტინენტური სამართლის ჩამოყალიბებაში ჩვეულებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; თუმცა თანამედროვე ეტაპზე კონსტიტუციურ სამართალში მისი როლი მცირეა, მაგრამ შენარჩუნებულია.

მართალია, ჩვეულება ეფუძნება ნორმის გამოყენების ხანგრძლივ ტრადიციას (*longa consuetudo*), ხოლო საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ გააჩნია კონსტიტუციონალიზმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიაც კი, მაგრამ კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე კონსტიტუციურ პრაქტიკაში დამკვიდრდა და გამოიყენება არა ერთი დაუნერგელი წესი.

როგორც ჩამოყალიბებული პრაქტიკა მეტყველებს, ჩვეულება საქართველოს კონსტიტუციურ სამართალში ძირითადად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საკითხი კანონმდებელმა კონსტიტუციურ დონეზე არ მოაწესრიგა. ასე, მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პრეზიდენტის გადადგომის უფლებას. ვინაიდან კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფო მეთაურის არჩევის წესს, შესაბამისად, პრეზიდენტის თანამდებობა არის სახელმწიფო-პოლიტიკური და იგი წარმოადგენს სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირს, მასზე ვერ გავრცელდება საჯარო მოსამსახურისათვის დადგენილი წესები.³ ამასთან, პრეზიდენტს არ ჰყავს ზემდგომი ორგანო, ვის სახელზეც

¹ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ო. მელქაძე, კრებული 1, თბილისი, მერანი, 1999, გვ. 116.

² <https://www.bpn.ge/article/28015-10-ucnauri-akrzalva-romelic-ashsh-shi-archevnebis-dges-mokmedebs/>

³ 2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ პუნქტი, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

შეუძლია დაწეროს განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. აქედან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტს „დაუწერელი“ ნორმის ძალით აქვს უფლება, დატოვოს დაკავებული თანამდებობა. დაგვეთანხმებით, რომ პრეზიდენტს ვერ დავაკისრებთ, იძულებით შეასრულოს სახელმწიფო მეთურის ფუნქციები. ამდენად, ვინაიდან კონსტიტუცია პრეზიდენტის გადადგომის უფლებას არ ითვალისწინებს, ქართულ კონსტიტუციურ პრაქტიკაში დამკვიდრდა დაუწერელი წესი – გადადგომის შესახებ საჯაროდ განცხადების გაკეთება. საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში სახელმწიფოს მეთაურების მიერ თანამდებობიდან გადადგომა ორჯერ, საჯარო განცხადების გზით მოხდა⁴. კანონმდებელმა დღემდე არ განსაზღვრა პრეზიდენტის გადადგომის პროცედურა. შესაბამისად, თუ პრეზიდენტი გადაწყვეტს თანამდებობის დატოვებას, სავარაუდოდ, ჩვეულების ძალით იგი კვლავ წინამორბედების ხერხს მიმართავს. თუმცა, ვინაიდან კონსტიტუციის 2017 წლის რედაქცია ითვალისწინებს პრეზიდენტის არჩევას ირიბი წესით, შესაძლოა, დამკვიდრებული ჩვეულება შეიცვალოს. კერძოდ, პრეზიდენტმა გადადგომის შესახებ არა საჯაროდ ხალხს, არამედ საარჩევნო კოლეგიას მიმართოს, მაგრამ თანამდებობის დატოვებას პრეზიდენტი კვლავ დაუწერელი ნორმის ძალით შეძლებს.

კიდევ ერთი ჩვეულება, რომელიც პრაქტიკამ დაამკვიდრა, ეხება პრეზიდენტის ფიცის დადების პროცედურას. აღსანიშნავია, რომ ფიცის სამართლებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბებამ ხანგრძლივი პროცესი განვლო და მისი ფესვები ჩვეულებით სამართალში უნდა ვეძიოთ, კერძოდ, მორწმუნე ადამიანი (ხშირად ტომის მიერ არჩეული ბელადი) ღმერთის ან ღმერთების წინაშე დებდა ფიცს. პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების ცერემონიალს ინაუგურაციის უწოდებენ. სიტყვა მოდის ლათინურიდან *augures* – ეს იყო რომის საპატიო ქურუმების კოლეგიის წევრი, რომელიც ოფიციალური სახელმწიფო „მკითხავი“ გახლდათ და წინასწარმეტყველებდა იმას, თუ როგორ დასრულდებოდა ესა თუ ის ღონისძიება ბუნებრივი მოვლენებისა და ცხოველების ქმედებების მიხედვით. თავად რიტუალი მონარქების კურთხევის ცერემონიიდანაა ნასესხები. მსოფლიო კონსტიტუციონალიზმში პრეზიდენტის მიერ თანამდებობის დაკავების წინ ფიცის დადება, შეიძლება ითქვას, კანონმდებლის მიერ სანქციონირებული ჩვეულებაა.

საინტერესოა, რომ საქართველოს ძირითადი კანონი ღიად ტოვებს საკითხს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა რაზე (კონსტიტუციასა თუ ბიბლიაზე), სად და ვის წინაშე უნდა დადოს ფიცი. კონსტიტუციის შემუშავებისას, კანონპროექტის მიხედვით, პრეზიდენტს საპროგრამო სიტყვა უნდა წარმოეთქვა და ფიცი დაედო მცხეთის კათედრალთან, სვეტიცხოველში. თუმცა კონსტიტუციაში რელიგიური ასპექტების ასახვას ჰყავდა მონინააღმდეგეები. მათი აზრით, პრეზიდენტი მუსლიმი რომ ყოფილიყო, სვეტიცხოველში ფიცის

⁴ 2003 წლის 23 ნოემბერს ე. შვევრდნაძე, ხოლო 2007 წლის 25 ნოემბერს მ. სააკაშვილი გადადგა საჯარო განცხადების გზით.

დადების ცერემონიის გამართვა არაადეკვატური იქნებოდა.⁵ ამდენად, საქართველოს უზენაესი კანონი ახალარჩეულ პრეზიდენტს ზემოაღნიშნულ საკითხში არ ბოჭავს და სრულ თავისუფლებას აძლევს. ასე მაგალითად, საქართველოში პრეზიდენტს ფიცი დაუდია მეფის საფლავზე.⁶ თუმცა დანარჩენ ყველა შემთხვევაში პრეზიდენტს, ტრადიციულად, ფიცი კონსტიტუციაზე აქვს დადებული. ამდენად, დამკვიდრდა დაუნერვლი წესი, რომ საქართველოში ახალარჩეული პრეზიდენტი ფიცს ქვეყნის ძირითად კანონზე – კონსტიტუციაზე დებს.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის პრეზიდენტებს ქვეყნის კონსტიტუცია ბიბლიაზე ფიცის დადებას არ ავალდებულებს, კონსტიტუცია ამ საკითხს, აგრეთვე, ღიად ტოვებს. ბიბლიაზე ფიცის დადების ტრადიცია ჯორჯ ვაშინგტონმა შემოიღო. მას შემდეგ ამერიკის თითქმის ყველა პრეზიდენტი ფიცს ბიბლიაზე დებდა. მათ შორის, ვინც ბიბლია არ გამოიყენა – თეოდორ რუზველტია, ხოლო პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ფიცი ექსტრემალურ ვითარებაში, ჯონ კენედის მკვლელობის დღეს, Air Force One-ის ბორტზე დადო და ბიბლიის ნაცვლად კათოლიკური ლოცვების წიგნი გამოიყენა. ბიბლიაზე ფიცის დადებაზე უარი თქვენს და კონსტიტუცია გამოიყენეს ჯონ ქუინსი ადამსმა და ფრანკლინ პირსმა. ბარაკ ობამამ თავისი მეორე ინაუგურაციის დროს ორი ბიბლია გამოიყენა, რომლებიც მარტინ ლუთერ კინგსა და აბრაამ ლინკოლნს ეკუთვნოდათ. ორ ბიბლიაზე დადო ფიცი აშშ-ის ოთხმა პრეზიდენტმა: ჰარი ტრუმენმა, დუაიტ ეიზენჰაუერმა, უფროსმა ჯორჯ ბუშმა და რიჩარდ ნიქსონმა.⁷

როგორც წესი, კონსტიტუციური ჩვეულების უარყოფა ხდება ან ნორმატიულ აქტში მისი განმტკიცებით ან პირიქით, აკრძალვით. ჩვეულების ნორმატიულ აქტში განმტკიცების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია აშშ-ს პრეზიდენტის გადარჩევაზე დადგენილი შეზღუდვა. კერძოდ, 150 წლის მანძილზე მოქმედებდა ჩვეულება, რომ აშშ-ს პრეზიდენტად პირი შეიძლება იყოს არჩეული მხოლოდ ორჯერ. ჩვეულება ჩამოყალიბდა იმის მერე, რაც აშშ-ს პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი არჩეულ იქნა მხოლოდ ორჯერ. აშშ-ს შემდეგი პრეზიდენტები მიიჩნევდნენ, რომ თუ ჯ. ვაშინგტონმა პრეზიდენტად კენჭი იყარა მხოლოდ ორჯერ, მათ არა აქვთ არანაირი მორალური უფლება, მესამედ წარადგინონ კანდიდატურა. თუმცა ვინაიდან აშშ-ს კონსტიტუცია პრეზიდენტის გადარჩევაზე შეზღუდვებს არ აწესებდა, ულის გრანტმა გადაწყვიტა, მესამედ კანდიდატურის წარდგენა, მაგრამ რეგისტრაციაზე მას უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ დამკვიდრებული ჩვეულება კრძალავს მესამედ არჩევას. აღნიშნული ჩვეულება დარღვეულ იქნა მხოლოდ მე-20 საუკუნეში, ფრანკლინ რუზველტი აშშ-ს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ოთხჯერ. უკანასკნელად, მეოთხედ იგი არჩეულ იქნა 1944 წელს, თუმცა ინაუგურაციიდან 4 თვეში იგი გარდაიცვალა. საერთო ჯამში ფ. რუზველტი 12 წლის განმავლობაში იყო პრეზიდენტი.

⁵ ვ. ბაბუკი, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995), მეორე გამოცემა, გვ. 179-180.

⁶ 2004 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შედეგად, ახალარჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა – მ. სააკაშვილმა ფიცი გელათის მონასტერში, დავით აღმაშენებლის საფლავზე დადო.

⁷ <https://imedinews.ge/ge/theme/304/dzalauplebis-rituali-ra-aris-inauguratsia-da-ratom-martaven-mas-sakhelmtsipoebi>

შემდეგმა პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, ჩვეულება კონსტიტუციაში ასახა, კერძოდ კონსტიტუციის 22-ე შესწორებით ერთი და იგივე პირი მხოლოდ ორჯერ შეიძლება გახდეს აშშ-ის პრეზიდენტი.⁸

ქართულ კონსტიტუციონალიზმში მსგავს შემთხვევას აქვს ადგილი, პრაქტიკით დამკვიდრებულმა ჩვეულებამ კონსტიტუციაში ჰპოვა ასახვა. კერძოდ, ჩამოყალიბებული პრაქტიკით, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა ყოველთვის კონსტიტუციური კანონის მიღებით ხდებოდა, მაშინ, როდესაც 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 2017 წლამდე არსებული ყველა რედაქცია ითვალისწინებდა ამ დროს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის მიღებას. ფაქტობრივად, საქართველოში ჩვეულების ძალით, დამკვიდრდა წესი, რომ კონსტიტუციაში ცვლილება არა კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტით, არამედ კონსტიტუციური კანონის მიღებით ხორციელდებოდა. მოცემულ შემთხვევაში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ფორმა პრაქტიკამ დაამკვიდრა, რაც 2017 წლის ცვლილებებით კონსტიტუციაში აისახა კიდევ.

ჩვეულება ადგენს ამა თუ იმ ვითარებაში მკაცრად განსაზღვრულ სტერეოტიპულ ქცევას. დროთა განმავლობაში წარმოებული ესა თუ ის ქცევის წესი, რომლის მიზანშეწონილობასა და ეფექტურობას ადასტურებს პრაქტიკა, შემდგომ საზოგადოების წევრების მიერ აღიქმება როგორც თავისთავად სავალდებულო. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამა თუ იმ ქცევის გამეორებამ შესაძლოა, ბუნებრივად, ყოველგვარი პირადი მოტივაციის გარეშე წარმოშვას ქცევის ნიმუში. მაგალითად, საქართველოს ყველა პრეზიდენტმა ფიცი კონსტიტუციაზე დადოს. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი, კანონმა დაუშვას ჩვეულების გამოყენება. ჩვეულება ხშირად მოქმედებს ფარული ხარვეზის დროს,⁹ კანონმდებლის ე.წ. „სპეციალური დუმილის“ შემთხვევაში. ჩვეულების გამოყენება ხშირად ხდება კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის შესავსებად.

შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციური ჩვეულება დროთა განმავლობაში პრაქტიკით დამკვიდრებული დაუნერგელი წესია, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო კანონმდებლობით არ არის განმტკიცებული, თუმცა დროთა განმავლობაში შესაძლოა, კანონმდებელმა აღიაროს კიდევ.

უდავოა, რომ ჩვეულებას არ გააჩნია სამართლის ნორმის ბუნება. სწორედ ამიტომ ჩვეულება არ უნდა იყოს კანონის შევსების საშუალება. ერთი მხრივ, თუ ჩვენ კონსტიტუციურ სამართალში დავუშვებთ ჩვეულების გამოყენებას კანონის შესავსებად, მაშინ მას კონსტიტუციაზე უფრო მეტ იურიდიულ ძალას მივანიჭებთ. მეორე მხრივ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ ურთიერთობა არ არის მონესრავებული კანონით, სწორედ მაშინ მკვიდრდება ჩვეულება. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია არ განსაზღვრავს, რა

⁸ აშშ-ს კონსტიტუციის 22 შესწორება (1951 წელი).

⁹ ფარული ხარვეზი კანონმდებლისთვის ცნობილია, მაგრამ იგი შეგნებულად არ ასწორებს ამ ხარვეზს (კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი) – ვ. ხუბუა, სამართლის თეორია, 2004, გვ. 170.

შედეგი მოჰყვება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დათქმით დადებას. თუ პრაქტიკაში მსგავს შემთხვევას ექნება ადგილი, ვვარაუდობთ, რომ ურთიერთობა მოწესრიგდება დაუნერვლი წესის, ანუ ჩვეულების ძალით.

შესაძლოა, ჩვეულება უმნიშვნელო როლს თამაშობს საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროთა სისტემაში, მაგრამ მის არსებობას ვერ უარვყოფთ. წეს-ჩვეულებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ კონსტიტუციური სამართლის განვითარებაზე. ჩვეულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკაში, მაგრამ კონსტიტუციური სამართლის ნორმების ჩანაცვლება წეს-ჩვეულებებით დაუშვებელია.

2. სასამართლო პრეცედენტი

საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროთა სისტემაში სასამართლო პრეცედენტის როლსა და ადგილზე ადრე გვექონდა საუბარი,¹⁰ თუმცა მას მერე ჩამოყალიბებულმა პრაქტიკამ კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების როლი და მნიშვნელობა კონსტიტუციური სამართლის წყაროთა სისტემაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკამ დაადასტურა, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებას არა აქვს ერთჯერადი ხასიათი. საკონსტიტუციო სასამართლო, გადანყვეტილებების სამოტივაციო ნაწილში, არაერთხელ ეყრდნობა მის მიერ სხვა საქმეზე გაკეთებულ კონსტიტუციის ნორმის განმარტებას.

უფრო მეტიც, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე არაკონსტიტუციურად ცნო, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ (25-ე მუხლის 4¹ პუნქტი). ამ დროს, ფაქტობრივად, სახეზეა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადრე მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე საკითხის გადანყვეტა, რასაც კანონმდებლობა დაშვებულად მიიჩნევს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული ნორმა ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობის პრინციპის დაცვას, კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული საკითხი მატერიალური თვალსაზრისით სასამართლოს უკვე გადანყვეტილი აქვს, საკონსტიტუციო სასამართლოს არ უნევს ნორმის კონსტიტუციურობაზე საქმის არსებითი განხილვის ფორმატში განმეორებით მსჯელობა. მეორე

¹⁰ იხ. მ. მარინაშვილი, ნ. გელაშვილი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების ადგილი სამართლის წყაროთა სისტემაში“, ჟურნ.: „მართლმსაჯულება“, 2007, №3.

მხრივ, ხსენებული ნორმა წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილების შესრულების ზედამხედველობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის პრევენციის ქმედით მექანიზმს.¹¹ სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ არგუმენტებს დავამატებდით, რომ ორგანული კანონის მითითებული ნორმა ასევე ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში კი, ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, სასამართლო პრეცედენტი აღიარებულია, როგორც სამართლის წყარო.¹²

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილების „დამძლევ ნორმად“ მიჩნევისას ის ითვალისწინებს კონკრეტული საქმის გარემოებებს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს, იმეორებს თუ არა ახალი ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარსულში არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. თუ საკონსტიტუციო სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ სადავოდ გამხდარი ნორმა შინაარსობრივად მსგავსია იმ ნორმისა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკვე ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად, იგი სადავო ნორმას არსებითი განხილვის გარეშე კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნობს.¹³

საინტერესოა, როგორ ხდება ამ ნორმის გამოყენება პრაქტიკაში? რომელი კრიტერიუმებით აღგენს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმათა შინაარსის მსგავსებას? საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, „სადავო ნორმების მსგავსება არა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით უნდა შეფასდეს, არამედ იმ სამართლებრივი შედეგის მიხედვით, რომელიც შესაძლოა, სადავო ნორმებს აერთიანებდეს“.¹⁴

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნორმის მხოლოდ ტექსტუალური, რედაქციული ან სხვა ფორმალური განსხვავება ვერ ჩაითვლება არსებით განმასხვავებელ ფაქტორებად. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს, არის თუ არა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის, სადავო ნორმის მიზანმიმართულების, მასში გამოხატული კანონმდებლის ნებისა და სამართლებრივი საშუალებების გათვალისწინებით. შინაარსობრივ მსგავსებასთან გვექნება საქმე არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმა სიტყვასიტყვით იმეორებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს, არამედ მაშინაც, როდესაც სადავო ნორმაში მოცემული წესი არსებითად მსგავსი სამართლებრივი შედეგის მომტანია.

¹¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება №1/2/563 საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, (II- 8).

¹² იხ. მაგალითად შ. სკიტი, კონსტიტუციონალიზმი და სასამართლო პრეცედენტი გაერთიანებულ სამეფოში, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, 2010, N3, გვ. 53-65.

¹³ საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება №1/2/563 საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, (II-9).

¹⁴ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის N1/5/525 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11).

სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის შინაარსის შეფასებასთან ერთად მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის ლეგიტიმური საჯარო მიზნები, რომელთა მიღწევასაც სადავო ნორმა ემსახურება. სასამართლო ასევე შეიძლება დადგეს ზოგიერთი ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი გარემოებების შეფასების აუცილებლობის წინაშე, თუ ეს გარემოებები არ არსებობდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მომენტიც. შესაბამისად, სადავო ნორმის „დამძლევ ნორმად“ მიიჩნევა და მისი არსებითი განხილვის გარეშე არაკონსტიტუციურად ცნობა, ნორმათა შორის არსებითი შინაარსობრივი მსგავსების შემთხვევაშია დასაშვები, როდესაც სადავო ნორმა სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსად იწვევს იგივე კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას, შეიცავს უფლების მზლუდავ მსგავს სამართლებრივ საშუალებებს და იდენტურ სამართლებრივ შედეგს იწვევს. ამასთან, არ არსებობს სხვა ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც სადავო ნორმის ხელახალი შეფასების საფუძველს/წინაპირობას შექმნიდა.

ვფიქრობთ, საკონსტიტუციო სასამართლოს ცალკეული გადაწყვეტილებების მიმოხილვა ნათლად წარმოაჩინს საკონსტიტუციო სასამართლოს როლს პრეცედენტების ჩამოყალიბებაში.

საქმეში დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების თანახმად, უცხოელ ფიზიკურ პირს სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრება შეეძლო მოეპოვებინა მხოლოდ მემკვიდრეობით ან იმ შემთხვევაში, თუ იგი მიწას მართლზომიერად ფლობდა, როგორც საქართველოს მოქალაქე. ამასთან, კანონის იმ დროს მოქმედი რედაქციის მიხედვით, უცხოელი ფიზიკური პირი, რომელიც საკუთრებას მოიპოვებდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, ვალდებული იყო საკუთრების წარმოშობიდან 6 თვის ვადაში გაესხვისებინა საქართველოს მოქალაქეზე, კომლზე ან საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე.¹⁵

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ განხილული 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილების შემდეგ 2013 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, უცხოელი 2014 წლის 31 დეკემბრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლებას (მათ შორის მემკვიდრეობით) ვერ მოიპოვებდა. აღნიშნული ნორმა გაასაჩივრა ავსტრიის მოქალაქემ მათიას ჰუტერმა. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე მას ეკრძალება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა

¹⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება №1/2/563 საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (II-6).

და მემკვიდრეობით მიღება. ამასთან, მოსარჩელე მხარემ განმწესრიგებელ სხდომაზე განმარტა, რომ სადავო ნორმა იმ ნორმების იდენტური შინაარსისაა, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და ქვეყნის უშიშროება სწორედ ის სიკეთეებია, რომლებზეც პარლამენტი 2012 წელსაც აპელირებდა.

თავის მხრივ, განმწესრიგებელ სხდომაზე მოპასუხემ აღნიშნა, რომ, მართალია, სადავო ნორმას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების იდენტური ლეგიტიმური მიზნები აქვს და შეზღუდვაც ამ მიზნების მიღწევისთვის გამოიყენება, მთავარი განსხვავება არის ნორმის დროებითი ხასიათი. ვინაიდან სადავო ნორმა მხოლოდ 2014 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედებს, იგი უცხოელებს საკუთრების უფლებას კი არ ართმევს, არამედ იწვევს ამ უფლების დროებით შეჩერებას, რაც დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის პროპორციულ საშუალებას წარმოადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების იდენტური.

საკონსტიტუციო სასამართლო განჩინების სამოტივაციო ნაწილში ამბობს, რომ პირველ რიგში, უნდა გადაწყვიტოს წარმოადგენს თუ არა სადავო ნორმა იმავე შინაარსის ნორმას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით, საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, არაკონსტიტუციურად ცნო.

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ ისევე, როგორც პლენუმის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმები, მოცემულ საქმეშიც სადავოდ გამხდარი ნორმა ზოგადად კრძალავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლებას. სადავო ნორმით განსაზღვრული აკრძალვა, მსგავსად წინა შემთხვევისა, ეხება ყველა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო მიწას და წარმოადგენს ზოგად და აბსოლუტურ (თუმცა დროში შემოფარგლულ) აკრძალვას. ამ კუთხით მასში არ არის მოცემული რაიმე განსხვავებული რეგულაციები. უფრო მეტიც, არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმებისგან განსხვავებით, მოქმედი რეგულირება უფრო ამძიმებს უცხოელი ფიზიკური პირის მდგომარეობას, რადგან არ იძლევა საშუალებას, რომ პირმა, თუნდაც დროებით, მემკვიდრეობით მიიღოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საკუთრებაში. ამდენად, სადავო ნორმაში მოცემული ქცევის წესი არსებითად იგივე შინაარსის შემცველია, როგორი შინაარსიც გააჩნდა

საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმებს.¹⁶

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები, რომელთა უზრუნველყოფასაც სადავო ნორმა ემსახურება, არსებითად მსგავსია იმ მიზნებისა, რაც საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის მიერ ჰეიკე ქრონჟესტის საქმის განხილვისას იქნა დასახელებული.

ჰუტერის საქმეში სასამართლო აფასებს მოპასუხის მოსაზრებას სადავო ნორმის დროებით ხასიათთან დაკავშირებით, კერძოდ, წარმოადგენს თუ არა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის დროებითი ხასიათი იმდენად მნიშვნელოვან გარემოებას, რაც საქმის არსებითი განხილვის ფორმატში გადაწყვეტას მოითხოვს. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ნორმის შინაარსის გარკვევის პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მისი დროში მოქმედების ფარგლები. წესი, რომელიც მოქმედებს შეზღუდული ვადით, შესაძლებელია იწვევდეს უფლების იმაზე ნაკლები ინტენსივობით შეზღუდვას, ვიდრე მუდმივად მოქმედი წესი. ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად იმეორებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმით დადგენილ ქცევის წესს, თუმცა დროებითი ხასიათი აქვს, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, მართლაც იქნეს განხილული, როგორც ისეთი განსხვავებული ნორმატიული მოცემულობა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საჭიროებს ახალი პროცესის ფარგლებში არსებით განხილვას. მაგალითად, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც განუსაზღვრელი ვადით ითვალისწინებდა რომელიმე უფლების შეზღუდვას და მიუთითა, რომ ნორმის არაკონსტიტუციურობას იწვევდა პირის უფლებაში ჩარევის მომეტებული ინტენსივობა, რაც განპირობებულია სწორედ უფლების განუსაზღვრელი ვადით შეზღუდვით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ მიღებული ქცევის იგივე წესის შემსველი ნორმა, რომელიც განსაზღვრული ვადით მოქმედებს, შეიძლება შეფასდეს როგორც განსხვავებული ნორმატიული მოცემულობა, რომელიც ავტონომიურად საჭიროებს არსებით განხილვას. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ პირის უფლების შემზღუდველი ნორმატიული რეგულირება ლოგიკურად არ უკავშირდება დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანს და, შესაბამისად, არ წარმოადგენს მისი მიღწევის საშუალებას, პირის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ხარისხს, ნორმის კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, არ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა. ასეთი ნორმა, პირის უფლებაში ჩარევის ინტენსივობის შეფასების გარეშე, უკვე არაკონსტიტუციურია. უფლების შემზღუდველი ნორმატიული აქტის მოქმედების ვადას არც იმ შემთხვევაში აქვს არსებითი მნიშვნელობა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ კონსტიტუციური უფლების დარღვევა გარდაუვალია სადავო ნორმით უფლებაში ჩარევის ინტენსივობის

¹⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განჩინება №1/2/563 საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (II-13).

მიუხედავად. საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია, რადგან „არ არსებობს ლოგიკური კავშირი სადავო ნორმასა და მოპასუხის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებს შორის. სადავო ნორმით იზღუდება უფლება, რომლის ხარჯზეც არ ხდება მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის უზრუნველყოფა“ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-70). ამდენად, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობა განაპირობა არა მასში მოცემული წესით პირის უფლებაში ზედმეტად მკაცრმა, არაპროპორციულმა ჩარევამ, არამედ იმ გარემოებამ, რომ სადავო ნორმით მოცემული შეზღუდვები არ იყო ლოგიკურ ბმაში მოპასუხის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ საჯარო მიზნებთან, არ იძლეოდა მათი მიღწევის შესაძლებლობას. ამავე დროს, საქართველოს პარლამენტის პოზიცია ლეგიტიმურ მიზნებთან დაკავშირებით არ შეცვლილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ არ არსებობს გარემოებები, რომლებიც არსებითად განასხვავებდა სადავო ნორმას საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმისგან. სადავო ნორმით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნები, მიზნების მისაღწევად გამოყენებული სამართლებრივი საშუალება და მოსარჩელისთვის გამოწვეული სამართლებრივი შედეგები არის არსებითად მსგავსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტის მიზნებისთვის წარმოადგენს იმავე შინაარსის ნორმას, რაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით და, შესაბამისად, იგი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

როგორც ვხედავთ, საკონსტიტუციო სასამართლო განჩინებაში მსჯელობს მხოლოდ საქმეთა მსგავსებაზე და ასეთის დადგენის შემთხვევაში მის მიერვე დადგენილი პრეცედენტის საფუძველზე სადავო ნორმას აცხადებს არაკონსტიტუციურად.

საქმეში საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სადავო ნორმის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის ამოქმედებამდე შეჩერებულია „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დებულების მოქმედება, რომელიც უცხოელებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (მათ შორის, მემკვიდრეობით მიღებულის) საკუთრების უფლებას ანიჭებს.

სარჩელში მოსარჩელე მხარე აღნიშნავდა, რომ ამ ნორმის მიღების მიზანი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმეებზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონცვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების იდენტიფიკაცია. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა არის საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადანყვეტილებისა და განჩინების დამძლევი ნორმა და ის ძალადაკარგულად უნდა იქნეს ცნობილი საქმის განხილვის განმწესრიგებელი სხდომის ფორმატში. იმავდროულად, არ არსებობს რაიმე ახალი გარემოება, რომელიც საკითხზე მოითხოვდა დამატებით, არსებითი განხილვის ფორმატში მსჯელობას. მოსარჩელე მხარე, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, სარჩელში უთითებდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე.

მოპასუხე მხარე აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმა არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარსულში მიღებულ გადანყვეტილებათა დამძლევი. მისი აზრით, მართალია, ნორმა ზღუდავს იდენტურ კონსტიტუციურ უფლებას, მსგავსია მისი მოქმედების სამართლებრივი შედეგიც, თუმცა სახეზეა საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებით გამოწვეული, არსებითად შეცვლილი სამართლებრივი მდგომარეობა, რაც მოითხოვს საკითხზე არსებით მსჯელობას. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მოთხოვნა სადავო ნორმის დამძლევი ნორმად მიჩნევისა და განმწესრიგებელი სხდომის ეტაპზე ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამ საქმეზე მომხსენებელმა მოსამართლემ დააყენა შუამდგომლობა განსახილველად საქმის პლენუმისათვის გადაცემის შესახებ. მოსამართლის აზრით, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია არსებითი განხილვის გარეშე გამოაცხადებს სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადანყვეტილებასა („დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონცვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) და 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინებაზე („ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაყრდნობით, რომლებშიც გამოხატულ სამართლებრივ პოზიციასაც მომხსენებელი მოსამართლე არ იზიარებდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე უნდა განხილოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, რათა დაიძლიოს სასამართლოს არსებული პრაქტიკა. პლენუმისათვის შუამდგომლობით მიმართვის დამატებით საფუძვლად მითითებულია, რომ საქმე შეეხება განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ გაიზიარა შუამდგომლობაში დასმული არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელთა საკუთრების უფლების ფარგლებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ განმარტების გაკეთების

საჭიროება. მას შემდეგ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან ან/და იშვიათ სამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განმარტებას გააკეთებს და კონსტიტუციის ამა თუ იმ დებულების შინაარსსა და ფარგლებს განსაზღვრავს, იმავე საკითხზე კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება კონსტიტუციის განმარტებისა და გამოყენების განსაკუთრებით მნიშვნელოვან ან/და იშვიათ სამართლებრივ პრობლემას აღარ წარმოშობს. უფრო მეტიც, ერთხელ უკვე დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტის სამომავლო აღსრულება და გამოყენება, შესაძლოა, ხშირ შემთხვევაში საქმის არსებითი განხილვის გარეშე, გამარტივებული წესით განმწესრიგებულ სხდომაზე გადაწყვეტასაც კი მოითხოვდეს. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეს განსახილველად ვერ მიიღებს იმ მოტივით, რომ არსებობს წარსულში მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობების უკეთ ფორმულირების შესაძლებლობა.

საქმის პლენუმისათვის განსახილველად გადაცემის ერთ-ერთ მოტივად დასახელებული იყო დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების შეცვლა. ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ კონსტიტუციის 2017 წლის რედაქციის ამოქმედების შემდეგ განსხვავებული იქნება თავად საკუთრების უფლების შინაარსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უშვებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ახალი განვითარების საჭიროებას. თუმცა საქმის საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ განხილვის საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ სამომავლოდ შესაძლოა ახლებურად ჩამოყალიბდეს საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გამოსაყენებელ დოკუმენტსა და შეფასების მასშტაბს წარმოადგენს მოქმედი კონსტიტუცია.¹⁷ ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და საქმე განსახილველად დაუბრუნა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას.

აღსანიშნავია, რომ პლენუმის ამ განჩინებას თან ერთვის სამი მოსამართლის განსხვავებული მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ჯერ კიდევ ჰუტერის საქმეზე სასამართლო კოლეგიას უნდა მიემართა პლენუმისათვის. ისევე, როგორც ჰუტერის საქმეში, სევეიდისა და შამანიდის საქმეებშიც სადავო ნორმა ზღუდავს არა მარტო უცხოელის მიერ მიწის შეძენის/ყიდვის უფლებას, არამედ მემკვიდრეობით მიღებულ და მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებასაც. ამიტომ წინამდებარე სარჩელებში სადავოდ გამხდარი ნორმა, რომელიც უცხოელის საკუთრების უფლებას ზღუდავს ყველა ვითარებაში, დამძლველი შეიძლება იყოს მხოლოდ საკუთრების შეძენის შემზღუდავსთან მიმართებაში, ე. ი. შემთხვევების იმ ნაწილთან მიმართებაში, სადაც შემზღუდავის არსებობა არაკონსტიტუციურად გამოცხადდა. შესაბამისად, სადავო ნორმა მხო-

¹⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის განჩინება №3/1/1267,1268 საქმეზე საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ლოდ ნაწილობრივ შეიძლება იყოს დამძლევი. მემკვიდრეობით მიღებულ და მართლ-ზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან მიმართებაში საქმე უნდა განიხილოს პლენუმს. კოლეგიას კი მხოლოდ მაშინ ექნებოდა უფლება ახალი შემაჩერებელი ნორმა ჰუტერის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დამძლევად ეცნო, თუ გამოჩვენებდა მისი დანერგული ღრობითი შეზღუდვის არაკონსტიტუციურობა ჰუტერის საქმის არსებითი განხილვის შედეგად იქნებოდა დადგენილი.¹⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განჩინებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ იგი ვერ ხედავს პრაქტიკის შეცვლის საჭიროებას, მაგრამ, ამის მიუხედავად პირველმა კოლეგიამ ჩათვალა, რომ გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით, მისი პოზიცია განსხვავდება სასამართლოს მიერ აღრე გამოტანილ გადაწყვეტილებებში გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქმე მანც განსახილველად გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს¹⁹.

პრეცედენტის შეცვლის ერთ-ერთი წინაპირობაა, რომ არსებობდეს რაიმე ახალი სამართლებრივი ან ფაქტობრივი გარემოება, რომელიც გააჩენდა არსებითი განხილვის ფორმატში შეფასების საჭიროებას. მოპასუხის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შეცვლილი სამართლებრივი გარემოება, კერძოდ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის N1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის ამოქმედების შემდეგ, ახლებურად ყალიბდება საკუთრების უფლების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციური დებულება. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს კონსტიტუციაში შემავალი, მომავალში ასამოქმედებელი ცვლილება იმგვარ სამართლებრივ გარემოებად, რომლის გამოც აუცილებელი იქნება სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე მსჯელობა არსებითი განხილვის ფორმატში.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, განსახილველ შემთხვევაში, კონსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც საქმის განხილვის მომენტისათვის არ არის ძალაში, ვერ გახდება მოქმედი კონსტიტუციით განსაზღვრული უფლების ფარგლების დავიწროების საფუძველი. შესაბამისად, მოპასუხის მიერ მითითებული კონსტიტუციური ცვლილება ძალაში შესვლამდე გავლენას ვერ მოახდენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთრების უფლების ფარგლებისა და შინაარსის განსაზღვრაზე. ყოველივე

¹⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის განჩინება №3/1/1267,1268 საქმეზე საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ე. გოცირიძის, მ. კობახიძის და მ. ტურავას განსხვავებული აზრი.

¹⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ნოემბრის განჩინება №1/1/1267,1268 საქმეზე საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ დასახელებული კონსტიტუციური ცვლილება არ უნდა შეფასდეს ისეთ ახალ სამართლებრივ გარემოებად, არსებით განმასხვავებელ ფაქტორად, რის გამოც აუცილებელი იქნებოდა საკითხზე ხელახალი მსჯელობა არსებითი განხილვის ფორმატში. ამრიგად, სასამართლო ასკვნის, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმა იმეორებს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი სრულად იზიარებს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილებაში გამოხატულ სამართლებრივ პოზიციას.²⁰ პლენუმის განჩინებას თან ერთვის სამი მოსამართლის განსხვავებული აზრი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პლენუმს არ უნდა ეხელმძღვანელა ადრე ჩამოყალიბებული პრაქტიკით, საქმე არსებითად განხილვის ფორმატში უნდა გადაწყვეტილიყო.²¹

2012 წლიდან 2018 წლამდე საკონსტიტუციო სასამართლომ სამჯერ იმსჯელა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უცხოელის საკუთრების უფლების ფარგლებზე. სასამართლო ხელმძღვანელობდა 2012 წელს ჩამოყალიბებული პრეცედენტით და მის საფუძველზე ორჯერ დაადგინა, რომ სადავო ნორმა „დამძლევია“ იყო, რაც პირდაპირი დასტურია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ კონსტიტუციური სამართლის წყაროთა სისტემაში მყარად დაიმკვიდრა ადგილი. რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შექმნილი პრეცედენტი არ არის შეუცვლელი, კერძოდ, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, იგი უფლებამოსილია, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.²² საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ჩამოყალიბებული პრაქტიკის შეცვლა შესაძლებელია: 1. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ იცვლება ის სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც ემყარება მიღებული გადაწყვეტილება; 2. როდესაც შესაძლოა, განსხვავებულად განიმარტოს თავად კონსტიტუციური დებულებების შინაარსი და ფარგლები; 3. შესაძლებელია, სახეზე არ იყოს ზემოთ მითითებული არც ერთი დასა-

²⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის განჩინება №3/10/1267,1268 საქმეზე საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის განჩინება №3/10/1267,1268 საქმეზე საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ე. გოცირიძის, მ. კობახიძის და მ. ტურავას განსხვავებული აზრი.

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21¹-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ხელეული გარემოება, მაგრამ სასამართლოს შემადგენლობამ მიიჩნია, რომ არსებობს გონივრული საფუძველი ვარაუდისთვის ახლებურად ჩამოაყალიბოს ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოხატული სამართლებრივი პოზიცია.²³

სხვა საქმეში მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დავის საგანი იყო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქეს უკრძალავდა შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელ პირად ყოფნას.

ზემოთ აღნიშნული ნორმა კვლავ გახდა სადავო. კერძოდ, კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული იყო, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 1 ივლისს მიიღო ცვლილება საქართველოს კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ და მას დაემატა სადავო ნორმა, რითაც საქართველოს პარლამენტმა ნაწილობრივ აღადგინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა. მოსარჩელის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა უფრო მოცულობითი იყო და იგი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირების წრიდან გამორიცხავდა როგორც აპატრიდებს (მოქალაქეობის არმქონე პირებს), ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეებს. სადავო ნორმასა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას შორის განსხვავება იმაშია, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და ამ აკრძალვის მიღმა აღმოჩნდნენ აპატრიდები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და მოქალაქეობის არმქონე სხვა პირები, რომლებსაც არ უდასტურდებათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. მოსარჩელის აზრით, პარლამენტმა დაძლია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სასამართლომ განმწესრიგებელ სხდომაზე ძალადაკარგულად უნდა გამოაცხადოს კანონის გასაჩივრებული დებულება.

მოპასუხე მხარემ ცნო კონსტიტუციური სარჩელი და დაეთანხმა მოსარჩელის არგუმენტაციას. მისი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა თავის თავში მოიაზრებდა, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირებს, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც. შესაბამისად, მოპასუხეს მიაჩნია, რომ სადავო ნორმა ფაქტობრივად იმ შინაარსის მატარებელია, რომლის კონსტიტუციურობაზეც უკვე იმსჯელა და ძალადაკარგულად გამოაცხადა საკონსტიტუციო სასამართლომ.

²³ საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის განჩინება №3/10/1267,1268 საქმეზე საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ამ საქმეზე გამოტანილ განჩინებაში აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობა, სადაც სასამართლო აღიარებს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების პრეცედენტულ ხასიათს არა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, არამედ კანონმდებლისათვის. კერძოდ, სასამართლოს მიერ ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ გამოცხადება, კანონმდებელს ხშირ შემთხვევაში სადავო ურთიერთობების ახლებურად მონესრიგების აუცილებლობის წინაშე აყენებს. სასამართლოს მტკიცებით, სამართლებრივი რეგულირების გარეშე დარჩენილი ურთიერთობების ახლებურად მონესრიგების პროცესში, ბუნებრივია, კანონმდებელი სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა ხელმძღვანელობდეს, რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დამდგენი დოკუმენტის პატივისცემა დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისათვის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სადავო ურთიერთობების ახლებურად მონესრიგებისას კანონმდებელი უნდა ითვალისწინებდეს როგორც გადაწყვეტილების სარეზოლუციო, ასევე სამოტივაციო ნაწილს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის N1/5/525 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2, II-3, II-5).

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სადავო ნორმების მსგავსება მართო ფორმალური თვალსაზრისით კი არ უნდა შეფასდეს, არამედ იმ სამართლებრივი შედეგის მიხედვით, რომელიც შესაძლოა სადავო ნორმებს აერთიანებდეს. სასამართლომ ჩათვალა, რომ არაკონსტიტუციურად მიჩნეული ნორმის ანალოგიურად, სადავო ნორმა სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ბლანკეტურ აკრძალვას უწესებს ნებისმიერი შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისას წარმოადგენდეს პასუხისმგებელ პირს ისე, რომ არ ითვალისწინებს გამონაკლისებს შეკრების (აპოლიტიკური) ხასიათიდან გამომდინარე. ამასთან, არ ითვალისწინებს განსხვავებულ მიდგომებს სხვა ქვეყნის იმ მოქალაქეებთან მიმართებაში, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში. შესაბამისად, მისი აზრით, სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმა ნაწილობრივ იმეორებს (სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან მიმართებით) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ სადავო ნორმა მსგავსია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის. შესაბამისად, არსებობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული სარჩელის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო ნორმის განმნესრიგებელ სხდომაზე ძალადაკარგულად ცნობის საფუძველი.²⁴

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის N1/5/525 განჩინება საქმეზე „მოლდოვის მოქალაქე მარიანა კიკუ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (II-13).

საქმეში შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო ნორმები, სასარჩელო მოთხოვნისა და ინსტანციების მიხედვით, ადგენდნენ სახელმწიფო ბაჟის განსხვავებულ ოდენობას ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, კერძოდ, კანონმდებელი იურიდიული პირებისთვის აწესებდა უფრო მაღალ სახელმწიფო ბაჟს. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რეალური და რაციონალური კავშირი სადავო ნორმის მიზანსა და შერჩეულ საშუალებას შორის ვერ დგინდება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად სცნო.²⁵

საქმეში ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ მოსარჩელე მხარე ასაჩივრებდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლებს, რომლებიც სახელმწიფო ბაჟის განსხვავებულ ოდენობას აწესებდა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმები შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილებით საქმეზე „შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. კონსტიტუციურ სარჩელში აგრეთვე მოთხოვნილი იყო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმის ძალადაკარგულად ცნობა, რომლებიც იურიდიული პირების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელსა და წარდგინებაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე ადგენდა სახელმწიფო ბაჟს 55 ლარის ოდენობით მაშინ, როცა იმავე კანონის თანახმად ფიზიკური პირების მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე ბაჟის ოდენობა შეადგენდა 10 ლარს.

საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ 2016 წლის 29 დეკემბრის №2/6/623 გადაწყვეტილებით დისკრიმინაციულად მიიჩნია და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო ბაჟის დიფერენცირებული ოდენობის განსაზღვრა იმავე სამოქალაქო საპროცესო ქმედებებისთვის, რაც მოცემული კონსტიტუციური დავის ფარგლებში გასაჩივრებული ნორმებითაა დადგენილი. განსხვავებას წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ ძალადაკარგული ნორმები წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს, ხოლო განსახილველ საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმები წარმოადგენენ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებებს. დასახილველი სადავო ნორმები სიტყვასიტყვით იმეორებს ძალადაკარგული ნორმების შინაარსს, გააჩნია იგივე რეგულირების სფერო და ფარგლები. ის ტექნიკური, ფორმალური განსხვავება, რაც გამოიხატება სადავო ნორმების სხვა

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/623 შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ნორმატიულ აქტში ასახვაში, არ განაპირობებს სადავო ნორმების იმგვარ სხვაობას, რომ საჭიროებდეს საქმის შემოწმებას არსებითი განხილვის ფორმატში.

სასამართლოს განმარტებით, როგორც სამოქალაქო, ისე საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს თანაბარი ინტერესი აქვთ, მიმართონ სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. ასევე, იდენტურია პირისათვის დაწესებული სახელმწიფო ბაჟის მიზნები და დანიშნულებაც. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, ისევე როგორც სამოქალაქო საქმეებზე, სახელმწიფო ბაჟის მიზანია, დაიცვას წარმოება დაუსაბუთებელი სარჩელებისაგან. ასევე, ის გარემოება, რომ დაუსაბუთებელი სარჩელებისგან თავის არიდების მიზნით დადგენილი სახელმწიფო ბაჟი თანაბრად ეფექტიანია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართ, ასევე აქტუალურია საკონსტიტუციო სამართალწარმოებაშიც. ამასთან, არ იკვეთება რაიმე დამატებითი ინტერესი, რომელიც შესაძლოა განაპირობებდეს ამ სამართალურთიერთობაში ფიზიკური და იურიდიული პირების დიფერენცირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსხვავებული სამართალწარმოებების არსებობა ვერ ჩაითვლება იმგვარ არსებით განსხვავებად, რის გამოც აუცილებელი იქნებოდა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის დამატებით შესწავლა საქმის არსებითი განხილვის ფორმატში. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის შემოაღნიშნული ნორმის ძალით და შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმეზე მითითებით, საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმის არსებითი განხილვის გარეშე, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმები ძალადაკრეფულად გამოაცხადა.²⁶

საქმეში „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო წესი, რომელიც მოსარჩელისთვის ზღუდავდა საგრანტო პროექტის შემფასებელი ექსპერტების ვინაობის გაცნობის უფლებას.²⁷

საქმეში ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სადავოდ გამხდარი ნორმა განსაზღვრავდა, რომ შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინსპექტირების შედეგად მომზადებული დოკუმენტაცია, კერძოდ, დასკვნები/ანგარიშები და რეკომენდაციები არის არასაჯარო. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები წარმოადგენს „დამძლე ნორმებს“ ფორმალური თვალსაზრისით. განსახილველ შემთხვევაშიც საჯარო ინფორმაციის – ინსპექტირების შედეგად

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის N2/15/1214 განჩინება საქმეზე ააიპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

მომზადებული დოკუმენტაციის საჯარო ინფორმაციის სახით გამოთხოვისა და გაცნობის უფლება შეზღუდულია კანონქვემდებარე აქტით, მთავრობის დადგენილებით. ამასთან, არ მომხდარა ამ საკითხის მონესრიგების კანონმდებლის მიერ კანონით დადგენილი წესით დელეგირება საქართველოს მთავრობაზე. შესაბამისად, სასამართლოს მტკიცებით სადავო ნორმები არის არსებითად მსგავსი შინაარსის, როგორც იყო საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.²⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო წლების პრაქტიკა ადასტურებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად იყენებს ორგანული კანონის ნორმას და საქმის არსებითი განხილვის გარეშე სცნობს დამძლევ ნორმას არაკონსტიტუციურად. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში სადავო ნორმით, მამაკაცთან სქესობრივი კავშირის მქონე მამაკაცებს ეკრძალებოდათ სისხლისა და მისი კომპონენტების დონაცია. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ კანონმდებელი იმავე საშუალებით ზღუდავს პირის უფლებას, გახდეს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორი, რომელსაც ითვალისწინებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები. კერძოდ, იმ მამაკაცს, რომელსაც ერთხელ მაინც ჰქონდა სქესობრივი კავშირი მამაკაცთან, მიუხედავად ამ კავშირიდან გასული დროის პერიოდისა, აბსოლუტურად ეკრძალება დონორობის უფლება. განსახილველ შემთხვევაშიც კანონმდებელი აბსოლუტურ და ბლანკეტურ აკრძალვას ადგენს იმ მამაკაცების მიმართ, რომლებსაც ჰქონიათ სქესობრივი კონტაქტი მამაკაცთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენადაც გარკვეული პერიოდის შემდეგ სისხლის გზით გადამდები დაავადებების სრულად იდენტიფიკაცია შესაძლებელია სისხლის შემოწმების გზით, საკანონმდებლო რეგულაციით შესაძლოა განისაზღვროს ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სისხლის სკრინინგით ვერ გამოვლინდება ყველა ინფექცია და დონაციის უფლების შეზღუდვა დასაშვებია გავრცელდეს მხოლოდ ამ პერიოდზე. აღნიშნული პერიოდის მიღმა დაწესებული აკრძალვა წარმოადგენს ძირითადი უფლებების საჭიროზე მაღალი ინტენსივობით შეზღუდვას და შინაარსობრივად იმეორებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილ ქცევის წესს. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ის გარემოება, რომ მსმ ჯგუფს შესაძლოა მიეკუთვნებოდნენ არა მხოლოდ ჰომოსექსუალები, არამედ სხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები, არ მიუთითებს საქმის არსებითად განხილვის საჭიროებაზე. სექსუალური ორიენტაცია არ წარმოადგენს ისეთ ნიშანს, რომელიც თავისთავად შესაძლოა გავლენას ახდენდეს სისხლისა და მისი კომპონენტების დონორიდან მომდინარე საფრთხეზე. სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტის დაინფიცირების საფრთხეს ზრდის

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომრბის N1/19/124 განჩინება საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.

დონორის მიერ სარისკო ქცევების განხორციელება და არა მისი სექსუალური ორიენტაცია. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული სადავო ნორმით განსაზღვრული რეგულაცია უკვე შეფასებული და გადაწყვეტილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ამიტომ არ არსებობს კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის ფორმატში გამოკვლევის საჭიროება.²⁹

ყველა ზემოაღნიშნულ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლო, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ეყრდნობა კანონის ნორმებს და არა მის მიერ აღრე გამოტანილ გადაწყვეტილებას. განჩინების გამოტანის საფუძველია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ნორმა, რომელიც საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ანიჭებს მას უფლებას სცნოს სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად.

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა სასამართლო პრეცედენტს, როგორც სამართლის წყაროს, პირდაპირ არ აღიარებს, საკონსტიტუციო სასამართლო, განჩინების გამოტანის საფუძველში (სარეზოლუციო ნაწილში) ვერ უთითებს გადაწყვეტილებას, რომელთანაც იდენტურობა დაადგინა. სწორედ ამის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კონსტიტუციური სამართლის წყაროდ არ აღიარებენ. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ურთიერთობების ახლებურად მონესრიგებისას, კანონმდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით და ითვალისწინებდეს როგორც მის სარეზოლუციო, ასევე სამოტივაციო ნაწილს. აღნიშნული კი მეტყველებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ კონსტიტუციური სამართლის წყაროთა სისტემაში უკვე მყარად დაიმკვიდრა ადგილი.

დასკვნა:

- ჩვეულება კონსტიტუციურ სამართალში არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც კანონის შევსების საშუალება, გამონაკლისია კანონმდებლის კვალიფიციური დუმილი, როგორც არის, მაგალითად, სად და რაზე უნდა დადოს ფიცი ახალარჩეულმა პრეზიდენტმა. ჩვეულება არც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმის სანაცვლოდ უნდა იქნეს გამოყენებული. თუმცა, ცალსახად, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებაში ჩვეულება მნიშვნელოვან როლს თამაშობს.
- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება წარმოადგენს კონსტიტუციური სამართლის წყაროს. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავოდ გამხდარი ნორმა შინაარსობრივად იდენტურია იმ ნორმისა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით წარსულში ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად და

²⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის განჩინება 1/13/878 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.

ინვეს იმავე სამართლებრივ შედეგს, მაშინ იგი სადავო ნორმას, არსებითი განხილვის გარეშე, კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ ცნობს.

- საკონსტიტუციო სასამართლო ეყრდნობა კონსტიტუციურ დებულებას, რომ სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სასამართლო თავის გადანაცვებებში აცხადებს, რომ ახალი ნორმის მიღებისას ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ანუ იხელმძღვანელოს მის მიერ შექმნილი პრეცედენტებით.

- საკონსტიტუციო სასამართლო შებოჭილია მის მიერ აღრე ჩამოყალიბებული პრაქტიკით, თუმცა, ბუნებრივია, პრეცედენტის შეცვლა შესაძლებელია. უფრო მეტიც სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა პრეცედენტის შეცვლის გარემოებები და პირობები.

Custom and Judicial Precedent as a Source of Constitutional Law of Georgia

Mari Marinashvili

Resume

When referring to the sources of constitutional law of Georgia, the law is traditionally mentioned. In Georgian legal literature, the lack of consideration of customary and judicial precedents among the sources of law, is common. The author believes that custom as a direct regulator of constitutional relations is still used in the constitutional law of Georgia, and a decision of the Constitutional Court has the force of judicial precedent. Having studied the prevailing practice, the author concludes:

- A custom in constitutional law should not be used as an instrument to supplement the law, except for the qualified silence of the legislator, such as where and on what the elected president should take the oath. The custom should not be used in exchange for a constitutional-legal norm. But, of course, the custom plays an important role in shaping constitutional-legal norms. In particular, by virtue of the established custom, the current edition of the Constitution has stipulated that the Constitution shall be revised by the constitutional law.

- The established practice confirms that a decision taken by the Constitutional Court is a source of constitutional law. If the Constitutional Court finds that the disputed norm is substantially identical to the norm which was previously ruled unconstitutional by the decision of the Constitutional Court and leads to the same legal effect, then it finds the impugned norm, without substantive consideration, incompatible with the Constitution.

- The Constitutional Court is based on the constitutional provision that judicial acts are binding on all state bodies and persons throughout the country. Accordingly, the Court in its rulings states that in adopting a new norm all state bodies are obliged to take into account the practice of the Constitutional Court, i.e. to follow the precedents established by it.

- The Constitutional Court is bound by its earlier practice, but of course, the precedent may be changed. In one case the court clarified the circumstances and conditions of changing the precedent.

თანაზომიერების პრინციპი – ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის მართლზომიერების შემოწმების კონსტიტუციური მასშტაბი

თამარ ავალიანი

1. შესავალი. 2. თანაზომიერების პრინციპის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. 3. თანაზომიერების პრინციპის დანიშნულება სამართლებრივ სახელმწიფოში. 4. თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაცია. 5. თანაზომიერების პრინციპის კომპონენტები – უფლებაში ჩარევის გამართლების შეფასების კრიტერიუმები. 5.1. ლეგიტიმური მიზანი. 5.2. დასაშვებობისა და აუცილებლობის კრიტერიუმები. 5.3. პროპორციულობა ვიწრო გაგებით (proportionality stricto sensu). დასკვნა. რეზიუმე ინგლისურ ენაზე. გამოყენებული ლიტერატურა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.

ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვა ყველაზე დიდ გამოვლინებას თანაზომიერების კონსტიტუციურ პრინციპში პოულობს. სწორედ თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის მართლზომიერების შემოწმების კონსტიტუციურ მასშტაბს.

სტატიაში გაანალიზებულია თანაზომიერების პრინციპის ევოლუციის მნიშვნელოვანი ეტაპები, ზოგადთეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ასევე, თანაზომიერების პრინციპისა და მისი კომპონენტების გამოხატულება საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში.

2. თანაზომიერების პრინციპის წარმოშობისა და განვითარების შესახებ

თანაზომიერების პრინციპს თავისი ფესვები აქვს კონსტიტუციური სამართლის ისტორიაში და იგი მართლმსაჯულების ფუნდამენტურ კონცეპტად უნდა იქნას მიჩნეული.

თანაზომიერებისა და პროპორციულობის ცნებები არაერთ მოაზროვნეს შთააგონებდა სამართლებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. თანაზომიერების პრინციპის ცნებას ასევე იცნობდა ადრეული რომაული სამართალი.

1215 წლის თავისუფლების დიდი ქარტია შემდეგნაირად განმარტავდა თანაზომიერების პრინციპს: წვრილმანი სამართალდარღვევისთვის თავისუფალი ადამიანი უნდა დაჯარიმდეს პროპორციულად ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმის მიხედვით, მძიმე სამართალდარღვევის შემთხვევაში, ადამიანს უნდა დაეკისროს შესაბამისი ფინანსური პასუხისმგებლობა, თუმცა ფინანსური სანქცია არ უნდა იყოს იმდენად მძიმე, რომ ადამიანი დარჩეს საარსებო სარჩოს გარეშე.

თანაზომიერების კონცეპტი მტკიცედ უკავშირდება მე-18 საუკუნის განმანათლებლობის პერიოდს და სოციალური კონტრაქტის იდეას. სოციალური კონტრაქტის კონცეფციამ ახლებურად მოაწესრიგა მოქალაქეებსა და მმართველებს შორის ურთიერთობა. ამ კონცეფციის მიხედვით, მმართველებს ძალაუფლებას (შეზღუდულ ძალაუფლებას) მოქალაქეები გადასცემენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მას ხალხის სასარგებლოდ და მათი ინტერესების დასაცავად გამოიყენებენ.¹

თანამედროვე გაგებით, თანაზომიერების პრინციპი ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში, როგორც პოლიციის უფლებამოსილებების შეზღუდვის საფუძველი. ამ პერიოდში გერმანიაში პოლიცია სარგებლობდა შეზღუდული დისკრეციული უფლებამოსილებით, რომელიც გარკვეულ ლიმიტირებას საჭიროებდა. ერთი მხრივ, ინდივიდუალური უფლებების, ხოლო მეორე მხრივ კანონის უზენაესობის იდეამ პოლიციის უფლებამოსილების შეზღუდვის საჭიროება წარმოშვა. აღნიშნული კი განახორციელეს გერმანიის ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა, რომელთაც თანაზომიერების პრინციპი შეიმუშავეს. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, პოლიციის მიერ განხორციელებული მოქმედება უნდა იყოს ვარგისი კანონით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად. გარდა ამისა, იგი უნდა იყოს აუცილებელი და მისი თმენა ადრესატს უნდა მოეთხოვებოდეს. პოლიციამ თავისი ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად მის მიერ განხორციელებული სხვადასხვა შესაძლო და მისაღები მოქმედებიდან უპირატესობა უნდა მიანიჭოს იმას, რომელიც პიროვნებას ან საზოგადოებას ნაკლებ ზიანს მიაყენებს, ან რომელიც ასეთ ზიანს არ გამოიწვევს, რაც მიზნად დასახულ შედეგთან არაპროპორციულ დამოკიდებულებაში იქნება.

თანაზომიერების პრინციპის, როგორც სამართლებრივი ბალანსის მექანიზმის გამოყენება ფართოდ დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. დღეს აღნიშნული პრინციპი არაერთი სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია და ის კანონების ერთგვარი მიგრაციის გამოხატულებას წარმოადგენს.

ადამიანის უფლებების სფეროში თანაზომიერების პრინციპი პირველად მე-20 საუკუნის

¹ Aharon Barak, in *Proportionality: Constitutional Rights and their Limitations*. „Cambridge Studies in Constitutional Law”. Cambridge. 2012. p.175-210, <https://www.cambridge.org/core/books/proportionality/historical-origins-of-proportionality/9BA3F59D4C0007A4B8F1ACB7753C0B3> (14.04.2019)

მეორე ნახევარში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა.² სასამართლოს ერთმანეთთან უნდა შეეთავსებინა გერმანიის ძირითადი კანონის კონსტიტუციური დებულებები, რომლებიც ერთი მხრივ, ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებს გარანტირებდნენ და მეორე მხრივ, პარლამენტს ენიჭებოდა მათი შეზღუდვის უფლებამოსილება. ამიტომ წარმოიშვა აღნიშნული კონსტიტუციური დებულებების პრაქტიკული თანაარსებობის უზრუნველყოფის საჭიროება. გამოსავალი ნაპოვნი იქნა თანაზომიერების პრინციპში, რომლის თანახმადაც, ზომა, რომელიც ერევა ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში, უნდა იყოს დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული. თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენდა ადამიანის უფლებებებსა და თავისუფლებებში თვითნებური ჩარევისგან დაცვის საშუალებას.³

თანამედროვე დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოებში თანაზომიერების პრინციპი სამართლის სხვადასხვა სფეროებში გამოიყენება. იგი ფუნქციონირებს კონტიტენტურ და საერთო სამართლის სისტემებში, ისევე, როგორც საერთაშორისო სასამართლოებში, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ინტერ – ამერიკული სასამართლოს სამართალში.

3. თანაზომიერების პრინციპის დანიშნულება სამართლებრივ სახელმწიფოში

„დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები უმნიშვნელოვანესია კონსტიტუციურ პრინციპებს შორის. ისინი პრაქტიკულად ყველა კონსტიტუციური ნორმის საფუძველს წარმოადგენენ. ამ პრინციპებს ეყრდნობა მთლიანად კონსტიტუციური წყობა. ამასთან, ისინი ავალდებულებენ ხელისუფლებას, შეიზღუდოს კონსტიტუციური წყობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არ აქვს უფლება, იმოქმედოს მხოლოდ მიზანშეწონილობის, პოლიტიკური აუცილებლობის ან სხვა მოტივაციის საფუძველზე. ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს. მხოლოდ ასე იქმნება სამართლიანი მართლწესრიგი, რომლის გარეშეც ვერ შედგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო.“⁴ აღნიშნული პრინციპები „მოითხოვს, რომ ქვეყნის სამართალი უზრუნველყოფდეს ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებების სრული მოცულობით აღიარებასა და მათი დაცვის ყველა

² თანაზომიერების, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპის შესახებ პირველად 1954 წლის ივნისის გადაწყვეტილებაში იმსჯელა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც საარჩევნო კანონის კონსტიტუციურობას ეხებოდა.

³ Luka Andelković, The Elements of Proportionality as a Principle of Human Rights Limitations. „Law and Politics”. 2017. Vol. 15, No: 3. p.236. <http://casopisi.junis.ni.ac.rs/index.php/FULawPol/article/viewFile/2988/1983> (20.04.2019).

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საჭირო გარანტიის შექმნას”.⁵ „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები ერთნაირად მოითხოვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფას, მათ შორის გონივრული, თანაზომიერი და პროპორციული ბალანსის დაცვას“.⁶

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ცალსახად აღიარა თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციური მნიშვნელობა და აღინიშნა, რომ იგი კონსტიტუციაში განმტკიცებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ძირითადი კონსტიტუციური უფლებების არსიდან გამომდინარეობს.⁷

თანაზომიერების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის პრაქტიკაში უზრუნველყოფელ ნორმა-პრინციპს წარმოადგენს. „იგი ხასიათდება როგორც უმაღლესი რანგის სამართლის წყარო, რომელიც სამართლიანობის იდეიდან გამომდინარეობს“.⁸

თანაზომიერების პრინციპის დოგმატურ-სამართლებრივი საფუძვლები გამომდინარეობს როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, ისე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების იდეიდან. მისი ძირითადი დატვირთვა ადამიანის უფლებების შემზღვევისას სახელმწიფოსთვის ფარგლების განსაზღვრაში მდგომარეობს. „თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს სახელმწიფოს მიზანს, რომლის იდეაც ვლინდება იმაში, რომ რაც უფრო დიდია სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანი, მით უფრო მეტ დასაბუთებას საჭიროებს ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის ღონისძიება. თანაზომიერების პრინციპის მთავარი დანიშნულება სახელმწიფოს პროპორციული და არათვითნებური ქცევის უზრუნველყოფაა“.⁹ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის გამოყენების პრაქტიკული შედეგია თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების სტანდარტის შემოღება კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში.

„თანაზომიერების პრინციპი უზრუნველყოფს თავისუფლებისა და მისი შემზღვევის ერთგვარ განწინასწორებულ, თანაზომიერ დამოკიდებულებას და კრძალავს ადამიანის უფლებების იმაზე მეტად შემზღვევას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. იგი ადამიანის უფლებების შემზღვევის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია და ამიტომაც მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს“.¹⁰ „სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს მატერიალურ მასშტაბებს კანონ-

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁷ ლევან იზორია, ადამიანის უფლებების შემზღვევა და თანაზომიერების პრინციპი. „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“. თბ. 2002. გვ.44.

⁸ Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, DVBl 1985, S. 98.

⁹ Vicki C. Jackson, Constitutional Law in an Age of Proportionality. „Yale Law Journal“. 2015. Vol:124.p. 3098. <https://digitalcommons.law.yale.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=5723&context=yjlj> (18.04.2019).

¹⁰ ქეთევან ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბ. 2013 წელი. გვ. 22

მდებლისათვის ძირითადი უფლებების შეზღუდვისას. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. სახელმწიფოს თვითნებობა ადამიანის თავისუფლების სფეროში კი ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის ძირითადი უფლებების არაკონსტიტუციურ ხელყოფას”.¹¹ სამართლებრივ სახელმწიფოდ ორგანიზებული საზოგადოების თითოეული წევრი იმის მოლოდინშია, რომ საზოგადოებაში სიკეთეთა განაწილება სამართლიანი იქნება.¹² თანაზომიერების პრინციპს არსებითი დატვირთვა გააჩნია კონსტიტუციურ დემოკრატიაში, რომლის ლეგიტიმურობა ხალხის წინაშე სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებას ეფუძნება. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელშიც შეზღუდული სახელმწიფოს იდეა ვლინდება. მას მინიმუმამდე დაჰყავს სახელმწიფოს თვითნებური ქცევა და გადაჭარბებული ჩარევა ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში. თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებების შეზღუდვის მართლზომიერების შემოწმებისა და სამართლიანობის შეფასების საზომია.

კონსტიტუციური დემოკრატის არსი მხოლოდ შეზღუდული სახელმწიფოს იდეაში არ ვლინდება. ამ ტიპის დემოკრატის პირობებში სახელმწიფო შეზღუდულია ადამიანის უფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით, ფუნდამენტური უფლებების გარანტირებისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის ვალდებულებით.

სამართლებრივ სახელმწიფოში თანაზომიერების პრინციპის დანიშნულება მისი ორიენტაციისა და კონტროლის ფუნქციებში ვლინდება. თანაზომიერების პრინციპი ერთი მხრივ, სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება და მეორე მხრივ, წარმოადგენს მოსამართლის მხრიდან სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჩარევის კანონიერების შემოწმების მასშტაბს. „დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს აბსოლუტურ თავისუფლებას. სამართალშემოქმედის მიხედულობის ფარგლები პირობადადებულია კონსტიტუციური პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებით, რაც უზრუნველყოფს უფლებამოსილების გადაჭარბებისა და მისი არამიზნობრივად გამოყენების რისკის თავიდან აცილებას. სხვაგვარად, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა და მისი გამოყენება ყოველთვის გულისხმობს გადაწყვეტილების შედეგების დასაბუთებას. ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილების დასაბუთებულობა გულისხმობს იმგვარი დასაბუთების მოთხოვნას, რომელიც შესაძლებელს გახდის სამართლებრივი შედეგის სისწორის შეფასებას“.¹³

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N 2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹² Dreier, *Recht und Gerechtigkeit*, in: *Einführung in das Recht*. 1991. S. 95 ff.

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

4. თანაზომიერების პრინციპის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაცია

თანაზომიერების პრინციპის მთავარ წყაროს წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუცია, სადაც მკაფიოდ ან იმპლიციტურად ვხვდებით თანაზომიერების პრინციპის რეგლამენტაციას. ევროპის უმრავლეს ქვეყანებში, როგორც წესი, თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციაში არ არის რეგლამენტირებული, თუმცა, მას კონსტიტუციური მნიშვნელობის პრინციპად აღიარებენ.

მაგალითად, ისრაელის ძირითადი კანონები, ადამიანის უფლებების ზოგად შემზღვეველ საფუძვლებთან ერთად, შეიცავენ სპეციალურ დანაწესს, რომლის თანახმადაც კონსტიტუციური უფლებების შემზღვევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, უნდა ემსახუროდეს ისრაელის სახელმწიფოს ღირებულებებს და განხორციელებული უნდა იყოს შესაბამისი მიზნის საფუძველზე, შემზღვევის საფუძვლები არ უნდა იყოს იმაზე მკაცრი, ვიდრე მას ლეგიტიმური მიზნის მიღწევა საჭიროებს.¹⁴

შვეიცარიის კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ ადამიანის უფლებების შემზღვევა უნდა იყოს დასახული მიზნის პროპორციული.¹⁵

პროპორციულობის პრინციპის მკაფიო რეგლამენტაციას შეიცავს რუმინეთის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევა უნდა იყოს პროპორციული და არათანაზომიერედ არ უნდა შემზღველოს ადამიანის თავისუფლება¹⁶.

საქართველოს კონსტიტუციაში თანაზომიერების პრინციპი, მისი ყველა კომპონენტით, ცალკე მუხლად არ არის განსაზღვრული. ვენეციის კომისიის დასკვნით, „საქართველოს კონსტიტუციაში რეკომენდებულია, რომ ცალსახად იყოს მოხსენიებული თანაზომიერების პრინციპი 34-ე მუხლში, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის პრინციპებს ეხება. უმჯობესია, რომ ეს პრინციპი პირდაპირ იყოს მოხსენიებული კონსტიტუციურ დებულებაში“.¹⁷

2018 წლის კონსტიტუციური ცვლილებებით, არასრულად გათვალისწინებულ იქნა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია და ნაწილობრივ გაიწერა თანაზომიერების პრინციპი საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლში, რომლის თანახმადაც „ადამიანის ძირითადი უფლებების შემზღვევა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება“.

¹⁴ Basic Law: Human Dignity and Liberty (5752-1992), par.8. <https://main.knesset.gov.il/EN/activity/Documents/BasicLawsPDF/BasicLawLiberty.pdf> (25-04. 2019)

¹⁵ Federal Constitution of Swiss Confederation, article 36. <https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19995395/index.html> (25.04.2019).

¹⁶ Constitution of Romania, article 49. <https://www.refworld.org/docid/3ae6b53c4.html> (25.04.2019).

¹⁷ ვენეციის კომისიის 2017 წლის 19 ივნისის #876/2017 მოსაზრება (CDL-AD(2017)013 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე. გვ.17.

საქართველოს კონსტიტუციაში ცალკეულ უფლებებთან მიმართებით ასევე საუბარია იმაზე, რომ უფლებაში ჩარევის მიზანი „აუცილებელი“ უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოებისთვის.¹⁸ კონსტიტუციური დანაწესი – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – გამომდინარეობს თანაზომიერების პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, შეზღუდვა არ უნდა იწვევდეს პირის უფლების იმაზე მაღალი ხარისხით შეზღუდვას, რაც უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

5. თანაზომიერების პრინციპის კომპონენტები – უფლებაში ჩარევის გამართლების შეფასების კრიტერიუმები

თანაზომიერების პრინციპი წარმოადგენს სამართლებრივ კონსტრუქციას, გარკვეულ მეთოდოლოგიურსა და ინტერპრეტაციის ინსტრუმენტს, რომელიც, სამართლის ნორმისგან განსახვავებით, მოკლებულია ფაქტობრივ შემადგენლობას. „თანაზომიერების პრინციპი არის რაციონალურობის უნივერსალური სტანდარტი, რომელიც ყველა სამართლებრივ სისტემაში აღიარებულია. კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში იგი გამოიყენება როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციური გამართლების ტესტი“.¹⁹ თანაზომიერების პრინციპი უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, პირის თავისუფლების, და მეორე მხრივ, თავისუფლების შეზღუდვის განონასწორებულ დამოკიდებულებას და ძირითად უფლებებში ზომამე მეტად ჩარევას კრძალავს.²⁰ იგი შედგება ოთხი კომპონენტისგან: უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი, დასაშვებობა, აუცილებლობა და პროპორციულობა ვიწრო გაგებით (proportionality stricto sensu). თანაზომიერების პრინციპის ოთხკომპონენტიანი სისტემა წარმოადგენს გერმანულ მოდელს, რომლის სტრუქტურასაც იყენებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო.²¹

„თანაზომიერების პრინციპის კომპონენტები, როგორც ერთმანეთთან ერთობლიობაში, ისე დამოუკიდებლად, უფლებაში ჩარევის გამართლების შეფასების კრიტერიუმებია“.²²

¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები; მე-16 მუხლი (რწმენის, აღმსარებლობის და სინდისის თავისუფლებები); მე-17 მუხლი (აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები).

¹⁹ Mr Jan Sieckmann, The Principle of Proportionality: A German Perspective, Report, International Conference (Venice Commission), Bolivia. 2018. 3.

²⁰ ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე: საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბ. 2013 წელი. გვ. 24.

²¹ Gertrude Lübbecke-Wolff, Bielefeld, The Principle of Proportionality in the Case-Law of the German Federal Constitutional Court. „Human Rights LawJournal“. 1991. Vol. 34. p. 12-15. <https://www.researchgate.net/publication/326782433> The Principle of Proportionality in the Case-Law of the German Federal Constitutional Court (24.04. 2019).

²² ქეთევან ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბ. 2013 წელი. გვ. 24.

როგორც მეცნიერი ბარაკი აღნიშნავს „ოთხივე კომპონენტი პრაქტიკულ და ქმედით დანიშნულებას სძენს თანაზომიერების პრინციპის აბსტრაქტულ ცნებას“.²³

5.1. ლეგიტიმური მიზანი

კონსტიტუციური დემოკრატიის მთავარი მახასიათებელია, ის, რომ მხოლოდ ლეგალური უფლება, რომ სახელმწიფო ჩაერიოს ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში, არ არის საკმარისი ჩარევის გამართლებისთვის. ლეგალურობა არ უთანაბრდება ლეგიტიმურობას. კონსტიტუციური დემოკრატია უფლებებში ჩარევის გასამართლებლად ლეგალურობასთან ერთად ითხოვს უფლების შეზღუდვის გამართლებას ვალიდური, ლეგიტიმური მიზნით. კონსტიტუციური დემოკრატიის დოქტრინის თანახმად, ადამიანის უფლებების შეიძლება შეიზღუდოს იმ მიზნით, რომელიც დემოკრატიული ღირებულებებიდან გამომდინარეობს. უფლებაში ჩარევისას ლეგიტიმური მიზნის არსებობა შეესაბამება საზოგადოების ღირებულებებს კონსტიტუციურ დემოკრატიაში. „კონკრეტული უფლების ადეკვატური უზრუნველყოფით ადამიანის ღირსების დაცვისას სახელმწიფო იმავდროულად ვალდებულია, გაითვალისწინოს დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოში ადამიანის და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომ, კანონმდებლობა უნდა შეიქმნას სოციალური თანაცხოვრების ხელშეწყობისა და შენარჩუნების გათვალისწინებით, თუმცა, იმ სავალდებულო პირობით, რომ დაცული იქნება თითოეული პიროვნების თვითმყოფადობა“.²⁴

ლეგიტიმური მიზანი არის ინტერესი, სიკეთე, რომლის დაცვას ხელისუფლებას კონსტიტუცია ავალდებულებს. შესაბამისად, ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის ლეგიტიმური მიზნებიც კონსტიტუციით არის რეგლმანტირებული. ლეგიტიმური მიზანი საჭიროებს ადამიანის უფლებებით დაცულ სფეროში ჩარევის პირველად, *prima facie* გამართლებას უფლებათა ბალანსისა და აწონ-დანონვის გარეშე. ლეგიტიმური მიზანი ადგენს ზღვარს, რომლის მიღმაც უფლების შეზღუდვა არ იქნება კონსტიტუციურად გამართლებული. „უფლების შეზღუდვის გამართლებისთვის ლეგიტიმური მიზნის არსებობა არის რაციონალურობის ფუძემდებლური მოთხოვნა, რომელიც ფუნდამენტური უფლებების როგორც პრინციპის აღიარებიდან გამომდინარეობს“.²⁵ „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს

²³ Aharon Barak, in *Proportionality: Constitutional Rights and their Limitations*. „Cambridge Studies in Constitutional Law“. Cambridge. 2012. p. 19-44, <https://www.cambridge.org/core/books/proportionality/historical-origins-of-proportionality/9BA3F59D4C00007A4B8F1ACB7753C0B3> (14.04. 2019)

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²⁵ Mr Jan Sieckmann, *The Principle of Proportionality: A German Perspective*, Report, International Conference (Venice Commission), Bolivia. 2018. 5.

ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია ნორმის შემდგომი შემოწმების გარეშე“.²⁶

„კონსტიტუციის ამა თუ იმ მუხლში დასახელებული ან კონსტიტუციიდან გამომდინარე ლეგიტიმური მიზნები იმ სიკეთეს წარმოადგენენ, რომელთა დაცვის ვალდებულებაც აქვს სახელმწიფოს სწორედ იმიტომ, რომ საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, სუვერენიტეტს, მის უსაფრთხოებას, უშუალოდ ადამიანის უფლებებს, რაც, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება საზოგადოების ნორმალური, დემოკრატიული ღირებულებების შესაბამისად განვითარებაზე, სამართლებრივი სახელმწიფოს შენარჩუნებასა და თითოეული ადამიანის თავისუფლებაზე, ფართო გაგებით“.²⁷

5.2. დასაშვებობისა და აუცილებლობის კრიტერიუმები

ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის დადგენის თვალსაზრისით, თანაბომიერების უწინარესი მოთხოვნაა, რომ ნორმატიული აქტი გარკვეული მიზნის მისაღწევად მისაღები საშუალება იყოს. ე.ი. ნორმატიული აქტი, ანუ საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევას ართულებს ან მას შეუძლებელს ხდის, დაუშვებელია და შესაბამისად არაკონსტიტუციურია.²⁸

„ლეგიტიმური მიზნის არსებობის პირობებში აუცილებელია, კანონმდებელმა მიზნის მისაღწევად უფლებაში ჩარევის თანაბომიერი გზა აირჩიოს. ამისთვის კი კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაცია უნდა იყოს დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული. კანონმდებლის მიერ შერჩეული რეგულაციით ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შესაძლებელი უნდა იყოს, ანუ ის (რეგულაცია) რეალურად უნდა იყოს ორიენტირებული ლეგიტიმური მიზნის დაცვასა და უზრუნველყოფაზე, უფლების შემზღუდავი ღონისძიება მიზნის მიღწევის ვარგის, მისაღებ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. მას გარდაუვლად, ნამდვილად უნდა შეეძლოს კონკრეტული მიზნების, ინტერესების უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთნაირად მიაღებება ზიანი როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესებს“.²⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, იმისათვის, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული შეზღუდვა თანაბომიერების პრინციპთან

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²⁷ ვასილ გონაშვილი, ქეთევან ერემაძე, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კახიანი, გიორგი კვერენჩილაძე, ნანა ჭილაძე, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. თბ. 2016 წელი. გვ. 99.

²⁸ Pieroth/Schlink, Staatsrecht II, 1997. S. 65. Robert Alexy, Constitutional Rights and Proportionality, Journal for Constitutional Theory and Philosophy of Law. 2014. P. 3 . <https://journals.openedition.org/revus/2783>

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

შესაბამისობაში ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს გამოსადეგი დასახული მიზნის მისაღწევად და უნდა არსებობდეს ლოგიკური კავშირი საკანონმდებლო რეგულირებასა და მისაღწევ მიზანს შორის³⁰.“ თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, გამოსადეგობასთან ერთად, შერჩეული ღონისძიება აუცილებლობის მოთხოვნასაც უნდა აკმაყოფილებდეს. ნორმატიული აქტი აუცილებელი უნდა იყოს დასახული მიზნის მისაღწევად. აუცილებელია ის ნორმატიული აქტი, რომელიც მიზნის მისაღწევად ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია როგორც საზოგადოებისთვის, ისე თითოეული ადამიანისთვის.³¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით, „სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელ და პირის უფლების ყველაზე ნაკლებად მზლუდავ საშუალებას“.³² შესაბამისად „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ არ არსებობს სხვა უფრო ნაკლებად მზლუდველი ღონისძიების გამოყენებით ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობა“.³³ თანაზომიერების პრინციპის საწინააღმდეგოა ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი. აუცილებლობის საფუძვლით ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს სხვა მექანიზმი/საშუალება, რომელსაც აქვს რესურსი, ისევე ეფექტრად უზრუნველყოს საჯარო ინტერესის დაცვა, როგორც სადავო რეგულაციას.³⁴

5.3. პროპორციულობა ვიწრო გაგებით (proportionality stricto sensu)

პროპორციულობის კომპონენტი თანაზომიერების პრინციპის ბოლო და საკვანძო საფეხურს წარმოადგენს. იგი უფლებათა შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფი მექანიზმია და ამგვარად, ადამიანის უფლებებით კანონმდებლის შეზღუდვისა და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის გადამწყვეტი ელემენტია. „იგი განსაზღვრავს დამოკიდებულებას მიზანსა და საშუალებას შორის, კერძოდ კი ადგენს, იმყოფება თუ არა საშუალებით, ე.ი ნორმატიული აქტით, გამონვეული უფლების შეზღუდვა შეზღუდვის

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³¹ Grabitz, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR 1983, S. 568 ff.

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები დავით კანდელაკი, ნატალია დვალაი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მიზანთან პროპორციულ, თანაზომიერ დამოკიდებულებაში. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი სიტყვა შეზღუდული სიკეთისა და შეზღუდვის მიზნის შეფასებას, კერძოდ, მათ შეპირისპირებას ეკუთვნის. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი სიკეთე არ იქნება ცალმხრივად, მეორე სიკეთის ხარჯზე, არაპროპორციულად შეფასებული“.³⁵ პროპორციულობის ელემენტის მნიშვნელობა სხვადასხვა დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის წონასწორობის დამყარებაში მდგომარეობს.³⁶

პროპორციულობის კონცეფციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. შესაბამისად, „უნდა არსებობდეს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ უფლებასა და საპირწონე ინტერესს შორის“.³⁷ სწორედ „პროპორციულობის ელემენტი უზრუნველყოფს გონივრულ ბალანსს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, როდესაც არც ერთი მათგანის დაცვა არ ხდება მეორეს არაპროპორციულად შეზღუდვის ხარჯზე“.³⁸

„როგორც საპირისპირო ინტერესების თანაზომიერი შეჯერების მასშტაბი, სიკეთეთა შეპირისპირება უდიდეს მნიშვნელობას ადამიანის უფლებების სფეროში იძენს. მას ხშირად „კონსტიტუციური სამართლის მეთოდოლოგიის გასაღებსაც“ უწოდებენ“.³⁹

ვინრო გაგებით პროპორციულობის პრინციპს, როგორც ბალანსის დამდგენ მექანიზმს, ჰყავს კრიტიკოსებიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „აღნიშნული პრინციპი მხოლოდ ინტუიციისა და იმპროვიზაციის გამოხატულებაა, ემყარება მხოლოდ ვარაუდებს, აკლია სიზუსტე და დაცლილია თანმიმდევრულობისა და რაციონალიზმისგან“.⁴⁰ აღნიშნული მოსაზრება არ უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან ვინრო გაგებით პროპორციულობის პრინციპს არაერთი უპირატესობა გააჩნია. „იგი ხაზს უსვამს ადამიანის უფლების შეზღუდვის დასაბუთების და ჩარევის გამართლების აუცილებლობას; მისი სტრუქტურა

³⁵ ლევან იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი. „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“.თბ. 2002. გვ.46. Stern, Übermassverbot und Abwägungsgebot, in: Staatsrecht III, 1994, S. 761 ff.

³⁶ Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, 1985, S. 108f.; Schneider, Die Güterabwägung des Bundesverfassungsgerichts bei Grundrechtskonflikten, 1979. S. 211 f.; Schwabe, Probleme der Grundrechtsdogmatik, 1977, S. 320 f.

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

³⁹ ლევან იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი. „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“.თბ. 2002. გვ.49. Schlink, Abwägung im Verfassungsrecht, 1976. S. 13.

⁴⁰ Aharon Barak, in Proportionality: Constitutional Rights and their Limitations. „Cambridge Studies in Constitutional Law“. Cambridge. 2012. p. 481-492, <https://www.cambridge.org/core/books/proportionality/historical-origins-of-proportionality/9BA3F59D4C0007A4B8F1ACB7753C0B3> (14.04. 2019)

არის გამჭვირვალე; იგი უზრუნველყოფს სათანადო დიალოგს პოლიტიკურ შტოებსა და სასამართლოს შორის და დამატებით სამართლიანობას სძენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას“.⁴¹

დასკვნა

თანაზომიერების პრინციპი ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მართლზომიერების შეფასების კონსტიტუციური კრიტერიუმია. ზუსტად ამიტომ მას კონსტიტუციური კონტროლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. კონტინენტური ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების პრაქტიკამ, ერთი მხრივ, თანაზომიერების პრინციპი დაუდო ზღვრად ხელისუფლების მოქმედებას, ხოლო მეორე მხრივ, თავადაც დაივალდებულა, შეიბოჭა თავი უპირობო ვალდებულებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის უფლებაში ხელისუფლების ჩარევის სამართლიანობა, კონსტიტუციურობა სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით შეათვასოს, რაც არაერთგზის და არაორაზროვნად გაიმეორა სხვა გადანწყვეტილებებშიც.

იურიდიულ მეცნიერებაში არსებული ზოგიერთი კრიტიკული შეფასების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ თანაზომიერების პრინციპი წარმატებით ფუნქციონირებს სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში. იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებებით სახელმწიფოს ბოჭვის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს სახელმწიფოს მიერ თვითნებური და დაუბალანსებელი გადანწყვეტილებების მიღების რისკი.

The Principle of Proportionality – Constitutional Scope for Verifying the Legitimacy of the Violation of Human Rights

Tamar Avaliani

Resume

Over the past twenty years, constitutional courts have applied the principle of proportionality as a procedure aimed at guaranteeing the full respect for human rights (or fundamental rights) by the state. This principle is applicable in both civil law and common law systems, in countries such as the United States, Argentina, Germany, Great Britain, Spain, Italy, France, Belgium, Denmark, Ireland, Greece, Luxemburg, Holland, Portugal, and Switzerland, as well as in the European Court of Human Rights.

This article is about the Principle of Proportionality, its historical development and the theoretical and practical implementation of the principle in constitutional jurisprudence. The legal article underlines the importance of the principle of proportionality as a constitutional scope for verifying the legitimacy of the violation of human rights.

⁴¹ Aharon Barak, Proportionality and Principled Balancing. „Law and Ethics of Human Rights.” 2010. p.1-16. <https://philpapers.org/rec/BARPAP-5> (14.04.2019)

The article considers the elements of proportionality as the most important requirement that must be observed when restricting human rights. The article discusses four major elements of this principle: legitimacy, adequacy, necessity, and proportionality *stricto sensu*.

გამოყენებული ლიტერატურა

- ლევან იზორია, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი. „ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში“. თბ. 2002.
- ქეთევან ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში. თბ. 2013 წელი.
- ვასილ გონაშვილი, ქეთევან ერემაძე, გიორგი თევდორაშვილი, გიორგი კახიანი, გიორგი კვერენჩილაძე, ნანა ჭილაძე, შესავალი საკონსტიტუციო სამართალში. თბ. 2016 წელი.
- ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერეკლიანი, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტკარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე: საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბ. 2013 წელი.
- ვენეციის კომისიის 2017 წლის 19 ივნისის #876/2017 მოსაზრება (CDL-AD(2017)013 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე.
- Aharon Barak, in Proportionality: Constitutional Rights and their Limitations. „Cambridge Studies in Constitutional Law“. Cambridge. 2012. <https://www.cambridge.org/core/books/proportionality/historical-origins-of-proportionality/9BA3F59D4C0007A4B8F1ACB7753C0B3>
- Aharon Barak, Proportionality and Principled Balancing. „Law and Ethics of Human Rights.“ 2010. <https://philpapers.org/rec/BARPAP-5>.
- Luka Anđelković, The Elements of Proportionality as a Principle of Human Rights Limitations. „Law and Politics“. 2017. Vol. 15, No: 3. <http://casopisi.junis.ni.ac.rs/index.php/FULawPol/article/viewFile/2988/1983>
- Jakobs, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit, DVBl 1985.
- Vicki C. Jackson, Constitutional Law in an Age of Proportionality. „Yale Law Journal“. 2015. Vol:124. <https://digitalcommons.law.yale.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.com/&httpsredir=1&article=5723&context=yjl>;
- Dreier, Recht und Gerechtigkeit, in: Einführung in das Recht. 1991.
- Mr Jan Sieckmann, The Principle of Proportionality: A German Perspective, Report, International Conference (Venice Commission), Bolivia. 2018.
- Pieroth/Schlink, Staatsrecht II, 1997.
- Robert Alexy, Constitutional Rights and Proportionality, Journal for Constitutional Theory and Philosophy of Law. 2014. <https://journals.openedition.org/revus/2783>
- Grabitz, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, AöR 1983.
- Stern, Übermassverbot und Abwägungsgebot, in: Staatsrecht III, 1994.
- Schneider, Die Güterabwägung des Bundesverfassungsgerichts bei Grundrechtskonflikten, 1979.
- Schwabe, Probleme der Grundrechtsdogmatik, 1977.
- Gertrude Lübbecke-Wolff, Bielefeld, The Principle of Proportionality in the Case-Law of the German Federal Constitutional Court. „Human Rights LawJournal“. 1991. Vol.34. https://www.researchgate.net/publication/326782433_The_Principle_of_Proportionality_in_the_Case-Law_of_the_German_Federal_Constitutional_Court
- Basic Law: Human Dignity and Liberty (5752-1992). <https://main.knesset.gov.il/EN/activity/Documents/BasicLawsPDF/BasicLawLiberty.pdf>
- Federal Constitution of Swiss Confederation, article 36. <https://www.admin.ch/opc/en/classified-compilation/19995395/index.html>.
- Constitution of Romania, article 49. <https://www.refworld.org/docid/3ae6b53c4.html>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/466 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N 2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძესაქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძონენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები დავით კანდელაკი, ნატალია დვალაი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის N1/5/826 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

„Pouvoir neutre“ კონსტიტუციონალიზმის დოქტრინაში: საკონსტიტუციო რეალობა თუ ილუზია?

ბექა ქანთარია

შესავალი. I. Pouvoir neutre – ის იდეა და მისი განვითარების ტენდენციები. 1. ტრიბუნატი როგორც pouvoir neutre (1762 წელი). 2. Jury constitutionnaire როგორც pouvoir neutre (1795 წელი). 3. მონარქი როგორც pouvoir neutre (1815 წელი). ა) კონსტანტის ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა. ბ) კონსტანტის კონცეპტის მნიშვნელობა. გ) კონსტანტის კონცეპტის იდეური წყაროები. დ) კონსტანტის კონცეპტის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. 4. პრეზიდენტი როგორც pouvoir neutre (1928 წელი). 5. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც pouvoir neutre (1962 წელი). ა) კონსტიტუციის დაცვა როგორც კლასიკური კონსტიტუციონალიზმის არსის გამომხატველი. ბ) კარლ დოეპრინგი და ძალაუფლების „მეოთხე“ შტო. გ) საკონსტიტუციო სასამართლო როგორც პოლიტიკური საპირწონე. 6. Pouvoir neutre საერთაშორისო სამართალში. ა) Pouvoir neutre როგორც საერთაშორისო სამართლებრივი კონცეპტი. ბ) EuGH როგორც pouvoir neutre. გ) EGMR როგორც pouvoir neutre. II. Pouvoir neutre და კონსტიტუციონალიზმი. III. Pouvoir neutre – ფუნქციები და მიზნები. IV. Pouvoir neutre და ძალაუფლებათა გამიჯვნის დოქტრინა. V. კონსტანტის იდეის კრიტიკა: pouvoir neutre თუ „ოქტროირებული“ პრეზიდენტი? ა) Pouvoir neutre მონარქიისთვის თუ რესპუბლიკისთვის. ბ) ნეიტრალური თუ პარტიული? გ) არბიტრი თუ ინტეგრატორი? დ) auctoritas თუ potestas? დასკვნა. რეზიუმე ინგლისურ ენაზე. გამოყენებული ლიტერატურა. ბენუამენ კონსტანი (სახელმწიფო მრჩეველი). პოლიტიკის პრინციპები. განკუთვნილი ყველა წარმომადგენლობითი მთავრობისთვის და განსაკუთრებით – საფრანგეთის მოქმედი კონსტიტუციისთვის. პარიზი. მაისი, 1815. (თავი II სამეფო ხელისუფლების ბუნების შესახებ კონსტიტუციურ მონარქიაში).

შესავალი

ძალაუფლებათა გამიჯვნა კონსტიტუციონალიზმის ამოსავალი პრინციპია. თანამედროვე დოქტრინაში ძალაუფლებათა გამიჯვნის ანდრინდელი კონცეპტი დღითიდღე კარგავს თავის მიმზიდველობას.¹ უკვე ხელისუფლების მეოთხე, მეხუთე შტოზე საუბრობენ. კვლევებმა აჩვენა ხელისუფლების ახალი მოდელების იდენტიფიცირება. თუმცა ადრინდელი კონსტიტუციონალიზმის სიღრმისეული დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ ძალაუფლებათა გამიჯვნის კლასიკური მოდელის (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) წინააღმდეგ წამოყენებული თეორია საკმაოდ ძველია. ამ დოქტრინის ავტორი, თამამად შეიძლება ითქვას, ფრანგი განმანათლებელი ბენუამინ კონსტანტია, რომელიც კლასიკური კონსტიტუციონალიზმის თეორიაში, ასევე, პოლიტიკურ ფილოსოფიაში ახალი იდეების გამავრცელებელია. Pouvoir neutre-ის² მოძღვრებამ კონსტანტის აზროვნებაში,

¹ იხ. მარკ ტაშნეტის „შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისებიდან“ მე-5 თავი: „ხელისუფლების სტრუქტურა“. გვ. 138.

² იქიდან გამომდინარე, რომ ფრანგული სიტყვა pouvoir neutre შესაძლებელია „ძალაუფლებასთან“ ერთად „ხელისუფლებასაც“ გულისხმობდეს, მართებულია მივიჩნიოთ, რომ წინამდებარე სტატიაში, კონტექსტიდან გამომდინარე, გამოვიყენოთ pouvoir neutre.

სახელმწიფო-სამართლებრივი და დემოკრატიულ-თეორიული თვალსაზრისით, ცენტრალური პოზიცია დაიკავა³. ბენჟამინ კონსტანტის კონცეპტი კიდევ უფრო განავრცეს და განავითარეს შემდეგი თაობის სწავლულებმა, რომელთა სამეცნიერო მონოგრაფია თუ პუბლიცისტიკა თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკური ფილოსოფიის კლასიკაა.

ბენჟამინ კონსტანტიმ მე-19 საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო ბრუნვაში შემოიტანა ახალი სიტყვა⁴ და ახალი ცნება – *pouvoir neutre*, როგორც საზოგადოებრივი და სახელმწიფო-პოლიტიკური მოძღვრება⁵ და სოციალ-ისტორიული კატეგორია.⁶ ამით იგი შეეცადა სახელმწიფოს მეთაური (მონარქი) გამოეყო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და ცალკე მდგომ ინსტიტუციად ექცია. ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში *pouvoir neutre* - ის ხელისუფლების „მეოთხე“ შტოდ მოიხსენიებენ.

უძველესი დროიდან სასამართლო აღიქმება როგორც ნეიტრალური ორგანო. სწორედ თემიდას სასწორი ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის სიმბოლოა.⁷ ნეიტრალიტეტი მართლმსაჯულების უმთავრესი ელემენტია. სახელმწიფო მმართველობის თეორიასა და პრაქტიკაში კი ნეიტრალიტეტის პრინციპი კონსტანტიმ დაამკვიდრა. აი, სწორედ ამაშია მისი კონცეპტის შემოქმედებითი ძალა. ამ დოქტრინას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა დასავლეთში. განსაკუთრებით მდიდარია გერმანული იურიდიული ლიტერატურა.⁸ სახელმწიფოს მეთაურის ნეიტრალური ბუნება მმართველობის ფორმის შინაარსითაა განპირობებული. შესაბამისად, სახელმწიფოს მეთაური, როგორც *pouvoir neutre* მხოლოდ საპარლამენტო დემოკრატიებშია შესაძლებელი.

საქართველო ევროპული ტიპის საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდა. აქიდან გამომდინარე, საკითხის კომპლექსური კვლევა ინტერესმოკლებული არაა. მითუმეტეს, თემა ქართულ საკონსტიტუციო სამართალში სრულიად ახალია და დღემდე დამოუკიდებელი შრომა არ შექმნილა. კიდევ უფრო მეტი: ქართული საკონსტიტუციო შინაარსის ლიტერატურაში სიტყვა *pouvoir neutre* ან *neutrale Gewalt* არ მოიძებნება.

ნეიტრალიტეტის საკითხი ერთ-ერთი პრობლემურია საქართველოს თანამედროვე საჯარო სამსახურის სისტემაში. ბოლოს და ბოლოს უნდა შეიქმნას პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო მოხელეთა კორპუსი (Civil Service), რომელიც თანაბარი გულმოდგინებით

³ Florian Weber. Benjamin Constant und der liberale Verfassungsstaat: politische Theorie nach der Französischen Revolution. 1. Aufl. Wiesbaden. 2004. S. 266.

⁴ ფლორიან ვებერი ამას Wortschöpfung – ს ანუ ნეოლოგიზმს უწოდებს (იხ. Florian Weber. S. 267.)

⁵ Werner Link. Zur Lehre von der "neutralen Gewalt" des Staatsoberhauptes. In: Aus Politik und Zeitgeschichte : APuZ, No. 17. 1971.S. 7.

⁶ იქვე. S. 4.

⁷ რეიმონდ უეფსი. სამართლის ფილოსოფია. 2012. გვ. 84.

⁸ თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, თუ რაოდენ მცირე ყურადღება მიიქცია სამეცნიერო ლიტერატურაში კონსტანტის თეორიამ *pouvoir neutre* -ის შესახებ (მაგალითად, ამის შესახებ იხ. Florian Weber. S. 266).

მოემსახურება სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე მთავრობებს და, იმავდროულად, შესაბამისი კანონმდებლობით სრულად იქნება დაზღვეული მუშაკთა დასაქმება/არდასაქმების მიმართ პოლიტიკური თანამდებობის პირთა ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებებისაგან.⁹

ჩვენი მიზანი არაა სიღრმისეულად განვიხილოთ ყველა ის საკითხი, რომელიც „pouvoir neutre“ - ის სამართლებრივ და პოლიტიკურ ბუნებას უკავშირდება. სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი ამოცანაა საქართველოს თანამედროვე საკონსტიტუციო სისტემაში მისი იდენტიფიცირება. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სტატია შემდეგი კითხვების დასმის მცდელობაა: რა არის pouvoir neutre? რა იყო pouvoir neutre – ის წარმოშობის მიზეზები? არის თუ არა pouvoir neutre ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო? მოხდა თუ არა pouvoir neutre - ის როგორც იდეის ფორმალიზება კონსტიტუციებში? ძირითადად მმართველობის რომელ სისტემებში მიმართავენ pouvoir neutre – ის? რა არის pouvoir neutre - ის ამოცანები და მიზნები? რა როლს ასრულებს pouvoir neutre ძალაუფლებათა გამიჯვნის სისტემაში? არის თუ არა pouvoir neutre საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში?

თუ რამდენად შევძელით ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, თვით პატივცემულმა მკითხველმა განსაჯოს.

I. Pouvoir neutre - ის იდეა და მისი განვითარების ტენდენციები

1. ტრიბუნატი როგორც pouvoir neutre (1762 წელი)

ნეიტრალური ძალაუფლების შესახებ იდეა პირველად ჟან ჟაკ რუსოს თეორიაში გაჩნდა, თუმცა მას სიტყვა „neutre“ არ გამოუყენებია. მისი შრომის მეოთხე წიგნის მეხუთე თავი „ტრიბუნატი“ პირველი მცდელობაა პოლიტიკის თეორიაში, ახსნას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლების სისტემაში, ცალკე მდგომი, ნეიტრალური, დამოუკიდებელი ორგანოს არსებობას კრიზისების დროს. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ „neutre“-ის კონცეპტი პირველად ფრანგმა განმანათლებელმა ბენჟამინ კონსტანტიმ წამოაყენა. მართალია, ამ იდეის თაობაზე, უფრო ადრე, რუსოს ნაშრომებშიცაა საუბარი, მაგრამ კონსტანტიმ იგი უფრო განავრცო და განავითარა, ისევე როგორც, სრულიად ახლებული უღერადობა შესძინა პოლიტიკურ ფილოსოფიაში მონტესკიემ ლოკის დოქტრინას ძალაუფლებათა გამიჯვნის თაობაზე. თუმცა, ნიშანდობლივია რუსოსა და კონსტანტის მოსაზრებებს შორის მსგავსებები და განსხვავებები. უმთავრესი, რაც ამ ორი განმანათლებლის მოსაზრებათა კონტრასტში ვლინდება, ისაა, რომ რუსო ნეიტრალურ ძალად განიხილავს არა სახელმწიფოს მეთაურს – მონარქს, არამედ ტრიბუნატს – კოლეგიალურ ორგანოს. საკითხის უფრო მეტი სიკბადისთვის ამ ორი კონცეპტის ერთმანეთთან შედარებაა აუცილებელი.

⁹ გელა ჩარკვიანი. ნაგერალა, ჩანაწერები. 2015. გვ. 92-93.

პირველად „აქტიური“ და „პასიური“ ხელისუფალის იდეა წინა პლანზე ჟან ჟაკ რუსომ წამოსწია თავის ცნობილ შრომაში „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, რომელიც 1762 წელს გამოიყა პირველად, კონსტანტის „პოლიტიკის პრინციპები“ – ს გამოქვეყნებამდე 53 წლით ადრე.

რუსოს საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში ვკითხულობთ, რომ მონარქი ზის თავის კაბინეტში თითქოს უმოძრაოდ (unbeweglich), მაგრამ ამოძრავებს (Bewegung) სახელმწიფო მექანიზმს¹⁰ კონსტანტი ხშირად იყენებს სიტყვებს pouvoir actif და pouvoir passif. კონსტანტისთან pouvoir passif არის pouvoir neutre ანუ pouvoir royal როგორც სახელმწიფოს მეთაური – მონარქი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სამი (pouvoir): საკანონმდებლო (pouvoir legislatif), აღმასრულებელი (pouvoir executif) და სასამართლო ძალა (pouvoir judiciaire).¹¹ კონსტანტისთან სწორედ ეს სამი ხელისუფლებაა pouvoir actif. რუსო ამბობს, რომ სახელმწიფოში მის შემადგენელ ელემენტებს შორის თანაფარდობის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში იქმნება სპეციალური ორგანო (besonderes Amt) – ტრიბუნატი, რომელიც იცავს თანასწორ მდგომარეობას სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებ შორის – მეფესა და ხალხს, ასევე მეფესა და სუვერენულ პარლამენტს შორის.¹²

ტრიბუნატი კანონებისა და საკანონმდებლო ხელისუფლების დამცველია.¹³ ტრიბუნები, რომში არსებული სახალხო ტრიბუნების მსგავსად, სუვერენს (ანუ საკანონმდებლო ხელისუფლებას) იცავს მმართველობისაგან (regulierende Eingriff¹⁴). ტრიბუნატი ზოგჯერ, ხალხის წინააღმდეგ არსებულ მმართველობას უჭერს მხარს (regulierende intervention¹⁵), როგორც ეს ვენეციის ათთა საბჭოშია და, ბოლოს, ტრიბუნატი შეიძლება ზრუნავდეს ორივეს თანასწორობაზე (Bewahrungdes Gleichgewichts¹⁶), როგორც ეფორები სპარტის სამეფოში.¹⁷

ტრიბუნატი არაა სამოქალაქო საზოგადოების, პოლისის ნაწილი და ის არ უნდა იღებდეს მონაწილეობას არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში. რუსო ტრიბუნატს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მაღლა აყენებს და ამბობს, რომ მისი ძალაუფლება ორივეს ძალაუფლებას აღემატება.¹⁸ იგივეს იმეორებს მოგვიანებით კონსტანტი მეფეზე. რუსოსთან ტრიბუნატი უფრო მეტად „წმინდა და პატივსაცემია, ვიდრე ხელმწიფე და სუვერენი“.¹⁹ კონსტანტისთან კი წმინდა

¹⁰ Jean-Jacques Rousseau. Vom Gesellschaftsvertrag. Stuttgart. 2011. S. 80.

¹¹ Benjamin Constant. Principes de Politique. Paris. 1815. 34.

¹² Jean-Jacques Rousseau. S. 136.

¹³ იქვე.

¹⁴ Florian Weber. S. 270.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.

¹⁷ Jean-Jacques Rousseau. S. 136.

¹⁸ იქვე. S. 137.

¹⁹ Jean-Jacques Rousseau. S. 137.

და ხელშეუხლებელი მხოლოდ მონარქია. რუსოს აზრით, გონივრულად განონას-წორებული ტრიბუნატი „კარგი მმართველობის საუკეთესო საფუძველია“. კონსტანტი კი მხოლოდ მონარქს უწოდებს „გონიერ“ არსებას. რუსოს აზრით, ტრიბუნატი თუ ძლიერია, ის ყველა დაბრკოლებას გადალახავს. სისუსტე მის ბუნებასთან შეუთავსებელია.

რუსო არ გამოირიცხავს ტრიბუნატის ტირანიად გარდაქმნის საშიშროებას, თუ იგი აღმასრულებელი ხელისუფლების შეკავების ნაცვლად მის ხელში ჩაგდებას, ან კანონების დაცვის ნაცვლად, მათ შეცვლას შეეცდება. აუცილებელია ტრიბუნატმა შეინარჩუნოს ზნე-ჩვეულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი, როგორც ეს სპარტაში მოხდა, გადაგვარდება და თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს. კონსტანტისთან კი მონარქი მაღალი მორალური ავტორიტეტია.

2. Jury constitutionnaire როგორც pouvoir neutre (1795 წელი)

რუსოს შემდეგ ერთ-ერთი პირველი, ვინც საუბრობს შტოებს შორის კონფლიქტების არსებობასა და მათი მოწესრიგების მექანიზმებზე, იყო ფრანგი აბბე სიეისი, რომელიც თამამად შეიძლება საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც დოქტრინის ფუძემდებლად მივიჩნიოთ ევროპაში, ვინაიდან მის მიერ 1795 წლის 5 აგვისტოს წარმოდგენილი პროექტი „საკონსტიტუციო ყიურის შესახებ“ არსებითად პირველი მცდელობაა განსაზღვროს საკონსტიტუციო კონტროლის მნიშვნელობა. იგი საუბრობს jury constitutionnaire – ს სტრუქტურასა და მის უფლებამოსილებაზე.²⁰ ასევე, სიეისმა თავისი წინადადება საკონსტიტუციო კონტროლის თაობაზე წარმოადგინა 1799 წლის საკონსტიტუციო რეფორმის დროსაც.²¹ ფრანგულად jury constitutionnaire, ხოლო გერმანულად Verfassungsjury – ს როგორც დოქტრინის რეალური ხორცშესხმა უფრო ადრე ამერიკაში მოხდა, ვიდრე საფრანგეთში. უმაღლესმა სასამართლომ იქ კონსტიტუცია აღიარა როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი („supreme law of the land“) და მოსამართლემ მაშინათვე მოიპოვა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა.²² მოგვიანებით, შვეიცარიის 1848 წლის კონსტიტუციამ საერთო სასამართლოებს საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია მიანიჭა.²³

სიეისი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც ძალაუფლებათა გამიჯვნის მოდიფიცირებას შეეცადა. სახალხო სუვერენიტეტის პრინციპის უპირატესობიდან გამომდინარე, იგი ცნობს ხელისუფლების შემდეგ სამ შტოს: pouvoir constituant, pouvoir constitue და pouvoir constitutionnaire.²⁴ მასთან pouvoir constitue არის დაფუძნებული ხელისუფლება, ხოლო

²⁰ Emmanuel Joseph Sieyes. Was ist der Dritte Stand? Herausgegeben von. Oliver. W. Lembcke und Florian Weber. Schriften zur europäischen Ideengeschichte. Band 3. Berlin. 2010. S. 331.

²¹ Florian Weber. S. 271.

²² Emmanuel Joseph Sieyes. S. 332.

²³ Lothar Gall. Die Rolle des Monarchen im Verfassungsstaat: Constants Lehre vom „pouvoir neutre“. in: Republikanischer Liberalismus: Benjamin Constants Staatsverständnis. Oliver W. Lembcke/Florian Weber (Hrsg). Baden-Baden. 2013.S. 252.

²⁴ Florian Weber. S. 271.

pouvoir constituant დამფუძნებელი ძალაუფლება.²⁵ სიეისის ამ სამწევროვან სისტემას კონსტანტიმ მეოთხე ძალა – pouvoir neutre დაუმატა.

სიეისმა 1795 წლის 5 აგვისტოს ვრცელი მოხსენება წარმოადგინა. იგი ამბობდა: „როდესაც საჯარო მოხელე მისთვის მინდობილ უფლებამოსილებას გადაამეტებს, ან წესდებას უგულვებელყოფს, არღვევს კონსტიტუციას“.²⁶ ეს საკითხები კი საკონსტიტუციო უიურიმ უნდა განიხილოს. სიეისი jury constitutionnaire-ის იზოლირებულ (isolierter Institution) ინსტიტუტს უწოდებს.²⁷

მან მოხსენებას 17 მუხლიანი საკონსტიტუციო კანონის პროექტი დაურთო,²⁸ რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის სისტემას და მის უფლებამოსილებას განსაზღვრავდა. პროექტის პირველი მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო უიური წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, როგორც კონსტიტუციის დამცველი²⁹ ორგანო. სიეისი პროექტში განსაზღვრავს მისი არჩევის წესს. მე-6 მუხლის მიხედვით, საკონსტიტუციო უიურის უფლებამოსილება უნდა ყოფილიყო საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება. უიურის ბათილად უნდა გამოეცხადებინა ის აქტები, რომლებიც მიღებული იყო სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების მიერ: ძველი საბჭო, ხუთასთა საბჭო, საარჩევნო ყრილობები, ან საკასაციო სასამართლო. გარდა ამისა, საკონსტიტუციო უიურის უნდა ემსჯელა უმცირესობის მიერ წარდგენილ საჩივრებზე უმრავლესობის მიმართ, რომლებიც აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოებში მოღვაწეობდნენ და ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღო. პროექტის მე-7 მუხლის თანახმად, საკონსტიტუციო უიურის გადაწყვეტილებები წარმოდგენდნენ როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებებს (Urteil). პროექტში ყურადღებას იპყრობს მე-9 მუხლი, რომლის თანახმად, უიურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სამართლებრივი აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, მიღებისთანავე ძალაშია და იმთავითვე იწვევს აქტის ბათილად გამოცხადებას. საკონსტიტუციო უიურის უფლებამოსილებაში, ასევე კონსტიტუციის შემდგომი სრულყოფის თაობაზე წინადადებების წარდგენაც შედიოდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უიურის საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტილება არ უნდა მიეღო.

სიეისის დოქტრინის მცირედი ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის დოქტრინა ფრანგებისაა. ამერიკელებმა ამ მოდელის როგორც იდეის მატერიალიზებას შეუწყვეს ხელი. სიეისმა არამხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის კონცეპტს ჩაუყარა საფუძველი, არამედ საკონსტიტუციო მართლმსაჯულების მოდელი ჩამოაყალიბა. სიეისთან იდეის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობასთან გვაქვს საქმე, რომლის მხოლოდ ხორცშესხმა იყო საჭირო.

²⁵ იულიუს ჰაჩეკი. თანამედროვე დემოკრატიის უფლება. თბილისი. 2016.

²⁶ Emmanuel Joseph Sieyès. S. 334.

²⁷ იქვე. S. 333.

²⁸ Über die Verfassungsjury.

²⁹ გერმანულად: Hüter der Verfassung. ფრანგულად: gardien constitutionnaire.

3. მონარქი როგორც *pouvoir neutre* (1815 წელი)

ა) კონსტანტის ცხოვრება და შემოქმედებითი საქმიანობა

ბენჟამინ კონსტანტი დაიბადა 1767 წელს დასავლეთ შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში. ის აქტიურ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მისმა პრომეხმა წარუშლელი კვალი დატოვეს ევროპული პოლიტიკური კულტურის ისტორიაში. ისინი თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლისა და პოლიტიკური მეცნიერების პრობლემებს ეხება. წარმოუდგენელია მოდერნისტული ევროპული პოლიტიკური აზროვნება კონსტანტის გარეშე. მისი პოლიტიკური თეორიის ცენტრალური თემა ინდივიდის თავისუფლებაა. 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ კონსტანტი მხარს უჭერდა საფრანგეთის მეფეს ლუი ფილიპეს (Louis-Philippe). კონსტანტი 1830 წლის 9 დეკემბერს გარდაიცვალა. დაკრძალულია პარიზში.³⁰

მისი მრავალრიცხოვანი პრომეხებიდან ყველაზე მეტად ცნობილია „Principes de politique“³¹, რომელიც 1806 წელს დაწერა და 1815 წელს გამოსცა ფრანგულ ენაზე. იგი დღემდე წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერებისა და ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ უმთავრეს იდეურ წყაროს. იგი *pouvoir neutre* - ის მოდერნისტულ საკითხს ეხება მე-II თავში: „სამეფო ხელისუფლების ბუნება კონსტიტუციურ მონარქიაში“.³² აღსანიშნავია, რომ წიგნის ეს უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი ქართულ ენაზე დედნიდან პირველად ითარგმნა და ქვეყნდება ამ კრებულში. მნიშვნელოვანია კონსტანტის კონცეფცია, როგორც მეოთხე ხელისუფალის, ისე ზოგადად ძალაუფლებათა გამიჯვნის პრინციპის რეალიზაციის თაობაზე.

კონსტიტუციური მონარქია, რომლის მთავარ იდეოლოგიად სწორედ ბენჟამინ კონსტანტი მიიჩნევა, წარმოიშვა მე-19 საუკუნეში.³³ ტერმინი „კონსტიტუციური მონარქია“ - „monarchie constitutionnelle“ - პირველად სწორედ მან გამოიყენა თავის შრომაში „Principes de politiques“ - ში³⁴. მისთვის სახელმწიფო მმართველობის ფორმებიდან საუკეთესოა კონსტიტუციური მონარქია, ვინაიდან, მხოლოდ კონსტიტუციური მონარქიის პირობებშია სამართლიანობა შენარჩუნებული.³⁵

ამ ნაშრომში იგი პოლიტიკური სისტემის საკვანძო საკითხებს ეხება. კონსტანტი სახალხო სუვერენიტეტის იდეის მომხრეა. მისი აზრით, წარმომადგენლების ლეგიტიმაცია საარჩევნო სისტემას უნდა ეფუძნებოდეს და ყველა მოქალაქის ინტერესებს წარმოადგენდეს.

³⁰ Handbuch der Politischen Philosophie und Sozialphilosophie. Herausgegeben Stefan Gosepath, Wilfried Hinsch und Beate Rössel. Band 1. A-M. 2008. S. 195.

³¹ წიგნის სრული სათაურია: „Principes de politique applicables à tous les gouvernements représentatifs“.

³² „De la nature du pouvoir royal dans une monarchie constitutionnelle“.

³³ Tobias Friske, Staatsform Monarchie. Was unterscheidet eine Monarchie heute noch von einer Republik? 2007. S. 46.

³⁴ Monarchie: in: Geschichtliche Grundbegriffe. Historisches Lexikon zur politisch-sozialen Sprache in Deutschland. Herausgegeben von Otto Brunner, Werner Conze und Reinhard Koselleck. Band 4. 1978. S. 192.

³⁵ Benjamin Constant. Principes de politique. Paris. 1815. გვ. 41.

მოსამართლის თანამდებობაზე პირის უვადოდ დანიშვნის კონსტიტუციურ დანაწესში უფრო მეტი სიცხადისა და ხარისხის შეტანას დაუჭირა მხარი ევროპის კომისიამ დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), როდესაც აღნიშნულ კონსტიტუციური კანონის პროექტზე დასკვნაში აღნიშნა, რომ „მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნა მისაღებია, თუმცა ვენეციის კომისია ეთანხმება მოსამართლეების თანამდებობაზე დარჩენას საპენსიო ასაკამდე. ვენეციის კომისიამ ნათლად განაცხადა, რომ გამოსაცდელი ვადების განსაზღვრამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსამართლეების

⁴¹ საქართველოს კონსტიტუცია, 2010 წლის 15 ოქტომბრის ცვლილების საფუძველზე მოქმედი რედაქცია, მუხ. 86-ე, პუნქტი მე-2.

დამოუკიდებლობას, ვინაიდან ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ წნეხის ქვეშ, მიიღონ გადაწყვეტილებები განსაკუთრებული გზით“.⁴²

მოსამართლის თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით დანიშვნის სამართლებრივი მექანიზმი კრიტიკის საგანია დიდი სამართლებრივი გამოცდილებისა და მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ასეთი მექანიზმი არსებობს. „გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლეები არ არიან პერსონალურად დამოუკიდებელი. გერმანიის სისტემა არ არის კრიტიკის გარეშე. მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ასეთი ვადით დანიშნული მოსამართლეები არ არიან ჭეშმარიტად დამოუკიდებელი“- აღნიშნავს პროფესორი პატრიკ ტერი თავის სტატიაში.⁴³

საქართველოს კონსტიტუციაში, 2018 წლის 23 მარტის კონსტიტუციური კანონით განხორციელებული მასშტაბური ცვლილების შედეგად, გათვალისწინებული იქნა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია და ერთი მხრივ, გაუქმებული იქნა მოსამართლის გამოსაცდელი ვადა, ხოლო მეორე მხრივ, უვადოდ თანამდებობაზე განწესების კონსტიტუციური პირობა, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართ განხორციელდა.⁴⁴ შესაბამისად, მოსამართლის უვადოდ თანამდებობაზე განწესების შინაარსის თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ხარისხი, თუმცა აღნიშნული ცვლილების ამოქმედება კონსტიტუციამ, სამუხაროდ, 2025 წელს დაუკავშირა.

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა კონსტიტუციამ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების საკითხში; კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატურას, ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტისა, საქართველოს პარლამენტს, უვადოდ ასარჩევად წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.⁴⁵

ამრიგად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების საკითხში გაიზარდა სასამართლო ხელისუფლების როლი და კანდიდატურების შერჩევის ნაწილი განიტვირთა პოლიტიკური მოტივებისაგან, თუმცა მოსამართლეთა საბოლოოდ არჩევის საკითხში ცენტრალური პოლიტიკური ინსტიტუტის – პარლამენტის გადამწყვეტი როლი, ნოყიერ ნიადაგს ქმნის პოლიტიკური ხელისუფლების გავლენით აღნიშნული

⁴² ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება „საქართველოს კონსტიტუციაში შეწორების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტზე, სტრასბურგი 2010, გვ. 16-17.

⁴³ Patrick C. R. Terry, “Judicial Independence in Germany”, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, თბ. 2015, გვ. 35.

⁴⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის 23 მარტის ცვლილების საფუძველზე მოქმედი რედაქცია, მუხ. 61-ე, პუნქტი მე-2.

⁴⁵ იქვე, პუნქტი მე-3.

გადაწყვეტილების მისაღებად, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც განხორციელებული კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, საქართველოში სახელმწიფო მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკა განისაზღვრა.

სწორედ აღნიშნული მოტივაციით ვენეციის კომისიამ, ჯერ კიდევ კონსტიტუციური კანონის პროექტთან დაკავშირებით, თავის რეკომენდაციებში აღნიშნა, რომ „მოსამართლეთა, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გამწესებისას, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა ჰქონდეს განმსაზღვრელი გავლენა. მოსამართლეთა დანიშვნა არ უნდა იყოს საპარლამენტო კენჭისყრით გადასაწყვეტი, ვინაიდან არ შეიძლება გამოირიცხოს საფრთხე, რომ პოლიტიკური მოსაზრებები გადაწონის კანდიდატის ობიექტურად ღირებულ მხარეებს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი გავლენა მოსამართლეთა გამწესებასა და დანიშნულებაზე და მათ მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარებაზე“.⁴⁶

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ კლასიკურ საპარლამენტო სახელმწიფო მმართველობის ფორმის მქონე ქვეყანაშიც კი, როგორც გერმანია, მოსამართლეთა თანამდებობაზე არჩევაში პირდაპირ არ მონაწილეობს ფედერაციის საკანონმდებლო ორგანო (ბუნდესტაგი). გერმანიის ფედერაციულ მოსამართლეთა თანამდებობაზე არჩევს სპეციალური კომიტეტი, რომლის 16 წევრს წარმოადგენენ მიწების (ფედერაციის სუბიექტების) მინისტრები და 16 წევრს შეადგენენ ბუნდესტაგის მიერ არჩეული წევრები, ხოლო შერჩევის შემდგომ კანდიდატები დასანიშნად წარედგინება გერმანიის ფედერაციის პრეზიდენტს, რომელიც ფორმალურად ნიშნავს მათ თანამდებობაზე, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანო პირდაპირ არ მონაწილეობს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესებაში, მოსამართლეთა შერჩევის აღნიშნული წესი კრიტიკის საგანს წარმოადგენდა გერმანიაში იმის გამო, რომ იგი შეცავს რისკებს პროცესის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოქცევის თვალსაზრისით.⁴⁷

2018 წლის 23 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად საქართველოს კონსტიტუციაში განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების, საბჭოს მიერ მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების წესი, ასევე მოსამართლეთა თანამდებობაზე შერჩევის კრიტერიუმები, კერძოდ, კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით და მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შემადგენლობა განისაზღვრა 15 წევრით, რომელთაგან ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული მოსამართლე წევრები, საქართველოს პრეზიდენტის

⁴⁶ ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება „საქართველოს კონსტიტუციაში შეწორების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტზე, სტრასბურგი, 2017, გვ. 23.

⁴⁷ იხ. თუნდაც, Paul Bovend'Eert, Article „Recruitment and appointment of judges and justice in Europe and the US“, 2018, P. 2.

მიერ არჩეული წევრი და საქართველოს პარლამენტის მიერ, არანაკლებ სრულის შემადგენლობის სამი მეხუდეთით, არჩეული წევრები.⁴⁸

უდავოდ პოზიტიურია კონსტიტუციით მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების, მოსამართლეთა განწესებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირების წესის დადგენა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, კონსტიტუციამ ვერ უზრუნველყო მყარი სამართლებრივი გარანტიები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებზე საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკური გავლენის გამოსარიცხად, რამდენადაც მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია პარლამენტის ან პრეზიდენტის მიერ არჩეული წევრის მხარდაჭერაც, რომელსაც, როგორც აღინიშნა, პარლამენტი სამი მეხუდეთის უმრავლესობით ირჩევს, ხოლო ასეთი უმრავლესობის კონსოლიდაცია, ძირითად შემთხვევაში, შესაძლებელია ერთი პოლიტიკური ძალის – საპარლამენტო უმრავლესობის მიერ. შესაბამისად, არსებობს იმის რეალური რისკი, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საპარლამენტო უმრავლესობის გავლენა განხორციელდეს. ამასთან, კონსტიტუციის აღნიშნულმა დანაწესმა არ გამოორიქხა პარლამენტის მიერ უშუალოდ პარლამენტის წევრთა არჩევის შესაძლებლობა. შესაბამისად, სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის მიზანშეწონილია პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევა, კონსტიტუციის საფუძველზე, უფრო ფართო კონსენსუსით, კონსტიტუციით განსაზღვრული საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზაციების შემადგენლობიდან ან უმჯობესია იმავე ორგანიზაციების შემადგენლობიდან პარლამენტის ჩარევის გარეშე განხორციელდეს, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების მიმართ, სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების და საზოგადოებრივი ჩართულობის გაძლიერებას.⁴⁹

კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით აიკრძალა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება სასამართლოს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საფუძველით, რაც მნიშვნელოვანი გარანტიაა მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რადგან შეუძლებელი გახდა პოლიტიკური და სამართლებრივი მანიპულაციის საფუძველზე მოსამართლის თანამდებობიდან ჩამოცილება.⁵⁰

⁴⁸ საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის 23 მარტის ცვლილების საფუძველზე მოქმედი რედაქცია, მუხ. 63-ე, პუნქტი მე-6 და მუხ.64-ე, პუნქტი მე-2.

⁴⁹ საფრანგეთის მაგისტრატურის საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც მოსამართლეთა კანდიდატურებს დასანიშნად წარადგენს, პარლამენტის ორივე პალატის მიერ დანიშნულ წევრებთან ერთად შედიან ადვოკატთა ასოციაციის მიერ დანიშნული წევრი და საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს მიერ დანიშნული ერთი წევრი.

⁵⁰ საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის 23 მარტის ცვლილების საფუძველზე მოქმედი რედაქცია, მუხ. 63-ე, პუნქტი მე-5.

მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მისთვის, დიციპლინური სამართალწარმოების გზით, უფლებამოსილების შეწყვეტის ძირითადი პრინციპებისა და ამ საკითხზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მხოლოდ ფართო კონსენსუსის საფუძველზე მიღების შესახებ დანაწესის კონსტიტუციით დადგენა, რაც საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში გათვალისწინებული საერთოდ არ არის. შესაბამისად, აღნიშნული საკითხის კონსტიტუციით მონესრიგება ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციით ასევე არ არის გარანტირებული მოსამართლის ადეკვატური ხელფასის კანონით განსაზღვრისა და განსაზღვრული ხელფასის შემცირების აკრძალვის შესახებ, რაც ასევე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური და მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობის განვითარებისათვის.

რეზიუმე

ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური განვითარება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე იდგა, რაც განპირობებული იყო როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გარემოებებით.

ობიექტური გარემოებები, რაც საქართველოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მყარი კონსტიტუციური გარანტიების შექმნასა და განვითარებას აბრკოლებდა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხანგრძლივად დაკარგვა და საქართველოში კომუნისტური, ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრება იყო, რამაც მნიშვნელოვანი უარყოფითი მენტალური კვალი დატოვა, ასევე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოში კონსტიტუციური ინსტიტუტების მშენებლობის პროცესზე, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრასა და მის ფუნქციონირებაზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობისა და საქართველოს პირველი – 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ფუნქციონირების პირობებში სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა გაცილებით ადრე განვითარდებოდა და დღეისათვის მისი ხარისხი ბევრად მაღალ ნიშნულზე იქნებოდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საქართველოში კონსტიტუციური ინსტიტუტების მშენებლობის პროცესზე კომუნისტური ავტორიტარული რეჟიმის უარყოფითი მენტალური კვალი უპირველ ყოვლისა, გამოვლინდა საქართველოში სხვადასხვა სოციალურსა და პოლიტიკურ ჯგუფებში სამართლებრივი კულტურის მნიშვნელოვანი ნაკლებობით – პატივი ეცათ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის და ამ სულისკვეთებით განეხორციელებინათ,

მათ შორის სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის.

„ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემის სამართლებრივი კულტურის განვითარება“ – მიუთითებენ ევროპელი მკვლევარები.⁵¹

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით, თავდაპირველად განსაზღვრული და მოგვიანებით შეცვლილი სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები და მათი თანამედროვე, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები ვერ უზრუნველყოფდა სასამართლო ხელისუფლების რეალურ დამოუკიდებლობას, რადგან შესაბამისი ნორმები მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის იყო, კონსტიტუციურად არ იყო გარანტირებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი მთელი რიგი ნორმები და რაც მთავარია, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემასთან დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი კულტურის ნაკლებობა ხელს არ უწყობდა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაში, 2006 წლიდან, ეტაპობრივად განხორციელდა ცვლილებები, რომლებმაც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრეს, კერძოდ 2006 წელს განისაზღვრა სასამართლო ხელისუფლების მოსამართლეთა უმრავლესობით ფორმირებული ორგანო – იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 2010 წელს განისაზღვრა მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ განწესების პირობა, 2017 წელს, უვადოდ განწესების პირობა გავრცელდა, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე, დადგინდა მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი, ასევე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა უფლებამოსილება უზენაესი სასამართლოს მომსამართლეთა კანდიდატურების წარდგენასთან დაკავშირებით და აიკრძალა მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა სასამართლოს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გამო, რაც ცალსახად ძალიან დიდ მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განვითარების გზაზე.

ამასთან, გამონწვევად რჩება მთელი რიგი საკითხები, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის სრულყოფისათვის კონსტიტუციურად უნდა განისაზღვროს, რათა საქართველოში არსებული სამართლებრივი კულტურის განვითარების კვალდა-

⁵¹ ib. Paul Bovend'Eert, Article „Recruitment and appointment of judges and justice in Europe and the US“, 2018, P. 5.

კვალ კონსტიტუციურმა ნორმებმა სისტემურად უზრუნველყონ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, ხოლო ასეთი გამოწვევები შეეხება პარლამენტის როლის შემცირებას ან, უმჯობესია, საერთოდ გაუქმებას სასამართლო ხელისუფლების ნებისმიერი ინსტანციის ფორმირების საკითხში, გამოსაცდელი ვადის გადაუდებლად გაუქმებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში და გადანაცვეტილებების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდას, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპების გასაზღვრას და მასზე ფართე ჩართულობით გადანაცვეტილების მიღების წესს, მოსამართლეთათვის განსაზღვრული ხელფასის შემცირების აკრძალვას.

Constitutional Bases of the Judiciary in Georgia

David Tsereteli

Resume

In the history of Georgian constitutionalism, the constitutional development of the judiciary has faced serious challenges conditioned by both objective and subjective circumstances. The objective circumstances which impeded the establishment and development of sustainable guarantees of independence of the Georgian judiciary were the long-lasting loss of institutional independence of Georgia and the establishment of a communist, authoritarian political regime that left an important negative mental mark, even after the restoration of the institutional independence of Georgia, on the process of creating constitutional institutes, as well as on the determination of constitutional bases of the judiciary and its functionality. Under conditions of existing institutional independence of Georgia and the functioning of the first constitution of 21 February 1921, if the independence of the judiciary would have developed earlier, then its quality today would have been at a much higher level. After the restoration of independence for quite a long period, the negative mental mark of the communist authoritarian regime on the process of creating constitutional institutions in Georgia, first of all, manifested itself in a significant lack of legal culture in various social and political groups in Georgia – to respect the independence of the judiciary and, inter alia, to exercise defining the constitutional bases of the judiciary with this aspiration, which is crucial to ensure the independence of the judiciary. “The most important thing is to develop a legal culture of respect for the independence of the judiciary”, say European researchers⁵². After the restoration of institutional independence, the constitutional and legal bases of the judiciary laid down in the beginning in the Constitution of Georgia of 24 August 1995, which was amended later, and the relevant modern legal norms failed to ensure real independence of the judiciary, since the relevant norms were only declared, the whole range of norms necessary for the independence of the judiciary was not constitutionally guaranteed, and, more importantly, the lack of a proper legal culture to respect the independence of the judiciary did not contribute to the strengthening and development of the independence of the judiciary.

It's worth noting that since 2006 the constitution of Georgia of 24 August 1995 was gradually amended, which enshrined the constitutional norms necessary for the independence of the judiciary.

⁵² Ref. also, Paul Bovend'Eert, Article „Recruitment and appointment of judges and justice in Europe and the US“, 2018, P.5;

In particular, in 2006 an authority – the Supreme Council of Justice was created by the majority of judges of the judiciary, in 2010 the permanent appointment of judges was determined, in 2017, the condition of permanent appointment, as well as the criteria for the selection of judges and the rules for making decisions on the appointment of the judges by the Supreme Council of Justice were also applied to the judges of the Supreme Court. In addition, the Supreme Council of Justice was empowered with respect to the nomination of judges of the Supreme Court, and the termination of the powers of a judge in connection with the reorganization or liquidation of the court was prohibited, which undoubtedly was a huge achievement in the history of Georgian constitutionalism towards the development of the independence of the judiciary. However, there are still a number of complex issues that should be constitutionally determined to improve the independence of the judiciary, so that constitutional norms along with the development of a legal culture in Georgia provide systematic support for the independence of the judiciary, while such problems are associated with a decrease or even the elimination of the role of parliament in the formation of any instance of the judiciary, the immediate abolition of the probationary period, and the expansion of the participation of society in the formation of the Supreme Council of Justice and decision-making, determination of the basic principles of the disciplinary responsibility of judges and the rules for decision-making with wide participation, as well as with a ban on the reduction of wages established for judges.

გამოყენებული ლიტერატურა

- ავთანდილ დემეტრაშვილი, ირაკლი კობახიძე, „კონსტიტუციური სამართალი“. თბ. 2011.
- გიორგი ჰაპუაშვილი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია“.
- მალხაზ მაცაბერიძე, „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია“. თბ. 1996.
- იაკობ ფუტკარაძე, „სასამართლო ხელისუფლება საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით“, სტატიათა კრებული „ქართული კონსტიტუციონალიზმის სათავეებთან – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90 წლისთავი“, ბათუმი. 2011.
- შარლ ლუი მონტესკიე, „კანონთა გონი“. თბ. 1994;
- ანდრამ შაიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი“. თბ. 2003.
- ჰერმან შვარცი, „კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში“. თბ. 2003.
- ვოლფგანგ გაული, „კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში“. თბ. 2002.
- Alfred H. Kelly, Winfred A. Harbison and Herman Belz, “The American Constitution its Origins and Development”. New York-London. 1991.
- Craig R, Ducat, Harold W. Chase, “Constitutional Interpretation”. New York-Los Angeles-Francisco.
- Paul Bovend’Eert, Article „Recruitment and appointment of judges and justice in Europe and the US“. 2018.
- Patrick C. R. Terry, “Judicial Independence in Germany”, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“. თბ. 2015.
- ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმება.

- ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება „საქართველოს კონსტიტუციაში შეწორების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტზე. სტრასბურგი 2010.
- ევროპის კომისია დემოკრატიისათვის კანონის გზით (ვენეციის კომისია), მოსაზრება „საქართველოს კონსტიტუციაში შეწორების შეტანის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის პროექტზე. სტრასბურგი 2017.
- ევროპის საბჭოს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა #10, 2007 წელი, მიღებული CCJE-ს მე-8 სხდომაზე;

ნორმატიული მასალა

- საქართველოს 1918 წლის 26 მაისის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი.
- საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.
- საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია.
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1922 წლის 2 მარტის კონსტიტუცია.
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1927 წლის 4 აპრილის კონსტიტუცია.
- „მოსამართლეთა სტატუტის შესახებ“ ევროპული ქარტია, მიღებული ევროპის საბჭოს მიერ 1998 წლის 10 ივლისს.
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის საქართველოს ორგანული კანონი.
- აშშ-ს 1787 წლის კონსტიტუცია.

ორპალატიანი პარლამენტის იდეა საქართველოს კონსტიტუციაში

ზურაბ მაჭარაძე

1. შესავალი. 2. პარლამენტის სტრუქტურა პირველ რესპუბლიკაში. 3. ორპალატიანი პარლამენტის იდეა 1993-95 წლების საკონსტიტუციო კომისიაში. 4. ორპალატიანი პარლამენტის უცვლელი ნება საქართველოს კონსტიტუციაში. 5. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში შეცვლილი რედაქცია. 6. ორპალატიანი პარლამენტის შექმნის წინაპირობები. 7. პალატების ფორმირების საკონსტიტუციო საფუძვლები. 8. პალატების უფლებამოსილებები. დასკვნა. რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული პირობის შექმნამდე საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია და იგი შედგება პარლამენტის 150 წევრისგან.¹ პარლამენტის ორ პალატად ჩამოყალიბების ნება ქვეყნის ძირითადი კანონის თავდაპირველი რედაქციით განისაზღვრა და, მიუხედავად არაერთი საკონსტიტუციო რეფორმისა, დღემდე ქართველი კანონმდებლის უცვლელი არჩევანია.

უმალლესი წარმომადგენლობითი ორგანო ორპალატიან სტრუქტურად გარდაქმნის ნება არც 2017-2018 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში შეიცვალა. თუმცა კი, შეიცვალა პირობა, რომლის საფუძველზეც უნდა ჩამოყალიბდეს ბიკამერალური პარლამენტი.

ორპალატიანი პარლამენტის იდეას ქართულ რეალობაში ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგენი და თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი არგუმენტები. ავტორთა კიდევ ერთი ნაწილი იდეას მხარს უჭერს, თუმცა გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში.

ქართულ სამართლებრივსა თუ პოლიტიკურ სივრცეში საკითხის ირგვლივ კამათი არაერთ ათეულ წელს ითვლის. ამ მხრივ არც 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა აღმოჩნდა გამონაკლისი. საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში დღის წესრიგში დადგა ბიკამერალურ სისტემაზე გადასვლის საკითხი,² თუმცა, მოცემულ ეტაპზეც წინადადება საკონსტიტუციო კომისიის უმრავლესობის მიერ არ იქნა გაზიარებული.

¹ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

² იხ., <https://itv.ge/analytics/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D->

რა თქმა უნდა, ორპალატიანი პარლამენტი, თავისი შინაარსით, სცდება ოდენ პარლამენტის სტრუქტურული ორგანიზაციის საკითხს და კონსტიტუციურ-სამართლებრივი თუ პოლიტიკური საკითხების მთელ სპექტრთან არის დაკავშირებული.

სტატიის ფარგლებში განიხილება საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის თაობაზე არსებული სამართლებრივი მოწესრიგება, ქვეყნის ძირითად კანონში არსებული ჩანაწერი და ქართველი კანონმდებლის ნება - თუ როდის და რა პირობების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ან/და მიზანშეწონილი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ბიკამერალური სტრუქტურით ჩამოყალიბება. სტატიაში განიხილება ასევე ორპალატიანი პარლამენტის თაობაზე საქართველოში არსებული მოსაზრებები, პოზიციები და მოტივაცია, ისტორიული საწყისები და, საკონსტიტუციო ცვლილებების კვალდაკვალ, ქართველი კანონმდებლის უცვლელი ნება და კონსტიტუციის ნორმის შეცვლილი რედაქცია.

2. პარლამენტის სტრუქტურა პირველ რესპუბლიკაში

1921 წლის 21 თებერვალს, დამოუკიდებლობის დაკარგვამდე რამდენიმე დღით ადრე, ქართველი კანონმდებლის მიერ მიღებული პირველი კონსტიტუცია თამამად შეიძლება განხილულ იქნეს მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიოს ერთ-ერთ მონინავე, სრულყოფილ და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ უზენაეს საკანონმდებლო აქტად, რომელშიც ასახულია იმდროინდელი დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლადგაბატონებული, ასევე, ჯერ კიდევ თეორიაში არსებული, პრაქტიკაში განუხორციელებელი ყველაზე პროგრესული, სამართლებრივ-პოლიტიკური მოსაზრებები და მიმდინარეობები.³

ქართულ კონსტიტუციონალიზმში ოდიდგანვე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა ორპალატიანი პარლამენტის საკითხი.⁴ მონოკამერალური მოწყობა არც პირველი კონსტიტუციის მიღებისას იყო ერთხმად გაზიარებული მოდელი და არაერთი ავტორი მხარს უჭერდა ბიკამერალური პარლამენტის იდეას. თუმცა, როგორც ცნობილია, არ იქნა გაზიარებული იმ დროს მსოფლიოს საკონსტიტუციო პრაქტიკაში საკმაოდ ფართოდ აპრობირებული ორპალატიანი პარლამენტის იდეა და კონსტიტუციის 46-ე მუხლის თანახმად, პარლამენტი ერთპალატიანი სტრუქტურით ჩამოყალიბდა.

[%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91/](#) [12.04.2018].

³ გ. პაპუაშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია, ბათუმი, 2011, გვ. 6.

⁴ ნ. ჭილაძე. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 259.

ორპალატიანი პარლამენტის მომხრეები ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიები იყვნენ. საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 28 თებერვლის სხდომაზე სპირიდონ კედიამ შესთავაზა კომისიის წევრებს, რომ დაეწყოთ პარლამენტის სტრუქტურაზე მსჯელობა, კერძოდ, ორპალატიანი უნდა ყოფილიყო ის თუ ერთპალატიანი. მან მოახსენა კომისიას, რომ ევროპაში ყველგან ორპალატიანი სისტემა ფუნქციონირებდა და ამ მოვლენას ჰქონდა გონივრული საფუძველი. ავტორის მოსაზრებით, საქართველოში კანონების შემუშავება-მიღება ნაჩქარევად ხდებოდა, ღრმა აზროვნების ნამუშევარი არ ჩანდა და არც განმარტებითი მოხსენებები იყო წარმოდგენილი. კედია მიიჩნევდა, რომ საქართველოს პარლამენტში კანონების მიღება იყო გაადვილებული, გამარტივებული და ორპალატიანი კანონმდებლობა კი უზრუნველყოფდა კანონის რამდენჯერმე განხილვას სხვადასხვა თვალსაზრისით. სპირიდონ კედიას აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამ კითხვისთვის ტემპერამენტს. „- ახლა კანონი იკითხება ერთხელ, - მაგრამ სამჯერაც რომ წაიკითხოს, მაინც შედეგი ერთი იქნება, რადგანაც ერთი ტემპერამენტის ხალხი ისმენს და მსჯელობს. მეორე პალატა რომ იყოს, მაშინ იქნება უფრო სხვა ტემპერამენტის ხალხი, სხვა სისტემით არჩეული, რომელნიც სხვა თვალთ გასინჯავენ კანონს, უფრო შეატყობენ ნაკლს. დემოკრატიული წესების მიხედვით, რომელიც შემოღებულია საქართველოში, შეიძლებოდა ერობის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ მეორე პალატაში“.⁵

რაც შეეხება ერთპალატიანი პარლამენტის მომხრეებს, მათ რამდენიმე არგუმენტი გააჩნდათ. მათ შორის უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს უკვე ჰქონდა კარგი და ნაყოფიერი გამოცდილება ერთპალატიანი პარლამენტის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე საკმაო გავლენა იქონია ინგლისისა და ბელგიის მაგალითებმა.⁶ იმავდროულად, პროექტის ავტორები ზედა პალატაში ხედავდნენ სენატის „ერობების პოლიტიკურ დაწესებულებებად გადაქცევას,“ რაც „ქვეყანას მხოლოდ ზიანს მოუტანდა“.⁷ უმრავლესობის აზრით, საქართველოში, რომელიც არ წარმოადგენდა ფედერაციულ რესპუბლიკას, აბსოლუტურად იდენტური წესით დაკომპლექტებული და მსგავსი უფლებამოსილებებით აღჭურვილი ზედა პალატა გამოიწვევდა საქმის დუბლირებას, გართულებებსა და პროცესების გაჭიანურებას.⁸ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორპალატიანი პარლამენტის მოწინააღმდეგენიც კი აცხადებდნენ და აღიარებდნენ, რომ „ზედა პალატის დანიშნულებაა, რომ კანონები იყოს „მეტი გამოცდილების ნაყოფი“.⁹

⁵ იხ., სეა; ფონდი 1836; აღწ. 1; საქმე 46; ფურც 14; ციტ., ბექა ქანთარია სადისერტაციო ნაშრომიდან, მმართველობის ფორმის დასავლური სისტემების გავლენა საქართველოს პირველ კონსტიტუციაზე, 232, იხ., http://www.law.tsu.edu.ge/files/beqa_qantaria_Disertacia.pdf, [12.04.2018].

⁶ იხ., ბექა ქანთარია სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: მმართველობის ფორმის დასავლური სისტემების გავლენა საქართველოს პირველ კონსტიტუციაზე, 233-236.

⁷ სეა; ფონდი 1836; აღწ. 1; საქმე 46; ფურც., 13; ციტ., ბექა ქანთარია სადისერტაციო ნაშრომიდან, მმართველობის ფორმის დასავლური სისტემების გავლენა საქართველოს პირველ კონსტიტუციაზე, 232.

⁸ იხ., ქანთარია ბ., პარლამენტი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, მეხუთე გამოცემა, ბათუმი 2011, 151-163.

⁹ იხ., ბექა ქანთარია სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: მმართველობის ფორმის დასავლური სისტემების გავლენა საქართველოს პირველ კონსტიტუციაზე, 232.

3. ორპალატიანი პარლამენტის იდეა 1993-95 წლების საკონსტიტუციო კომისიაში

„დიდი წინააღმდეგობა შეხვდა დებულებას საკანონმდებლო ხელისუფლების ორ პალატად - პარლამენტად (ქვედა პალატა) და სენატად (ზედა პალატა) ჩამოყალიბების შესახებ. ასევე საკამათო ტერიტორიული მოწყობის საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამ თემასთან. შემთანხმებელ კომისიაში დისკუსიების შემდეგ, 1995 წლის 30 ივლისს, შევარდნაძემ შესთავაზა კომისიის წევრებს, რომ პარლამენტში ფორმალურად ყოფილიყო ორი პალატა, მაგრამ სენატის არჩევამდე ქვედა პალატას (ანუ პარლამენტს) ემოქმედა როგორც ერთადერთ ლეგიტიმურ საკანონმდებლო ორგანოს. ამ კომპრომისით იგი, უპირველეს ყოვლისა, დაეთანხმა ტრადიციონალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიულ მოთხოვნებს. იმავდროულად, შევარდნაძე ამით დაშორდა იდეას, რომ ტერიტორიული მოწყობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილიყო არჩევნებამდე“.¹⁰

1993-95 წლებში საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში არაერთი პროექტი იყო წარმოდგენილი.¹¹ კონსტიტუციის პროექტებში პარლამენტი სხვადასხვა კონცეფციის საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული. ზოგიერთი პროექტი ითვალისწინებდა ერთპალატიან პარლამენტს, სხვები - ორპალატიანს.¹² ასე მაგალითად, ორპალატიან პარლამენტს ითვალისწინებდა ე.წ. რესპუბლიკელების პროექტი,¹³ რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტი შედგებოდა ორი პალატისგან: რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისგან.¹⁴ თავის მხრივ, ეროვნული საბჭო შედგებოდა ... პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისგან.¹⁵ ხოლო სენატი განსაზღვრული იყო როგორც მხარეების წარმომადგენელთა პალატა. მისი არჩევნები ტარდებოდა მხარეებში. თითოეულ სამხარეო საარჩევნო ოლქში ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით ფარული კენჭისყრით უნდა არჩეულიყო ექვსი სენატორი. იმ სამხარეო საარჩევნო ოლქებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა ასე ათასზე ნაკლები იყო, უნდა არჩეულიყო სამ-სამი სენატორი. სენატორები უნდა არჩეულიყვნენ შესაბამის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მოქმედი ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრთა და ამ ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრებ სამხარეო საბჭოს ხმოსანთა მიერ.

¹⁰ ვ. ბაბუკი. კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, 2002, 93.

¹¹ ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი, თბილისი 2011, 62-63.

¹² ვ. ბაბუკი. კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში, 2002, 109.

¹³ აღნიშნული პროექტი მომზადდა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის ინიციატივით და მისი განხილვის შემდეგ ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით წარედგინა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას 1994 წლის 19 იანვარს.

¹⁴ იხ., საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 46-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁵ იხ., საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 58-ე მუხლის პირველი პუნქტი.

განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის მქონე მხარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო დამატებით ირჩევიდა სამ სენატორს.¹⁶

საბოლოოდ, კონსტიტუციის მიღებისას, როგორც აღინიშნა, ერთი მხრივ, არ იქნა უარყოფილი ორპალატიანი პარლამენტის იდეა და, მეორე მხრივ, განისაზღვრა, რომ შესაბამისი პირობების დადგომამდე იმოქმედებდა ერთპალატიანი პარლამენტი. შედეგად, პარლამენტმა კენჭი უყარა ერთგვარ შუალედურ ვარიანტს და დღემდე საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა ერთგვარი „გარდამავალი“ ხასიათის მქონე ნორმით განაგრძობს ფუნქციონირებას.

4. ორპალატიანი პარლამენტის უცვლელი ნება საქართველოს კონსტიტუციაში

1995 წლიდან დღემდე არაერთხელ დაისვა საკითხი ორპალატიან სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ამგვარი სურვილი პრეზიდენტ შვეარდნაძესაც აქვს გამოთქმული. მაგალითად, ორშაბათის ტრადიციულ ერთ-ერთ რადიოინტერვიუში პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ორპალატიანი პარლამენტის შექმნა უფრო ეფექტურს გახდიდა პარლამენტის მუშაობას. სენატი, როგორც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობების მარეგულირებელი ორგანო, თავისთავად დადებითი შედეგების მომტანი იქნებოდა.¹⁷

აღსანიშნავია, რომ ორპალატიანი პარლამენტის საკითხი 2009-10 წლების სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის დასაწყისშივე გახდა განხილვის საგანი. სამუშაო ჯგუფის¹⁸ ნაწილი მიიჩნევდა, რომ ორპალატიან სისტემაზე გადასვლა დროული იყო,¹⁹ თუმცა მეორე ნაწილი ამ პოზიციას არ იზიარებდა და თვლიდა, რომ საქართველოში ბიკამერალური პარლამენტის შემოღება არ იყო მიზანშეწონილი.²⁰ მართალია, გემოაღნიშნული წინადადება კომისიის პლენარულ სხდომაზეც კი არ გავიდა, თუმცა,

¹⁶ იხ., საქართველოს კონსტიტუციის პროექტის 71-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები.

¹⁷ იხ., პრეზიდენტ ედუარდ შვეარდნაძის პოზიცია ორპალატიანი პარლამენტის შემოღებასთან დაკავშირებით, იხ., <http://civil.ge/geo/article.php?id=2674>, [12.04.2018].

¹⁸ 2009-2010 წლების სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრები გაერთიანებულნი იყვნენ 9 სპეციალიზებულ სამუშაო ჯგუფში. ერთ-ერთი გახლდათ „საკანონმდებლო ხელისუფლების საკითხთა“ ჯგუფი (ჯგუფის ხელმძღვანელი პროფესორი ნანა ჭილაძე). იხ., დემეტრაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, ბათუმი 2012, 17.

¹⁹ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ავთანდილ დემეტრაშვილმა, კომისიის შესაბამისი კონსტიტუციური კანონის პროექტი წარუდგინა, რომელიც ორპალატიან პარლამენტს ითვალისწინებდა. თუმცა, როგორც აღინიშნა, პროექტი არ იქნა მხარდაჭერილი. იხ., დემეტრაშვილი ა., საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, ბათუმი 2012, 174-199.

²⁰ იხ., ა. დემეტრაშვილი. საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, ბათუმი 2012, 67.

მეორე მხრივ, არც მოქმედი ტექსტის რედაქცია შეცვლილა და ქვეყნის ძირითად კანონში შენარჩუნდა ჩანაწერი შესაბამისი პირობების შექმნის შემთხვევაში ორპალატიანი პარლამენტის შექმნის თაობაზე.²¹

ბიკამერალური პარლამენტი 2017 წლის კონსტიტუციური რეფორმის კონტექსტშიც გახდა განხილვის საგანი.²² ავტორთა ნაწილმა კვლავინდებურად წამოჭრა საკითხი ორპალატიანი პარლამენტის საჭიროების თაობაზე, თუმცა ამჯერადაც პოზიცია არ იქნა გაზიარებული კომისიის წევრთა უმრავლესობის მიერ. მოტივთა შორის, რა თქმა უნდა, ძირითადი ტეროტირიული მთლიანობის საკითხი იყო.²³

5. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში შეცვლილი რედაქცია

1995 წლის კონსტიტუციური ჩანაწერი, ორპალატიანი პარლამენტის შექმნის შესახებ, მიუხედავად არაერთი რეფორმისა, კვლავინდებურად უცვლელია, თუმცა კი 2017 წლის რეფორმის ფარგლებში ნორმამ გარკვეული ცვლილებები განიცადა როგორც რედაქციური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით. ერთი მხრივ, ნორმა კონსტიტუციის პირველი თავის ნაცვლად მე-3 თავში გაიწერა. კერძოდ, ახალი რედაქციის თანახმად, ორპალატიან პარლამენტს კონსტიტუციის მე-4 მუხლის ნაცვლად 37-ე მუხლის პირველი პუნქტი აწესრიგებს. იმავე დროულად, მე-4 მუხლის ოთხპუნქტიანი მუხლი ჩაანაცვლა ერთპუნქტიანმა ნორმამ.²⁴

რედაქციური ცვლილებების გარდა შეიცვალა ასევე ნორმის შინაარსი. 1995 წლიდან 2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებამდე ძირითადი კანონი განსაზღვრავდა, რომ „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი

²¹ იხ., ა. დემეტრაშვილი. მმართველობის ახალი სისტემის თავისებურებანი საქართველოში, სუპერსაპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013. 31.

²² იხ., საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, იხ., <http://www.interpressnews.ge/ge/politika/428500-giorgi-margvelashvili-im-qveynebshi-sadac-prezidents-arapirdapiri-gzith-ircheven-aris-orpalatiani-parlamenti-da-federaluri-motsyoba.html?ar=A> [12.04.2018]; ასევე იხ., საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება, იხ., <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/chairmannews/saxelmwifo-sakonstitucio-komisia-saqartveloshi-orpalatian-saparlamento-sistemazec-imdsjelebs.page> [12.04.2018]; ასევე იხ., ავთანდილ დემეტრაშვილის განცხადება, იხ., <http://www.interpressnews.ge/ge/politika/404811-avthandil-demetrashvili-dzalian-kargi-iqneba-thu-2020-tslidan-chven-gadavalth-orpalatian-parlamentze.html?ar=A> [12.04.2018]; ასევე იხ., საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის სალომე ზურაბიშვილის განცხადება, იხ., <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/chairmannews/davit-usudavit-usufasvilis-mimartva-veneciis-komisiis-me-100-saiubileo-sxdomazefashvilis-mimartva-veneciis-komisiis-me-100-saiubileo-sxdomaze.page> [12.04.2018]; იხ ასევე, საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის ფრაქცია „უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარის კახა ოქრიაშვილის განცხადება, იხ., http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/saqartvelos-prezidenti-giorgi-margvelashvili-parlamentis-winashe-yovelwliuri-moxsenebit-wardga.page [12.04.2018].

²³ იხ., http://www.for.ge/view.php?for_id=46874&cat=2 [12.04.2018].

²⁴ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.²⁵ რეფორმის შემდეგ ნორმა განსხვავებული შინაარსის მქონე რედაქციით ჩამოყალიბდა. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა“. აღნიშნული რედაქცია, 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი და განსხვავებული მოსაზრებების გამომწვევი ფორმულირებისგან განსხვავებით, პირდაპირ აცხადებს, რომ ბიკამერალური პარლამენტის იდეა უკავშირდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენას.

6. ორპალატიანი პარლამენტის შექმნის წინაპირობები

2017-2018 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლამდე²⁶ მოქმედებდა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციური ნორმა, რომლის თანახმად, ორპალატიანი პარლამენტის შექმნა დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებასთან და, მეორე მხრივ, შესაბამისი პირობების შექმნასთან. ზემოაღნიშნულიდან პირველი პირობა აღსრულებულია. რაც შეეხება მეორე პირობას, ის განსხვავებული მოსაზრებების საფუძველი იყო.

ავტორთა ნაწილს მიაჩნდა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნაში მოიაზრებოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.²⁷

²⁵ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

²⁶ მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაზე. საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ფიცი დადო 2018 წლის 16 დეკემბერს.

²⁷ იხ., საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება, იხ., <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/chairmannews/saxelmwifosakonstitucio-komisiasaqartveloshi-orphalatian-saparlamento-sistemazec-imsdjelebs.page>, [12.04.2018]; ასევე იხ., საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მიმართვა ვენეციის კომისიის მე-100 საიუბილეო სხდომაზე იხ., <http://www.parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/chairmannews/davit-usudavit-usufasvilis-mimartva-veneciis-komisiis-me-100-saiubileo-sxdomazefashvilis-mimartva-veneciis-komisiis-me-100-saiubileo-sxdomaze.page>, [12.04.2018]; საყურადღებოა ასევე, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობითი კონცეფცია“. ავტორებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემების პოლიტიკური გადაწყვეტის შესაძლებლობის გამოჩენამდე მიზანშეწონილი არ არის ორპალატიან სისტემაზე გადასვლა, რაც ამ პრობლემის პოლიტიკურად გადაწყვეტის ხელშესაწყობად უნდა იქნეს გამოყენებული. იხ., ბაბუკი ვ., ფიში ს., რაიჰენბეჰერი, კონსტიტუციის გადასინჯვა - საქართველოს გზა ევროპისკენ, გერნამიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2012, 293-346; ასევე, იხ., გერმანელ ექსპერტთა მოსაზრებები, იხ., ბლანკენაგელი ა., ანგარიში ბერლინში საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიების წარმომადგენლებთან „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის რეფორმის“ თემაზე გამართული „მრგვალი მაგიდის“ შესახებ, იხ., ბაბუკი ვ., ფიში ს., რაიჰენბეჰერი, კონსტიტუციის გადასინჯვა - საქართველოს გზა ევროპისკენ, გერნამიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2012, 277-283, ასევე იხ., http://www.for.ge/view.php?for_id=46874&cat=2 [12.04.2018].

გემოაღნიშნული პოზიციის პარალელურად არსებობდა მოსაზრება, რომ „შესაბამისი პირობები“ არ უკავშირდებოდა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხის გადაწყვეტას, ვინაიდან გემოაღნიშნული კონსტიტუციური ფრაზა განსხვავდებოდა კონსტიტუციაში გამოყენებული იმ ფრაზებისაგან, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფაქტობრივ გარემოებას ამა თუ იმ კონსტიტუციურ-სამართლებრივი პერსპექტივის დადგომას უკავშირებდა. ავტორთა განმარტებით თუ დავეუკვირდებით კონსტიტუციური კანონმდებლის მიერ გამოყენებულ ლექსიკას, გემოაღნიშნული მტკიცება შეიძლება უსაფუძვლოც არ მოგვჩვენებოდა. კერძოდ, 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში, ისევე როგორც იმავე რედაქციის საქართველოს კონსტიტუციის 108-ე მუხლში, კონსტიტუციური კანონმდებელი არ ერიდებოდა იმის რეგლამენტაციას, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კონსტიტუციის მიღების ეტაპისთვის დარღვეულია და, შესაბამისად, ნორმის ამოქმედების ან/და განსაზღვრული პრინციპის კონსტიტუციური რეგლამენტაციის საკითხს უკავშირებდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენას; ამგვარი ტერმინოლოგიის გამოყენებას ვერ ვხედავდით საქართველოს კონსტიტუციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის) მე-4 მუხლის პირველ პუნქტში, რის გამოც ლოგიკურად იხადებოდა კითხვა „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნა“ (მე-4 მუხლი, პირველი პუნქტი), როგორც ბიკამერალური პარლამენტის წინაპირობა, იგივე შინაარსის მატარებელი იყო თუ არა, რაც „ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენა“ (მუხლი მე-2, პუნქტი მე-3²⁸) და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრული აღდგენა“ (მუხლი 108²⁹)?!“.³⁰

აღნიშნულ განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა თუ მოსაზრებებს გამორიცხავს 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გაკეთებული ჩანაწერი, რითაც პირდაპირ განისაზღვრა, რომ მხოლოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ იქნება პარლამენტის შემადგენლობაში ორი პალატა.

7. პალატების ფორმირების საკონსტიტუციო საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუცია, შეიძლება ითქვას, ძალიან ზოგად მითითებას გვთავაზობს ორპალატიან პარლამენტთან დაკავშირებულ კონტრეტულ საკითხებზე. ასე, მაგალითად, კონსტიტუციაში პალატების ფორმირების საკითხი ზოგადად არის განწერილი და იქვე დადგენილია, რომ „პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი“.³¹

²⁸ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.

²⁹ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.

³⁰ იხ., ვ. ყურაშვილი. ვ. ჩოკორაია. ა. ბუჩუკური. ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011, 63-64.

³¹ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

რაც შეეხება ზოგადი ხასიათის, თუმცა კი ძალიან მნიშვნელოვან მითითებას, კონსტიტუცია ადგენს, რომ რესპუბლიკის საბჭო უნდა აირჩეს პროპორციული წესით, ხოლო სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისგან.³² მსგავსი შინაარსით იყო ჩამოყალიბებული საქართველოს კონსტიტუცის მე-4 მუხლი, რომელიც 2018 წელს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებაამდე მოქმედებდა.

კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი, სენატის წევრები მაჟორიტარული უნდა აირჩეს თუ პროპორციული წესით. საქართველოს პარლამენტის დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემა კრიტიკის ობიექტია. არაერთი პოლიტიკური აქტორი, ექსპერტი, სპეციალისტი მოითხოვს საქართველოს პარლამენტის სრულად პროპორციული წესით დაკომპლექტებას.³³ უნდა ითქვას, რომ მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემას ჰყავს მოხრებიც.³⁴ 2017-18 წლების საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში შეიცვალა პარლამენტის საარჩევნო სისტემა და 2020 წლის შემდგომი საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტი დაკომპლექტდებოდა სრულად პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისგან³⁵. თუმცა, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი“, რომელიც ითვალისწინებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სრულად პროპორციული წესით ჩატარებას.

აღსანიშნავია, 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის განმავლობაში იყო ინიციატივა, რომ გადავსულიყავით ბიკამერალურ სისტემაზე, რითაც შესაძლებელი იქნებოდა ქვედა პალატის სრულად პროპორციული წესით დაკომპლექტება და სენატის წევრთა არჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. ამ ფორმით შესაძლებელი გახდებოდა ამ ორივე სისტემის დადებითი მხარეების გამოყენება და არა საერთოდ უარყოფა.³⁶

როგორც ცნობილია, ერთი მხრივ, საკონსტიტუციო რეფორმით არ იქნა მიღებული გადანყვეტილება ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების შესახებ და, მეორე მხრივ, 2020 წლის შემდგომ პარლამენტი დაკომპლექტდება სრულად პროპორციული წესით.

რაც შეეხება ორპალატიანი პარლამენტის თაობაზე კონსტიტუციაში არსებულ ჩანაწერს, ნორმა რესპუბლიკის საბჭოსგან განსხვავებით, პირდაპირ მითითებას არ აკეთებს, თუ რომელი საარჩევნო სისტემის – მაჟორიტარული, პროპორციული, შერეული – საფუძველზე უნდა აირჩეს სენატის წევრები.

³² იქვე.

³³ იხ., <http://old.1tv.ge/ge/news/view/159084.html> [12.04.2018], ასევე იხ., <https://info.parliament.ge/#law-drafting/13831> [12.04.2018], ასევე იხ., <https://www.gyla.ge/ge/post/saarchevno-sistemaze-mmartveli-partiis-gadatsyvetileba-miughebelia#sthash.I7EIHpgM.dpbs> [12.04.2018].

³⁴ მაჟორიტარულ სისტემას მხარს უჭერს საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი იხ., <http://old.1tv.ge/ge/news/view/161060.html> [12.04.2018].

³⁵ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³⁶ იხ., http://www.for.ge/view.php?for_id=49077&cat=2 [12.04.2018].

8. პალატების უფლებამოსილებები

საკანონმდებლო ორგანოს ორპალატიანი სტრუქტურა, როგორც დავინახეთ, არაერთ თანამედროვე სახელმწიფოში განაგრძობს ფუნქციონირებას. შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის განმავლობაში მან კიდევ უფრო მეტად გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობები. თუმცა, ფუნქციური თვალსაზრისით, მთელ რიგ შემთხვევებში, განსხვავებული ხასიათი შეიძინა. ხშირ შემთხვევებში ქვედა პალატები უფრო მძლავრი უფლებამოსილებებით აღიჭურვნენ, ვიდრე ნაკლებად დემოკრატიული სისტემის ან განსხვავებული პრინციპების საფუძველზე დაკომპლექტებული ზედა პალატები. ერთი სიტყვით, XX საუკუნეში გავრცელებას იწყებს ე.წ. ასიმეტრიული ბიკამერალური მოდელები, რომელთაც „სუსტ“ ბიკამერალიზმსაც უწოდებენ.³⁷

ასიმეტრიული ბიკამერალიზმის პირობებში ქვედა პალატა ძირითადად სუსტი უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი, როგორც კანონმემოქმედებითი, ასევე სხვა ფუნქციების განხორციელებისას. რაც შეეხება ე.წ. ძლიერი ზედა პალატის პირობებში ფუნქციონირებს თანაბარი სტატუსის პალატები.

საქართველოს კონსტიტუციაში პალატების უფლებამოსილებები არ არის განერილი და, როგორც კონსტიტუციაშივეა აღნიშნული,³⁸ ის ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების შემდეგ განისაზღვრება ორგანული კანონით.

ქართველ მეცნიერ-პრაქტიკოსებში ერთგვარი უპირატესობით სარგებლობს შედარებით სუსტი უფლებამოსილებებით აღჭურვილი სენატის იდეა. ამ თვალსაზრისით საინტერესო პოზიციას აფიქსირებს ავტორთა ერთი ნაწილი. მათ მიაჩნიათ, რომ „საქართველოს კონსტიტუციით მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს საკითხები, რომელთა თაობაზეც ორივე პალატაში სავალდებულო წესით უნდა განხორციელდეს საპარლამენტო მოსმენები (განხილვები), საკითხებისგან, რომელთა შესახებაც საკანონმდებლო პროცესის ძირითადი ტვირთი რესპუბლიკის საბჭოს ექნება, ხოლო სენატი გამარტივებული პროცედურებით („დუმილით“ მოწონება, ერთი მოსმენით დამტკიცება და სხვა) იქნება ჩართული“.³⁹

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ, ამრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც ორივე პალატა თანაბარი უფლებამოსილებებით იქნება აღჭურვილი.⁴⁰

შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი ვითარება გვხვდება მთავრობის ფორმირებასთან თუ მის

³⁷ იხ., Attlande di Diritto Pubblico Comparato a cura di Ferrari G. F., con la collaborazione di Mazza M., Vedeschi A., 2000, 224, aseve, Mortati C., Le istituzioni, 472. cit., Palermo F., Nikolini M., Il Bicameralismo, Pluralismo e limiti della rappresentanza in prospettiva comparata, 2013, 74.

³⁸ იხ., საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტი.

³⁹ იხ., ვ. ყურაშვილი. ვ. ჩოკორაია. ა. ბუჩუკური. ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011, 78.

⁴⁰ იხ., ა. დემეტრაშვილი. 2009-2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში, საქართველოს კონსტიტუციური ქრონიკები, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური, ბათუმი 2012, 185, ასევე იხ., ვ. ყურაშვილი. ვ. ჩოკორაია. ა. ბუჩუკური. ბიკამერალიზმის დილემები, ბათუმი, 2011, 78.

მიმართ უნდობლობის გამოცხადების საკითხთან მიმართებაში. ასე მაგალითად, 2009-2010 წლებში მოქმედი საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარდგენილი ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ორპალატიან პარლამენტს ითვალისწინებდა, მთავრობის ინვესტიტურის პროცესში მხოლოდ რესპუბლიკის საბჭოს ანიჭებდა შესაბამის უფლებამოსილებებს.⁴¹ მსგავსი პოზიციის დაფიქსირებული ავტორთა მიერ მომზადებულ კვლევაში, რომელიც ბიკამერალიზმის დილემებს უკავშირდება. ავტორებს მიაჩნიათ, რომ დამკვიდრებული უცხოური პრაქტიკისა და რესპუბლიკის საბჭოს ფორმირების თავისებურებების გათვალისწინებით, მთავრობის ფორმირების, მთავრობაზე კონტროლის განხორციელებისა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების (უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების) უფლებამოსილება, ასევე, ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის საბოლოო რედაქციით დამტკიცების კომპეტენცია რესპუბლიკის საბჭოს უნდა ჰქონდეს, რამდენადაც ის წარმოადგენს პროპორციული წესით არჩეულ დეპუტატთა წარმომადგენლობას, რომელიც პოლიტიკური კონფიგურაციის სარკეა.⁴²

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სენატის სტატუსისა და უფლებამოსილებების განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება ის წინაპირობები, რომლის საფუძველზეც გახდება შესაძლებელი ორპალატიანი საპარლამენტო სტრუქტურის შემოღება. საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულებისთვის საერთო-სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებში სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით ჩართულობის უზრუნველყოფას, რა თქმა უნდა, შესაბამისი გავლენა ექნება პალატების სტატუსისა და უფლებამოსილებების განსაზღვრისას.

დასკვნა

